

1985/6

საქართველო



ქართული
საქართველოს
საქართველოს

ISSN 0134-9548

საქართველოს
საქართველოს

საქართველოს
საქართველოს





სეძუკი კარუნოზუ. 1724—1770 წ.წ. ბედნიერების ღმერთი
ფუკუარაუჩიუ საღალაქოში. დაახლოებით 1766 წ.

საუნჯე

1985/6

ნომერი
დეკემბერი



(69)

ეროვნული
ენციკლოპედია



ზინაარსი

პროზა და პოეზია

მარიო ვარგას ლიოსა. ხულია დეიდა და მოკალგე. რომანი. დასასრული. თარგმნა ამირან გაბესვიანი	3
ტანიკავა სინტარო. ლექსები. თარგმნა ტარიელ ქანტურიაშ	72
ერვა ბაჟანი. ერთ ცეცხლს ბაანალებს შორეო ცეცხლი. რომანი. დასასრული. ფრან- გულიდან თარგმნა დავით ქაბახერმა	78
ვისლავა შიმგორსკა. ლექსები. თარგმნა გივი აღმაშვილები	130
გერნარდ უოუ. კენიკარი და ალემოკატრა. ინგლისურიდან თარგმნა ერეკლე ტატიშვილმა	134
სომას ელიოტი. ლექსები. თარგმნა ქეთევან ქურდოვანიძემ	190
ვადიმ გრიგო. სიტყვა სიკვდილით დასჯის შემდეგ. დასასრული. უკრაინულიდან თა- რგმნა რაულ ჩილაჩაევამ	193
მოდუნაზ კოევენი. სიკვდილი რომში რომანი. დასაწყისი. გერმანულიდან თარგმნა ოთარ ხუციშვილმა	217

წერილები

იოსან ჰოიზინვა. თამაშის, რომოც კულტურის მოვლენის, არსი და მნიშ- ვნელობა. გერმანულიდან თარგმნა გაორგი ნოდიაშ	270
მანანა ხაჩიაშვილი. ევროპული რომანტიზმის ერთი უცნობი ფურცელი	298
მეთევან დუმბაძე. „შვილავა ხშირად მე ქართულ პოეზიას ვთარგმნი“	302
ლაილა თეთრუაშვილი. ფრიდრიხ შილერის „მეამბიო“ (ნაივური) და „სინ- ტიმენტალური“, „კირვილსაჟისი“	307
მ. უსვენსკი. XVIII-XIX საუკუნეების საკონსერვი ბრავიურა	314
გვირი ინფორმაციები	319

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური აღმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა
მთავარი სარედაქციო კოლეგია



ქართული
ლიტერატურა

მთავარი რედაქტორი:

მუსრან მაჭავარიანი

მთ. რედ. მოადგილე:
რეზო ზეიშვილი

პ. მგ. მდივანი:

ნანა დარჩია

სარედაქციო კოლეგია:

ელზა ახვლედიანი

ჯეპალ აჯიაშვილი

გიორგი გაქანიძე

მზია გაქრაძე

ბაჩანა ბრეგვაძე

გურამ გოგიაშვილი

ვახტანგ თოდუა

ნოდარ კაკაბაძე

ზურაბ კიკნაძე

ვახუშტი კოტეტიშვილი

როვან ვივიწყოშვილი

გიორგი ნიშნიაშვილი

ოთარ ნოდია

დალი ფანჯიკიძე

რუსუდან ქავთაძე

იორკო ქვერთაძე

ნიკო უიანაშვილი

გივი შანაზარი

გივი ქნელაძე

დავით წერეთელი

ნუგზარ წერეთელი

თამაზ წივწივაძე

გარეკანზე: ტიკოშვილი ელისო (მუშაობდა 1793-1798 წ.წ.). სერიიდან: „საქართველო უბანთა
ტურფების კაპიტალიზაცია“ დაახლოებით 1794-1796 წ.წ.

მხატვარი ა. თოდრა, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა, ტექნიკური რ. იმნაიშვილი
გამომშვეები ნანა ბარათაია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დავითაძის ქ. № 2

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31, პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22,
განყოფილებათა გამგეები — 72-26-30

გად. წარმ. 12.09.85 წ., ხელმოწ. დასაბუქდად 3.12.85 წ., ქაღალდის ზომა 70×108¹/₃₂,
სააღრ. თ. 24,56, სასტ. თ. 28, საღებავის გატ. 28,7, ტირ. 10 000, შეკვ. № 2020.
ფასი 1 მან. 80 კპპ.

საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის 14



რომანი

თარგმნა აპირან პაპუნსკირიან

17.9.75

XVI

ხოაკინ ინოსტროსა ბელმონტი, ვინც ესოდენ სახელგანთქმული იყო სტა-
დიონებზე ოსტატური მსაჯობით და არა გატანილი ბურთებითა თუ პენალ-
ტებით, ხოლო ლიმის ყველა ბარში აქამდე დაუვიწყარი ალკოჰოლიანი სასმე-
ლების გამო დარჩენილი ვალებით, ერთ-ერთ იმ ვილაში დაიბადა, რომლე-
ბიც ოცდაათი წლის წინათ გაშენდა ლა პერლის უბნებში ამ უდაბური ადგი-
ლების ლიმის თავისებურ კოპაკაბანად¹ გადასაქცევად (ეს ცდა იგივე იყო,
ნემსის ყუნწში აქლემი გაგეძვრინა და კიდევ ძვირად დაუჭდათ პატრონებს,
რამეთუ ამ ნესტიანმა ადგილებმა აზიზი ბრონქები დაუზიანათ).

ხოაკინი ერთადერთი ძე იყო მდიდარი და თან დიდგვაროვანი ოჯახისა,
რომელიც ძალზე ამაყობდა თავისი განშტოებული, უამრავი წოდებითა და
კერბით დახუნძლული გვაროვნული ხისა, ესპანეთისა და საფრანგეთის მარკიზ-
თა წოდების ჩათვლით. მომავალი მსაჯისა და ლოთის მამამ ძველებური სი-
გელ-გუჭრები განზე მიყარა და უფრო თანამედროვე საქმიანობას — სხვადა-
სხვა კომერციული საშუალებებით თავისი ქონების გაზრდას ანუ შალეულის
წარმოებასა და ამაზონიაში წინაკის ცეცხლოვანი კულტურის დანერგვას მიმ-
ყო ხელი. ხოაკინის დედას — ფერმიხდილ მადონას — მრავალი და მრავალი
დიდკაცური სენი აწუხებდა და თავდადებული მეუღლის პირობაზე ქმრის
ფულებს ეჭიმებასა და ეჭიმბაშებში ფანტავდა. ცოლ-ქმარი არც ისე ახალგაზ-
რდა იყო, როცა ხოაკინი შეეძინათ მრავალი და მრავალი წელი ღვთის ლოც-
ვა-ვედრების შედეგად. მემკვიდრე გვაჩუქეო. ამ ამბავმა ენით აუწერელი სი-
ხარული მოჰგვარა შშობლებს, ასე ეგონათ, ჯერ კიდევ აკვანში ჩაკრული ძე
მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მეფე, დიპლომატიის ჯადოქარი ან
პოლიტიკის ქაჯი გამოვიდოდა.

მაკრამ რა იყო მიზეზი, რად უღალატა ბიჭმა თავის ბედს, დიდებული წო-
დებებითა და წარჩინებით გამორჩეულს, და ფეხბურთის მსაჯობა არჩია?

¹ რით-დღ-გასეიროს ერთ-ერთი რაიონი, დასაარული, დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 4, 5.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. ბიბლიოტ.
ბიბლიოთეკა

იქნებ ჭკუასუსტი იყო და იმიტომ? არა, ხოაკინი მოწოდებამ აქცია მსაჯად. როგორც მისთანა გვარიშვილს ეკადრებოდა, ძუძუთა ასაკიდან უღვაშის აბიბინებამდე სხვადასხვა ქვეყნებიდან, საფრანგეთსა თუ ინგლისიდან გამოწერილი ნაირ-ნაირი აღმწრდელები დასტრიალებდნენ თავს. წერა-კრწინა მანგარიშს ლიშის საუკეთესო მანწავლებლები ასწავლიდნენ, მაგრამ ყველა მანწავლებელი ერთიმეორის მიყოლებით უარს ამბობდა შესაშურ ჯამაგირზე, როცა გაწამებულნი და სასოწარკვეთილნი დარწმუნდებოდნენ, ბიჭი ერთნაირად გულგრილია ყველა მეცნიერებისადმიო. რვა წლის ხოაკინმა ინჩიბინჩი არ იცოდა ანგარიშისა, ხოლო ანბანიდან რის ვაივაგლანით მარტო ხმოვნები ისწავლა. ერთმარცვლიანი სიტყვების გარდა სხვა არც უხმარია, მთელი დღეები ღინჯად. მიწყენით დაბორილობდა თავის აუარება სათამაშოს შორის, მის გასართობად ქვეყნიერების სხვადასხვა კუთხიდან რომ ჩამოეტანათ: ეს გახლდათ გერმანული კონსტრუქტორები, იაპონური მატარებლები, ჩინური თავსატეხები, ავსტრიული ჯარისკაცები, ამერიკული სამბორბლიანი ველოსიპედები. ერთადერთი, რაიც ბრამანივით აღუშფოთველ ბიჭს რამდენიმე ხნით გაიტაცებდა, „მორდელ-ხურ“-ის ფირმის შოკოლადებში ჩადებული ფეხბურთელების სურათები იყო, რომელთაც ატლასისუდიან რვეულებში აწებებდა და საათობით გატაცებით უმწერდა.

თავზარდაცემულმა მშობლებმა, ვაითუ ვაჟი არასრულფასოვანი დაგვრჩეს, გვარი მასზე მოიშთოს, მომავალში კი ირგვლიშყოფთა სასაცილო შეიქნასო, მეცნიერთ უხმეს საშველად. ლა პერლაში მედიცინის მნათობები ჩამობრძანდნენ. პირველად ქალაქის პედიატრთა ვარსკვლავი ექიმი ალბერტო დე კინტროსი ეწვიათ და მშობლები საოცარი რამ დასკვნით ანუგეშა.

— უმაწვილს ეგრეთ წოდებული „ორანჟერიული“ სენი სჭირს, — აუხსნა მათ ექიმმა: — თუ ყვავილი ბაღში არ გაიზარდა — სხვა ყვავილთა და პეპელათა შორის — ფერს დაჰკარგავს და სურნელების ნაცვლად ამურალდება. თქვენი ვაჟი ოქროს გალიამ დაამქლევა. დაითხოვეთ გადიები და ლალები, ბიჭი კოლეჯში მიაბარეთ, სადაც თავის ტოლებში გაერევა. იმავე დღეს, რა დღესაც ამხანაგი ცხვირს გაუტეხს, იგი ნორმალურ ბავშვად იქცევა!

ოღონდაც ბიჭი დოჟლაპია და ბაიყუში არ გამოსულიყო, დიდგვაროვანმა ცოლ-ქმარმა თავი გაწირა და პატარა ხოაკინი მდაბიორთა წრეს აზიარეს, თქმარად უნდა. მისთვის ლიშის წმინდა მარიას კონგრეგაციის კოლეჯი არჩიეს, სადაც ყველაზე ძვირი ღირდა სწავლა-განათლება და სადაც წარჩინებული გვარიშვილობა არ შეელახებოდა. სკოლის სამოსი კი ხავერდისა შეუკერეს, ოღონდაც იგივე ფერისა, როგორიც კოლეჯის წესდებით იყო დადგენილი.

განთქმული მედიკოსის რჩევა ფრიად ნაყოფიერი გამოდგა. მართალია, ბიჭი ყველაზე ცუდ ნიშნებს იღებდა: გამოცდებზე რომ არ ჩაჭრილიყო (ამაზე მეტს მშობლები არც ნატრობდნენ), დედ-მამა იძულებული იყო უხვად გაეცა შესაწირი (ანუ: კოლეჯის სამლოცველოსთვის ვიტრაჟების, საეკლესიო წესმსახურებისთვის ანაფორების, ღარიბთა სკოლებისთვის ვეებერთელა პიუპიტრებისა თუ სხვათა და სხვათა შესაძენად), მაგრამ ისე კი უფრო გულღია გახდა. შიგადაშიგ მხიარულიც. სწორედ ამ დროს გამოაჩნდა გენიოსობის პირველი ნიშანი (ხოაკინის მიუხვედრელი მამა „ბზიკს“ რომ უწოდებდა) — ბურთის ტრფიალი. მშობლებმა დიდზე დიდად გაიხარეს იმის გაგებაზე, საკმარისია

მათმა ძემ ფეხზურთელის ბუცები ჩაიცვას. დონდლო, სიტყვაძვირი ბიჭი მყის-
ვე ცოცხალ, ენატარტარა ბავშვად იქცეს. ამიტომაც სასწრაფოდ შეიძინეს ლა
პერლაში მათი აგარაკის გვერდით მდებარე მიწის ნაკვეთი ფეხზურთის მოედ-
ნის მოსაწყობად. სადაც პატარა ხოაკინი თავის გუნებაზე ითამაშებდა.

მას აქეთ ლა პერლაში, პალმერასის ნისლიან ავენიდაზე, წმინდა მარიას
კონგრეგაციის კოლეჯის ავტობუსიდან — გაკვეთილების შემდეგ — უოველდლე
გადმოდიოდა ოცდაორი ხოსწავლე (შემადგენლობა იცვ-
ლებოდა, რიცხვი კი იგივე რჩებოდა მუდამ) ინოსტროსა ბელმონტის საფეხ-
ბურთო მინდორზე სათამაშოდ. თამაშის შემდეგ მშობლები ბიჭებს ჩაით, შო-
კოლადის კანფეტებით, მარმელადით ნამცხვრებითა და ნაყინით უმასპინძლ-
დებოდნენ, მდიდარი დედ-მამა უოველ სალამოს ნეტარებით უჭვრეტდა თავის
ბედნიერსა და გაოფლილ ხოაკინსიტოს.

მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ შეამჩნია პერუსი წიწაკის დამკვიდრე-
ბის მოთავემ, საქმე მთლად რიგზე ვერააო: მისი ბიჭი აგერ მეორე, მესამე
თუ მეათე მატჩისას სასტვენით პირში, მზისგან დასაფარავად ჩამოფხატული
კეპით უკან დასდევდა მოთამაშეთ, უთითებდა დარღვევებზე, ნიშნავდა პენალ-
ტებს და სულაც არ წუხდა, რომ მსაჯობა ხვდა წილად. მაგრამ მილიონერი
მაინც გაწყრა და განრისხდა. როგორ, ბიჭებს თავისთან პატიუებს, ტკბილეუ-
ლით ხეთქავს, თავის ვაჟს უყადრებს, ეს თავხედები კი ხოაკინს უმსგავსო
მსაჯობას აკისრებენ? მილიონერმა ლამის თავისი დობერმანები მიუსია ამ
უტიფრებს დასაფრთხობად. მაგრამ ბოლოს ისევ შთაგონება იკმარა. მისდა
გასაკვირად, ბიჭებმა ფიცით გაიწყვიტეს ყველაფერი, ხოაკინს თვითონ სწა-
დია მსაჯობა, „დაზარალებულმა“ კი ღმერთი და საკუთარი დედა დაიფიცა, ეს
ყველაფერი მართალიაო. რამდენიმე თვის შემდეგ მამამ თავის უბის წიგნაკის
ჩანაწერები და მაჟორდომთა მონახსენები ერთმანეთს რომ შეადარა, შემდეგი
დასკვნა გამოიტანა: ას ოცდათორმეტ თამაშისას, მის საფეხბურთო მოედან-
ზე რომ ჩატარდა, ხოაკინ ონოსტროსა ბელმონტს თვითონ არც ერთხელ არ
უთამაშნია, სამაგიეროდ ყველა ას ოცდათორმეტივე მატჩის მსაჯი იყო. თავ-
გზადაბნეულმა მშობლებმა ერთმანეთს გადახედეს, იფიქრეს, საქმე ცუდადააო—
აბა რომელი ჭკვათამყოფელი მოიქცეოდა ასე — და საშველად კვლავ მეც-
ნიერთ უხმეს.

ვილაში ქალაქის ცნობილი ასტროლოგი ჩამოვიდა. იგი ვარსკვლავებზე
ადამიანის ბედს წინასწარმეტყველებდა და თავის კლიენტთა (მისი სიტყვით
„მეგობართა“) სულებს ესაუბრებოდა ზოდიაქოს ნიშნების მიხედვით. პროფე-
სორმა ლუსიო ასემილამ შეადარა მრავალი და მრავალი ჰოროსკოპი, ესაუბრა
ზეციურ სულთ და ბევრი იფიქრა მთვარის შემყურებ.

მის მიერ გამოტანილი დასკვნა სიმართლეს თუ მთლიანად არ შეეფერებო-
და, მშობლებს მაინც სასიამოვნოდ დარჩათ.

— ბავშვი მთელი არსებით შეიგრძნობს თავის წარჩინებულ წარმოშობას
და ამ გრძნობის კარნახით ფიქრშიაც არ სურს სხვებს დაემსგავსოს, — ბრძანა
პროფესორმა და სათვალე მოიხსნა (იქნებ იმიტომ, რომ დიაგნოზის დასმისას
სიბრძნის სხივი შეემჩნია ყველას მის თვალებში?). — მას ურჩევნია მინდორ-
ზე მსაჯი იყოს და არა მოთამაშე, რამეთუ ვინც სჯის, მეთაურიც ისაა. თქვენ
გგონიათ, ხოაკინოს ამ მწვანე ოთხკუთხედზე სპორტი იტაცებს? ჰოი, რარიგ
სცდებით! ამას კარნახობს ბრძანებლობის, უჩვეულობისა და ზეგარდმო

იდეალების მისწრაფება, რაიც მისი გვარის პატრონს, ცხადია, სისხლში აქვს გამჭდარი.

ბედნიერებისაგან ასლუკუნებულმა მამამ კოცნით დაახრჩო შვილი. ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ქვეყნად თავი უბედნიერესი კაცად მიიჩნია და კიდევ ერთი ნული მიუმატა იმ ჭეშმარიტ მეფურ ჰონორარს, მრჩევლის ახემილას რომ მისცა. რომ ირწმუნა, მსაჯობის ტრფიალი სხვების დამორჩილების, მათზე ამალღების სწრაფვაა და ეს სწრაფვა მოგვიანებით ქვეყნიერების (უკიდურეს შემთხვევაში პერუს) მბრძანებლად აქცევს მის ძეს, მწარმოებელმა თავი ანება თავის მრავალრიცხოვან საქმეთ და ბებერი ლომის მსგავსად, ცრემლებს რომ ღვრის თავისი ბოკვერის პირველი ნანადირევი კრავის ხილვაზე. და პერლაში თავის კერძო სტადიონზე იწყო სიარული, რათა დამტკბარიყო ახლახან ნახუქნ ლამაზ ფორმაში გამოწყობილი ხოაკინით და მოესმინა, სტვენით როგორ გამგებლობდა ხან აქეთ, ხან იქით მიმწყდარ „ნაბიჭვართა“ ბრბოს (იქნებ ასე ეძახდა მამიკო მოთამაშეებს?).

ათი წლის შემდეგ შემცბარი მშობლები იძულებული გახდნენ ელიარებინათ, რომ ზეციური წინასწარმეტყველება ფრიად სცოდავდა, ესოდენი იმედით რომ აღავსო ისინი. თვრამეტი წლის ხოაკინ ონოსტროსა ბელმონტი საშუალო სკოლის უკანასკნელ კლასში გადავიდა თავის ტოლებზე რამდენიმე წლით გვიან და ისიც მშობლების ქველმოქმედების წყალობით. ქვეყნიერების დამპყრობლის გენები — ლუსიო ახემილას აზრით ფეხბურთის შეჯიბრებათა მსაჯობის ყოვლად უწყინარ უინში ფარულად გამოვლენილი — სხვა არაფერში გამულავნებულა: პირიქით, დამალვა იმისა, რომ დიდგვაროვანთა ძე ფეხბურთის გარდა უველაფერში ყოვლად უნიჭო იყო, უკვე აღარ შეიძლებოდა. დარვინის მოძღვრებით თუ ვიმსჯელებდით, ხოაკინი ინტელექტით სადღაც ოლიგოფრენსა და მაიმუნს შუა უნდა მდგარიყო, ხოლო იუმორის ნასახი რომ არ გააჩნდა, არ ისწრაფოდა არაფრისკენ და, რაც ფეხბურთის მოედანზე მსაჯის მოუსვენარ საქმიანობას არ შეეხებოდა, უველაფრისადმი გულგრილი იყო, ყოველგვარ ეშხს უკარგავდა ჭაბუკს.

მაგრამ მისი ეს პირველი და მთავარი ცოდვა — მეორე აღკოძოლი გახლდათ — დასტურ შეიძლება დიდ ნიჭად შეგერაცხა, ისეთ თვისებებს ავლენდა ჭაბუკი აქ. არგაგონილმა მიუდგომლობამ (ფეხბურთის წმიდათაწმიდა მოედანზე და მატჩის ჯაღოქრულ საათებში?) წმინდა მარიას კოლეჯის მასწავლებელ-მოსწავლეთა შორის დიდებული მსაჯის სახელი მოუპოვა. როგორც ძერა წასახემსებლად ღრუბლებიდან ამოიღებს ხოლმე ნიშანში წაბლის ხის ძირში მოცუცუნე თავებს, ისევე ხოაკინის მახვილ თვალს არ გაეპარებოდა — რა მანძილიდან და რა კუთხიდან არ ყოფილიყო — ვერაგულად როგორ ჩაართუა წიხლი მცველმა ცენტრფორვარდს წვივში ან მარცხენა გარემარბმა რა უნამუსოდ ჭკრა იდაყვი ჩამწოდებელს და ბურთიანად ძირს გააგორა. გასაკვირი იყო, საიდან იცოდა ასე ზედმიწევნით თამაშის უველა წესი ან ვინ მიანიჭა ასეთი ბრწყინვალე აღლო, რომლის წყალობით ელვის სისწრაფით გამოჰქონდა გადაწყვეტილებანი წესით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში. ხოაკინის დიდება წმინდა მარიას კოლეჯის კედლებს გასცდა. და პერლელმა დიდგვაროვანმა სასკოლო შეჯიბრებათა და ჩემპიონატთა მსაჯობა იწყო, ხოლო ერთხელ მეორე ლიგის გუნდთა მატჩის მსაჯიც კი შეცვალა (პოტაოს ფეხბურთის მინდორზე ხომ არა?)

კოლეჯის დამთავრების შემდეგ დედ-მამის წინაშე ხოაკინის მომავლას საკითხი დადგა. უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებაზე მტკიცე უარი თქვენს მშობლებმა, რათა უმწველი ზედმეტი დამცირებისა და არასრულწლოვნების გრძნობისგან, საოჯახო ქონება კი ახალ შენაწირთაგან ეხსნათ. უცხო ენების შესწავლის ცდაც მარცხით დამთავრდა. ერთი წლით შეერქმუნებოდა და კიდევ ერთი წლით საფრანგეთში გაგზავნილმა ხოაკინმა ვერც ინგლისური და ვერც ფრანგული ვერ ისწავლა. უფრო მეტიც, ესპანურს უფრო უარესად დაუწყო მტვრევა. შვილის ღიმილში დაბრუნების შემდეგ მეფაბრიკე იძულებული გახდა იმ აზრს შერიგებოდა, რომ სამეცნიერო წოდებათა მოხვეჭა ხოაკინის საქმე არ იყო, და გულგატეხილმა გადაწყვიტა თავისი ძე საოჯახო წარმოებათა ქსელში მოეწყო სამუშაოდ. როგორც მოხალოდნელი იყო, შედეგი სავალალო და საზარალოც გამოდგა. ხოაკინის წყალობით ორ წელში გაკოტრებამდე მივიდა ძაფების ორი ქარხანა, დანაკლისი აღმოაჩნდა მთელი საწარმოო კონგლომერატის ყველაზე უფრო აყვავებულ წარმოებას — გზათა სამშენებლო ფირმას — ხოლო წიწაკის პლანტაციები ხელვაში ნაირ-ნაირმა ეპიდემიებმა, მწერებმა და წყალდიდობამ გაანადგურა (რამაც ხელახლა დაადასტურა, ხოაკინსიტო ოჯახური ქონების გამაცამტვერებელი რომ იყო). ვაჟის ასეთმა უმწეობამ საქმიანობაში ელდა დასცა მამას, სიბერე მოუსწრაფა და ყველაფერზე გული აუგდო. წარმოებები მალე გულხარბმა ადმინისტრატორებმა იგდეს ხელთ. რამდენიმე ხნის შემდეგ ხოაკინის მამას ფსიქიური აშლილობაც დაეტყო: ენას გამოაგდებდა (განზრახ ხომ არა?) და საკუთარი უურის გალოკვას ლამობდა. ავადმყოფობამ და უძილობამ მეუღლის მაგალითის კვალდაკვალ იგი ფსიქიატრებსა და ფსიქონალიტიკოსებს (ალბერტო დე კინტეროსს თუ ლუსიო ასემილას) დაახლოვა, რომლებმაც სწრაფად იაზრეს, როგორც ჭკუა, ისე ფულებიც მოხუცს სულ მალე შემოეღოდა.

მაგრამ მშობლების ეკონომიურ თუ გონებრივ დაქვეითებას ხოაკინ ინოსტროსა ბელმონტი თვითმკვლევლობამდე არ მიუყვანია. ძველებურად ლა პერლაში ცხოვრობდა, თავის აგარაკზე, ფანტომასის სადგომს რომ მოაგონებდა კაცს. ესე უძრავი ქონება დღითი დღე ჰკარგავდა პეწსა და ლაზათს, უანგი ჭამდა, პარტახდებოდა, ქუჭყითა და ობობას ქსელებით იფარებოდა. ბალები და ფეხბურთის მინდორი ვალებმა წაიღო.

ხოაკინი კი მთელი დღეები დარბოდა და ბელიავისტასა თუ ლა პერლას მიშვებულ მინდვრებზე გამართულ მაწანწალების მატჩებს სჭიდა. ერთ-ერთ ასეთ შეჯიბრებაზე, სადაც ორი ქვა კარს მიანიშნებდა, ჩარჩო და ტელეგრაფის ბოძი კი სათამაშო მოედნის საზღვრებს — ეს შეჯიბრება უპატრონო ბიჭების ცხარე მსჯელობის საგნად იქცა და ხოაკინმა ისეთივე თავგამოდებით ჩაატარა, თითქოს პერუს ჩემპიონატის ბოლო თამაში უოფილიყო (იგი აქაც მოხდენილად გამოწყობილ სნობს ჰგავდა: უსიერ ტყეში გამართულ ვანშამზე სმოკინგით რომ მიდის) — გაეცნო იგი იმ არსებას, ღვიძლის ციროზი რომ დამართა და ფეხბურთის ვარსკვლავად აქცია (ეგების სარიტა უანკა სალავერიას?).

ეს არსება ხოაკინს უკვე ქუჩაში თამაშისას ჰყავდა ნანახი და არაერთხელ დაუჯარიმებია კიდევ, ისე გააფთრებული დაეძგერებოდა ხოლმე თავის

მეტოქეთ. მას მარიომაჩოს¹ ეძახდნენ, მაგრამ ვერც ამ მეტსახელმა მიახვედრა ხოაკინი, გარუჯული, ძველ კედებსა და დაგლეჯილ ჯინსსა და ქურთუკში გამოწყობილი ეს ტიპი რომ გოგო იყო. ეს ამბავი მან ემპირიული გზით გაამუდგნა: როცა ერთხელ მარიომაჩო დააჯარიმა და პენალტი მიაკერა, პენალტი უდავო გახლდათ — პასუხად კარგად ლამაზი დედის გუნებზე ჩივიდა.

— რაო? — აღშფოთდა დიდგვაროვანთა ძე (იქნებ იმ წუთას დედა გაიხსენა: აბს ულაპავს, წვეთებს სვამს თუ ნემსს იკეთებს?). — გაიმეორე, თუ ბიჭი ხარ.

— ბიჭი არ ვარ, მაგრამ გავიმეორებ, — მიახალა მარიომაჩომ და სპარტელი ქალის სიამაყით, კოცონზე ასვლას რომ ამჯობინებს დამარცხებულად თავის გამოცხადებას, უტიფრად გაიმეორა ცხრასართულიანი გინება ყველა სიტყვისა და შედარების გამოუკლებლივ.

ხოაკინმა მუშტი მოუჭნია, მაგრამ მუშტი ჰაერს მოხვდა, თავად კი მიწას დაასკდა. მარიომაჩომ თავურით წააქცია, მერე კი ხელჩართულ ჩხუბზე გადავიდა და მუშტები, ფეხები, მუხლები თუ იდაყვები დაუშინა. ამ ჩხუბისას (სპორტული ვარჯიში ზოგჯერ სატრფიალო ხვევნა-კოცნას ჰგავს) განცვიფრებული ხოაკინი დარწმუნდა, რომ მისი მოწინააღმდეგე ქალი იყო. მტრის აქაიქ გამობურცული სხეულის შეხებამ ჩხუბის დროს ისე აუჩქროდა სისხლი ყმაწვილს, მისი ცხოვრება თავდაყირა დააყენა. იქვე შეურიგდა მტერს, გაიგო, რომ სარიტა უანკა სალავერია ერქვა, და ჯერ ტარზანის სურათზე დაპატიჟა იმავ საღამოს, ერთი კვირის შემდეგ კი ეკლესიაში ჯვრის დაწერა შესთავაზა. სარიტამ არათუ ცოლად გაყოლაზე სტკიცა უარი, მისთვის ერთი კოცნაც არ გაიმეტა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ამბავმა ხოაკინი დუქნების მუშტრად აქცია. თავდაპირველად რომანტიკოსის დარად ვისკის მხოლოდ დარდის ჩასაბრჩობად სვამდა, სულ მალე კი ისე გალოთდა, მგონი, ნავთსაც დალევდა, ოღონდაც ეს აფრიკული ვნების უინი მოეკლა.

ასე რამ წაუკიდა ვნების ცეცხლი ხოაკინს? სარიტა უანკა სალავერია წეროსავით აყლანწული გოგო იყო, სახედაქარულა, შუბლზე თმაჩამოყრილი—არც ურიგო ფეხბურთელი ეთქმოდა. ქცევა, ჩაცმა-დახურვა, ირგვლივმყოფთა წრე იმას მოწმობდა, რომ ქალურობისა არაფერი ეცხო. თუმცა იქნებ სწორედ ამ მისმა ბიწიერმა თავისებურებამ უცნაურმა საქციელმა მოაჯადოვა ასე დიდგვაროვანთა ძე? როცა პირველად მარიომაჩო გაპარტახების გზაზე დამდგარ თავის აგარაკზე მიიყვანა, დედ-მამამ თვალი გააყოლა ქალ-ვაჟს და მერე ერთმანეთს გადახედეს. ორივეს სახეზე ზიზლი ეწერა. ყოფილმა მილიონერმა ერთ წინადადებაში ჩააქსოვა მთელი თავისი ჯავრი: „უჭკუოს და უტვინოს ვინ ჩივის, ავხორცი და გარყვნილიც გაგვიჩენია“.

მაგრამ სარიტა უანკა სალავერიამ არამარტო ლოთობისკენ უბიძგა ხოაკინს, მისადმი ტრფობა იმ ტრამპლინად იქცა, ქუჩაში გამართულ ჰინჭის ბურთის მატჩებიდან ეროვნულ სტადიონზე შემდგარ ჩემპიონატზე რომ აახტუნა ჰაბუკი.

მარიომაჩომ, მართალია, უარი უთხრა დიდგვაროვანთა ძეს ტრფიალზე, მაგრამ ჰაბუკის გაწამება კი ნეტარებას ჰგვრიდა. სიამოვნებით დაჰყვებოდა კინოებში, ფეხბურთზე, ხარების ბრძოლაზე, რესტორნებში, ხელს არ უკრავდა ძვირფას საჩუქრებზე (ოჯახური დოვლათის ჩარჩენებს იქნებ ამაზე ხარჯავ-

¹ გამოთქმა, რაც ქალიწმა ნიშნავს.

და გამიჯნურებული მსაჯი?), მაგრამ სიყვარულზე კრინტს არ აძრევინებდა. როგორც კი უმაწვილი კაცი — პატივით ქათინაურის თქმამდე უურებადღე გაწითლებული — ენის ბლუკუნით მორცხვად შეჰკადრებდა, მიყვარხარო, სარიტა უანკა სალავერია აღშფოთებული წამოხტებოდა, ღობის ძირას გაგდებულ ნაბიჭვარით შეუკურთხებდა და, ხმა გაწყვიტეო, უბრძანებდა. მაშინ ხოაკინი მთელი დღეები ღოთობდა. ბარიდან ბარში გადადიოდა. მალე რომ გამოტრფილიყო, სასმელებს აღარ არჩევდა. მშობლები არაერთხელ იყვნენ მოწმენი, ქოტივით გამოენიხას რომ მობანცალეებულა მათი ძე და ვილის ოთახებში გზადაგზა ნარწყუვის კვალი დაუტოვებია. როცა უკვე, ჰა და ჰა, სპირტში უნდა ჩამხრჩვალყო, სარიტა დარეკავდა და უმაწვილიც კვლავ სიცოცხლეს უბრუნდებოდა, კვლავ აღედრებოდა იმედები, კვლავ ჯოჯობეთის წრეში იწყებდა ტრიალს. ჯავრმა და დარდმა სიცოცხლე მოუსწრაფა ნერვებაშლილ მოხუც ბატონს და იპოქონდრიით დაავადებულ ქალბატონს ისე რომ, თითქმის ერთ დროს მიიცვალნენ. ისინი საგვარეულო აკლდამაში დამარხეს პრესვიტერიანელთა სასაფლაოზე. უფრო აღრე ლა პერლას გაპარტახებული ვილა თუ სხვა შემორჩენილი ავლა-დიდება მევაღეებმა იგდეს ხელთ, ნაწილი სახელმწიფომ წაიღო. ხოაკინ ინოსტროსა ბელმონტს სხვა გზა არ დარჩენოდა, თავად უნდა ეძია სარჩო.

რაც მართალია მართალია, ხოაკინმა (მისი წარსულის მიხედვით იგი ან ნიშნით უნდა მომკვდარიყო ან მათხოვრობა დაეწყო) ამ გაჭირვებას ჩინებულად დააღწია თავი. რა ხელობას დაადგა? რასა და ფეხბურთის მატჩების მსაჯობას! ცალკე შიმშილმა, ცალკე სურვილმა, ქერქეტა სარიტას გული მოეგო, აიძულა იგი ქუჩის ბიჭების შეჯიბრების მსაჯობისთვის რამდენიმე სოლი მოეთხოვა. ბიჭებმა ფული შეაგროვეს (ორი და კიდევ ორი — ოთხი სოლი და კიდევ ორი — სულ ექვსი სოლი) და ფული ხოაკინს მისცეს. ამის დანახვაზე ხოაკინმა ფასი ასწია და საქმეც უკეთ წაუვიდა. რაკი ფეხბურთის სარბიელზე მისი ნიჭი საყოველთაოდ იყო ცნობილი, მას ხელშეკრულება დაუდეს ჭაბუკთა შორის შეჯიბრების მსაჯობაზე. ერთ დღეს კი ფეხბურთის მსაჯთა და მწვრთნელთა ასოციაციას მიაკითხა და მტკიცედ მოსთხოვა საწევრო ბილეთი. მან ბრწყინვალედ ჩააბარა ასოციაციაში გამოცდები და გულის წასვლამდე მიიყვანა ისინი, ვისთვისაც მას აქეთ (ვინძლო თავმომწონედაც) კოლეგები შეეძლო ეწოდებინა.

ხოაკინ ინოსტროსა ბელმონტის ეროვნულ სტადიონზე გამოჩენა (თეთრკანტებიანი შავი ფორმა, შუბლზე ჩამოფხატული მწვანე კეპი, პირში მოვერცხლილი სასტვენო) ღირსშესანიშნავ მოვლენად იქცა კრიოლის ფეხბურთის ისტორიაში. სპორტის გამოცდილი კომენტატორი აღბათ იტყოდა: „მასთან ერთად სტადიონს ჭეშმარიტი სამართალი და შთაგონებული არტისტიზმი მოეგლინა“. მისმა თავაზიანობამ, მიუკერძოებლობამ, იმან, რომ მის თვალს არა დარღვევა არ ეპარებოდა, ზრდილმა ქცევამ დაჯარიმებულთა მიმართ, ავტორიტეტმა (მოთამაშეები თვალდახრბილი ელაპარაკებოდნენ და „დონ ხოაკინს“ უწოდებდნენ) ფიზიკურმა გამძლეობამ — მთელი ოთხმოცდაათი წუთი ისე დარბოდა, დიდი-დიდი ათ მეტრზე ჩამორჩენოდა ბურთს — სულ მალე საოცრად გაუთქვა სახელი ჭაბუკ მსაჯს, როგორც ერთი გამოსვლისას ითქვა, იგი ერთადერთი რეფერი იყო, ვისაც უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ მოთამაშენი, ვისაც არახოდეს დასხმიან თავს; მაყურებლები და ვისაც უოველი შეჯიბრების შემდეგ ტრიბუნები ტაშით აჭილდოებდნენ.

იყო თუ არა ეს შედეგი დიდი ოსტატობისა? დიახ, ნაწილობრივ. იყო. მაგრამ უმთავრესად მაინც მარიოვას ეშხით ხდებოდა ყველაფერი. ხის მოხიბლვას ცდილობდა ხოაკინ ინოსტროსა ბელმონტი თავისი დადოქრული ნიჭით (იმ ჭაბუკის დარად, მთელ ევროპას რომ დაატყვევებს და მაინც ანდებში მივარდნილ თავის პატარა სოფელში დიდების მოხვეჭას ნატრუნს, მკვლევარად თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს. ბოროტმა ენებმა უკვე საყვარლებადაც აქცია ისინი. სინამდვილეში კი მრავალი წლის ესოდენ ერთგულმა და უცვლელმა სიყვარულმა ვერა და ვერ გატეხა სარიტა.

ერთხელ მარიოვამ კალიაოს ბარის იატაკზე დაგდებული ხოაკინი თავის პანსიონში წაიყვანა ქალაქის შუაგულში, დაბანა, პურჭყები და ტალახი მოაშორა, ლოგინში ჩააწვინა და თავისი საიდუმლო გაანდო. მაშინ შეიტყო ხოაკინმა, თურმე ჭერ კიდევ ხულ ნორჩ სარიტას სიყვარულსა თუ ქორწინებაზე ერთხელ უკვე უმტყუნა ბედმა. სარიტამ და მისმა ძმამ (რიჩარდმა ხომ არა?) მომაკვდინებელი ცოდვა ჩაიდინეს (მეხი დაატყდეს და ელვამ დარისხოს მთელი კაცობრიობა!). სარიტა ფეხმძიმედ შეიქნა. იგი მოტყუებით მისთხოვდა ერთ უმაწვილ კაცს. ვისაც აღრე ზედაც არ უუფრებდა (იქნებ წითურა ანტუნესს? ან ლუის მაროკინს?). ცოდვის ნაყოფს დაუძრახველი სახელი და გვარი რომ ჰქონოდა. მაგრამ ბედნიერმა საქმრომ (ეტყობა, იმ წუთს ეშმაკმა კუდი მოიქნია და საქორწინო ღვეზელი ჩააგდო) დროზე იაზრა, რა მახესაც უგებდნენ, და უარი თქვა ეგზომ უოჩალი პატარძლის შერთვაზე, რომელმაც კინალამ სხვისი შვილი შეაჩეჩა. სხვა რა გზა იყო, სარიტამ მუცელი მოიშალა, მიატოვა თავისი დიდგვაროვანი ოჯახი და არისტოკრატიული უბანი, ხელი აიღო გვარზეც, ბელიავისტასა და ლა პერლას შუა მდებარე უშენ მინდორთა მაწანწალა და როგორც გარეგნულად, ისე სახელადაც მარიოვამ გახდა. მას აქეთ შეჰფიცა ღმერთს, რომ მამაკაცს არ გაეკარებოდა და მთელი სიცოცხლე კაცად დარჩებოდა (ოღონდ საიდან მოეტანა მამაკაცური არსი?)

ამ უბედურმა ამბავმა, მკრეხელურმა, ძველთაძველ წესთა და საზოგადოებრივი წნეობის დამრღვევმა და გადამთელავმა, შეუნელა კი არადა, უფრო გაუძლიერა ხოაკინ ინოსტროსა ბელმონტს სიყვარული. ლა პერლას მკვიდრმა ბევრი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა როგორმე დაევიწყებინა მარიოვასთვის ყველაფერი. შეერიგებინა საზოგადოებასა და მამაკაცებთან და ხელახლა ექცია იგი ნაზ, კეკლუც, ენაკვიმატ და „ეშხიან“ ლიმელ ასულად (იქნებ ისეთად, როგორიც დიაცი პერიჩოლა იყო?).

რაც უფრო მეტი სახელითა და დიდებით იმოსებოდა ხოაკინი, რაც უფრო ხშირად იწვევდნენ ლიმასა თუ საზღვარგარეთ საერთაშორისო თამაშების მსაჯად, სამსახურს სთავაზობდნენ მექსიკასა და ბრაზილიაში, კოლუმბიასა და ვენესუელაში (თუმცა მსაჯი ყველაფერზე უარს აცხადებდა მამულის ჭეშმარიტად მოყვარე მეცნიერებით, ნიუ-იორკში უახლესი ელექტროაპარატურით მუშაობაზე რომ არ თანხმდება და უმარტივეს ცდებს აწარმოებს სან-ფერნანდოს ქუჩაზე ჭლეჭიან თეთრ თაგვებზე) — უფრო და უფრო მეტი შეუპოვრობით ცდილობდა იგი ცოდვილი ქალის გულის მონადირებას. ვით ინდიელი აპაშები კოცონის კვამლს მთის წვერებზე, ვით აფრიკელი ტამტამის ნახმევს ჭუნგლებში, ისე ჩასაფრებოდა ხოაკინი თუნდაც შეუმჩნეველ ნიშანს იმისა, სარიტა უანკა სალავერია დამნებდებოდა. კიდევაც მოეჩვენა, რალაცა შევამჩნიეო. ერთ საღამოს, როცა პლას-დე-არმასზე პატარა რესტორან „გაიტში“ ყავა და თაფლის-

კვერები მიირთვებს, სარიტას მარჯვენა ხელი წამით ხელისგულეებში მოიქცია ხო-
აკინმა (მსაჯს ქრონომეტრით უმუშავებდა ტვინი და დროში არ შეცდებოდა).
რამდენიმე ხნის შემდეგ შეჯიბრი შედგა ეროვნულ გუნდსა და კაციმკვლელთა
ხროვას შორის, რომელიღაც გაურკვეველი დასახელების ქვეყნიდან რომ ჩამო-
სულიყვნენ (არგენტინა თუ რაღაც ამდაგვარი). უცხოელ ფეხბურთელები
ლურსმნიანი ბუცებით თამაშობდნენ, სამუხლეები და საბურთავე
ჭქონდათ, ისე რომ, ფეხსამოსიცა და სახვევებიც მოქიშპეთა დასაშავებლად
უფრო იყო გამიზნული, ვინემ თავდასაცავად. ხოაკინ ინოსტროსა ბელმონტმა
ეუორიც არ ათხოვა ჩამოსულთა რწმუნებას (უნდა ითქვას, სრულიად სამართ-
ლიანს), რომ მათ ქვეყანაში ფეხბურთს სწორედ ასე თამაშობდნენ (ეს თამაში
კი არა, ღამის მკვლელობა იყო!). მან ერთმანეთის მიყოლებით გააძევა ყველა
ჩამოსული მოთამაშე, ვინემ პერუელთა გუნდმა არ გაიმარჯვა, ვინაიდან სინამ-
დვილესი მეტოქეც აღარ დარჩა მოედანზე. რა თქმა უნდა, ბრბომ მხრებზე
ატატებული გამოიყვანა მსაჯი. სარიტა უანკა სალავერიამ კი, როცა მარტონი
დარჩნენ, ყელზე მოხვია მკლავები და აკოცა (როგორც მამულიშვილმა თუ
როგორც სპორტსმენმა სპორტსმენს?) ერთხელ ხოაკინი ავად გახდა — სტა-
დიონების ყველაზე საყვარელ მსაჯს ციროში ნელ-ნელა უჭამდა ღვიძლს და
დროდადრო დაუნდობლად შემოუტევდა ხოლმე. მთელი კვირა დაჰყო მან კა-
რიონის საავადმყოფოში. მთელი ეს ხანი სარიტა არ მოშორებია გვერდიდან.
ერთ ღამეს კი საკუთარი თვალით ნახა, რამდენიმე კურცხალი რომ გადმოუ-
გორდა ქალს (მის გამო ხომ არა?). ყოველივე ამან იმედით აღავსო იგი, ახალ-
ახალი საბუთების მოშველიებით ყოველდღე უმტკიცებდა, ცოლად უნდა გა-
მომყვებო, მაგრამ ვაი. რომ ყველაფერი ამაო გამოდგა. სარიტა უანკა სალავერია
ხოაკინის არც ერთ მატჩს არ დაკლებია (კომენტატორები მის ოსტატურ მსა-
ჯობას სიმფონიური ორკესტრის დირიჟორის ოსტატობას აღარებდნენ), საზღ-
ღვარგარეთ თან მიჰყვებოდა და „კოლონიალურ პანსიონშიც“ გადაბარგდა, სა-
დაც ხოაკინი ცხოვრობდა თავის პიანისტ დასა და მოხუც მშობლებთან ერთად.
მაგრამ იმაზე კი ვერა და ვერ დაითანხმა, მათი ძმური სიახლოვე ცოლქმრო-
ბას შეეცვალა. ეჭვმა (ეს ხომ გვირილია, რომლის ფურცლებს გაუთავებლივ
წყვეტს და წყვეტს საბრალო მიჯნური) კიდევ უფრო გაუძლიერა ხოაკინ ინოს-
ტროსა ბელმონტს ალკოჰოლის სიყვარული, ისე რომ, უფრო ხშირად მთვრალს
ნახავდა კაცი, ვინემ ფხიზელს.

ალკოჰოლი „აქილევსის ქუსლად“ იქცა ხოაკინისთვის, იმ დაბრკოლებად,
რამაც — მცოდნეთა თქმით — ხელი შეუშალა ევროპის შეჯიბრებაზე ემსა-
ჯა. მაგრამ რითი უნდა აიხსნას ის ამბავი, რომ კაცი ამდენ სპირტიან სასმელს
სვამდა და იმ ხელობას კი მისდევდა, საოცარი ფიზიკური დაძაბვა რომ სჭირ-
დებოდა? მაგრამ ასე კი იყო (ისტორია აღსავსეა მსგავსი გამოცანებით). მსაჯს
ერთიც იტაცებდა და მეორეც. ხოლო როცა ოცდაათისა გახდა, ამ ორივე გატა-
ცებას ერთდროულად მისდევდა, ანუ მოედანზე გახეთქილი მთვრალი გამო-
დიოდა, ხოლო ბარში კი შეჯიბრებებს ფიქრში მსაჯობდა.

ალკოჰოლმა ვერა ავნო რა ვერც მის ნიჭს, ვერც თვალს, ვერც ავტორი-
ტეტს, ვერა დააკლო რა მის კარიერას. მერე რა, რომ ხანდახან შუა შეჯიბრ-
ზე სლოკინი აუტყდებოდა, ერთხელ კი (ცილისწამება მუდამ გარემოს მომ-
წამვლელია და სიკეთის დამკოდავი). როგორც ამტკიცებებენ, წყურვილმა ისე

შეაწუხა, თითქოს საჭარის უდაბნოში ყოფილიყო, რომელიღაც მოთამაშისაკენ საშველად გაშურებულ ექიმს ბოთლი გამოგლიჯა, რალაც სითხით სავსე, და წყაროს წყალივით გადაყლურწა. მაგრამ ამ ამბებს — ზღაპრებსა და ანეკდოტებს მუდამ ჰყვებიან გენიოსებზე — არ უმოქმედია ხოაკინ ინოსტროსა ბელმონტის ბრწყინვალე კარიერაზე.

ასე და ამგვარად, სტადიონებზე ნიადაგ მჭუხარე ტაშით დაჯილდოებულმა, თუკი გაღეწილი მთვრალი არ იყო, ლოთობდა კი იმიტომ, სინდისის ქენჯნა ჩაეხშო (ეს ხომ იგივეა, ინკვიზიციური მარწუხით ლუკმა-ლუკმა ხორცი გაგლიჯონ ანდა საწამებელი იარაღით ძვლები გადაგიმტვრიონ) და მის მისიონერის სულს, ქეშმარიტი რჯულის მოქადაგეს („იაჰვეს მოწმეთა“ ხომ არა?), სიმშვიდე მოჰფენოდა, რამეთუ ოდესღაც სიჭაბუკის ასაკში ერთ გიჟურ ღამეს ლავიქტორიაში უწლოვანი გაუპატიურა (სარტა უანკა სალავერია?). ასე და ამგვარად მიაღწია ხოაკინ ინოსტროსა ბელმონტმა სიმწიფის ასაკს: ორმოცდაათ წელს. ეს იყო შუბლგანიერი, არწივისცხვირა, თვალბასრი, კეთილზნინი და კეთილმოსურნე მამაკაცი, თავისი საქმის დიდოსტატი.

მოხდა ისე, რომ ღიმა ასპარეზად იქცა ამ საუკუნის ნახევრის უველაზე მნიშვნელოვანი ამბისა ფეხბურთის ისტორიაში: აქ თამაშდებოდა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის ფინალი ფეხბურთში იმ გუნდთა შორს, რომლებმაც შესარჩევ თამაშებისას სამარცხვინოდ დაამარცხეს თავიანთი მეტოქენი. ეს ბოლივიისა და პერუს გუნდები გახლდათ. თუმცა წესის მიხედვით ასეთი შეჯიბრების მსაჯი ნეიტრალური ქვეყნის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო, ორივე გუნდი, მეტადრე ბოლივიისა, თავს იკლავდა (აქ უნდა აღინიშნოს მეზობელი ქვეყნის ზეგნის მცხოვრებთა კეთილშობილება, მათი ანდური სულგრძელობა და იამარ ინდიელთა დარი ღირსება), მსაჯობა ხოაკინ ინოსტროსა ბელმონტს გაეწია. ხოლო რაკი მოთამაშენი. მათ შორის სათადარიგონი და აგრეთვე მწვრთნელები, იმუქრებოდნენ. გავიფიცივებით, თუკი ჩვენს თხოვნას არად ჩააგდებთო, ფედერაცია დათანხმდა და „იაჰვეს“ მოწმეს ნება დართო იმ მატჩზე ემსაჯა, საყოველთაო წინასწარმეტყველებით ეპოქალური რომ იქნებოდა.

იმ კვირა დილას ღიმას თავზე შეურილი ლეგა ღრუბლები გადაიკრიფა. რათა მზის სხივებსა და სითბოს კიდევ უფრო ცხარე გაეხადა სპორტული შეხვედრა. ასობით ადამიანმა მთელი ღამე სიცივეში გაატარა, ბილეთი რომ ეშოვათ, თუმცაღა უველამ იცოდა, ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ უველა ბილეთი გაუიდული იყო. ინათა თუ არა, ეროვნული სტადიონის მიდამოები მაყურებელთა აბობოქრებულმა ნაკადმა გაავსო, ბილეთის ხელზე ყიდვა რომ ეწადათ და მატჩზე დასწრების გამო კაცის კვლაზეც არ დაიხევდნენ. დასაწყისამდე ორი საათით ადრე სტადიონზე ნემსიც არ ჩააგდებოდა. აღმოსავლეთ ტრიბუნაზე დიდი სამხრეთი ქვეყნის (ბოლივიისა ხომ არა?) რამდენიმე ასეული მოქალაქე შეურილიყო, მთებიდან თვითმფრინავებით, მანქანებითა თუ ფეხით ჩამოსულნი ღიმაში. უცხო თუ ადგილობრივ გულშემატკივართა კიყინამ და მისალმებებმა, საწრიპინებელთა წრიპ-წრიპმა გუნდების გამოსვლამდე კიდევ უფრო მეტად დაძაბა უველა.

ზღვა ხალხის შეგროვებამ მთავრობა აიძულა ტრიბუნებსა თუ მინდორზე მოქალაქეთა დასაცავად და მშვიდობიანი თანაარსებობის შესანარჩუნებლად პოლიციის განთქმული ბრიგადა ჩამოეყვანა ღიმაში, რომელმაც ამ დიდებული ამბიდან რამდენიმე თვის წინ სამაგალითო გამირობა, მამაცობა და ვაჟკაცობა

გამოიჩინა და კალიაოს რაიონი ავაჯაკთაგან გაწმინდა. ბრიგადის თვალში, სახელ-
მოხვეჭილი კაპიტანი ლიტუმა — ავაჯაკთა რისხვა — აღელვებული დააბიჯებდა
მოედანზე. სტადიონის შესასვლელ კარსა და ახლომახლო ქუჩაბანდებს უვლიდა
ინის შესამოწმებლად. გუშაგები ადგილზე თუ დგანანო, და მითითებებს აძ-
ლევდ. თავის უოჩალ თანაშემწეს — სერჟანტ ხაიმე კონჩასთან ერთად

დასავლეთ ტრიბუნაზე სარიტა უანკა სალაფერიას გარდაცემული
მუდამ ესწრებოდა მატჩებს, სადაც ხოაკინო მსაჯობდა, იმ თვითმგვემი მსხერპ-
ლის მსგავსად, თავის მწამებელს რომ ვერ შორდება), აღრიალებულ
ბრბოში ჩაქექილი და მსაჯის პირველი დასტვენისას ლამის უკვე გაგუდული,
პატივცემული დონ სებასტიან ბერგუა იჭდა, სამედიცინო საქონლის კომი-
ვოიაჟერმა ლუის მაროკინ ბელმონტმა რომ დანით დაჩეხა და ეს-ესაა წა-
მოდგა სარეცლიდან (ნეტა თვით ლუის მაროკინი ხომ არ იყო ჩრდილოეთ
ტრიბუნაზე საპატიმროს ხელისუფალთა საგანგებო ნებართვით?), კიდევ დონ
სებასტიანის მეუღლე მარგარიტა და მათი ასული როზა, ვირთხათა მთელი
ლაშქრის თავდასხმის შემდეგ თითქმის მთლიანად განკურნებული (ჰოი, ის სა-
ზარელი დღე სელვაში)

უბედურებას არა ნიშანი არ იუწყებოდა. როცა ხოაკინ ინოსტროსამ (ტე-
ლიომ? დელფინმა?) წესის მიხედვით საპატრო ოლიმპიური წრე ჩამოიარა
მქუხარე ტაშის სამადლობელოდ — მოაბიჯებდა ლამაზი, მოხდენილი — და
თამაშის დაწყება სტვენით აუწყა. უფრო მეტიც: ყოველივე წესისა და თავა-
ჯიანობის დაურღვევლად მიდიოდა, რასაც დასტურებდა მოთამაშეთა მოქ-
მელება, ტრიბუნებზე მოწონების მაუწყებელი ტაში, მეკარეთა აქეთ-იქით ხტუ-
ნაობა. პირველი წუთიდან აშკარა გახდა, წინასწარმეტყველება რომ გამართ-
ლდებოდა. თამაში თანაბარი ძალის, მაგრამ კეთილშობილი და საკმაოდ დაძა-
ბული იქნებოდა. ხოაკინ ინოსტროსა (აბრილი ხომ არა?) — აღტყინებული,
როგორც არასდროს — მწვანე მინდორზე დაქროდა, ოღონდ მოთამაშეთ ხელს
არ უშლიდა. და მუდამ ყველაზე ხელსაყრელ ადგილას იყო დარქობილი. მისი
მითითებანი — მკაცრი, მაგრამ სამართლიანი არავის აძლევდა ნებას აზარტას
გამო ასპარეზობა უგვანო ცემა-ტყუპად ექცია. მაგრამ ადამიანის შესაძლებლო-
ბას თავისი საზღვარი აქვს, ისე რომ, ვერც უწმინდესმა „იაჰვეს მოწმემ“ ვერ
შეუშალა ხელი იმას. რაიც ინდიელი ჯადოქრის უმფოთველობითა და ინგლი-
სელის გულცივობით ბედისწერას გადაეწყვიტა.

ეშმაკ თავისი ძალა მეორე ტაშის დროს ამხილა, როცა ანგარიში ერთით
ერთი გახდა. როცა მაყურებლებს ტაშმა ხელისგულები გადაუყვლიფათ, ღრი-
ალმა კი ყურთასმენა წაართვათ. კაპიტანმა ლიტუმამ და სერჟანტმა კონჩამ
კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ყველაფერი რიგზე მიდის — არავინ გაუქურ-
დავთ, არავინ დაუჭრიათ და არც ბაღშვები გაუტაცნიათ. სალამო ჯერ არაფერს
დაუჩრდილავს.

მაგრამ ზუსტად ოთხ საათსა და ოცდაათ წუთზე ათასობით მაყურებელი
არნახულმა და არგაგონილმა ამბავმა შეძრა. უეცრივ სამხრეთ ტრიბუნის შო-
რი კუთხიდან გამხდარი, აწოწილი, კბილებგადმოყრილი ზანგი გამოჩნდა. იგი
მჩატედ გადაახტა ტრიბუნების ირგვლივ შემორტყმულ ბადეს და გაურკვეველი
ღმუილით მინდორზე გაიჭრა. ხალხი მის სიშიშვლეზე მეტად — თემობზე მარ-
ტოოდენ რადაც ჭინჭი უკონწიალებდა, — ამ კაცის იარებით დასერილმა სხე-
ულმა განაცვიფრა. ტრიბუნებზე გუგუნო ატყდა. ყველა მიხვდა: ეს ტატუი-

რებული კაცი მსაჯის მოკვლას აპირებდა. გიგანტი ღმუილ-ღმუილით მიქროდა გულშემატკივართა სათაყვანო კერაისკენ (იქნებ ეს გუმერსინდო ინოსტროსა დელფინი იყო?). თავისი საქმით გატაცებული მსაჯი კი ზანგს ვერ ხედავდა და კვლავაც მატჩს ხელმძღვანელობდა. ვინ იყო ეს მოძალადე, ასე შეუჩერებლივ რომ მიჰქროდა? იქნებ კალიაოში, კაცმა არ იცის, რა გნებოვნებულად მგზავრი იყო, ღამის უარაულმა რომ დააპატიმრა? ის უბედურად დახვრეტაც ხელისუფლების წარმომადგენლებმა თვალის დაუხამხამებლად გადაწყვიტეს და ვისაც უკუნ ღამეში სერუანტმა (კონჩამ?) სიცოცხლე აჩუქა? ამის გამორკვევა არც კაპიტან ლიტუმასა და არც სერუანტ კონჩას აღარ დასცალდათ. კაპიტანი მიხვდა, თუ სასწრაფოდ რამეს არ იღონებს, ეროვნული ფეხბურთის დიდება თავდასხმის მსხვერპლი შეიქნება. ამიტომაც სერუანტს უბრძანა, იმოქმედებო (უნდა ითქვას: უფროსსა და ხელქვეითს შორის ისეთი გაგება სუფევდა, კაპიტნის წარბის ერთი შერხევა კმაროდა). სერუანტი ხაიმე კონჩა არც წამომდგარა, ისე იძრო დამბაჩა. თორმეტივე ტუვიამ, ორმოცდაათი მეტრის გაფრენის შემდეგ, სხვადასხვა ადგილას დაცხრილა ტანშიშველი ზანგი. ასე შეასრულა სერუანტმა ოდესღაც მიღებული ბრძანება (იმ ანდაზისა არ იყოს: „სჯობს გვიან, ვინემ არასდროს“). ვინაიდან ეს მართლაც კალიაოში უბილეთოდ ჩამოპარული მგზავრი იყო!

მაგრამ დაბადებული მკვლელის ტუვიებით დაცხრილულმა სხეულმა — თუმცა ამ რამდენიმე წამის წინ საყოველთაო სიძულვილის საგანი იყო — ბრბოს თვალში მყის უკანონობის მსხვერპლად აქცია ზანგი (ჰოი, კაცთა გაუტანლობავ! ჰოი, კეკლუცთა სიქერქეტევ!), თანაგრძნობით განმსჭვალა და პოლიციის წინააღმდეგ ამხედრა. ცაში ფრინველები გააყრუა მზიან თუ ჩრდილოვან ტრიბუნებზე ატეხილმა აღშფოთებულმა სტვენამ, როცა მიწაზე გაშხლართული ზანგი დაინახეს, თორმეტივე ჭრილობიდან სისხლი თქრიალით რომ სდიოდა. სროლამ დააბნია მოთამაშენი, მაგრამ დიადმა ინოსტროსამ (ტელიეს უნსატეგიმ ხომ არა?) თავის წესს არ უღალატა, ზეიმი არ ჩაშალა, კვლავ ისევე ციბრუტით ტრიალებდა და დახტოდა გვამის გარშემო. სტვენას ახლა უვირილი, კივილი, გინება მოჰყვა. ტრიბუნებიდან ჭრელ-ჭრელი ბალიშების სეტყვა წამოვიდა — პირველი მაუწყებელი მერცხლები იმისა, რა ელოდა კაპიტან ლიტუმას რაზმს. ლიტუმამ იგრძნო, ქარიშხალი ახლოვდება და დაუოვნება არ შეიძლებაო! მან ბრძანება გასცა პოლიციელებს ცრემლსადენი უუმბარები მოემზადებინათ სისხლისღვრის ასაცილებლად. რამდენიმე წამის შემდეგ, როცა მოედნის ირგვლივ რამდენიმე ადგილას მოაჯირები გადათქერეს და კორიდის სისხლჩქროლებული თაყვანისმცემლები გულადად გაექანენ სერუანტისაკენ, კაპიტანმა თავის ხალხს უბრძანა უუმბარები ესროლათ. მისი ვარაუდით ცრემლები და ცხინკვება დააცხრობდა გააფთრებულ მაყურებლებს და, როგორც კი ქარი ქიმიურ ნივთიერებათ განზე გაჭთანტავდა, აჩოს მოედანზე მშვიდობა დაისადგურებდა.

მაგრამ კაპიტან ლიტუმას სულ დაავიწყდა, რომ ორი სათის წინ თვითვე ჩამოაშვებინა რკინის ხარბები და შესასვლელის გადამლობავი მავთულის ბადეები, რა არის უბილეთო გულშემატკივარნი ძალით არ შემოჭრილიყვნენ ტრიბუნებზე — მაისი აღელვებული ბრბოები ჭერაც სტადიონის ირგვლივ დაძრწოდნენ. როცა პოლიციელებმა კაპიტნის ბრძანება ზუსტად შეასრულეს და მაყურებლები ცრემლსადენი უუმბარებით დააჯილდოვეს, როცა მხუთავი

კვამლისა და გაზის სვეტები ხან იქ, ხან აქ ავარდა, ხალხი გასასვლელს მიეტანა. ჭიკავ-ჭიკავით და მუჭლუგუნებით დაეშვნენ ისინი კიბეზე, პირზე ცხვირსახოცებს იფარებდნენ, ცრემლებს იწმენდნენ. უეცრივ ხალხის ტალღა რკინის ხარიხებს მიაწყდა და შედგა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წამით, რომ მერვე უოველი კოლონის მოწინავე რიგებს, უკან მოწოლილების წყაღობით ტანად ქცეულთ, გადაეთქერათ, ჩამოეგლიჯათ, ამოეგდოთ და ლუკმა-ლუკმად დაეღწათ ყველა ღობე.

მდინარე რიმაკის გაღმა-გამოღმა სახლების მცხოვრებთ, ვინც იმ კვირას შემთხვევით მოხვდა ხარების ბრძოლის მოედნის ახლოს, ნაშუადღევის ზუსტად ოთხ საათსა და ოცდაათ წუთზე საოცარი სურათი შეეძლოთ ეხილათ: გამაყრუებელ გრიალში აჩოს ალაყაფის კარი უეცრივ ჩამოინგრა, გაცოფებულმა ბრბომ გახრესილთა სხეულები გამოიტანა, მერვე ზედ გადაუარა და სისხლით შეღებილ გასასვლელებისკენ გაესწრაფა (ტყუილად კი არ უთქვამთ, ბრალი იმისა, ცალად ვინც დადისო). ქვემო ხიდების რაიონში მომხდარი უბედურების პირველ მსხვერპლთა შორის აღმოჩნდნენ პერუში „იაჭვეს მოწმეთა“ სექტის მქადაგებელნი: მოკეგუელი დონ სებასტიან ბერგუა, მისი მეუღლე მარგარიტა და მათი ასული როზა, ჰანგების უბადლო დამკვრელი ფლეიტაზე. ეს დვთისმოსავი ოჯახი იმან დაღუბა, რასაც თითქოს უნდა გადაერჩინა ანუ — სიფრთხილემ. რამეთუ, როგორც კი მოედანზე ის რქოსანი კაციჭამია გამოჩნდა, დონ სებასტიან ბერგუამ წარბები შეჰყარა, თითი ზევით ახწია და თავის ოჯახს უკან დახევა უბრძანა, არა იმიტომ, შეეშინდა, შიში რა იყო, მქადაგებელმა არ იცოდა, დონ სებასტიანმა ხალად განსაჯა: არც თვითონ, არც მისი ახლობლები არამც და არამც არ უნდა გარეულიყვნენ აურზაურში, რათა მტრებს არ ესარგებლათ ამ მიწეზით და ჩირქი არ მოეცხოთ იმისთვის, ვინაც ასე წმინდად სწამდა ბერგუას ოჯახს. ამიტომაც საჩქაროდ გაეცალნენ ტრიბუნას (ბერგუებს ყველაზე იაფფასიანი ადგილები ეკავათ მზიან მხარეზე) და კიბეზე დაეშვნენ. იმავე წუთს გასკდა კიდეც ცრემლსადენი ყუმბარები. სამივენი მეექვსე გასასვლელთან იდგნენ — ნეტარ არს მორწმუნენი — დაშვებული რკინის ხარიხის წინ, როცა უკნიდან ხალხის ღრიალი და გოდება გაიგონეს. ბერგუებმა ვერც მოასწრეს შეუცოდებელ ცოდვათა მონანიება, რომ მყისვე ლუკმა-ლუკმა გაგლეჯილ იქნენ ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით (რად აქციეს ისინი — კაცის ხორცის რაგულ თუ წვნინად?): ჭკუადაკარგულმა ხალხმა სამივე რკინის ხარიხას მიაქყლიტა, მაგრამ ვინემ მის მიერ დაგმობილ იმ ქვეყანას გარდავიდოდა, დონ სებასტიანმა — კერპმა ფანატიკოსმა და ნიჭილისტმა — მაინც იხელთა წამი და შეჰყვირა: „ქრისტემ ხეზე დალია სული და არა ჭვარზე!“

არც იმ აფრაკად მყოფის სიკვდილი იყო მთლად უსამართლო (გამოდგება კია ეს გამოთქმა?), დონ სებასტიან ბერგუა რომ დაჭრა და დონია მარგარიტასა და მის პიანისტ ასულზე ძალა იხმარა. როცა ესე უბედური ამბავი მოხდა, ჭაბუკმა მაროკინ დელფინმა გადაწყვიტა ამ საყოველთაო არეულობით ესარგებლა, ზედამხედველს გაქცეოდა, ციხის მესვეურებმა რომ გამოაყოლეს ისტორიულ კორიდაზე დასასწრებად, ღიმასა და პერუდან საზღვარგარეთ გაპარულიყო და ახალ, დამთხვეულ, დაუნდობელ ცხოვრებას შედგომოდა. მაგრამ ეს ოცნებანი განგების ძალამ ხუთ წუთში გააცამტვერა: მეხუთე გასასვლელთან მაროკინ დელფინს (რა ერქვა: ლუჩო? ესეკიელი?) და ციხის ზედამ-

ხედველ ჩუმპიტას, ხელი რომ ჩაეჭიდა ყმაწვილისთვის, სავალალო პატივი ხვდათ წილად ხარების ბრძოლის გულშემატკივართა პირველ რიგებში მდგარიყვნენ, უკნიდან მოწოლილმა ბრბომ რომ გასრისა (შემდეგ კიდევ კარგა ხანს იხსენებდნენ, როგორ შქონდათ თითები გადაწნული მკვდარ ზედამხედველსა და სამედლიცინო საქონლის კომივოიაჟერს).

სარიტა უანკა ხალავერიას სიკვდილი უფრო ღამაში და არც ისე უგვანო იყო. იგი დაღუპა საბედისწერო შეცდომამ, რამეთუ ძალაუფლების წარმომადგენლებმა მისი საქციელი სწორად ვერ ახსნეს. იმ არეულ-დარეულობაში რქოსანი მკვლეელი და გამსკდარი ყუმბარის კვამლი რომ დაინახა და დაშავებულთა ღრიალი გაიგონა, ტინგომარიელმა ასულმა გადაწყვიტა (როგორც ყოველთვის, გრძნობამ დათრგუნა სიკვდილის შიში), ჩემი ადგილი სატრფოს გვერდითააო. სხვებისგან განსხვავებით იგი არენაზე დაეშვა და ამიტომაც ხალხის ნაკადის მიერ გაქულებტას ასცდა. მაგრამ კაპიტან ლიტუმას არწივის თვალს არ გამოჰპარვია, როგორ მიიჩქაროდა ვიღაც ამ კვამლისა და გაზის ბოლქვებში, როგორ გადაახტა მოაჯირს და ტორეროსკენ გაიქცა (რომელიც, მიუხედავად ამ ამბებისა, ჩაჩოქილი ებრძოდა ხარს). კაპიტნის რწმენით, მისი პირდაპირი მოვალეობა იყო სულის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დაეცვა ტორერო ხალხის თავდასხმისგან. ამიტომაც იშიშვლა დამბაჩა და სამი გასროლით სიცოცხლე მოუსწრაფა და სირბილი შეაწყვეტინა გაძიჩნურებულ დიაცს. სარიტა უსულოდ დაეცა გუმერსინდო ბელმონტის ფერხთა წინაშე.

ამ ჭეშმარიტად ელინური ტრაგედიის უამს მხოლოდ ლა პერლას მკვიდრს ხვდა წილად ბუნებრივი სიკვდილი, თუკი ბუნებრივად ჩაითვლება ამ ჩვენი პროზაული დროებისათვის ეგზომ უჩვეულო ამბავი, როცა კაცს თავის ფერხთა წინაშე მკვდარი სატრფოს ხილვაზე გული გაუსკდება და მოკვდება. იგი სარიტას გვერდით დაეცა — და ასე ერთმანეთს ჩაკონებულნი ბედშავს მიჯნურთა ღამეს შეერწყნენ, ჭეშმარიტ რომეოსა და ჯულიეტას დარად.

ამასობაში წესრიგის დარაჯი — ვისი ნამსახურობის ნუსხას ზადი არ შქონია, დიანაც უნუგეშო დასკვნამდე მივიდა. მისი გამოცდილებისა და ძალისხმევის მიუხედავად არა მარტო დარღვეულ იქნა საზოგადოებრივი წესრიგი, არამედ ხარების საბრძოლო ასპარეზი და ირგვლივ მდებარე არემარეც სასაფლაოდ იქცა. როგორც ბებერი მგელი მეზღვაური თავის ხომალდთან ერთად იძირება ოკეანეში, ასევე კაპიტანმა უკანასკნელი ტყვია შუბლში იხალა და თავის ბიოგრაფიას ასე რიგად ჯვარი დაუსვა (ვაჟკაცურად, თუმცა არც მაინცდამაინც მარჯვედ). მეთაურის დაღუპვამ სულის სიმხნევე დაუკარგათ პოლიციელებს, დაავიწყათ დისციპლინა, მოვალეობა, იმასღა ფიქრობდნენ, პოლიციელის სამოსის ნაცვლად დახოცილთა სამოქალაქო ტანსაცმელი გადაეცვათ და მიმალულიყვნენ. ზოგი კიდევაც მიიმალა, ოღონდ არა ხაიმე კონჩა, რომელიც ცოცხლად დარჩენილებმა ჯერ დაკოდეს და მერე საკუთარ ქამარზე იმ საჩხში ჩამოშკიდეს, საიდანაც ხარები ასპარეზზე გამორბიან ხოლმე. ასე კონწიალობდა ლიმის ცის ქვეშ იხვის ჭუჭულ დონალდის კომიქსების მიამიტი მოყვარული, თავისი ვალის აღმსრულებელი ცენტურიონი. ცა კი (აღბათ თანაგრძნობით) უკვე მოღუშულიყო, ზამთრის გულისწამლები წვიმა უკვე ცრიდა და ცრიდა...

ნუთუ ასეთი დანტესებური ხოცვა-ჟლეტით დამთავრდება ეს ამბავი? იქნებ ფენიქსის (ან კრუხის) დარად კვლავაც აღსდგეს ფერფლიდან, ახალი

ამბავ-შემთხვევებითა და მოქმედი გმირებით გამდიდრებული? რა მოხდება ხარების საბრძოლო არენაზე დატრიალებულ ამ ტრაგედიის შემდგომ?

XVII



დილია ცხრა საათზე უნივერსიტეტის ბაღში ავტობუსზე დავსხედით და ლიმიდან გავემგზავრეთ. ხულიას ბიძაჩემის სახლში უთქვამს, რაღაც-რაღაცება კიდევ დამრჩა საყოფილიო, მეც ჩენი ბებრების სახლიდან ვითომდა რადიოში წამოვედი. ხულია დეიდას ჩანთაში საღამური პერანგი და საცვლები ედო, მე ჩიბეში — კბილის ჯავრისი, სავარცხელი და საპარსი, თუმცა, სულს ცოცვილო და, ეს უკანააქნელი არც მაინცდამაინც მჭირდებოდა.

პასკუალი და ხავიერი უნივერსიტეტის ბაღში გველოდნენ უკვე ნაყოფი ბილეთებით. ბედად, სხვა მგზავრები არ იყვნენ. ჩემი გულისხმიერი მეგობრები მძლოლის გვერდით, წინა სკამებზე დასხდნენ, მე და ხულია დეიდა უკან მოვთავადით. ჭეშმარიტი ზამთრის დღე იყო: ცას თავბირი ჩამოსტიროდა, ამ უღაბნოს კარგა დიდ გზაზე გაუთაებელივ ცრიდა და ცრიდა. თითქმის მთელი გზა მე და ხულია ვნებით ვკოცნიდით ერთმანეთს, ხელიხელჩაკიდებულნი ვიხედით და ძრავას გუგუნში ყურს ვუგდებდით პასკუალისა და ხავიერის საუბარს და მძლოლას მოკლე-მოკლე რეპლიკებს. თორმეტის ნახევარზე უკვე ჩინჩაში ვიყავით. იქ მწეს ყველაფერი გაეკაშკაშებინა, თბილოდა, ცა მოკრიბლებული იყო, ჰაერი კამკამა, ქუჩებში ხალხი ზიმზიმებდა — ყოველივე თიოქოსდა კარგს გვიჭადდა. ხულია დეიდა კმაყოფილი ილიმებოდა.

პასკუალმა და ხავიერმა მუნიციპალიტეტში გასწიეს იმის გასაგებად, ყველაფერი მზად იყო თუ არა, მე და ხულია კი „სამხრეთამერიკულ სასტუმროში“ წავედით ნომრის დასაკავებლად. სასტუმრო ერთსართულიანი ძველი შენობა გამოდგა, ჩისა და ალიზისგან ნაშენი, ფილებით მოგებულ დერეფანს ორივე მხრივ პაწაწა ოთახები მიუყვებოდა, გადახურულ შიდა ეზოში სასადილო იყო მოთავსებული. დახლოან მდგარმა კაცმა საბუთები მოგვთხოვა, ჩემი ჟურნალის-ტის მოწმობა საკმარისად მიიჩნია, მაგრამ როცა ჩემი გვარის გვერდით „მე-უღლითურთ“-მეთქი მივაწერე, ხულია დეიდას დამცინავი მზერა ესროლა, თუმცა არაფერი უთქვამს. ჩვენს ოთახში ამოკარდნილი ფილიდან მიწა ჩანდა. ორსაწოლიან ჩავარდნილ ლოჯინს მწვანეუჭრედებიანი საბანი ეფარა, იდგა ერთი ჩალის სკამი, კედელზე უშველებელი ლურსმნები ერქო — ალბათ ტანსაცმლის ჩამოსაკიდებლად. ზღურბლზე გადაბიჯებისთანავე ფიცხად გადავენვიეთ და მანამდე ვკოცნიდით და ვეფერებოდით ერთმანეთს, ვინემ ხულია დეიდამ ხელი არ მკრა საცილით:

— დაიცა, ჯერ ხელი მოვაწეროთ, ვარჯიტას!

ხულია აღელვებული ჩანდა, თვალები სინარულით უბრწყინავდა. ვიგრძენი, რა ძალიან მიყვარს იგი და რა ბედნიერი ვიქნები, როცა მისი ქმარი გავხდები. ხულია დერეფნის ბოლოს საერთო საპირფარეშოში წავიდა ხელების დასაბანად და თმის დასავარცხნად. მე კი ჩემს თავს შევფიცე, ჩვენი ცოლქმრობა უბედური არ იქნება, სხვა ჩემთვის ცნობილ ქორწინებათა მსგავსად, მუდამ გვეყვარება ერთმანეთი და ქორწინება სულაც არ შემიშლის-მეთქი ხელს

17.9.75

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. საბ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

მწერალი გავხდე. როგორც იქნა, ხულია დეიდა დაბრუნდა და მკლავგაყრილით გავემართეთ მუნიციპალიტეტისაკენ.

პასკუალი და ხავიერი სასადილოს კარებში დაგვხვდნენ, ლიმონათს ყლუპავდნენ. ალკალდი თურმე რაღაცის გახსნაზე წასულიყო, მაგრამ მალე დაბრუნდებოდა. ვკითხე, დარწმუნებული თუ იყვნენ, პასკუალიმ მათთვის შეაღლისას ხელს მოგვაწირინებდა. სიცილი დამაყარეს, ხავიერმა კი მასწარადა: ამაოდო: ეს რა სულწასული სასიძო გვყოლიათ, და თავისი ჭკუით შესაფეროსი ანდაზა ჩააკერა: ცდა ხომ ჭირია და ვისმე დევნა კიდევ უარესიო. დროის მოსაკლავად ოთხივე სასეირნოდ წავედით მთავარი მოედნის მაღალი მუხებისა და ეგვიპტეების ძირას. მოედანზე ბიჭები თამაშობდნენ, მოხუცები ფეხსაცმელს აწმენდინებდნენ, თან ლიმონადს მიღებულ გაზეთებს კითხულობდნენ, ნახევარი საათის შემდეგ ისევ მივაკითხეთ მუნიციპალიტეტს. გაღულმა მდივანმა, უშველებელი სათვალე რომ ეკოსა, ფრიად უსიამო ამბავი გვამცნო: ალკალდი საზეიმო გახსნიდან დაბრუნდა, მაგრამ ახლა რესტორან „ჩინჩას მზეში“ წაბრძანდა სასადილოდო.

— რატომ არ ვააფრთხილეთ, ხულის მოსაწერად რომ ველოდით, — ეტაკა ხავიერი მდივანს.

— ალკალდს ამაღა ახლდა და გასაფრთხილებლად დრო ვერ ვიხელთე, — პერიგად მიუგო მდივანმა, თითქოსდა წესების სწავლებას არავისგან საჭიროებდა.

— წავიდეთ რესტორანში და ალკალდი წამოვიყვანოთ, — დამამშვიდა პასკუალმა. — ასაღელვებელი არაფერია, დონ მარიო.

„ჩინჩას მზეში“ კითხვა-კითხვით მივაგენით. ეს წმინდაწყლის კრიოლური რესტორანი თურმე მოედნის გვერდზე იყო. სამზარეულო დარბაზის ბოლოში ჰქონდა, მაგიდებზე სუფრები არ ეფარა. ქურაში ცეცხლი გიზგიზებდა და იჭაურობას კვამლით ავსებდა. ირგვლივ ქალები ტრიალებდნენ სპილენძის ქვაბებით, ქაფრებითა და სანელებლების ქილებით, რადიოლადან ვალსი გრგვინავდა, ხალხი ბლომად იყო. კარებში შევედით თუ არა, ხულია დეიდამ თქვა, ალკალდს სადილი ვაცალოთო, მაგრამ ამავე წუთს ალკალდმა პასკუალს ჰკიდა თვალი და თვითონ დაუძახა. დავინახეთ, როგორ გადაეხვია „რადიო პანამერიკანის“ საინფორმაციო სამსახურის რედაქტორი ქერათმიან ახალგაზრდას, რომელიც სუფრიდან წამოდგა, სადაც ექვსიოდე ბოთლი კლევრეტი იდგა და ამდენივე ლუდი. პასკუალმა გვანიშნა, ახლოს მოდიოთ.

— მართლა, სულ დამავიწყდა ნეფე-პატარძლის ამბავი! — წამოიძახა ალკალდმა, ხული ჩამოგვართვა და ხულია დეიდა თავით ფეხამდე შეათვალიერა. მერე ლაციციტო მზირალ თავის მხლებლებს მიუბრუნდა და ვალსის გრიალში ხმამაღლა აუწყა: — ეს ორნი ახლახან გამოიპარნენ ლიმონადს და მე უნდა დავაქორწინო.

ატყდა სიცილი და ტაში, ვილაცებმა ხელი გამოგვიწოდეს. ალკალდმა სუფრაზე მიგვიწვია და კიდევ რამდენიმე ბოთლი ლუდი მოატანინა ჩვენი გაბედნიერების სადღეგრძელებლად.

— აბა, აბა, ერთად არ დასხდეთ, მერეც გეყოფათ, — თამამად წარმოთქვა ალკალდმა, ხულია დეიდას ხელი მოკიდა და გვერდზე მოისვა. — პატარძალი აქ, ჩემ გვერდით დაჯდეს, ღვთის მადლით, ჩემი ცოლი აქ არაა.

ალკალდის ამაღა კივიზით მიესალმა ამ სიტყვებს. ყველა ალკალდზე უფ-

როსი იყო, კომერსანტები თუ წვრილი მიწათმფლობელები, მშენებრად ეცვათ და მასავით ნასვამნი ჩანდნენ. ზოგი თურმე პასკუალს იცნობდა. ჰკითხეს, როგორ მოეწყვე ლიმაში და მალე თუ დაუბრუნდები ჩვენს მიწასო. მე მავაღის კუთხეში ვიჯექი, ხავიერის გვერდით, ძალისძალად ვიღიმებოდი, თბილ ლუდს ვყლუპავდი და წუთებს ვითვლიდი. მალე ალკალდსა და მის მგებლებს სულ დავაფიწყდით, ზედაც არ გვიყურებდნენ, ზოილს ბოთლზე ვკვლავს ვიყენებდით. ველგვარი მისაყოლებლის გარეშე, მერე დამუხუფებულ, უმსა თუ მოხარშულ თევზთან ერთად და შემდეგ ისევ საჭმლის გარეშე. ჩვენი ქორწინების ამბაკი კაციშვილს აღარ ახსოვდა. თვალებდაწითლებული პასკუალიც ტკბილ ხმაზე გამღეროდა ალკალდიან ერთად მოდურ სიმღერებს. მთელი სადილის გაყოლებანზე ალკალდი სულ ქათინაურებს ესროდა ხულია დეიდას, ბოლოს მსრებზე ხელია გადახვევა დაუპირა და გაფაყვინებული სიფათი მისკენ დახარა. ხულია ნაძალადევი ღიმილით იშორებდა თავიდან და დროდადრო სასოწარკვეთილი გადმოგვხედავდა.

— იყურე, ძმაო, — მეუბნებოდა ხავიერი, — მარტო ქორწინებაზე იფიქრე, სხვა არაფერზე.

— მე კი მგონია, ქორწინებამ ქირი მოგჭამა, — ვუთხარი ჩემს მეგობარს, როცა ყური მოვკარი, ალკალდმა რომ გიტარა მოითხოვა და ბრძანა, „ჩინჩას მზენი“ აღარავინ შემოეშვათ, ყველამ უნდა ვიცეკვოთო. — ბოლოს კი ალბათ ციხეში ამოვყოფ თავს, ვინაიდან მაგ არამზადას ცხვირ-პირს ამოვუნაყავ.

ისე ვიყავ გაცეცხლებული, მართლა ამოვუნაყავდი ცხვირ-პირს მისი ტუტეცური ქცევისათვის, კიდევ ცოტა რომ მეცლია, მაგრამ ზეზე წამოვიტერი და ხულია დეიდას გამოვუცხადე, წაეიდეთ-მეთქი. ხულია შვებით წამოდგა და არც ალკალდს დაუკავებია, ისევ ხალხურ სიმღერებს მღეროდა. თვალე რომ მოჰკრა, როსტორჩიდან გავდიოდით, როგორც მეჩვენა, დაცინვით გაიღიმა. ჩვენ ფეხდაფეხ მომავალი ხავიერი მარწმუნებდა — ეს მხოლოდ მთვრალი კაცია ღიმილი იყო. „სამხრეთამერიკულ სასტუმროსკენ“ მიმავალი სულ რისხვის ცეცხლს ვაყრიდი პასკუალს ამ სულელური სადილისთვის — თუმცა კაცმა არ იცის, რატომ.

— ნუ ჰირვეულობ პატარა ბაღლივით, ვაეკაცი არ ხარ, — ჩამჩიპინებდა ხავიერი, — ეგ ტიპი ისე გამოსკდა, აღარაფერი ახსოვს. გულს ნუ გაიტეხ, დღესვე დაგაქორწინებთ, სასტუმროში დაუცადეთ, ვინემ თვითონ არ დაგიძახებთ.

მარტო რომ დავრჩით, მე და ხულია დეიდა მყის ერთმანეთს გადავეხვიეთ და რაღაც სასოწარკვეთილებით დავიწყეთ კოცნა, ხმა არ ამოგვიღია, მაგრამ ჩვენი ხელები და ტუჩები მჭევრმეტყველურად მოწმობდა, რა გრძნობებით ვიყავით სავსე. ერთხანს კართან ვიდექით, მერე საწოლს ნელ-ნელა მივუახლოვდით, ჯერ დავსხედით და შემდეგ ასევე ჩახვეულები მივწექით. ბუნდოვანებისა და სურვილისგან თითქმის დაბრმავებული, ჯერ ხარბად და მოუქნელად ვეაღერებოდი ხულია დეიდას კაბის ზემოდან, მერე უკვე დაკმეჭნილი აგურისდერი ზედაწელი გავუხსენი და მკერდზე დაკეაონე. უეცრივ ვიღაცამ მოგვიკაკუნა.

— ყველაფერი მზადაა, ავხორციებო, — მოგვესმა ხავიერის ხმა, — ხუთი წუთის შემდეგ მუნიციპალიტეტში უნდა ვიყოთ. ის ტიპი გვიცდის.

ბედნიერები წამოვხტით საწოლიდან, გაწეწილები და სამოსაჩეჩილნი. აღმურმოდებული ხულია დეიდა კაბას ისწორებდა, მე კი, როგორც პატარაობაში ვიცოდი ხოლმე, თვალები დავხუჭე და შევეცადე ფიქრი განყენებულს და პატივსაცემ საგნებზე გადამეტანა: რიცხვებზე, სამკუთხედებზე, წრეებზე, პეზიასა და დედაზე — რა არის, სურვილი დამეოკებინა, სკანდინავიურულ კერსულაიმ, მერე მე თმა დავივარცხნეთ, სამოსი შევისწორეთ და მუნიციპალიტეტში ლამის აქოშინებულნი მივცვივდით. მდივანმა მაშინვე ალკალდის დიდ კაბინეტში შეგვიყვანა, სადაც საქალაქდევბითა და აღმებით დახერგილ საწერი მაგიდის თავზე სახელმწიფო გერბი ეკიდა, კედლების გასწვრივ კი სასკოლო მერხებივით სკამები ჩამწყვრივებინათ. „ქალაქის მამამ“, უკვე პირდაპანილმა და გონმოსულმა — ღია ქერა თმა ჯერაც სველი ჰქონდა, — მედიდურად დაგვიკრა თავი. ჩვენ წინ ახლა სულ სხვა კაცი იყო, ღირსებითა და საზეიმო ვითარების შეგრძნებით სავსე. მაგიდის აქეთ-იქით ხავიერი და პასკუალი იდგნენ და ეშმაკურად გვიღიმოდნენ.

— აბა დაეიწყეთ, — ბრძანა ალკალდმა (ხმა დალატობდა მხოლოდ, ყრულ, გაუბედავად ლაპარაკობდა, თითქოს სიტყვები სადღაც ყელში ეხირებაო). — მოწმობები გაქვთ?

— თქვენთან გახლავთ, ბატონო ალკალდო, — ფრიად ზრდილად მოახსენა ხავიერმა, — არ გახსოვთ, მე და პასკუალმა პარასკევს მოგართვით, დავიდარაბა რომ აგვეცდინა.

— მშვენიერი მეხსიერება კი გქონია, ძმაო, — ჩახრინწულად ჩაიციხა პასკუალმა, — თვითონ არ გვთხოვე, დამიტოვეთო.

— მაშასადამე, მდივანს ექნება, — დარცხვენით ჩაიბურტყუნა ალკალდმა, პასკუალს უკმაყოფილოდ გახედა და დაიძახა: — მდივანო!

უხმოდ ველოდით, ვინემ უზარმაზარსათვალნი ჩია მდივანი ხულია დეიდას დაბადების მოწმობასა და გაყრის საბუთს მოძებნიდა. ალკალდი ამთქნარებდა და საათს მოუთმენლად დასცქეროდა. მდივანმა, როგორც იქნა, საბუთები შემოიტანა და სიხლით დაუწყო კირკიტი. მერე მაგიდაზე დადო და პირწმინდა მოხელის კილოზე ცივად წაიღიაპარაკა:

— აგერ გახლავთ, ბატონო ალკალდო, როგორც მოგახსენეთ, ყმაწვილის წლოვანება, ცოტა არ იყოს, საჭოჭმანოა.

— თქვენ ვინ გეკითხებათ? — გაიქაჩა პასკუალი მდივნისკენ, თითქოს მისი მოხრჩობა უნდაო.

— მე ჩემს ვალს ვიხდი, — მიუგო კაცუნამ და ალკალდს ჩემზე მოათითა: — ყმაწვილი მხოლოდ თვრამეტისაა და არც იურიდიულად გაფორმებული თანხმობა წარმოადგინა ქორწინებაზე.

— ამისთანა ბაიყუში როგორ ვყავს მდივნად? — იფეთქა პასკუალმა. — რაღას უცდი? გააპანჩურე აქედან და, ვისაც ცოტა რაღაც გაეგება, ის მოიყვანე!

— გაჩუმდი, სასმელი თავში აგივარდა და ვის ეცე, არ იცი, — უთხრა ალკალდმა და თავი მოიფხანა, ეტყობა, დროის გაყვანა უნდოდა, მერე ხელები ვულზე დაიკრიბა და კუშტად მოგვაჩერდა მე და ხულია დეიდას. — მე მზად ვიყავი გაზეთში გამოცხადების გარეშე მომეგვარებინა ყველაფერი და დაგხმარებოდით, მაგრამ საქმე თურმე აახუმრო არ ყოფილა. ძალიან ვწუხვარ.

— რა მოხდა ასეთი? — ვკითხე დაბნეულმა. — განა პარასკევსვე არ იცოდით, რამდენი წლის ვიყავ?

— რას მიედ-მოედებით? — ჩაერია ხავეერი. — ჩვენ ხომ მოვილაპარაკეთ, ყოველგვარი გაწამაწიის გარეშე რომ დააქორწინებდით.

— თქვენ გინდათ კანონი დავარდვიო? — აღშფოთდა მარტინი მწიწკი ალკალდი და წყენით დასძინა: — ან რატომ მიყვირით, წესიერი ხალხის ყვირილის გარეშეც შეიძლება შეთანხმდეს.

— ხომ არ ვააფრინე, ძმაო. — ღრიალებდა პასკუალი და მაგიდას მუშტებს უბრაგუნებდა. — ხომ იცოდით მისი წლოვანება, ხომ თქვი, ამას მნიშვნელობა არა აქვსო, არ მოთხრა ახლა, არ მახსოვსო, და ნურც კანონის დამცველად იკატუნებ ჩვენთან თავს, ახლავე დააქორწინე და მორჩი ამ სულელურ წარმოდგენას.

— აქ ქალი გვესწრება და ხეპრულად მუ იქცევი. შენი დათრობა, ხომ ხედავ, არ შეიძლება, მაშინვე ჭკუას კარგავ. — დინჯად უთხრა ალკალდმა და მდივანს ანიშნა, გადიო, როცა მარტონი დავრჩით, ხმას დაუწია და შეთქმულივით გაგვიდიმა: — ნუთუ ვერ მიხვდით, ევ კაცი ჩემი მტრების მოგზავნილია! უკვე ველარ დაგაქორწინებთ, რაღაც ყველაფერი იცის, იმისთანა ამბავში გამხვევს, მტრისას.

ვერა! საბუთმა და რწმუნებამ ვერ გასჭრა ალკალდზე. ვეფიცებოდი, ჩემი მშობლები შეერთებულ შტატებში ცხოვრობენ და იურიდიული ნებართვა იმიტომ ვერ წარმოვადგინე-მეთქი, ჩვენი სანათესაოვოდან კაციშვილი არ ატებს აურხაურს ამ ქორწინების გამო-მეთქი, როგორც კი ხელს მოვაწერთ, მე და ხულია დეიდა მაშინვე სახლვარგარეთ გავემგზავრებით და არასოდეს არ დავბრუნდებით-მეთქი.

— ჩვენ ხომ მოვილაპარაკეთ, გაგონილა ასე ღორულად მოქცევა?! — გაიძახოდა ხავეერი.

— ნუ მაძაძაღლობ, ძმაო! — სახელოზე ექაჩებოდა პასკუალი ალკალდს. — ვერ ხედავ, ხალხი ლიმიდან ჩამოვსულვართ ამისთვის!

— დაწყნარდი, აქ ბაზარი ნუ გამიმართე! ისეთი რაღაც მომიფიქრდა, ყველაფერი კარგად იქნება! — თქვა ბოლოს ალკალდმა, წამოდგა და თვალის ჩაგვიკრა: — დიახ, დიახ, ტამბო დე მორა! ახლავე იქ გავემგზავრეთ და მარტინ შეთევსეს მიაკითხეთ ჩემი სახელით. მარტინ ნეთევზე მულატია და ჩინებელი კაციც. სიამოვნებით დავაქორწინებთ! ასე აჯობებს, ის ერთი პატარა სოფელია და აურხაური არ ატყდება. დიახ, დიახ, ალკალდი მარტინი! მიეცით ცოტა ფული და საქმეც გაიხარხება კითხვა თითქმის არ იცის და მავ თქვენს მოწმობებს ხედავ არ დახედავ.

ბევრი ვებვეწე და ვეშუღარე, თვითონაც წამოგვყოლოდა, მაგრამ ვერც ლიქნმა, ვერც მუღარამ მასზე ვერ გასჭრა. თურმე ვიღაც-ვიღაცებს უნდა შეხვედროდა, ვერც სამუშაოს მიატოვებდა და თან ოჯახიც მიელოდა. ალკალდმა კარამდე მიგვაცილა და დაგვარწმუნა, ტამბო დე მორაში თვალის დახამხამებაში გავვაჭავთ საქმესო.

მუნიციპალიტეტია ალაყაფის კართან დავიქირავეთ ძველი ძარადაპაჩინკებული ტაქსი და ტამბო დე მორასკენ გავეშურეთ. ხავეერი და პასკუალი მთელი გზა ალკალდს ჭორავდნენ: ხავეერი გაიძახოდა, ჩემს სიცოცხლეში მსგავსი ცინიკოსი არ შემხვედრიაო, პასკუალი კი ცდილობდა ყველაფერი მდივანის-

თვის გადაებრალეზინა. მოულოდნელად საუბარში მძლოლიც ჩაერია და თავის მხრივ კარგად შეამყო „ქალაქის მამა“, იფიცებოდა, მოგებისა და თავისი საყვარლების გარდა არაფერი ახსოვსო. მე და ხულია დეიდა კი კვლავ ხელეზგადაწნული ვისხედით, ერთმანეთს შევციცინებდით და დროდადრო ყურში ჩავჩურჩულვდით, მიყვარხარ-მეთქი.

შეზინდებულზე ჩავედით ტამბო დე მორაში. მზის ცეცხლსკრები ბურთი ზღვაში ნელ-ნელა იძირებოდა. მოკრიალებული ცა უკვე ვარსკვლავებს მოეკნნება. შემოვირბინეთ ლელისა და თიხისგან შეგლესილი ორი ათეული ქოხი — ანუ მთელი დაბა — ვიპროშიალეთ ნავეზსა და მარგილებზე დასაკემსად გაფენილ ბადეებს შორის, სადაც ნედლი თევზისა და ზღვის სუნი იდგა. უკან მოგვდევდა ნახევრად ტიტლიკანა ზანგი გოგო-ბიჭების ბრბო იმის გააგებად — ვინა ვართ, საიდან და რის ყიდვას ვაპირებთ. ბოლოს ერთი ვაივაგლახით მივაგენით ალკალდის პატარა სახლს. მისმა ზანგმა ცოლმა, კერიაში ცეცხლს გასაჩაღებლად ჩაღის მარაოს რომ უნიავებდა, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და გვამცნო, ჩემი ქმარი სათევზაოდ გახლავთ წასულიო. მერე ვარსკვლავებს ახედა და დასძინა: თუმცა სადაცაა დაბრუნდებო. გადავწყვიტეთ ნაპირზე დავლოდებოდით. თითქმის მთელი საათი ვისხედით წაქცეულ ხეზე და ვუყურებდით, როგორ ბრუნდებოდნენ მთელი დღე ზღვაში გასულ მეთევზეთა ყარჭაპები, რა ვაჭირვებით მოათრევდნენ ნავეზს აილაზე, როგორ ეხვეოდნენ მშვიერი ძაღლები ქალებს, რომლებიც აქვე, ნაპირზე მარჯვედ აცლიდნენ თავებსა და შიგნავდნენ ვეებერთელა თევზებს. ყველაზე ბოლოს მარტინი დაბრუნდა. კარგა ბნელოდა და მთვარეც ამოსულიყო.

მარტინი უზარმაზარფაშვიანი ქალარა ზანგი აღმოჩნდა, ოხუნჯი და ლაზ-დანდარა, სიგრილის მიუხედავად ტანზე მიწებებული სველი შარვლის ამარა იყო. ისე მივეზარეთ, თითქოს ღმერთს მოველინა მხსნელად ჩვენთვის. მივეშველეთ ნავის გამოთრევაში და მერე ქოხისკენ გავყევით. მეთევზეთა ქოხმახებში (არც ერთს კარი არ ჰქონდა) მოგიზგიზე კერების ალი გვინათებდა გზას. ვუამბეთ მარტინს, რისთვისაც ვიყავით ჩამოსულნი. მან ცხენივით კბილები გადმოყარა და აროხროხდა.

— არც მთხოვოთ, მეგობრებო! სხვა ბრაცვს შეაწვევინეთ ეგ სუკი! — გვითხრა ალკალდმა წამდერებით. — ერთხელ კინალამ შუბლში მახალეს ტყვია მაგისტანა თინის გავსო.

თურმე ამ რამდენიმე კვირის წინ ჩინჩის ალკალდის თხოვნით ერთ ქალ-ვაეს მოაწერინა ხელი გაზეთში გამოუცხადებლიად. ოთხი დღის შემდეგ კი „პატარძლის“ ქმარი დაადგა თავზე. „გოგო სოფელ კაჩიჩედან იყო, სადაც ქალები დამ-ლამობით ცოცხებით დაჭენაობენ“. — გვიყვებოდა ალკალდი. გოგო კი ორი წელია გათხოვილი ყოფილა. ქმარი „მაქანკალს“ დაემუქრა, ტყვიით გაგაგორებ, ამ ორი მრუშის დაქორწინება რომ გაბედო.

— ჩემმა ჩინჩელმა კოლეგამ ყველაფერი იცის, იმისთანა ეშმაკია, მიწაში რაა, იმასაც ხედავს. — როხროხებდა ზანგი და ოფლით დაცვარულ ვეება ფაშვზე ხელებს იტყაპუნებდა, — როგორც კი რამე აუშკავდება, მაშინვე მე-ოვეზე მარტინს გადმოულოცავს, დაე ზანგმა აგოს პასუხიო. ჰო, ჰო, რა თაღლითი ვინშეა!

მისი დაყოლიება ვერა და ვერ მოვახერხეთ, ჩვენს მოწმობებს ზედაც არ დახედა, ჩემი, ხავიერისა და პასკუალის ფიცსა და მტკიცებას (ხულია დეიდა

უხმოდ იდგა, მხოლოდ ხანდახან თუ ძალიაძალიად გაიღიმებდა ზანგის შესა-
შურ იუმორულ ნიჭზე) მასხრობაში ატარებდა, ჩინჩელ ალკალდს ასაკილოდ
იღებდა ან ისევ ზვიზვინით გვიყვებოდა თავიდან, ერთმა ქმარმა კინადამ რომ
მოჰკლა იმის გამო, როცა კაჩიჩელ კუდიანს სხვასთან მოაწერინა ხელი, თუმცა
კანონიერი ქმარი ცოცხალი და საღსალამათი ჰყავდა. სრულიად მითქმუნდა ქალად
ალკალდის ცოლმა დაგვიჭირა მხარი, როცა მისი ქმარი ხელსუფალს და გმირ
მკერდს იმშრალებდა, მაღიანად იყნოსავდა ათუხთუხებულ ქვაბიდან ამოსულ
სურნელს და თან უაშბობდა, რისთვისაც ვიყავით ჩამოსულნი.

— ადექი და ხელი მოაწერინე, ზანგო, ნუ გააჭირე საქმე, — უთხრა
ქალმა და თანაგრძნობით მიათითა ხულია დეიდაზე. — ვერ ხედავ ამ საწყალს,
როგორ იტანჯება! ქალი მოიტაცეს, ხელს კი ვერ აწერს! შენ რა? თავში ხომ არ
აგვივარდა ალკალდობა?

მარტინი კი დააბიჯებდა სობანეზე თავისი ოთხკუთხა ტერფებით და ჭი-
ქებსა და ფიალებს ბოჭავდა. ჩვენ ისევ და ისევ ვებვეწებოდით, ვპირდებოდით,
რომ საუკუნოდ მაღლიერნი დავრჩებით მისი, რომ იმდენ ფულს მივცემო.
მთელი დღეები გადაბმულად რომ ითევზაოს, მაინც ვერ აიღება. მაგრამ არა-
ფერმა გაჭრა. ბოლოს მარტინმა ცოლს შეუტია, რაც შენი საქმე არაა, იქ ნუ
ეჩრებიო, მაგრამ წუთია შემდეგ ისევ კარგ გუნებაზე დადგა, ყველას ჭიქა
თუ სასმისი ჩამოგვირიგა და პისკო დაგვისხა.

— ეს იმიტომ, სულ მთლად ხახამშრალეები არ დარჩეთ, — დაგვანუგეშა
დაცინვის გარეშე და ჭიქა ასწია. თუ ჩვენს ამბავს ვიგულისხმებდით, მისი
სადღეგრძელო საბედისწეროდ უღერდა: — მამ ნეტე-პატარძალი კარგად გვიმ-
ყოფოს და გვიბედნიეროს ღმერთმა!

დამშვიდობებისას კი გვითხრა: ტამბო დე მორაში თქვენი ჩამოსვლა შეც-
დომა იყო, ვინაიდან აქ ამ ცოტა ხნის წინ იმ კაჩიჩელი დიაცის გამო დიდი
აურზაური ატყდა. ქვემო ჩინჩაში უნდა წასულიყავით, ელ კარმენის, სუნამპას
ან სან-პედროს სოფლებში, იქ ყველგან ხელდახელ დაგაქორწინებდნენო.

— ყველა იქაური ალკალდი გაიძვერა და მუქთახორაა, ქორწილი მუ-
ღამ უხარიათ, გამოთვრებიან და იმიტომ, — ნოგვაყოლა მან უკან.

სიტყვა არ დაგვიძრავს, ისე გავბრუნდით ტაქსისაკენ. მძლოლმა გამოგვი-
ცხადა, რახან ამდენი მაცდევიანეთ, გასამრჯელოზე ხელახლა უნდა მოვილაპა-
რაკოთო. გზაში შევთანხმდით, რომ ზვალ უთენია გავემგზავრებოდით დაბებსა
და სოფლებში, ვინემ რომელიმე წყვეულ ალკალდს გულუხვი გასამრჯელოთი
არ მოვისყიდდით.

— ახლა თითქმის ცხრა საათია, — უცებ წაილაპარაკა ხულია დეიდამ, —
ალბათ ჩემს დას უკვე აცნობეს, არა?

დიდ პაბლიტოსთვის დაბარებული მქონდა და დასაზეპირებლად რამდენ-
ჯერმეც გავამეორებინე, რა უნდა ეთქვა ძია ლუჩოსა თუ ოლგა ძალოსთვის,
რომ უფრო სარწმუნო ყოფილიყო. ქალაქის ფურცელზეც დავუწერე: „მა-
რიომ და ხულიამ ხელი მოაწერეს. მათზე ნუ იღარდებთ. კარგად არიან, ლი-
მაში რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდებიან“. დიდ პაბლიტოს ზუსტად სა-
ღამოს ცხრაზე უნდა დაერეკა ავტომატიდან, ჩემი დანაბარები გადაეცა და მა-
შინვე ჩამოეკიდა ყურმილი. ასანთის შუქზე საათს დავხედე: კი, სანათესავოს
უკვე ყველაფერი ეცოდინებოდა.

— საწყალ ნანსის ალბათ სული ამოხადეს შეკითხვებით. — თქვა ხული-

ამ უდარდელად, თითქოს ლაპარაკი სხვა ვინმეზე იყო. — იციან, რომ ჩვენი საქმის მონაწილეა. შავ დღეს დააყრიან საცოდავს.

ჯიუჯიუით მირაზრაბებდა სოფლის გზებზე ჩვენი ადამიანდელი ტაქსი, ყველა ქანჩსა და ჭანჭიკს უღრიალი გაუდიოდა. სულ გვეშინოდა, სადმე არ გაჩხერილიყო. მთვარე ნაზად ანათებდა ქვიშის დიუნებს, შეგადავიფიქრე შავად ჩანდა პალმის, ლედვის და აკაციის ხეები. უთვალავ ვარსკვლავს მივხედავთ ცა.

— მოკლედ, შენს მამიკოს ალბათ უკვე ყველაფერი ჩაუტაკლეს, როგორც კი თვითმფრინავიდან ჩამოდგა ფეხი, — წარმოთქვა ხავიერმა. — კაი შენვედრა ექნებოდა!

— ღმერთმანი, ალკალდს უთუოდ გამოვძებნით, — მიატანა პასკუალმა. — ჩინჩელი არ ვიყო, თუ ხვალ ამ მიწაზე არ დაგაქორწინოთ. ვაჟკაცური სიტყვა მომიცია.

— თქვენ ისეთი ალკალდი გნებავთ, ხელს რომ მოგაწერინებთ? — ჩავვერია ანაზდად მძლოლი. — სენიორიტა მოიტაცეთ? აქამდე რატომ არა თქვით?! ტყუილად არ მენდეთ! გროსიო პრადოში წაგიყვანდით, იქაური ალკალდი ჩემი ნათლიმამაა და ხელს იქვე მოგაწერინებდათ.

ვთხოვე, გროსიო პრადოში ახლავე წავეყვანეთ, მაგრამ მძლოლმა ცივი წყალი გადამასხა: ამ დროს ალკალდს სოფელში რა უნდა, თავის ნაკვეთზე მიდის ხოლმე, გზას კი ერთი საათი უნდება ვირითო. აჯობს ხვალემდე დავიცადოთო. შევთანხმდით, რომ ტაქსის მძლოლი დილის რვა საათზე გამოგვივლიდა. დავპირდი, გულუხვად დაგასაჩუქრებ, თუკი ხვალ დაგვეხმარები-მეთქი შენი ნათლიმამის დაყოლიებაზე.

— მაგას რა ლაპარაკი უნდა! — გაგვამხნევა მძლოლმა. — ბეატა მელჩორიტაში მოაწერთ ხელს.

„სამხრეთამერიკულ სასტუმროში“ სასადილოს უკვე კეტავდნენ, მაგრამ ხავიერმა ოფიციალტი დაიყოლია ჩვენთვის საუზმე გაემზადებინა.

თითქმის არ მივკარებდით კოკა-კოლასა და ტაფამწვარს გაცხელებული ბრინჯით. ანაზდად აღმოვაჩინეთ, რომ ყველანი შეთქმულებივით ვჩურჩულებთ და გულიანად ვიცინით. სასადილოდან გამოსულთ (პასკუალი და ხავიერი იმავე დღეს ლიმაში აპირებდნენ დაბრუნებას, მაგრამ ვითარების შეცვლის გამო სასტუმროში დარჩნენ და ფულის დასაზოგად ერთი ნომერი აიღეს) დერეფანში ვილაცები შემოგვეფეთნენ. ზოგს საცხენოსნო წალები და შარვლები ეცვა და ხმამაღლა თხოულობდნენ, ლუდი მოგვიტანეთო. ჩვენი ოთახიდან გვესმოდა ლოთების ღრიალი, ქიქების ჭახატუხი, ბეპრული ოხუნჯობანი და სადღეგრძელოები, მოგვიანებით კი — მათი რწყევა და მოსასაქმებლად სირბილი. აი, რა მუსიკის ხმებზე გავატარეთ ჩვენი საქორწინო ღამე. და თუმცა მუნიციპალიტეტში ბედმა გვიმტყუნა, ეს ღამე მაინც მშვენიერი იყო. ძველი საწოლი, რწყილების ეს საბუდარი, სულ კატასავით კნაოდა და კუთავდა, როცა ვკოცნიდით და ენბევოდით ერთმანეთს ახალი და ახალი ვნების კვებლით. ჩვენი ხელები და ტუჩები ერთმანეთია შეცნობას, ერთმანეთით ტკობას ეჩვეოდა. სულ ვიმეორებდით, რომ ერთმანეთი გვიყვარს, რომ არასოდეს მოვატყუებთ ერთმანეთს და არც არაადროს დავშორდებოდით. კარზე რომ მოგვიკაკუნეს. — ნათხოვნი გექონდა, შეიდ საათზე გაგვალტყიდეთ-მეთქი — ლოთები ის იყო მიწყნარდნენ. ჩვენ კი ჯერაც თვალი არ მოგვეხუჭა, ჩახუტე-

ბულნი ვიწექით მწვანეუჯრედებიან საბანზე და, ნეტარებით გათანგულნი, მადლიერებით შევცქეროდით ერთმანეთს.

მართლა გმირობა გამოდგა სასტუმროს საერთო საპირფარეშოში ტანის დაბანა. შხაპი, მგონი, თავის დღეში არავის უხმარია. დაჯანგული მილიდან წყალი ყოველი მხრივ ასხამდა, ოღონდ იქ არა, სადაც გინდოდა. სუფთა წყლის წამოსვლამდე ჯერ ყანგიან წუმპეში ამოვითხვარეთ. ტანის ჯემრებით შევიმშრალეთ, ვინაიდან პირსახოცის ნაცვლად ტურტლიანი მჩვარი ეკიდა. მაგრამ ბედნიერებისაგან აღგზნებულთ ყველა ეს უკულმართობა მხოლოდ გეამხიარულებდა. სასადილოში ხავეერი და პასკუალი გველოდებოდნენ. ამ მძიმე ღამის მერე ფერდაკარგულნი ჩანდნენ. ზიზლით უყურებდნენ, წუხანდელ ქეიფს რად ექცია სასადილო. ჭიქის ნამსხვრევებს, ნამწვებს, ნარწყევს, ნაპურჭყევს მოეფინა იქაურობა და საშინლად ჰყარდა. სასტუმროს მსახური კი სველ ნახერხს აყრიდა ზემოდან ახლა. რძიანი ყავის დასალევედ პატარა ყავახანას მივღაშურეთ, საიდანაც მოედანი და ტოტებგაშლილი მაღალი ხეები ჩანდა. ნიადაგ ნისლიანი ლიმის შემდეგ ეს უხვად მოკაშკაშე მზე და კრიალა ცა უცხოდ გვეჩვენა. მძლოლი უკვე სასტუმროში გველოდა.

გროსიო პრადოს მტვრიანი გზა ვენახებსა და ბამბის ყანებს მიუყვებოდა. უდაბნოს მიღმა დასალიერზე მურა ფერის კორდელიერები ამართულიყო, მძლოლი ენაგაუჩერებლივ ლაქლაქებდა ყოვლად წმინდა მელჩორიტაზე (თუმცა ჩვენ ჯიუტად ვღუშდით). თურმე ეს მელჩორიტა, რომლის საპატიოდ მოენათლათ სოფელი, რაც რამ გააჩნდა, ყველაფერს ღარიბებს ურიგებდა, სნეულებსა და მოხუცებს უვლიდა, ტანჯულთ ნუგეშინს სცემდა. სიცოცხლეშივე ისე გავითქვა სახელი, დეპარტამენტის ყველა სოფლიდან მლოცველები დასადა ჩამოდოდნენ მასთან. მელჩორიტა იყო მწე და მხსნელი ყველა უიმედო, სასიკვდილოდ გადადებული ავადმყოფისა, ესაუბრებოდა წმინდა სულებს, მას რომ ეცხადებოდნენ, ნანახი ჰყავდა თვით უფალი ღმერთი და ვარდს ქვაზედაც კი ახარებდა.

— მას უფრო მეტ თაყვანს სცემს ხალხი, ვინემ უმაელ წმინდან ღიაცს თუ ლურენელ წმინდან კაცს. ერთი განახათ, რამდენი ხალხი მიდის მის სამლოცველოში და რამდენი მიჰყვება უკან, როცა მის ხატს გამოასვენებენ, — ჭაქანებდა მძლოლი. — საცა სამართალია, წმინდანად უნდა შერაცხონ. თქვენ ხომ ღიმაში ცხოვრობთ, ბარემ იზრუნეთ და დააჩქარეთ მისი წმინდანად შერაცხვა. მერწმუნეთ, ამაზე მეტ სიკეთეს ვერც გააკეთებთ.

თავით ფეხამდე დამტვერილებმა, როგორც იქნა, მივალწიეთ გროსიო პრადოს განიერ, ოთხკუთხა მოტიტვლებულ მოედანს. იქ დავრწმუნდით, რა დიდი სახელი ჰქონია ყოვლად წმინდა მელჩორიტას. ერთი ვნიასითა და ხელების ქნევით დაეხვია ჩვენს მანქანას ასობით გოგო-ბიჭი და ქალი, ჩაგვაცივდნენ, სამლოცველოსა და იმ სახლს გაჩვენებთ, სადაც დაიბადა მელჩორიტა, სადაც იგვემდა თავს, ახდენდა სასწაულებს და სადაც დასაფლავებულ იქნაო. შემოგვთავაზეს მიაი ხატები, ლოცვების ფურცლები, კრიალოსნები და მედალიონები, სადაც იგი ეხატა. ძლივს მოგვაშორა ისინი მძლოლმა, არწმუნებდა. ესენი არც პილიგრიმები არიან და არც ტურისტებიო.

მუნიციპალიტეტის რკინისსახურავიანი პატარა, ჩამოცრცნილი შენობა მოედნის კიდეზე მიუყუდიყო. იგი დაკეტილი აღმოჩნდა. ალკალდიასთან ჩრდილში მოვიკალათეთ. სწორი ქუჩების ბოლოში; ჩვენ-

გან ორმოცდაათიოდე მეტრის დაშორებით, სადაც ჩია სახლები და ლელის ქობ-
მახები თავდებოდა, მინდვრები და უდაბნო იწყებოდა. ხულია დეიდა გვერდით
მეჯდა, თავი ჩემს მხარზე ჩამოედო და თვალები დაეხუჭა. ასე ვისხედით ნა-
ხევარი საათი და ვუყურებდით ქვეითად თუ ზეითად მომავალ ვეფრების გამ-
რეკთ, წყლის მოსატანად დღეზე გაშურებულ ქალებს, ~~რომლებიც მათვე მო-~~
სახვევში მიედინებოდა. ბოლოს ცხენზე შემჯდარი მოხუცი გამოჩნდა.

— დონ ხასინტოს ელით? — მოიხადა მან უზარმაზარი ჩალის ქუდი. —
იქაში წავიდა. პრეფექტს უნდა მოელაპარაკოს და თავისი ბიჭი გამოიხსნას ყა-
ზარმიდან. ჯარში უკრეს თავი. საღამომდე არ დაბრუნდება.

მძლოლი გვარწმუნებდა, დავიცადოთ, მანამდე კი გროსიო პრადოს ღირს-
შესანიშნაობანი დავათვალიეროთ, რაც მელჩორიტას სახელთანაა დაკავშირე-
ბულიო. მაგრამ მე გადავწყვიტე სხვა სოფლებშიაც მეცადა ბედი — დიდი და-
ვა-კამათის შემდეგ, როგორც იყო, მძლოლი დავიყოლიეთ ნაშუადღევამდე ვე-
ტარებინეთ.

დილის ცხრა საათი იქნებოდა, როცა ხელახლა გზას გავუდექით. მძლოლ-
მა თითქმის მთელი ჩინჩას პროვინცია შემოგვატარა. მოვხობავდით იმ ბილი-
კებზე, სადაც მარტო ვირი თუ გაივლიდა, დიდხნობით ვყურყუტებდით ხოლ-
მე იქ, სადაც გზაზე დიუნები ჩამომზღვლეულიყო. მიუყუებოდით სანაპიროს,
ვეხუტებოდით კორდელიერების ძირს. პატარა ელ კარმენში შესვლისას მძლოლს
საბურავი გაუსკდა, არადა, დომკრატი არ ჰქონდა. პოდა, ვინემ ბორბალს გა-
მოცვლიდა, მანქანას ჩვენ ვექაჩებოდით. ათი საათისთვის მზემ ისე დააცხუნა,
სულ თავბედი გვაწყევლინა: ძარა გავარვარდა, ოფლი ხვითქად გადაგვდიოდა,
თითქოსდა თურქულ აბანოში ვყოფილიყავით. რადიატორი აღუღდა და მის
გასაგრილებლად წყლიან ბიდონს თან დავათრევდით.

მოველაპარაკეთ რაიონის სამ თუ ოთხ ალკალდს, ამდენივე სოფლის ალ-
კალდის თანაშემწეს — ზოგ სოფელში ბშირად ოც ქობზე მეტი არც იყო.
ყველა ესენი მიწის მუშები იყვნენ და ხან ყანაში უნდა გვეძია ისინი, სადაც
თავიანთ მიწის ნაკვეთს ამუშავებდნენ, ხან დუქანში, სადაც მცხოვრებლები
ზეითუნის ზეთსა და სიგარეტებს ყიდულობდნენ. ერთ-ერთი მათგანი — სუ-
ნამპას პატრონი — რის ვაივავლახით ამოვათრიეთ ლაფაროდან, სადაც ნაქე-
ფარზე გამოსაძინებლად ჩაწოლილიყო. როგორც კი მუნიციპალიტეტის ხელი-
სუფალთა ადგილსამყოფელს აღმოვაჩენდით, ტაქსიდან გადმოვიდოდით, წავი-
ყოლიებდი ხან პასკუალს, ხან მძლოლს, ხან ხავიერს (გამოცდილებამ დაგვიმ-
ტკიცა, რაც უფრო მეტნი ვიყავით, მით მეტი შიში იტანდა ალკალდს) და
ახსნა-განმარტებას ვიწყებდი. რა საბუთებიც არ უნდა მომეყვანა, გლები იყო,
მეთევზე თუ მედუქნე (ქვემო ჩინჩას ალკალდმა „ექიმბაშადაც“ გაგვაცნო
თავი), სახეზე მყის უნდობლობა, თვალებში კი შეშფოთება ეხატებოდა. მარ-
ტო ორმა პირდაპირ და გულახდილად გეტკიცა უარი: ზემო ლარანის ალკალდ-
მა (ვინემ მე საქმის არსს ვუხსნიდი, ბერიკაცი თავის ვირებს სამყურათი ტვირ-
თავდა) ასე გვითხრა, მხოლოდ ჩემი სოფლის მცხოვრებთ ვაქორწინებო, ხო-
ლო სან-ხუან დე იანაკის ალკალდს, მულატ გლებს, ჩვენს დანახვაზე შიშით
კინალამ გული გაუსკდა, ასე ეგონა, პოლიცია დამეცა, რალაცაზე პასუხი უნდა
მაგებინონო. მაგრამ რომ გაიგო, რაც გვინდოდა, შემოგვწყრა კიდევ: „არა და
არა! მართლა შავად გქონიათ თეთრებს საქმე, ამ ღვთისგან დავიწყებულ სო-
ფელში დასაქორწინებლად რომ ჩამოსულხართ“. სხვა ადგილებშიც ასევე ვაგ-

ვაწბილეს. მეტწილად იმას იმიზეზებდნენ, ქორწინების სარეგისტრაციო დავ-
თარი დაგვეკარგა ანდა მთლიანად შეივსო და, ვინემ ჩინჩიდან ახალს არ გამოვ-
ზავნიან, მუნიციპალიტეტს არც დაბადების, არც სიკვდილისა და არც ქორწინე-
ბის დამოწმება არ შეუძლიათ. ყველაზე დიდი ჭკუის კოლოფი ჩავიწვინე ალ-
კალდი გამოდგა, გვითხრა: სად მცალია თქვენი ქორწინების დამოწმების
მელია შემოეჩვია, ყოველდამ ორ-სამ ქათამს იპარავს, უნდა მივკვლიო და
მოვკლაო.

პუებლო ნუეგოში ლამის იყო ბედმა გავკვიდიმა. ალკალდმა ყურადღებით
მოგვისმინა, დასტური განგვიცხადა და თქვა, ქორწინების რეგისტრაცია გა-
ზეთში გამოცხადების გარეშე რომოცდაათი ფუნტი ეღირებაო. ჩემს წლოვა-
ნებას ყურიც არ ათხოვა, თითქოსდა დაიჯერა, სრულწლოვნად ახლა თვრამეტა
წლის ყმაწვილი ითვლებოდა და არა ოცდაერთისა. ჩვენ უკვე საწერ მაგიდას
ვუსხედით — ანუ ორ კასრზე გადებულ ფიცარს (ეს შენობა თიხით შეგლე-
სილი ქოხი იყო, დაჩრეტულ სახურავიდან კი ცა ჩანდა). ალკალდმაც ასო-ასო
ჩაიკითხა ჩვენი საბუთები, მაგრამ ხულია დეიდას ბოლივიელობამ შეაყოყმა-
ნა. ბევრი ვუმტკიცეთ, ეს რომ დაბრკოლება არაა, რომ უცხოელებსაც შე-
უძლიათ ქორწინება, ბლომა ფულიც შევადლიეთ — მაგრამ არაფერმა გვიშ-
ველა. „დაჯიდარების თავი არა მაქვს, — გაიძახოდა ალკალდი, — სენიორი-
ტას ბოლივიელობამ ააქმე დიახაც გააძნელა“.

ცოცხალმკვდრები ჩამოვბრუნდით ჩინჩაში ნაშუადღევს, იმედგაცრუე-
ბულნი, სიცბითა და მტვრით გაწამებულნი. ქალაქში შესვლისას ხულია დეი-
დას ტირილი წასკდა. მოვეხვიე და დავამშვიდე, ყურში ჩავჩურჩულე, რომ
მიყვარს, რომ გინდაც პერუს მთელი სოფლების შემოვლა დაგვეჭირდეს, მაინც
დაექორწინდებით.

— ის კი არ მაწუხებს, რომ ვერ დაექორწინდით, — მსხვილ-მსხვილ ცრემ-
ლებს ყრიდა ხულია და თან გაღიმებას ლამობდა, — ყველაფერი ააე სულე-
ლურად რომაა მოწყობილი.

ტაქსის მძღოლს ვთხოვეთ, ერთი საათის შემდეგ შემოევლო სასტუმროში
და გროსიო პრადოში წავეყვანეთ, მისი ნათლიმამა იქნებ დაბრუნებული დავ-
ვხვედროდა.

ჭამის თავი არც ერთს არ გვეჭონდა. მთელი ჩვენი სადილი — ყველიანი
ბუტერბროდები და კოკა-კოლა — იქვე დახლთან შევსანსლეთ. სასადილოში
მეგობრებს აღარ შევეყვით, ჩვენს ოთახს მივაშურეთ და მაშინვე დავიძინეთ.
სულ კოშმარები მესიზმრებოდა. მერე რომ მოვუყევით ერთმანეთს ჩვენი
სიზმრები, თურმე ორივეს ჩვენი ნათესაეობა დაგვსიზმრებია. როცა ხულია
დეიდას გამოვუტყდი, სიზმარში პედრო კამაჩოს ერთ-ერთი უკანასკნელი ტრა-
გედია გადამხდა-მეთქი თავს, ბევრი იცინა.

კარზე კაკუნმა გამოგვალვიდა. ბნელოდა, სარკმლიდან ქუჩის ფარნის შუქი
შემოდებოდა. „ახლავე-მეთქი“, გავბახე ჭერ კიდეც ბურანში მყოფმა, თავი
ვაგაქნ-გამოვაქნიე გამოსაფხიზლებლად და საათს დავხედე. საღამოს შვიდი სა-
ათი იყო. სული დაცარიელებული მქონდა. კიდეც ერთი დღე დაგვეკარგა. მაგ-
რამ ყველაზე დიდი უბედურება ის იყო, რომ ალკალდების ძებნაში ფულიც
გამომელია. ხელის ფათურით გავემართე კარსკენ, გამოვალე და ის იყო ხა-

1 ოქროს მანეთიანი ათი სოლის რაოდენობით.

ვიერი უნდა გამოეღიანძლა, რატომ არ გამომალვიძე-მეთქი, დავინახე, ღვას და ყურებამდე იკრიჭება.

— ყველაფერი ძაადაა, ვარგიტას, — მითხრა სიამაყისაგან ინდაურივით ვაფხორილმა. — გროსიო პრადოს ალკალდი უკვე რეგისტრაციასა და ქორწინების აქტს ამზადებს. გეყოთ, რაც შესცოდეთ, აბა ჩქარა-ტიქსში გელით.

კარი მომიჯახუნა და უდარდელი სიცილით წავიდა. ხულია დეიდა თვალეზის ფშვნეტით წამოდგა. ბნელოდა, მაგრამ მაინც მივხვდი, რომ გაკვირვებითა და ცოტა არ იყოს, უნდოდ იმზირებოდა.

— ჩემს პირველ წიგნს მაგ მძლოლს მივუძღვნი, — ვამბობდი ჩაცმისას.

— გამარჯვების ბუკს ჯერ ნუ დაჰკრავ, — იღიმებოდა ხულია დეიდა. — ქორწინების მოწმობაც რომ დავინახო, მაინც არ დავიჯერებ.

ჰაიპარად გამოვედიოთ ოთახიდან. სასადილოში ლუდის დასალევად ბლომა კაცები შეყრილიყვნენ. ვილაკამ ხულია დეიდას დახვეწილი ქათინაური ესროლა და იქ მყოფნი ძალზე გაამზიარულა. პასკუალი და ხავიერი უკვე ტაქსში ისხდნენ. მაგრამ არც მანქანა იყო ამდილანდელი და არც მძლოლი.

— იმან ჩვენი გაბრიყვება და ორჯერ მეტის წაგლეჯა მოინდომა, ასეთ დღეში რომ გვნახა, — ამიხსნა პასკუალმა. — ისე რომ, ეშმაკებში გავგზავნეთ და ღვთის წყალობით სხვა მძლოლი დავიჭირავეთ.

გული გამისკდა, ახალმა მძლოლმა ისევ არ ჩაგვიფუშოს-მეთქი საქმე. მაგრამ ხავიერმა დაგვამშვიდა და ვითომ მასხრობით გვიამბო, ჩვენთვის „სულის მოთქმის“ საშუალება რომ მოეცა, ხულია დეიდა კი ხელახალ გაწბილებას გადაერჩინა, ნასადილევს პასკუალთან ერთად ამ ახალ მძლოლს გაჰყოლია გროსიო პრადოში საქმის დამოუკიდებლად გასაკვაჭად.

— მაგისტანა ჭკვიანსა და ვაჟკაც მეტისს მარტო ჩინჩას მიწაზე თუ ნახავს კაცი, — გაიძახოდა პასკუალი, — მელჩორიტას უნდა უმადლოთ და მის საპატიოდ გამართულ პროცესიას გაჰყვეთ ყველანი.

გროსიო პრადოს ალკალდმა დინჯად მოისმინა ხავიერის ახსნა-განმარტებანი, აუჩქარებლად ჩაიკითხა ყველა საბუთი, კარგა ხანს იჯდა დაფიქრებული და მერეღა გვამცნო: ეს ყველაფერი ათასი სოლი ეღირება, ოღონდაც იმ პირობით, თუ ჩემი დაბადების მოწმობაში ექვსიანი სამიანად გადაკეთდება და სამი წლით ადრე დაბადებული გამოვალ.

— აი, შენ გლეხის ბრძნული ჭკუა, — გაიძახოდა ხავიერი, — არ დარწმუნდი, რა გონებადაკნინებული ხალხი ვართ! ამისთანა რამ არც მოგვაფიქრდებოდა, უბრალო სოფლის კაცმა კი ხელად მოისაზრა. საქმე გაჩარხულია. შენ სრულწლოვანი ხარ.

იქვე, მუნიციპალიტეტში გადაასწორეს თავისი ხელით ალკალდმა და ხავიერმა ექვსიანი სამზე. ხელისუფლების წარმომადგენელმა ესეც კი დაურთო: თავიდათავია, არსი იყოს ნათელი, თორე მელანი რა ფერის იქნება, რა მნიშვნელობა აქვსო. გროსიო პრადოში სალამოს რვა საათისთვის ჩავედით. თბილი და წყნარი ვარსკვლავიანი ღამე იყო. ყველა სახლსა თუ ქოხში ჭრაქი ბუუტავდა. ერთი ქოხი კი ყველაზე უფრო მეტად ჩახჩახებდა: ბუჩქებიდან სანთლების ალი გამოდიოდა, პასკუალმა პირჯვარი გადაიწერა და გვითხრა: ეს ეს სამლოცველოა, სადაც თავის დროზე წმინდა მელჩორიტა ცხოვრობდაო.

ალკალდი უკვე თითქმის ამთავრებდა შავყდიან სქელ დავთარში აქტის ჩაწერას. მუნიციპალიტეტის ერთადერთ ოთახში სოხანე ახლახან მოყრწყათ და

ნოტიო სუნი იდგა. მაგიდაზე მდგარი სამი სანთლის შერქალ შუქზე შეთეთრებულ კედელზე ჭიკარტებით მიმაგრებული ეროვნული დროშა და პრეზიდენტის სურათი ჩანდა. ალკალდი ორმოცდაათიოდე წლის ჩასუქებული ფლეგმატიური, კაცი იყო. მძიმე-მძიმედ წერდა, ყოველი წინადადების შემდეგ ფროიან კალამს ვიწროყელიან სამელნეში აწობდა. რაღაც დამგლთუვებულ მოგვესალმა მე და ხულია დეიდას. ჩემი ანგარიშით ერთ საათზე მეტი მოუხდებოდა ასეთი სიჩქარით ჩაწერას. წერა რომ მოამთავრა, არც განძრეულა, ისე წარმოთქვა:

— ორი მოწმეა საჭირო.

პასკუალი და ხავიერი წინ წამოდგნენ, მაგრამ ალკალდი მარტო პირველის მოწმობაზე დათანხმდა, ვინაიდან მეორე სრულწლოვანი არ იყო. გამოვედი და ას სოლად დავიყოლიე ტაქსის მძღოლი მოწმედ დამდგომოდა. ამ ხმელ-ხმელ ოქროსკბილიან მულატს მთელი გზა პირიდან სიგარეტი არ გამოუღია და კრინტი არ დაუძრავა. ალკალდმა რომ უჩვენა, ხელი სად მოეწერა, მძღოლმა წყენით გადააქნია თავი.

— ეს რა უბედურებაა, — თქვა თითქოს გულდაწყვეტით, — სად გაგონილა, ქორწილზე ერთი საცოდავი ბოთლი არ შეისვას ნეფე-პატარძლის დასალოცად? არა, ასეთნაირ ჯვრის მამობაზე ყაბულს არა ვარ, — მან საყვედურით შემოგვხედა და კარიდან გამოგვძახა: — წუთით მომითმინეთ.

ალკალდმა გულზე დაიკრიბა ხელები, თვალები მილულა და თითქოს ჩაიძინა. დეიდა ხულია, პასკუალი, ხავიერი და მე ერთმანეთს შევყურებდით და აღარ ვიცოდით, რა გვექნა. ბოლოს და ბოლოს დავაპირე გარეთ გავსულიყავი და ახალი მოწმე მომეძია.

— არ წახვიდეთ, ეგ უთუოდ მოვა, — შემაჩერა პასკუალმა. — კაცმა რომ თქვას, მართალიცაა. ადრევე უნდა გვეფიქრა დასაღევზე. ეს კარგი გაცვეთილია.

— ძარღვები დამაწყდა, — ხელი მტაცა ხულია დეიდამ და ჩამჩურჩულა. — ასე მგონია, თითქოს ბანკს ვძარცვავ და საცაა პოლიცია უნდა დამეცეს. შენ არა?

ათიოდე წუთის შემდეგ, თითქმის საუკუნე რომ გვეჩვენა, მულატი დაბრუნდა და ორი ბოთლი ღვინო მოიტანა. პირველად მოწმეებმა მოაწერეს ხელი, მერე ალკალდმა ხულია დეიდას და მე მოგვაწერინა, შემდეგ კანონების კრებული გადაშალა, სანთელი მიიწია და ისევე მძიმე-მძიმედ, როგორც წერა სცოდნია, ცოლ-ქმრის უფლება-მოვალეობათა მუხლები წაგვიკითხა; მერე ქორწინების მოწმობა გამოგვიწოდა და გვაუწყა, რომ ამიერიდან ცოლი და ქმარი ვართ. მე და ხულიამ ერთმანეთს ვაკოცეთ, შემდეგ მოწმეები და ალკალდი გადაგვეხვივნენ. მძღოლმა კბილებით ამოაძრო საცობები და, რაკი ჭიქები არ გქქონდა, პირდაპირ ბოთლიდან შევსვით რიგ-რიგობით. ჩინჩაში რომ გამოვბრუნდით — გულხალვათ, მხიარულ გუნებაზე — ხავიერი მთელი გზა „საქორწინო მარშს“ უსტვენდა ყოვლად უნიჭოდ.

მძღოლს ფული მივეცი და მთავარ მოედნისკენ გავსწიეთ, საიდანაც ხავიერი და პასკუალი სამარშრუტო ტაქსით ლიმაში გამგზავრებას აპირებდნენ. მანქანა ერთი საათის შემდეგ გადიოდა, ისე, რომ „ჩინჩას მზეში“ შევედით სასადილოდ. იქ დავაწყვეთ კიდევ სამოქმედო გეგმა. მორაფლორესში ჩასვლისას ხავიერი ძია ლუჩოსა და ოლგა ძალოს მიადგებოდა, გაარკვევდა.

რამდენად იყო გაცეცხლებული ჩვენი სანათესაო, და მერე ჩვენ დაგვირეკავდა ტელეფონით. მეორე დილას კი ჩვენც გავემგზავრებოდით ლიმაში. რაც შეეხება პასკუალს, რაიმე დამაჯერებელი მიზეზი უნდა მოეგონებინა იმის გასამართლებლად, ორ დღეზე მეტი რომ გააცდინა რადიოშუქი.

დავემშვიდობეთ ჩვენს მეგობრებს ტაქსის გაჩერებაზე სანტა-ანას რიკულ სასტუმროში¹ გამოვბრუნდით. გზაში ისე დინჯად ვსაუბრობდით, თითქოსდა დიდი ხნის ცოლ-ქმარი ვყოფილიყავით. ხულია დეიდა თავს უქეიფოდ გრძნობდა და ამას გროსიო პრადოში დაღუულ ღვინოს მიაწერდა. მე კი ის დიდებული მეჩვენა — ხომ არ ვეტყოდი, ჩემს სიცოცხლეში ღვინო პირველად დავლიე-მეთქი.

XVIII

ლიმის მგოსანი — კრისანტო მარავილიასი — შუა ქალაქის სანტა-ანას მოედნის შესახვევში დაიბადა, სადაც სახურავებიდან აფრენდნენ ხოლმე ცაში მთელ პერუში ყველაზე ლამაზ, პაპიროსის ქაღალდისგან ნახელავ დიდებულ ფრანებს, ბარიოს ალტოსის რაიონს რომ დაფარფატებდა თავზე და ფეხშიშველათა ორდენის მონასტრის ყველა მონაზონი თუ მორჩილი სამეცხლეურებიდან უქვრეტდა მუდამ.

კრისანტო მარავილიასის ამქვეყნად დაბადება, ვისი წყალობითაც წლების გამოხდის შემდეგ იმ ფრანების დარად ცას მისწვდა კრიოლოური ვალსის, პოლკის, „მარინერას“² დიდება, უზარმაზარი ფრანის გაშვების დღეს თანხვდა. ამ ზეიმზე სანტა-ანასთან მდებარე შესახვევში მთელი უბნის გიტარისა თუ კონტრაბასის საუკეთესო დამკვრელები და მომღერლები შეურილიყვნენ. ბებიაქალმა „X“ ოთახის სარკმელი გამოხსნა, სადაც ყრმა მოევლინა ჩვენს წუთისოფელს, და განაცხადა, ამ უბანს კიდევ ერთი მკვიდრი მოემატაო, თანაც დაასკვნა: თუ იცოცხლა, მოცეკვავე გამოვაო.

მაგრამ იცოცხლებდა თუ არა, ეს არავინ იცოდა: ბიჭი კილოგრამს არც იწონიდა, ხოლო მისი ჩხირივით ფეხების შემხედვარეს ეჭვი აიტანდა, ალბათ სიარულსაც ვერ შესძლებსო. ბიჭის მამას, ვალენტინ მარავილიასს თავისი სიცოცხლის მიზნად დაესახა ამ უბანში ლიმპიელი უფლის თაყვანისმცემელი გაეხადა ყველა. თავის ციციქნა ხენაკში დააარსა კიდევ ამ წმინდანის სახელობის ძმობა და (იქნებ ვიღაცის დასაშინებლად ან სულაც ხანგრძლივი სიბერის უზრუნველსაყოფად) ფიცი დადო, საფლავში ისე არ ჩავალ, ეს ძმობა წმინდა სასწაულმოქმედის ძმობაზე უფრო არ ვამრავლოო. დონ ვალენტინმა გამოაცხადა, ჩემი მფარველი სასწაულს მოახდენს: ვაუს გადამირჩენს და ისიც ისე ივლის, როგორც ყოველი საღსალამათი ქრისტიანიო. ყრმის დედა, მარია პორტალი, განთქმული ქონდაქარი, ვისაც თავის დღეში სურდო რაა, ის არ შეყრია, ისე შეაძრწუნა იმ ამბავმა, ნანინატრი ვაუის მაგიერ ღმერთმა, კაცმა არ იცის, რა მოუვლინა (ადამიანის მსგავსი ჭია? მოუმწიფებელი ჩანასახი?). ქმარი სახლიდან იფრინა და მეზობლებს აუწყა, ღვთისმოსაობამ პირწმინდად გააცვედანაო.

მაგრამ კრისტიანო მარავილიასი კიდევაც ცოცხალი დარჩა და სასაცილო-

¹ პერუელი ხალხური ცეკვა.

მდე პატარა ფეხების მიუხედავად კიდევაც გაიარა. კოხტად და ლამაზად დადისო, ცხადია, ვერ იტყოდნი, უფრო იმ ხის ტიკინასავით დააბიჯებდა, რომლის ყოველი ნაბიჯი სამი მოძრაობისაგან შედგება — ფეხის აწევა, მუხლში ნახრა და მხოლოდ ამის შემდეგ მისი მიწაზე დადგმა — თანაც ისე ნელა, გვერდით მიმავალს ეგონებოდა, ვიწრო ქუჩებში გახილულ ლიტანის მოხვდაო. და მაინც, უკვე შერიგებული დედ-მამის თქმით, კრისანტოს უკვებდნებოდ, სადაც უნდოდა, ყველგან დადიოდა. დონ ვალენტინი წმინდა ანას ეკლესიაში მუხლმოყრილი და თვალცრემლიანი მადლობას სწირავდა ამისთვის ლიმპიელ უფალს, თუმცა მარია პორტალის მტკიცებით სასწაულის ჭეშმარიტი მომხდენი ქალაქის განთქმული ექიმი იყო მოძრაობის ფუნქციათა პათოლოგიის დარგში, რომელმაც ბევრი დამბლადაცემული ველომსრბოლელად აქცია. ეს გახლდათ ექიმი ალბერტო დე კინტეროსი, ვის ოჯახშიაც მარია დიდებულ კრიოლურ სადილებს ამზადებდა და ვინაც ასწავლა, თუ რა მასაჟა, სავარჯიშოები და საშუალებანი ეხმარა, რომ, რაქიტისა და არასრულფასოვნების მიუხედავად, კრისანტოს ქვედა კიდურებს ბიჭი ზეზე გაეჩერებინა და ამ ქვეყანაზე ეტარებინა.

ვერავინ იტყვის კრისანტო მარავილიასს ისეთივე ბავშვობა ჰქონდა, როგორც იმ ლატაკი უბნის გოგო-ბიჭებს, სადაც ეწერა დაბადება. საუბედუროდ — თუ საბედნიეროდ — სხეულის უძლურების მიზეზით კრისანტო იმას ვერ აკეთებდა, რაც ყველა იქაურ ბიჭს ჩვეულებრივ სულსა და ხორცს უკაჟებდა. იგი არც ფეხბურთს თამაშობდა ჭინჭის ბურთით, არც კრივს, არც ცხვირ-პირს ამტვრევდა ვინმეს ჩხუბში; სხვებთან ერთად არ უსვრია არც შურდული და არც ქვები, არც სარმა გამოუდვია ვისმესთვის, როცა სანტა-ანას მოედნის ბიჭების წინააღმდეგ ჩირიმოიოს, კოჩარკასისა და სინკო ესკინოსის უმაწვილთა ხროვები გაილაშქრებდნენ სერკადოს რაიონში. ვერ მოახერხებდა თავისი სკოლის ამხანაგებთან ერთად სანტა-კლარას მოედნიდან (სადაც წერა-კითხვა ასწავლეს) მეზობელ ბაღებში გადამძვრალიყო ხალხის მოსაპარად, შეეშინდებოდა მდინარე რიმაკში ტიტლიკანას ეჭყუმპალა ან სანტოიოს საჩეხებებში შეუკაზმავ ვირზე ეჯირითა. იგი პატარა, თითქმის ჯუჯა ტანის ჭნაკა ბიჭი იყო, ყავისფერი კანი მამისაგან გამოჰყოლოდა, სწორი თმა — დედისგან, დაკვირვებული, ჭკვიანი თვლებით შორიდან უყურებდა თავისი ტოლ-ამხანაგების გართობებს, ოინებსა და გაცხარებულ შეტაკებებს, ხედავდა, როგორ ზრდიდა და აკაჟებდა მათ მისთვის მიუწვდომელი თამაშობანი და მის სახესაც ნელ-ნელა ბედს დამორჩილებული კაცის ჭმუნვა ეფინებოდა.

ერთი პირობა ისე ჩანდა, ბიჭი მამის კვალობაზე ღვთისმოსავი გამოვიდოდა (ლიმპიელ უფლის თაყვანისცემის გარდა მამის ძირთადი საქმე ხომ ლიტანიებში მონაწილეობა იყო, სადაც განურჩევლად ყველა წმინდანის გამოსახულებას დაატარებდა, მხოლოდ სამოსს იცვლიდა), ვინაიდან კარგა დიდხანს კრისანტო კეთილსინდისიერი მსახური იყო სანტა-ანას მოედნის ირგვლივ მდებარე ყველა ეკლესიაში, ბეჯითად ასრულებდა ყველაფერს, ზედმიწევნით იცოდა ღვთისმსახურების ყველა წესი, იერიც ღვთის მოშიშისა ჰქონდა. მიტომაც ასე ხშირად ეძახდნენ, მისი მოუქნელობის მიუხედავად, იმ უბნის მღვდლები მესის ჩასატარებლად თუ ზარების დასარეკად ვნების კვირის პროცესიებისას ან გუნდრუკის საკმევლად ლიტანიების დროს. არადა, მარია პორტალს ოცნებად ჰქონდა თავისი ძე თუ სამხედრო არა, ფათერაკების მაძი-

ებლად ან ყველა ქალის მომწუსხველ კავალრად ეხილა. იმიტომაც უსიტყვოდ
 ოხრავდა, როცა კრისანტო ეკლესიის მსახურის სამოსელში (რომელიც მუდამ
 განიერი ჰქონდა) სამების, წმინდა ანდრეასის, კარმენის, კეთილი მიცვალების
 ეკლესიათა საკურთხევლიდან ან კოჩირკასის პაწაწკინტელა საყდარში — ბიჭს
 შორ უბანშიც კი ეძახდნენ — მშვენიერი ლათინური კრებულები, ლოც-
 ვებს. ხოლო ძმობის მოთავე ვალენტინ მარავილიასს კი გული სიამაყით ევ-
 სებოდა, მისი სისხლი და ხორცი რომ ღვთის მსახური გამოვიდოდა.

მაგრამ თურმე ყველა ცდებოდა, ბიჭი არ იყო ღვთის სამსახურისთვის
 გაჩენილი. მის სულში სხვა რამ ფეთქავდა, მის გრძნობიერ ბუნებას უთუოდ
 როგორმე ან რაღაცით უნდა ეჩინა თავი. თვით ტაძრის გარემო, სანთელთა
 მოცახცახე ალი, საკმევლისა და გუნდრუკის სურნელი, ლოცვები, ღვთისმსა-
 ხურება, ჯვარცმები, წმინდანები, მორთულნი იმ მორწმუნეთა შესაწირავით,
 თავიანთ მიცვალებულთა მოსახსენიებლად რომ მოსულიყვნენ, მუხლმოდრე-
 კილი მლოცველები — ეს ყოველივე პოეზიის ნაადრევ წყურვილს, ხულიერ
 შიმშილს უცხრობდა ემაწვილს. მარია პორტალი ფეხშიშველათა მონასტრის
 მონაზვნებს ეხმარებოდა სამზარეულო თუ საშინაო საქმეებში. ამიტომაც იმ
 თითზე ჩამოსათვლელი ქალთაგანი იყო, ვისაც არ ეკრძალებოდა მონასტრის
 გოროზ თალებში ფეხის შედგმა. განთქმულ ქონდაქარს კრისანტოც თან მიჰ-
 ყავდა. ხოლო როცა ბიჭი მოიზარდა — ანუ წლები მოემატა, ოღონდ არა სი-
 მალღე — მონაზვნები უკვე ისე მიეჩვივნენ (მათთვის ხომ იგი მხოლოდ ნივ-
 თა, იატაკის ჩვარი, ნახევარადამიანი, ნაქურჩალი იყო), არ უკრძალავდნენ
 მონასტერში თავის ნებაზე ბორიალს, ვინემ მარია პორტალის ჯადოსნური
 ხელები ჰაეროვან ტორტებს, თანთალა ლაბას. თოვლივით ქათქათა ბეწეებს
 გააკეთებდა, კვერცხის გულს ათქვეფდა ნუშსა და სიროფთან ერთად და ნუ-
 შის კექსებსაც დააცხობდა (ეს ყველაფერი აფრიკაში რელიგიური მისიები-
 სთვის სახსრების შესაკრებად იყიდებოდა). ჰოდა, მოხდა ისე, რომ კრისანტო
 მარავილიასმა ათი წლის ასაკში სცნო უკვე სიყვარულის მთელი გზნება...

ფატიმა ერქვა იმ გოგოს, ვინაც ერთ წამში დაატყვევა ბიჭი. იგი კრისან-
 ტოს კბილა იყო და ფეხშიშველათა სამყაროში მოახლეობდა. კრისანტომ პი-
 რველად მაშინ ნახა, როცა გოგომ ქვის ფილებით მოგებული დერეფნები მო-
 რეცხა და ბაღში ვარდებისა და შროშნების მორწყვას შეუდგა. თუმცაღა სა-
 რისოდ გვერდებზე ხელების გასაყარად ჩაჭრილი ტომარა ეცვა, თავზე თავსა-
 ფარივით განასკვული ჯვალო წაეკრა, სბილოს ძვლისფერი კანი, ცისფერი
 თვალები, ამაყი ნიკაპი და კობტა, ჩამოქნილი ფეხები მის წარმოშობაზე ნათ-
 ლად მეტყველებდა, ეს იყო უკანონოდ ნაშობი (ცისფერსისხლიან კეთილშო-
 ბილთა ტრაგედიის ნაყოფი, იმ ცისფერსისხლიანთა, ვისიც ასე შურთ ხოლმე
 მღაბიორთ). ერთ ზამთრის ღამეს ხუნინის ქუჩაზე გამავალ მონასტრის კარი-
 ბქესთან მოაგდეს იგი. ბავშვი ლაყვარდისფერ შალში იყო გახვეული, რაზედაც
 გულის მომწყვლელი წერილი მიეკრათ: „მე უბედური სიყვარულის შვილი
 ვარ, რომელმაც ასე დაამწუხრა ერთი კეთილშობილი ოჯახი. მე არ მეცხო-
 ვრება საზოგადოებაში, ვინაიდან მუდამ იმათი ცოდვა-ბრალის ცოცხალი დას-
 ტური ვიქნები, რომელთაც სიცოცხლე მომცეს, რომელთაც ეკრძალებათ ერ-
 თმანეთის სიყვარული, ჩემი გაჩენა და აღიარება, რადგან ერთი და იგივე
 მშობლების ნაშობნი არიან. მხოლოდ თქვენ, ღვთისგან დალოცვილ ფეხშიშ-
 ველათ შეგიძლიათ გამზარდოთ ისე, არ შეგრცხვეთ ჩემი და არც მე მაგრძნო“

ბინოთ სირცხვილი. ჩემი გატანჯული მშობლები ფეხშიშველათა კონგრეგაციას ახკეც მიუზღავს იმ სიკეთისთვის, რაიც სამოთხის კარს გაგიხსნით ყველას“.

ცოდვის შვილის გვერდით ნახულმა ფულით სავსე ქისამ ბოლოს და ბოლოს შთააგონა მონაზვნები (კაკიჭამია-წარმართებს ხომ გაქრისტანება ცვევა და ჩაცმა სჭირდებათ) და მათაც გადაწყვიტეს: გოგო მონასტრის მწიგნობარს შეზღვევი, თუკი მოწოდებას იგრძნობს, ღმერთს კიდევ ერთი ღვთის მხევალი, თეთრი მონაზონი შეემატება, იგი ფატიმად¹ მონათლეს, რამეთუ იმ დღეს იყო მოგდებული, როცა ღვთისმშობელი მწყემსებს გამოეცხადა პორტუგალიაში. ასე იწოდებოდა გოგო ამ ქვეყნიერებიდან შორს, ფეხშიშველათა მონასტრის შეუბღალავი კედლების კდემამოსილ გარემოში. ბებერი და მუნიანი დონ სებასტიანის (ბერგუა ხომ არა?) და კვირაში ერთხელ მონაზვნების (მუდამ წვრილმანი) ცოდვების შეხანდობად მოსული კაპელანის გარდა მამაკაცი თვალით არ ენახა (კრისანტოს გამოჩენამდე). ამ საყვარელ, გამგონე, თვინიერ გოგოზე ამბობდნენ მონაზვნები, ნათელი ჭკუა, კეთილი მზერა, სპეტაკი სუნთქვა მისი წმინდანობის აშკარა ნიშნები არისო.

კრისანტო მარავილიასმა არაადამიანური ძალისხმევით სძლია გაუბედრობას, ენას რომ უბორკავდა, გოგოს მიუახლოვდა, ჰკითხა, შეიძლება თუ არა ყვავილების მორწყვაში დაგეხმარო, და ფატიმამაც თანხმობა მისცა. მას აქეთ, როცა კი მარია პორტალი მონასტერში მოდიოდა საქონდაქაროდ, კრისანტო და ფატიმა ერთად ჰგვიდნენ სენაკებს, ერთად რეცხავდნენ გადასახვლელებსა თუ ტალანებს, ერთად ცვლიდნენ საკურთხევლის ლარნაკებში ყვავილებს, ერთად წმენდდნენ სარკმლებს, ერთად აპრილებდნენ სანთლით ეზოების ქვის ფილებს და მტვრიან ლოცვანებს ერთად ბერტყავდნენ. ულამაზო ბიჭისა და ტურფა გოგოს გულში პირველი სიყვარულის კოკორი იფურჩქნებოდა, რაიც შემდგომ ყველაზე დიდ გრძნობად რჩება მუდამ და რასაც მხოლოდ სიკვდილი თუ გაწყვიტს?¹

თორმეტი წელი რომ შეუსრულდა ნახევრად დადამბლავებულ ბიჭს, მანდა შეამჩნიეს ვალენტინ მარავილიასმა და მარია პორტალმა იმ გატაცების პირველი ნიშნები, რომელმაც კრისანტო შთაგონებით სავსე პოეტად და განთქმულ კომპოზიტორად აქცია.

ეს მოხდა იმ ცეკვებზე, სადაც კვირაში ერთხელ მაინც იკრიბებოდნენ სანტა-ანას მოედნის ახლომახლო მცხოვრებნი ვისიმე დაბადების ან გარდაცვალების აღსანიშნავად — მიზეზი (სამხიარულო თუ დარდის გადასაყრელი?), იცოცხლე, არ ილეოდა. იკრიბებოდნენ ჩუმპიტას თერძის ფარდულში, ან ლიმის რკინის ნახელავთა ოსტატების ეზოში, ან იმ შუკაში, სადაც დონ ვალენტინი ცხოვრობდა, და გათენებამდე ერთ ცეკვასა და მოლხენაში იყვნენ. ისმოდა გიტარის რაკრაკი, კონტრაბასის ბუხბუხი, ტაშის ცემა და მომღერალთა კრინი. როცა სპირტის სასმელებითა და მარია პორტალის სურნელოვანი კერძებით შეხურებული მოცეკვავენი მოედნის გრანიტის ფილებზე ცეცხლს აკვებსდნენ, კრისანტო მარავილიასი ისეთი ალტაცებით და შეფრფინვით შეხურებდა გიტარისტებს, მომღერლებსა და კონტრაბასისტებს, თითქოს ზეგარდმო მადლი სცხებოდათ. თუკი მუსიკოსები სიგარეტის მოსაწევად ან გადასა-

¹ ფატიმა პორტუგალიის „მეორველ წმინდანად“ ითვლება.

ქლურწად ცოტა ხნით წავიდოდნენ, ბიჭი გაუბედავად მიადგებოდა გიტარებს, თითქოს არ შევაშინოო, ისე ფრთხილად შეეხებოდა სიმებს და გზურკვეველ აკორდებს აფრქვევინებდა...

სულ მალე ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ბიჭს კრავუნ-ტელეფონებრივი, გამორჩეული ნიჭიც მოჰმადლებოდა. პატარა ხეიბარს მშვენიერი სიმენი ჰქონდა, მყის იმახსოვრებდა ყველანაირ ჰანგს და სულ მალე თავისი სუსტი ხელე-ბით დასრულებული კაცივით შეეძლო კონტრაბასზე დაეკრა ყველა ხალხურ-რი სიმღერა. როცა შესვენებებზე დამკვრელები სმასა თუ ჭამას შეუდგებოდნენ, ბიჭი თავისით ეუფლებოდა მუსიკის საიდუმლოებას და მეტადრე გიტარა შეიყვარა, მეზობლები უკვე მიეჩვივნენ, კრისანტო რომ დღესასწაულებ-ზე მართლა მუსიკოსივით უკრავდა.

თოთხმეტი წლის კრისანტო რვა წლის ბიჭს ჰგავდა ტანით, ფეხები არა და არ ეზრდებოდა, თან ძალიან გამხდარი იყო (სიგამხდრე ხომ მუდამ შე-შთაგონებულ არსებათ მოსდგამს და მათ არტისტულ ბუნებას მოწმობს), რადგან მადა სულ არ ჰქონდა. მარია პორტალს რომ არ ევაჟაკა და ძალად არ ჩაეტენა მისთვის საჭმელი, ნორჩი მგოსანი ბოლოს და ბოლოს ფეხებს გაფ-შეკდა. ეს კია, როცა საქმე მუსიკას შეეხებოდა. ამ უძლურმა არსებამ დალლა რა იყო, არ იცოდა, როცა ზოგჯერ იმ უბნის გიტარისტები საათობით დაკვრისა და სიმღერის შემდეგ სიმებისგან თითებდასიებულნი ლამის წაქცევასზე იყ-ვნენ და ირგვლივყოფთ ერჩივნათ კიდევ სულაც არ დაეკრათ, თუკი ასე აურ-დაურევდნენ, პატარა ხეიბარი ისევ ისე იჯდა თავის ჩალით ამოწნულ სკამზე (იაპონელივით ფეხებს მიწას ვერ უწვდენდა), მისი დაულალავი პაწია თითები მომხიბლავ ჰანგებს აფრქვევინებდა საკრავს და თან ისე მღეროდა, თითქოს ზეიმი ეს-ესაა დაიწყოო. მისი სუსტი ხმა, რა თქმა უნდა, მეტოქეო-ბას ვერ გაუწევდა განთქმულ ესეკიელ დელფინს, რომელიც ზოგიერთი ვალ-სის შესრულებისას ხმას რომ აუწევდა, მოპირდაპირე სახლის ფანჯრების მი-ნებს სულ ზანზარი გაუდიოდა. მაგრამ ძალის სიმცირეს დაუდღეელობა, მუ-სიკის ფანატიკური სიყვარული, დაკვრის მრავალფეროვანი ელფერი, ყოველი ბგერის სწორი და ნაზი ეღერა უნაზდაურებდა.

მაგრამ სახელი მან მომღერლის კი არადა, კომპოზიტორის კვალობაზე გაითქვა. ნახევრად დადამბლავებული ჭაბუკი ბარიოს ალტოსიდან რომ არა მარტო უკრავს და მღერის, არამედ თვითონაც თხზავს თურმე ხალხურ სიმღე-რებს, ქონდაქარი ქალის სახელობის დღეს შეიტყო ყველამ. სანტა-ანას ჩიხ-ში გახურებული ქეიფი იყო კონფეტებით, სერპანტინებით და სალამურე-ბით. შუალამისას მუსიკოსებმა დამხწრეთა განხაცვიფრებლად აქამდე უცნობი პოლკა დაუკრეს ფრიად თავისებური დიალოგით:

— როგორ?

— მთელი გულით, მთელი გულით, მთელი გულით.

— რას?

— ია-ვარდს, ია-ვარდს, ია-ვარდს.

— სად?

— ღილ-კილოში ჩადებულს — კრძალვით და კრძალვით.

— ვის?

— მარია პორტალს, მარია პორტალს ძვირფასს.

ამ ჰანგმა ყველა აღაგზნო, ყველას დაუოკებელი სურვილი აღუძრა ცეკ-

ვისა და ხტუნვა-ხტუნვის, სიტყვებმა კი გაამხიარულა და გული აუჩვილა ყველას. როცა ერთხმად იკითხეს, ავტორი ვინ არისო, მუსიკოსებმა კრისანტო მარავილიასზე მიათითეს, რომელმაც მორცხვად დახარა თვალები. ვით ჭეშმარიტ დიდ ნიჭს შეშვენიის. მარია პორტალმა ლამის კოცნით დაახრჩო შვილი, ვალენტინ მარავილიასმა ცრემლები მოიწმინდა, მთელმა უბანმა კვეთხარე ტაშით დააჩილდოვა ახალი მოღეჭე. საკვირველსა და იღუმენტს უბანში ქალაქში ახალი მუსიკოსი დაიბადა.

კრისანტო მარავილიასის კარიერას ელვისებური ნახტომი დაერქმეოდა (თუ შეიძლება ზემოხსენებულ ნიჭს, ასე ვთქვათ, სპორტული ტერმინი მივუყენოთ). რამდენიმე თვის შემდეგ მის სიმღერებს მთელი ლიმა მღეროდა, რამდენიმე წლის შემდეგ კი მთელი პერუს გულს დაეუფლა. ოცი წლისაც არ იყო, როცა აბელები და კაენები — ანუ მეგობრები და მტრები — იძულებული გახდნენ ეღიარებინათ, ყველაზე განთქმული კომპოზიტორი კრისანტოაო თავის ქვეყანაში. მისი ვალსები სმენასა და ყურს ატკბობდა მდიდართა ნადინებზე, მის ვალსებზე ცეკვავდნენ მდაბიორნი საქველმოქმედო საღამოებზე, ისინი უყვარდა ღარიბ-ღატაკთაც. ქალაქის მუსიკალური ანსამბლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უკეთ შეასრულებდა კრისანტოს მუსიკას, ვერ ნახავდით ესეთ ახალგაზრდა კაცსა თუ ქალს, სიმღერის ნარეკლიან გზაზე შემდგარს, თავის რებერტუარში მარავილიასის საუცხოო პიესები არ შეეტანა. გამოდიოდა ფირფიტები მისი სიმღერებით. ზედიზედ იბეჭდებოდა მისი პარტიტურები. მისი ჰანგები ისმოდა რადიოდან; მასზე წერდნენ ჟურნალებში. ხალხის წარმოსახვამ და მითქმა-მოთქმამ ეს ბარიოს ალტოსელი კოჭლი კომპოზიტორი ლენგენდად აქცია.

სახელმა და დიდებამ რეტი როდი დაასხა მოკრძალებულ ჭაბუკს, ყველა პატივს იგი აღუშფოთველად იღებდა გედის დარად. სწავლა მან საშუალო სკოლის მეორე კლასში მიატოვა, რათა მთელი არსებით მისცემოდა ხელოვნებას. როცა დღესასწაულებზე დაკვირით, სერენადებით, სიმღერებით თუ აკროსტიხების შეთხზვით მიღებული გასამრჯელოთი გიტარა იყიდა, იმ დღეს თავი უბედნიერეს კაცად იგრძნო, ვინაიდან სულიერი მამა გაიჩინა, ვისაც თავის დარდს და სევდას გაანდობდა, ვინც მარტოობაში მეგობარი და მისი შთაგონების მოღალადე ხმა იქნებოდა.

მუსიკალური განათლება კრისანტოს არ მიუღია. იგი ზეპირად თხზავდა იმას, რასაც ალღო კარნახობდა. თავის სულში აჟღერებულ ჰანგს რომ დაისწავლიდა, მერე იქაურ მასწავლებელ ბლას სანხინეს უმღეროდა, ქალაქში გადმოსახლებულ მეტიხს, და ისიც ნოტებზე გადაიტანდა ხოლმე. ჭაბუკი არასოდეს ცდელა თავის ნიჭით სიმდიდრე მოეხვეჭა: არ გაუყიდა თავისი ნაწარმოებები, არ განუცხადებია მათზე საავტორო უფლებანი. როცა მეგობრები ეტყოდნენ, არტისტული ბოჭემის უნიჭო მუსიკოსები შენს თხზულებებს იპარავენ — ტექსტსაც და ჰანგებსაცო — კრისანტო ხელს ჩაიქნევდა და ვითომ მთქნარებას აიტეხდა. მაგრამ თავისი უანგარობის მიუხედავად ცოტაოდენ ფულს მაინც აკეთებდა, ხან გრამაფონული ჩაწერის ფირმები თუ რადიოსადგურები გამოუგზავნიდნენ, ხან იმ სახლის პატრონები ჩაუჩურთავდნენ ძალით, სადაც დღესასწაულებზე უკრავდა. კრისანტო მთელ ფულს დედ-მამას აძლევდა. ხოლო როცა ისინი დაიხოცნენ — მაშინ ოცდაათი წლისა იქნებოდა — მეგობრებში ხარჭავდა. თავის დღეში არ მოუწადინებია მშობლიური უბანი

და ჩიხი მიეტოვებინა, იმ ოთახიდან წასულიყო, საერთო დერეფანში რომ გამოდიოდა და „X“ ნომერი ეწერა. რა იყო ამის მიზეზი: მშობლიური კუთხის ერთგულება, თავისი უბრალო წარმოშობის შეგნება თუ იმ პატარა ღელის სიყვარული, გვერდით რომ მიჩხრიალებდა? ალბათ ერთიც და მეორეც. მაგრამ თავიდათავი ის გახლდათ, რომ ამ პენალივით ვიწრო სივრცეში ცხოვრობდა ახლოს იყო იმ გოგოსთან, ვისაც სიხსლში ცისფერი სისხლი უჩქეფდა და სახელად ფატიმა ერქვა, ვინც მაშინ ნახა, როცა გოგო მოახლეობდა, და ვინც ასლა მონაზვნად აღიკვეცა, მორჩილების, სილატაკისა და (ვაგლახ) უბიწოების აღთქმა დადო ქრისტეს სასძლოს კვალობაზე.

აი, რა იყო მისი ცხოვრების საიდუმლო, მიზეზი მისი სევდისა, რასაც ირგვლივმყოფნი (ჰოი, ბრბოის სიბეცეც, ჰოი, სულნო მდაბალნო და სულნო გამქისებულნო!) მის ფიზიკურ ნაკლს—საძრაობა ნაკლულ ფეხებსა და დაკრუნჩხულ ტანს მიაწერდა. მაგრამ სწორედ ეს სიმახინჯე აჩენდა კრისანტოს იმაზე ახალგაზრდად, ვინემ იყო, სწორედ ამის წყალობით შეეძლო დედას გაჰყოლოდა ფეხშიშველა მონაზონთა ციხეკოშკში და კვირაში ერთხელ მაინც ენახა თავისი სიჭმრების ასული. ვითომ ისევე უყვარდა მონაზონ ფატიმასაც ხეიბარი, როგორც ხეიბარს იგი? ეს არავინ უწყის. ვით სათბურის ყვავილმა არ იცის მინდვრის მცენარის დამტვერვის საიდუმლო, ასევე არ იცოდა ფატიმამ არაფერი, ასე გაიზარდა, მოიჩიტა და დაქალდა იგი ბებრუხანათა შორის მონასტრის ყოვლის მომაკვდინებელ გარემოში. მის სმენას, თვალებსა თუ წარმოსახვას არაფერი მისწვდომია, მონაზონთა კონგრეგაციის მკაცრი ცენზურა არ გამოეგლო (როგორც ჩანს, უადრესად მკაცრი). ან როგორ იფიქრებდა უბიწოების ეს განსახიერება, რომ გრძნობა, რომელიც მისი აზრით მხოლოდ უფალ ღმერთს ეკუთვნოდა (სიყვარული ხომ არა?), ადამიანებს შეიძლება ყიდვა-გაყიდვის საგნად ექციათ.

მაგრამ ისევ შეუგნებლად, როგორც მთებიდან მდინარისკენ მიისწრაფიან ნაკადულები, როგორც თვალის გახელამდე დედის ცურის თეთრ რძეს ეძებს კრავი, შესაძლოა ისევე შეუგნებლად უყვარდა ფატიმას მუსიკოსი. ასეა თუ ისე, ის იყო მისი ამხანაგი, ერთადერთი მისი ტოლი იმათ შორის, ვისაც იცნობდა, ერთადერთი, ვისთანაც თამაში შეეძლო, თუკი თამაში დაერქმეოდა იატაკების ერთად რეცხვას. ფანჯრების წმენდას, ყვავილების მორწყვას, სანთლების ანთებას, ვინემ ხელსაქმის ჯადოქარი მარია პორტალი მონაზვნებს ქარგვაში აოსტატებდა.

მაგრამ ბავშვობასა და სიყრმეშიაც ისინი ხშირად საუბრობდნენ. მათი საუბარი კდემამოსილი გახლდათ. უმანკო გოგო და მოკრძალებული ბიჭი შრომანივით სპეტაკნი და სათნონი იყვნენ. იმიტომაც ლაპარაკობდნენ სიყვარულზე, თუმცა ამ სიტყვას არ ახსენებდნენ, ლაპარაკობდნენ სულ სხვა საგნებზე, მაგალითად, მონაზონ ფატიმას ქალაღდის ფერად-ფერადი ხატების კოლექციაზე. ან კრისანტო უამბობდა ხოლმე, როგორია ტრამვაი, მანქანები, რა არის კინო. ყოველივე ამაზე მეტყველებდა მარავილიასის სიმღერებიც. უცნობ, იდუმალ ქალს რომ მიუძღვნა. გამონაკლისს შეადგენდა ცნობილი ვალსი „ფატიმა — უბიწო ფატიმა“, რომლის სათაურმაც კომპოზიტორის ნიჭის თაყვანისმცემელთ მძაფრი ცნობისწადილი აღუძრა.

იცოდა კრისანტო მარავილიასმა, რომ ვერასოდეს გამოიხსნიდა ფატიმას მონასტრიდან, ვერასოდეს გახდიდა თავისად, და მაინც ბედნიერი იყო, როცა

თავის მუზას თუნდაც რამდენიმე წამს ნახავდა. ეს წუთიერი შეხვედრები საზრდოს აძლევდა მის შთაგონებას და აწერინებდა სიმღერებს „იერავის, ფესტეხოსა და რესბალიოსის გოროზ ლამაზმანებზე“¹. მეორე უბედურება ცხოვრებაში იმ დღეს დაატყდა თავზე (პირველი ხეიბრობა იყო), როცა დედა წინამძღვარმა შემთხვევით მოსაქმების დროს შეისწრო. დედა ლიტუმას ფერი ეცვალა და სლოკინი აუტყდა. მაშინვე მიექრა მარია პორტაღას და მკითხა, შენი შვილი რამდენი წლისააო. მკერავმა ქალმა მიუგო, უკვე თვრამეტისაა, თუმცა სიმაღლითა და აღნაგობით ათი წლისა გეგონებაო. დედა წინამძღვარმა პირველი გადაიწერა და იმ დღის აქეთ მონასტრის ზღურბლზე გადაბიჭება აუკრძალა ყმაწვილს.

სანტა-ანას მოედნელ მგოსნისთვის ეს მომაკვდინებელი ლახვარი იყო, ლოგინადაც კი ჩავარდა რომანტიკოსთა კვალობაზე, თუმცა რა სჭირდა, ვერავინ გაიგო. დიდხანს იავადმყოფა — მაღალი სიცხე ჰქონდა, ბოდავდა და სულ მღეროდა. ექიმებმა და ექიმბაშებმა ყველანაირი საღებუნები და საფენები იხმარეს, სააქაოსკენ რომ გამოებრუნებინათ კრისანტო, ლოგინიდან რომ წამოდგა, აჩრდილს ჰგავდა ჭაბუკი, ფეხზე ძლივს იდგა. მაგრამ სატრფოხ დაკარგვამ მოულოდნელად სასიკეთოდ იმოქმედა მის შემოქმედებაზე (ანკი სწვანაირად შეიძლებოდა?): მისი მუსიკა მოთქმას ემსგავსა, ლექსებში — ვაჟკაცური ტანჯვა ისმოდა. სწორედ ამ ხანში შეთხზა მან თავისი ყველაზე საუკეთესო სატრფიალო სიმღერები. ამ მწუხარე ჰანგებსა და ლექსებს რომ ისმენდნენ დილეგში დამწყვდეულ ასულზე, გალიაში დატყვევებულ ტოროლაზე, ბადეში გაბმულ მტრედზე, ღვთის ტაძარში მალულად გაფურჩქვნილ ყვავილზე, შორით დადაგულ უიმედო და ტანჯულ მიჯნურზე. მეგობრები ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ნეტა ვინაა ეს ასულიო? ცნობისწადილით ატანილნი, რამაც თავის დროზე ევა დაღუბა, ამ სიმღერების გმირს იმ დიაცთა შორის უჭებდნენ, მუსიკოსსა და პოეტს რომ ირგვლივ ეხვეოდნენ, რამეთუ ულამაზო გარეგნობისა და ხეიბრობის მიუხედავად კრისანტო მარავილიასი იდუმალი ანდამატივით იზიდავდა ლიმელ დიაცთ. ვითომდა ავტოგრაფების წაწერის მიზნით პოეტის ღარიბულ ოთახში, „X“ რომ ეწერა ნომრად, მოდიოდნენ და მოდიოდნენ ჩეკების წიგნაკის პატრონი ქერათმიანი ასულები, იქაური მეტისი გოგონები, მაღალი წრის ბანოვნებად რომ მოჰქონდათ თავი, მულატი ქალები — მონასტერთა მოახლეები — ერთი სიტყვით, ყმაწვილი ქალები, ცხოვრების გზაზე პირველ ნაბიჯს რომ დგამდნენ, და ბებრუხანები, ყოველ ნაბიჯზე რომ ლამის წაქცეულიყვნენ. ყველა ისინი თვალებს უყუყუნებდნენ კომპოზიტორს, საჩუქრებით და ქება-დიდებათ ავსებდნენ, ჩაარაკებით პაემანს უნიშნავდნენ და დაუფარავად სთავაზობდნენ ცოდვის ჩადენას. ან იქნებ ამ ქალებს სახიჩარი მამაკაცები უფრო მოსწონდათ, ვინაიდან ღრმად სწამდათ ის ყოველად სულელური შეხედულება, თითქოსდა ქმრების პირობაზე ასეთი მამაკაცები სად-საღამათებს სჯობიაო? არა, ეს ყველაფერი მისი შემოქმედების ბრალი იყო, რომელმაც შარავანდედით შემოსა იგი, სანტა-ანას მოედნელი კაცუნა გულთა მპყრობელად აქცია და მისი ფიზიკური ნაკლი არათუ შეუმჩნეველი, მომხიბლავიც კი გახადა.

¹ იერავი — პერუელ და ბოლივიელ ინდიელთა ჩადვლიანი სიმღერები. ფესტეხო და რესბალიოსი — ჩალხური ცეკვები სიმღერებით.

ჭლექს ძლივს გადარჩენილი კაცის მინაზებუღი. იერით ლმობიერად და ზრდილად იცილებდა ქალთა მოძალებას კრისანტო მარავილიასი და ქარაგ-მულად ამცნობდა, დროს ტყუილად კარგავთო, თან ერთი შეხედვით უოვლად უაზრო წინადადებასაც დაატანდა: „მე ერთგულება მწამს, ვინაიდან პორტუგა-ლიელი მწყემსი გახლავართ“, რაიც დიდ ჭორებსა და მითქმას-მითქმას იწვევდა.

იმხანად იგი უკვე ბოჭემურ ცხოვრებას ეწეოდა, ვითარცა სულით ბოშა დაახლოებით შუადღისას დგებოდა და წმინდა ანას ეკლესიის სამრევლო მღვდელთან ერთად საუზმობდა, რომელიც პირველი ინსტანციის ყოფილი მო-სამართლე იყო. მის კაბინეტში ერთმა ხექტანტმა (დონ პედრო ბარედა-ი-სალ-დივარიმ ხომ არა?) თავი დაისახიჩრა იმის დახტურსაყოფად, შეწამებული ბრა-ლდება არ ჩამიდენიაო (შესაძლოა ბრაზილიიდან ტრანსატლანტიკური გემით უბილეთოდ ჩამოსულ ზანგის მოკვლას აბრალებდნენ?). ამ ამბავმა ესოდენ შეაძრწუნა დოქტორ დონ გუმერსინდო ტელიო, რომ მოსამართლის მოსას-ხამი მღვდლის ანაფორაზე გაცვალა. ხორცის დათრგუნვის ამბავმა კრისანტო მარავილიასის ფესტეხოში ჰპოვა გამობმაურება: „მე მხოლოდ სისხლი გამამა-რთლებს“, რომელსაც კიხადისა, გიტარისა და კონტრაბასის თანხლებით ასრუ-ლებდნენ.

მგოსანი და მამა გუმერსინდო ხშირად ერთად დაეხეტებოდნენ ლიმას ქუჩებში, სადაც კრისანტო თავისი სიმღერების გმირებსა და თემებს ეძებდა (იქნებ ყველა შემოქმედი თავისი შემოქმედების წყაროს ცხოვრებაში ეძიებს?) მისმა ხელოვნებამ, სადაც შერწყმულიყო ადათ-წესები, ისტორია, ფოლკლო-რი და ხალხური რწმენა, უკვდავი გახადა ლიმას საყვარელი გმირები და ჩვე-ულებანი. საჩეხებში, სერკადოს მოედნის გვერდით, და სანტა-კრისტოს უბანში მარავილიასი და დონ გუმერსინდო მამლების ძიძგილაობის სამზადისს უც-ჭეროდნენ — ეს ძიძგილაობა ჩვეულებრივ კოლიზეი „სანდიაში“ იმარ-თებოდა. სწორედ იქ დაიბადა მარინერის ცნობილი სიმღერა „ხმელ წიწა-კას ერიდე, დედი“, — კარმენ ალტოს ახლო მოედანზე დასვენებისას კი მო-წმენი იყვნენ, როგორ ართობდა მეთოჯინე მონლეონი იმ მიდამოს მცხოვ-რებთ თავისი ნაჭრის მარიონეტებით. მისმა წარმოდგენებმა უკარნახა კრი-სანტოს იმ ვალსის თემა, „კარმენ ალტოსელი ასული“ რომ ერქვა. („თითები, მავთულისა და გული ჩაღისა გაქვს, ჰოი, სატრფოვ ჩემო!“). უეჭველია, ძვე-ლი ლიმის ტრადიციულ კუთხეებში სეირნობისას ნახა კრისანტომ შავთავსა-ფრიანი მოხუცი ქალები, რომლებზეც მეტყველებს ვალსი. „განა შენც ერთ დროს არ იყავ ქალი, ღვთისა მლოცველო?“ აღბათ აქ იყო მოწმე ყმაწვი-ლების ჩხუბისა, რაზედაც პოლკა „ქუჩის ბიჭები“ ჰყვება.

სადამოს ექვსი საათისათვის მეგობრები ერთმანეთს შორდებოდნენ: მღვდელი ეკლესიაში ბრუნდებოდა — კალიაოში მოკლული კაციჭამიის სულ-ზე სალოცავად, კომპოზიტორი კი ჩუმპიტასის სამკერვლო ფარდულში, სა-დაც თავის უახლოეს მეგობრების კონტრაბასისტ სიფუენტესა, საწრიპინელა-ზე დამკვრელი ტიბურსიოსა, მომღერალ ქალ ლუსია ასეშილესა(?), გიტარი-სტების—ფილიპესა და ხუან პორტოკარეროსთან ერთად ახალ სიმღერებს სწა-ვლობდა; ხოლო როცა კარგა დადამდებოდა, რომელიმე მათგანი ჭიბიდან ამ-ოაძვრენდა პისკოს სანუკვარ ბოთლს და მუსიკასა, საუბრებსა და პისკოს წრუპვაში საათი საათს მისდევდა. უკვე გვიან ღამით მიდოდნენ მეგობრები

1. ხალხური მუსიკალური საკრავი უირისა ან ჯორის ებებისგან.

რომელიმე რესტორანში სასადილოდ, სადაც მუსიკოსი მუდამყამ საპატიო სტუმარი იყო. ხანდახან ქეიფზეც იწვევდნენ — ვის დღეობა ჰქონდა, ვის ნიშნობა, ვის ქორწილი. გათენებისას ბრუნდებოდნენ ხოლმე შინ. მეგობრები ჩვეულებრივ ხეიბარ კომპოზიტორს მისი სახლის ჭიშკართან ეთხოვებოდნენ. როგორც კი ისინი დასაძინებლად სახლებში წავიდ-წამოვიდნენ, მუსიკოსებში კვლავ გაკრთებოდა დაკრუნჩხული პატარა ლანდი და ისმოდა ნაბიჯების ფლარტუნო. ამ ნესტიან ღამეში, როცა ზამთრის წვიმა ცრიდა და ირგვლივ ალიონის ნისლი იბოლქვებოდა, მიაბიჯებდა კრისანტო თავისი გიტარით ხელში. მერე ფეხშიშველათა მონასტრის წინ, ხანტა-ანას უკაცრიელ მოედანზე ქვის სკამზე ჩამოჯდებოდა და გამთენიის ხანს მოძუნძულე კატების ყურს სწვდებოდა მაშინ ყველაზე უნაზესი აკორდების ხმა, რაიც კი ოდესმე მაწიურ გიტარაზე დაუკრავთ, ყველაზე მგზნებარე სატრფიალო სიმღერები, რაიც კი ადამიანს შეუქმნია. იქაური მრევლის ღვთისმოსავმა ქალებმა, რომლებიც ხშირად ხედავდნენ ხოლმე, როგორ მღეროდა და ქვითინებდა გარიჟრაჟზე მონასტრის წინ კრისანტო მარავილიასი, უსინდისო ხმები დაარხიეს, პატივმოყვარეობით რეტდასხმული მუსიკოსი ღვთისმშობელს ეტრფის და მზის ამოსვლისას ხერენადებს უმღერისო.

ასე მისდევდა კვირა კვირას, თვე თვეს, წელი წელს. კრისანტო მარავილიასის დიდება მზის მრგვალი ბურთივით მადქლა და მალლა იწვედა მის მუსიკასთან ერთად. მიუხედავად ამისა, თვით მუსიკოსის გულითაღმა მეგობარმა, ყოფილმა პოლიციელმა, ახლა კი სამრევლო მღვდელმა გუმერსინდო ლიტუმამ, ვინც საკუთარმა ცოლმა და შვილებმა უღმერთოდ სცემეს (იმიტომ ხომ არა, რომ ვირთების მოშენებას მისდევდა?) და ვისაც ამ ცემა-ტყუების შემდეგ, უკვე მოჩინის გზაზე მყოფს, ხმა ღვთისა ესმა, არ იცოდა, რა გაუნელებელი ვნებით ეტრფოდა მგოსანი აღკვეცილ მონაზონ ფატიმას, რომელიც მთელი ეს წლები წმინდანობისთვის ემზადებოდა. ამ უმანკო წყვილს ერთმანეთისთვის სიტყვა არ უთქვამს იმ დღის აქეთ, რაც დედა წინამძღვარმა (დაია ლუსხია ასეძილამ ხომ არა?) მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ მგოსანი უკვე დაკაცებულიყო (მიუხედავად იმისა, რაიც ერთ საბედისწერო დილას პირველი ინსტანციის მოსამართლის კაბინეტში მოხდა?). მაგრამ მთელი ამ წლების მანძილზე ისინი ერთმანეთის ხილვითაც კი ბედნიერი იყვნენ, თუმცა დიდი ძალისხმევის ფასად და თანაც შორიდან. მონაზვნად აღკვეცის შემდეგ ფატიმა, როგორც მისი მონაზონი დაქალები, ეკლესიაში ლოცვებს კითხულობდა: ფეხშიშველათა კონგრეგაციის მონაზვნები მთელი ოცდაოთხი საათის განმავლობაში ეკლესიაში წყვილ-წყვილად, მონაცვლეობით ლოცულობდნენ. მორიგე მონაზვნებს ხალხისგან ხის მოჩუქურთმებული ხარისა მყოფდათ, მაგრამ ერთმანეთის დანახვა იქიდან მაინც შეიძლებოდა. მეტწილად ამით აიხსნებოდა ქლიმის მგოსნის ესოდენი ღვთისმოსაობა, რის გამოც მეზობლებს არაერთხელ დაუცინიათ. სწორედ ამ დაცინვების პასუხი იყო მარავილიასის გულისმოქმედელი სიმღერა: „კი, მორწმუნე ვარ...“

კრისანტო მართლაც დღის კარგა დიდ ნაწილს ატარებდა ფეხშიშველათა მონასტრის ტაძარში. იქ შესვლისას პირჯვარს გადაიწერდა და ხარისას მიაჩერდებოდა. თუკი ოთხკუთხა ჭრილებში კიბის ერთ-ერთ საფეხურზე (გული მყის შეეკუმშებოდა, მაჯა აუჩქარდებოდა, ზურგში ჟრუანტელი დაუვლიდა) თვალს ჰკიდებდა დაია ფატიმას, მუდამ თეთროსანი ლანდები რომ ფარავდა.

მარავილიასი მყის მუხლს მოიყრიდა კოლონიალური ხანის ქვის ფილებზე, ოდნავ დაიხრებოდა — მისი აღნაგობის წყალობით ვერც ვარკვევდი, პირდაპირ იყურებოდა თუ ცერად — თითქოსდა საკურთხევლის კვრეტით იყო მთელი არსებით გატაცებული. სინამდვილეში კი თვალს არ აშორებდა ქათქათა ქლამიდებს, გახამებულ თავსაბურებსა და საყელსებს. მინი ტრფიალის საგანს რომ ფარავდნენ. ხანდახან დაია ფატიმა შეწყვეტდა ხოლმე ლოცვას სულის მოსათქმელად, როგორც სპორტსმენი ძაღლისხმევის გაორკეცების წინ, საკურთხევლისკენ აღაპყრობდა თავლებს (თითქოსდა ზედ კროსვორდები ეხატა!) და მოკრუნჩხულ კრისანტოს დალანდავდა. შეუმჩნეველი ღიმილი გადაურბენდა მონაზვნის ფერმკრთალ სახეს, გული სინაზით აღევსებოდა თავისი სიყრმის მეგობრის დანახვაზე. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდებოდა და ამ წუთებში — მონაზონი ფატიმა თავს მოვალედ თვლიდა თვალები დაეხარა — ერთმანეთს უსიტყვოდ ეუბნებოდნენ ბევრ რასმე (ალბათ ციურ ანგელოზთ რომ გააწითლებდა). დიახ, დიახ! იმ გოგომ, სასწაულით რომ გადაურჩა სამედიცინო საქონლის კომივიაყერ ლუჩო აბრიელ მაროკინის მანქანის ბორბლებს (ეს ამბავი ერთ მზიან დილას მოხდა ქალაქ პისკოს მიდამოებში, მაშინ გოგო ხუთი წლისაც არ იქნებოდა) და წმინდა ქალწულისადმი მაღლიერების გრძნობამ მონაზვნობა გადააწყვეტინა, თავის ეულ სენაკში გულწრფელი სიყვარული იგრძნო ბარიოს ალტოსელი მგოსნისადმი.

კრისანტო მარავილიასი შეურიგდა იმ აზრს, რომ ვერასოდეს დაეუფლება თავის სატრფოს, რომ მათი უთრეერთობა მუდამ პლატონური დარჩება, რომ ტაძრის გარდა ვერსად ნახვენ ერთმანეთს. მაგრამ იმას კი ვერა და ვერ შერიგებოდა (ეს მუდამ დიდი სატანჯველია იმათთვის, ვის სილამაზესაც ნიჭი შეადგენს), ფატიმა რომ ვერასოდეს მოისმენს მის მუსიკასა და სიმღერებს, რომელთა შთაგონების წყაროდ, თავისდა შეუცნობლად, თვითონ იყო. მისი აზრით (რაც მონასტრის სქელი კედლების მნახველთათვის საეჭვოც არ იყო) სატრფოს ყურამდე აროდეს მიულწევია იმ სერენადებს, აგერ ოცი წელია ყოველ აღიონზე რომ უმღეროდა და არად აგდებდა ფილტვების ანთებით დაავადების საფრთხეს. კრისანტო მარავილიასმა ერთხელ რელიგიურ-მისტიკურ თემაზეც კი ჩართო თავის რეპერტუარში სიმღერები. ეს იყო სიმღერები წმინდა როზას სასწაულებზე, წმინდა მარტინ პორიელის ღვაწლზე (მეტწილად ზოოლოგიურზე?), წამებულთა ლეგენდებსა და პილატეთა შერისხვა-განკიცხვაზე — რომლებიც ხალხური სიმღერების შემდეგ გახლდათ შესრულებული. ამ ახალმა სიმღერებმა კიდევ უფრო გაუთქვა სახელი კომპოზიტორს. ახალ ფანატიკურ თაყვანისმცემელთა ლეგიონები — მღვდლები, ბერები, მონაზვნები და „კათოლიკური ღვაწლის“ ორგანიზაციის წევრები — შეხდინა. ახალი და წმინდა შინაარსით გამდიდრებული ხალხური მუსიკა, საკმევლის სურნელით გაჟღენთილი, სალონებისა და კლუბების კედლებს გასცდა და იქ აუღერდა, სადაც ფიქრითაც ვერავინ იფიქრებდა — ანუ ეკლესიებში ლიტანიების დროს, საღვთო სახლებში, სემინარიებში. ამ ეშმაკურ გეგმას ათი წელი დასჭირდა, მაგრამ წარმატებით კი დაგვირგვინდა. ფეხშიშველათა მონასტერმა ველარ თქვა უარი მორწმუნეთა სათაყვანო კომპოზიტორის, რელიგიურ კონგრეგაციათა პოეტის, ლიტანიების მგალობლის წინადადებაზე, კონცერტი მოეწყო მონასტრის სამლოცველოსა თუ შიდა დარბაზებში აფრიკაში მოღვაწე მისიონერთა სასარგებლოდ. ღიმის არქიეპისკოპოსმა — ხორცშესხმულმა სი-

ბრძნემ წითელ მოსახამში და დიდებული მუსიკალური სმენის პატრონმა — განაცხადა, რომ თანახმაა ამ ღვთისმოსავ მოქმედების განხორციელებაზე და ნებას აძლევს ფეხშიშველათა მონასტრის მონაწევრებს განმარტოების ალტქმა რამდენიმე საათით დაარღვიონ მუსიკით დასატკბობად, რომლის მოსახმენად თავადაც კი მოზრძანდება თვისი დარბაისელი ამალით.

ეს საოცარი ამბავი მეფეთა ქალაქში იმ დღეს შედგა ^{ეროვნული} ~~ეროვნული~~ ^{კონცერტო} ~~კონცერტო~~ მარავილიასი გაფურჩქვნის ასაკში გახლდათ (ორმოცდაათისა ხომ არა?), კაცი მოაწროვნის შუბლით, განიერი ცხვირით, არწივის მზერით, კაცი მართალი და კეთილმოსურნე. ვის გარეგნობასაც სულიერი სილამაზის მაღლი მოჰყენოდა.

თუმცა მოსაწვევები წინასწარ დაარიგეს და გამოცხადებულიც იყო, მათ გარეშე საზოგადოების საყვარელი მომღერლის კონცერტს ვერავინ დაესწრებაო, სინამდვილემ ყველა მოკლოდინს გადააჭარბა: პოლიციელების კედელი, სახელგანთქმული სერჟანტი ლიტუმასა და მისი თანაშემწე ხაიმე კონჩას მეტაურობით, ხალხმა ისე გაფანტა, როგორც ქარმა ქალაღდის ნაფხრეწები. წინა ღამით თავმოყრილი ბრბო მონასტერში შეიჭრა და დარბაზები, დერეფნები, კიბეები, ვესტიბიულები დაიკავა, თუმცა კი დიდი ღირსებით და პატივისცემით, ხოლო მოწვეულნი იმულებულნი იყვნენ საიდუმლო კარით პირდაპირ ქანდარაზე ასულიყვნენ და ძველთაძველ მოაჯირებიდან დამტკბარიყვნენ კონცერტით.

საღამოს ექვს საათზე მგოსანი ორკესტრანტთა თანხლებით მოზრძანდა: კონკისტადორის ღიმილი გადაჰყენოდა სახეზე, ეცვა მუქი ლურჯი კოსტიუმში, მოაბიჯებდა მოქნილად, ქარი უფრიალებდა ოქროსფერ ქოჩორს. ფეხშიშველათა მონასტრის თაღები ტაშის ხმამ შეხძრა. მუხლმოყრილი გუმერსინდო მარავილიასის დიდებული ბარიტონი „მამაო ჩვენოსა“ და „ავე მარიას“ აგუგუნებდა. თაფლისფერი თვალები კი შეკრებილთა შორის ნაცნობ სახეებს ეძებდა.

პირველ რიგებში ასტროლოგიის განთქმული პროფესორი დელფინ ასე-მილა იდგა. (ესეკიელი ხომ არა?) რომელიც ციური კაბადონით მოქცევათა დონეს ანგარიშობდა. კაბალისტიკურ ნიშანთა წყალობით მილიონების პატრონ ბანოვნებს მომავალს უწინასწარმეტყველებდა და ამასთან (დიდ ადამიანებს მუდამ უჩვეულო მობი სჩვევიათ, როგორც, ვთქვათ, შუშის ბურთებით თამაშისა) კრიოლური მუსიკის ტრფიალი სჭირდა, იქვე იდგა ღიმაში დიდად სახელგანთქმული ზანგი, ასალთახალი კოსტიუმის გულის ჯიბიდან ქათქათა ცხვირსახოცის წვერი უჩანდა, დილ-კილოში წითელი მიხაკი, ის ზანგი, რომელმაც ოკეანე საბაგაუო განყოფილებაში ჩამალულმა უბილეთოდ გადმოსერა (თვითმფრინავით ხომ არა?) და ამ ქვეყანაში ახალ ცხოვრებას შეუდგა. (იქნებ მოქალაქეობრივი ვალის მოსახდელად ვირთხებს საწამლავით ხოცავდა, რასაც ჩვეულებრივ მისი ტომის ხალხი მისდევდა და რამაც ესოდენ გააძლიდრა?). სრულიად შემთხვევით დარბაზში აღმოჩნდნენ (ასეთი შემთხვევითობაც ხდება ხოლმე ეშმისა თუ განგების წყალობით) მუსიკოსის ერთსულოვანი თაყვანისცემით მოსული „იაჭვეს მოწმე“ ლუჩო აბრილ მაროკინი, მეტსახელად „უკუდო“ რომ შეერქვა მის მიერ ჩადენილი გმირობის გამო (იმიტომ ხომ არა, რომ საკუთარი ხელით მოიკვეთა თავი თუ მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ქალაღდის საჭრელი დანით?), მის გვერდით — სარიტა უანკა სალავერია, თავისნება ტურფა და ვიქტორიის რაიონიდან, სიყვარულის ეს-

ოდენ სასტიკი დადასტურება რომ მოსთხოვა „იაპვეს მოწმეს“, ან შეიძლება-
 და კია ამ მორთულ-მოკაწმულ ხალხში ვისმე მირაფლორესი რიჩარდ
 კინტროსი არ შეემჩნია? იცოდა რა, ასეთი შემთხვევა მხოლოდ ერთხელ შეიძ-
 ლება მოხდეს ცხოვრებაში და კარმელიტ ქალთა მონასტრის კარგ ანარც არა-
 სდროს გაიხსნას, აქ შემოდვრა და ხალხს შეერია მხოლოდ ერთხელ მორიდან
 მაინც დაენახა თავისი დაია (მონაზონი ფატიმა? მონაზონი ლიტუმა თუ ლუ-
 სია?), ვინც მშობლებმა სიხლის აღრევისათვის აქ გამოამწყვდიეს. საერთო
 ცნობისწადილმა ლიმის სათაყვანო კერპის სანახავად (და არა მოსასმენად) აქ
 მოიყვანა ყრუ-მუნჯ ბერგუათა ოჯახი, რომელთაც აქამდე არასოდეს გამოუდ-
 გამოთ ფეხი „კოლონიალური პანსიონიდან“, სადაც ცხოვრობდნენ და სადაც
 თავს სწირავდნენ კეთილშობილურ საქმეს — ლაპარაკს ახწავლიდნენ ლატა-
 კთა ყრუ-მუნჯ შვილებს.

აბოკალიფსის დარი უბედურება, მთელი ქალაქი რომ ძაძით შემოსა, მა-
 შინ მოხდა, როცა პადრე გუმერსინდო ტელიომ კონცერტი დაიწყო. ორგა-
 ნთან ერთად ლირიკული ტენორი ის იყო საუცხოო გალობას — „ჩემი რელი-
 გია არ იყიდება“ ამთავრებდა. დერეფანში, შიდა ეზოებში, კიბეებსა და გა-
 ლერეებზე შეყრილი ხალხი მონუსხულივით უსმენდა მომდერალს. მამა გუმე-
 რსინდოს დასაჯილდოებლად ატენილმა ტაშისცემამ დაღუბა იქ დამსწრენი —
 სიკეთე და ბოროტება ხომ მუდამ ფეხდაფეხ სდევს ერთმანეთს, მუდამ ისეა
 აღრეული, ვით ყავა და რძე. სიმღერამ, ტაშმა, „ვაშას“ ძახილმა, მილოცვებმა
 ისე გაიტაცა მაყურებლები, მიწისძვრის პირველი ნიშნები ვერც კი იგრძნეს
 ამ ღვთაებრივი იადონის მიერ გულშეძრულებმა. ამიტომ პირველ წამს, როცა
 კიდევ შეიძლება გაქცევა და თავის შველა, მიწის ზანზარს უური არ ათ-
 ხოვეს. მაგრამ როცა ვულკანურმა გუგუნმა ლამის უურის ბარაბნები დაუხეთ-
 ქათ და მიხვდნენ, აღტაცება კი არა, ეს მიწა აზანზარებდათ — უკვე გვიანი
 იყო. მონასტრის სამი გასასვლელი (შემთხვევის, განგების ნებისა თუ ხუროთ-
 ნოდვრის შეცდომის წყალობით) პირველივე ნანგრევებმა გაჭედა. მთავარი
 ჭიშკარი ქვის უზარმაზარი ანგელოზის ქანდაკებამ ჩახერგა და ქვეშ მოიყოლა
 სერჟანტი კრისანტო მარავილიასი, რომელიც კაპრალ ხაიმე კონჩასა და პოლი-
 ციელ ლიტუმას თანხლებით მიწისძვრის პირველსავე ნიშნებზე შეეცადა
 მონასტრიდან ხაულის გაყვანას. გულადი მოქალაქე და მისი ორი თანაშემწე
 მიწისქვეშა რისხვის პირველი მსხვერპლნი გახდნენ. ასე ჩექმით გასრესილი
 ტარაკნებივით დაამთავრეს თავიანთი წუთისოფელი გრანიტის გულგრილი
 გამირის ქვეშ მონასტრის წმინდა კარიბჭესთან ლიმას სახანძრო რაზმის სამმა
 მუშკეტერმა (იქნებ საშინელი სამსჯავროს მოლოდინში?)

ამასობაში მუსიკისა და ღვთის სიყვარულით მოზიდული მორწმუნენი
 ბუზებივით იხოცებოდნენ. ტაშს კვალდაკვალ მოჰყვა ღრიალი, კივილი და
 კვნესა-გოდება. კეთილშობილმა ქვებმა და ვეებერთელა კოჭებმა ველარ გაუ-
 ძლო მიწის წიაღის გაუთავებელ ზანზარსა და რყევას, ერთიმეორის მიუოლე-
 ზით დასკდა და ჩამოინგრა კედლები და ქვეშ მოიტანა ყველა, ვინც ზედ
 აბობლებასა და ქუჩაში გადაძრომას ცდილობდა. ასე დაიღუპნენ ვირთხებისა
 და თაგვების სახელმძოხვეჭილი გამანადგურებელნი (იქნებ ბერგუების ოჯა-
 ხი?). რამდენიმე წუთის შემდეგ ჯოჯოხეთური გრუხუნით ჩამოიქცა და მტვრის
 კორიანტელი დააყენა მეორე სართულის გაღერებამ. შიდა ეზოებში შექურჩულ
 ხალხს ცოცხალი ქურვებივით თავზე აცვიოდნენ ადამიანები, სულ მალა რომ

ამძვრალიყვნენ, დედა გუმერსინდო უკეთ მოვისმინოთო. ასე დაიღუპა და ქვის ფილებს ტვინი დაანთხია ლიმელმა ფსიქოლოგმა ლუჩო აბრილ მაროკინიმ, ნახევარ ქალაქს საკუთარი ხერხებით რომ უწამლა და ნევრასდენიას გადაარჩინა (იქნებ ეს ხერხი სულაც წკირობანას თამაში იყო?). მაგრამ ყველაზე დიდი მსხვერპლი სულ მცირე ხანში კარმელიტ ქალთა მონასტრის მღვდლებმა შეიწირეს. ასე დაიღუპა სხვებთან ერთად დედა ლუსია ასემილა უფროსი და დაღუპა გაითქვა სახელი მას შემდეგ, რაც თავის ძველ სექტას — „იაშვეს მოწმეთ“ განუდგა და რომის პაპის მიერ ფრიალ მოწონებული წიგნი დაწერა სათაურით „ნის ჯვარცმის განქიქება“).

მონაზონ ფატიმასა და რიჩარდის სიკვდილი — სიყვარულს ხომ ვერც სისხლი და ვერც მონაზვნის სამოსი შეაჩერებს — კიდევ უფრო ტრაგიკული აღმოჩნდა. ცეცხლი უკვე ლამის მთელი საუკუნე ბრიალებდა. ისინი კი, ერთმანეთს ჩახუტებულნი, უვნებლად იდგნენ, თუმცა მათ ირგვლივ ვინ კვამლისა და ვინ ნანგრევებისაგან იხოცებოდა. ცეცხლი ჩაქრა, შეყვარებულები კი ამ მუგუზღებსა და სქელ კვამლში, ამ სიკვდილის სამეფოში ისევ ისე იდგნენ და ერთმანეთს კოცნიდნენ. როცა წამიერად აქედან გაღწევა შესაძლებელი გახდა, რიჩარდმა წელზე მოხვია ხელი დედა ფატიმას და ცეცხლისაგან დანგრეულ ერთ-ერთ გვერდითა დერეფნისკენ გააქანა. მაგრამ შეყვარებულებმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგეს თუ არა, უეცრივ (რა იყო ეს: უძღები მიწის ვერაგობა? ზეციური მართლმსაჯულება?) მიწა გაიპო მათ ფეხქვეშ. ცეცხლს თურმე დაეწვა გამოქვაბულის თავსახურავი, სადაც კოლონიალური ხანიდან კარმელიტელი მონაზვნები თავიანთ მიცვალებულთა ნეშტებს ინახავდნენ. დასმა (ლუციფერის ნაშობნი ხომ არა?) ქაში ჩავარდა და ძვლების გროვაზე დალიეს სული.

ეშმამ ხომ არ წაიყვანა ისინი? ჯოჯობეთი ხომ არ იქცა მათი სიყვარულის დასასრულად? ან იქნებ დმერთმა შეიბრალა ბედისგან განწირული შეყვარებულნი და თავისთან აიყვანა ცაში? დასრულდა თუ ისევ გაგრძელდა იმ ქვეყნად ეს სისხლის, სიმღერების, მისტიკისა და ცეცხლისგან ნაზავი ამბავი?

XIX

ხავიერმა დილის შვიდზე დაგვირგვა ლიმიდან. თუმცაღა ზუზუნისა და გუგუნის გამო ცუდად ისმოდა ყურმილში, მაინც შევატყვე ხმაზე, რარიგ შემოთეებული იყო.

— სანუგეშო არაფერია, — ნითხრა მაშინვე, — დასტა-დასტა ცუდი ამბებია!

ლიმამდე ორმოცდაათი კილომეტრი აკლდათ თურმე, როცა პატარა ავტობუსი, სადაც ისა და პასკუალი ისხდნენ, გზატკეცილიდან გადავარდა და ქვეშის გროვას დაენარცხა. მათ არაფერი მოსვლიათ, მაგრამ მძლოლი და მეოთხე მგზავრი კი ძალზე დაშავდნენ. ფიქრიც კი ზედმეტი იყო, ამ შუალამისას რომელიმე მანქანა გაეჩერებინათ დახმარების სათბოვრად. თავის პანსიონს ხავიერმა სიჭაგაცლილმა მიაღწია. მაგრამ იქ კიდევ უფრო დიდი ელდა ელოდა: კარებში მკვდარივით გაფითრებული მამაჩემი იდგა, რომელიც დამბაჩით მივარდა ხავიერს და უთხრა, რომ ახლავე ტყვიას დაახლის, თუ ჩემსა და ხულია

— შენს დაიას ღვიძავს, ოღონდ არ ამდგარა, — უთხრა ხულია დეიდას და საწოლ ოთახზე მიანიშნა თავით.

მე კი პატარა სასტუმროში შემიყვანა, საიდანაც მზიან დღეებში რეზუიტთა სემინარია, სანაპირო და ზღვა ჩანდა. ახლა კი სემინარიის კედლები და წითელი კრამიტის სახურავები ნისლში გადაბნეულიყო.

— ყურებს არ აგაგლეჯ, იმ ასაკიდან უკვე გამოსული ხარ, უნდა იცოდე, რომ ღვიძავს და მთელი ღამე არ ეძინა. — ის მაინც თუ გესმის, რა საქმეში გაები?

— ეს ერთადერთი გზა იყო, რომ არ დავეშორებინეთ, — ვუთხარი წინასწარ გამზადებული სიტყვები. — მე და ხულიას ერთმანეთი გვიყვარს. სისულელე არ ჩავიდეხია, ყველაფერი მოვიფიქრეთ და დიახაც დარწმუნებული ვართ, სწორად მოვიქცეთ. მერწმუნე, ჩვენსას გავიტანთ.

— შე ცხვირმოუხაცავო ლაწირაკო, ხელობა კი არადა, მიწის ნაგლეჯიც არ გაგაჩნია საფლავისათვის. უნივერსიტეტი უნდა მიატოვო და წელებზე ფეხი დაიდგა, ცოლი რომ შეინახო, — ბურტყუნებდა თავის ქნევით ძია ლუჩო და თან სიგარეტს უკიდებდა, — შენ ყულფში გაჰყავი თავი. ამის მონელება კი ძნელია. მთელ ჩვენს ოჯახს შენი იმედი ჰქონდა, კაცი გამოვყო. მოდი და არ დაგწყდეს გული, როცა რაღაც ახირების გამო მთელი ცხოვრება გაიფუჭე.

— მეცადინეობას თავს არ დავანებებ, უნივერსიტეტს დავამთავრებ. ყველაფერს ისე გავაკეთებ, რასაც გავაკეთებდი, ცოლი რომც არ მეთხოვა, — მივაგებე ფიცხად. — უნდა დამიჯერო და ნათესავებიც დაარწმუნო. ხულია სიამოვნებით დამეხმარება.

— ყოველ შემთხვევაში, პირველად მამაშენი უნდა დავაწყნაროთ, წყობიდანაა კაცი გამოსული, — ხელდახელ დაშოშმინდა ძია ლუჩო. მან თავისი ვალი მოიხადა, „ყური ამიწია“ და ახლა შეეძლო დამხმარებოდა. — მამაშენს არაფრის გაგონება არ უნდა, იმუქრება, ხულიას პოლიციაში ვუჩივლებო, და ეშმაკმა არ იცის, კიდევ რას.

დავპირდი, მამას მოველაპარაკებო და შევეცდები, ამ საქმეს შევარიგო-მეთქი. ძია ლუჩომ ამხედ-დამხედა: ახლად გამომცხვარ ქმარს არ ეგების ჭუჭყიანი პერანგი ეცვას, უნდა დაიბანო და ტანზე გამოიცვალო, მერე კი შენი ბებრები დაამშვიდეთ, ისე ღელავენ შენს ამბებზეო. ერთხანს კიდევ ფალაპარაკეთ და ყავაც დავლიეთ. ხულია დეიდა არა და არ გამოდიოდა ოღვა ძალოს ოთახიდან. ყური იქით მქონდა: ტირილი, ყვირილი ან ჩხუბი ხომ არ ისმის-მეთქი? მაგრამ იქიდან ჩქამი არ ისმოდა. როგორც იყო, ხულია დეიდა გამოგვეცხადა. გაწითლებული, თითქოს მზეზე იყო დიდხანს ნამყოფი, მაგრამ იღიმებოდა კია.

— კიდევ კარგი, ცოცხალს და უვნებელს გხედავ, — უთხრა ძია ლუჩომ. — თორემ შეგონა, შენი დაია თმით დაგითრევდა.

— ჯერ კინაღამ სილა მღეწა, — გამოტყდა ხულია დეიდა და გვერდით მოგვიჯდა. — რა თქმა უნდა, საშინელი რაღაცები მითხრა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მგონი, თქვენსა დავრჩები, ვინემ ვითარება არ გაირკვევა.

რადიოში უნდა წავიდე-მეთქი, ვთქვი და წამოვდექი. ახლა რომ სამუშაო დამეკარგა, ამაზე საშინელება რაღა იქნებოდა. ძია ლუჩომ კარამდე მიმაცილა, მითხრა, სადილად ჩვენსა მოდიო, და როცა წასვლისას ხულია დეიდას ვაკოცე, თვალი შევასწარ, როგორ ჩაეღიმა.

იქვე კუთხეში პატარა მალაზიისკენ ვავქანდი ჩემს ბიძაშვილ ნანსისთან და-

სარეკად, კიდევ კარგი, თვითონ აიღო მილი. ჩემი ხმის გაგონებაზე ენა ჩაუვარდა. შევთანხმდით, ათი წუთის შემდეგ სალაპარის პარკში შევხვედროდით. იქ რომ მივქანდი, უკვე ადგილზე დამხვდა, ისე აეტანა ცნობის მოყვარეობას. ვინემ თვითონ მომიყვებოდა, ჯერ მე მაამბობინა ჩინჩაში მთელი ჩვენი თავგადასავალი და უამრავი წვრილმანი გამოძიება — მაგალითად, რატომ უნდა ხულია დეიდას ქორწილზე? ნანსის ყველაზე მეტად მოეწონებოდა ქვისკისა (თუმცა არ დამიჯერა) ჩემ მიერ ოდნავ შეცვლილ ვერსიაზე, თუ როგორ მოგვაწერინა ხელი ალკალდმა, ნახევრად ტიტველმა და ფეხშიშველა ზანგმა მეტეკზემ, მხოლოდ ამის შემდეგ მომიყვა ჩვენს ამბებზე სანათესავო განცდები. როგორც ველოდი, ისეც მომხდარა: დარბოდნენ თურმე სახლიდან სახლში, აწყობდნენ ცხარე ოჯახურ თათბირებს, იყო განუწყვეტელი რეკვი, ცრემლების ფრქვევა. როგორც ეტყობა, დედაჩემთან ისე მოდიოდნენ, ისე ამშვიდებდნენ და თანაგრძნობას უცხადებდნენ, თითქოსდა ერთადერთი შვილი დალუბვოდეს. ნანსისაც სული ამოხადეს შეკითხვებითა და მუქარით, შენც მათი კუდი ხარ, ყველაფერი იცი და გვითხარი, სად იმყოფებიანო. მაგრამ ჭნაყას ვერაფერიც ვერ დააცდევინეს, უყოყმანოდ განაცხადა, არაფერი ვიცოდით, და იმდენი ნიანგის ცრემლები დვარა, სანათესავო შეაყოყმანა, იქნებ მართლაც არაფერი იცოდით. მამაჩემის საქციელი ნანსისაც აშფოთებდა.

— არც იფიქრო შეხვდე, ვიდრე არ გადაუვლის, — გამაფრთხილა მან, — ისეა გაცოფებული. შხადაა გაგსრისოს.

ვკითხე ჩემთვის დაქირავებული ბინის ამბავი და მისმა საზრიანობამ კვლავ განმაცვიფრა. თურმე ამ დილას ულაპარაკნია ბინის პატრონთან. იქ შხაპი ყოფილა შესაკეთებელი, კარი გამოსაცვლელი და შესადები, ისე რომ ათი დღე მაინც არ იცხოვრებოდა. გული ჩამწყდა, ჩემი ბებრებისაკენ მიმავალი სულ იმაზე ვფიქრობდი, დალახვროს ეშმაკმა, მთელი ეს ორი კვირა სად შევაფართოთ თავი და სად დავიმალოთ-მეთქი.

ბებია დ ბაბუსათან რომ მივედი, ეს საკითხი გადაწყვეტილი ჯერაც არ მქონდა. დედა იქ დამხვდა. სასტუმროში იჯდა და რომ დამინახა, მყის აქვითინდა, მომეხვია, თვალუბი, ლოყები დამიკოცნა, თმა ამიჩეჩა და ტირილისაგან ჩახრინწყული ხმით უსაზღვრო სიბრაღულით გაუთავებლად მიმეორებდა: „ჩემო ბიჭკო, ჩემო მზეო, ეს რა გიქნეს? ეს რა გაგიკეთა იმ ქალმა?“ თითქმის წელიწადია არ მენახა და ტირილის მიუხედავად შევამჩნიე, რომ უფრო გალამაზებული და გაახალგაზრდავებული ჩანდა. სულით და გულით შევეცადე მის დამშვიდებას, დავარწმუნე, ჩემთვის არავის არაფერი უქნია, ჩემი საკუთარი ნებით ვითხოვე-მეთქი ცოლი. გაგონებაც არ უნდოდა თავისი ესოდენ მოულოდნელად გაჩენილი რძლისა, ყოველ მის ხსენებაზე უფრო და უფრო უიმედოდ ქვითინებდა. შიგადაშიგ ბრაზი მოერეოდა და მაშინ „ეგ ბებერი“, „ეგ უტიფარი“, „ეგ ქმარგაყრილი“, ასე ამკობდა ხულია დეიდას. ამ სურათის შემყურე უეცრივ მივხვდი, რომ ჭორებზე უფრო დედაჩემს რელიგიის ამბავი აწუხებდა, რაიც აქამდე თავში არ მომსვლია. იგი ფრიად მორწმუნე კათოლიკე იყო და ხულია დეიდას ასაკზე უფრო მეტად ის ამბავი აშფოთებდა, რომ ხულია ქმარგაყრილი იყო (მაშასადამე, მეორედ ჯვარს ვეთოარ დაიწერდა).

ბებია-ბაბუსას დახმარებით, როგორც იყო, დავამშვიდე დედაჩემი. ჩემმა ბებრებმა საოცარი თანაგრძნობა, სიკეთე და რიდი გამოიჩინეს. ბაბუამ ჩვე-

ულებრივ შუბლზე მაკოცა და მარტო ეს მითხრა: „კიდევ კარგი, გამოგვეცნადე, პოეტო, თორემ უკვე ვლელავდით“. ბებიას კი გულში დიდხანს გყავდი ჩაკრული, მკოცნიდა და მერე ყურში ეშმაკურად ჩამჩურჩულა: „ხულია როგორ მყავს?“

ტანი რომ დაეიბანე და საცვლები გამოვიცვალე — რა ბედნიერებაა, რამდენიმე დღის ნაცვამ ტანსაცმელს რომ გაიხდი! — დედას ვუღმარებოდა, უკვე აღარ ტიროდა და ბებიას მომზადებულ ჩაის სვამდა. ბებია სავარძლის საბელურზე იჯდა და პატარა გოგოსავით თავზე ეფერებოდა. დედა რომ გამეცინებინა, გავეხუმრე, თუმცა ყოვლად უკბილოდ („დედიკო, შენ მაინც უნდა გიხაროდეს — მე ხომ შენი ძველი მეგობარი შევირთე!“), შემდეგ ყველაზე მტკივნეულ სიმებს შევეხე, დავუფიცე „სწავლას არ მივატოვებ და იურისტის დიპლომს დავიცავ, ან იქნებ პერუელ დიპლომატებზე აზრი შევიცვალო („ეგენი ხომ თუ ჭკუასუსტები არა პედერასტები არიან, დედიკო!“) და სავარჯის საქმეთა სამინისტროში დავიწყო მუშაობა, შენ ხომ სულ ამაზე ოცნებობდი-მეთქი. დედა ნელ-ნელა მოლბა და, თუმცა დამწუხრებულმა, მაინც გამომკითხა უნივერსიტეტის ამბები, რა ნიშნები მივიღე, რას ვაკეთებ რადიოში, საყვედურიც კი მითხრა, რა უმადური ხარ, ასე იშვიათად რომ მწერდი წერილებსო. მამაშენსო, მითხრა, დიდი ელდა მიაყენე: ისიც ოცნებობდა შენს მომავალზე და ამიტომ ნებას არ მოგცემს იმ ქალს გააფუჭებინო შენი ცხოვრებაო. უკვე ვეჭილებს ელაპარაკა. შენი ქორწინება ნამდვილად არ ჩართვლება, ნისი ჩაშლა შეიძლებაო. ხულია დეიდას კი შესაძლოა ბრალად დადონ მცირეწლოვანთა გახრწნაო. მამა ისეა განრისხებული, შენი ნახვაც არ უნდა, შეიძლება რამე საშინელება ჩაიდინოსო, ასე ითხოვს, თუ ხულია დეიდა დაუყოვნებლივ აქედან არ გაემგზავრა, დიდი უსიამოვნება შეხვდებაო.

მე და ხულია დეიდამ სწორედ იმიტომ მოვაწერეთ ხელი, ერთმანეთს არ დავშორებოდით, გუბასუხე მე, ამიტომ ჩემს კოლს ქორწინებიდან რაღაც ორი დღის შემდეგ ასე ადვილად ვერ გაისტუმრებს-მეთქი საზღვარგარეთ, მაგრამ დედამ დავა არ დამაცალა: „ხომ იცი მამაშენის ამბავი, თუ არ დაუჭერე...“ — ამ სიტყვებზე შიშით გადაატრიალა თვალები. ბოლოს ვუთხარი, სამუშაოზე მაგვიანდება და მერე ვილაპარაკოთ-მეთქი. გამოთხოვებისას კი ისევ ჩემს მომავალზე ჩამოვუგდე სიტყვა, შევეცადე იმ დაპირებით მენუგეშებინა, ვეჭილის დიპლომს მივიღებ-მეთქი.

ლიმის ცენტრისკენ მიმავალ ავტობუსში ავმა წინათგრძნობამ ამიტანა: ვაითუ ჩემს საწერ მაგიდასთან სხვა ვიღაც დამხვდეს-მეთქი? სამუშაოზე სამი დღე არ ვყოფილვარ, გარდა ამისა, უკანასკნელი სამი კვირა ჩემს საქორწინო ამბებზე სირბილის გამო რადიომიმობილვები სულ მივაგდე და პასკუალმა და დიდმა პაბლიტომ, ვინ იცის რა უბედურება დაატრიალეს. უფრო და უფრო მაშინებდა ის ამბავი, ჩემი პირადი ცხოვრების სხვა გართულებების გარდა რას მიქადდა სამსახურის დაკარგვა. ჰოდა, ხენაროს ვაჟის და ხენაროს მამის გულის ასაჩვილებლად ათასნაირ მიზეზებს ვთხზავდი გუნებაში. „პანამერიკანის“ შენობაში რომ შევედი გულის კანკალით, თავხარი დამეცა, როცა ლიფტში პროგრესისტი იმპრესარიოს ცხვირწინ აღმოვჩნდი. მაგრამ იგი ისე მომესალმა, თითქოს ათი წუთის წინ დავშორებოდეთ ერთმანეთს. დადინჯებული იყურებოდა.

— უბედურება მოხდა, — მითხრა და ისე მწუხარედ გადააქნია თავი, თი-

აქოსდა ერთი წუთის წინ გველაპარაკოს ამ ამბავზე. — მირჩიე, ახლა რა გზას დავადგეთ? იგი საავადმყოფოში დავაწვინეთ.

ხენაროს ვაჟი მეორე სართულზე გამოვიდა ლიფტიდან, მეტი (ამ წუთიერ ლაპარაკისას სახე შევიწუხე და ჩავიბურღულხე: „აფსუს, დასწყევლის ეშმაკი!“ — თითქოსდა ვიცოდი, რაზე იყო საუბარი) სიხარულში ამბობდა: რაღაც ისეთი მოხდა, ჩემი არყოფნა არავის შეუმჩნევია-მეთქი. ჩვენს ქანდაკებაზე პასუხალი და დიდი პაბლიტო იხდნენ და დამწუხრებულნი უსმენდნენ ხენაროს ვაჟის მდივანს — ნელის. ძლივს მომესალმნენ, ჩემი დაქორწინების ამბავზე არც წაუჭილიკებიათ, ისე მიმხერდნენ, თითქოს ვერც მხედავდნენ.

— პედრო კამაჩო საგიჟეთში წაიყვანეს, — წაიდუღუნა ხმაგაბზარულმა დიდმა პაბლიტომ. — დიდი სამწუხარო ამბავია, დონ მარიო.

სამივემ, მეტადრე ნელიმ, რომელიც დირექციაში იყო მოწმე ამ ამბებისა, დაწვრილებით ჩამომიყაჭა ყველაფერი. ეს მაშინ დაწყებულა, მე რომ ჩემს საქორწინო ამბებზე დავრბოდი. დასასრულის მაუწყებელი ის უბედურებანი. ხანძრები, მიწისძვრები, რკინისგზასა თუ ზღვაზე მომხდარი კატასტროფები გამოდგა, რომლებმაც ვაავსეს მთელი რადიოდადგმები და რამდენიმე წაშში ათობით გმირს სიცოცხლეს ასალმებდნენ. ამჯერად „რადიოსენტრალის“ მსახიობებიცა და ტექნიკური თანამშრომლებიც შეშინდნენ თურმე, ვეღარ შესძლეს ძველებურად დაეცვათ მოკალმე, მიეჩქმალათ რადიომსმენელებისაგან გამოგზავნილი აღშფოთებანი და გაოცებული შეკითხვები, ორივე ხენაროს ყურამდე რომ არ მიედწია. თავის მხრივ იმათაც მიუქცევიათ ყურადღება გაზეთებისათვის, სადაც რამდენიმე დღის მანძილზე რადიოდადგმების კომენტატორები მასხარად იღებდნენ პედრო კამაჩოს უბედურ შემთხვევებს. მამა-შვილმა ხენაროებმა დაიბარეს თურმე მოკალმე და დიდი სიტუტხილით, რათა ძარღვები არ აშლოდა და წონასწორობიდან არ გამოსულიყო, დაჰკითხეს ბოლივიელი, მაგრამ გაცხარებული საუბრისას მსახიობს ნერვიული კრუნჩხვები მოსვლია და კაცი „მოტყდა“. როგორც გამოირკვა, უბედურებანი სტრატეგიული ხერხი ყოფილა, რათა ძველი ამბები ისევ თავიდან დაეწყო. მოკალმისთვის მეხსიერებას უღალატნია, უკვე აღარ იცოდა, რა ამბავი როდის მოხდა, ვინ იყვნენ და საიდან გაჩნდნენ მისი გმირები, არ ახსოვდა მავანი და მავანი გმირი რომელი ეპიზოდიდან იყო. „ბოლივიელი ქვითინითა და თმის გლეჯით გამოტყდა, — ირწმუნებოდა ნელი, — რომ ამ რამდენიმე უკანასკნელ კვირას მთელი სიცოცხლე, სამუშაო, ღამეები ერთიან წამებად ექცა. მამა-შვილმა ხენაროებმა ლიმის ცნობილ ექიმ ინორიო დელგადოს გაასინჯეს პედრო კამაჩო და იმანაც მაშინვე თქვა: მოკალმე მუშაობას ვეღარ შესძლებს — მის გამოფიტულ ტვინს რამდენიმე ხანი დასვენება სჭირიაო“.

ტელეფონმა რომ დარეკა, ჩვენ კვლავ ნელის ვუსმენდით. ხენაროს ვაჟს თურმე ჩემი ნახვა უნდოდა სააწრაფოდ. მის კაბინეტში რომ ჩავედი, დარწმუნებული ვიყავი, თუ სხვა არა, ჰკუის დარიგებას მაინც დამიწყებს-მეთქი. მაგრამ, როგორც ლიფტში, ახლაც გულლიად შემხვდა, ალბათ ეგონა, მისი ყველა გასაჭირი უკვე ვიცოდი. რამდენიმე წუთის წინ ტელეფონით ულაპარაკნია პავანასთან და ახლა ერთ წყევლა-კრულვაში იყო — სმოს რადიოკომპანიამ ეასაჭირში რომ ნახა, თავის რადიონაწარმოებებში ოთხჯერ მეტი ფასის აფექება მოუნდომა.

— ბედი არ გინდა! ჩვენს რადიოპროგრამებს ყველაზე ბევრი მსმენელი

ჰყავდა რეკლამის შემკვეთნი თავს იკლავდნენ, ამ გადაცემებისას ჩაგვერთო მათი რეკლამები! ეს რა უბედურებაა! — იძახდა იმპრესარიო და ქალაღებში იქექებოდა. — ჩვენდა სამწუხაროდ, ისევ იმ სმოელ ზვიგენებს ხელში უნდა ჩავვარდეთ!

ვკითხე, პედრო კამაჩო როგორ არის, თუ ნახეთ ანდა როდის შეძლებს საქმეს დაუბრუნდეს-მეთქი.

— მაგისი საქმე წასულია, — წაიბუზღუნა ხენაროს ვაჟმა ჯერ ბრაზით, მაგრამ მერე მაინც მოლბა: — ექიმ დელგადოს აზრით პედრო კამაჩოს ფსიქიკა დარღვეული აქვს. დიახ, დარღვეული! გესმის, ეს რას ნიშნავს? ეს ნიშნავს — სული დაეწეწა, ტვინი დაუღპა თუ რაღაც მსგავსი. მამაჩემმა ექიმს ჰკითხა, რამდენ თვეში გამოჯანმრთელდებაო, იმან კი უპასუხა: თვე კი არადა, რამდენიმე წელი მოუნდებაო. აზრზე ხარ? — ამის თქმაზე დაღვრემით ჩაჰკიდა თავი. მერე კი ნათელმხილველივით დამიწყო მტკიცება, ამ ამბავს რა მოჰყვება: რეკლამის შემკვეთნი რომ გაიგებენ, სცენარებს ისევ სმოდან ვიღებთ, ხელშეკრულებებს გაგვიუქმებენ ან არადა, ორმოცდაათი პროცენტით დაკლებას მოგვთხოვენ. მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ახალი სცენარები მხოლოდ სამი-ოთხი კვირის შემდეგ მოგვივა, ვინაიდან კუბაში გაუგონარი რაღაც ხდება, იქ დიქტატორული რეჟიმის ტერორი მეფობს პარტიზანული მოძრაობის წინააღმდეგ, სმოს კომპანიაც შავ ღლეშია, მისი რამდენიმე თანამშრომელი უკვე ციხეში ზის თურმე, საერთოდ აირია ყველაფერი. მაგრამ გაფიქრებაც არ შეიძლება მსმენელების მთელი თვე რადიოდანგმების გარეშე დატოვებაზე, „რადიო სენტრალი“ თავის მსმენელთ დაკარგავს და მათ რადიოსადგური „კრონიკა“ ან „რადიო კოლონიალი“ გადაიბირებს. კიდევ ჰო-ჰი შეუყენეს ხენაროს, არგენტინელთა ნაწარმს რომ მიმართეს.

— ჰოდა, სწორედ ამ საქმეზე დაგიბარე, — დასძინა ხენაროს ვაჟმა და ისე შემომხედა, თითქოს პირველად ახლა დამინახა. — უნდა დაგვეხმარო, შენ ხომ თითქმის ინტელექტუალი ხარ, ეს საქმე არ გაგიძნელდება.

თურმე საჭირო იყო „რადიო სენტრალის“ სარდაფების გადაქექვა, სადაც პედრო კამაჩოს გამოჩენამდე მოსული ძველი ხელნაწერები ინახებოდა, და ვიდრე სმოდან ახალი ხელნაწერები მოვიდოდა, იმის გარკვევა, მათგან რომელი გამოდგებოდა.

— რა თქმა უნდა, გარჯას აგინაზღაურებთ, — დააზუსტა ჩემმა პატრონმა. — ჩვენ აქ ხალხს არ ვჩაგრავთ.

უსაზღვროდ მადლიერი დავრჩი ხენაროს ვაჟისა და დიდადაც თანავუგრძნობდი. იმხანად ზედმეტი ასი სოლი ჩემთვის ბედნიერება იყო. კაბინეტიდან რომ გამოვდიოდი, მისი ხმა მომესმა:

— ვიცი, ვიცი, ცოლი რომ შეირთე, — მივიხედე და დავინახე, მზიარულად რომ დამიქნია თავი, — მაინც რომელი გაუბედურდა? მგონი, ქალი, არა? მომილოცნია, მომილოცნია, როგორმე უნდა დავასველოთ ეგ ამბავი.

ჩემს პაწია ოთახიდან ხულია დეიდას დავურეკე. მისი სიტყვებით ოლგა ძალის ბრაზმა ცოტა გადაუარა, მაგრამ მაინც სულ გაოცებული იძახის თურმე: არა, ნამდვილად ჰკუთაზე შეიშალეო, ხულია დეიდას დიდად არ დასწყდომია გული იმაზე, რომ ბინა მზად არ იყო („თუ ამდენი ხანი ცალ-ცალკე გვეძინა, ვარგითას, როგორმე ორ კვირასაც გავძლებთ!“) მითხრა, წყლის გადავლების და საცვლების გამოცვლის შემდეგ უფრო იმედიან გუნებაზე ვა-

რო. გავაფრთხილე, დღეს რომ ერთად ვერ ვისადილებდით, რადგან რადიოსცენარების მთელი დასტა უნდა გადამესინჯა, საღამოს კი უთუოდ ვნახავდი. გადაცემა და კიდევ ორი რადიომიმოხილვა რომ მოვამზადე, „რადიო სენტრალის“ სარდაფებში ჩავედი. ეს ჩაუამებელი გამოქვაბული აბლაბუდებს აევსო. სიბნელეში თავები დარბოდნენ, ყველგან ფუთებად შეჭრულად — ცალ-ცალკე თუ დასტა-დასტად დაწყობილი ქალაქები ეყარა. მტვერმა და მინახტემ მაშინვე ცხინკება დამაწყებინა. აქ მუშაობა შეუძლებელი იყო, ამიტომ მთელი ბლუჯა ქალაქებისა პედრო კამაჩოს სენაკში ავათრიე და იმ ნაგებობას მივუჭექე, მისი საწერი მაგიდა რომ ერქვა. მოკალმისაგან კვალიც აღარ დარჩენილიყო: არ ჩანდა არც ციტატებისა და ნათქვამთა კრებული, არც ქალაქ ლიოსას გეგმა, არც სოციო-ფსიქო-რასიული კარტოთეკა.

სმოს სცენარები მთლიანად გაეფუჭებინა ნესტს, ტექსტი წაშლილი იყო, თავგვებსა და ტარაკანებს მთელი გვერდები შემოეღრღნათ და გაებინძურებინათ, თანაც პედრო კამაჩოს ამბებივით არეულ-დარეულიყო. აქედან ვერაფერს გამოარჩევდი, დიდი-დიდი ისეთი გვერდები გამოგენახა, რომელთა წაკითხვაც შეუძლებოდა. მთელი სამი საათი ცხინკება-ცხინკებით რომ ვიცურე სმოს გმირების განცდათა ამ დათაფლულ ზღვაში თუნდაც რაიმე რადიოთეატრალური თავსატეხის შესათითხნად, უცებ გაიღო კარი და ხავიერი გამომეცხადა.

— ამისთანა არაფერი გამიგია! საკუთარი გაჭირვების გარდა პედრო კამაჩოს სიგიჟე გაკლდა ახლა. ეს წუთია შენი ბებრებიდან, ბებია-ბაბუისაგან მოვდივარ, აჰა, ნახე, რა ხდება შენ ირგვლივ, და შეძრწუნდი! — მითხრა აღშფოთებულმა და მელოდრამებით გავსებულ მაგიდაზე ორი კონვერტი დამიგდო ერთში მამაჩემის მიერ წუხელ დატოვებული წერილი იდო. აი, რას მწერდა:

„მარიო! თუ ორმოცდარვა საათში მაგ ქალმა არ დაიჯერა და აქაურობა არ დატოვა, გავლენიანი ხალხის დახმარებით ყველა საშუალებას ვიხმარ და უტიფრობას მწარედ ვანანებ. შენ რაც შეგეხება, მინდა იცოდე: მე იარალი მაქვს და ნებას არ მოგცემ მასხარად ამიგდო. თუ არ დამიჯერებ — ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით — და ის ქალი დათქმულ დროზე არ წავა, ქუჩაშივე ხუთ ტყვიას დაგახლი და ძალლივით გაგაგორებ“.

მამაჩემს ორივე გვარი! მოეწერა, რიცხვი დაესვა და ესეც მიეწერა: „თუ ვინდა პოლიციას მიმართე, რომ დაგიცვას. ისე კი, შენთვის რომ ყველაფერი გასაგები იყოს, კიდევ ერთხელ ხელს ვაწერ ჩემს განზრახვას, სადაც არ უნდა იყო, ძალლივით გაგაგორო“. მამას მართლაც მეორედ მოეწერა ხელი კიდევ უფრო მეტი სიმტკიცით, ვინემ პირველად. მეორე კონვერტი ნახევარი საათის წინ მიუცია ბებიაჩემს ხავიერისთვის. წერილი პოლიციიდან იყო, მირაფლორესის კომისარიატში ხვალ დილის ათა საათისთვის უნდა გამოვცხადებულყავი.

— წერილს კიდევ რა უშავს. მე რომ გუშინ მამაშენი ვნახე, მაგ მუქარას ნაღდში შეასრულებს, — დამამშვიდა ხავიერმა და რაფაზე მოიკალათა. — ახლა რა ვქნათ, ძმაკაცო?

— პირველ ყოვლისა ვეჭილს უნდა დავეკითხოთ, — ამის მეტი სხვა ვერაფერი მოვიფიქრე, — ქორწინებისა თუ სხვა დანარჩენის თაობაზე. ხომ არ იცი ისეთი ვინმე, უფასოდ რომ მიგვიღოს ან გვენდოს ვალი?

¹ ლათინელი ამერიკელები ორივე გვარს ატარებენ, მამისა და დედის.

მე და ხავიერმა მის ნათესავ ახალგაზრდა ვეჭილთან გავსწიეთ, ვისთანაც ერთად მირაფლორესის პლაჟზე რამდენჯერმე გვიტარებია დრო. დიდი თავაზით შეგვხვდა, ჩინჩას ამბებზე ბევრი იცინა და კიდევაც ოხუნჯურობდ გამოკრა კბილი. ვეჭილმა აგვიხსნა: ქორწინება არ შეიძლება ნამდვილად არ ჩავთვალოს, მაგრამ არანამდვილად კი შეიძლება გამოცხადდეს, ვინაიდან ჩემს დაბადების მოწმობაში წლებია გადაკეთებული. მაგრამ ეს საქმე სასამართლოში უნდა გაირჩეს, ხოლო საქმე თუ აქამდე არ მივა, ორი წლის შემდეგ ქორწინება მისდათავად ძალაში შევა და მისი გაუქმება შეუძლებელი იქნება. რაც შეეხება ხულია დეიდას, მას შეიძლება მართლა დაბრალდეს „მცირეწლოვანთა განზრუნა“. თუ ამაზე პოლიციაში განაცხადებენ, შეიძლება დროებით ციხეშიაც ჩასვან. ცხადია, ამ შემთხვევაში სასამართლო შედგება, მაგრამ ვეჭილმა დაგვარწმუნა, რომ ამ შემთხვევაშიაც ანუ, თუ გავითვალისწინებთ, რომ თვრამეტი წლისა ვარ და არა თორმეტის, ბრალდება ვერ გაიმარჯვებს: ყველა სასამართლო მე გამამართლებს.

— ასეა თუ ისე, მამაშენმა რომ მოინდომოს, ხულიტას რამდენიმე ფრიად უსიამო წუთს განაცდევინებს, — დაასკვნა ხავიერმა, როცა რადიოსადგურისკენ მოვდიოდით. — მართლა თუ ჰყავს მთავრობაში ხალხი?

ვერაფერს ვიტყვოდი. მამაჩემის მეგობრებში მართლა შეიძლება აღმოჩენილიყო ვინმე გენერალი ან თვითონ ყოფილიყო ვინმე მინისტრის ახლობელი. პოდა, უცებ გადავწყვიტე: ხვალამდე აღარ დავუცდი იმის გამორკვევას, რა უნდა ჩემგან პოლიციას. ხავიერს ვთხოვე დამხმარებოდა „რადიო სენტრალის“ რადიოდრამების ქაღალდების ზღვაში რაიმე შესაფერისი გამომეძებნა და პოლიციის ამბავი დღესვე გადამეწყვიტა. ხავიერი დამეთანხმა და დამპირკიდევ: თუ ციხეში ჩავსვს, ვინახულებ და მუდამ სიგარეტებს მოგიტან ხოლმეო.

საღამოს ექვს საათზე ხენაროს ვაყს ორი ძლივძლივობით შეკოწიწებული რადიოდრამა გადავეცი, ვუთხარი, ხვალაც კიდევ სამს მოგცემ-მეთქი, მერე პაიპარად გადავიკითხე შვიდი და რვა საათისთვის შედგენილი ცნობები, პასკუალს დავპირდი, „პანამერიკანის“ რადიოსადგურში დავბრუნდები-მეთქი, და ნახევარი საათის შემდეგ მე და ხავიერი უკვე მირაფლორესის საპოლიციო კომისარიატში ვიყავით, 28 ივლისის სახელობის სანაპიროზე. კარგა დიდხანს ვიცადეთ, ვინემ კომისარი მიგვიღებდა. მას მაიორის ფორმა ეცვა და პიპიდან¹ იყო. ამ დილას თურმე მამა ყოფილა აქ და უთხოვია, ჩემთვის ოფიციალური ჩვენება ჩამოერთმიათ მომხდარო ამბის თაობაზე. კომისარს წინ ფურცელი ედო ხელით ჩამოწერილი კითხვებით, თუმცა ჩემს პასუხებს საბეჭდ მანქანაზე სამოქალაქოში ჩაცმული პოლიციელი ბეჭდავდა. ამან კი ძალიან ბევრი დრო წაიღო, ვინაიდან პოლიციელი ვერაფერი შვილი მბეჭდავი იყო. მე ვაღიარე, რომ ცოლი ვითხოვე (თან ფიცხად გავუსვი ხაზი, „ჩემი ნებითა და სურვილით-მეთქი“), მაგრამ უარი განვაცხადე მეთქვა, სად და რომელ მუნიციპალიტეტში, არ დავასახელე მოწმეებიც. კითხვები თითქოსდა ვილაკ კვიმატ მწერავს შეეთითხნა: უნდა მეთქვა ჩემი დაბადების წელი და იქვე (თითქოს წინა კითხვიდან ეს არ გამომდინარეობდა), ვარ თუ არა სრულწლოვანი, სად და ვისთან ვცხოვრობ. ცხადია, მკითხეს ხულია დეიდას ასაკიც (მას კომისარი „დო-

¹ პერუს სამხიებლო პოლიცია.

ნია ხულიად“ იხსენიებდა), მაგრამ ამ უკანასკნელი კითხვის პასუხზეც უარი დავარტყი, მანდილოსნის ასაკზე ლაპარაკი ვერაფერი საკადრისა საქციელია-მეთქი. ჩემმა პასუხმა ბავშვური ცნობისწადილი აღუძრა ორივე პოლიციელს და, როცა ხელი მოვაწერე ჩემს განცხადებას, მამაშვილურად მკითხეს („წმინდაწყლის ცნობისმოყვარეობის გამო“), რამდენად იყო „მანდილოსანი“ ჩემზე უფროსი. კომისარიატიდან რომ გამოვედით, ანაზღად სარცრად დათრგუნულად ვიგრძენი თავი — ასე მეგონა, თითქოს კაცი მომეკლას ან ვილაც გამეჭურდოს.

ხავიერის ფიქრით შეცდომა ჩავიდინე, როცა უარი ვთქვი იმ ადგილის დასახელებაზე, სადაც ხელი მოვაწერე, მამაშენი ამას გამოწვევად შერაცხავს და განრისხდებაო. მეტადრე, რომ ჩემს უარს აზრი არ ჰქონდა. რამდენიმე დღეში სულ ადვილად შეიძლებოდა იმის დადგენა, ეს მუნიციპალიტეტი სად იმყოფებოდა. ძალიან არ მინდოდა ასეთ გუნებაზე სალამოს რადიოში დავბრუნებულიყავი და ძია ლუჩოსთან წავედი. კარი ოღვა ძალომ გამიღო. ფრიად ცივად შემხვდა, გამანადგურებელი მზერა მესროლა, თუმცა კრინტი არ დაუძრავს და ლოყაც მომიშვირა საკოცნელად. ძია ლუჩო და ხულია დეიდა სასტუმრო ოთახში ისხდნენ. ერთი შეხედვით მივხვდი, საქმე რომ ვერ იყო კარგად. ვიკითხე, რა მოხდა-მეთქი.

— ცუდი ამბებია, — მითხრა ხულია დეიდამ და თითები თითებზე გადამაწნო. თვალი ვკარი, რა უსიამოვნოდ შეტოკდა ოღვა ძალო. — ჩემი მამამთილი პერუდან გაძევებას მიპირებს, როგორც არასასურველ არსებას.

თურმე ძია ხორხე, ძია ხუანი და ძია პედრო ამ სალამოს მამაჩემს შეხვედრიან და თავხარდაცემულნი დაბრუნებულან მისგან, მამაჩემის გაქვავებული მზერა, ცივი გაცოფება და ლაპარაკი აშკარად აჩენდა, რა მტკიცეც იყო მისი გადაწყვეტილება. მამას გადაჭრით განუცხადებია: ან ხულია დეიდა ორმოცდარვა საათში დატოვებს პერუს ან ყველაფერი თავის თავს დააბრალოსო. მამა მართლა დიდი მეგობარი იყო დიქტატორული მთავრობის შრომის მინისტრისა, ეტყობა, ერთად სწავლობდნენ — გენერალს, გვარად ვილიაკორტს, თურმე ელაპარაკა კიდევ და გადაწყვიტეს, თუ ხულია დეიდა თავისი ნებით არ წავიდოდა, თვითმფრინავამდე ჯარისკაცთა ჯგუფი გააცილებდა. ხოლო თუ მე არ დავემორჩილე, ძვირადაც დამიჯდება ეს ამბავი.. როგორც ხავიერის-თვის, ისე ბიძაჩემისათვისაც უჩვენებია მამაჩემს რეჟოლვერი. სურათის შესავსებად ჩემი მხრივ მამაჩემის წერილი ვაჩვენე და პოლიციაში დაკითხვის ამბავიც მოვყევი. წერილმა ჩვენდა სასიკეთოდ გადაჭრა საქმე: ძიამ და ძალომ ჩემი მხარე დაიჭირეს. ძია ლუჩომ ყველას ვისკი დაგვისხა და, რომ ვსვამდით, ოღვა ძალოს უცებ აღშფოთების ცრემლები წასკდა: ეს რასა ჰგავს, ისეთი რა ბოროტება ჩაიდინა ჩემმა დამ, რომ პოლიციით ემუქრებიან, ჩვენი ოჯახი ხომ ბოლივიაში ერთ-ერთი საუკეთესო ოჯახი იყო!

— სხვა გზა არაა, ვარგიტას, უნდა გავემგზავრო! — მითხრა ხულია დეიდამ და ძია ლუჩოსა და ოლლა ძალოს გადახედა. მივხვდი, უკვე ელაპარაკათ ამის თაობაზე, — ასე ნუ მიყურებ, არც პირი შეგვიკრავს და არც სამუდამოდ მივემგზავრები. ვინემ მამაშენს ბრაზი არ გაუვლის და ახალ-ახალ აურზაურს არ მოაწყობს, ასე სჯობია.

მართლაც სამივეს ემსჯელათ ამ საკითხზე და ბოლოს შეთანხმებულან, ხულია დეიდა ბოლივიაში კი არა, ჩილეში წავიდოდა, ვალპარაისოში, სადაც

მათი ბებია ცხოვრობდა, და მანამდე დაჰყოფდა იქ, ვიდრე ვნებათაღელვა არ ჩაცხრებოდა და ვიდრე არ გამოვიძახებდა. მაშინვე უარი დაფრტყი, ხულია დეიდა უკვე ჩემი ცოლია, იმიტომ ვითხოვე, ერთად ვიყოთ, ხულია თუ ასე წავა საქმე, მაშინ ორივე გავემგზავრებით-მეთქი. რამდენი გაქვს ფული, რომ გავემგზავრო და საზღვარგარეთ იცხოვროო, მკითხეს უკვე ფული იმდენი მქონდა, სიგარეტებზე თუ მეყოფოდა, ისიც მხოლოდ ვერ მოვიხსნე დაქვარწინებამ და ბინის ქირამ რადიოში მიღებული ბე, კოსტიუმების გაყიდვითა და ლომბარდში დაგირავებით ნაშოვნი ფული ხელდახელ ვააქრო).

— ჩვენ უკვე ცოლ-ქმარი ვართ, ამას ვერავინ წაგვართმევს, — მეუბნებოდა თვალცრემლიანი ხულია დეიდა, თან თმას მიჩეჩდა და მკოცნიდა. — მხოლოდ რამდენიმე კვირით, პო, ვთქვათ, რამდენიმე თვით თუ დავშორდებით, რადგან არ მინდა ჩემი გულისთვის ტყვია გახალონ.

სადილზე ძია ლუჩომ და ოლგა ძალომ გადმომილაგეს თავისი დასაბუთებანი: რომ ახლა ქკუის დატანება მძარტებს, როცა ჩემი უკვე გავიტანე და ცოლი ვითხოვე. სჯობს დროებით დათმობაზე წავიდე, რათა გამოუსწორებელი ამბავი არ მოხდეს. მათიც უნდა გავიგო — როგორც ხულია დეიდას და დასიძე, ფრიად საჩოთირო დღეში ჩაცვივდნენ მამაჩემისა და სხვა ნათესავების წინაშე, ვერც ხულიას გამოქომაგება შეძლეს და ვერც გაკიცხვა. ორივე დამეხმარება, თლონდ ახლა მეც რაღაც უნდა ვილონო. ვინემ ხულია დეიდა ვალპარაისოში იქნება, სხვა სამუშაო უნდა მოვძებნო, ვინაიდან, დასწყევლის ეწმაკი და, რა ფულით ვიცხოვრებთ, ვინ შეგვანახავს? მამაჩემი კი ბოლოს და ბოლოს დაწყნარდება და მომხდარ ამბავს შეურიგდება.

შუალამისას ძიამ და ძალომ იმდენი სიკეთე გამოიჩინეს, დასაძინებლად წავიდნენ, მე და ხულია დეიდა კი ერთმანეთს ვესიყვარულებოდით და თან ყოველ ჩქამს შიშით ვაყურადებდით, ტანთ არც გაგვიხდია, — როგორც იყო, დავთანხმდი, ვინაიდან სხვა გამოსავალი არც გვქონდა. მეორე დღეს გადავწყვიტეთ ლა პლასის ბილეთი ჩილეზე გადაგვეცვალა. ნახევარი საათის შემდეგ უკვე მირაფლორესის ქუჩებში მივაბიჯებდი, ჩემი ბებრებისკენ, ჩემს მარტოხელა ოთახში, უძღური და გამწარებული. თავბედს ვიწყევლიდი, რომ თუნდაც რევოლვერის საყიდლად შაურიც არ გამაჩნდა.

ხულია დეიდა ჩილეში ორი დღის შემდეგ უნდა გამგზავრებულიყო. თვითმფრინავი ალიონზე მიფრინავდა. ავიოკომპანიას უარი არ განუცხადებია ბილეთის გაცვლაზე, მაგრამ განსხვავების საფასური კი გადაგვახდევინა იმ ათას ხუთასი სოლიდან. პასკუალმა რომ გვასესხა (კინალამ ამატირა, როცა მითხრა, შემნახველ სალაროს წიგნაკზე ხუთი ათასი სოლი მაქვსო. მისი ჯამაგირის პატრონისათვის კი ეს ჭეშმარიტი გმირობა იყო). ხულია დეიდასთვის რომ ცოტა ფული გამეტანებინა, ლა პასის ქუჩაზე ბუკინისტს უქანასკნელი წიგნები წავუდე, სამართლის კოდექსისა და სახელმძღვანელოების ჩათვლით, და მიღებული თანხა ორმოცდაათ დოლარზე გადავახურდავე.

აეროპორტში ოლგა ძალო და ძია ლუჩოც წამოგვეყვნენ. წინა ღამეს მათთან დავრჩი. მთელი ღამე არ გვძინებია, არც გვისიყვარულებია ერთმანეთთან. როცა ნავაზშმევს ძია და ძალო გავიდნენ, ვუყურებდი, ხულია დეიდა როგორ კოხტად აწყობდა თავის ბარგს ჩემოდანში, მერე კი ჩაბნელებულ სასტუმროში სამი-ოთხი საათი ჩახუტებულნი და თითებგადაწნულნი ვისხედით ერთ სავარძელში და ჩუმად ვლაპარაკობდით. შიგადაშიგ ლოყა-ლოყა მიკრუ-

ლნი ერთმანეთს ვკოცნიდით, მაგრამ მეტწილად კი ვაბოლებდით და იმაზე ვმსჯელობდით, როგორ მოვეწყობით, როცა ხელახლა ერთად ვიქნებით, როგორ დამეხმარება მუშაობაში და, ასე იქნება თუ ისე, ადრე თუ გვიან, პარიზში გავემგზავრებით, სადაც მანსარდაში ვიცხოვრებთ და სადაც ბოლოს და ბოლოს მწერალი გავხდები. ვუამბე მისი თანამემამულე პედრო კამაჩოს ამბავი, რომელიც ახლა საგიჟეთში ზის, შეშლილებს შორის და მალე მათსავით ისიც შეიშლება. მოვილაპარაკეთ, რომ ყოველდღე მივწერთ ერთმანეთს გრძელ-გრძელ წერილებს ჩვენს საქმეებზე, ფიქრებსა და გრძნობებზე. დავპირდი, მისი დაბრუნებასთვის ყველაფერს მოვაგვარებდი და იმდენს ვიშოვიდი, შიმშილით არ მოვმკვდარიყავით. როცა დილის ხუთზე მალვიძარამ დარეკა, ჯერაც გული ღამე იყო. ერთი საათის შემდეგ ლიმატამბოს აეროპორტში რომ მივედით, მაშინლა ირიურაჟა. ხულია დეიდას ცისფერი კაბა ეცვა, მე რომ ასე წიყვარდა, და ძალზე მომხიბლავი ჩანდა. თითქოს დინჯად გამომეთხოვა, მაგრამ ხომ ვგრძნობდი, როგორ კანკალებდა, როცა მკლავებში მოვიმწყვდიე, ხოლო აეროპორტის გაღვრეადან ტრაპზე ამავალი რომ დავინახე მზის პირველ სხივებში, ყელში რაღაცამ წამიჭირა და თვალები ცრემლით ამევსო.

ხულია დეიდას გადასახლება თვე და თოთხმეტი დღე გაგრძელდა ჩილეში. ეს ექვსი კვირა ჩემთვის გადამწყვეტი გამოდგა. ლამის სიგიჟემდე და გაცოფებამდე მივიყვანე ჩემი ხვეწნა-მუდარით ნაცნობ-მეგობრები თუ თანაკურსელები, დამეხმარეთ-მეთქი, და შვიდი სამუშაო ადგილი ვიშოვნე („რადიო პანამერიკანის“ ჩათვლით). ერთი სამუშაო ეროვნული კლუბის ბიბლიოთეკაში მქონდა, რადიოსადგურის გვერდით, სადაც ყოველდღე, დილის მიმოხილვითა შორის, ორი საათი ახლად შემოსულ წიგნებსა თუ ჟურნალებს აღვნიშნავდი და ადრე მიღებულ გამოცემათა კატალოგს ვადგენდი. სან-მარკოსის უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორმა, ვისაც მუდამ ფრიალზე ვაბარებდი საგნებს, თანაშემწედ ამიყვანა. სამიდან ხუთამდე მასთან უნდა ვყოფილიყავი შინ, მირაფლორესის უბანში, და საგაზეთო ქრონიკიდან გარკვეული მასალები შემერჩია პერუს ისტორიის კრებულითათვის — პროფესორს კონსისტობასა და ესპანეთის მეფის ულლისგან განთავისუფლებისათვის ბრძოლის თავების შედგენა ჰქონდა დავალებული. მაგრამ ჩემს ახალ სამუშაოთა ნუსხაში ყველაზე ცინცხალი სტრიქონი პერუს საზოგადო-საქველმოქმედო ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულება იყო. მოძღვარ-ღვთის მსახურის სასაფლაოზე კოლონიალური ხანიდან რამდენიმე სამარხი იყო დარჩენილი, რომელნიც სააღმოსავლეთო დავთრებში შეტანილი არ აღმოჩნდა. ჩემს საქმეს შეადგენდა საფლავის წარწერათა გაშიფრვა და მიცვალებულთა სიების შედგენა დაბადება-გარდაცვალების წლების მიხედვით. ეს საქმე, როცა მინდოდა, მაშინ შემეძლო მეკეთებინა და ფულსაც ნარდად მაძლევდნენ. თითო მიცვალებულში თითო სოლს. ამ სიებზე სადამოკებით ვიღვწოდი — ექვსი საათის მიმოხილვასა და „პანამერიკანის“ გადაცემათა მომზადების შუა. ამ დროისათვის ხავიერიც იცლიდა და მეხმარებოდა. უკვე ზამთარი იდგა, ადრე ბნელდებოდა, ამიტომ სასაფლაოს ჩავიდრებულნი მმართველი, რომელიც გვიმტკიცებდა, რვაჯერ ვიყავი კონგრესში პირადი დამსწრე პერუს პრეზიდენტების არჩევისათვის, ელექტროფარნებსა და კიბეს გვაძლევდა, რათა მალლა, წალოებში შემდგარ ურნებზე წარწერები წაგვეკითხა, ზოგჯერ გასართობად წარმოვიდგენდით, ვითომდა ვიღაცათა ხმები, კვნესა, ჯაჭვების ჩხარუნი კვესმის, საფ-

ლავებშორის რეთორ ლანდებს ვხედავთ, და ბოლოს თვითონვე მართლაც ვფრთხე-
ბოდით. სასაფლაოზე კვირაში ორ-სამჯერ მივდიოდი, ყოველ კვირას კი ღი-
ლაობით. სხვა სამუშაოები მეტ-ნაკლებად (უფრო ნაკლებ, ვინემ მეტად) ლი-
ტერატურასთან იყო დაკავშირებული. ყოველ კვირას ინტერვიუს ვართმევ-
დი რომელიმე პოეტს, რომანისტსა თუ ესეისტს გაზეთ „კომერსანტს“ საკვი-
რაო დამატებისთვის, რომელიც სვეტებში იბეჭდებოდა ^{საუფროსად} ~~საუფროსად~~ ^{ადამი-}
ანი და მისი საქმე“. ყოველთვე ჟურნალ „პერუს კულტურისთვის“ სტა-
ტიას ვწერდი ჩემივე მოგონილი განყოფილებისათვის: „ადამიანები, წიგ-
ნები, იდეები“. დაბოლოს ჩემმა კიდევ ერთმა მეგობარმა მასწავლებელმა რე-
კომენდაცია გამიწია კათოლიკურ უნივერსიტეტში შემსვლელთათვის სამო-
ქალაქო განათლების კითხვართა შედგენაში მონაწილეობა მიმელო (თუმცა მე
თავად ამ უნივერსიტეტის მეტოქე სან-მარკოსის უნივერსიტეტის სტუდენტი
გახლდით). ყოველ ორშაბათს პროფესორისთვის უნდა ჩამებარებინა ვრცელა-
წერილი შესავალი პროგრამის ერთ-ერთი საკითხისთვის (თანაც ეს საკითხე-
ბი სულ სხვადასხვა დარგს შეეხებოდა, დაწყებული სამშობლოს ეროვნული
სიმბოლოებით, გათავებული ესპანისტებსა და ინდიანისტებს შორის ატეხილი
კამათით, აგრეთვე ადგილობრივი ფლორითა და ფაუნით).

ამ სამუშაოთა წყალობით (ლამის პედრო კამაჩოს მეტოქე რომ გამხადა)
შემოსავალი გამისამკეცდა და ორ სულს დიახაც გვარჩენდა, წინასწარ გამორ-
თმეულ ბეთა წყალობით ლომბარდიდან გამოვისყიდე ჩემი საბეჭდი მანქა-
ნა, ესოდენ საჭირო ჟურნალისტისთვის (თუმცა ბევრ სტატიას „პანამერიკა-
ნში“ მუშაობისას ვწერდი), და ჩემს ბიძაშვილ ნანსისაც მივეცი ფული ჩვენი
ბინისთვის რაღაც-რაღაცები ეყიდა, რომელიც სახლის პატრონმა თხუთმეტი
დღის შემდეგ მომაქირავე. იმ დღიას, როცა ორი პატარა ოთახისა და ერთი
ციცქნა სააბაზანოს პატრონი გავხდი. ჩემზე ბედნიერი კაცი არ იყო. ძლით
ისევ ჩემს ბებრებთან მეძინა, რადგან გადაწყვეტილი მქონდა ბინაში მხოლოდ
ხულია დეიდას ჩამოსვლის შემდეგ შევსახლებულიყავი, მაგრამ თითქმის ყო-
ველ საღამოს მივდიოდი იქ წერილების დასაწერად თუ მიცვალებულთა სიების
შესადგენად. წუთით მოცლა არ მრჩებოდა. ერთი სამუშაოდან მეორეზე გავ-
რბოდი, მაგრამ დაღლისა და იმედგაცრუების ნაცვლად ძალების ისეთ მოზ-
ღვავებას ვგრძნობდი, მგონი, იმაზე მეტსაც ვკითხულობდი, ვიდრე წინათ
(თუმცა მეტწილად ავტობუსიდან ავტობუსში თუ ტაქსიდან ტაქსში მგზავრო-
ბისას).

ხულია დეიდას სიტყვა არ გაუტეხავს და ყოველდღე მწერდა. ბებია რომ
მის წერილს მომცემდა, ცბიერულად შემომხედავდა და ჩაიბურტყუნებდა:
„ნეტა ვისგან უნდა იყოს, ჰა?“ მეც ხშირად ვწერდი ხოლმე დღის ბოლოს,
საქმეების მოთავეების შემდეგ, ღამ-ღამობით, სიქაგაცლილი და მისავათებუ-
ლი, მაგრამ ყოველ წერილში წვრილად აღვწერდი, თუ რა გავაკეთე წინა-
დღეს. ხულია დეიდას გამზავრების შემდეგ ჩემს მრავალრიცხოვან ნათესაო-
ბას ხან ძია ლუჩოსა და ოლგა ძალოსთან, ხან ქუჩაში ვხვდებოდი და მომხდარ
ამბავთან მათ დამოკიდებულებას ვარკვევდი, რაიც სულ სხვადასხვა, ზოგჯერ
კი ყოველად მოულოდნელიც იყო ხოლმე. ძია პედრომ ყველაზე ნაკლები სი-
ხარული გამოიჩინა. შეხვედრისას საღამზე არ მიპასუხა, მხოლოდ ცივად ამ-
ხედ-დამხედა და ზურგი მაქცია. ხესუს ძალომ რამდენიმე კურცხალი გად-
მოყარა, გადამეხვია და ტრაგიკული ხმით რამდენჯერმე ჩაიჩურჩულა: „საც-

ოდავი ბიჭი!“ სხვა ბიძიები და ძალოები დიდი ყურადღებით მექცეოდნენ, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ხულია დეიდაზე კრინტს არ არავდნენ და ვითომც არც იცოდნენ ჩემი დაქორწინების ამბავი.

მამა არ მინახავს, მაგრამ ვიცოდი, რომ მისი პირობის დაქმნაყოფილებისა და ხულია დეიდას პერუდან გამგზავრების შემდეგ ცოტაოდენ მშობელიყო. ჩემი დედა-მამა მამის ნათესავეებთან ცხოვრობდა, რომლებთანც არასდროს ვსტუმრებივარ, მაგრამ დედა ყოველდღე აკითხავდა ჩემს ბებრებს და იქ ვხვდებოდით ერთმანეთს. მექცეოდა ძალზე ნაზად, მაგრამ თუკი სიტყვა შემთხვევით აკრძალულ ამბავზე ჩამოვარდებოდა, გაფითრდებოდა, ცრემლები მოერეოდა და გაიძახოდა: „ამას ვერასოდეს შევურიგდები“. რომ შევთავაზებ, ჩემს ბინას გაჩვენებ-მეთქი, ისე იტყვიცა, თითქოს დიდი შეურაცხყოფელი რაღაც მეთქვას, ჩემი წიგნებისა და სამოსის გაყიდვა დედამ ჭეშმარიტად ბერძნულ ტრაგედიად მიიჩნია და დასამშვიდებლად — „ღვდიკო, რადიოთეატრს ნუ მართავ-მეთქი“, ვუმეორებდი. დედა მამას არ ახსენებდა და არც მე ვეკითხებოდი მამაზე რამეს, მაგრამ სხვა ნათესავეებისაგან ვიცოდი, რისხვა ჩემი მომავლის თაობაზე ღრმა იმედგაცრუებამ შეუცვალა და ხშირად იძახდა თურმე: ვინემ ოცდაერთი წლისა არ გამხდარა, მე უნდა დამიჯეროს, მერე კი თუნდაც კისერი უტეხიაო.

აურაცხელი საქმის მიუხედავად, ამ ექვს კვირაში ახალი მოთხრობა დაეწერე სათაურით: „ღვთისმოსავი ქალი და პადრე ნიკოლასი“, ცხადია, მოქმედება გროსიო პრადოში ხდებოდა და ანტიკლერიკალური ხასიათი ჰქონდა. საქმე ეხებოდა ერთ გაქნილ მღვდელს, რომელმაც გადაწყვიტა ღვთისმოსავ მელჩორიტას სახელით ესარგებლა. კარგა გამოქეჩილი საქმოსნის ცივი ანგარიშითა და დაყინებით მან ღვთისმოსავ ქალთან დაკავშირებული ყოველგვარი რელიქვიების — ანუ ხატების, კრილოსნების, ლოცვანთა თუ სხვათა — დამზადება-გაყიდვა განიზრახა, აგრეთვე ფულის გაკეთება იმ ადგილების მონახულებაში, სადაც მელჩორიტა ცხოვრობდა, ამას გარდა ფულადი შესაწირებისა და ლატარიების ორგანიზაციაც ვითომდა მისთვის სამლოცველოს აგებისა და რომის მიერ მელჩორიტას წმინდანად შერაცხვის საქმეში. როგორც ზოგჯერ საგაზეთო ცნობებში ხდება, მოთხრობას ორი სხვადასხვა ეპილოგი გავუკეთე. ერთ ეპილოგში გროსიო პრადოს მცხოვრებლები თაღლითობაში გამოჭერილ პადრე ნიკოლასს ლინჩის კანონით სჯიდნენ, მეორეში კი მღვდელი ლიმის არქიეპისკოპოსი ხდებოდა (საბოლოო ეპილოგს, ჩემი გადაწყვეტით, მაშინ ავარჩევდი, როცა მოთხრობას ხულია დეიდას წავუყითხავდი). მოთხრობა ეროვნული კლუბის ბიბლიოთეკაში დაეწერე. სადაც ჩემი საქმიანობა, კატალოგის შემდგენლის პირობაზე, ფრიად სიმბოლური გახლდათ.

ის სცენარები, „რადიო სენტრალის“ სარდაფებიდან რომ ამოვათრიე (ამ 'პრომამ ზედმეტი ორასი სოლით გამამდიდრა), ზუსტად ერთი თვე გვეყო, ვინემ სმოს კომპანია ლიბრეტოებს გამოგვიგზავნიდა. მაგრამ, პროვესისტ იმპრესარიოს ვარაუდისა არ იყოს, ვერც იმ და ვერც ამ რადიოდადგმებმა ვერ შესძლეს პედრო კამაჩოს მიერ მოზიდული ვეებერთელა აუდიტორიის შენარჩუნება. მსმენელთა რაოდენობის შემცირებამ პატრონები აიძულა რეკლამათა გადაცემის ფასი დაეკლო, რა არის სულ მთლად არ დაეკარგათ რეკლამის შემკვეთნი, მაგრამ ორივე ხენაროს არც ისე უბედურად წასვლია საქმე: გამო-

გონების უნარისა და ნიადაგ დაუღალავი შემართების წყალობით ახალი ოქროს საბადო აღმოაჩინეს. ეს გახლდათ პროგრამა, რომელსაც სახელით ერქვა: „უპასუხე სამოცდაოთხ ათას სოლზე“. ამ პროგრამას კინო „პარიზის“ ეკრანიდან გადმოსცემდნენ. სხვადასხვა დარგში დიდი მცოდნეობის კანდიდატებს (ავტობობილებიდან მოყოლებული სოფოკლემდე და ფეხბურთის მანქანამდე) ყოველ სწორ პასუხზე გარკვეული საზღაური ენიშნებოდათ. ხოლო კინო პროგრამაში რიცხვით მინიშნებულ პასუხების ჯამს შეაგროვებდა, ფულსაც იღებდა. პედრო კამაჩოს ამბებს ხენაროს ვაჟისგან ვიგებდი — ჩვენ ძველებურად (თუმც უფრო იშვიათად) ერთად ვსვამდით ხოლმე ყავას ლა კოლმენის ავენიდაზე „ბრანსის“ კაფეში. თითქმის ერთი თვე დაჰყო მან ექიმ დელგადოს კერძო კლინიკაში, მაგრამ რაკი იქ ყოფნა ძალზე ძვირი ჯდებოდა, პატრონებმა ლარკო ერერის სახელობის საგიყეთში გადაიყვანეს, რომელიც საზოგადოებრივ ქველმოქმედების სახსრებზე იყო დაარსებული. აქ თურმე პედრო კამაჩოს დიდ პატივსაც სცემდნენ. ერთ კვირადღეს, როცა მოძღვარ-ღვთის მსახურის სასაფლაოზე სამარეთა აღნუსხვას მოვრჩი, ავტობუსით წავედი საავადმყოფოში კამაჩოს მოსანახულებლად. საჩუქრად პარკით იერბალიუსისა და პიტნის ფოთლები წავუღე ნაყენის დასამზადებლად. მაგრამ უკანასკნელ წუთს, სხვა მნახველებთან ერთად საავადმყოფოს კარში შესვლისას, გადავწყვიტე აღარ შენახა. მოკალმე რომ იმ აქოთებულ კედლებში წარმოვიდგინე (უნივერსიტეტის პირველ კურსზე ფსიქოლოგიაში პრაქტიკა აქ გავიარეთ), სადაც გიყების ბრბოში ისიც გიყად გადაიქცეოდა, გული საოცრად შემეკუმშა და ისევ მირაფლორესში გამოვბრუნდი.

ორშაბათს დედას ვუთხარი, მამაჩემს მინდა შევხვედ-მეთქი. მირჩია, ისეთი არაფერი უთხრა, რომ გააცოფო, და სახლის ტელეფონი მომცა, სადაც ცხოვრობდნენ. მამა დამპირდა, მეორე დილას თერთმეტ საათზე სამსახურში მიმიღებდა. „იმპორტ-ექსპორტის“ ფირმის დირექციის კაბინეტში, რომელიც შეერთებულ შტატებში წასვლამდე ეჭირა, მამაჩემის ძველი თანამშრომლებიდან რამდენიმე კიდევ ვიცანი. მამა მარტო დამხვდა, ძველ საწერ მაგიდას უჯდა. კრემისფერი კოსტიუმი ეცვა და თეთრწინწკლებიანი მწვანე პალსტუხი ეკეთა. შარშანდელთან შედარებით გამხდარი მეჩვენა და ცოტა ფერდაკარგულიც.

— გამარჯობა, მამა. — მივესალმე კარებშივე, ჩემი სურვილის მიუხედავად, არც მაინცადამაინც მტკიცედ.

— თქვი, რისი თქმაც გინდოდა, — მითხრა უფრო გულგრილად, ვინემ ბოლმით, და სავარძელზე მიმითითა.

ძგიდეზე ჩამოვჯექი, ისე ამოვიხვნეშე, როგორც შტანგისტმა პირველი ცდის წინარე, და წავიღუდუნე:

— მინდა გითხრა, რას ვაკეთებ ახლა და რის ვაკეთებას ვაპირებ შემდეგში.

მამას ხმა არ გაუღია, ელოდა, შემდეგ რას ვიტყვოდი. მაშინ ძალზე ნელა, ვითომდა სიმშვიდის გამოსაჩენად, სინამდვილეში კი მის სახეზე საპასუხო გრძნობების წასაკითხად, დაწვრილებით მოვყევი, სად და სად ვმუშაობ, რამდენს ვიღებ ყოველ სამუშაოზე, როგორ ვანაწილებ დროს, რომ ყველა ნაკისრი ვალდებულება შევასრულო და თან მეცადინეობა და უნივერსიტეტში გამოცდების ჩაბარება მოვასწრო. მე არ ვატყუებდი, მაგრამ ჩემთვის ფრიად მომგებიანად ვაჩენდი, თუ რა გონივრულად და ჰკვიანურად მოვაწყვე ცხოვ-

რება და როგორ მივიღოთ უნივერსიტეტის დამთავრებისკენ. მამას არც მაშინ დაუძრავს კრინტი, როცა დავდუმდი. ეტყობა, ელოდა, რით დავასრულებდი. ნერწყვი გადავყლაპე და განვაგრძე:

— როგორც ხედავ, შემიძლია თავი ვირჩინო და მეცადინეობაც განვაგრძო. — რომ შევატყვე, ხმა საცაა ჩამიწყდებოდა, დავატანე: *მეცადინეობა გთხოვ უფლება მომცე ხელია გამოვიძახო. ჩვენ უკვე ცოლ-ქმარი ვართ, მუდამ მარტო ხომ ვერ იცხოვრებს.*

მამას თვალები აუხამხამდა, კიდეც უფრო გაფითრდა. წამით ვიფიქრე, ისევ ისეთი სიბრაზე მოუვლის, პატარაობაში რომ ასე მეშინოდა-მეთქი. მან კი მხოლოდ ცივი კილოთი მითხრა:

— თავადაც იცი, რომ ეს ქორწინება ნამდვილად არ ჩაითვლება, შენ ჯერ სრულწლოვანი არა ხარ და ნებართვის გარეშე დაქორწინება არ შეგიძლია, ისე რომ, დასაქორწინებლად ან მშობლების ნებართვის ყალბი ცნობა უნდა წარგედგინა ან დაბადების მოწმობა გადაგეკეთებინა, ორივე შემთხვევაში კი ამ ქორწინების გაუქმება იოლზე იოლია.

მამამ ამიხსნა: სამოქალაქო მდგომარეობის ყოველ საბუთში სიყალბის ჩაწერა ფრიად დიდი დანაშაულია და იგი კანონით ისჯება. თუ ვისმე ამ დავიდარაბის გამო პასუხს მოსთხოვენ, ეს მე არ ვიქნები, ვინაიდან ჯერ კიდეც უწლოვან ბიჭს მოსამართლეები შეცდენილად ჩათვლიან. პასუხს აგებს ის არსება, ვინც სრულწლოვანი იქნება და ვისაც, ლოგიკის მიხედვით, შემცდენელად მიიჩნევენ. ამ ცივი კილოთი თქმული იურიდიული ახსნა-განმარტების შემდეგ მამამ კიდეც ბევრი ილაპარაკა, თუმცა მეჩვენა, რომ ცოტა მაინც ღელავდა. სულ ტყუილად მგონია, რომ მას ვძულვარ, სინამდვილეში ჩემთვის მუდამ სიკეთე სურდა, ხოლო თუ როდესმე მკაცრად მომქცევია, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი გამოსწორებისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების მიზნით. ჩემი ამბოხური სული და თინის გატანის სურვილი ბოლოს და ბოლოს დამღუპავს. ქორწინება ყულფში თავის გაყოფას ნიშნავს. თუ ამის წინააღმდეგ წავიდა, მხოლოდ ჩემი ბედნიერების გამო და არა იმიტომ, ჩემთვის ცუდი უნდა, როგორც მგონია. რომელ მამას არ უყვარს თავისი შვილი? გარდა ამისა, ისიც კარგად ესმის, რომ გრძნობამ ამიყოლია, ეს კი არც ისე ცუდია, ვინაიდან ჩემს დავაყვაცებას მოწმობს. უარესი იქნებოდა, მაგალითად, მამათმავლობის მიღრეკილება გამჩენოდა. მაგრამ დაქორწინდე თვრამეტი წლის ლაწირაკი, სტუდენტი, თან ცოლად მოიყვანო შენზე უფროსი ქმარგაყრილი ქალი — ეს ისეთი სისულელეა, რომლის წარმოდგენაც კი შეუძლებელია და რომლის შედეგებსაც გაცილებით გვიან ვიწვნივ, როდესაც ამ ქორწინების გამომთავალზე უარს ვიტყვი და ცხოვრებაში გავბითურდები. მას კი ჩემთვის ასეთი ბედი სულაც არა სურს, მას ოცნებად ჰქონდა ჩემი ცხოვრება ყველაზე კარგი და ამაღლებული ყოფილიყო. მოკლედ, მე უნდა განვაგრძო სწავლა, არ მივატოვო მეცადინეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალზე გულდაწყვეტილი დარჩება. მამა წამოდგა, მეც ფეხზე ავდექი. გამეფებულ სიჩუმეში მხოლოდ საბეჭდი მანქანების კაკუნი ისმოდა მეზობელი ოთახიდან. წავილულულე, პირობას გაძლევ, უნივერსიტეტს დავამთავრებ-მეთქი. მამამ თავი დამიქნია და დაშვიდობების წინ, წამიერი ყოყმანის შემდეგ, გადამეხვია.

მისი კაბინეტიდან პირდაპირ ცენტრალურ ფოსტას მივაშურე და ტელეგრამა გავგზავნე: „შეწყალება მიიღე. ბილეთს მალე გამოგიგზავნი. გკოცნი“.

მთელი ის საღამო, სადაც არ ვიყავი — ისტორიკოსთან, „მანამერიკანის“ სხვენზე თუ სასაფლაოზე, სულ თავს ვიმტვრევდი, საიდან მეშოვა ბილეთის ფული. საღამოს სია ჩამოვწერე, ვისგან შეიძლებოდა მესესხა ფული და რამდენი. მაგრამ მეორე დღეს ჩემს ბებრებს ტელეგრამა მიუვიდა: „ნვალ მოვფრინავ ლანის რეისით. კოცნი“. მერე შევიტყვე, ხულია ბებრებს მუშაზე ბეჭდები, საყურეები, გულსაბამები, სამაჯურები და თითქმის მთელი ტანსაცმელი გაუყიდა ბილეთის შესაძენად. ისე რომ, როცა ხუთშაბათ საღამოს ლიმატამბოს აეროპორტში დავხვდი, თითქმის აღარაფერი ებადა.

ხულია პირდაპირ ჩვენს ბინაში წავიყვანე, რომელიც ჩემმა ბიძაშვილმა ნანსიმ დააკრიალა და თან წითელი ვარდითაც დაამშვენა იმის ნიშნად, კეთილი იყოს შენი მოსვლაო.

ხულია დეიდამ ისე შეათვალა ბინა, თითქოსდა ახალი სათამაშო ყოფილიყო. ბევრი იცინა, იდეალურად მოწესრიგებული ჩემი სასაფლაოს კარტოთეკა რომ ნახა, აგრეთვე ჩემი შენიშვნები „პერუს კულტურისთვის“ წერილების დასაწერად, იმ მწერლების სიაც, რომელთათვისაც ინტერვიუ უნდა ჩამომერთმია „კომერსიოსთვის“ და ჩემი მუშაობის განრიგი და გასაგლის ნუსხა, რაიც თეორიულად ამტკიცებდა, რომ არსებობა და თავის რჩენა შეგვეძლო. მერე განვუცხადე, იმის შემდეგ, როცა მოვისიყვარულეთ, ჩემს მოთხოვრებას წაგიკითხავ, „წმინდანი და პადრე ნიკოლასი“ რომ ჰქვია, რათა დასასრულის შერჩევაში დამეხმარო-მეთქი.

— ჰო, ჰო, ვარგიტას! — კისკისებდა იგი, როცა ჰაიჰარად იხდიდა კაბის. — გატყობ, დაეაქაცებულხარ. ახლა კი, რაკი ამდენი გააკეთე, ბარემ ისიც შემპირდი, უღვაში გაიხარდო, ღლაპივით რომ არ გამოიყურებოდე.

XX

ხულია დეიდასა და ჩემი ცოლქმრობა მართლაც ძალიან იღბლიანი და თანაც იმაზე ხანგრძლივი გამოდგა, ვინემ თვითონ და ნათესაეებმა მიწინასწარმეტყველეს, ვინ შიშითა და ვინ სიხარულით.

ამ დროის მანძილზე ჩემი დიდი მოწადინებით, მისი შემწეობითა და იმედიანი მხარდაჭერით, საღლაც ალბათ კიდევ ბედის წყალობით ამიხდა სხვა ნაწინასწარმეტყველებიც (ოცნებები და იმედები) ანუ პარიზის განთქმულ მანსარდებში გადავედი საცხოვრებლად, ავად თუ კარგად მწერალი გავხდი და რამდენიმე წიგნი გამოვაქვეყნე. მართალია, იურიდიული ფაკულტეტი არ დავამთავრე, მაგრამ ოჯახის გულის მოსაგებად და თავის იოლად გასატანად უნივერსიტეტის დიპლომი მაინც ავიღე სამართლისმცოდნეობასავით მოსაწყენი აკადემიური მეცნიერების — რომანული ფილოლოგიის განხრით.

ხოლო როცა ერთმანეთს დავშორდით, მთელმა ჩემმა აურაცხელმა სანათესავომ ცხარე ცრემლებით გამოიტირა ჩემი და ხულიას დაშორება, ვისაც ყველანი (ჩემი დედ-მამით დაწყებული) აღმერთებდნენ. ხოლო ერთი წლის შემდეგ ხელახლა რომ დავქორწინდი — ამჯერად საკუთარ ბიძაშვილზე (ოლგა ძალოსა და ძია ლუჩოს ასულზე — დამთხვევაც ასეთი უნდა!), სანათესავოში

1 ჩილეს ავიაკომპანია.

ისეთი დიდი აურზაური აღარ აუტეხავთ (რაც მთავარია — იმდენი აღარ უჭირავიათ), სამაგიეროდ პირწმინდა შეთქმულება მოაწყვეს, ეკლესიაში რომ ჯვარი დაგვეწერა, ამ შეთქმულებაში კი თვით ლიმის არქიეპისკოპოსი ჩაითრიეს (რა თქმა უნდა, ისიც ჩვენი ნათესავი), რომელმაც საჩქაროდ მოაწერა ხელი — გამონაკლისის სახით — ხელახლა დაქორწინების წესწესებაში ჩვენს სანათესავოს უკვე აღარ ჰქონდა ჩემი შიში და ამხალ-იქნა-ქაქცეცურად შეხვედროდა ჩემს ყოველგვარ დამთხვეულ საქციელს (რაც ნიშნავდა, რომ წინასწარვე ვიყავ შენდობილი).

ხულია დეიდამ და მე ერთი წელი ესპანეთში ვავატარეთ, ხუთი — საფრანგეთში. მერე ჩემს ბიძაშვილ პატრისიასთან ერთად ევროპაში ვიცხოვრე, ჯერ ლონდონში, შემდეგ ბარსელონაში. იმხანად ლიმის ერთ-ერთ ჟურნალთან მქონდა დადებული ხელშეკრულება; მისთვის წერილები უნდა გამეგზავნა, რედაქცია კი ბილეთის ფასს ვადამიხდიდა, ისე რომ, წელიწადში ერთხელ რამდენიმე კვირით შემოდლო პერუში ჩამოსვლა და ოჯახსა და მეგობრებთან შეხვედრა, რაც ჩემთვის ძალზე ბევრს ნიშნავდა. სხვადასხვა მიზეზების გამო ევროპაში ერთხანს კიდევ ვაპირებდი დარჩენას, პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ჟურნალისტის, მთარგმნელის, დიქტორისა თუ მასწავლებლის პირობაზე მუდამ შემოდლო სამუშაო მეშოვნა და თან თავისუფალი დროც დამრჩენოდა. მადრიდში პირველად ჩასვლისას ხულია დეიდას ვუთხარი: „შევეცდები მწერალი ვავხდე, ამიტომაც ყველა საქმეს დაეთანხმდები, ლიტერატურას თუ არ მომწყვეტს-მეთქი“. ხულიტამ კი ასე მიპასუხა: „რას იტყვი, კაბა ხომ არ დაეიმოგლო, ჩალმა დავიკოსო და გრან ვიაზე¹ გავიდე მუშტრების საძებრად? თუნდაც დღეიდან?..“ რასაკვირველია, ბედმა ძალიან გამიმართლა. პარიზის ბერლიცის სკოლაში ესპანურ ენას ვასწავლიდი, ფრანს პრესის სააგენტოში საინფორმაციო მასალას ვასწორებდი, იუნესკოსათვის ვთარგმნიდი, ყენევიეს სტუდიებში ფილმებს ვადუბლირებდი, ფრანგული რადიოსა და ტელევიზიისათვის პროგრამებს ვადგენდი — ისე რომ, ფულსაც საკმაოდ ვშოულობდი და ამასთან ნახევარი დღე ლიტერატურული საქმიანობისთვის მრჩებოდა. მაგრამ თავიდათავი ის იყო, რომ მუდამ პერუზე ვწერდი, არადა, სადღაც ეჭვი მიტანდა, სიმართლის გრძნობა ხომ არ მდალატობს-მეთქი (ჯერ ისევ „რეალისტური“ შემოქმედების ტრფიალი მქირდა). და მაინც ლიმაში დაბრუნება ვერა და ვერ წარმომედგინა. რომ გამახსენდებოდა, კაცი შვიდ ადგილზე ვმუშაობდი, თავი კი ვერ გამეტანა, თან საკითხავი დრო თითქმის აღარ მრჩებოდა და წერა ნაწყვეტ-ნაწყვეტ მიხდებოდა, ვინაიდან დაღლილობისაგან ფეხზე ველარ ვიდექი, თმა ყალყზე მიდგებოდა და ვიფიცებოდი, ლიმაში მკვდარსაც ვერ ჩამიტანენ-მეთქი. ამასთან პერუ მუდამ ნაღვლისმომგვრელ ქვეყნად მიმაჩნდა.

ამიტომაც ღვთიურ მანანად მომეგლინა ჯერ გავეთ „ექსპრესოსა“ და მერე ჟურნალ „კარეტასთან“ დადებული ხელშეკრულება, ჩემი წერილების საფასურად ყოველწლიურად ავიობილეთი გამოეგზავნათ. პერუში გატარებული ერთი თვე (მეტწილად ზამთრობით, ივლისსა და აგვისტოში) საშუალებას მაძლევდა ხელახლა ამომეყო თავი ჩვეულ გარემოში, დავბრუნებოდი იმ სამყაროსა და ადამიანებს, რომელთა აღწერასაც ვცდილობდი მთელი წინა თერთმეტი თვე. ჩემთვის წამალი იყო (ლიტერატურულ საქმიანობაზე რა მოგახ-

¹ მადრიდის მთავარი პროსპექტი.

სენოთ და ფსიქოლოგიურად კი ნაღდად) პერუსთან შეხვედრით ძარღვებში ჩაღვრილი ძალა. რა დიდ სიამოვნებას მანიჭებდა პერუელთა ლაბარაკის, გამოთქმების, წამოძახილების, სიტყვა-პასუხის მოსმენა, რაიც ჩემთვის ესოდენ მახლობელ გარემოს მადრუნებდა, მაგრამ რასაც წლიდან წლამდე თანდათანობით ვშორდებოდი.

ამგვარად, ლიმაში დაბრუნება ჩემთვის, ასე ვთქვათ, დასვენება იყო, თუმცა წუთით მოცლა არ მქონდა და ევროპაში სიქაგაცლილი ვბრუნდებოდი. მთელ თავისუფალ დროს, რაც ჩემი დიდი საგვარეულოსა და მეგობრებისგან ყოველდღიურ სადილებსა თუ ვახშმებზე მიპატიუებისაგან მრჩებოდა, მასაღის შეგროვებას ვანდომებდი. ასე მაგალითად, ერთხელ ალტო მარანიონში¹ გავემგზავრე, რაზედაც იმხანად რომანს ვწერდი. მეორე წელს ჩემი გულისხმიერი ძმაკაცების წყალობით ლიმის გასართობ ადგილთა — კაბარეების, ბარების, საროსკიპოების გულდაგულ შესწავლას შევუდექი, სადაც ჩემი სხვა წიგნის გმირის ესოდენ სვეგამწარებული ცხოვრება მიმდინარეობდა. ეს თან სიამოვნო და თან სარგო გამოკვლევა, ცხადია, სავალდებულო არ იყო, ხოლო თუ იყო, მე თვითონაც საკმაოდ მართობდა, რომ არაფერი ვთქვა იმაზე, რა რიგ მჭირდებოდა ლიტერატურული საქმიანობისთვის. ამ მოგზაურობებისას იმას ვაკეთებდი, რაც არასოდეს მიტაცებდა, როცა ლიმაში ვცხოვრობდი, და რაც შემდეგ, პერუში დაბრუნებისას, აღარ გამიკეთებია: ვესწრებოდი სახალხო დღესასწაულებს, ფოლკლორულ ცეკვებს, დავებეტებოდი ლიმის ჯურღმულებში, სადაც ლარიბლატაკობა ცხოვრობდა, შემოვიარე ლიმას სხვა უბნებიც, რომლებსაც არ ვიცნობდი ან, თუ ვიცნობდი, არცთუ კარგად. ესენი იყო კალიაო, ბახო-ელ-პუენტე, ბარიოს ალტოსი, დავდიოდი დოღზე და კიდევაც ვთამაშობდი იქ, დავძვრებოდი კოლონიალური საყდრების სარდაფებსა და აკლდამებში, მოვინახულე სახლი, სადაც (როგორც ამბობენ) დიაცი პერიჩოლა ცხოვრობდა — ერთ-ერთი ვიცე-ხელმწიფის ტურფა.

ეს წელი წმინდა ლიტერატურულ გამოკვლევებს შევწირე, რადგან გენერალ მანუელ აბლინარიო ოდრიას დიქტატურის (1948-1956) ხანაზე ვწერდი რომანს. ლიმაში ყოფნის ერთი თვის მანძილზე კვირაში ორჯერ დილაობით ეროვნული ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში მივდიოდი, სადაც იმ წლების შეკრულ ყურნალ-გაზეთებს ვფურცლავდი. რაღაც მაზოხიზმის დარაგრძნობა მიტანდა, როცა იმ სიტყვებს ვკითხულობდი, რომლებიც დიქტატორის მდივნებს (მეტყველების მიხედვით პირწმინდა იურისტებს) მისთვის შეედგინათ. ბიბლიოკეთიდან გამოსული აბანკაის ავენიდას დავუყვებოდი ხოლმე, შუალამისას რომ მოხეტიალე ჩარჩ-ვაჭრების ვებერთელა ბაზრად ქცეულიყო. ქუჩები ხალხის ბრბოს გაეჭედა — ბევრ ქალსა და კაცს მთიელთა ადათის მიხედვით პონჩო და განიერზე განიერი ქვედაწელები ეცვათ. ქვემოთ გაშლილ მოსასხამებსა და გაზეთებზე, ყუთების, თუნუქის ქილებისა თუ ტილოებისაგან შეკოწიწებულ დახლებზე გამოლაგებული იყო ყოველგვარი ზიზილ-პიპილები, ქინძისთავების, თმის სარჭების, კაბების, კოსტიუმების ჩათვლით, და, რა თქმა უნდა, იქვე, ნაკვერჩხლებზე დამზადებული ყოველნაირი საჭმელი. ლიმის ეს კუთხე ყველაზე უფრო შეცვლილიყო. დღესდღეობით

¹ ამაზონკის სათავეები პერუს ანდებში, რომელთაც დინების დასაწყისში მარანიონი ჰქვია.

ხალხით გაჭედდნენ აბანკაის ავენიდაზე, სადაც ბევრს მთიელს ნახავდი, სადაც შემწვარ-მოხრაკულის ოხშივარი და ცხარე საკმაზთა სურნელი იდგა, ხშირად ვაიგონებდი ინდიელ კეჩუათა ლაპარაკს. იგი დიახაც აღარ ჰგავდა კანტორის მომსახურეთა და აქ შემთხვევით მოხვედრილ მათხოვართა განიერ მშვიდ ავენიდას, სადაც ჯერ კიდევ სტუდენტი ბიჭი ეროვნულ-ბიბლიოთეკისკენ მივრბოდი. ახლა იგი თვალსაჩინო სურათი გახლდათ ქალაქში გლეხების მიგრაციისა, რის წყალობითაც ქალაქის მოსახლეობა ორჯერ მეტად გაიზარდა; ქალაქი მახლობელ გორაკებზე, ქვიშის დიუნებსა და უშენ ადგილებზე დასახლებათა ალყაში აღმოჩნდა, სადაც პროვინციებიდან ათასობით ადამიანები ჩამოსულიყვნენ თავშესაფრის საძიებლად და საიდანაც გვალვას, მძიმე შრომას, შიმშილსა და უიმედობას გამოექცია.

ქალაქის ახალი იერის შესასწავლად დავყვებოდი ხოლმე აბანკაის ავენიდას და უნივერსიტეტის ბალისკენ მივდიოდი, იმ შენობისკენ, სადაც წინათ სან-მარკოსის უნივერსიტეტი იყო (ახლა ფაკულტეტები ლიმის გარეუბანში გადაეტანათ, ხოლო ძველი შენობა, სადაც ერთ დროს სამართალსა და ფილოლოგიას ვსწავლობდი, მუზეუმისა და ადმინისტრაციისათვის დაეთმოთ). ქალაქის შესწავლა არა მარტო ცნობისწადილისა თუ ნოსტალოგიის გამო, ჩემი სამწერლო საქმიანობისთვისაც მინდოდა. რომანში, რომელსაც ახლა ვწერდი, მთელი რიგი ამბები სწორედ უნივერსიტეტის პარკსა და სან-მარკოსის ყოფილ შენობაში, მის ირგვლივ მდებარე ბუკინისტურ მაღაზიებში, საბილიარდოებსა და პაწაწკინტელა კაფეებში ხდებოდა. იმ დილას სწორედ ტურისტით ვიდექი მამულის გმირთა კოპწია სამლოცველოს წინ და გამვლელებს გავცქეროდი. აგერ ჩექმების მწმენდავი, აგერ ნაყინის, ბუტერბროდების, ტკბილი ვაფლების გამყიდველნი. უეცრივ ვილაცამ მხარზე დამადო ხელი. ეს თურმე დიდი პაბლიტო იყო, თორმეტი წლით უფროსი, მაგრამ მაინც ისევ ისეთი.

ერთმანეთს მაგრად გადავეხვიეთ. იგი მართლაც სულ არ შეცვლილა: ისეთივე ჩაფსკვნილი და გულღია ჩოლო! იყო, უჭირდა სუნთქვა და ისე ადგამდა ფეხებს, თითქოს ცხოვრებაშიც ციგურები მიასრიალებსო. დიდ პაბლიტოს ჭალარა არ გარეგია, თუმცა სამოცს ალბათ უკვე გადაცილებული იქნებოდა. თმა გაპოხილი და ორმოციანი წლების არგენტინულ მოდაზე ჰქონდა გადასლექილი. თუმცა კი იმაზე გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა, ვინემ მაშინ, როცა „რადიო პანამერიკანში“ ჟურნალისტად მუშაობდა (ცხადია, თეორიულად). ეცვა მწვანე წვრილუჯრედებიანი კოსტიუმი, ეკეთა ფერებლივლივა პილსტუხნი (რომელიც პირველად ვუნახე ახლა) და ემოსა პრიალა ფეხსაცმელი. ისე გამიხარდა მისი ნახვა, შევთავაზე, ყავა ერთად დავლიოთ-მეთქი. დამთანხმდა და „პალერმოს“ პატარა რესტორანში მაგიდას მივუსხედით. ამ რესტორანმა უნივერსიტეტში გატარებული წლებიდან ბევრი რამ მომაგონა. ვუთხარი, აღარ გკითხავ, ცხოვრებამ რა გიქნა, ვინაიდან ყველაფრით გეტყობა, ცუდი არაფერი უქნია-მეთქი. დიდმა პაბლიტომ კმაყოფილებით ჩაიღიმა (თითზე ოქროს ბეჭედი უბრჭყვიალებდა ინკური ნაბატით) და გამომიტყდა:

— ვერ დავიჩივლებ, იმ გაძაღლებული ცხოვრების შემდეგ სიბერეში მაინც ამობრწყინდა ჩემი ბედის ვარსკვლავი, მაგრამ ნება მიბოძეთ ჯერ ლუდით გაგიმასპინძლდეთ. ვერ აგიწერთ, ისე გამახარა თქვენმა ნახვამ.— მან

1 ლიმაში ჩამოსული პროვინციის ნკვიდრი მეტისა.

დიდმა პაბლიტომ და აბრა „ფარშევანგიც“ თვითონ დახატა. პირველ წელს რის ვაივაგლანით გაიტანეს თავი, თუმცა კი ვირებივით მუშაობდნენ, დილა-უთენია მიდიოდნენ ლა პარადას ბაზარზე, რათა საუკეთესო სანოვანე რაფად ეყრიდათ, შავტუხა მზარეულობდა, პაბლიტოს კერძები მიჰქონდა მუშტრებთან, ფულს იღებდა. ერთად აკეთებდნენ ყველაფერს, ვერტაბდნენ ალაგებდნენ რესტორანს, ნავაჭრს ითვლიდნენ; რესტორანშივე ეძინათ, მუშტრების წასვლის შემდეგ იატაკზე, მაგიდებშუა დაგდებულ ლეიბებზე. მეორე წელს მუშტრები მოემატათ — სამზარეულოში დამხმარისა და კიდევ ოფიციანტის დაქორავება მოუხდათ. მერე და მერე საქმე ისე წავიდა, მუშტრებს ველარც აუდიოდნენ, ბევრს უარით ისტუმრებდნენ, რესტორანი პატარა იყო. მაშინ შავტუხას მოაფიქრდა მეზობელი სახლი დაექორავებინათ, მათ რესტორანზე სამჯერ უფრო დიდი. ასეც მოიქცნენ და არც ნანობენ. რესტორნად ახლა მეორე სართულიც აქციეს, თვითონ კი „ფარშევანგის“ წინ ცხოვრობენ. ბოლოს ისე შეეწყვნენ ერთმანეთს, კიდევაც დაქორწინდნენ.

მივულოცე და ვკითხე, თავად თუ ისწავლეთ-მეთქი მზარეულობა.

— იცით, რა მოვიფიქრე, — მითხრა ანაზღად დიდმა პაბლიტომ. — წამოდით, პასკუალი მოვძებნოთ და ჩემს რესტორანში ვისადილოთ. ნება მიბოძეთ დაგპატიჟოთ, დონ მარიო.

რა შექნა, დაპატიჟებიდან თავის დაძვრენა ყოველთვის მიჭირდა, და დავთანხმდი. თან პასკუალის ნახვაც მაინტერესებდა. დიდი პაბლიტოს სიტყვებით მასაც კარგად წასვლოდა საქმე. პოპულარული ჟურნალის რედაქტორი გამხდარიყო. ხშირადაც ხვდებიან თურმე, ვინაიდან პასკუალი „ფარშევანგის“ მუდმივი მუშტარია.

ჟურნალ „ექსტრას“ რედაქცია საკმაოდ შორს ყოფილა არიკას ავენიდიდან ბრენიას რაიონში მიმავალ პატარა ქუჩაზე. იქ ავტობუსით წავედი, თუმცა ჩემს დროს იმ მხარეს ავტობუსი არ დადიოდა. დიდ პაბლიტოს მისამართი აღარ ახსოვდა და ამიტომ რამდენიმე წრე დავარტყით. როგორც იქნა, რედაქცია კინოთეატრ „ფანტაზიის“ უკან აღმოვაჩინეთ. გარედანვე ეტყობოდა, „ექსტრას“ მაინცადამაინც კარგად ვერ ჰქონდა საქმე. გარაჟის კარებზე აბრა ცალ ლურსმანზე ეკიდა და ზედ ყოველკვირეულის სახელი ეწერა. შიგ კიდევ თურმე ორი გარაჟი ყოფილა, მათ შუა მდებარე კედელში გაულესავი დიდი ხვრელი ჩანდა, თითქოსდა კალატოზს შუა გზაზე მიეტოვებინა სამუშაო. ხვრელს მუყაოს თეჯირი ფარავდა, როგორც საზოგადო ტუალეტებში, უწმაწური სიტყვებითა და ნახატებით აჭრელებული. გარაჟის დანესტიანებულ და გაზინზლულ კედლებზე ფოტოსურათები, აფიშები და „ექსტრას“ ყდები იყო ვაკრული, რაზედაც ფეხბურთელთა, მომღერალთა, კიდევ, რა თქმა უნდა, ბოროტმოქმედთა და მათ მსხვერპლთა ნაცნობი სიფათები ეხატა. ყოველ ყდაზე მყვირალა სათაური ეწერა. რამდენიმე კიდევ წავიკითხე: „დედა მოკლა, რათა მისი ქალიშვილი შეერთო“, ან „პოლიცია მოულოდნელად თავს დაესხა მასკარადს, სადაც მხოლოდ მამაკაცები იყვნენ!“ როგორც ეტყობა, ეს სამყოფილი რედაქციაც იყო, ფოტოსტუდიაც და არქივიც, თან იმდენი ხარახურით სავსე, კაცი ძლივს გაეტეოდა. მაგიდებზე საბეჭდი მანქანები იდგა, რომლებზეც გასაოცარი სისწრაფით აკაკუნებდა ორი ახალგაზრდა კაცი; ვილაც ბიჭი დასტებად კრავდა უკანდაბრუნებულ ჟურნალებს; კუთხეში ნეგატივებით, დაბეჭდილი ფოტოებით თუ კლიშეებით სავსე ტანსაცმლის კარადა ჩანდა. პა-

ტარა მაგიდასთან, რომლის ერთი ფეხისთვის სამი აგური შეედგათ, ახალგაზრდა გოგო იჯდა, წითელი ზედაწელი ეცვა და საკანტორო დავთარში დანახარჯს წერდა. მოკლედ, აქაურობა ნივთებითა და ადამიანებით შეტყავეტად გატენილი ჩანდა. ჩვენთვის ზედაც არავის შემოუხედავს, არავის არაფერი უკითხავს და არც სალამზე გაუციათ პასუხი.

თეჯირის მეორე მხარეს, ასევე სენსაციური სათაურებზე შემოქმედებული ყდებით დაფარულ კედლებთან, სამი საწერი მაგიდა იდგა; სამივეს თავზე მელნით გამოყვანილი წარწერა იუწყებოდა, ვინ იყო მისი პატრონი, მთავარი რედაქტორი, პასუხისმგებელი მდივანი თუ ადმინისტრატორი. ჩვენს გამოჩენაზე ორმა კაცმა, ანაწყობ სვეტებს რომ ჩაჩერებოდა, თავი ასწია. ფეხზე მდგომი სწორედ პასკუალი გახლდათ.

ერთმანეთს მაგრად გადავეხვიეთ. მართლაც ძალიან გამოცვლილი მეჩვენა: გასუქებულა, ღიპი და ლაბაბი დასდებია, თითქოს კიდევაც დაბერებულა. პატარა, სასაცილო უღვაშიც მოეშვა, თითქმის ისეთი, ჰიტლერს რომ ჰქონდა, ოღონდაც ჭალარაშერეული პასკუალი დიდად მომეხარა და, როცა გაიღიმა, დავინახე, თითქმის აღარც ერთი კბილი არ ჰქონდა. მისალმების შემდეგ მეორე თანამშრომელი გამაცნო, პატარა შავგვრემანი კაცი, მაგიდასთან რომ იჯდა და მდოგვისფერი პერანგი ეცვა.

— ჟურნალ „ექსტრას“ მთავარი რედაქტორი, დოქტორ რებაგლიატი გახლავთ, — მითხრა პასკუალმა.

— კინალამ შევცდი კაცი, დიდმა პაბლიტომ შენზე მითხრა, მთავარი რედაქტორიო, — ვთქვი და დოქტორ რებაგლიატის ხელი ჩამოვხრთვი.

— საქმე კი გვაქვს ცუდად, მაგრამ არც ასე წავსულვართ ხელიდან, — შენიშნა უკანასკნელმა. — გთხოვთ დაბრძანდეთ.

— მე რედაქციის გამგე ვარ, აგერ ჩემი მაგიდა, — ამიხსნა პასკუალმა.

დიდმა პაბლიტომ აუწყა, რომ მის წასაყვანად ვიყავით მოსულნი „პანამერიკაში“ გატარებული დღეების მოსაგონრად. პასკუალი დიდად აღაფრთოვანა ამ ამბავმა, მაგრამ გვთხოვა რამდენიმე წუთი დაგვეცადა: სტამბაში საჩქაროდ უნდა წაედო სვეტები, ვინაიდან ჟურნალს უკვე დასაბეჭდად ხელს აწერდნენ. მართლაც გაიქცა და დოქტორ რებაგლიატისთან პირისპირ დაგვეტოვა. მთავარმა რედაქტორმა, რომ გაიგო, ამჟამად ევროპაში ვცხოვრობდი, კითხვა კითხვაზე დამაყარა. მართალს თუ ამბობენ, ფრანგი ქალები ადვილად ჩასაგდები ნადავლიაო? ან ნამდვილად ასეთი გამოცდილნი და პიკანტურნი არიან სიყვარულშიო? მერე ევროპელი ქალების თაობაზე სტატისტიკური და შედარებითი მონაცემებიც მომთხოვა. ყველა ქვეყნის ქალები მართლა ასე თავისებურიაო? მისთვის, მაგალითად (დოქტორის ყველა კითხვაზე დიდი პაბლიტო ისე გადაატრიალებდა ხოლმე თვალის კაკლებს, თეთრონებიღა უჩანდა), ბევრ მოგზაურს მოუყოლია ფრიად საგულისხმო წვრილმანები. იტალიელ ქალებს ნამდვილად უყვართ კლარნეტი? პარიზელ ქალებზე რაღას ვიტყვი? სკანდინავიელი ქალები ვითომ მართლა ცდილობენ საკუთარი მამიკოები „ახუნტრუკონ“? რამდენადაც განათლება მეყო, შევეცადე პასუხი გამეცა დოქტორ რებაგლიატის კითხვების ნიაღვარზე, ასე რომ დახუთა და ავხორცული სულით გაედინთა ამ პაწია ოთახის ჰაერი. თან თავბედს ვიწყევლიდი, ამ სადალის გამო ეს რა მახეში გავები, რომელიც ალბათ ათას ხუთასი სოლი დაჯდება-მეთქი. აღვზნებული და აღელვებული პაბლიტო ხორხოცებდა და ხორხო-

ცებდა მთავარი რედაქტორის სოციოეროტიკულ მრავალსიტყვაობაზე. ბოლოს და ბოლოს, მისი ცნობისმოყვარეობით გაწამებულმა, ვთხოვე, თუ შეიძლება ტელეფონზე დავრეკო-მეთქი. მან სარკასტულად ჩაიღიმა და დაურქმევინა გულღიაობით მითხრა:

— აგერ უკვე ერთი კვირაა ტელეფონი გამოგვირთეს, რედაქტორი უნდა ვიხილო და იმიტომ. ხომ ხედავთ, ჟურნალს სადაცაა წიგნი გამოუყვან და მასთან ერთად აქ მომუშავე ჩვენისთანა ბრიყვებსაც.

მერე რაღაც საღისტური სიამოვნებით მიამბო, რომ ჟურნალი „ექსტრა“ თურმე ოდრიას პრეზიდენტობის დროს დაარსდა მისივე მოწყალე მფარველობით: დიქტატურა ჟურნალში ათავსებდა განცხადებებს და მავან პირებზე გალაშქრებისა და მავანი პირების გამოქომავეებისთვის ჟურნალს უჩუმრად ფულს ურიცხავდა. „ექსტრა“ მაშინ ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვანი ჟურნალთაგანი იყო, რომელსაც გამოსვლის უფლება ჰქონდა და მკითხველიც უამრავი ჰყავდა. მაგრამ ოდრიას პრეზიდენტობიდან გადადგომის შემდეგ ჟურნალმა ველარ გაუძლო გააფთრებულ მეტოქეობას და გაკოტრდა. სწორედ ასეთ უიმედო ვითარებაში აღმოჩნდა იგი დოქტორ რებაგლიათის ხელში. ჟურნალს მან „სული“ ჩაჰბერა, აღაწევა, მიმართულება შეუცვალა, ისეთ გამოცემად აქცია, სადაც მხოლოდ სენსაციურ ცნობებს ბეჭდავდნენ. ერთხანს ყველაფერი დიდებულად მიდიოდა, მიუხედავად ძველი ვალებისა. მაგრამ წელს, როცა ქაღალდიც გაძვირდა და ბეჭდვაც, როცა მტრებმა ჟურნალის წინააღმდეგ დიდი ბრძოლა გააჩაღეს, რეკლამის შემკვეთებმა კი განცხადებები შეუწყვიტეს, ჟურნალი შავ დღეში ჩავარდა. ამას ისიც დაემატა, რომ ორი სასამართლო პროცესიც წააგო იმ ნაძირალათა წინააღმდეგ, რომლებმაც რედაქციას ცილი შესწამეს. ახლა შეშინებულმა პატრონებმა მთელი აქციები ჟურნალის თანამშრომლებს დაურიგეს, რათა წამბდარ საქმეზე თავისი ჯიბით არ ეგოთ პასუხი, როგორც კი „ექსტრა“ საჯაროდ გაიყიდებოდა. ეს კი სულ მალე მოხდება, ვინაიდან ამ ბოლო ხანს პირდაპირ კატასტროფიული მდგომარეობა შეიქმნა; ფული არაა, რომ ჯამაგირები დაარიგონ, თანამშრომლებმა რომ იყნოსეს, ჟურნალს გაკოტრება არ ასცდებო, გასაყიდად მიაჩიქნიქებენ ყველაფერს, საბეჭდი მანქანა იქნება ეს, საწერი მაგიდა თუ სხვა, რისი გაყიდვაც კი შეიძლება.

— ეს ერთ თვეზე მეტს ვერ გასტანს, ჩემო კარგო, — ოხვრით იმეორებდა დოქტორი, თითქოსდა ეს ამბავი რაღაც სასტიკ სიზარულს ანიჭებდა. — ჩვენ უკვე მკვდრები ვართ, ნუთუ სუნზე ვერ გვატყობთ, როგორ ვიხრწნებით?

ის იყო უნდა მეთქვა, მართლაც ვატყობ-მეთქი, რომ ლაპარაკში ერთი ცილა, ცოცხალ ჩონჩხად ქცეული არსება შემოგვეჩხირა. თეჯირიც არ გაუწევია, ისე შემოდგრა ხვრელიდან ოთახში. თმა გერმანულ ყაიდაზე შეეკრიჭა, რაც ძალზე სასაცილო იერს აძლევდა. მაწანწალასავით ლურჯი კომბინიზონი, დაკვრებული პერანგი და მისთვისაც კი ვიწრო რუხი პულოვერი ეცვა, მაგრამ ამ მორთულობაში თვალში ყველაზე უფრო ფეხსაცმელი — კალათბურთელის მოწითალო კედები გეცემოდა, ისეთი ქველები, ცალი კედი ზონრითაც კი ჰქონდა ფეხზე ამობნეული აი, ისე, როგორც წალას ლანჩა გასძვრება ან სადაცაა უნდა გასძვრეს. დოქტორმა რებაგლიათიმ დაინახა თუ არა, მაშინვე ეტაკა.

— ძალიან სცდებით, თუ გგონიათ, ჩემი მასხრად ავდება შეგიძლიათ, —

შეუტია ისე მრისხანედ, ჩონჩხი უკანაც კი გახტა. — განა გუშინ არ უნდა მოგეტანათ მასალა აიაკუჩოდან ურჩხულის ჩამოსვლაზე?

— მოვიტანე კიდეც, ბატონო მთავარო რედაქტორო. ყველა შესატყვისი ცნობა უკვე ნახევარი საათის შემდეგ აქ გაახლეთ, როგორც კი ყარაულმა პრეფექტურაში ერთი შემოპარული ვინმე მოაბრძანა, — წაფლამბრავს კაცუნამ.

განცვიფრებისაგან გავშეშდი კიდეც. დიდებული კილო, ამოდ მქლერი ხმა, გამოთქმები — „ყველა შესატყვისი ცნობა“ და „ერთი შემოპარული ვინმე“ აბა სხვა ვისი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს ბოსტნის საფრთხობელა, ვინაც დოქტორი რეზაგლიატი ლამის ცოცხლად შეჭმას უპირებდა, განა შეიძლებოდა ბოლივიელი მოკალმე ყოფილიყო?

— ნუ სტყუით, ვაჟკაცურად მაინც აღიარეთ საკუთარი შეცდომები. არავითარი მასალა არ მოგიტანიათ, მელკოჩიტამ კი ამის გამო ქრონიკა ველარ შეადგინა და ინფორმაცია ამიტომ არასრული გამოვა. კუდმოკვეცილი ინფორმაციები კი დიახაც არ მეპიტნავენ — ჟურნალისტიკას ეს არ ეკადრება!

— მე მოვიტანე, ბატონო მთავარო რედაქტორო. — თავაზიანად, მაგრამ აღელვებით მიუგო პედრო კამაჩომ. — მაგრამ რედაქცია დაკეტილი დამხვდა. ეს იყო ზუსტად ლამის თერთმეტ საათსა და თხუთმეტ წუთზე. გამვლელს ვკითხე, რა დროა-მეთქი. პოდა, რაკი ვიცოდი, ეს ცნობები რაოდენ მნიშვნელოვანი იყო, მელკოჩიტას შინ წავუღე. ლამის ორ საათამდე ვუცადე ქუჩაში, მაგრამ მთელი ღამე შინ არ მოსულა, ჩემი ბრალი არაა, ბატონო მთავარო რედაქტორო. პოლიცხელები, ურჩხული რომ მოჰყავდათ, მეწყერმა შეაფერხათ გზაში და ამიტომაც ცხრა საათის ნაცვლად საღამოს თერთმეტზე ჩამოვიდნენ. ბრალს ნუ დამდებთ, დავალება არ შეასრულეო. ჟურნალი ჩემთვის მთავარი გახლავთ, ბატონო მთავარო რედაქტორო, საკუთარ ჯანმრთელობაზეც მთავარი.

თანდათან, თუმცა დიდი გაჭირვებით, ერთმანეთს დავუკავშირე, რაც პედრო კამაჩოზე მახსოვდა და რასაც ახლა ვხედავდი. ვადმოკარკლულთ თვალები, ოღონდაც უკვე ფანატიზმის კვალის გარეშე, თითქოს ჩაქრობოდნენ და მოუსვენრად, შიშით იმზირებოდნენ. ხელების მოძრაობა, სიარული, ლაპარაკის დროს მიმოხვრა, ხელის სასაცილო ქნევა — ბაზრის მაცნესავით — არ შეცვლოდა. იგივე დარჩენოდა ეს შეუდარებელი, მელოდიური, ყურის მოალერსე ხმაც.

— თქვენი აზრების ბრალია, ავტობუსებსა თუ ტაქსებში რომ არ ჯდებით. იმიტომაც მუდამ და ყველგან გაგვიანდებათ, — ისტერიულად საყვედურობდა დოქტორი რეზაგლიატი. — ნუ იღორებთ, დასწყევლის ეშმაკი, გაიღეთ შავი ფული ავტობუსის ბილეთზე და თავის დროზე იქნებით შემთხვევის ადგილზე.

ძველსა და ახალ პედრო კამაჩოს შორის სხვაობა უფრო მეტი იყო, ვინემ მსგავსება. ყველაზე მეტი სხვაობა ახალსა და ძველ შორის თმას გამოეწვია. მხრებამდე ჩამოსული ფაფარი თითქმის გადაეხოტრა, ამიტომაც სახე კუთხოვანი გახდომოდა, დაკარგოდა მედიდურება, თავისებურება, მხოლოდ მისთვის ჩვეული განუმეორებელი იერი. თანაც ისე გაჩნდიკულიყო, ფაკირი, უხორცო სული გეგონებოდა. თუმცა, მართალი გითხრათ, პირველად მაინც მისი ხამოსის გამო ვერ ვიცანი. ხშირი ტარებისაგან გაბზიალებული კოსტიუმი

ეცვა და ბაფთა პალსტუხი ეკეთა, რაც მისი იერის განუყოფელი ნაწილი იყო. ახლა კი მტვირთავის კომბინეზონი, დაკერებული ხალათი, ზონრებით ამობმული კედები ეცვა და კარიკატურა იყო იმ კარიკატურისა, ამ თორმეტი წლის წინათ რომ გახლდათ.

— არც ეგრეა საქმე, ბატონო მთავარო რედაქტორო, თქვენ რომ გგონიათ, — თავს იცავდა პედრო კამაჩო, თავის სიმართლეში დარწმუნებული. — ხომ დაგიმტკიცეთ, ფეხით უფრო ადრე მივალ, სადაც მინდა, ვიდრე იმ აქოთებული დრანდულეტებით-მეთქი. განა სიწუწუკის გამო დავდივარ ფეხით, შარტო იმიტომ, დავალებული საქმე ზუსტად და დროზე შევასრულო. ხშირად მივრბივარ კიდევ, ბატონო მთავარო რედაქტორო.

წინანდელივით ახლაც ნატამალი არ ეცხო იუმორისა. ლაპარაკობდა ყოველგვარი ეშმაკობისა და ცბიერების გარეშე, არც დელავდა, მისი კილო ავტომატური, უფერული იყო. განა ვინ წარმოიდგენდა იმ ადრეულ წლებში, ოდესმე თუ ასე ილაპარაკებდა.

— მოეშვით ერთი მაგ თქვენს სისულელეებსა და ბრიყვულ ჩვევებს, ჩემი ხნის კაცის თვალის ახვევა ძნელია, — დოქტორი რებაგლიატი ჩვენ მოგვიბრუნდა, როგორც მოწმეებს: — თუ გსმენიათ, კაცმა ასეთი სისულელეები თქვას? ლიმის საპოლიციო კომისარიატებს ფეხით უფრო სწრაფად შემოვუბრუნებენ, ვინმე ავტობუსითო? ამ ვაჟბატონს ჰგონია, ამისთანა სისულელეს ვჭამ... — იგი ხელახლა მიუტრიალდა ბოლივიელ მოკალმეს, რომელიც მთავარ რედაქტორს მიშტერებოდა ჩვენკენ არც გამოუხედავს: — მგონი, თავად უნდა იცოდეთ, როცა ერთ მახლაფა წენიანს მოუჭდებით, რა დიდი მოწყალებაა ჩვენგან, სამუშაოს რომ გაძლევთ. თავადაც შავ დღეში ვართ, ლამის რედაქტორიც გავუშვათ, იმათზე რომ არაფერი ვთქვათ, ვინც ცნობებს გვაწვდის; მაღლიერი მაინც იყავით და საკუთარი მოვალეობა შეასრულეთ.

იმავ წუთს პასკუალი შეშოვიდა მაშინვე გვაუწყა: „ყველაფერი რიგზეა, ნომერი უკვე დასაბეჭდად წავიდა“, შემდეგ მოგვიბოდიშა, ამდენი გაცდევინეთო.

— როგორ გიკითხოთ, პედრო? — მივედი კამაჩოსთან, რომელმაც წასვლა დააპირა, და ხელი გავუწოდე. — აღარ გახსოვართ?

მან თავით ფეხამდე შემათვალიერა, თვალები მოწყურა, სახე გაოცებისაგან ისე ჩამოუგრძელდა, თითქოს პირველად მნახა. ბოლოს ცივად, დიდი ამბობით გამომიწოდა ხელი, როგორც სჩვევოდა ხოლმე, თავი დამიკრა, და მითხრა:

— ფრიად მოხარული ვარ. პედრო კამაჩო, თქვენი მონა-მორჩილი.

კაცო სახტად დავრჩი.

— რას ამბობთ! ნუთუ მართლა ასე დავბერდი?

— თავს ნუ იკატუნებ, არაფერი მახსოვსო, — პასკუალმა ისე დაჰკრა ზურგზე ხელი, კამაჩო შებარბაცდა კიდევ. — განა არ გახსოვს, ეგა და შენ „ბრანსის“ კაფეში ყავას რომ სვამდით?

— უფრო სწორად, იერბალუისისა და პიტნის ნახარშს, — ვუთხარი სიცილით და თან დავაჩერდი, დაკვირვებულსა და ამავე დროს გულგრილ სახეზე ერთი ნაკვთი მაინც ხომ არ შეუტოკდა-მეთქი. მან თავი დააქნია (მაშინლა შევამჩნიე, თავის ქალა თითქმის მოტვლებოდა) და ვითომდა ლიმილის ნიშნად კბილები დაკრიჭა.

— დიდებული საშუალებაა კუჭისათვის, საჭმლის მონელებას შეეღის,

ცხიმების დამღუპველ მოქმედებას სპობს, — განაცხადა პედრომ, მერე თითქოს წყალობას იჩენს და თან თავი უნდა ჩქარა დაიხსნასო, სწრაფად დაძაბა: — დიახაც შესაძლოა, არ უარვყოფ, კი, ალბათ ერთმანეთს ვიცნობდით, — და ისევ გამეორა: — ფრიად მოხარული ვარ.

დიდი პაბლიტო მოგვიახლოვდა, მამაშვილურად და მხეარულად მბრუნებზე მოხვია კამაჩოს ხელი, ალერსიანად და უბოდიშოდ შეაჯანჯლარა და მითხრა:

— პედრიტოს აქ არ უყვარს იმ დროების მოგონება, როცა გამოჩენილი პიროვნება იყო, მეტადრე ახლა, როცა მაჩანჩალა გახდა, — პასკუალს გაეციონა, დიდ პაბლიტოსაც, მეც ვითომ გაეციონე, პედრო კამაჩომაც გამოიძალა ღიმილი. — იმასაც გვეზღაპრება, თითქოს არც მე და არც პასკუალი არ ვახსოვართ. — დიდმა პაბლიტომ ისე გადაუსვა ხელი გამეჩხერებულ თმაზე, ფინიას რომ მოეფერება კაცი. — ახლა იმ დროის მოსაგონებლად მივდივართ, როცა მეფე იყავი. ბედი გქონია, პედრიტო, დღეს მაინც ისადილებ ცხელი კერძით, მე გპატიუებ!

— დიდად მადლობელი გახლავართ, კოლეგებო, — მყისვე მიაგება კამაჩომ და მისებურად თანავ დახარა თავი. — მაგრამ ვერ გამოგყვებით. მეუღლე მელის. სადილად თუ არ მივალ, შეეშინდება.

— სულ დაგიჯაბნა ცოლმა, მონად გაქცია! ვაი სირცხვილო! — ისევ შეანჯღრია დიდმა პაბლიტამ კამაჩო.

— ცოლი ითხოვეთ? — ვკითხე განცვიფრებულმა — ვერ წარმომედგინა, პედრო კამაჩოს თუ შეიძლება თავისი ოჯახი ჰქონოდა და ცოლ-შვილი ჰყოლოდა... — მომილოცნია, მეგონა, ცოლს არასოდეს ითხოვდით.

— ჩვენ უკვე გადავიხადეთ ვერცხლის ქორწილი, — მითხრა პედრომ წყნარი, უფერული ხმით, — დიდებული მეუღლე გახლავთ, სენიორ. თავდადებული, საოცრად კეთილი. ცხოვრება ისე მოგვეწყო, ცალ-ცალკე ვიყავით, მაგრამ როცა დახმარება დამჭირდა, დაბრუნდა და მხარში ამომიდგა. საოცარი ქალია, ისევ გეტყვით. მსახიობია, უცხოელი.

თვალი მოვკარი, დიდმა პაბლიტომ, პასკუალმა და დოქტორმა რებაგლიატიმ ერთმანეთს ღიმილით რომ გადახედეს. მაგრამ პედრო კამაჩოს ვითომც არაფერი შეუმჩნევია. წამიერი ღუმილის შემდეგ დასძინა:

— დრო გაატარეთ, კოლეგებო, ფიქრით თქვენთან ვიქნები.

— იცოდეთ, კიდევ რომ დამალალატოთ — გათავებული იქნება თქვენი საქმე, — გააფრთხილა დოქტორმა რებაგლიატიმ, როცა მოკალმე უკვე თეჯირს უკან გადიოდა.

პედრო კამაჩოს ფეხის ხმა მიმწყდარიც არ იყო — ალბათ ქუჩის გასასვლელს იქნებოდა მიახლოებული, რომ პასკუალმა, დიდმა პაბლიტომ და დოქტორმა რებაგლიატიმ ხარხარი ატეხეს, ერთმანეთს თვალს უპაჭუნებდნენ, იყვანებოდნენ და თითო იქით იშვერდნენ, საითაც მოკალმე წავიდა.

— არც ისეთი სულელია როგორც თავს გვაჩვენებს, უბრალოდ არ უნდა, რქები მადგიაო, შეიმჩნიოს! — ღიმილით შესძახა დოქტორმა რებაგლიატიმ. — როცა თავის ცოლზე ლაპარაკობს, ერთი სული მაქვს ვუთხრა: მსახიობს კი არადა, ეგეთ ქალს ჩვენში უბრალოდ უმდაბლესი რიგის სტრიპტიზის ქალს ეძახიან-მეთქი.

— წარმოდგენითაც ვერ წარმოიდგენ, ისეთი მათხოჯია, — ჩაილაპარაკა პასკუალმა და ისე დაიღრჩვა, ბავშვი რომ დაიღრჩება ქაჯის დანახვაზე. — ბებერი, სქელზე სქელი, გათხიპნილ-გათითხნილი, ღიად შეღებილი ბუძგათმიანი, არგენტინელი. „მაზინინში“, მათხოვრების ღამის დუქანში ტანგოს სიტყვებს გაჰკივის ნახევრად შიშველი.

— ხმა გაიკმინდეთ, ეგეთი უმადურობაც არ შეიძლება! — ხარმცემს აკარგად იკოტრიალეთ მასთან, — თქვა დოქტორმა რებაგლიატიმ. — არც მე დამიკლია!

— მომღერალი კი არადა, ის არ ვინდა! თავს დავდებ, რომ ჩვეულებრივი კახპაა! — შესძახა თვალეზანთებულმა დიდმა პაბლიტომ. — „მაზინინში“ შევიარე, აბა ერთი ვნახო-მეთქი. შოუს მერე კი თვითონ მომადგა და მითხრა, ოცი სოლი მომეცი და ყველაფერზე დაგთანხმდებიო... არა, ჩემო კარგო! მეტიმეტად ბებერი ხარ-მეთქი. ოცი მოგცე კი არადა, აქეთ რომ მომცე, მაინც არ მინდა-მეთქი. ბებერია, უკბილო ბებერი, ღონ მარო!

— დიდი ხანია უკვე ცოლ-ქმარია, — თქვა პასკუალმა. თან პერანგის მაჯები შეიკრა, პიჯაკი ჩაიცვა და პალსტუხი გაიკეთა. — ჯერ ბოლივიაშივე დაქორწინდნენ, პედრიტოს ღიმაში ჩამოსვლის წინ, მერე, მგონი, ქალმა მიატოვა, ხელიდან ხელში გადადიოდა. შემდეგ ისევ შერიგდნენ, საგიჟეთში რომ ჩასვეს, მაშინ. ამიტომაც იძახის ახლა, თავდადებული ქალიაო, როცა გაგიჟდა, მაშინ დაუბრუნდა.

— იმიტომაც ცოლის მადლიერი, რომ ის აჰმევს ძალღივით პურს, — შეუსწორა დოქტორმა რებაგლიატიმ. — გგონია, კამაჩოს შემოსავალი შეინახავდათ იმ სისხლის-სამართლის ქრონიკებით, საპოლიცო კომისარიატებიდან რომ მოაქვს? კახპობით ნაშოვნის ფულით ჭამს — ეგ ცოლი რომ არა, დიდი ხანია დატლექდებოდა.

— თუმცა ამ პედრიტოს ბევრიც არ სჭირდება, — თქვა პასკუალმა და ამიხსნა: — სანტა-კრისტოს ქუჩაზე ცხოვრობენ. სადამდე მივიდა მაგისი საქმე, არა? ეს ჩვენი მთავარი რედაქტორი კი არ მიჯერებს, როცა ვეუბნები, ისეთი ცნობილი კაცი იყო კამაჩო, როცა თავის რადიოდრამებს წერდა, ავტოგრაფებსაც კი თხოვდნენ-მეთქი.

გარეთ გამოვედით. გარაჟში უკვე აღარ ჩანდნენ არც დავთრიანი ახალგაზრდა გოგო, არც რედაქტორები და არც ის ბიჭი, ჟურნალებს რომ კრავდა. სინათლე ჩაექროთ. დახორხლილი ხარახურა და არეულობა რაღაც არანამდვილი იერს აძლევდა ამ სამყოფელს. ზღურბლზე რომ გადმოაბიჯა, დოქტორმა რებაგლიატიმ კარი გასაღებით დაკეტა. ოთხივე ჩამწკრივებული მივაბიჯებდით არიკას ავენიდაზე ტაქსის გამოჩენის მოლოდინში. რაღაც ხომ უნდა მეთქვა, ჰოდა, ვკითხე, პედრო კამაჩო მარტო ცნობებს რატომ აგროვებს, რედაქტორად რად არ ამუშავენ-მეთქი.

— იმიტომ, რომ წერა არ იცის, — მყის მიპასუხა დოქტორმა რებაგლიატიმ. — უხამსი ვილაცაა, თანაც ყოველად გაუგებარი სიტყვების ხმარება უყვარს, მოკლედ, ჟურნალისტიკის არაფერი გაეგება. ამიტომაც გავაგზავნე საპოლიციო კომისარიატებში. ისე კი სულაც არ მჭირდება, ოღონდაც ვერთობი, პამპულად მყავს, თანაც დამლაგებელზე ნაკლებ ფულს ვაძლევთ. — დოქტორმა წუნკლურად ჩაიციხა და იკითხა: — ეს იქით იყოს და მითხარით ბარემ, მპატიებთ თუ არა სადილზე?

— რა თქმა უნდა, აბა როგორ! აქამდე რატომ არ მომადიქრდა! მიუგო დიდმა პაბლიტომ. — თქვენ და დონ მარია საპატიო სტუმრები ბრძანდებით.

— ეგ ტიპი რალაც-რალაცებზე აფრენს, — თქვა პასკუალმა ტიქსში ვისხედით და პარუროსკენ მივექროდით. — მაგალითად, ავტობუსების არაფერი სწამს და სულ ფეხით დადის, ასე უფრო ჩქარიაო, ამბობს. რომ წარმოვიდგენ. რამდენი კილომეტრის გარბენა უხდება ყოველდღე, გაფიქრებაც კი მღლის! მარტო ცენტრში რომ შემოიარო საპოლიციო კომისარიატები — უკვე ათი კილომეტრია! კედლებზე თუ დახედეთ?

— საძაგელი წუწკია და მეტი არაფერი, — მტრულად წაილაპარაკა დოქტორმა რებაგლიატიმ.

— არა მგონია, წუწკი იყოს, — გამოესარჩლა კამაჩოს დიდი პაბლიტო, — ცოტა ტვინი ელრძო და ბედმაც არ გაუმართლა.

სადილი დიდხანს გაგრძელდა, კრიოლურ კერძებს ბოლო არ უჩანდა — ნაირ-ნაირსა და ცხარე-ცხარეს. ზედ ცივ-ცივი ლუდიც მოჰქონდათ. სადილზე ცოტა უწმაწური ამბების მოყოლაც იყო, წარსულის მოგონებებიც, ნაცნობების დაწვრილებით გაჭორვაც, ცოტა პოლიტიკაც. კვლავაც მომიხდა ევროპელი ქალების შესახებ უამრავ კითხვაზე პასუხის გაცემა. ერთი-ორჯერ სილაც გალაწუნდა, როცა შეზარხოშებულმა დოქტორმა რებაგლიატიმ დიდი პაბლიტოს ცოლს მიჩოჩება დაუპირა, რომელიც ჯერ კიდევ საკმაოდ ლამაზი ორმოცი წლის ქალი იყო. თუმცა ეს ჩხუბი მე თვითონ ავტებზე, არ მიხდოდა ამ მოსაწყენ საღამოზე ვისმე თუნდაც ერთი სიტყვა ეთქვა პედრო კამაჩოზე.

ოლგა ძალოსა და ძია ლუჩოს სახლში რომ დაებრუნდი (ჩემი ნათესავები ახლა სიდედრ-სიმამრად მეკუთვნოდა), თავი მტკიოდა და გუნებაზე ვერ ვიყავი. უკვე ბნელოდა.

ჩემი ბიძაშვილი პატრისია ფრიად ცივად შემხვდა. მითხრა, მაგ მონაჩმანით, რომანებისთვის მასალის მოგროვება მჭირდებაო, მარტო ხულია დეიდას თუ მოატყუებდი. ის კი არადა, კარაბას-ბარაბასის სამიჯნურო ამბებიც რომ მოგეყოლა, კრინტს ვერ დაძრავდა იმის შიშით, არავის ეფიქრა, კულტურის წინაშე სცოდავსო. მაგრამ მას, პატრისიას კი იოტის ოდენადაც არ აღელვებს კულტურის წინაშე შეცოდება, ისე რომ, თუ ერთხელ კიდევ წავსულვარ შინიდან დილის რვა საათზე იმ მიზეზით, ეროვნულ ბიბლიოთეკაში გენერალ მანუელ აპოლინარიო ოდრიას სიტყვები უნდა წავიკითხოო, საღამოს რვა საათზე კი თვალეზღაწითლებული, არყის სუნით აქოთებული და, რა თქმა უნდა, პამადით დათითხნილი ცხვირსახოცით დავბრუნებულვარ, ცხვირპირს დამაკაწრის ან თავზე თეფშს დამამსხვრევს.

ჩემი ბიძაშვილი პატრისია კი იმისთანა მაგარი ქალი გახლავთ, თავის დანაპირებს დიახაც შეასრულებს.

ტანიკაჲა სიუნტარო

ლექსები



თარგმნა ტარიელ ჟანტურიამ

უსათაურო

მე მომწყინდა...
მე მომწყინდა ჩემივე ხორცი.
მე მომწყინდა ჩაის ფინჯნები, მათარა, სარბენი ბილიკი,
მე მომწყინდა გრძელი, რბილი თმები,
მე მომწყინდა ხელმარჯვეობა დილით, ხელმარჯვეობა საღამოთი,
მე მომწყინდა ჩემი სული,
მე მომწყინდა ...
მე მომწყინდა უამრავი ჩამოქცეული ხიდი,
მე მომწყინდა მტრედისფერი ცის რბილი კანი,
მე მომწყინდა შაშხანის ბათქი, ჩლიქების თქარუნი, მყრალი საკე,
მე მომწყინდა თეთრი საყელო, და ჭუჭყიანი საყელოც,
მე მომწყინდა ნიჭიერი და უნიჭო ლექსი.
მე მომწყინდა ლეკვის წამუტუნი,
მე მომწყინდა ყოველდღიურად — მზე,
მე მომწყინდა წითელი ბოძი,
მე მომწყინდა მღევარის შავი ულვაში,
მე მომწყინდა მზით გაჩახჩახებული მინდორი ზაფხულის დასაწყისში,
მე მომწყინდა ვარსკვლავთცვენა, ვარსკვლავთბრუნვა, დღე,
მე მომწყინდა ჩემი სიყვარული,
მე მომწყინდა იის ყვავილი ჩემს ბინაში,
მე მომწყინდა...

გ ა მ ო ს ვ ლ ა

ამ როიალს ჩალის სუნი ასდის ნამდვილად.
ეს როიალი დაემგვანა საბეჭდ მანქანას.
ამ როიალში ნაკადული მიედინება.
ეს როიალი ვულკანივით ამოიფრქვევა.

ეს როიალი გადიქცევა დიდ, თეთრ დარბაზად,
და ეს დარბაზი — როიალის გულში იქნება.
ამ როიალში იღუპება ადამიანი.

ეს როიალი მიფრინავს ცაში.

ეს როიალი შექმნილია ნისლეულისგან,

და

ეს როიალი, ბოლოს და ბოლოს, ტოვებს მშვიდად შედგენილ
ანდერძს.



მე ტაშს ვუკრავდი 2000 მსმენელთან ერთად
და ამ აპლოდისმენტების აზრი თეთრ ქალაქზე გადავიტანე.

ღამით, როდესაც სმენას წვიმის ათრობენ ხმები

მინდა, ყოველთვის ასე ვიჯდე და
ვუსმინო, როგორ ნელა ქრებიან ახალი შიში და მწუხარება,
და მე, უღმერთომ, ღრმად ვისუნთქო სურნელი ღმერთის,
შორეულ ქვეყნის ლამაზ ქუჩებში მოვაქუჩო მჭკნარი ფოთლები,
შუქმოსილნი წარსულის და მომავლის ფარნით ჯადოსნურით,
მივენდო ასე — ცისფერ ზღვას და დივანს მიჩვეულს,
უპირველესად — საკუთარ თავზე თავდავიწყებით შეყვარებული.
მინდა ყოველთვის ასე ვიჯდე.

სინათლის ორი მილიარდი წელი მარტოობა

ადამიანებს პატარა ბურთზე
სძინავთ. ვახშობენ. მხიარულობენ,
მაგრამ ხანდახან მარსზედაც სურთ მეგობრის პოვნა.

არ ვიცი, რას აკეთებენ მარსელები
თავიანთ პატარა ბურთზე.

(იქნებ ერთმანეთს ესაუბრებიან: ნერირი — კირურუ — ხარარა)
მაგრამ ხანდახან მიწაზეც სურთ მეგობრის პოვნა.
ღიახ, ღიახ, მაშ როგორ!

მიზიდულობის ძალა —
ესაა ძალა აუტანელ მარტოობისა.

კოსმოსი იკუმშება —
და აი, ადამიანები ერთმანეთისაკენ მიილტვიან.

კოსმოსი ფართოვდება —
და აი, ადამიანები განგაშს ტეხავენ.

სინათლის ორი მილიარდი წლის მარტოობაში
უეცრად ძლიერ დამაცემინა.



გზაჯვარედინზე

ზენამ ყომრალი ღრუბელი ზედ თავზე გადამატარა.
შევდგი თუ არა ოთახში ფეხი, გაწვიმდა კიდევაც.
დედას მკლავებზე ეწვინა
და იცინოდა ბავშვი.

მე უკვე მოვრჩი ცხოვრებას,
და ვგავდი სიცარიელეს, ბედნიერებით სავსეს.
ბოლოს და ბოლოს მე ამას, რომც მოვინდომო, ვერ ავწერ.

უხმოდ დნებოდა ნაყინი — ბავშვს დარჩენოდა, ჩანდა.
ნაყინის გვერდით ელაგა ოციოდ ხელსახოცი,
და იღვრებოდა მუსიკა ნაცნობი, საყვარელი —
აი, ეს გახლდათ სამყარო, შექმნილი კაცის ხელით.

და ილუზიის გარეშე
მე დავცქეროდი გარემოს, თვალწინ რომ გადამშლოდა.
ეტყობა, უნდა თავიდან დავიწყო ყველაფერი.

●
მე ვუბრუნდები თავისთავს.
იქ — არავინაა.
საიდან მოველ?
არც ის ვიცი, რად დავიბადე...
მსურს ყველგან ვიყო, როგორც სინათლე,
ოღონდ ვხედავ, ეს სურვილი — თავხედურია.
ბევრჯერ კრეს ხელი ჩემს სიყვარულს, როგორც სიმღერას.
ბევრი ვეცადო, ვერ მოვალ წვიმად, ბორიოდაც კი ვერ ვიქცევი.
ცხოვრება ასე თუ გაგრძელდა, მჯერა, უთუოდ
სიყვარული შემნიშნავს ბოლოს,
მიუსაფარი სიყვარული, სევდა საკუთარ სახლის გამო.
ადამიანი ვალდებულა,
სულ სიმღერაში ხარჯოს ცხოვრება,
ან სიყვარულის სხვა რამ ფორმით.

ოთახის შესახებ

ადამიანმა თავი შემოიზღუდა,
რადგან სივრცე მეტისმეტად საშიშია,
დრო კი — მეტისმეტად სევდიანი.



და ადამიანმაც იფიქრა, უფრო მშვიდად ვიქნები,
თუ უსასრულო სივრცეს — თეთრი კედლით,
უსასრულო დროს კი — რბილი საწოლით შევცვლიო.

ოღონდ ეგაა: საჭირო იყო კარი და ფანჯარა,
კარი — ახალი მეგობრებისათვის,
ფანჯარა — ზაფხულის მშვენიერი დღისათვის.

მაგრამ დღისით კედელს გარედანაც კედელი ეკრა —
მტრედისფერი ცა და საწვიმარი ღრუბელი,
საწოლი — ქუჩის ან დაბლობის ედგა.
ოღონდ ღამით ადამიანი იკეტებოდა.

„რა ვქნა, ოთახი მომენატრა“ — ჩვეულებრივ ასე ბუზღუნებდა
ადამიანი.

ჭეშმარიტად, ოთახი აიძულებდა ადამიანს, ეცხოვრა კოორდინატების
ახალი სისტემით ზამთარში, ზაფხულში, შემოდგომაზე,
ვაზაფხულზე —
და ასე სიკვდილის დღემდე.

ამის მერე ადამიანზე პირადად მე აღარაფერი ვიცი.
როცა ადამიანი არ არის, ოთახი თანდათანობით
ემსგავსება კოსმოსს.

სამყარო

აჰა, ქარისგან დაჭმული ლოდი.
გაუძლო რამდენ ხორშაკს და წვიმებს,
და თუმცა 10 000 წელი .
გასულა — ისევ ყოჩაღად გდია.

აჰა, სინათლე! და თუმცა იგი
ზუსტად სინათლის სიჩქარით მიჰქრის,
არ ეყო წელი ასი ათასი.—
ანდრომედამდე ვერ მიაღწია.

დაჰბერა ქარმა, ყვითელ მინაზე
გაიწკრილა სულ ერთი წამით
და იმ წუთშივე
უკვალოდ გაქრა.



მამაკაცი, წასული ფიქრში,
ეხვევა კოცნის ლამაზ ქალბატონს.
მაგრამ, რამდენიც უნდა იფიქროს,
იგი ვერაფერს გაიგებს ახლა.

აი, მოკლული საწყალი ჩიტი.
ვინ დაინახავს მის ჩამქრალ სხეულს.
ჩუმად ჩალბება
დამპალ ფოთლებში..

ხელები

ხელები.
ისინი ეხებიან
ქალის თეძოებს.
ისინი ეთამაშებიან
ბაღების კულულებს,
ხელები,
ისინი ბლუჯავენ
ჩაქუჩს,
ან მეგობრის ხელებს.
ხელები,
ისინი ამოწვადვენ ხანჯალს
და კალთაში ჩააფრინდებიან ცხოვრებას.
ხელები,
ისინი ელაციციებიან
დედის ლოყებს.
ხელები,
ისინი აშენებენ,
ისინი ანგრევენ,

ისინი ართმევენ,
ისინი იძლევიან,
მათ უჭირავთ.
ხელები,
ისინი უშვებენ,
ისინი აღებენ.
ხელები,
ისინი კეტავენ,
ხელები-
მუდამ რაღაცას აკეთებენ.
ხელები,
მუდამ არაფერს აკეთებენ.
ხელები,
ისინი მიუთითებენ ცისკენ,
ისინი იშლებიან—ზაფხულის
ფოთლებივით ხშირნი.
ხელები,
ისინი მკერდზე დაწყობილნი
ტკნებიან.

ღამის ჯაზი

ტარო ბრმაა,
იმიტომ რომ ღამეა.
ხონაკოც ბრმაა,
იმიტომ რომ ღამეა.

მხოლოდ შეხება,
შეხება ტაროსი,
შეხება ხონაკოსი...
ძალზე ცოცხალი თევზი.

ძალზე ძლიერი ქარი.
 ძალზე ირწყევა ნავი.
 ძალზე ბნელია ღამე.
 ძალზე. ძალზე.
 ჰო, ძალზე.
 ნელა იზრდება ოთხი ტოტი
 და ოთხი ფესვი.
 გამთენიის ხანს დაიწყებენ
 ჩიტები სტვენას.
 გამთენიისას მტრედისფერი
 გახდება ზეცა.
 მადრამ ჯერ ისევ ღამეა, ბნელა,
 და ამიტომ
 ტარო წრმაა.
 ღამეა, და ამიტომ
 ხონაცოც ბრმაა,

და სიზმრებით არიან სავსე.
 ბრმაა
 ირი ფინჯანიც,
 და ორი სკამიც,
 და ერთი სახლიც,
 და ბევრი ჩიტიც,
 და ერთი გზაც,
 და მტირალა ბავშვიც,
 დაუხუჭავთ ბრმა თვალები და
 სძინავთ.
 ძლივს შესამჩნევი ხვალინდელი დღე...
 ანგელოსის ხმატკბილი ზანზალაკი
 აბრუნებს მომავალს.
 ეჭეჭეი.
 ანთეთ სინათლე ღმერთის წალკოტში.



ოჯახური პორტრეტი

აი ფიალა,
 წყალს რომ ადიდებს.
 ფაფის ნარჩენი,
 ხის კოვზი,
 ნამდვილი საკე გამოხდილი
 ბალახისაგან
 და საწერი მაგიდა, ყველაფერ ამას
 რომ იმაგრებს.
 აი მამაკაცი.
 ზის, გამოწყობილი
 უხეშ ტანსაცმელში,
 ღონიერი ხელები.
 უღვაში.
 თვალი ჯიუტად მიშტერებია
 ჯერ კიდევ ჩაბნელებულ
 მინდორს.
 აი ქალი
 მალაღობი მკერდი

გადავარცხნილი უკან თმები
 დაძაბული ხელი
 მამაკაცის მხარზე უღევს.
 აი ბავშვები
 მრგვალი შუბლი
 ჭუჭყითაა მოთხვრილი
 თითქო ვაკვირვებულ
 იმზირება აქეთ.
 მოხუცები
 გადიდებული სურათებიდან
 მორჩილად იცქირებიან.
 დათვივით ძალღი
 აბია კართან.
 უბრალო საკურთხეველთან
 კანკალებს სანთელი.
 ღამე ნელნელა
 მიიპარება.

გაზაფხულის პირი

ყვავილებს ზემოთ —
 თეთრი ღრუბელი.
 ღრუბლებს ზემოთ —
 უსაზღვრო სილურჯე.
 ყვავილზეც მაღლა,

ღრუბელზეც მაღლა
 ვიქროლებ მარად.
 გაზაფხულის დღეს
 სწორედ ამაზე
 ვესაუბრე ღმერთს
 უსიტყვოდ. ჩუმად.



რომანი

ფრანგულიდან თარგმნა დავით კახაბერიძე

XII

ბატონ მერსიეს მარჯვენა თვალი მოეჭურტა, ყოვლისმხედველი მარცხენა თვალი ფართოდ გაეზილა და ჩუმად ილანძღებოდა, თან ხელით იბერტყავდა თამბაქოს ფერფლს, რომელიც ცუდად გახვეული პაპიროსიდან ცვიოდა. სელმა წინ ეჯდა. ოლივიე კი ფანჯარასთან იდგა და ფართო მხარ-ბეჭით ფარავდა გარეთა ხედს, ხელში ქალაღდი ეჭირა და ხაზგასმული გესლით კითხულობდა სპეციალური სამსახურის მიერ გამოგზავნილ აბდაუბდა ნოტას:

„...როგორც არ უნდა იყოს თქვენი დამოკიდებულება ჩვენ მიერ მიღებული ზოგიერთი მეტისმეტად მკაცრი ზომებისადმი.. იძულებული ვართ შეგახსენოთ დაიცვათ ნეიტრალიტეტი, შეგახსენოთ აგრეთვე ისიც: რომ მიუხედავად ჰუმანური მოსაზრებებისა, ახალი რეჟიმის „მომხრე“ ხართ თუ „მოწინააღმდეგე“, ამის თაობაზე აზრის გამოთქმა ახლა დაუშვებელია...“ „მომხრე!“ შენ იცნობ ვინმეს ამათ „მომხრეს“, სელმა?

„ჩვეულებრივი დებულებაა! — თქვა ბატონმა და მარჯვენა თვალი გაახილა.

— „ჩვენს მიერ მიღებული ზოგიერთი მეტისმეტად მკაცრი ზომებისადმი...“ — განაგრძობდა ოლივიე. — ვუყურებთ ხოცვა-ყლეტას, მდიდრები ჯავრს იყრიან ღარიბებზე, თეთრები — მეტისებზე, ჩვენ კი „ზოგიერთ მეტისმეტად მკაცრ ზომებზე“ გველაპარაკებიან! თუმცა რა, ეს კვირა მთელი პრესამ კილოზე ლაპარაკობს. დასავლეთის პრესას ვგულისხმობ. ვითომ წუხან; მტკივანი კბილი უანესთეზიოდ როგორ ამოვიღოთო, ცხადია, ოპერაცია ცოტა მტკივნეულია, სამაგიეროდ წესრიგი აღდგენილია, ტვინი კი განთავისუფლდა ფუჭი ოცნებისაგან. ცოტასაც იბუზღუნებენ, მერე ყველაფერს დაივიწყებენ და ისევ ვაჭრობა დაიწყება...

— კმარა, ოლივიე! — გააწყვეტინა ბატონმა მერსიემ. — ვერ წარმოიდგენ, რა გულწრფელად დასტირიან იქ სახალხო მთავრობის დამხობას, რომლის მაგალითიც ჩვენს საკუთარ მთავრობას ძილს უფრთხობდა. ამდენი მსხვე-

რპლი აწუხებდა კეთილი ლიბერალის სინდისს... მაგრამ თუ ახლანდელ მსხვერ-
პლთა პროგრამას გავიხსენებთ, დასავლეთი თავს არ მოიკლავს გლოვით.

სელმამ ქმარს თვალთ ანიშნა, ხმა აღარ ამოიღო. ოლივიე არ მაინც
თავისას განაგრძობდა:

— ერთ პარიზულ გაზეთში წავიკითხე ასეთი სათაური: „მსგავს შემთხვე-
ვაში როგორ მოიქცეოდა ჩვენი არმია?“ ეს იყო მხოლოდ გამოკვლევა, მაგრამ
თუ ამგვარ პოზიციაზე დავდგებით, შეიძლება შორსაც შევტოპოთ.

— ჩვენს საქმეზე ვილაპარაკოთ, ოლივიე, კარგი?

ოლივიე არ განძრეულა, ბატონი მერსიე თვითონ აბვევდა ხოლმე სიგა-
რეტს, ჩაფიქრებული ასველებდა ნერწყვით პაპიროსის ქაღალდს და თითქოს
ამ თავისებური ჩვევით ცდილობდა ხაზი გაესვა საკუთარი გულკეთილობისა-
თვის:

— ჯერ ერთი, ეს დებულება ყველასათვის კანონია, ასე არ არის? ახლა
ვნახოთ, რას შეეხება იგი, ორივენი გამოვიძახებთ. — განაგრძო პატრონმა, —
რათა გადავწყვიტოთ ალკოვარისა და მისი მეგობარი ქალის საქმე. მარიას
არავინ ეძებს და იგი პრობლემას არ წარმოადგენს, თუ, რა თქმა უნდა საზო-
გადოების მტერთან ურთიერთობისათვის არ ადანაშაულებენ უკვე. მას შეუ-
ძლია აქაურობა ჩვენს დაუხმარებლადაც დატოვოს. აი ალკოვარი კი ჩვენს კი-
სერზეა სხვა ათიოდე ყოფილ ხელმძღვანელთან ერთად. მათთვის ჯერ ვერ მო-
ვახერხე წასვლის ნებართვის აღება. იქნებ გაგვეცვალა. ხუნტა მიხვდა, მტრებს
რომ წასვლის ნებას რთავს, ამით თავს საფრთხეში იგდებს: ერთ მშვენიერ
დღეს ხომ შეიძლება ემიგრირებულებმა კანონიერი მთავრობა შექმნან? ამი-
ერიდან იგი უფრო გულმოდგინედ ივაჭრებს თვითვეული მათგანისათვის.

— დაიცადეთ! — დაიძახა სელმამ. — სულის მოთქმა მაცალეთ.

— ყველაფერი კარგად მესმის, შენს მდგომარეობაში მყოფ ადამიანს გმი-
რობას ვერ მოსთხოვ, — თქვა ბატონმა მერსიემ.

მერე სანთებელა გააჩხაკუნა, სიგარეტს ცისფერი კვამლი აუვიდა, მერსი-
ეს პირი არც გაუღია ისე თქვა:

— რაც შეეხება სენატორს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი მინის-
ტრი მისი პირადი მტერია: მინისტრმა ჩამოართვა მოქალაქეობის უფლება,
თანაც იმგვარ ხერხს მიმართა, რაც ჩვენი კონსტიტუციონელებისათვის ასე
ძვირფასია: სენატორი კანონგარეშე გამოაცხადა, ეს კი იმას ნიშნავს, ვისაც
მაღალი ჯილდოს მადა გაეხსნა, შეუძლია სიცოცხლეს გამოასალმოს სენა-
ტორი. მის გადასარჩენად მხოლოდ ერთ გამოსავალს ვხედავ: ამერიკელებს მი-
ვმართოთ.

— რაა? — გაოცდა ოლივიე.

— აბა, იფიქრეთ, ლეგარნო! ამერიკელები ამ ამბავში ისე აშკარად არიან
ჩარეულნი, რომ აუცილებელია, როგორღაც და რიდაციით თავი გაიმართლონ,
ნამუსი მოიწმინდონ. ხუნტა მათ უარს ვერაფერზე ეტყვის, ისინი კი, თითქმის
დარწმუნებული ვარ, ასეთ შემთხვევას სიამოვნებით ჩაეჭიდებიან.

— მაგრამ თქვენც ხომ გეშინიათ, — შეეპასუხა ოლივიე, — ვაითუ დაი-
ნტერესებულმა პიროვნებამ უარი თქვას იმათ დახმარებაზე, ვინც ამ ამბის
მოთავენი არიანო. და ამის შემდეგ, გნებავთ, რომ ჩვენ დავიყოლიოთ ეს პი-
როვნება?

— კაცი ვერაფერს დაგიძალავთ....

ტელეფონმა დარეკა. ბატონმა მერსიემ ყურმილი აიღო:

— დიახ, ჩემთანაა, ახლავე დაგალაპარაკებთ... ოლივიე, ტელეფონისტი ქალი გეძებთ. მგონი, რაღაც სასწრაფოა.

ბატონმა მერსიემ ცხვირიდან ბოლი გამოუშვა და ცნობისმოყვარეობით შეაცქერდა თავის მრჩეველს, რომელმაც, მიიტანა თუ არა ყურმილი ყურთან, მაშინვე შეიცვალა და მარილის ქანდაკებას დაემსგავსა.

და მიზეზიც იყო. ტელეფონის მეორე ბოლოდან ნაცნობი ხმა გაისმა. ასეთი გაუფრთხილებლობა განა შეიძლება?!

— ალო, ბატონი ლეგარნო ბრძანდებით? მარია ვარ. ის ქალიშვილი, თქვენ რომ მოახლეს დამხმარედ დაიქირავეთ. მაპატიეთ, რომ გაწუხებთ, მაგრამ აუცილებლად მივიჩნიე მეცნობებინა თქვენთვის იმის თაობაზე, რაც ქალბატონ ფიდელის დაემართა, თქვენს მოახლეს.

— ერთი წუთით! მეორე ტელეფონზე მეძახიან, — უთხრა ოლივიემ, რომელიც უკვე ხვდებოდა რაც მოხდა.

ტელეფონის ყურმილს ხელი დაათარა და ხმადაბლა თქვა:

— მეორე ყურმილი აიღეთ, ჩქარა! მარიაა, საიდუმლო სამსახურის გაცურებას აპირებს.

მერე ყურმილს ხელი მოაშორა და ჰკითხა:

— დიახ, რას ამბობდით, მადმუაზელ?

ბატონმა თავი დაიქნია და ქვედა ტუჩი წინ წამოსწია, რითაც სელმას საქციელი მოუწონა, როცა ამ უკანასკნელმა ლილაკს თითი დააჭირა და მაგნიტოფონი ჩართო. ყურმილში მარიას ხმა გაისმა:

— დიახ ბატონო, მარია ვარ, მოახლის დამხმარედ რომ ამიყვანეთ. როგორც შევთანხმდით, ზუსტად შუადღის ხანს მოვედი, დავინახე თქვენი სახლიდან როგორ გამოვიდა სამი კაცი, ერთი — ჭალარაშერეული, საკმაოდ დაბალი, ალბათ ექიმი და ორიც — კარგა მალლები. გონდაკარგული ახალგაზრდა ქალი გამოიტანეს და მანქანის უკანა სავარძელზე დააწვინეს. მე მგონი, ქალბატონი ფიდელია იყო.

— ხომ არ იცით, რომელ საავადმყოფოში წაიყვანეს? — ჩაება თამაშში ოლივიე.

— არა, ბატონო, მანქანასთან მისვლა ვერ მოვასწარი, უცბად წავიდნენ, თანაც სასწრაფოს მანქანით კი არა, ანტენიანი მანქანით წაიყვანეს. მარტო ეს შემომესმა, ექიმმა რომ ჩასძახა ტელეფონში: პრელატო ვარ, ყველაფერი რეგზეა, მოვდივართო.

— პრელატო? დარწმუნებული ხართ? მაშინვე უნდა გეცნობებინათ ჩემთვის, — უთხრა ოლივიემ.

— ძალიან ვნანობ, ბატონო, მაგრამ არ ვიცოდი რა მექნა, სახლში უკანა კარიდან შევედი, კარი იმ გასაღებით გავაღე, თქვენ რომ მომეცით. დალაგება დავამთავრე, ჩალბობილი თეთრეულის რეცხვა დავიწყე. ქალბატონმა ლეგარნომ გამაფრთხილა, პირველი საათისთვის ვეცდები შემოვიარო. ველოდებოდი...

— აპატიეთ, ვერ შესძლო სამსახურიდან გამოსვლა, — თქვა ოლივიემ, — ნუ დელავთ, სასწრაფოდ ვილონებთ რამეს.

ბატონმა მერსიემ ყურმილი დაკიდა, მაგნიტოფონი გამორთო, სავსე სა-

ფერფლეში სიგარეტის ნამწვი ჩააგდო და სახურავის ღილაკს თითი დააჭირა; შუბლი ღრმა ნაოჭებით დაეფარა:

— თქვენს მოახლესთან რა ესაქმებათ? — იკითხა მან.

— მისი ქმარი უჯრედის მდივანი ყოფილა, ცოტა ხნის წინ გავიდა, — თქვა სელმამ.

— ყველაფერი ნათელია! — თითქმის მხიარულად წაშრობდა ხეობა — მათ სურთ თქვენი დოსიე შეავსონ. სატანისეული შურისმაძიებლები არიან. გუშინ მექსიკის საელჩოს ატაშე გამოაცხადეს „persona non grata“¹ ცხადია, უნდა ჩავერიო უკვე საქმეში. ცოტა აღვშფოთდები და ძალიან გავიკვირვებ... ჭუჭყიანი საქმეა, მაგრამ ალბათ შევძლებ პრელატოს დამარცხებას. და მაინც, სიფრთხილეს თავი არა სტკივა, რაკი დღეს პარასკევია, გიბრძანებთ გაემგზავროთ ჩემს სახლში, ტბაზე, თან სელმაც და ვიკიც წაიყვანეთ. დაურეკეთ მარიას და უთხარით, სხვაგან მიდიხართ. ოღონდ, სად არ უთხრათ. — ყოჩაღ, მარია; ეს გოგო ნამდვილად ცივსისხლიანია.

— მაშასადამე, სენატორი ვერ იბოვეს, — თქვა სელმამ. — მაგრამ უჩვენოდ რას იზამს?

— თუ შენი მაცივარი ცარიელია, იშიმშილებს! მე ხომ ბანკეტიდან ბანკეტზე დავდივარ და პირდაპირ ვოცნებობ შიმშილზე! — ბატონმა მერსიემ ღიპზე ხელი მოისვა.

XIII

მარიამ პირველმა იგრძნო, რა დღეშიც ჩავარდნენ და დილაადრიანად წამოიყვირა:

— აი, საქმე თუ გინდა! კაცმა არ იცის, რა გველის!...

და ეს სიმართლე იყო. გასაჩხრეკადაც რომც აღარ მოსულიყვნენ, ცხადია, ამ სახლს ამიერიდან უკვე ასი თვალით და თანაც გაბოროტებით დაუწყებდნენ თვალთვალს. თუ პოლიცია დაინტერესდებოდა, სად იმყოფებოდა მარია მთელი ეს ხანი, რას უპასუხებდა? ეს ტელეფონიც თითქოს განგებ სცდიდაო, — ექვსჯერ დარეკა, მარიას ლამის ნერვები დააწყდა; ექვსჯერვე მორიგის გულგრილ კილოზე გასცა პასუხი — მე ქალბატონი ლეგარნო არა ვარ: ქალბატონი რამდენიმე დღით სოფელში გაემგზავრა, არც ფიდელია ვარ, ფიდელია ავადაა; მე მარია მქვია და ფიდელიას ვცვლი. რაკი ამ სახლში დიდი ხანი არ არის, რაც მოვედი, მეტი არაფერი ვიციო.

მარია არ ტყუოდა. სად არიან ლეგარნოები? რამდენ ხანს არ იქნებიან? საიდუმლოებით არის მოცული. საერთოდ, დაბრუნდებიან კი? და თუ არ დაბრუნდნენ, აღარც ფასი აქვს მაშინ ამ თავშესაფარს. აქ კი ნამდვილად სასაიდუმლო არაფერია. ეს უკვე ამბის დასასრულია. თუმცა ორივე უარესსაც მიეჩვია, რა მოუვიდა მანუელს? სახეც კი დაუწყნარდა, თითქოს დილინებს, რაღაცას იწერს. მარიას რაღა დაემართა? გაეცინა კიდეც, როცა ტელევიზორის ეკრანზე უკვე მერამდენედ გამოჩნდა მილიონობით მღუმარე მეგობრისა და ათასობით მომავალი დამბეზლებლისათვისაც ნაცნობი სახეები. კომენტატორმა სია ჩაიკითხა: ოც კაცს მოქალაქეობის უფლება ჩამოერთვა, თერთმეტი

1. „არასაიდუმლო პიროვნება“ (ლათ).

კაცი კი კანონგარეშე გამოაცხადეს. როცა ისიც თქვეს, ვინც მათ ხელში ჩაგვადებინებს, ჯილდოს სამმაგად მივცემთო, მარიამ უკბილოდ იხუმრა:

— ცოტაა! მილიარდამდე თუ აიყვანთ...

ცოტა მოგვიანებით, მარიამ ქამარი უფრო დაუვიწროვდა მანუელს, თან აუხსნა, სელმა შაბათ დილით დადის საყიდლებზე და რაღაცნაირად სანოვანის შესაძენად არ წასულა, მაცივრის მონიკელებულ თაროებზე აღარაფერი დარჩაო. მერე სიხარულისაგან აწითლებული ბუფეტის წინ მოჰყვა ცეკვას; თურმე არც ისე ცუდადაა საქმე, კიდევ შემორჩენილა რძის ფხვნილი, შაქარი და ფქვილიო. შეუძლიათ მიირთვან ორცხობილა ზეთის ხილითა და ანჩოუსით, ბარში კი კიდევ დარჩენილიყო აპერიტივზე მისატანებული რაღაც-რაღაცები.

უცნაური დღეა. ეტყობა, მანუელის არსებაში, ან სულაც მარიას არსებაში, რაღაცა მოხდა იმ წუთიდან, როცა სამი ურჩხული თავის მსხვერპლს დასცინოდა და ამით ზემოთ მყოფთ ახსენებდა, სანამ გვიან არ არის, ბედნიერება ხელიდან არ უნდა გაუშვათო. თუმცა დროდადრო მარიას სინდისი ქენჯნიდა:

— ჩვენ აქ ასე ვხუმრობთ, ის საწყალი ფიდელია კი ამ დროს...

ქალი თვალებს დახრიდა და წამიერად აცახცახდებოდა. და ეს უკვე სხვა მარია იყო. ნამდვილი მარია. ერთხელ ვიკარიოებმა აღდგომის ღამეს, ეკლესიიდან გამოსვენების უამს წმინდანთა ქანდაკებებს საბურველი ჩამოხსნეს, — სწორედ ასეთი გამოჩნდა ქალი მანუელის თვალში. თითქოს მძიმე ავადმყოფობა მოიხადაო, გამოცოცხლებული, მხიარული, ნორჩი, თვალბაციმციმებული გაუთავებლად ტიტინებდა. გამოცანებს, შარადებს ამბობდა და ათასგვარ თამაშობას იგონებდა:

— მისანმა ქალმა ციცერონს უწინასწარმეტყველა, ქრისტეს დაბადებამდე 43 წელს მოკვდებო. მართალია, მანუელ?

— მგონი თარიღი სწორია... — მანუელს ენა დაემა.

— თარიღი კი სწორია, მაგრამ გჯერათ, რომ წინასწარმეტყველს შეეძლო ქრისტიანულ ერაში მომხდარი მოვლენის ზუსტი თარიღი ეთქვა?

კიდევ ხან რას ამბობდა და ხან რას... მარია ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა, თან ორცხობილას ამზადებდა, მერე თბილ-თბილი მოჰქონდა მაგიდაზე. ორცხობილა საკმაოდ გემრიელი იყო. მარია კაბის ფრიალით დაფრინავდა ოთახში, ხან მანუელის წინ გაჩნდებოდა, ხან უკან ამოუდგებოდა, თვალბებზე ხელს აფარებდა და ეკითხებოდა:

— ვინა ვარ?

მანუელი შემობრუნდებოდა და სკამის ზურგზე ვიკის დიდ მუყაოს ჩამბაზს აღმოაჩენდა ხოლმე; ჩამბაზი შავი ელვარე თვალებით მიშტერებოდა. რა თქმა უნდა. ძალიან მალე მარია კაცის მუხლებზე აღმოჩნდა და მისი ხელებიც ისე შემოეხვია, როგორც გველი ჭეირანს: მამაკაცის კოცნას ანჩოუსის სუნის; ოღნავ სულშეხუთულმა ქალმა თავი გაინთავისუფლა, მანუელის დანადვლიანებულ სახეს შეაცქერდა და თქვა:

— მანუელ, როცა კანონი ჯუნგლის კანონად იქცევა, მაშინ დიდი პატივია კანონგარეშე გამოცხადება.

მერე ჩაფიქრებული მოჰყვა მსჯელობას, სად სჯობდა გამგზავრება. რა თქმა უნდა, სასურველი იყო ესპანურენოვან ქვეყანაში წასვლა, სადაც ორივე შეძლებდა მუშაობას: ქალი — მდივნად, კაცი — მასწავლებლად, როგორც ოდესღაც.

— მექსიკა! — თქვა ოცნებაში წასულმა მანუელმა. — მეგობარი მყავს აკაპუნკტაში, ნაიარიტის მთების ძირას. ერთხელ ვიყავი, როცა მექსიკაში პედაგოგთა კონგრესი ჩატარდა.

მარიამ „აკაპუნკტა“ ისე გაიმეორა, თითქოს ეთქვას: „სეზამ, გაიღეს“ ეტყობოდა, ბედნიერ დასასრულში ეჭვი აღარ ეპარებოდა და ახლა მარტო წვრილმანი საქმეებილა აწუხებდა. ცდილობდა გაეგო, შეეძლო თუ არა მანუელს ჩვეულებრივი მოკვდავივით ეცხოვრა, მიეტოვებინა ის საქმე, რისთვისაც ამდენ ხანს იბრძოდა.

— ცხადია, მანუელ, იმას გააკეთებთ, რასაც მოისურვებთ...

სალამო ჩამოწვა. მარია ისევ ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა. ათი საათი იქნებოდა, რომ ოდნავ ჩაწყნარდა, უფრო სწორად — თითქოს სიჩუმეს მიანდო დაემთავრებინა მისი წინადადებები. მერე დადლილი თვალები მოიფშვნიტა და უცბად თქვა:

— თქვენ ორი შვილი გინდათ?

ბავშვები? მანუელს შვილებზე არასოდეს უფიქრია, იგი არ უარყოფდა იმას, რომ თითოეული ადამიანი ვალდებული იყო ცხოვრებისთვის გადაეხადა ვალი ამქვეყნად მოვლენისათვის. მაგრამ ისინი, ვინც საკუთარი თავი მიუძღვნა სხვების სიკეთისათვის ბრძოლას, სხვათა უკეთესი ცხოვრებისათვის ბრძოლას, ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ იმ ამბავს, თავადაც რომ შემატონ ახალი ადამიანი ქვეყანას. არ ჩქარობენ საკუთარი თავის განმეორებას შვილებში, რათა არ გაწირონ ისინი იმ სამყაროში ცხოვრებისათვის, რომლის წინააღმდეგაც თავად იბრძვიან. მანუელმა არ უწყოდა რას ნიშნავდა შვილი. იგი უფრო ძმად ყოფნას მიეჩვია გულთბილი მეგობრების წრეში და თუმცა თავს ხშირად დაჩაგრულად და მარტოხელად გრძნობდა, მაინც ვერ გარკვეულიყო, — ოჯახსმოკიდებული კაცი სუსტი ხდებოდა თუ უფრო ძლიერი. ისიც უნდა ითქვას, რომ ოჯახი ერთადერთი ადგილი იყო, სადაც თითოეულის სისხლი ჩქეფდა თითოეულის ძარღვებში! მარიას მისთვის რომ გაეჩინა, რატომაც არა! ორი შვილი, რატომაც არა! თითოს თითო ძუძუ ეყოფა, მარიას კორსაყის ქვეშ რომ ღვივის.

— გოგო იქნება თუ ბიჭი სულ ერთია! ოთახის მაგივრად კი ჯობდა სახლი გვექონოდა, სადაც იცხოვრებდნენ.

— მარია, გთხოვთ! — წამოიძახა უეცრად „მამამ“.

— რა მოხდა, მანუელ?

— პირველ საფეხურზევე არ ჩავიჭრათ.

ორივეს გაელიმა: ცხადია, ბავშვები თავისთავად არ იზადებიან, დედის გარეშე. მარიამ მანუელის ანთებულ შემოხედვას გაუძლო და ჩაიჩურჩულა:

— უკვე გვიანია, მანუელ, წავალ დავიძინებ.

მარიას დაბლა სძინავს, სასტუმრო ოთახში, ახლა რომ მოახლის ოთახად ქცეულა: აქ ყველაფერი სარწმუნოდ უნდა გამოიყურებოდეს, თანაც მეტი თავისუფლებაა, ვიდრე, ზემოთ, თავშესაფარში.

მას სძინავს, მანუელი კი ფხიზლობს, ბორგავს, წარამარა მხარს იცვლის, თითქოს მარია კვლავ მის გვერდით, ერთი ხელის გაწვდენაზე იწვეს გასაბერ

ლეიბზე — მაცდუნებელი და მიუწვდომელი. ჯობდა ავტომატური კიბე არ ჩაერთო და ზევით ამოსვლის მაგივრად ქალს გაჰყოლოდა...

ჯობდა! მანუელმა კი ვერ გაბედა. მშვენივრად იცოდა საიდანაც გამოჰყვა ეს მოუქნელობა; მეტი რა მოეთხოვებოდა ობოლ ბიჭს, რომელსაც ბავშვობა თავშესაფრის ოთხკედელშია ჰქონდა გატარებული. — ჯარი, პედაგოგიური ინსტიტუტი, — სკოლა, ამხანაგები, კოლეგები, — რა მოეთხოვება ოცდაჩვიდმეტი წლის მამაკაცს, რომლის მთელი ურთიერთობა სუსტ სქესთან მხოლოდ სასტუმროს ნომრებში გატარებული ნამცეც-ნამცეცა მოგონებებით იფარგლება? სიტყვა „ქალიშვილი“ ხომ მისთვის სრულიად უცხო იყო. არადა, შეიძლება ყველაზე გათვითცნობიერებული კაციც კი უვიცი აღმოჩნდეს ამ საქმეში.

მანუელი წამოდგა და სათვალთვალოს მიაშურა. ღამე თავისი მონაცრისფერო სიშავითა და აქა-იქ მიმოფანტული წვრილ-წვრილი ნათელი ლაქებით გაცრეცილ პირის გადასაღებ ქალადს ჰგავდა. მხოლოდ დიდი ვარსკვლავები ანათებდნენ. განსაკუთრებით სამხრეთით, კანოპუსი ენთო ცეცხლად, რომლის ქვეშაც ოდნავ შეიმჩნეოდა მოწითალო წერტილი; ამ წერილს ალბათ არცა აქვს სახელი ცის რუკაზე, მარია კი პატარაობაში თავისი გარდაცვლილი დედის — ენის პატივსაცემად თავისად მიიღო და ენისი დაარქვა.

— იგი თქვენ გიყურებთ! — უთხრა ერთ საღამოს მარიამ.

კეკლუცობს? ერთი შეხედვით ასე გეგონებოდა. პირველ ხანებში მანუელს აღიზიანებდა ეს კეკლუცობა. მერე აზრი შეიცვალა. ახლა მისთვის უკვე აუცილებელი გახდა ქალისაგან მოესმინა ამგვარი რამეები. ახლა შეეძლო პასუხად „დიახ“ ეთქვა იმ კითხვაზე საავადმყოფოდან გამოსვლისას რომ მიმართა მარიამ:

— შეგიძლიათ დაივიწყოთ სენატორი? ჩემთვის ამას მნიშვნელობა აქვს.

იმ დღეს მარიამს ნაცრისფერი კაბა ეცვა — ბროწეულისფერი ქამრით, — საყულოთი და მანქეტებით გაწყობილი. ორ ჯობზე დაყრდნობილი ძლივს მიათრევდა თაბაშირში ჩასმულ წინგაწვდილ ფეხს, რომელიც ცისფერი, შავი, მწვანე და წითელი წარწერებით — მეგობართა ავტოგრაფებით იყო დაფარული.

ქალმა შეამჩნია, როგორ უყურებდა მანუელი თმაზე და მაშინვე უთხრა:

— დიახ, წითური ვარ, დედაჩემი ირლანდიელი იყო და იმიტომაც... ეს ნათელს ჰფენს სხვა დანარჩენსაც...

არც მამა, არც დედინაცვალი არ მისულან საავადმყოფოში მის გამოსაყვანად. ამანაც რაღაცას მოჰფინა ნათელი. სამაგიეროდ მანუელი მოვიდა, საგანგებოდ გააცდინა სენატის სხდომა, რადგან უკვე მშვენივრად იცოდა, რომ ეს აღარ იყო უბრალო გატაცება. მარიამ კარგად ხვდებოდა ყველაფერს, ამიტომ ხუთი წუთის მერე, როცა იმ მანქანაში ჩაჯდა, რომლის ბორბალმაც ფეხზე გადაუარა და ახლა კი სახლში მიჰყავდა, მედერ ხმაზე, მღელვარებისას რომ ჩვეოდა ხოლმე, თქვა:

— მანუელ, კარგად უნდა დაუფიქრდეთ ყველაფერს. ჩვენ ხომ საერთო არაფერი გვაქვს, ერთად ყოფნის სურვილის გარდა.

საერთო არაფერი გვაქვსო? ეს ჯერ კიდევ საკითხავია. უსიხარულო ახალგაზრდობა, სამაგიეროს გადახდის წყურვილი, სწრაფვა იმ ადამიანისკენ, ვის აზრებსა და ინტერესებსაც მთლიანად არ იზიარებ, მაგრამ ვის ნიქსა და უნ-

არს პატივს სცემ. — ნუთუ ეს საერთოს არ ნიშნავს? მთავარია, რა პაღას ემორჩილება მათი სურვილი, მათი სწრაფვა.

— სწრაფვა — დიახ, თავიდან მისი წინააღმდეგნი იყვნენ ორივენი. მარია ზოგჯერ თავხედობამდე გულწრფელი იყო. მას შეეძლო უფრო თავისუფლად გამოეყენებინა საკუთარი დრო, მაგრამ მანუელს ხშირი შეხვედრებით მაინცა-დამაინც არ ანებივრებდა, თუმცა არც მთლად უარზე იდგა. შეხვედრისას მხიარული იყო, მომღიძარო, მაგრამ შეუბრალებელი:

— მანუელ, თქვენ ხომ სოციალისტი ხართ და ათეისტი. მე მორწმუნე ვარ, თანაც, ზერელე მორწმუნე კი არა. იცოდეთ, ნაკურთხი წყლის გარეშე ისე ვარ, როგორც თევზი უწყლოდ.

მანუელი ისევ ლეიბზე გაწვა. შეიყვარა ქალი, ვისი შეხედულებებიც ასე ჟუსხოა მისთვის. ამ ნაბიჯს თუ გადადგამდა, ვერასოდეს იფიქრებდა. თანაც მაშინ, როცა მანუელის ამხანაგებს ეკლესია სდევნიდა, მარიას ეკლესია, რომელიც ამდენ ხანს დუმდა, ახლა კი აშკარად აღიმალა ხმა. ზოგჯერ ისიც ეგონა, მარიას მხარეზე გადავედი, მოლაღატე ვარო, მერე იმედი ჰქონდა, მარია გადმოვა ჩემს მხარეზე და ერთ დღეს კაბასთან ერთად, რწმენასაც გაიძრობსო. „ვისაც მე ვუყვარვარ, დე, გამომყვეს“ — ამას ღალადებს ყოველგვარი ჭეშმარიტება, და ის ჭეშმარიტებაც, რომელიც მომავალში ამ ქალი-შვილსაც დაამარცხებს.

მანუელი მარცხენა გვერდზე გადაბრუნდა. როგორც კი მარჯვენა გვერდზე დაწვება, ხუთ წუთში ასტკივდება ხოლმე — ალბათ კოლიტი ახსენებს თავს, არადა, რამდენი ხანია, ყურადღებაც არ მიუქცევია. რატომ არ დაშორდა მარიას? ამისი ახსნა ეძნელება, მაგრამ განსაცვიფრებელი ის არის, რომ სან-ხუანის ბიდონვილში, მანუელისავე ტერიტორიაზე, მარიამ დარტყმა აგემა და გაიმარჯვა კიდევ. იმ დღესაც თავისი ნაცრისფერი კაბა ეცვა, ბროწეულის ფერით გაწყობილი. ჩამოძონძილი ბავშვებით გარშემორტყმული მანუელი მოდიოდა მიტინგიდან, რომელიც ღია ცის ქვეშ ჩატარდა. ისინი ძლივს მოაბიჯებდნენ ტალახსა და ათასგვარ ნაყარ-ნუყარში. ერთბაშად, რკინით, მუყაოთი და ფანერებით შეკოწიწებული ქოხიდან, — ფანჯრის მაგივრად გამჭვირვალე პლასტიკატი რომ აეფარებინათ, ხოლო კარად — „მაციუსიტა ელექტრიკ ინდუსტრიალის“ სარეკლამო პლაკატი რომ დაეკიდათ თავდაყირა, — მარია გამოვიდა.

— მარია! — იყვირეს ბავშვებმა და თავიანთი ძონძები და ღიმილი ორმაგ მწკრივად შემოახვიეს ქალს.

— მარია?! აქ რას აკეთებთ? — ყრუდ ჩაილაპარაკა მანუელმა და ამ თქმაში პატივისცემაც იგრძნობოდა და სიბრაზეც.

ძნელი მისახვედრი არ იყო, რას აკეთებდა მარია იმ ქოხში, საიდანაც ეს არის გამოვიდა ხელზე წინსაფარგადაკიდებული. წინსაფარს მიკრული ჰქონდა ნიშანი „მარტა“. ძნელი მისახვედრი არც ის იყო, საერთოდ რას აკეთებდა მარია აქ, ამ ბიდონვილში, სადაც ყველა ბავშვი იცნობდა მას. მხოლოდ ახალა გახდა ცხადი, ეს ორი თვე მარიამ რატომ ვერ გამონახა დრო მანუელთან შესახვედრად, მაშინ როცა მანუელი როგორღაც ახერხებდა ამას. ქალს სახეზე შეცბუნება დაეტყო, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავდა. თურმე ყველასგან ფარულად, საქველმოქმედო საზოგადოების სახელით ხალხს ეხმარებოდა. თვით

ეს საზოგადოება ვი, საუბედუროდ, სულაც არ ისწრაფვოდა, ამ ხალხს შეეგრძნო თავისი უფლებები. მაგრამ მარია იმათ არ ეკუთვნოდა, ვინც დგას და დუმს.

— მომიტევეთ, — თქვა მან, — თქვენს მოსასმენად ვერ მოვედი. ჩვენ ერთი და იგივე ხალხთან ვმუშაობთ, განსხვავება მარტო ისევე არ არსებობს, რადაცარ დავდივარ. აქ ექვსი ბავშვი მყავს, მათი დედა მუშაობს... უკან ბრუნდებით?

ქალმა მაშინღა გამოსდო ხელმკლავი, როცა იქაურობას საკმაოდ დაშორდნენ და მარტონი დარჩნენ. მანუელმაც მაშინღა გაბედა ლაპარაკი:

— რამდენადაც ვხვდები, აქ საკუთარი ნებით აკეთებთ იმას, რის გაკეთებაზეც უარი თქვით მშობლების სახლში.

— მხოლოდ საკუთარი ნებით და არა იძულებით, — დააზუსტა მარიამ. და მანუელის მკლავს უფრო მეტად დაეყრდნო, რათა ნაბიჯი შეენელებინა მისი და გამოკვეთილად დამარცვლა:

— გთხოვთ, მოხსენება არ წამოიწყოთ. თქვენ ახლა მეტყვიით, რომ ათასში ერთხელ თუ ქველმოქმედებას გამოვიჩინოთ, სამართლიანობას ამით ვერ მივალწევით: ვეხმარები ხალხს. მერე რა? რა არის აქ საძრახისი?

— არაფერი, — თქვა მანუელმა, — მორწმუნეებში გამოჩნდა ერთი-ორი კაცი, ვინც მიხვდა, რომ ზეციური ცხოვრებისათვის მზადება საკმაოდ ეგოისტურია; სააქაოში ახლობელს მარტო დახმარება არ ეყოფა, ჯოჯოხეთიდანაც უნდა გამოიყვანო. სამწუხაროდ, თქვენ არ იცით, რომ დემონები იგივე ადამიანები არიან, ოღონდ განსაზღვრული წარმოშობისა...

— მოკლედ, — შეაწყვეტინა მარიამ, — ჩემი შეხედულებები თქვენ გაბრაზებთ, რაკი თქვენსას არ ეთანხმება... ამ წუთში გრძნობთ, რომ თქვენგან შორსა ვარ და ეს ვერ აგიტანიათ.

— მართალია, — გამოტყდა მანუელი, — ჩემი ცოლი რომ იყოთ, უფრო ავიტანდი.

მანუელს მოეჩვენა, ისევ დავწექიო, მაგრამ კვლავ ფეხზე იდგა, ისიც კიბესთან ახლოს და ვერ გადაეწყვიტა ღილაკზე თითის დაჭერა. მოტორი თითქმის უხმაუროდ მუშაობს, როგორც მაცივრისა, მაგრამ დროზე ადრე მარიამს გაღვიძება არ უნდა. ციხე, გადასახლება, მოსალოდნელი საფრთხე — ეს ყველაფერი მათ შორის შეიძლება უფრო გადაულახავ კედლად აღიმართოს, ვიდრე სხვადასხვა შეხედულებებია, ამას ყველაფერს გაუძლებდა, რომ...

განა ქალმა უკვე თანხმობა არ უთხრა? „ჩვენც ასე ვიქნებით, როცა თქვენ მოისურვებთ, მანუელ...“ განა ეს ფრაზა არ იყო მიწერილი მარიამს დის საქორწინო მოსაწვევ ბარათზე? თუ მღვდელი აუცილებელია, მაშინ სჯობს ქორწილზე ხუნტაც მოიწვიონ! სადაც სიკვდილი დაეხეტება, იქ სიყვარული ვერ მოიცდის! დაე, მარიამ გადაწყვიტოს! მხოლოდ ამ ღილაკზე თითის დაჭერაა საჭირო. კიბეზე მხოლოდ თორმეტი საფეხურია, მერე მარცხნივ, დერეფანში რვა ნაბიჯის გადადგმაა საკმარისი, კარს ხელს ჰკრავე და იტყვი...

მექანიზმის გატკაცუნება. მოტორი აზუზუნდა. მაგრამ მანუელს შეუძლია დაიფიცოს, ღილაკს არ მიკარებია. ხელი ისევ პიყამოს ჯიბეში უდევს, ოლივი-ეს პიყამოში, რომელიც ძალზე დიდი მოუვიდა და ამის გამო სახელო და შარვლის ტოტები აკეცილი ჰქონდა.

მოტორი ზუზუნებს. კიბე ეშვება და ნელ-ნელა ფართოვდება ჩასასვლელი, სადაც დერეფნის ბოლოს მბუჭტავი ბრადან მოცისფრო სინათლის სხივი იჭრება. კიბის გასაშლელად ოცი წამია საჭირო. ჯერ კუბისტური სურათი გამოჩნდება: ორი სიბრტყე მესამისკენ მიისწრაფის და მათ შორის სამკუთხა ჩრდილია. მერე სურათი სიურრეალისტური ხდება: ჯერ თავი გამოჩნდება, მერე მხრები, გრძელი ღამის პერანგი, მკერდთან ასო „ს“ რომ არის ამოჭარბული, გრძელი პერანგი იატაკამდე სწვდება და მხოლოდ ვარდისფერი ფრჩხილები მოჩანს. ჩვეულებრივ, როცა კიბე იატაკს ეხება, აქამდე უხმაუროდ მომუშავე მექანიზმი ოდნავ გატკაცუნდება ხოლმე; ახლაც, თავის წესისამებრ გატკაცუნდა.

— ჩამოდიხართ? — ჰკითხა მარია.

— ამოდიხართ? — ჰკითხა მანუელმა.

კიბე მთელი ღამე ჩამოშვებული იყო, სიფრთხილის გამო კი არა, უბრალოდ — დაავიწყდათ.

მანუელი დაბლა ჩავიდა. მარია ხელში აიტაცა და სასტუმრო ოთახისკენ წაიყვანა. თუ მუხლები ოდნავ უკანკალებს, ქალის სიმძიმის გამო კი არ მოსდის, — უბრალოდ, ღელავს, და თანაც ახსენდება „მარტა“ საქველმოქმედო საზოგადოებიდან. გულუბრყვილობას ზოგჯერ მოულოდნელად გადავაწყდებით ხოლმე, უბრალოებითა და გულღიობით კი მარია მუდამ ჯობდა მანუელს. იგი იმ ქალიშვილებს არ ჰგავდა, ნელ-ნელა რომ ნებდებიან ბიჭებს, ჯერ ხელჩაკიდებულნი დადიან, მერე, როდის-როდის იძლევიან კოფტებზე ღილების შეხსნის უფლებას და ბოლოს ნებდებიან. უკუღმართი ბედი გადაწყვეტილების მიღებას აჩქარებს! საწოლთან ქალი წელში გაიმართება, მოვის განიერი პერანგის ქვეშ მრგვალი მხრები უთრთის და ჩურჩულებს:

— ძმა ლორენი პაემანზე არ მოვიდა.. რას იზამ! უიმისოდაც იოლად გავალთ. რასაც მე გთავაზობთ, იმაზე უარის თქმა მეტი აღარ შემიძლია.

თუმცა მარიას ხმა საზეიმოდ არ ეღერს ვერონელი შეყვარებულების მსგავსად, რომელთაც იგი აგერ უკვე მეორედ იხსენებს და თითზეც დის საქორწინო ბეჭედი წამოუცვამს, — ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ეს ღამე ქალისათვის საკრამენტული ღამეა. პერანგს სწრაფად გადაიძრობს და იქვე იატაკზე ეფინება, იქვე ეფინება მანუელის პიყამოც, რომლის ღილებიც თავად მარიამ შეხსნა. შიშველი ქალიშვილი ჯერ ისევ დგას და შესცქერის ჯერ ისევ ფეხზე მდგარ შიშველ ვაჟს. ორივე გაკვირვებულია და ორივე იღიმება: ვაჟმა აღმოაჩინა მშვენივრად ქანდაკი ქალი, ხოლო ქალმა — დაკუნთული, ბანჯგვლიანი მხეცი. როცა უმანკოება ქრება, მაშინ იგი მორიდებასაც ამარცხებს: კაცს აღარ რცხვენია თავისი საომარი აღჭურვილობისა, ქალს კი იმისა, რომ ციხე-სიმაგრეს თმობს და მზად არის ჯარისკაცის გასაგონად იყვიროს: „ქალაქის კარი ღიაა!“ და მაინც სიტყვა არ ჰყოფნით, ადგილიდან დაძვრას ვერ ბედავენ. ისევ მარია.. იგი პირველი ეშვება საწოლზე. უკვე გვერდიგვერდ წვანან. ერთმანეთისკენ გადაბრუნდნენ კიდევ. ადამი და ევა კიდევ ერთხელ აღასრულებენ იმას, რაც ბედისწერამ არგუნათ. მარიას ბაგეზე იბადება პირველი „შენ“.

— შენ მე მტკენ...

მერე მეტს აღარ გაიმეორებს ამ სიტყვებს. ადამიანები სცდებიან, როცა

იმ ცეცხლის ბუნებაზე ლაპარაკობენ, ვესტალები რომ იცავენ: ცეცხლი თვით მათ სულში ანთია. თითქმის მაშინვე დვივდება ეს ცეცხლი მათ არსებაშიც, თავს აქეთ-იქით ატრიალებს ბალიშზე და ბოლომდე იყენებს იმ აშკარა და იშვიათ უპირატესობას, რითაც ბუნებამ დააჯილდოვა მიხედვით: ის იამე თვითმპყრობელივით დაეუფლა ქალის არსებას და ამ ორბუნებულს უკანკაუთენილ ქორთში მისი ხმაც მთელი სისავსით ისმის.

— კმარა, — თქვა ბოლოს მან.

ყველა ქალის ცხოვრებაში არის წუთები, როცა იგი „maja desnuda“-ა და იშვიათად ჩანს უნაკლო. მანუელმა სული მოითქვა და კიდევ ერთხელ შეავლო თვალი ამ დიდებულად ჩამოქნილ, ჭორფლიან, მაგრამ საოცრად ნაზ და ნორჩ სხეულს, რომელსაც ჯერ არც ნაოჭი, არც სიმსუქნე და არც მოგონებები ეტყობოდა. მერე მანუელის თვალი ქალის სახეს მისწვდა, ორ მწვანე თვალს, დანამულ, ოდნავ გაღებულ ტუჩებს და ქათქათა კბილებს. თმა მზის სხივებივით ეფინა ბალიშზე და მთელს ოთახს ანათებდა. ახლა ორივეს ახალი გრძნობა დაეუფლა: გრძნობა სინაზისა.

XIV

ოლივიე ამ დილასაც ადრე ადგა, რათა რიქრაჟის პირველსავე სხივზე ანკესის დაგება მოესწრო. თევზაობიდან ხელმოცარული და მშვიერი დაბრუნდა. სახლში ჯერ ისევ სიჩუმე იდგა. ანკესი დაღო და ხის მოაჯირს გადაეყრდნო.

— სელმა! — ჩუმად დაიძახა მან.

ტერასაზე გამოძვარილი შემინული კარი ნახევრად ღია იყო, ოთახში ფარდის ფოჩი ირხეოდა. სამწუხაროა! ზოგჯერ ბუნება დაგვცინის ხოლმე. ოლივიემ ინანა, ფოტოაპარატი რად არ წამოვიღო. ოდესღაც კორეის თავზე თავმოყრილმა საავდრო ღრუბლებმა, — შორეულად რომ მოგაგონებდათ მწუხარე ქრისტეს, — დიდი სიმდიდრე მოუხვეჭა ერთ ფოტოგრაფს. ამერიკული ჟურნალები ერთმანეთს დაერივნენ ამ ფოტოს გამო. დღეს კი, აგერ, პირდაპირ მის წინ, უზარმაზარი წითელი დისკო ამოიწვერა და გარშემო პატარა საოცარი სილამაზის თეთრი ღრუბლების ქულები შემოირტყა. დისკო კვიპაროსის კენწეროზე დაჯდა, ხე და მზე დიდებულნი სანახაობა იყო, რომლის აზრიც დღეს აქ აკრძალული გახლდათ: მზე და ხუნტა, თითქოს შეთანხმებულანო, აღმოსავლეთის მხარეს გადაფარებოდნენ.

— სელმა! — ოდნავ აუწია ხმას ოლივიემ.

თავჩაქინდრულ, დანალვლიანებულ ოლივიეს ვერ გაეებდა გამოტეხილიყო, რომ დარდობდა: ეტყობა, პატრონს მთლად ვერა აქვს საქმე კარგად; სამი დღეა ქალაქიდან მისი არაფერი ისმის. ოლივიე შეჰყურებდა ცისფერ ჯამს, რომელიც პატარა, ნაპირმოქარგული მორუბო წინწკლებით მოჩითული ღრუბლის ქულებით ივსებოდა. ეს იყო ყველაფერი, რაც წინაღობის ნაცრისფერი დიდი ღრუბელისგან დარჩა: წუხელ წამოწვიმა, მისი კვალი ჯერაც აჩნდა მბრწყინავ ფოთლებს, ოდნავ, ჩაშავებულ რიყის ქვებს, ნათელი ჩრდილებით შეფერადებულ გამხმარ მიწას ხეთა ძირში, სადაც ახლა მტრედები დაფარფა-

1 „შიშველი მახა“ (ესპ.).

ტებდნენ. ტბაზეც კი თხელი ლეჩაქივით ნისლი ჩამოწოლილა, შიგადაშიგ იკვეთებიან ლერწმების სილუეტები: ლერწმებიდან წითელნიკარტა იხეები ამოფრინდებოდნენ ხოლმე დროდადრო. ჯერ ისევ გრილა. დილის გამჭვრვალე ჰაერში ჩიტების ყივივი იფანტება და ტოტებზე ჩამოკონწიალებული ვამლე-ბის სუნი დგას.

ეროვნული
ხელოვნება

— სელმა!

ამჯერად ახლად გამოღვიძებული ქალის ბედნიერი ღულუნი გაისმა პასუხად. ამ ხმასთან ერთად გამოჩნდა სოსანისფერი პერანგი და სიცვიისაგან ხორკლდაყრილი ორი შიშველი მკლავი.

— ვიკის ჯერ ისევ სძინავს, — თქვა სელმამ და ოლივიეს გვერდით ისიც მოაჯირს გადაეყრდნო. — კარგია, რომ სძინავს, ერთი ბავშვიც ვერ იპოვა, ეთამაშათ.

— ეშინიათ, — უპასუხა ოლივიემ.

იქაურობასაც ეტყობოდა, რომ ასე იყო. თუ ტბის გაღმა მხარე კანადას ჰგავდა ხეებს შორის ჩაკარგული, უხეშად გამოთლილი მორებისაგან შეკრული ქოხებით და ტურისტისათვის თვალგასახარი თავდაპირველი მომხიბლავობა შემორჩენოდა, საგანგებოდ, სოფლის მხარე ჩამკვდარიყო თითქმის. ბატონმა მერსიემ სიამოვნებით დაუთმო მათ თავისი „ფაცხა“. ლეგარნოები კარგად იცნობდნენ მეზობელ სოფელს თავისი აკვამლებული ქოხებითა და ნახევრად შიშველი, მოლაყბე, ადვილად მიმნდობი, ზოგჯერ გულის გამაწყალებელი გოგო-ბიჭებით. პირველად რომ ჩამოვიდნენ ორი წლის წინათ, სოფელში დღესასწაული იყო. გლეხებს ის იყო დაენაწილებინათ მეზობლად გაშლილი დიდი ადგილ-მამული, უწინდელი კინკლაობისა და ყოფილი ბატონის ერთი-ორი საძაგელი გამოხდომის მიუხედავად, უკვე ისე მტკიცედ დაფუძნებულიყვნენ და შეზრდოდნენ საკუთარ მიწას, როგორც სანთლები საზეიმო ნამცხვარს.

ახლა კი მსგავსი აღარაფერი ჩანდა. მძლავრი ტრაქტორი მთელს მიწოდორს ხნავდა და სულაც არ დაგიდევდათ, სად ვისი ნაკვეთი იყო მიწისა და სად ვისი. მეორე მანქანა კი, რომელიც მრავალპირიან გუთანს მიათრევდა და კილომეტრიანი ხნულები გაჰქონდა. მიჯნებს საბოლოოდ შლიდა. ზედამხედველი მინდორს ცხენით უვლიდა, ფეხდაფეხ ორი თანაშემწე მისდევდა, მხარზე თოფ-გადაკიდებული. გაურკვეველი ასაკის, ძუძუებჩამოყრილი, თოხსდაყრდნობილი ქალი აღმაცერად შესცქეროდა მათ. ცოტა მოშორებით, თორმეტობდე გლეხი მიწას მარგლიდა. ზედამხედველის მიახლოებისას გაჩერდნენ და თავის დაკვრით მიესალმნენ მოსულებს.

— რა მოუვიდა აგაპიტოს? — ჩაიჩურჩულა სელმამ. — ნახე? მისი სახლი დამწვარა.

სოფლის ოცდაათობდე ბანიანი ქოხიდან სულ ცოტა სამი დანგრეულიყო მთლიანად. მათ ადგილას ჩაშავებული კედლის ნარჩენებიდა აშვერილიყო. ხოლო რა მოუვიდა მათ პატრონებს, განსაკუთრებით კი აქაური კოოპერატივის სულისჩამდგმელს აგაპიტოს, — სჯობდა არც გეკითხა.

— პო, მართლა, — განაგრძო სელმამ. — ერიკმა დარეკა, შენ რომ სათევზაოდ წახვედი. ხუთი წუთის შემდეგ, ძილ-ღვიძილში ვიყავი და ბუნდოვნად მივხვდი რაც უნდოდა. ჩვენ დაბრუნება შეგვიძლია. პატრონი გთხოვს, შინ მი-სვლამდე ჯერ ჩემთან შემოიარეო.

— კეთილი და პატიოსანი. ჩავალაგოთ ჩემოდნები, — უპასუხა ოლივიემ.

— უკეთესი იქნება, თუ დროს არ დავკარგავთ, თორემ ჩვენ მეგობრები შიმშილისაგან ალბათ კბილებს აკაწკაწებენ. რაღა თქმა უნდა, მარკას დაურეკავ და გააფრთხილებ, პატრონები ვბრუნდებით-თქო. არ არის საჭირო მისვლისთანავე სენატორს შევეჩიხით...

და მაშინვე ჩაჩუმდა, რადგან სელმამ წამოიძახა: „*Min soeker docka!*“¹ ოლივიე მიხვდა, ეს საალერსო სიტყვები მას არ ეკუთვნოდა, შემობრუნდა და ღიმილით შეხედა დედიშობილა ვიკის, ისე ქერათმიანს, ისე მზემოკიდებულს, რომ გაცოცხლებულ ნეგატივსა ჰგავდა.

— ვინ არის სენატორი? — იკითხა ბავშვმა და თან ორი წერტილი გამოუჩნდა: სახეზე — პირი, მუცელზე — ჭიპი.

XV

ბალში მხოლოდ ერთ ბუჩქზე შერჩენილიყო სამი ნაგვიანევი ვარდი, მარკას ბედით სუსტი და მიმქრალი.

მეზობლებს რომ ეფიქრათ, ლეგარნოებს ახალი მოახლე აუყვანიათო, მარკამ სარეცხის გაფენა დაიწყო. ის იყო თოვზე ზეწარი გადაჰკიდა, რომლის სიმძიმეც თოვს დაბლა დასწია, რომ უცბად სამწყობრო ნაბიჯით ჭიშკართან შედგა პატრულთა რაზმი. მარკა ერთ წამს შეცბუნდა, მუცელი უცბად ისე ასტკივდა, მოიხარა. მძიმე ზეწარი ქარს მიანება, ზეწრიდან მოწურწურე წყალი ფეხზე ესხმებოდა, ბოლოს ქალი გამოერკვა. მეთაური აღარ ჩანდა ისეთი შეუვალი და მკაცრი, გუშაგთა შეცვლისას რომ იყო ხოლმე აქაურების დასაშინებლად. მარკას საგანგებოდ თვალი ჩაუკრა კიდევ. ქალმაც ოდნავ დაუქნია ხელი. ჰე, ჰე, ჰე! სერჟანტიც ვალში არ დარჩა და მხედრულად მიესალმა. მეზობელი ქალი, გაბუდრული მატრონა, რომელიც ღობის გადაღმიდან აღმაცერად იცქირებოდა და ყველაფერს ყურადღებით აკვირდებოდა, დიდად გოცებული დარჩა. ის გუშაგი, რომელიც ყველაზე ახლოს იდგა, მარჯვნივ შებრუნდა და მწყობრი ნაბიჯით წავიდა, ფეხი მარდად აიქნია პაერში რვაჯერ, მოპირდაპირე ტროტუარს მიაღწია, შემობრუნდა და ათეულს შეუერთდა: გუშაგებს ხსნიდნენ.

— „*Adelante, de frente*“² — დაიყვირა სერჟანტმა.

მარკა წინ წავიდა. ჭიშკრის გაღებაც კი გაბედა, ოღონდ ქუჩაში არ გასულა. მარცხნივ, პარკის კედელთან, ერთი გუშაგიც არ ჩანდა, მარჯვენა მხარეს ჯარისკაცები ერთმანეთის მიყოლებით უერთდებოდნენ ათეულს, რომელიც საგუშაგოდან საგუშაგომდე იზრდებოდა და ქუჩის ბოლოში იკარგებოდა მხრებისა და იარაღის რხევით. ეტყობა სადარაჯო ხაზი გააუქმეს და პარკი კვლავ გახსნეს. მარკა დინჯად შევიდა სახლში, მერე სწრაფად გაიარა დერეფანი. კიბე უკვე ჩამოშვებული დახვდა. მანუელიც იგივეს ფიქრობდა, კიბე სწრაფად აირბინა, თავის ობსერვატორიიდან გაიხედა და მაშინვე ძირს ჩამოვიდა:

— არა, — თქვა მანუელმა, — მარტო პარკის ირგვლივ მოხსნეს პატრუ-

¹. „ჩემო სიცოცხლევ“ (შვედ.).

². „წინ, ნაბიჯით იარ!“ (ესპ.).

ლი, საელჩოს ბაღის გარშემო კი სულ ცოტა ათი მუზარადი მაინც ჩანს. იქ ვერ გავალწევთ... რომელი საათია?

— თორმეტის ნახევარია, — უპასუხა მარიამ. — ჩემო საცოდავო ბიჭო, ისევ ზევით მოგიწევს აცოცება. ლეგარნოები შეიძლება წუთი-წუთი გამოჩნდნენ.

მანუელმა ამოიოხრა. თითქოს დაიჭიმა მათი შემაკავშირებელი კავშირები — ეს იყო იმ შეყვარებულთა გამოხედვა, ვისაც ბედისწერამ განშორება არგუნა.

— მგონი ვნანობ, რომ მოდიან, — თქვა მანუელმა. — სამი დღეა თითქმის ნორმალურად ვცხოვრობთ.

— ძალიან ნუ დაინანებ, — უთხრა მარიამ — მალე დაგავიწყდება ის, რაც ახლა ხდება, მთავარი სხვა რამ არის და შენ ძალიან კარგად იცი, რაც უნდა გავაკეთოთ.

ქალმა ხელი გაუწოდა. მანუელი ხედავდა წყნარ, მოალერსე, გამბედავ სახეს. ალბათ. ამგვარი იყო მარია, როცა სხვის ბავშვებს უვლიდა. „რაც უნდა გავაკეთოთ“. გაურკვეველი მომავალი ახლანდელ ბედნიერებას ვერ შეცვლის, ტყუილად არ აკლდა მარიას ხმას სიტბო! მანუელმა სხვანაირად გაიგო და სამიოდე საფეხურის ავლის მერე წყნარად თქვა:

— მაპატიე, მარია, წამოცდენილი სიტყვისთვის ნუ გამიბრაზდები.

— რატომ უნდა გაგიბრაზდე, მანუელ?

და მარიამ ისე ლაღად გაიცინა, მამაკაცები ვერასოდეს რომ ვერ შეძლებენ ასე გაცინებას. ისინი ხომ თავიანთ სიტყვებს მუდამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და ამძიმებენ ხოლმე.

— ამდილანდელ დავაზე ამბობ? კი მაგრამ, ძვირფასო, ამგვარი დავა ჩვენ უკვე გვქონდა და ალბათ გვექნება კიდევ. მე და შენ ისე კარგად ვუგებთ ერთმანეთს, დღევანდელ სამყაროში რომ ვერ შეხვდება კაცი.

— აბა, რა! — თქვა მანუელმა. — დღევანდელ სამყაროში სხვანაირი წესრიგი რომ ყოფილიყო, ახლა ამ სოროში აძრომა ხომ აღარ მომიწევდა?!

ქალმა ორი თითი პირთან მიიტანა, გაჩუმდით, რაც იმავ დროს კოცნასაც ნიშნავდა. ვიდრე კიბე მთლიანად აიწეოდა, მარია ჯერ კიდევ მოუშუშებელ ფეხს ოდნავ დაეყრდნო და ოთახების შემოვლა დაიწყო, რათა სახლის პატრონებს ყველაფერი წესრიგში დახვედროდა.

მანუელი კი, მალა, თავის ეულად დარჩენილ ლეიბს დაუბრუნდა, ნერვიულად მოუკიდა სიგარეტს, მაგრამ მაშინვე ინანა და ძელზე მიატყლიტა.

რაზე ილაპარაკეს მორიგი ტკბობის სიშმაგიდან გამოსულებმა, გამოღვიძების მერე კიდევ ერთხელ რომ იზეიმეს, და თანაც რატომ? იმ სამოცდათორმეტი სადღესასწაულო საათის შემდეგ, ხომ შეიძლება რაიმე კვალის დატოვების სურვილმაც მოგიაროს, ადგე და შარბათში ბუზი ჩააგდო! რა სისულელება!... ჰოო, როცა საცვალს იცვამდა, მარიამ საკუთარ თავს დასცინა: ასე მგონია, ნიყარიდან გამოსული ბერნარ-ლერმიტი! ვარო. დიახ, ბერნარ-ლერმიტი, იმიტომ რომ ამ ცხოველს შეუძლია ყველგან შეძერეს, ძველ ცარიელ ნიყარაშიც კი, ოღონდ დამალოს თავისი სხეულის ქვედა რბილი ნაწილი, რომელსაც მუდამ საფრთხე ელისო. გულახდილი აღიარებაა. ეს აღიარება კი იმ-

1. კიბოსნაირი ცხოველია.

ას ნიშნავდა, რომ უყვარდა თავისი ნიჟარა, რომელიც შეიძლება ცოტა უხეში იყო, მაგრამ სამაგიეროდ — საიმედო, მოკლედ, ისეთი ცხოვრება უყვარდა, რომელიც მანუელს სხვაზე მეტად უნდა ყვარებოდა! მანუელს, ვინც...

— არა! არა! შედარება სწორი არ არის. ყველაფერი სხვაგვარად დაიწყო: საწოლის კიდეზე ჩამომსხდრები, ჯერ კიდევ ჩაუცმელები შექამატდნენ თავიანთ რწმენასა და შეხედულებებზე, ერთმანეთს ადარებდნენ, არკვევდნენ მათ ღირსებას და ნაკლს, ზემოქმედების ძალას, ფინალი კი ძალზე სასაცილო გამოდგა:

— ბოლოს და ბოლოს, მარია, ამდენი ცოდვის მონანიებამ რატომ არ მოთხარა ძირფესვიანად ამქვეყნად სიღარიბე და ჩაგვრა?

— კი მაგრამ, რატომ არიან, მანუელ, თქვენი მეგობრები ასეთი მკაცრი, — თვით ერთმანეთის მიმართაც კი, — და რატომ ცდილობენ ბედნიერების ნაინცდამაინც ის რეცეპტი შემოგვთავაზონ, რომელიც მათ მიაჩნიათ სწორად?

საკუთარი დასკვნითვე გაოცებულ მარიას თითქოს სიტყვა „ბედნიერება“ კელში გაეჩხირაო, სამზარეულოში გავარდა, რათა ამით დამთავრებულიყო კამათი. იქიდან მობრუნებული, ერთიანად ატაცებული ათასგვარ რალაცაზე ლაპარაკობდა: დიდ არს ალაჰი, რამადანი იწყება და ჩაის გარდა — ისიც ოდნავ დამტკბარისა — სხვა არაფრის შემოთავაზება არ შემიძლია, იქნებ როგორმე მახლობელ ბაზარში მოვახერხო გაპარვაო...

და აღბათ გაბედავდა კიდევ გაპარვას, სელმას რომ არ დაერეკა. მანუელი ჩამქრალ სიგარეტს ლეჭავდა და ღრმად ისუნთქავდა ბელურების სუნს, მისთვის უკვე ასე ახლობელი რომ გამხდარიყო. ისმენდა მათ ყივყივს, ჭყიბინს, ჩხუბს და ფიქრობდა: სიყვარული ხომ შემთხვევითობაა, ამიტომ საჭიროა დრო, რათა ეს აზრი გაითავისო, მით უმეტეს, თუ, ასე ვთქვათ, იმ სერიოზული აღამიანების დაწყევლილ ჯგუფს ეკუთვნი, რომლებიც რაც არ უნდა მშვენივრად გრძნობდნენ თავს, მაინც შეშინებული ხვდებიან ამ ახალ გრძნობას. ეს სამი დღე მანუელი განსაკუთრებული სიმძიმით გრძნობდა, რა ხანმოკლე იყო მისი ბედნიერება, მაგრამ მაინც ფიქრობდა: „ყოველ შემთხვევაში, განვიცადე მაინც, რაც არის“. და იქვე სხვა კითხვაც იბადებოდა! „მაგრამ რა არის?“

ან რა ფასი აქვს ამას? როცა სიყვარულს მსხვერპლად ყველაფერს სწირავ, სიყვარული მაინც იმგვარი რჩება, როგორიც მსხვერპლის შეუწირავად იქნებოდა. მაგრამ ამ შემთხვევაში განა სიყვარული განსაკუთრებული არ არის? განა შეიძლება დაეთანხმოს მანუელი, რომ ყველაფერი დამოკიდებულია ტესტოსტერონის პროცენტულ დადგენილებაზე? განა ტყუილად მღერიან: „კიდევ რალაცის გაკეთება მინდოდა შენთან, რათა დაგეჭვებინა, რაოდენ ძვირფასი ხარ ჩემთვის...“ ერთი სიტყვით, მას შემდეგ, რაც უცოლო კაცისათვის ნაცნობ ქალების ბაზარს მოეშვა, მანუელ II იგივე მამაკაცი დარჩა იგივე ჩვევებითა და ქცევით, როგორიც მანუელ I იყო. იგი თავის ნათესავეებიდან მხოლოდ ერთ კაცს იცნობდა, — სახელდამუწუკებულ მუსუსს — და იმ კაცმა ერთხელ როგორღაც უთხრა:

— ქუჩის ქალი და მონაზონი, დამიჯერე, ტყუბი დები არიან.

ეს რომ სიბრიყვე იყო და საფუძვლად სუსტი სქესისადმი მტრობა ედო, მანუელს ეჭვი არ ეპარებოდა. და მაინც „პირად ცხოვრებას“ ფხრთილად ეკიდებოდა, პარტიაში კი ბევრი ამხანაგი სრულიად უარყოფდა პირად ცხოვრებას

და ფრიად გავრცელებულ აზრს იზიარებდა: „შეყვარებულები რევოლუციის ცუდი ჯარისკაცები არიან“, რაც ძალიან ჰგავდა წმინდა პავლეს სიტყვებს: „მაკაკაცი უქალოდ უფრო უკეთ აკეთებს ღმერთის საქმეებს“.

სულელები, ჩერჩეტები! პირველ რიგში კი მე ვარ ჩერჩეტი! — კბილებში სცრიდა მანუელი. — საცოდავი! რათ, მიხვდი, რომ სხვის გვერდით ცხოვრება შეგძლებია და ამიტომ ჩაგივარდა ენა? არ გახსოვს ატილიო, შენს თვალწინ რომ დაიღუპა? მასაც ხომ ჰყავდა მომხიბლავი ცოლი: როგორც იქნა ქორწინება გადაწყვიტა და მერე დიდხანს ვერ მოვიდა გონზე, მუდამ დარცხვენილი ღიმილით იღებდა მილოცვებს. ახლა შენა ხარ შეცბუნებული და ასევე სულელურად იხრი თავს თანდებულების წინაშე: „ზე, ში, თან, თვის“, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა სიტყვათბრუნებზე, ოდესღაც გრამატიკის გაკვეთილებზე მოსწავლეებს რომ ასწავლიდი: „მიზეზის გამო, გვერდით, ირგვლივ, შემდეგ, პირდაპირ“ და კიდევ ოციოდე სხვა, რომელიც თან ახლავს პირის ნაცვალსახელს „შენ“. რა არის ეს? გამოდის, საკუთარი თავის წინაშე გინდა გამართლება, გინდა ყველას მაგალითად ჰყავდე.

მთელი ნახევარი საათი ფიქრობდა მანუელი და ზუსტად იმ წუთში გაჯახუნდა მანქანის კარი, როცა ჩაიჩურჩულა:

— იქნებ ყველაზე მეტად ის გაწუხებს, რომ მაშინ, როცა შენ თაფლობის ოვი გაქვს, სხვებს მწუხარების ყამი დასდგომიან?

მანუელი წამით გაირინდა, მერე სათვალთვალოსკენ გაჩოჩდა: ოლივიე და სელმა ბალში მოდიოდნენ, ვიკი მათთან არ იყო.

ხუთი წუთის შემდეგ პირობითი ნიშანი გაისმა, მანუელს საშუალება მიეცა ციხიდან გამოსულიყო. სასტუმრო ოთახში ჩავიდა, სადაც უკვე ელოდა მარია: მანუელს უცნაური გრძნობა ჰქონდა, თითქოს როლები შეცვლილიყო და ახლა ისინი იღებდნენ სტუმრებს, რომლებსაც უამრავი ჩემოდანი დაეხორავებინათ. მუცელგაბერილი სელმა ძალზე შემკრთალი გამოიყურებოდა, განსაკუთრებით კი იმ ახალი ამბების გამო, რაც მათ სახლში მოხდა და რომლის თქმაც მარიას უკვე მოესწრო. კაცებს თავიანთი ქალებისთვის ერთნაირად გადაეხვიათ ხელი და არანაკლებ შემკრთალი გამოიყურებოდნენ:

— რაკი ასე მოხდა, — გამოტყდა სელმა, — სულაც არა ვნანობ, თუ ამ ქვეყანას მოვშორდებით.

— ნუ ღელავთ, — მაშინვე წამოიწყო ოლივიემ, გადაფითრებული მარია რომ დაინახა — პატრონმა ახლახანს შემატყობინა, რომ მე „persona non grata“ გამომაცხადეს და ათი დღის შემდეგ საფრანგეთში უნდა დავბრუნდე. პატრონს იმედი აქვს, რომ რამეს იღონებს და ჯერ თქვენ გაგამგზავრებთ. ამიტომ დავტოვეთ ვიკი საელჩოში: თქვენთან შეხვედრა და მოლაპარაკება იყო საჭირო, ერთი საათის შემდეგ პატრონს თქვენი პასუხი უნდა გადავცე.

— ნუ შფოთავ, — თქვა მანუელმა და მარია მაგრად მიიკრა მკერდზე.

ამ „შენობით“ მიმართვაზე სელმამ გაიღიმა. მარია დაბარბაცდა, თითქოს სახლი პაერში ავარდა და ახლა ხელახლა დაბლა ეშვებოთ.

— საკვირველ რაღაცას გეტყვით, — განაგრძო ოლივიემ, — ჩვენმა საელჩომ ამერიკელებთან ნიადაგი მოსინჯა. სინდისი რომ ცოტა სუფთა ჰქონდეთ და თანაც აქაოდა, მეტისმეტ სიმკაცრეს ვგმობთო, ამერიკელები დახმარებაზე თანახმა არიან.

— ამერიკელები! — წამოიყვირა მარიამ.

სახლის ქერმა თითქოს ისევ აიწია. ოლივიე მანუელს არ უყურებდა, თავის სიტყვაზე იდგა და მარიასავით საღად სჯიდა ამ საკითხს.

— მარტო მათ შეუძლიათ დაგეხმაროთ. ხუნტა თავად იქნება დაინტერესებული, ეს დახმარება არ გახმაურდეს, რა თქმა უნდა, მერე ვეცდეთ რომ ჩაიკლოს, გაათრებულ წინააღმდეგობას გასწევენ, მაგრამ ველარ გაბედავენ ამერიკელთა მანქანას ან ვერტმფრენს გადაუდგნენ წინ. ნუ გავიწყდებათ, რომ ამერიკელთა ფლოტი აქვე ახლოსაა.....

— დია, ვხვდები! — ოდნავ გასაგონად თქვა მანუელმა.

იგი იტანჯებოდა. ერთი ხელი მარიასათვის მხარზე შემოეჭდო მაგრად, მეორეთი კი ქალის თავს იხუტებდა, ცდილობდა რაღაცა მოეფიქრებინა, რომ მაშინვე არ ეთქვა უარი იმ წინადადებაზე, რომელიც მასპინძლებს მისი სტუმრობისაგან ათავისუფლებდა.

— ვიცი, დიდად დაგვეხმარებით, — წამოიწყო მან, — მაგრამ გეფიცებით, რომც სიკეთით გადავიხადოთ, რომც მარია გადავარჩინოთ...

— გადაწყვიტეთ ისე, როგორც სინდისმა გიკარნახოთ, — უთხრა ოლივიემ, და ორივე ცოლ-ქმარი ქანდაკებასავით იქცა. — მაგრამ ჯერ ბოლომდე გეტყვით სიმართლეს. ხუნტას ჰგონია, ჩვენს საელჩოში იმალებით. წარმოუდგენელი წინადადება შემოგვთავაზეს: მოგვეცით სენატორი და ყველას გავუშვებთ, ვინც კი თქვენს საელჩოში იმალებაო, ცხადია, უარი შევუთვალეთ.

— ჩემთვის ეს ვარიანტი უფრო საამაყო და საპატიო იქნება, — ჩაიბურტყუნა მანუელმა, — თუმცა გეფიცებით, ახლა სულაც არა მაქვს ბაქიაობის თავი.

მარიას ტუჩები აუთრთოლდა, მაგრამ ერთი სიტყვაც არ დასცდენია.

— ამდენი ხალხი დაისაჯოს და ერთი კაცი გადარჩეს. — განაგრძო მანუელმა, — მართლაც მეტისმეტია. მადლობელი ვარ თქვენი, ოლივიე, ჩემი შველა რომ გინდათ, მაგრამ არ შემიძლია მივიღო პროპაგანდისტული მიზნით მოწყობილი დახმარება. რას იტყვიან ჩემზე?

ბრძოლაში ოთხი ადამიანის გამოხედვა ჩაერთო; პირველმა სელმამ ვერ შეიკავა თავი:

— ნულა ტანჯავ ამ ხალხს, უთხარი...

— დიახ, — თქვა ოლივიემ, — არის ერთი გამოსავალიც, ოღონდ გაცილებით სახიფათო: გამცილებელი უნდა ვიპოვოთ. გვითხრეს, საზღვარზე ერთი ადგილია, სადაც გადასვლა შეიძლებაო. ბევრი თქვენგანი წასულა იქითკენ, მაგრამ არავინ იცის, მიაღწიეს თუ არა უხიფათო ადგილს. თუ თქვენ გიცნობენ, შეიძლება გაგცენ, ძალზე ძვირად ხართ შეფასებული; საზღვრის გადასალახავად ფულიც იქნება საჭირო. ფულის სესხება ჩვენ არ შეგვიძლია, არადა, აუცილებლად დაგჭირდებათ.

— მე გამყოლი მირჩევნია, — მოგონილი სითამამით თქვა მანუელმა, — მაგრამ გამოგიტყდებით, ჩემი ფული, რაც თან მაქვს, სიგარეტის საყიდლად თუ მეყოფა. ბანკში წასვლა და იქიდან ფულის გამოტანა, ცხადია, არ შემიძლია.

მარიას ხელი გაუშვა, ფანჯარასთან მივიდა. ფარდების ჩამოშვება დავიწყნოდათ, თოკი გამოსწია, მერე შემობრუნდა, ხელები გაშალა და ბედს შერიგებულმა უღონოდ დაუშვა ძირს.

— ნება მომეცით თქვენს გამგზავრებამდე აქ ვიყო. მერე, სხვა რაღა დამრჩენია, თავშესაფარს იმ კეთილ პრელატოს ვთხოვ.

— არა — მარიამ თავი დააღწია გარინდებს, — ერთი გზა კიდევ გვაქვს! ხვალ ხუთშაბათია, დილის ცხრა საათზე ქალაქში გავალ!



ეროვნული
ბიზნიმითეა

XVI

მოთვალთვალისთვის რომ თავი აერიდებინათ, ოლივიემ მარიას შესთავაზა, ჩემი მანქანით წაგიყვანო. სამაგალითო წესრიგის ხლართებით შებოჭილი ქალაქი თითქოს გათოშლიყო. გზაჯვარედინებზე შუქნიშნების თამაშს ყველაფერი უსიტყვოდ ემორჩილებოდა. ჩაუარეს ეკლესიას, საითაც სამ-სამად დაწყობილი ბავშვების ჯგუფი მიემართებოდა, გვერდით პაღრე მიჰყვებოდა და საჩვენებელი თითით ზემოდან ითვლიდა თავის სამწყსოს. ბავშვები დაპრიალებული ფეხსაცმლებით ადიოდნენ კიბეზე. ფეხსაცმელები მზრუნველ დედებს დაეპრიალებინათ, რომელთათვისაც სიტყვა კატეხიზმოს კანონის ძალა ჰქონდა.

მარიამ თქვა:

— აქ დაიწერა ჩემმა დამ ჯვარი.

ოდნავ მოშორებით მანქანის კარის მინა ჩამოუშვა და გზაზე ლეგარნობის ბაღში მოწყვეტილი ვარდი ისროლა, რომელსაც უკან მომავალმა „ფოლკსვაგენმა“ მაშინვე გადაუარა.

— აქ კი ტანკმა...

მანქანას სიჩქარე არ შეუწელებია. მარია აღელვებისაგან გაწითლდა:

ორმოცდაათი მეტრის დაშორებით, — განა ზუსტად განსაზღვრავ ადგილს! — ტროტუარზე, სადაც ჯავშანტრანსპორტიორმა გაიარა, ნელა მიმოდიოდა ბრბო, ზედაც არ უყურებდა ყოველ კუთხეში მდგომ კარაბინებს, რომლებიც გულგრილად ატრიალებდნენ თავიანთ ავტომატებს.

— მეხუთე ქუჩა მარჯვნივ, მესამე მარცხნივ და მეოთხე ისევ მარჯვნივ,

— წმინდა კარნახობდა მარია.

განა მარიას მშვიდად ყოფნა შეუძლია. განა ეს არ არის მამაცური დაბრუნება ჩვეულებრივ ცხოვრებაში და ერთგვარი განთავისუფლება პატიმრობიდან? მანუელთან მისი ურთიერთობა არავინ იცოდა, გარდა მარიას ოჯახის წევრებისა, ისინი კი ადარ არიან. მარიას გაქრობამ ალბათ მხოლოდ მისი უფროსი გააოცა სამსახურში. ამ მოგზაურობას მარტო ის ართულებდა, რომ ჩანთაში პირადობის მოწმობა არ ედო, არადა, შეუძლიათ ყოველ წუთს მოსთხოვონ... და ეს არაერთხელ გაიფიქრა თავისთვის, მანუელსა და მასპინძელსაც უთხრა, მაგრამ ვერავინ დაარწმუნა. შემთხვევითობის სიბოროტეს ხშირად ხელს უწყობს ადამიანთა სიბოროტე.

— კარგად მესმის სენატორისა, — ერთბაშად წამოიწყო ოლივიემ, — მაგრამ დამეთანხმეთ, იგი საქმეს გვირთულებს.

რაც სახლიდან გამოვიდნენ, ოლივიე ხმის ამოუღებლად მართავდა მანქანას. ცხადია, მას ყველაფერი კარგად გაეგება, მაგრამ ეტყობა, სელმასავით იყო მომართული. აქი სელმამ გუშინ საღამოს პირდაპირ უთხრა მანუელს, იქნებ როგორმე შეიცვალოთ გადაწყვეტილებაო. როცა „ახალმა მოახლემ“, მისით ერთობ კმაყოფილი ვიკი დასაძინებლად დააწვინა და საუბარი კვლავ განაახლეს, ოლივიემ ცოლს სიტყვა ერთხელაც არ გააწყვეტინა. შეიძლება პოლიციამ უფრო მეტიც იცოდეს, ვიდრე ამათ ჰგონიათ, შეიძლება მისულ

მარიას ხელიც სტაცონ და მკაცრი „დაკითხვა“ მოუწყონ. ვინ გამოიღებს თავს, კრინტს არ დავძრავო, როცა ათეულობით ასანთის ღეროს ნელ-ნელა შეგირჭობენ ფრჩხილებში? სელმამ ვერ გაბედა ეთქვა, რომ სინაყის გამო საფრთხეში თავის ჩაგდების უფლება ყველას აქვს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა სხვებს არ აგდებ საფრთხეში. და როცა მანუელე უფროდ კომენდანტის საათის დროს გაქრა, მარიამ ძლივს მოასწრო ქუჩაში მისი დაქერა. ყველაფერი ნათელი იყო, — მანუელს ყოველივე კარგად ესმოდა, ყველაფერი გაეგებოდა, მარია ვერასოდეს დაივიწყებს სირცხვილისა და სინაზისაგან აფორიაქებულ მის სახეს.

— კარგი ვინმეა! — ჩაიბუზღუნა ოლივიემ. — გითხრათ მაინც, სად მიდიოდან?

— არა, — უბასუხა მარიამ. — მიხვედრა ძნელი არ არის, ერთი სამჯერ მაინც თქვა: თუ ეს სახლი ვინმემ უნდა დატოვოს, პირველყოვლისა — მეო.

მანქანამ ერთხელ კიდევ მოუხვია და ახლა დაბალჭერიან სახლებს შორის გასრიალდა. შორს, ორი მაღალი საკვამურიდან ნაცრისფერი ბოლი ამოდიოდა და ფასადებზე გამოფენილ სარეცხს უხამს ლაქებად ეფინებოდა.

— მეთხუთმეტე ნომერში ვცხოვრობ, — თქვა მარიამ, — აგერ, იმ მინებ-ჩამტვრეული სახლის გვერდით. ხუთი წუთის შემდეგ ისევ ჩამოივლით, მეცხრე სართულის ფანჯარას ამოხედავთ. თუ ყველაფერი რიგზე იქნება, ხალიჩის ბერტყვას დავიწყებ. რაც არ უნდა მოხდეს, იცოდეთ, ყველაფრისთვის დიდა მადლობელი ვარ თქვენი.

მარია მანქანიდან გადმოხტა. ზედაც არ შეხედა აკლებულ გაპარტახებულ სახლს, რომელსაც უკვე არემონტებდნენ და საიდანაც რომელიღაც მუშამ ქალს მოწონების ნიშნად დაუსტვინა, მარიამ, მოხუცებულმა ქალმა და კაცმა ერთდროულად შეაღეს სადარბაზო კარი. მარია მოხუცებს არ იცნობდა, ისინი ახალ კონსიერჟ ქალს მიესალმნენ, რომელიც საკუთარი ბინის წინ იდგა და ქსოვდა. მან თავისი საქსოვი ჩხირებივით მჩხვლეტავი მზერა გააყოლა შემოსულთ. ამ წყვილთან ერთად, — გაუშვი, ეგონოს, რომ მარია მათი ნათესავია, — მარიამ პოლი გაიარა და ლიფტში შევიდა, რომელსაც ბოლო წუთში კიდევ ოთნი კაცი შემოემატა: მარიამ თავის თავს მიულოცა: ეს კაცები დერეფნის ბოლოში, იაფფასიანი ოთახების ბინადარნი იყვნენ და არ იცნობდა.

ჟცნაური შეგრძნება დაეუფლა: ფილაქანის ყრუ კაკუნი, საჭმლის სუნი, ბავშვების ყრიაშული, მილებში წყლის ყურყური, წარწერები კედლებზე, კარების წინ გაფენილი ნახევრად გადაქექილი ჩალის ფეხსაწმენდები ქალს მოაგონებდა, რომ ცხოვრება ჩვეული, ყოველდღიური წესით მიდიოდა. მარიამ კარზე თავის გვარს შეხედა, ოთხი თეთრი პლასტმასისთავიანი ჭიკარტით რომ იყო მიმაგრებული. იგი საკუთარ სახლში სტუმრად მივიდა და ამიტომ რეკავს ზარს. მერე გასაღები გადაატრიალა და კარი გააღო. იატაკიდან ორი წერილი აიღო, კარი დახურა და უნებურად, კვლავ ოჯახური მყუდროება რომ შეეგრძნო, პირველივე ფირფიტა დადო რადიოლაზე. ფირფიტაზე არტ ტეიტამის სიმღერები იყო ჩაწერილი. გაისმა პირველი ჰანგები: „You took advantage of me“¹. მერე ქალმა თავის საწოლთან დაფენილი პატარა, სპარსულ ყაიდაზე

¹ „შენ დამჯახნე“ (იხვ.).

ნაქსოვი ფარდაგი აიღო. ფანჯარასთან მივიდა და ბერტყვას მოჰყვა. მანქანამ გაიარა, ორჯერ მისცა ოდნავ გასაგონი საყვირი. მარიამ ფარდაგი კვლავ თავის ადგილზე დააფინა, ზედ დაჭდა და სიმღერას მიუგდო ყური: *I'll never be the same*¹.

ეს სიტყვები მარიამზეა ზედგამოჭრილი. ოთახს კმაყოფილებით შეყვლოთვალი: ოცდაათი კვადრატული მეტრი იქნება. განვადებით იყიდა ეს ბინა. გადასახადს ყოველ თვე იხდის. კედლის იქით სააბაზანოა და ეს ყველაფერი მისია, მისი თავშესაფარი, სადაც ოდნავ მაინც გრძნობდა თავისუფლებას. აქ დამოუკიდებელი ადამიანი იყო, აქამდე ვერ აღწევდა ის სიტყვები, მამის სახლში რომ ესმოდა წამდაუწყებ. მარია ცოფდებოდა, როცა ყურს მოჰკრავდა: „ჩემი ქმრის ქალიშვილი...“ იმ სახლიდან ქალბატონმა პაჩეკო-მეორემ განდევნა ყველაფერი, რაც ქალბატონ პაჩეკო-პირველის ხსოვნასთან იყო დაკავშირებული. ამ უკანასკნელის ხსოვნა კი ამ თავშესაფარში გადმოვიდა ახალგაზრდა ქალის სურათის სახით, რომელიც მისი დედა იყო და მისი დაბადებისას გარდაიცვალა, და ვისი ფოტოსურათიც ახლა უღიმოდა მოპირდაპირე კედელზე დაკიდებულ მისთვის უცნობი სასიძოს სურათს. ორივე სურათი ზუსტად ერთნაირ ჩარჩოში იყო ჩასმული. ყველაფერი თავის ადგილზე იყო, მაგრამ ყველაფერი მაინც შეცვლილი იჩვენებოდა. ენის პაჩეკო, რომელიც უკვე ქვრივი გახდა თავისი დაქვრივებული ქმრისა, სურათიდან შემოსცქეროდა თავის ქალიშვილს, ვისაც ქორწინებამდე ქვრივობა ელოდა.

კმარა სევდა! მარია ადგა. გახსნა ერთი კონვერტი: სამსახურიდან დათხოვნის მშრალად დაწერილი ქაღალდი იყო: „იმის გამო, რომ არ წარმოადგინეთ არც ახსნა-განმარტებითი ბარათი, არც ავადმყოფობის მოწმობა, რითაც სამსახურში გამოუცხადებლობის მიზეზს მიუთითებდით, ამიტომ სამსახურში თქვენი დაბრუნება კანონის დარღვევა იქნება“. მეორე წერილში დაზღვევის გადასახადს შეახსენებდნენ. გადახდის ვადა თხუთმეტი დღის წინ გასულა. ნაკუწებად ქცეული ორივე წერილი, კონვერტებიანად სანაგვეში ჩაყარა. მერე ქალმა კარადიდან თავისი ერთადერთი ჩემოდანი გამოიღო.

არტ ტეიტანი ისევ მღეროდა, ამჯერად „Without a song“², მღეროდა ტკბილად. მზიარულად, უფასოდ, ყველაზე ახლობელი მეგობრების წრეში და არ იცოდა თუ მის სიმღერას მაგნიტოფონზე იწერდნენ. მარიამ გაიძრო სულმას ნათხოვარი ჩალისფერი კაბა, სულმასავე ნათხოვარი შიგნითა საცვალიც და ჩემოდანში ჩააწყო. მერე პატარა ძუძუებისა და ასევე პატარა მკერავი თქმობების რბევით: კამოდთან მივიდა, უჯრაში რაღაცები მოძებნა და ააპირისპირო ოპერაცია წამოიწყო: საკუთარი ტანაცმელი ჩაიცვა. ბოლოს თავისი ნაცრისფერი, ბროწეულის ფერებით გაწყობილი კაბა მოირგო. ჩარჩოდან დედის სურათი ჩამოიღო. მანუელის სურათის წაღება საშიში იყო. მარიამს იგი ან ორიგინალი ექნება ან სულაც არაფერი. აი, წერილებს კი წაიღებს. მერე რა, რომ მათი უმრავლესობა სენატის გრიფიან ქაღალდზე იყო დაწერილი! პიჯაკი ერთიც საკმარისია. ჯინსი. სვიტრი. საწვიმარი. ცოტა თეთრეული. საშინაო ფოსტლები პიჯაკში გაახვია. ბოლოს პატარა კარმენის

¹ „ღარასოდეს არ ექნება მე ისეთივე“ (ინგლ.).

² „უსიმღეროდ“ (ინგლ.).

მიერ მოხატული სიგარეტების ყუთი აიღო, დაბადების დღეზე რომ აჩუქა მარიას. შიგ გახეთების ამონაჭერები, აუცილებელი ქაღალდები, დედის საქორწინო ბეჭედი და მამის სახლის გასაღები ედო.



მორჩა! სხვა ხაბაყუბაყს კი, სამშენის ნივთებს, ქუჩის მხარეულს მოწყობილობას, რადიოლას, რომელიც ისევ ბრუნდებოდა მტვერსასრუტი, ტელევიზორი, ავეჯი სამწუხაროდ ნისიად იყო შეძენილი და სასამართლოს აღმასრულებლების ნადავლი გახდება, ანაზღაურებს თამაშებს, სახლის ქირაა, გადასახადს, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ნივთები უფრო რვირი ღირს, ვიდრე აუქციონზე გაყიდება და შეიძლება ვერც დაფაროს ვალი... რაც არის არის! ნივთები ნივთებია: რა მოხდა მერე, თუ შათთან დაშორებისას ცოტა ნაღველი იგრძნო. მარია სწრაფად შემოტრიალდა, მანუელის აურათა შეხედა, ვის პატარა ულვაშააც მუდამ თამბაქოს სუნი ადიოდა და კონცისას ოდნავ იჩხვლიტებოდა.

— მშვიდად იყავი! ჯაშუშებს შენს კვალზე არ დავაყენებ.

ოთახიდან ჩემოდნით ხელში გამოვიდა, კარი გასაღებით აღარ ჩაკეტა. ლიფტშიც არ შევიდა და მერვე სართულიდან ფეხით დაუყვა კიბეს.

საქსოვი ჩხირებით შეიარაღებულმა კონსიერჟმა ქალმა გზა გადაუღობა:

— ეინ ბრძანდებით, მადმუაზელ? ამ ჩემოდნით სად მიბრძანდებით?

— რა მოხდა? — მიუბრუნდა მარია, — მე 208-ე ბინაში ვცხოვრობ, საქმეებზე მივდივარ.

ქალი მარიაზე ღონიერი ჩანდა: ხელის კვრით ვერ ჩამოიშორებს, ვერც ჩემოდნიანად გაექცევა სადმე. თანაც, როცა შენს უკან უვირილი ატყდება, გამვლელ-გამომვლელებიც დაგედევნებიან და შორააც ველარ წაუხვალ.

მარიამ ძალა მოიკრიბა, წყნარად, ღიმილით დაიწყო ლაპარაკი:

— ორას მერვე? მოიცადეთ, — დაფიქრდა კონსიერჟი ქალი, — მომიტევეთ, მოგეხსენებათ, ახლა ყველგან სიმკაცრეა და ყველაფერი უნდა მოეხსენო... თანაც თქვენი გვარი ჩანიშნული მაქვს, ამ ამბების შემდეგ ერთხელაც არ გამოჩენილხართ, ვიდაც ნათესავი ქალიც ვეძებთ...

— პროვინციაში ვიყავი, ისევ უნდა გავბრუნდე, ალბათ ერთი ხანობა კიდევ დავრჩები, — უთხრა მარიამ.

მერე ჩანთა გახსნა, კონსიერჟი ქალის ნდობის მოპოვება სურდა:

— შეიძლება გასაღები დაგიტოვოთ და მრიცხველის აღნიშვნა გთხოვოთ? მე ას-კინსენტში ვარ ბიძაჩემთან, კაპიტან პარეკოსთან, ბავშვებს ვუვლი, დედა გაუხდათ ავად.

გასაღებები ბინისა, — სადაც მარია აღარასოდეს შეადგამს ფეხს და სადაც სასამართლოს აღმასრულებლები ვალების დასაფარავ თანხასაც ვერ შეაგროვებენ, — პატარა საბუთი როდია, არარსებული სამხედრო ბიძის საბელი კი საჭიროზე მეტიცაა. მერე შეიძლება დარეკონ კიდევ, სადაც ჯერ არა, მაგრამ უკვე გვიანდა იქნება. ყვითელმა ტაქსმა მარია ბანკის წინ ჩამოსვა, ბანკში ანგარიშის წარმოება შეჩერებული იყო და მხოლოდ მცირე თანხა მისცეს. იგი არც ისე დიდი კაპიტალის პატრონი იყო და ეს სიფრთხილაც ზედმეტი მოეჩვენა. მერე კვლავ ტაქსში ჩაჯდა, ამჯერად ლურჯ ტაქსში, ამ მძღოლმაც, პირვანდელივით, სავანგებო ბლოკნოტში გულმოდგინედ ჩაიწერა მანქანაში ჩაჯდომისა და გადმოსვლის ადგილი. აკი გააფრთხილა ოლივიემ:

— ყოველთვის ზუსტი მისამართი უთხარით, მანქანია წასვლას დაუცადეთ, მერე კი ფეხით წადით.

მარია ახლა თავის ბავშვობის ქუჩაზე მიაბიჯებდა, ცალ ხელში ხემოდანი ეჭირა, მეორეთი ვითომ ცხვირს ვიწმენდო, ცხვირსახოცით იფარავდა სახეს. ბედი წყალობდა: დუქნები დაკეტილი იყო, ძველი, ოთხსართულიანი სახლის ბინადარნი კი სადილობდნენ. მამამისი ამ სახლის მფლობელთა წარმომადგენელი იყო და მუდამ ქვედა სართული ეკავა, სადაც მდიდარი, უნიჭო ხალხი მოდიოდა რეპეტიტორების ასაყვანად.

მარია არავის დაუნახავს, არც არავის უცვნია, როგორც კი შევიდა სევდა შემოაწვა, მას მერე, მთელი ოჯახი რომ ეკლესიაში გაიკრიფა, აქ აღარავინ შემოსულა. დაუმთავრებელი ზეიმი ისევ ისე ლპებოდა, დერეფანი აევსო ჩაშავებულ თაიგულებს, გამბმარყვავილებიან კალათებს, პორტენზიები დაჭმუჭნულ პერგამენტებს დამსგავსებოდნენ, მათზე ისევ ელვარებდა თეთრი ატლასის ბაფთები. საქორწილო ყვავილნარს ნეშომპალის სუნი ასდიოდა.

აულშეხუთელი მარია წინ ნელა მიდია, სასადილო ოთახში ყველაფერს თხელი, ნაცრისფერი ბრკე მოსდებია, მაგიდებზე გაუხსნელი საქორწილო საჩუქრები დაზვინებულა. დიდ ფიკუსს, რომლითაც ასე ამაყობდა ქალბატონი პაჩეკო, ფოთლები ჩამოსცვენოდა და შემოდგომის ხალიჩად გაფენილიყო პარკეტზე. საშინლად გაბერილი ორი ოქროს თევზი მუცლით ამობრუნებული ტივტივებს აკვარიუმში; ფანჯრის ახლოს, გალიაში, შიმშილისა და სიცივისაგან მკვდარი ექვსი ბენგალური ბელურა გდია საკუთარ სკორეში, ნამცეცა ბრკვალეები მალლა აუშვერიათ.

სამზარეულოში უარეაი ამბავი იყო, დღისით ბანკეტი რესტორანში ჰქონდათ დანიშნული, ხოლო საღამოს ახლობელთათვის ვახშამი აქ უნდა გაემართათ. ლორში ჭიები ფუთფუთებდნენ, რაც უნებურად გახსენებდათ, რომ იგივე ბედი ეწიათ სტუმარ-მასპინძლებსაც. ჩაობებული ტორტები ორ თეთრ მთვარეს ჰგავდა. გრძელ ლანგარზე დადებულ ორად გაჭრილ ლანგუსტს ვარს პატარ-პატარა ცხრაფურცელა ნამცხვრები რომ ეწყო და ვარსკვლავისებურად დაჭრილი კვერცხებით იყო გაწყობილი, ისეთი მყრალი სუნი ასდიოდა, რომ მარია სწრაფად გაიქცა კაბინეტისკენ.

ოდესღაც აჭაურობა წმიდათაწმინდა ადგილი იყო. აქ თვით ქალბატონი პაჩეკოც კი ვერ ბედავდა ხშირად შესვლას და ბავშვებსაც მხოლოდ მაშინ უშვებდნენ, როცა საკლასო დღიურის ჩვენება იყო საჭირო, ან — მორიგი ანცობის შემდეგ წარდგომა მამა-მასწავლებლის წინაშე, იმ დიდებული, კეთილი ადამიანის წინაშე, ვისაც მალე ბეზრდებოდა მთელი ეს სისტულეღ, მაგრამ არ იმჩნევდა. ბავშვების პატივისცემასა და მორიდებას იწვევდა მამის მკაცრი ხმა, ხშირი წვერი, სამეფნეები, მოსწავლის რვეულები, კალმები, საშრობები, ქალაუღლები, რითაც მუხის საწერი მაგიდა იყო სავაე, მაგიდას კი მამა ეყრდნობოდა თავისი მრგვალი ღიბით, რომელზედაც მუდამ დილებგახსნილი ყილვტი ჰქონდა შემოტმასნილი.

მარია კოჭლობდა. ახლა ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, რასაც ბებიის პორტრეტით დაფარულ სეიფში იპოვიდა. მარია ხომ ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე იყო. მაგრამ როგორ დაივიწყოს, ერთადერთი მემკვიდრე ხომ მხოლოდ იმიტომ გახდა, რომ ქორწილიდან შინ აღარავინ დაბრუნებულა? მარიას იმ ექვსასოიანი კომბინაციის იმედი აქვს, რომელსაც ერთხელ, შემთხ-

ვევით ყური მოჰკრა, ქალბატონმა პაჩეკომ რომ ხურჩულით ჰკითხა თავის ქმარს: „ძველებურად, კარმენი?“ ხუთი წუთის მერე კი სამაჯურითა და ყელსაბამით დამშვენებული გამოვიდა. თუ ასოთა კომბინაცია შეცვლიეს, მაშინ ყველაფერი დაკარგულია.

ისე კი მარია თითქმის მდიდარი იყო: მარტო ბინა ღირსეულად იმეზღე მეტი, ვიდრე მას სჭირდება. მაგრამ ერთ კვირაში რა გააყიდვინებს ბინას, თანაც ამგვარ საქმეებს იმდენი იურიდიული სიძნელე ახლავს: ჯერ სიკვდილის აქტის შედგენაო, მერე შემოწმება-გადამოწმებაო, შარიანი ნოტარიუსები და პოლიციასთან კინკლაობაო. დიახ, ახლა ყველაფერი სეიფზე იყო დამოკიდებული, შიგ რაც იქნება, მთლიანად მას ეკუთვნის და სხვას არავის, მაგრამ რაიმეზე ხელის ხლების უფლება მაინც არა აქვს, ვიდრე აღწერა არ მოხდება, ვიდრე ოფიციალურ შემკვიდრედ არ გამოცხადდება და გადასახადს არ გადაიხდის. დიდებული შემთხვევაა, გარემოებათა დამორგუნავი ძალა სინდისს აიძულებს დაღუძმდეს! მარიამ ბებიას სურათი გადასწია. გამოჩნდა მოლურჯო ფოლადის ფირფიტა და ექვსი ღილაკი, მასთან ერთად კი თავისთავად ამოტივტივდა ახალი პრობლემა: სად არის გასაღები?

მარია ეძებს, ეძებს... საწერი მაგიდის ოთხივე უჯრაში, საფოსტო და ცარცის ქაღალდების, უბის წიგნაკების, რვეულების, კოჭების, საფხეკების, მაკრატლებია, ლუპების, კაშლელებია, ფლომატერების, კალმებია, მეღნის, ცარცის ნატეხების, დამცველების, ჭიკარტების, ბაფთების, ქაღალდის სამაგრების, წებოს ტუბების გროვაში ათიოდე სხვადასხვა, გაუგებარი დანიშნულების გასაღებია, რომელიც უფალმა იცის რას ალებს ანდა ალებს კიდევ რაიმეს თუ არა. ის მონიკელებული, ტყვიისრგოლიანი გასაღები, ბოშას საყურეს რომ ჩამოაგავს და ზედ პატარა სადგისი ჰკიდია, საჭირო შემთხვევაში სეიფის კარის შიფრის შესაცვლელი, არსად ჩანს.


ახლა საბუთების კარადაც ვნახოთ. მარია ცახცახით ათვალთვრებდა საქალღდეებს, შეკრულ წერილებს, ათობით „Enseñanza“-ს — მამის პროფესიულ ექვრნალს, მაგრამ ამაოდ.

გადააბრუნა პატარა ნოხი, გულმოდგინედ დაათვალიერა ყველა ჩარჩო, ყველა ჩაყარდნილი ადგილი. დაქანცულმა შეხედა ორი ათასამდე წიგნს, კედლის გასწვრივ, თაროებზე რომ ეწყო. თუ გასაღები რომელიმეშია ჩამალული, მაშინ უამრავი დრო დასჭირდება, სათითაოდ რომ გადაათვალიეროს ეს წიგნები.

მარიას სხვა გზა არა აქვს. კიბის მოსატანად წავიდა. ამ კიბეს ფანჯრის მინების წმენდისას იყენებდა ხშირად, ქალბატონი პაჩეკო და კარმენი კი ტელევიზორს უყურებდნენ. წიგნების კიდები მტვერს დაეფარა. ადვილად მიხედები, რამდენი ხანია არავის წაუკიობხავს ისინი. მარია წარამარა აცემინებდა ცხვირს. ზოგიერთი წიგნი თითქოს ამობურცულია კიდევ, მარია ღელავდა, მაგრამ ამაოდ; ხან ადგილის ჩასანიშნი მუყაო აღმოჩნდებოდა, ხან გაზეთის ამონაჭერი ან დავიწყებული კრიტიკული შენიშვნები. კედლის ელექტროსაათის დიდი და პატარა ისრები, რომლებიც აგერ ოცდაერთი დღეა ისევ ისე გულგრილად და ოდნავ შესამჩნევად იცვლიან ადგილს და ახალი ეპოქის ახალ წუთებს აღრიცხავენ, — ციფრ ექვსთან ერთდებიან და იმედგაცრუებული, იმედგადაწურული მარიაც უკანასკნელ წიგნს დებს თაროზე. ეს ლათინური ენის ლექსიკონია.

ტონ პაჩეკოს ძვირფასეულობათა გვერდით პატარა პაკეტიც იდო, ახლა მთელი იმედები ამ პაკეტზეა დამყარებული.

— გმადლობთ! — მარიამ ხენეშით გადაუხადა მადლობა ვიღაცას, მაგრამ ვინ გაიგებს მის მადლობას.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

XVII

გუშინდელი საღამოს შემდეგ მარტოდ დარჩენილი, უცხო თვალს მოფარებული მანუელი თითქოს ისევ იმ დროს დაუბრუნდა, როცა ცამეტი წლისა ერთხელ ობოლთა თავშესაფარში სამი დღით გამოსასწორებელ საკანში ჩასვეს და თან აიძულეს გადაეწერა თხზულება პათეტიკურ თემაზე, ყოველ წელს რომ აძლევდნენ ბავშვებს: „გრძნობა, რომელსაც ჩემს სულში იწვევს ქველმოქმედება და რომლის წყალობითაც აქ ვიზრდები“. მანუელისთვის ეს თემა ერთი მოკლე ფრაზით ამოიწურებოდა და ორ გადაბმულ სუფთა ქაღალდზე დაწერა კიდევ გამლილად: „კი მაგრამ მე ხომ მაქვს ამისი უფლება“. მაშინდელ მანუელსა და ახლანდელ მანუელს შორის ის განსხვავებაა, — და ეს განსხვავება მის სულს აფორიაქებს, — რომ ამ სახურავქვეშ თავშესაფრის უფლება თითქოს აქვს და არცა აქვს, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებით კი თავისი მასპინძლების სიკეთე ბოროტად გამოიყენა.

ქვევით სელმა საქმიანობდა. ამ ხუთშაბათს შინ დარჩა ვიკისთან, თანაც მარიასთვის კარი ხომ უნდა გაეღო. სელმას გამგზავრებამდე კიდევ წინ აქვს რამდენიმე დღე, მაგრამ მისი ქუსლების კაკუნზე, თან რომ ვიკის სირბილაც უერთდება, მანუელი ცხადად გრძნობს, რასაც აკეთებს ქალი: ოთახიდან ოთახში დადის მომავალი გამგზავრებით აღგზნებული და ჩემოდნებს ალაგებს შვილის დახმარებით, აგერ, ვიკიმ სწორედ თავშესაფრის ქვეშ გაიარა და წვრილ ხმაზე თქვა:

— რა უცნაურია! მარია მარტო ერთ საღამოს იყო ჩვენთან და უკვე შვებულება მიეცა.

— თავისი ნივთების მოსატანად წავიდა, — უბასუხა სელმამ.

— ერთ კვირას რა უნდა დასჭირდეს ამდენი?

მანუელმა აღიარა, რომ ეს შეკითხვა მართებული იყო. მართლაც, ეს მარულა შეჯიბრი იყო დროისთან. მარია კი არა ჩანდა. მანუელმა მუცელზე ხელის მოისვა, მტკივანი ადგილი მოისინჯა და მწარედ გაიფიქრა: სჯობს დაღბეს ამ ბუნავში. გუშინ შუალამემდე ლეგარნოებთან იჯდა, ისინი მანუელზე ნაკლებად როდი იყვნენ შეწუხებულნი, ცდილობდნენ მარიას დაგვიანების მიზეზი გამოეძიათ. ალბათ რა შეწუხებული, მონანიე და დათრგუნვილი ეჩვენებოდათ მანუელი! ლეგარნოების ოდნავი გამოხედვაც კი ტყვიასავით ხვდებოდა გულში; მაგრამ ისე ეზიზღებოდა საკუთარი თავი, რომ სურვილი ჰქონდა საკუთარი ტყავიდან ამომხტარიყო; ისე შეეპყრო ამ გრძნობას, — რაც ხშირად კაცს აიძულებს ხოლმე ხიდიდან წყალში გადავარდეს, — რომ ამ შემოხედვისთვის მადლობელიც კი იყო. ადრე არც არასოდეს უფიქრია ასეთ რამეზე. მანუელი ხომ ესოდენ შეუვალი რწმენის კაცი იყო!

როცა დასაწოლად ავიდა, ისე განადგურებული იყო, რომ თვითონაც ვერ მიხვდა, რატომ გაბრაზდა უცბად სრულიად უმნიშვნელო რამეზე: ბელურების ჩხუბმა, სახურავქვეშ ადგილს რომ ეცილებოდნენ ერთმანეთს, გაახსენა, რიამ

ეს უვნებელი ჩიტუნები, მსოფლიოს ხუთივე კონტინენტს რომ მოსდებოდნენ, ევროპიდან მოვიდნენ კოლონიისტებთან ერთად. ის კოლონიისტები არც თუ ისე მშვიდობიანი ხალხი აღმოჩნდა, ამ მიწაზე რკინა და ცეცხლი მოიტანეს და ახლაც ოთხასი წლის მერე, იგივე ძალადობა მოექცა სუფივეზუტზე, ძალადობა, სიხარბე, ამპარტავნობა, მართლაცდა, დიდებულებს მშვენიერებაა! გულუბრყვილობაა იმაზე ფიქრი, რომ ამ ქვეყანაში რაიმეს შეცვლა თანდათანობით და მშვიდობიანად შეიძლება. აბა, როგორ იბალახებენ ერთად ცხვრები და მგლები? თუ მიზნის მიღწევა გასურს, გზაც უნდა ეძებო მის მისაღწევად. და შესაძლებელი რომ იყოს ყველაფრის თავიდან დაწყება, ეს უბედი მანუელ ალკოვარი სხვა იარაღს იშოვიდა და სხვა უფრო საჭირო რაღაცით იბრძოლებდა, ვიდრე მიკროფონია...

მანუელი ცდილობდა საკუთარ თავს მორეოდა. უმცირეს ჩქამზეც კი თავს სწევდა ბალიშიდან და ყველაზე საშინელებას ელოდა. მაგრამ მარია არც ისე სულელია, არაფრად ჩააგდოს კომენდანტის საათი... მანუელი ბორგავდა, ცდილობდა დამშვიდებულიყო. ქვემოთაც არ ეძინათ და ოთახიდან დროდადრო, ხანგრძლივი სიჩუმის მერე ყრუ ლაპარაკი მოისმოდა. მხოლოდ სამი საათის შემდეგლა ჩამოდგა სიჩუმე. ქუჩაში ჯიპით პატრულმა გაიარა. შიგ ოთხი ჯარისკაცი იჯდა. მთვრალ, აკისკისებულ გოგოს ებღვარებოდნენ. მოკრიპულ უღრუბლო ცაზე, ზედ ჩამავებულ ხის თავზე მკრთალად ანათებდა ენისი. შიშისა თუ კეთილგონიერების გამო მანუელმა ერთიმეორის მიყოლებით ჩაიყარა პირში ორი აბი ძილის წამალი, თუმცა აბებზე ჩაყოლებული ხაზი მიანიშნებდა, ორად არის გასატეხიო. წესით უნდა გადაეყლაპა, მან კი დაღეჭა და პირში მწარე ფაფა გაუჩნდა. ნერწყვითაც ვერ მოიშორა კბილებიდან.

ძილ-ღვიძილის საზღვარზე მყოფს მოეჩვენა: ვითომ ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობდა წინასწარ დადგენილი მარშრუტით, წარმოსთქვამდა ერთი და იგივე სიტყვას, მცირე ცვლილებებით; ისევე ატარებდა უკანასკნელ საარჩევნო კამპანიას. ერთადერთი უცნაურობა კი ის იყო, რომ მის გვერდით მჯდომ ჩუმ მძღოლს მარიას სახე ჰქონდა. მანუელს ვერაფრით გაეგო, რატომ ითვლიდა მარია კილომეტრების აღმნიშვნელ ბოძებს შვედურ ენაზე en, två, tre, fyra, და თანაც ორ ხმაზე, დაბალსა და მაღალზე. ბოლოს გამოერკვა მანუელი: ლეგარნოები თავიანთ დილის ვარჯიშს ატარებდნენ.

დილის პირველი საუზმე არ ყოფილა. ცხადია — არც მეორე მეზობელი. ეალესიის სამრეკლოზე რომ ზარი ჩამოჰკრეს მარიას დაგვიანებით გამოწვეული შიში უფრო გაიზარდა, უსაუზმობა რა სათქმელია, როცა ყელში რაღაც გიჭერს, მაგრამ ჭურჭლის წკარუნი მაინც ახსენებს ცარიელ კუქს. მანუელი ამის გამო საკუთარ თავზე ბრაზდება. განა შეიძლება ასეთ დროს ადამიანი რაღაც წვრილმან მოთხოვნილებათა მონად დარჩეს? ან განა შეიძლება უსუსური ეჭვებით აივსოს ისეთივე ქალის მიმართ, როგორიც მარიაა? სისულელეა, მაგრამ მანუელი მაინც ერთი და იგივეს იმეორებს: „იქნებ დაბრუნება ვერ შესძლო?“... მერე ზმნას ცვლის და ახლა სხვა წინადადება ყალიბდება: „იქნებ დაბრუნება არ მოისურვა?“ ბოლოს და ბოლოს თუ ამ რაღაც გრძნობებს განზე გადავდებთ და იმასაც გავითვალისწინებთ, რას ჰკარგავს ქალი და რის გამო იგდებს თავს საფრთხეში, ეს ნაბიჯი უგუნურობა არ იქნებოდა. განა არ აჯობებდა ცოლად გაჰყოლოდა თავის ბიძაშვილს, საქმროდ რომ ამოუტრჩიეა? ყველა კაცი, — გარდა იმ ერთადერთი კაცისა, სახურავქვეშ რომ იჯდა, —

მწვიდად განსჯიდა ყოველივეს, ერთ აზრამდე მივიდოდა: თუ შენდა საბედნიეროდ, მარია ბედმა გამოგიგზავნა, სამაგიეროდ, შენა ხარ გაჩენილი მისდა საუბედუროდ.



მისდა საუბედუროდ ხარ გაჩენილი — ეს მართალია, მაშინვე ასკვნის, რომ მაინც ბედმა გამოუგზავნა მარია. ექვსი მოკლე წინათ დადგენილი სანიშნო სიგნალი... შინაურები, სხვათაგან რომ განასხვავონ, — სხვები, როგორც წესი, დიდხანს აკერენ ხოლმე თითო ხარის დილაკს, — ოთხი მოკლე ხარი ოლივიესია, ხუთი — სელმასი, ექვსი — მარიასი. მანუელი საჭვრეტს მივარდა: მარიაა; ხელში ჩემოდანი უჭირავს. ბაღში მოდის, ვიკი მის ირგვლივ დახტის. მარია სახლში შემოდის.

მოვლენები სწრაფად ვითარდება. სელმა განგებ ლაპარაკობს ხმამაღლა: — არა, ნურაფერს ამიხსნით, დრო არა მაქვს, საელჩოში მეჩქარება. რაც მჭირდება, ყველაფერი თან მიმაქვს. ვიკაც მიშყავს.

ბიჭის გასაგონად მაშინვე უმატებს: — საღამოსთვის სასტუმრო ოთახი დააღაგეთ, გეთაყვა. სელმა სახელდახელოდ ემზადება, გადის, ჭიშკარს გაივლის, მანქანაში ჯდება, რომელიც ქუჩაში ელოდება და მიემგზავრება. მანუელი მაშინვე ქვევით ჩავიდა და მარიას მოეხვია. ქალს სახე დაღლილობისგან დაწვრილებოდა, მაგრამ მაინც ბოდიშს იხდიდა:

— ვიცი, გული გადაგელია. ძლივს ვიპოვე გასაღები... რაკი მარია აქ არის, მაშ ყველაფერი რიგზეა. მაინც როგორ მოახერხა? თუმცა რა მნიშვნელობა აქვს ამას? მნიშვნელობა მხოლოდ იმას აქვს, რომ ქალი აქ არის და მისი აქყოფნა დღესასწაულია. მანუელი არ უსმენდა, ვნებამორეული ეხვეოდა, კოცნიდა და როგორც იმ პირველ საღამოს, ახლაც ხელში ატაცებული გაიყვანა საწოლ ოთახში. ორივენი სიყვარულის მორევში დაცურავდნენ. ბოლოს, მანუელი, როგორც იქნა, დაშვიდდა და ქალიც ალაპარაკდა:

— ჩვენს ბედად მამაჩემს უყვარდა თავის გამოჩენა. მას შეეძლო კარმენისათვის ბანკის ჩეკი მიეცა მზითვად, მაგრამ ამჯობინა ობლიგაციები ეჩუქებინა, რომელსაც საღამოს, ნავახშმევს, მაგიდაზე დაყრიდა. მე კი ეს არ ვიცოდი. ოცდაოთხი საათით გვიან რომ მივსულიყავი, ვერაფერს ვიპოვიდი წარმოიდგინე, დილას, სახლიდან გამოსვლისას პირდაპირ შევეფეთე... როგორ ფიქრობ, ვის? აბა, გამოიცანი! ლილას!

ლილა? ეს სახელი მანუელს არაფერს ეუბნებოდა. მარია კი იმ ვიღაც ლილასთან შეხვედრის შერე ჯერაც ვერ მოსულიყო გონზე. ქალი აღშფოთებულია და ზიზღისაგან ცახცახებდა. ლილა მისი ბიძაშვილია, შვილიშვილია ბებია ტერეზასი და პაპის ძმის — მეიარაღე ისმაილისა, რომელიც ყველაზე მდიდარი კაცი იყო მთელ გვარში! ლილა ოცდახუთი წლისა ყოფილა, ქმარგაყრილი; როგორც ამბობენ. საყვარელი პყავდა ვიღაც შორეული ნაოსნობის კაპიტანა: ეს ის ქალი გახლდათ, რომ ჩაიფსა და შეშინებული ყველაზე ადრე გავარდა ეკლესიიდან. ასე გადარჩა იგი. მისი მშობლები კი, სხვებთან ერთად, ტყვეების მსხვერპლნი გახდნენ.

მარია სახლიდან ასე ცხრა საათზე გავიდა, ერჩივნა ცოტა შეეცადა, ვიდრე მეზობლები სამუშაოზე წავიდოდნენ. სწორედ მაშინ დაინახა ქალბატონ გალ-

იოსთან მოსაუბრე შევებში ჩაცმული ლილა; მათი მოხუცი მეზობელი ქალბატონი გალიო მთელს უბანში ცნობილი ჭორიკანა იყო. გვერდს ვერაფრით აუვლიდა და მარიაც პირდაპირ მათკენ გაეშურა ღიმილით. ორივემ თვალები დააჭყიტა. თითქოს მოჩვენება გამოეცხადათო, მერე ერთად შეპყვირეს.

— მარია, ცოცხალი ხარ?

ერქვენული

მაგრამ რამოდენა განსხვავება იყო მათ შეძახილში და გუფრული მზერა-მოხედვაში! ოთხმოცი წლის დედაბერს ენა კრძელი ჰქოდა. მაგრამ გულსათილი იყო, ხშირად მიპყავდა თავისთან პატარა მარია და ეფერებოდა. მერე და მერე ქალბატონ პაჩეკოსაგან დატუქსული ქალიშვილი მასთან ჰპოვებდა ხოლმე შეებას, და ახლაც დედაბერი მადლობას უხდიდა უფალს სააწაულისთვის: ლილა კი მწუხარებას ზრდილობის გულისათვის გამოხატავდა და ამოდ ცდილობდა საკუთარი ეჭვი და გულგატეხილობა დაეფარა.

— სად იყავი? — ჰკითხა დედაბერმა. — იცი, ხვალ უნდა გაელოთ ბინა. ახლა ზუსტად ამაზე ველაპარაკებოდი შენს ბიძაშვილს. მთხოვა, მოწმე იყავიო... დაუჭერებელია! საშინელებაა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მე ხომ ვიცი: მსხვერპლია დიდია, სათითაოდ კრებდნენ დახოცილებს და კაცმა არ იცის სად დამარხეს...

ბიძაშვილი ატირდა. საკუთარ მშობლებს, რა თქმა უნდა, გულწრფელად დასტაროდა, მაგრამ ცრემლიანი თვალებით ხანდახან მარიას გადახედავდა. „ვილაც ნათესავი ქალი გეჭებთ...“ — უთხრა მაშინ კონსიერემა. სიმართლე გამოდგა და არც ისე ძნელია იმის მიხვედრა, რატომაც ეჭებდა ლილა მარიას. ცხადია, ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი ადამიანი ხომ ერთადერთი მემკვიდრეც არის! რადით კი ყველას ახსენებდა „იმ საშინელ შეცდომას, ფატალურ დაუდევრობას, რომელიც გაკვეთილი უნდა გახდეს ყველა იმათთვის, ვინც დაუდევრად მოექცევა ბრძანებებს...“ ამჯერად მანუელის სახელი არ უხსენებიათ, თუმცა მას ყველგან ეჭებდნენ. ლილა არც ისე ახლობელი ნათესავი იყო და არც მანუელია შესაბამე იცოდა რამე, მით უფრო — ქალბატონ გალიოს არავინ გაანდობდა ოჯახის საიდუმლოს. მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა და სჯობს იცრუოს.

— საავადმყოფოში ვიყავი. — თქვა მარიამ. — არა მგონია იქ სხვა დაჭრილიც ყოფილიყო.

თვალები აუცრემლიანდა და ხმაშიც მწუხარება დაეტყო. არ იტყუებოდა. ახალ-ახალი შეკითხვებისთვის, განსაკუთრებით სამძიმარიისთვის რომ აერიდებინა თავი, რაკი სახლიდანაც საყიდლებზე გამოსული დიასახლისებიც უკვე გამოჩნდნენ, მარიამ სწრაფად გადაკოცნა ორივე:

— მომიტევეთ, ხვალ დავბრუნდები. დღეს კი ერთი-ორი დიდი საქმე მაქვს მოსაგვარებელი...

ალბათ იმ ქალებმა იფიქრეს, „იანეთივე საქმეები აქვს, როგორც ლილასო“ და ასეც სჯობდა. მარია ჭონებას კი ტოვებდა, მაგრამ მისთვის ეს ამბავი სულერთი მაინც არ იყო: არ სურდა თავისი ხარბი ბიძაშვილისთვის დაეთმო რამე. ახლა უკვე აიამოვნებდა იმაზე ფიქრი, რომ იურიდიული თვალსაზრისით უკიდურესად დახლართულ ნაკვალევს ტოვებდა თავის უკან. ქალბატონი გალიო დაამოწმებს, რომ მარია ცოცხალია და ბინაშიც თვეთა მანძილზე გაგრძელდება ხრწნა და ლპობა. ყველაფერი იმით დამთავრდება, რომ ქალის გაქრობას,

კვლავ გამოჩენას და კვლავ საბოლოოდ გაქრობას საეჭვოდ მიიჩნევენ, საქმე სასამართლოს გადაეცემა და დაუსრულებელი დავაც დაიწყება.

მარია ღელავდა. მანუელი მის ახალ თვისებას აღმოაჩენს — მესაკუთრის სიანჩხლეს, რაც გააოცებს და გაახარებს კიდევ. განა ქალმა ყველაფერი მას არ შესწირა?

— მკვლევლებია მერე მუდამ ყორნები გამოჩნდებიან ^{ერქენულნი} ~~მკვლევლები~~ ^{მკვლევლები} ასე დაუწყებია, — თქვა მანუელმა. — ახლა ქვეყანაში ათასობით გაიძვერა დაძვრება საზიზღარი გამორჩენის მიზნით. გთხოვ სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

მანუელი იღიმება. მარიაც იღიმება. მის წინ ისევ ძველი მარიაა, წინა საღამოს სახელოში რომ სტაცა ხელი და უკან შემოათრია, ჩაკეტა ჭიშკარი, გასაღები ჯიბეში ჩაიდო და თქვა: „შენ სიკვდილს იმიტომ ამჯობინებ, რომ მე დავრჩე ცოცხალი. ეს დიდსულოვნებაა, მანუელ, მაგრამ ამგვარ დიდსულოვნებას არ მოვიტხოვ შენგან. სიმართლე თუ გინდა, მე თავად გამიძნელდებოდა სიკვდილი, იმ პირობით რომ შენ დარჩენილიყავი ცოცხალი. ორს რომ ერთი გამოვაკლოთ სიყვარულში, განა ნულის ტოლი არ არის?“ იმავე მარიამ მეორე დღესაც მისი გულისთვის საფრთხეში ჩაიგდო თავი. მანუელი ფეხზე წამოხტა და თქვა:

— მთავარი მაინც ის არის, რომ გუშინდელს აქეთ არაფერი მიჭამია და სიამოვნებით დავნაყრდებოდი.

ერთ წამს ტკივილისაგან სახე შეეცვალა, ხელი მუცლისაკენ წაიღო და წამით გახევდა.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა მარიამ.

— არაფერი, — უბასუხა მანუელმა. — კოლიტი მახსენებს თავს. როგორც კი გავნერვიულდები, ესეც აღარ აყოვნებს.

მარიამ წარბი შეიკრა. ახლა ნებივრობის, პატარ-პატარა ტკივილებზე ფიჭრის დრო არ არის! განა სულ ტყუილუბრალოდ არ დაიღუპნენ მათი ნათესავები, მეგობრები, ატილიო, ფიდელია და ახვანი ამ ქარცეცხლში? ესენი კი ცოცხლები არიან! სამი კვირის წინ მარია რას გაიღებდა მანუელისა და თავისი სიცოცხლის გადასარჩენად; ახლა კი გადარჩნენ, სამ-ოთხ დღეში საზღვარზეც გადავლენ. რვა დღეში მექსიკაში იქნებიან და მთელი ცხოვრება ეხსომებათ ეს საშინელება. იქ დაბინავდებიან, იმუშავენ, იქორწინებენ, ეყოლებათ გოგო და ბიჭი...

მანუელმა მარია ხელში აიტაცა და სამზარეულოში გაიყვანა. ქალი მის გვერდით ჩამოჯდა. შეკავებული სიხარულით დაიწყო პურისა და ორი ნაჭერი ცივად მოხარშული ხორცის დაჭრა. მოცახცახე წამწამების ქვეშ თვალები უციმციმებდა. განა მანუელი ცოტა ხნის წინ თავად არ ამბობდა — ჯოჯობეთში სამოთხეს ვერ მოიწყობო.

XVIII

ოლივიე რომ შევიდა, ბატონი მერსიე შოკოლადს სვამდა — „შვიდჯერ აღუღებულ“ შოკოლადს, რომელსაც ელექტროლუმელზე თავად ელჩი ხარშავდა ხოლმე დიდხანს და ნელა, — და მეტად კმაყოფილი, მერე ფინჯანს თავაზიანად უწვდიდა თავის ავსტრალიელ მეგობარს, რომელსაც რაღაც ურთიერთობა ჰქონდა ეურნალისტიკასთან, ისე კი შეიძლება მსტოვარიც იყო „მინიანი

სახლიდან. ასე იყო თუ ისე, იგი ოფიციალურად საერთაშორისო საფოსტო კავშირის ექსპერტად იწოდებოდა, რომელიც ბერნის — Weltpoststrasse — ზოგიერთი საკოორდინაციო პრობლემის გადასაწყვეტად გამოეგზავნა. ისინი მოკლადს წრუპავდნენ და თან ხოცვა-ჟლეტის ეპიდემიის მიზეზებს ანალიზებდნენ, მარტო ამ ქვეყანას კი არა. ბევრ ახვასაც რომ მოსდებოდა.

— ხალხის დაშინება და დაძაბუნება სურთ, ეს ცხადეა უკონტროლოდ.

— პრობლემის ლიკვიდაცია სურთ, იმის ლიკვიდაცია სურთ, ვინც ეს პრობლემა წამოჭრა, — თქვა ბატონმა მერსიემ.

— სურთ უკიდურესად გააბოროტონ ფანატიკოსები, — განაცხადო ავსტრალიელმა. — გადააქციონ ჯალათებად და ამით უკან დასახევი გზა მოუჭრან. სულ ვფიქრობ, რა მოხდებოდა, რომ...

— ვატყობ, თქვენც ჩემსავით ფიქრობთ: თანამედროვე მსოფლიოში ეს ნასიური ხოცვა-ჟლეტა რაღაც ახალს, რაღაც მასიურ თვითმკვლელობას ხომ არ მოასწავებს... ასეა ხომ? გამარჯვებულს ჰგონია, რომ დამარცხებულს ჯოჯობეთში აგზავნის, იმაზე კი აღარ ფიქრობს, რომ მალთუხსმა შეიძლება მილოხი! გააღვიძოს.

ოლივიე კამათში ჩაება და ცივად თქვა:

— თქვენი მომხიბლავი პიპოთეზა რომ ასრულდეს, კარგი დღეები კი დაგვიდგება.

ავსტრალიელი თითქმის მაშინვე წავიდა და პატრონმაც ჩვეულებისამებრ ჰკითხა:

— რა გნებავთ ჩემგან, ოლივიე?

მაგრამ ისე მშვენიერად იცოდა რაც ნებავდა ოლივიეს, რომ ყურებზე ხელი აიფარა და თქვა:

— ისევ სენატორზე გინდათ მითხრათ, ხომ? იცოდეთ, მე არაფერი ვიცი და არც მინდა რამე ვიცოდე... როგორ მიდის თქვენი საქმეები?

და წინ გადმოიხარა, რათა უკეთ მოესმინა; ვიდრე ოლივიე მოახსენებდა, პატრონი კმაყოფილი ამბობდა — კეთილი! კეთილი! და მიზეზიც ჰქონდა ამისი. ოცდაოთხი საათის განმავლობაში სელმამ, რომელიც ნაკლებად საექვო იყო და თავისუფლად შეეძლო სიარული, ერთ მეგობართან ერთად, რომლის გვარიც არ დაუსახელებიათ, მოაწესრიგა საქმეები. განსვენებულ პროფესორ პაჩეკოს ობლიგაციები სასწრაფოდ გაასაღეს. მარიამ მარტო საჭირო ფული კი არა, იმაზე მეტი მიიღო, ასე რომ მექსიკამდეც ეყოფოდათ და იქ ერთხანს სულსაც მოითქვამდნენ. ძვირფასეულობა სვლმასთან რჩებოდა, როგორც კი საფრანგეთში დაბრუნდებიან, მაშინვე მარიას გაუგზავნიდნენ. მეგზური, საზღვარზე რომ გადაიყვანთ, სანდო ჩანს, ორმა მისმა კლიენტმა უკვე შემოთვალა, მშვიდობით ჩავედითო. „მეგობარი“ საიდუმლოდ ინახავდა გამყოლთა ვინაობას, მარტო იმას ამბობდა, რომ ისინი მოხერხებული კონტრაბანდისტები არიან, ყველაფერი გათვალისწინებული და ეშმაკურად გააზრებული აქვთო. რჩებო-

1. ძველი ფინიციელების, კართაგენელების, ებრაელების და სხვა ხალხების მითოლოგიაში — მზის, ცეცხლისა და ომის ღმერთი; მსხვერპლად ადამიანებს სწირავდნენ. იტყვიან ისეთ რამეზე, რასაც ბევრ ადამიანს მსხვერპლი სჭირდება.

და მხოლოდ ერთი სიძნელე: სენატორის მიყვანა შეხვედრის ადგილზე, რომელიც სახლიდან ორ კილომეტრზეა.

— ცოტა გრიმი მოიშველიეთ, — უკარნახა ბატონმა მერსიემ — გაპარსეთ უღვაში, უკან გადავარცხნეთ თმა, გაუკეთეთ შავი სათვალე, მუშია ჭუჭყიანი ტანსაცმელი ჩააცვით და მორჩა...

— მეც ასე ვაპირებდი, — თქვა ოლივიემ, — რაც შეეძლება შეხვედრას... მე თავად წავიყვან სენატორს. ყურადღება რომ არ მივიქციოთ, ახლავე წავალ და იმ ადგილს შევისწავლი.

ბოლო სიტყვამ „კარგით!“ განამტკიცა ეს კეთილშობილური განზრახვა. ბატონმა მერსიემ ირონიულად ჩაიცინა, მძიმედ წამოდგა და მრჩეველი კარამდე მიაცილა:

— ნამდვილად იმსახურებთ იმას, რაც თქვენ პირად საქმეში ჩავწერე. თქვენ განსაკუთრებული როლი გერგოთ, განტევეების ვაცის როლი, მაგრამ ძალიან ნუ გათამამდებით, მოგეხსენებათ, არამზადებიც არსებობენ, განტევეების ნაცვლად ზოგჯერ ვაცს ბოლოსაც უღებენ.

სჯობს ორმა ისეირნოს ქუჩაში, იფიქრებენ, შეყვარებულები არიანო. ოლივიემ სელმა მოძებნა და საელჩოდან გასვლისას, კართან მდგარ გუშავს კიდეც ერთხელ წარუდგინეს პასპორტები და დაელოდნენ, ვიდრე პრელატოს ერთ-ერთი კაცი — ამჯერად რამონი — გაჩხრეკდა მათი მანქანის საბარგულს. რამონი აქეთ-იქით ახეთქებდა ბიდონებს, დომკრატს, ჩანთიდან ამოღებულ სამუშაო ხელააწყობებს, მზიარულად რომ ეხლებოდნენ თუნუქს. რა გაეწყობა, საელჩოს გაღვანს იქით ოლივიემ მხოლოდ უცხოელია, ვისთვისაც უკვე დადგენილია ქვეყნიდან წასვლის დღე. ამიტომაც ისეთი არაფერი უნდა გააკეთოს, რისთვისაც დანიშნულ დროზე ადრე გაასახლებენ.

— ეს შეექვსე იქნება! — ჩაიბურღლუნა რამონმა, როგორც კი მანქანა ადგილიდან დაიძრა.

— ეს მეორეა, რომელიც სენატორზე მუშაობს! — დაიბუზლუნა ოლივიემ, როგორც კი ასიოდე მეტრით დაშორდნენ იმ ადგილს.

რამონია სიტყვებით გაბრაზებულმა ოლივიემ სიამოვნებით გადმოანთხია თავისი რისხვა და ახლა უხაროდა, აქაური ჯაშუშების მოტყუება რომ შესძლო. ეშინოდა, მეთვალყურე არ გამოძევესო და გვერდით გაუხვია, ისევ უკან გამობრუნდა და ისევ იქით წავიდა, საიდანაც წამოვიდა. ყველაფერი ართობდა, სელმა კი მანქანის ყოველ მოხვევაზე ძალიან წუხდა. თხუთმეტ წუთი ტრიალებდნენ ააგ, ბოლოს „Avenida Leonardo“-ზე გავიდნენ. ბატიისტების ეკლესიის წინ შეჩერდნენ, კარგად რომ დაეზვერათ ეს ადგილი, ოლივიემ ისე ნვლა წაიყვანა მანქანა, რომ ზოგიერთი მოუთმენელი მძღოლი ზურგიდან საყვირითაც კი შეეხშიანა.

— 88-ე სახლთან გააჩერე. — თქვა სელმამ. — კვირა დილას, თერთმეტ საათზე აქ მოვიყვანთ მანუელს და დავტოვებთ. ამ დროს პატრული ცოტაა. მოედანი ორმოცდაათ მეტრზეა, სავაჭრო რიგის მეორე მხარეს, თუ გეგმას დავუჯერებთ.

შეხვედრის ადგილი აქამდე რამდენჯერმე შეიცვალა, ამჯერად კი საბოლოოდ იყო დადგენილი. ოლივიემ და სელმამ ხელიხელგადახვეულებმა ქვეითად გაჩაგრძეს გზა, სავაჭრო რიგი გაიარეს და მოედანზე აღმოჩნდნენ. ადვილი მი-

სახვედრი იყო რატომაც აირჩიეს ეს ადგილი: მუშტრებით გაჭედული დახურული ბაზარი, საიდანაც მოედანზე ხალხის ნაკადი სამი მხრიდან ვადიოდა, მიმდებარე ქუჩაზე კი — ბოსტნეულით დატვირული საბარგო ავტომანქანები იდგა. მანუელი ჩაიკარგებოდა ამ ხალხში. ზუსტად ოცი ნაბიჯის გადაღმა დასჭირდებოდა „ბ“ გასასვლელთან მისვლამდე, თან სიგრძეზე ჩატვირთული ნახევარი პური ექნებოდა ილიაში ამოჩრილი. წვრილ ვაჭრებს ხომ მხოლოდ თავისი საქონელი, სასწორი და მყიდველის ხელები აინტერესებთ! კახპები აქაც ბლომად ჩანდნენ, კარაბინერებს გამომწვევად ემანჭებოდნენ. კარაბინერებს კარგა ბლომად გადაეყლურწათ დახლიდრების ანგარიშზე და ახლა გამოთიშულელებით იდგნენ. დახლიდრებსაც ეს უნდოდათ, რადგან ამაზე უკეთეს საშუალებას კონტრაბანდის დასაფარავად ვერც იპოვიდნენ. ოლივიემ გვარიანად შემთვრალი სამი კარაბინერი დაითვალა.

— „ბ“ გასასვლელთან, — ჩაიჩურჩულა სელმამ, — ისინი ნაცრისფერხალათიან კაცს ნახავენ. ამ კაცს პურის მეორე ნახევარი ეჭირება ხელში. იმას გაჰყვებიან, და ქვევით, მაცივარში ჩამავალ კიბეზე ეს კაცი ორივეს ისეთივე ხალათს მისცემს, როგორც თავად ეცმევა...

დანარჩენი კი თვითონ მეგზურთა საიდუმლო იყო. ცოლ-ქმარი უკან გაბობრუნდა, გზაში ვიკის მშვენიერი თვითმფრინავი უყიდეს საჩუქრად, ცელოფანის ფრთებიანი და პროპელერიანი, რომელიც რეზინის ძრავის დახმარებით მოძრაობდა. მერე, როგორც ყოველთვის, ბიჭს გაუარეს კოლეჯში და შინ დაბრუნდნენ.

ჭიშკარი შეაღეს თუ არა, მარია ისეთი აღელვებული გამოეგებათ, რომ სელმამ ბიჭის იქ ყოფნა აღარაფრად ჩააგდო და რომ დაემშვიდებინა, მგზავრობის ამბავი დაიწყო:

— ყველაფერი რიგზეა, კვირა დილას წახვალთ.

მაგრამ ამან, ეტყობა, უფრო აღელვა მარია, შუბლშეკმუხნულმა ვიკის და მამამისს გადახედა. ცხადი იყო, პატარის თანდასწრებით ლაპარაკი არ შეეძლო:

— გაიქეცი ბაღში და თვითმფრინავით ითამაშე. — უთხრა სელმამ შვილს. ყველა ბავშვს აქვს ერთნაირი მგრძნობიარე ანტენა, ვიკიმაც იგრძნო დრამის სუნი და კაბაში ჩააფრინდა დედას. ბოლოს, როგორც იქნა დაითანხმეს და თვითმფრინავი მოამართვინეს, რომელიც პირდაპირ ლობის გადაღმა გადაფრინდა. მარიამ დრო იხელთა და სულმოუთქმელად თქვა:

— ეს უკვე მეტისმეტია!.. მეტისმეტი უსამართლობაა! ვერსად ვერ წახვალთ. მანუელს ორმოცი გრადუსი სიცხე აქვს და განუწყვეტლივ აღებინებს...

— არა! — აღმოხდა სელმას.

ერთი-ორი ნაბიჯი გადადგეს და გულშემოყრილნი გაჩერდნენ. ჩამავალი მზის მიმქრალ სხივებზე სამივეს აჩრდილი გაიწელა მიწაზე. შუაზე გადამტყდარი ჩრდილების ნაწილი გაზონზე გაწვა. ნაწილიც ფასადზე. ვიკიმ თვითმფრინავი იპოვა და აცრემლებულმა დედას უხმო. თვითმფრინავს ცალი ფრთა გახვოდა. მეზობელი სახლის ფანჯრის რაფაზე ცისფერი სპარსული კატა გაწოლილიყო და სფინქსის გულგრილობით ადევნებდა თვალს ამ სურათს.

— დიახ. — დაამთავრა აცახცახებულმა მარიამ, — ასეა საქმე!

სახე გაუქვავდა. ბელი არ ინდობდა და არც იგი დაინდობდა ვინმეს, საკუთარ თავსაც კი.

და მან ყველაფერი თქვა:

— იცით რას ნიშნავს ხანჯლისებური ტკივილი მარჯვენა მხარეს, კიბსა და საზარდულს შორის? კარგი იქნებოდა მეშლებოდეს, მაგრამ ბინდბუნდში ბევრი მინახავს ამ დღეში ჩავარდნილი. მანუელი ამ ბოლო დროს ტკივილს ძალიან უჩიოდა იმ ადგილას, სადაც აპენდიციტია. ეტყობა, ახლა მწვავე ფაზაშია შესული. თუ ასეა, ოპერაცია უნდა გაუკეთდეს, თორემ დაიღუპება. თუ საავადმყოფოში წავიყვანთ, იქიდან გამოვა მხოლოდ დასახვრეტად.

XIX

ოთახს, სადაც საწოლი დგას, ბინდბუნდში თითქოს განზომილება დაუკარგავს, ხან ისე დავიწროვდება, რომ მხოლოდ თავზემდგომი ქალის მორიდებულ მოძრაობას იტევს თითქოს, ხან კი გაფართოვდება და ღამეს ერთვის, მანუელი წამით ქუთუთოებს ასწევს და მაშინაც ისე იყურება, ეტყობა, ვერაფერს ხედავს, საკუთარ თავშია ჩაფლული.

ნეტავ მიხვდა რამეს? მეგზურთან შეხვედრაზე მარიას არაფერი უთქვამს. მანუელმა არ იცის, რომ გამგზავრება კვირა დღეს არის დანიშნული. შეიძლება ფიქრობს კიდევ, გამოსაჯანმრთლებლად წინ კიდევ ექვსი დღე მაქვსო. ამ საშინელ ღამეს როგორღაც გაუძლო ტკივილს — კრიჭა არ გაუხსნია, მაგრამ განთიადისას კი ვეღარ მოითმინა. დაბლა ჩასვლა სცადა და უცებ შეეტლესავით დაიწყო გინება. ამის გაგონებაზე მარიაც მოვარდა. მანუელი კიბეზე დაგორდა. ქალმა ბოლო საფეხურზელა მიუსწრო. დაკრუნჩხული კაცი მუცელზე ხელს იჭერდა, თავი უხურდა და ამაოდ ცდილობდა ტკივილი დაეფარა:

— დალახვროს ეშმაკმა, ახლა სხეულმაც მილალატა.

მაგრამ მაშინვე გაჩუმდა, მერე კი ჯამზე თავდახრილმა ბოდიში მოიხადა საძაგელი სპექტაკლის მოწყობისათვის. ქალმა თავისი საწოლი ოთახი დაუთმო. მის ზევით აყვანასა და ისევ გასაბერ ლეიბზე წოლაზე ლაპარაკიც აღარ შეიძლებოდა. ქალმა გასაბერი ლეიბი თავისთვის ჩამოიტანა. ქანცმილეულს რომც ჩასძინებოდა, მანუელის ოდნავი წამოკვნესებაც კი ფეხზე წამოახტუნებდა, გააღვიძებდა, გამოაფხიზლებდა.

მაგრამ მანუელს აღარ დაუკვნესია. კაცი შეიძლება განაზეებული გოგოსავით აწუწუნდეს ხიწვის ამოღებისას, მაგრამ ნამდვილ გაჭირვებას გულმაგრად იტანს, რაკი ხედავს, რა აუტანელია ახლობლებისათვის მისი ტანჯვა. მარიას კარგად ახსოვს, როგორ კვდებოდა პაპამისი; წლების განმავლობაში მან გული გაუწყალა ყველას რევმატიულ ტკივილებზე ჩივილით, მაგრამ სიცოცხლის ბოლო თვეებში დაუკვნესებლად გადაიტანა ყელის კიბოსაგან გამოწვეული უმძიმესი ტკივილები და იმათ სიჩუმეს, ვინც სასიკვდილოდ გადადებულ კაცს მხოლოდ ღიმილით ამშვიდებდნენ, ისიც სიჩუმით აძლედა პასუხს.

მარია კარგა ხანს უოყმანობდა, რადგან მთელი პასუხისმგებლობის აღებას აპირებდა თავის თავზე. ისეთი მებრძოლი კაცი, როგორც მანუელია (იქნებ სცდება კიდევ მის შეფასებაში) თავს არ მოიტყუებს. ეს მხოლოდ უიმედო ავადმყოფებს სჩვევიათ, რასაც ხშირად ახლობლების შიშიც ერთვის ხოლმე.

იქნებ მანუელი იმიტომ გაჩუმდა, რომ იფიქრა, საქმე უფრო მეტად არ გავართულო. ან იქნებ მარია შეეცოდა, საშველად რომ ვერავის უხმობს და იძულებულია ექვსასი წუთი ელოდოს ლეგარნობის დაბრუნებას. თუ მანუელი მართალია, მაშინ? და ის, რაც წამოსცდა — „ესეც ასე, ძვირფასო! ღვიძლმა შემომიტია საშინლად“, — არ იყო მხოლოდ გამოსაცდელად ნათქვამი? იქნებ მანუელი ქალის მოტყუებას ცდილობდა, მაგრამ იმგვარი ბუხებრივი ტყუილკონდა, რომ მარიამ აღარ იცოდა რა ექნა. საბოლოოდ დიაგნოზს ექიმი დასვამს.

მარიამ ძალა მოიკრიბა. არა, სიმართლეს ვერსად გაუქცევა, არც სასწაულის იმედი აქვს და არც საკუთარი ბედისა სწამს რამე. მთავარი ახლა ისაა, თავი როგორმე დაიმორჩილოს, ემოციები მოიშოროს, ცრემლებად რომ ეძალება ამ ძლიერი კაცის ცქერისას, სულ ცოტა ხნის წინ, ასე ძლიერ რომ უყვარდა მარია და რომელიც ახლა ისე მგრძნობიარე გამხდარიყო, საბნის სიმძიმეც კი აუტანელად ეჩვენებოდა. რომ გაუძლო, მხოლოდ ძლიერი გრძნობებია საჭირო, მაგრამ ახლა ამ გრძნობებსაც დაოკება სჭირდება, ასეა თუ ისე, მარიას გრძნობები ეხმარებიან. ვინ გაკიცხავს იმისთვის, რომ მესაკუთრის ისეთი სიშმაგე დაეუფლა, როგორც აქვს გლეხს, როცა მას საკუთარი ყანიდან აგდებენ? ან იმ ალყაშემორტყმული კაცის სიშმაგისთვის, ქალაქი მტრებს რომ უნდა ჩააბაროს? ქალის არსებაში სიძულვილმა იმატა და ამ სიძულვილს თან მოჰყვა იმ გადაცემის გახსენება, რომელიც მსმენელებს მოუწოდებდა, რამე ილონეთ გარემოს დასაცავად, განსაკუთრებით კი ისეთი იშვიათი ცხოველის დასაცავად, როგორიც ვიგონიაო. დიახ, ვიგონიო! დაცინვაა და მეტი არაფერი! ამას ამბობდა ერთი პოლკოვნიკი, რომელიც წინა რეჟიმის მებრძოლეებზე ნადირობს და ახლა მოითხოვს, ვიგონები დაინდეთო, მაშინ, როცა ადამიანთა მოღვაძე მისთვის არაფერს წარმოადგენს, თუმცა ყველაზე უფრო ადამიანებს ემუქრებათ ამ ქვეყანაში ამოწყვეტა.

აი, მანუელს სახე ტკივილმა დაუსერა, ისევე აღებინა. ამონაღები მომწვანე იყო. მას ხანგრძლივი ბოყინი მოჰყვა, ეს უკვე რაღაც სხვა სიმპტომია. სახე შეცვლილ მანუელს მტანჯველი სირცხვილი დაეუფლა. მარიამ პირი მოწმინდა, ტაშტი მორეცხა და უხმაუროდ დაბრუნდა. განა მანუელმა არ იცის, რომ „მარტა“ იმით ამაყოფს, რაც სხვებს ზიზღსა ჰგვრის? განა არ იცის, რომ მის არსებაში ერთდროულად „მარტაც“ არის და მარიაც: ქალმა თავად აირჩია ეს ერთიანობა, დამნაშავედ საკუთარი თავი მიაჩნია და კვნესის:

— ღმერთო! არაფერი მაქვს, რომ დაგაღვიწხო!

— ჩემი წამალი შენა ხარ! — ჩურჩულებს დაღლილი მანუელი და მისი თავი ბალიშზე აქეთ-იქით ეხლება.

სადღაც ოთახებში სელმას ფეხსაცმლის ქუსლი აკაკუნდა. კედელს იქით ოლივიე ტელეფონზე რეკავს. ვიკი კითხულობს, მარია სად არის, რატომ ჩემთან არ მოდისო. ყველანი აქ, ახლოს არიან, მალე შორს, ძალიან შორს იქნებიან და თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებას დაუბრუნდებიან, მარია ოცნებობდა, ამგვარი ცხოვრება გამოეცადა. ნუთუ ეს იყო მისი ხვედრი? განსაკუთრებით კი მანუელის ხვედრი? ტყუილად კი არ ამბობდა მანუელი „ამ საზოგადოებამ საღი აზროვნების შესაძლებლობა დაკარგაო“. სხვა, ახალ საზოგადოებაში კი, რომლის შექმნაზეც ოცნებობდა და რომელიც ღმერთის რწმენის გარეშე იქნებოდა, შესძლებდა კი მანუელი მხოლოდ ერთით — სიყვარულით დაკმაყოფილებულიყო?

ქალის სულის სიღრმეიდან აღმოჩნდა ეს ჩუმი, მაგრამ გულისგამგვირავი გმინვა, სულ მალა და მალა მიიწევს, იჭითკენ მიიწევს, სადაც პერი გაუხ-
შობებულია, სადაც ლოცვა და კრულვა ერთმანეთში ირევა. მაგრამ მარია სწრა-
ფად ბრუნდება დედამიწაზე. საკუთარი ჯანყით შეშინებული დასცქერის, რო-
გორ ფეთქავს მანუელის კისერზე ცისფერი ძარღვი. კმარა მარია ქარის და
ყველაფრისთვის მზადაა. რაც უნდა მოხდეს, იგი მანუელთან დარჩება.

XX

ოლივიემ მეგობრებს მიაკითხა დასახმარებლად, მაგრამ ბედი არ წყალობ-
და როგორღაც, — შაბათ-კვირა იყო და თითქმის ყველანი სადღაც წასული-
ყვნენ. აგერ უკვე მესამედ გადის ქალაქში, ფრთხილობს, ამდენი მიდიმოდით
ყურადღება არ მივიქციოო. ამაოდ იარა, მხოლოდ ვადაგასული, სუსტი დამა-
წყნარებელი წამლის გარდა ვერაფერი იპოვეს, სადღაც პრიალა კარადებში შე-
ჩურთული... ექიმი! აი, რას იხვეწებოდა მარიას აცხვებებული ტუჩები, რო-
ცა ერთი წუთით ტოვებს მანუელს და კარის წინ გამოდის მოკლე საიდუმლო
თათბირისათვის.

მაგრამ სად იპოვი ექიმს? ვის ენდობი? ექიმები ყველაზე დაუძინებელი
მტრები იყვნენ დამხობილი მთავრობისა, არაფრით არ სურდათ სახელმწი-
ფოსთვის ემსახურათ, გაფიცვაც კი მოაწყეს მომსახურე პერსონალისა, პუტ-
ჩის შემდეგ კი ექიმთა „ორდენის საბჭომ“ საეჭვოდ მიჩნეულ კოლეგებს მარ-
ტო პრაქტიკის უფლება კი არ ჩამოართვა, ბევრი მათგანი პოლიციასაც გადას-
ცა. სწორედ ექიმებმა შემოიღეს შუა საუკუნეებში გავრცელებული ჩვეულე-
ბა — აკრძალეს დაჭრილი მტრის მკურნალობა, გააფართოვეს ჯაშუშთა ქსელი.
ყოველ ექიმს, ვინც არ უნდა ყოფილიყო, გინეკოლოგი თუ ფსიქიატრი, ხუნ-
ტა ავალდებულებდა ყოველ საღამოს წარედგინა მთელი დღის განმავლობა-
ში გასინჯულ ავადმყოფთა სია. თუ რომელიმე ექიმი გაბედავდა და რაიმეს
დაფარვას ეცდებოდა, სულერთია მაშინ აფთიაქარი მაინც დაასმენდა. მით უფ-
რო გაძნელებოდა პატიოსანი ქირურგის მოძებნა, საავადმყოფოები კი, სა-
დაც წესით და კანონით მანუელი უნდა გადაეყვანათ, ნამდვილ სათაგურებად
იქცა. მისდა სამწუხაროდ მარიამ ყველაფერი ზუსტად განსაზღვრა: და თუმ-
ცა ამ ოთხი კვირის დრამატულ მოვლენებში რაღაც შემობრუნებაც მოხდა, ქა-
ლის ოპტიმიზმს ერთგვარად რომ ამართლებდა, მაინც მდგომარეობა გაცილე-
ბით მძიმე იყო, ვიდრე ქალს ეგონა.

ოცდაოთხი საათის შემდეგ ხომ მანუელი ფეხზე უნდა წამოდგეს და და-
ხურულ ბაზართან მივიდეს! ოპერაციაც რომ გაუკეთონ, სულ ცოტა თხუთ-
მეტი დღე მაინც დასჭირდება გამოსაჯანმრთელებლად, მისმა მასპინძლებმა კი
ქვეყანა უნდა დატოვონ ხუთ დღეში, თანაც გასაღები წინასწარ უნდა ჩააბა-
რონ სახლის პატრონს, რომელიც ჩქარობს ახალი მდგმურის შესახლებას. უკ-
ვე ორჯერ დარეკა, განა უფლება არა მაქვს, ახალ მდგმურს სახლი დავათვალი-
ერებინოო. და ბოლოს, რომც მოეძებნათ მანუელისათვის დროებითი თავშე-
საფარი, შუამავალს დაკარგავდნენ, გამყოლები ძალზე უნდო ხალხია და მეო-
რედ მძნელად დათანხმდებიან შეხვედრაზე, როგორადაც არ უნდა აუხსნა, რა-
ტომ არ მოხერხდა პირველი შეხვედრა.

ერთი რამეც ართულებდა საქმეს: ოლივიე მარტო დარჩა. სელმა საქმის ასე შემოტრიალებას არ ელოდა, ველარ გაუძლო და მარიას მკლავებში ატირდა, მარია კი წყნარად ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— აჩქარდით, სამივენი ჩასხედით თვითმფრინავში და წადით! ნუ გველოდებით, მერე გვიან იქნება. საქმარისია სახლის პატრონი მანუელს ამ სახლში წააწყდეს, რომ თხუთმეტ წუთში პრელატოც აქ გაჩნდებოდეს.

როგორც კი მარია ავადმყოფის ოთახში ჩაიკეტა, სელმამ მაშინვე დაიწყო ჩემოდნების ჩალაგება. ჩქარობდა, არ შემოესწრო ვიკის, რომელსაც უკვირდა და ვერ გაეგო, რატომ ჰქონდა ყველას დასიებული თვალები და რატომ ლაპარაკობდნენ შეშინებულნი. სელმა ბოლოს მაინც იძულებული გახდა ვახშამი გაეწყო, ბიჭი დაეწვინა, რადგან კომენდანტის საათი იწყებოდა და ამ ღამესაც აქ მოუწევდათ ღამის გათევა. მერე ავადმყოფს ყინული მოუმზადა და უძინარი და დაღლილი მარია აიძულა სამუშაო ოთახში დაწოლილიყო და როგორმე დაეძინა. თვითონ ავადმყოფის საწოლთან იფხიზლა რამდენიმე საათს, თუმცა მანუელი სთხოვდა, წადითო, მერე კი, რასაც ავადმყოფი ამბობდა, ბოდვას უფრო ჰგავდა:

— როგორ ვოცნებობ თქვენს თოვლიან ზამთარზე, სელმა! ვერც კი წარმოიდგინეთ, როგორ გამეხარდებოდა თქვენ ახლა დაღბოს ტბის პირას რომ მეგულებოდეთ. ახლაც გაყინული იქნება, არა?.. არ იფიქროთ, თქვენი გაგდება მინდა, თქვენ ხომ საკუთარ სახლში ხართ: მე უნდა წავსულიყავი.. საუბედუროდ, როგორც ხედავთ, არ შემიძლია.

როცა ორი საათისთვის სელმა დასაძინებლად მიდიოდა, მანუელს აკოცა. შეიძლება მანუელი ყველაფერს მიხვდა, მაგრამ არაფერი შეტყობია; თავად სელმამ კი არავის გაანდო თავისი განზრახვა. დილით, ჩვეულებრივ, ვიკის სასკოლო ჩანთის ჩალაგება არ დაუწყია. ბევრი რამ ხელუხლებელი დატოვა. ვიდრე მისი ქმარი მანუელთან ოპტიმისტი კაცის როლს თამაშობდა და ავადმყოფს არწმუნებდა ანტიბიოტიკებს შეტევის შეჩერება შეუძლიათ და ვეცდები ვიშოვო სადმეო, სელმამ სამი ჩემოდანი ჩადო მანქანის საბარგულში. სიმართლე რომ ითქვას, სელმამ დუმილი უკეთ ლაპარაკობდა მის გადაწყვეტილებაზე. მდგომარეობა ძალზე დაიხლართა და მეტისმეტად მძიმე გახდა ორსული ქალისათვის. ვიკისაც ველარ უმაღლავდნენ ვერაფერს. ქუჩის ბოლოში სელმამ გადაწყვეტილად თქვა:

— ვიკი დღეს სკოლაში არ წავა. საელჩოში წაგვიყვანე.

ოლივიეს თავი არ მოუბრუნებია, წყნარად თქვა:

— ფარ-ხმალს ყრი?

— დიახ, — უპასუხა სელმამ, — მეგობრებს ეტყვი, რომ მერსიემ შინ დაბრუნების უფლება არ მომცა....

მოხდა ისე, რომ პატრონმა, რომელიც ამ შაბათს ქალაქში დარჩენილიყო, თვითონ მოითხოვა მოულოდნელად სელმას საელჩოში დარჩენა. ამრიგად, სელმამ ვერც კი მოასწრო, თავშესაფარი ეთხოვა მისთვის. სენატორის ავადმყოფობით საგონებელში ჩავარდნილმა მერსიემ ერთი-ორი გასკონური გინება მიაყოლა. ასე იცოდა ხოლმე გაბრაზებისას ან უეცარი აღელვების დროს, ჩვეული სიფხიზლეც კი დაავიწყდა, ცერა თითი რამდენჯერმე გამოსდო შარვლის აკიმებს, ერთბაშად გაუშვა და მუცელზე მიიტყაპუნა, თითქოს სურდა, სხე-

ულის ყველაზე მგრძობიარე ადგილისათვის მიეყენებინა ტკივილი. მან საკუთარ თავს კიცხვა დაუწყო:

— ასეთი სისულელე შეიძლებოდა? არ უნდა მცოდნოდა, რომ ასეთ დროს ადამიანის გადარჩენა თუ გინდა, მის აზრს არ უნდა უსმინო? ყველაფერი თვითონვე უნდა გადამეწყვიტა, რა საჭირო იყო სენატორის მხარეზე გადასვლა? თვითონვე უნდა გადამეცა ამერიკელებისათვის: ისინი ახლაც სისხლისღვრებით შეაკეთებდნენ მის ნაწლავებს.

გვერდებზე ხელების ტყაპუნით, დიდი ნაბიჯებით მოჰყვა ოთახში ბოლთის ცემას. მერე ერთბაშად კილო შეიცვალა და ბედისწერის-ლანძღვას მოჰყვა.

— ყველაფერი სიგიჟეა! მალე ალბათ ნემეზიდასაც ვირწმუნებ! აი კაცი! ათი ნაბიჯიც რომ გადაედგა ქუჩაში, მაშინვე ხელს სტაცებდნენ და დაიჭერდნენ, მან კი თავი დააღწია ჩხრეკას და ისიც კი მოახერხა, ბოლომდე პრინციპული დარჩენილიყო... მისი გადარჩენა უნდოდათ, შეიძლება კიდევ გადარჩენილიყო, ბედმა კი ზურგი შეაქცია და თითქმის სასაცილო მდგომარეობაში ჩააგდო. აპენდიციტი საერთოდ უბრალო რამაა, მაგრამ ამ შემთხვევაში საშინელებაა.

— მართალია, — თქვა ოლივიემ, — სკალპელის ერთი დასმა და ყველაფერი მომთავრდებოდა, მაგრამ ზუსტად ეს სკალპელია ძნელი საშოვარი.

— და თქვენი სენატორიც, — გააგრძელა ბატონმა მერსიემ, — მეთექვსმეტე საუკუნეში აღმოჩნდა. და ის რაც თქვენ ახლა იოლად მიგაჩნიათ, მაშინ „ავბედით მუცლის გვრემად“ იწოდებოდა.

სკამს ცხენივით გადააჯდა, ღონიერი ბარძაყები მაგრად შემოხვია და აბუზღუნდა:

— მე ვლაქლაქებ, საქმე კი ერთ ადგილზე დგას. რა დაგიმალოთ, გაცოფებული ვარ. ყველაფერი გულთან მივიტანე, ახლა კი ყველაფერი ხელიდან გამომეცალა. უარესს უნდა ველოდოთ... შენ, სელმა, ბიჭთან ერთად ჩემთან დარჩები. როცა უბედურება ახლოვდება, სჯობს უდანაშაულო ადამიანები იქაურობას განერიდონ. თქვენ კი, ოლივიე, კარგად გიცნობთ და შეუძლებელის გაკეთებაში ხელს ვერ შეგიშლით...

ბატონმა მერსიემ ენა ტუჩებზე მოისვა. მერე უწყინარი, მიმნდობი ხმით თქვა:

— ჰო, მართლა, „ლოლანდის“ ეკიპაჟი ნაპირზე გადმოსხეს. ეს ყოჩაღი დანიელები ვითომ ტურისტები არიან, ქალაქში დაიარებიან, ვიდრე მათ დაზიანებულ გემს შეაკეთებენ. მე მგონია, ამ გემის ეჭიმი გემბანზე არ დარჩებოდა...

ოლივიე ქალაქში გავარდა და ექვს საათზე ისევ დაბრუნდა. შუბლზე ჯიუტი კაცის საზრუნავით გაჩენილი ნაოჭი ჩაღრმავებოდა, ბაგეზე დასთამაშებდა მსუბუქი ღიმილი იმ მოთამაშისა, რომელიც პარტიის დასასრულს ერთბაშად უკან იბრუნებს მთელ წაგებულ თანხას. ვნახოთ! იქნებ ბედს საბოლოოდ არ შეუქცევია ზურგი სენატორისთვის, როგორც მერსიეს ჰგონია!

მანქანა დაამუხრუჭა და ორ მანქანას შორის შეაყენა, რომლებიც, ექვი არ არის, მეზობლებისაა. უცნაურია: სახლი როგორღაც გაბრტყელებული, მოუხერხებელი და უცხო ეჩვენება, თითქოს მხოლოდ დამალობანას თამაშისთვის არ-

ისო განკუთვნილი — რაც მთავარია, კარგად დაიმალო და მერე შეუმჩნევლად გამოხვიდე იქიდან.

მაგრამ ეს ვინ ლაპარაკობს კართან? ოლივიე უცბად სახლის ბატონს, ბატონ მენანდესს შეიცივნობს, მას ვიღაც ქალი და კაცი ახლავს. სახლის ბატონი წაწვრილებულ ხმაზე გაპყვირის: დამქირავებელის წასვლის უწყობს უკვე მივიღე, ახლა, ბოლოს და ბოლოს ხომ მაქვს უფლება ჩემი სახლი ამ ბატონსა და ქალბატონს ვაჩვენო. თუ არ შემიშვებენ, სასამართლოს აღმასრულებელს გამოვიძახებ და ისე გავადებინებთ კარსო. — უბედური მარია კი კარს იქით რაღაცას ბუტბუტებდა. თამაში გამძაფრდა: ტყუილს თუ მოიგონებს რამეს, თორემ ისე აღარაფერი ეშველება მარიას, კიდევ კარგი, დროზე მოუსწრო.. ოლივიე წელში გაიმართა, მკერდი წამოსწია და სახლისკენ მტკიცე ნაბიჯით გაემართა:

— გთხოვთ აპატიოთ ჩემს მოახლეს, — წამოიწყო მან. — არ გელოდით და არც შესაფერი განკარგულება მიმიცია შემობრძანდით, გთხოვთ.

არც ერთი ზედმეტი სიტყვა! შესვლისთანავე შეუდგნენ სახლის დათვალიერებას. მარია გაჭრა.

ბატონი მენანდესი ყველაფერს ათვალიერებს, თავისთვის ინიშნავს გაბზარულ ფილაქანს, იატაკის ხალიჩაზე შავ ლაქას, — რამონის მიერ დაგდებული სიგარეტის ნამწვის ნაკვალევია, — აქებს ბინის განლაგებას და მოხერხებულებას. ორ ახალ მდგმურს შორის ჩამდგარი ცხვირით ისე მიაპობს ჰაერს, თითქოს გემის კიჩო იყოს, ახლა როცა ძველ მდგმურებს ისტუმრებს და ახლებს იღებს, იგი თავისი ხუთოთახიანი სახლის ხმაგაუმტარი კედლების და დიდებული აბაზანის სრულუფლებიანი მეპატრონეა. ხელის ერთი აქნევით გააღო კარი, გამოჩნდა ბიდე, უნიტაზი, ტუალეტის მოწყობილობანი; აქებს კედლის კარადებს, რომლებშიც მხოლოდ საკიდებიღა ჰკიდია: სელმამ უკვე ჩამოხსნა ტანსაცმელი. სამზარეულოში ჰაერის შემწოვს ჩართავს, მოუშვებს ონკანებს და საგანგებოდ აღნიშნავს, ყველა კარადას მაგნიტური საკეტი აქვს და სამზარეულოს მთელი მოწყობილობაც ჩემიათ. ცოლ-ქმარი კი — ნაცრისფერ კაბაში გამოწყობილი ქალბატონი და ორმოცი წლის მამაკაცი, რომელსაც იგივე ქსოვილის პიჯაკი აცვია, — ცივად აქნევს თავს და რატომღაც დიდხანს, ცნობისწადილით ათვალიერებენ ელექტროღუმელს.

— ამერიკულია? — ჰკითხა ქალბატონმა.

— ეს შეკითხვა ბატონ მენანდესს დიდად არ ეპიტნავა და ოთახებისკენ გაეშურა, მაგრამ ამჯერად ოლივიემ დაასწრო და თვითონ გაუღო კარი. ქმარმა ჯიბიდან დახვეული ორმეტრიანი საზომი ამოიღო, გაშალა და ოთახი გაზომა. ცოლს გადაულაპარაკა, ჩვენი ფართო და მაღალთავიანი საწოლი თუ დამეტევა ამ ოთახშიო. დერეფნის ბოლოში ოლივიეს ფეხები ტყვიასავით დაუმძიმდა, ძლივსლა მიაბიჯებდა: ბოლოს, მოხდესო, რაც მოსახდენია და თამაში იწყებს, ხმამაღლა აცხადებს:

— ეს მოახლის ოთახია... უნდა გავაფრთხილოთ, მისი ქმარი, რომელიც საელჩოში მეზალედ მუშაობს და ჩვენს ბალსაც უვლის, ქუნთრუშით დაავადდა... „სასწრაფო დახმარების“ მანქანას ველოდებით, ინფექციურ საავადმყოფოში უნდა გადავიყვანოთ.

ასეთ დროს ერთი კარგი წესი არსებობს: თუ გინდა რომ ტყუილი დაგიჩე-

რონ, არ უნდა შეხედო მოპასუხეს თვალში. საკმარისია შეხედო და მაშინვე დაეჭვდება შენს ნათქვამში. ერთადერთი ნაღდი გზა არის, ბოლომდე მიიყვანო არაკი. ოლივიე შებრუნდა და ორჯერ ფრთხილად დააკაკუნა კარზე:

— ნუ შეაწუხებთ, — თქვა მის უკან მდგარმა ქალბატონმა.

— ეს ოთახი იმოდენაა, როგორც გვერდითა ოთახი, — ამბობს სახლის პატრონი.

მაგრამ ოლივიე უკან აღარ იხევს. მან კარი ზუსტად იმდენზე გააღო, რამდენიც თავის შესაყოფად დასჭირდება და კითხულობს:

— ყველაფერი რიგზეა?

სინამდვილეში ოლივიეს სურს შეამოწმოს, მარია მოხერხებულად ზის თუ არა საწოლთან და ეფარება თუ არა ავადმყოფის სახეს. ყველაფერი ისეა, როგორც საჭიროა, და ოლივიე ფართოდ აღებს კარს. მოსულები მხოლოდ ქალის სილუეტს ხედავენ და თანაც ბინდბუნდში შეშფოთებულ ქალს ქმრის სასთუმლისკენ დაუხრია თავი. მთავარი კი უფრო ისაა, რომ კარის გაღებისთანავე შემოეფეთებათ ფანჯრებჩაკეტილი ოთახი და მძიმე ჰაერი, ცოლ-ქმარი უკვე გასასვლელისკენ მიიჩქარის. ოლივიე მათ ბალში წამოეწევა და, სახლის პატრონმა რომ არ ითავოს ეს საქმე, თვითონ დაასწრებს:

— ცხადია, სადღეზინფექციო სამსახური უკვე გავაფრთხილე.

— დამირეკეთ, როგორც კი ყველაფერს გააკეთებენ, — სიტყვა გადმოუგდო ბატონმა მენანდესმა, — საერთოდ თქვენი ბრალია ეს შეფერხება და ამთვის ქირის ანგარიშს თქვენ გამოგიგზავნით, ზარალის ანაზღაურების უფლებით.

ოლივიეს ისღა რჩება, დაემშვიდობოს მათ, რადგან სიცილს ვეღარ იკავენ. სახლში შესვლისთანავე ისე ახარხარდება, დერეფნის კედლები ზანზარებენ. მარიას ოთახში შესული ოლივიე მაშინვე ჩუმდება: სანთლისფერი, სახეჩაფერფლილი კაცი ოფლიან, წებოვან ხელს უწვდის. ოლივიე არაფერს ამბობს. რა საჭიროა დაწვრილებით იმის თქმა, რაც გააკეთა, როგორ აღმოაჩინა სასტუმროს ერთ-ერთ ნომერში ლუდით გამობრუებული ვინმე გორმი ვილაც ტურფასთან ერთად. ამ კაცს ჯერ ისე არ დაბნელებია გონება, რომ უარი ეთქვა განსაცდელში მყოფი კაცის დახმარებაზე მეფური ჰონორარის ხათრით. რა საჭიროა რამის თქმა იმ საფრთხეზეც, ოლივიეს რომ ემუქრებოდა? დიდი უბედურება მუდამ ჩრდილავს პატარას.

— ექიმი ვიპოვე, — მხოლოდ ეს ჩაიჩურჩულა ოლივიემ. — მაგრამ ხვალ დილამდე ვერ მოვა.

X XI

მორუხო ნისლში გახვეული, მიმქრალი მთვარე ფანჯრის მარჯვენა ოთხკუთხედში გამოჩნდა. რძისფერმა ზოლმა ოთახი შუაზე გადაჰკვეთა, ქალის ფეხებზე აცოცდა, მამაკაცის ფეხებს გადაუარა, კომოდზე დადგმულ გრაფინს მიაღწია და წყალს მიეშუქა.

ნეტავი რომელი საათია? საიდან გაჩნდა წყლის გრაფინი? მანუელი თვალს ისევ ხუჭავს. უკვირს, რატომ აღარ ესმის მდინარის ხმაური, რომელიც სიერა-დე-ნაიარეტიდან მოედინება და სახლის გვერდით მიჩხრიალებდა; მანუელის ბიჭი ჯერ კიდევ ერთი ბეწოა და უკვე მამაზე სწრაფად ცურავს! სულ

ახლახან ამოიხედა წყლიდან, მერე იავე ჩაიყურყუმელავა. მთვარეც ისევ ცხელ მექსიკურ მზედ იქცა და თუმცა საცაა ჩავა, მაინც ბრწყინავს მთებში დაკბილულ კორიზონტზე. მარია ფლატეზე დგას, საითაც პატარა ბიჭი ლამობს აცოცებას; ქალი ბიჭს ეროვნული დროშისფერ უზარმაზარ პერსახოცს აბჯევს და ყვირის:

— არა გშია?

მანუელიც ნაპირთან მიცურავს და ფლატეზე ადის, შიშველი ფეხებით თელავს მწვავე, აქაურობისთვის შეუფერებლად მწვანე ბალახს, თუმცა არც მარიას სინორჩეა ნაკლებ განსაცვიფრებელი. ქალი უბერებელი ჩანს, როგორც მისი ნაცრისფერი, ბროწეულის ფერით გაწყობილი კაბა, დღემდე რომ იცვამს.

— წავიდეთ? — ამბობს მარია.

ბიჭი წინ მიდის. ნეტავ რა ჰქვია? ჯმუხი ბიჭია, თავით ფეხამდე მზემოკიდებული, რა ლამაზი ყურები აქვს, რა ყურადღებით უსმენს ყველაფერს, რასაც მარია ეუბნება, გამეორებაც არა სჭირდება. ერთ დღეს მამასთან ერთად, ანდა უმამოდ, შორს, სამხრეთისაკენ მოუწიეს წასვლა, იქ იანვარშიც გაზაფხულია, იქ ცხოვრებისაგან მიიღებს იმას, რაც მამამისმა ვერ მიიღო. მაგრამ ეს რაღაა? ბიჭი მობრუნებულია და თითს იშვერს:

— სახლი! შეხედეთ, შეხედეთ! სახლი გვშორდება!

— არა, ძვირფასო. — ეუბნება მარია. — ეს ჩვენ მივდივართ უკან-უკან.

ეს სახლი ერთმა მევობარმა მასწავლებელმა დაუტოვა მათ თავის კლასთან ერთად. ის კაცი თვითონ მასწავლებლად ჩიგუაგუაში დანიშნეს, იმ ქალაქში, ძაღლის სახელი რომ ჰქვია. სახლი კი არ მიდიოდა, პატარავდებოდა, იკარგებოდა, მთების წვეროებით დაკუწულ, ჩამავეალ მზესავეით. ჯერ ბალის პატარა ქოხს დაემსგავსა, მერე არქიტექტურულ მოდელს. ახლა უკვე ლილიპუტების საცხოვრებელსა ჰგავს, სადაც მთაკაც გულივერს შესვლა აკრძალული აქვს, მერე კამათელის ტოლა გახდა, ბოლოს წერტილისა, და ბოლოა გაქრა კიდევ. საოცრად ცხადი სიზმრით შეშფოთებული მანუელი სწრაფად ახელს თვალს.

ნეტავ სად იმყოფება? მთვარე სუსტად ანათებს ფარდის ფოჩებს. ოთახია ზემო ნაწილში მხოლოდ უფერული ქერი ჩანს, რაზეც, ანდა შეიძლება სულაც რის ქვეშაც დაკიდულია, ანდა შეიძლება სულაც აღმართულია შავი რკალით დაბოლოვებული შავივე ხაზი... ჩამქრალი ლამპა უნდა იყოს! ნეტავ ვის დასტრიალებენ თავს, ან ვინ დასტრიალებს ამ ეთერის სუნით გაელენთილ ოთახში? ოდნავი ძაღლისხმევაა კიდევ საჭირო, რომ ამ ბინდბუნდიდან გამოვიდეს, ტკივილით სავსე სხეულს დაუბრუნდეს, თავი ასწიოს, რომელიც ისე აქვს დამძიმებული, თითქოს ბრინჯაოს ქანდაკებას მოხსნესო. მარიას იატაკზე სძინავს. ავადმყოფი კი თვითონ არის, მანუელ ალკოვარი, ვინც ამ ქალიშვილს შეჰყვარებია თავისდა საუბედუროდ.

არა, მექსიკა არ იყო ეს და არც არასოდეს იქნება. მანუელს მაჯა თვალთან ახლოს მიაქვს, მაჯაც არანაკლებ მძიმე აქვს. საათის განათებულ ციფერბლატს დაჰყურებს, რომლის აჩქარებული წიკწიკი მის არტერიებში სისხლის ფეთქვას იმეორებს. პატარა ისარი ოთხზე დგას, დიდი კი ორზე რაკი მარიაა სძინავს, დილის ოთხი საათი და ათი წუთი უნდა იყოს, მორფით

თუ სხვა სადავლობებით გაბრუებულმა, ანგარიშმიუცემლად გადააბიჯა კვირა-ორშაბათის ზღვარს.

ნეტავ იმ კაცს რა ერქვა, ნემსი ვინც გაუკეთა? ერთი ნემსი გაუკეთეს თუ რამდენიმე? მაინც რა ერქვა, გორში თუ სტორში? თვალში / ცისფერი ჰქონდა, ზუსტად იმ ლილისფერი, ჭაღბატონი ალკოვარდის მსგავსი თეთრეულის გასაღებად რომ ხმარობდა ოდესღაც. მარტოს მსგავსი ჰქონდა სახეზე, ჯაგარა ქერა წვერიდან კი მის ყურამდე ვისკის მკვეთრ სუნთან არეული დამახინჯებული ინგლისური სიტყვები აღწევდა. იგი თავაზიანობით არ გამოირჩეოდა. თავიც მოიქეჭა, საიდანაც ქერტლის წვიმა წამოვიდა? მან რამდენიმე ბანალური შეკითხვა წაიბურტყუნა. ეს შეკითხვები და მარიას პასუხებიც ოლივიემ ძლივს გადათარგმნა. ცოტა ხნის მერე ექიმის ხელებმა ცოცვა დაიწყეს და როცა დიდი თითი ერთ წერტილს შეეხო, მანუელს აუტანელმა ტკივილმა დაუსერა სხეული. ბოლოს ექიმმა ჩაიჭუჭლუნა:

— კარგი, ძველო, ჯერ ტკივილი უნდა შევიმსუბუქოთ.

ჩანთიდან პაკეტი ამოიღო. თავს ძლივს იმაგრებდა. პაკეტზე წითელი ასოებით ეწერა: „Destroy after single use.“ მიუხედავად ამ გაფრთხილებისა მან შპრიცი ამოიღო, ნემსი მიამაგრა და როცა მარიამ ამპულას თავი წაამტვრია, ნელა ამოქაჩა წამალი შპრიცით. ნემსი თრთოდა. დგუმს დააწვა ჰაერის გამოსადევნად; ჰაერი გამოდევნა და წამალი ცხვირ-პირში შეესხა.

— არ გადმობრუნდეთ, — უთხრა მანუელს, რომელიც ტკივილისაგან იკრუნჩხებოდა.

ორი ცდის მერე, ექიმმა როგორც იყო ჩაასო ნემსი, მაგრამ ვენაასთან ძალზე ახლოს მოუვიდა და სინანულით მოიკვნითა ულვაშის ბოლო. მერე კი ბამბით მოწმინდა სისხლი.

— ექიმმა საუზმობა ვერ მოასწრო, — თქვა ოლივიემ, — ერთი ფინჯანი შავი ყავა მისწრება იქნებოდა.

მერე დრო და ტკივილი ერთმანეთში აირია. მარია სამხარეულოში ფინჯნებს აწკარუნებდა, შემოვიდოდა, დახედავდა, ისევ მიდიოდა, რამდენიმე სიტყვას იტყოდა, მანუელს სიტყვები არ ესმოდა, მაგრამ მიხვედრით ხედებოდა, რაზეც ლაპარაკობდნენ. ავადმყოფის მდგომარეობაზე ყველაფერი ითქვა, მაგრამ მანუელს ეს არ აღარდებდა, თითქოს გაორდა, ვეღარ მიმხედარო, თვითონ ლაპარაკობდა თუ მასზე ლაპარაკობდნენ. სევდა გაუქრა, მისი ადგილი მხოლოდ ცნობისმოყვარეობამ დაიკავა. ჯანდაბას, რაც იქნება, იქნება... ჰაერი თითქოს გაწეშდა, ბგერები უფრო გამოიკვეთა. ნათელი დღე თითქოს უკუნეთად გადაიქცა. დიახ, სწორედ რომ ასეა, რადგან ფეხის ხმა, რომელიც აქამდე ოთახში ისმოდა, შეწყდა და ახლა ჩურჩული გაისმა:

— უკვე სძინავს! ასეც ვიცოდი, წამლის დოზაზე არ მიძუნწია.

ქუთუთოები ტყუილსავით დაუმძიმდა. თვალებს ვეღარ ახამხამებს. ყუბები ჯერ არ ღალატობენ. ისევ მუცელს უსინჯავენ; მუცელი კი ისეა გამაგნებული, თითქოს თითს ფიცარზე აკაკუნებენო. ისმოდა ოხვრა, რომლის თარგმანიც არ არის საჭირო. მერე საწოლს მოშორდნენ და თათბირი გამარ-

† 1. „ერთჯერადი ხმარებისათვის“ (ინგ).

თეს. ავადმყოფის ყურამდე აღწევდა ნაწყვეტ-ნაწყვეტი სასოწარკვეთილი ჩურჩული და ცალკეული ფრაზები:

— არა, კიდევ გიმეორებთ... უბრალო აპენდიციტი რომ იყოს, გაჭრას ვეცდებოდით... მაგრამ გახვრეტა... სულ სხვა რამეა.

დანარჩენი ისე სწრაფად გაქრა, თითქოს რადიოტალღა დაიკარგა, დანარჩენი არც იყო საინტერესო. წვეროსანს თავისი კლიენტების დაიმედება არც უცდია:

— მუცლია აპკში პენიცილინია შეშხაპუნება შემიძლია. მაგრამ იცით, რომ...

ბოლოს ერთი პაკეტაც გახსნა და იმ კურთხეულ ადგილებში დაიწყო ფათური, სადაც ჭიპია, რითაც ოდესღაც ჩვილი მანუელი დედასთან იყო დაკავშირებული. მაშინაც კი, როცა ეჭიმს სიკვდილის განაჩენი გამოაქვს, ძალა აღარ შეგწევს ხელი შეუშალო, რადგან გინდა თუ არ გინდა, იგი ცდილობს სიცოცხლე გაგიხანგრძლივოს. „გმადლობთ, ეჭიმო“, — ჩაესმა მანუელს მარიას ყინულივით ცივი ხმა. ვიდრე დუმილის საბურველში გაეხვეოდა მისი უსიცოცხლო სხეული — თუმცა ის ჯერ კიდევ სუნთქავდა — მარიას ნათქვამისთვის შეეძლო დაემატებინა: გმადლობთ, ეჭიმო, ეს ვადის გაგრძელებაც არ იყო უშედეგო.

მთავარია არაფერს წამოედოს. ვინმე არ გააღვიძოს. როცა იცი, მკვამლარაფერი გეშველება, ცოტა სხვებზეც უნდა იფიქრო. პერიტონიტით დაავადებულმა შეიძლება ორიოდღე დღე კიდევ იცოცხლო, თუმცა არც ესაა დასაჯერებელი. მთავარია, ყველაფერი ისე გაკეთდეს, რომ ატლანტიკის თავზე გადაფრენისას ოლივიეს არაფრისა ეშინოდეს. მარიაზე კი შეიძლება დაწყნარებული იყოს: იგი ფეხს არ მოიცვლის ადგილიდან, სანამ სიკვდილი არ წაიყვანს იმ კაცს, რომელმაც ისედაც აუწეწა ცხოვრება... მერეც, მერეც არ მოიცვლის ფეხს, იქნებ უკანასკნელი მოვალეობის მოხდაც მოინდომოს. მაგრამ შესძლებს კი? მიცვალებულის სახლში შენახვა, როგორც პრელატო იტყოდა, ძალზე დიდი დანაშაულია. ვის შეუძლია წარმოიდგინოს, რომ მარია მარტო გაათრევს სამოცდაათ კილოგრამიან სხეულს? ვინ წარმოიდგენს, რომ ქალი მეზობლების თვალწინ, ბაღში, ორმეტრიან ორმოს გათხრის და მიწაში, როგორც წესი და რიგია, ჩაასვენებს თავის ლტოლვილს?

პრელატო ამაზე იტყოდა: არ არის გვამი — არც პრობლემა! მანუელ აღკოვარი გაქრა. მას არავითარი საბაზი არ გააჩნია აქ დარჩენისა, აამაგიეროდ ბევრი მიზეზი აქვს, რომ სხვაგან სადმე იყოს, ოღონდ აქ არა. სიკვდილი ყველგან სიკვდილია და თქვენ, ბატონო სენატორო, საჭიროა სული ისე განუტევოთ, რომ ვერავინ შეძლოს მარიას დასდოს ბრალი საზოგადოების მტერთან დანაშაულებრივ ურთიერთობაში. შაბათ საღამოსვე, ოლივიე რომ მოვიდა და თქვა, ეჭიმი მოვაო, მანუელმა კარგად იცოდა, რომ მის შველას კაცისშვილი ვეღარ შეძლებდა. მანუელმა საკუთარ თავს მიულოცა. გულის ხმას რომ არ აჰყვა და მასპინძლებს არ სთხოვა, მარიას მიმიხედეთო, ისინი მიუხვდებოდნენ განზრახვას და მაშინ მთელი გეგმა ჩაეშლებოდა. მანუელი ერთხელაც ეცადა გაქცევას, მაგრამ მაშინ მტკიცედ არ იყო დარწმუნებული საკუთარი გადაწყვეტილების ჭეშმარიტებაში, მაშინ ძალაც შესწევდა გაქცევისა, მაგრამ

მარია ადვილად დაეწია და უკან დააბრუნა. ახლა კი ბოლომდე უნდა მიიყვანოს განზრახვა, თუნდაც მიწაზე ხოხვამ მოუწიოს.

უკვალოდ გაქრობა თითქოსდა არც ისე ძნელია. სამ კვირაზე/მეტია წინასწარ გრძნობს, როგორი იქნება მისი ბოლო და ცდილობს აღარაფერზე იფიქროს. მაგრამ, როგორც კი წამება გაახსენდება, მუხრანის უთრთის. დამდაპობით კომპარული სიზმრები აფრთხობს და ექვიც კი ეპარება, შეძლებს კი წამების მამაცურად ატანა? იგი იმ უშიშარ შერეკილებს არ ეკუთვნის, ვისაც შუა მოედანზე გამოსვლა, ბენზინის გადასხმა და საჯაროდ, კაენის შესარცხვენად, საკუთარი თავის დაწვა შეუძლია. არც იმათ მიეკუთვნება, ვინც თვითნაკეთი ბომბით, რიტუალის მკაცრი დაცვით, შურისმაძიებელ თავსაც იფეთქებს და ტირანსაც ზედ მიაყოლებს. სიკვდილი ქალის გულისათვის — თანაც თუ პატრული დაგიჭერს და ადვილზევე მიგახვრეტს, იმის ნაცვლად, რომ მყრალი ჩირქოვანი აგონიით მოკვდეს, — რა თქმა უნდა, არც თუ ისე საპატიო სიკვდილია.

მაგრამ რა სიაუღელეა! მთავარი მარია ს გულისთვის სიკვდილი როდია. მთავარია უშარიოდ სიკვდილი, რათა ქალმა საჩუქრად სიცოცხლე მიიღოს. თუ სიგიჟეა, საპატიო მაინც არის, რამეთუ საპატიოა სიკვდილი წაგებულ ბრძოლისათვის, — თუმცა ეს წაგება დროებითია და თანაც მხოლოდ ერთ მუჭა მიწაზე მოხდა — და თუ სიგიჟეა შენივე მკვლელთან საკუთარი ფეხით მისვლა, მისი ხელიდან მსხვერპლის გამოგლეჯა ხომ მაინც არ არის სიგიჟე? სულაც არ არის სიგიჟე, შენს უკან ცოცხალი ადამიანი დატოვო! სიკვდილის მერე ჩვენი არსებობის ერთადერთი შესაძლებლობა ხომ ის არის, რამდენ ხანს ვემახსოვრებით საყვარელ ადამიანებს, მაშინ განა მისწრაფება ასეთი სიკვდილისაკენ არ არის ყველაზე დიდებული ეგოიზმის გამოვლინება?

მთვარე მიცურავს. მშვიდობით, მარია! ცხადია, გული გატკინება, მაგრამ გაგივლის. სიყვარულში, ამბობდი, ორს რომ ერთი გამოვაცლოთ, ნულას ტოლიაო. იმ შეყვარებულებისათვის, სიცოცხლეში რომ შორდებიან ერთმანეთს, უთუოდ ასე იქნება, მაგრამ, თუ ერთი აღიგვება პირისაგან მიწისა, მეორე მაინც დარჩეს და იცოცხლოს! მაშინ რაღა საჭიროა ამას „დიდებული ეგოიზმი“ დავარქვათ? არ შეიძლება განზრახ გასწირო ის, ვინც სამუდამოდ უნდა დაგვარგოს. ქვრივების ხედრია ცოცხლებსა და მიცვალეზულებს შორის კავშირის გაბმა. რატომ მოითხოვა ის ერთი ბეწო ბედნიერება, ჩვენ რომ გვერგო, ასე ხანგრძლივ ბრძოლას? მარიას წინ კიდევ სამოცი წლის სიცოცხლე მაინც უდევს. და დიდსულოვნება ის იქნება, ანდერძად დაუტოვოს: დამივიწყე, დაე, შენს არსებაში ჩასახული ახალი სიყვარული ჩვენი სიყვარულის პირმშო გახდეს!

მთვარე მიცურავს. სიფრთხილისათვის სჯობს აღარ დაუცადოს, ვიდრე მთვარის ნათელი ზოლი მარიაა აახეს მიაშუქებს და გააღვიძებს. ზოლი კი ახლა ქალის შუა წელზე მიცოცავს. მანუელი უკან აღარ დაიხვეს, ქალა გადაარჩენს, მარიას უნებურად ჩასძინებია, გაუხდელად წევს, ხელი მკერდზე უდევს; ხელი მაღლა ეწევა სუნთქვისას, მერე ეშვება: მეორე ხელი კი უახროდ დაფათურობს უცხო კვადრატებით მოჩითულ გადასათარებელზე და მთვარის შუქზე ქათქათებს.

კმარა, მარიას ცქერა, კმარა! „მინდოდა რაღაცა კიდევ გამეკეთებინა შენთვის, რომ დარწმუნებულიყავი, რა ხარ შენ ჩემთვის...“

ჰოდა, ეს შემთხვევაც მიეცა. მანუელმა ზეწარი გადაიძრო. უხმაუროდ, წვალებით წამოიწია, საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, ფეხზე დადგომისა და გავლისა ეშინია, არ დავეცეო. ტკივილი შუბის დარტყმას აღარ ჩაგონებს. თითქოს რკინის პერანგშია ჩაჭედილი, წვეტები კი შიგნიდან ჰქვს დატანსქებული და ჩხვლეტენ. მაგრამ უნდა გაუძლოს, იმიტომ რომ ასეა საჭირო. კუნთები სანთელივით მოღვენთია. მთლიანად გაოფლილს პიყამოს ღილები და საყულო გახსნილი აქვს. მთელი სხეული უთრთის. მართლაც რომ დროა: ერთ-ორ დღეში განძრევასაც ვეღარ შეძლებს. თავს ძალა დაატანა, ნელა წამოიწია, წამოდგა. ფეხები უკანკალებდა. ხელები გაიწვდინა, ცალი ხელით კედელს მიეყრდნო. კედელ-კედელ წავიდა. შიშველ ფეხებს პარკეტზე ფრთხილად ადგამდა, საბედნიეროდ, პარკეტი არ ჭრატუნობდა.

თითქოს დედამიწია უვლიდაო გარს, ისე უხმაუროდ და უსასრულოდ გაგრძელდა მისი სვლა ოთახში: ხშირად შედგებოდა სულის მოსათქმელად, რაღაც წარმოუდგენლად ეშინოდა, მარიამ არ გაიღვიძოსო. კამოდს ალბათ უკვე შემოუარა; აი კარიც — ნახევრად ღიაა — საჭიროების შემთხვევაში ოლივიეს დასაძახებლად დატოვეს ასე. მანუელი ჩაეჭიდება სახელურს, ნელა, ნელა გააღებს, ოღონდ ანჯამებმა არ უღალატონ და არ აღრჭიალდნენ.

ფრთხილად! მარიამ გვერდი იცვალა. მანუელი საფეთქლით მიეყრდნო კარს. თავი შეიმაგრა ყურები უგუგუნებს. უკან მოუხედავად ჩაეჭიდა კარს, ნელა გააღო და დერეფანში კართან ერთად გავიდა. კედელზე მხარმიყრდნობილი ძლივსძლიევობით მიღოლდა სადარბაზო კარამდე. კარზე სახლის გასაღები ეკიდა თავისიანთან — ჭიშკრის გასაღებთან ერთად.

მარიამ მხარი იცვალა მხოლოდ. კარგი იქნებოდა, ასე უბრალოდ, თავისი ცხოვრებისათვისაც ეცვალა მხარი, სადაც მანუელი აღარ იქნებოდა მის გვერდით! ხუთის ნახევარია. ჩვეულებრივ ხუთ საათზე ჩაივლის ხოლმე პატრული მესამედ. ეტყობა, მანუელის ჩანაფიქრს ხორცი შეესხმება და ამ ფიქრმა მას ცოტა ხნით ძალა დაუბრუნა.

ჩანაფიქრი კი არც ისე უგუნური აქვს. მანუელმა კარი ჩუმად გამოაღო, ფრთხილობდა, გასაღები არ აჩხაკუნებულობო, ძლივს იდგა ფეხზე, სვენებს-სვენებით მიდიოდა, თითქოს გოლგოთაზე ჯვარი ააქვსო. გარაჯამდე მიადწია, ფრჩხილებით ბათქაშს ჩაეჭიდა, ბათქაში ჩამოცვივდა. ველოსიპედი გამოიყვანა.

ველოსიპედი? ამგვარ მდგომარეობაში? დიახ, ველოსიპედი. ვიდრე ბაღს გაივლის, ყავარჯნად გამოიყენებს. ვის არ უნახავს ლოთი, თავის ველოსიპედზე გადაწოლილი, კვლავ დუქნისაკენ რომ მიბარბაცებს? ვის არ უნახავს, დუქნიდან გამოსული როგორ ამხედრდება თავის „ცხენზე“, ხან იქით აწყდება, ხან აქეთ, ბოლოს კი წონასწორობას რომ მაინც აღიდგენს?

მდიდართა კვარტალები სადარაჯო კოშკივით დაჰყურებენ ქალაქს. ქუჩა თავდაღმა მიემართება დამოუკიდებლობის პროსპექტისაკენ, რომელიც თავის მხრივ ეშვება ცენტრისაკენ.

ყველაზე ძნელი ჭიშკრიდან გამოსვლა იყო, არც ველოსიპედზე შეჯდომა და პედლების პირველი დატრიალება იყო ადვილი. მანუელს მთელი

შიგნეული ჩაუწყდა, სამაგიეროდ ახლა თავისუფლად მიჰქრის დაღმა, ქალაქის ქვემო უბნისაკენ. გზადაგზა მიხვეულ-მოხვეულ ადგილებში დამუხრუჭება იქნება კარგი. ნელა უნდა დაამუხრუჭოს, თორემ, თუ წაიქცა, ველარც ადგება. არადა, საფრთხის ასაცილებლად რაც უფრო მალე გაეცლება აქაურობას, მით უკეთესი იქნება მისთვის.

საფრთხის აცილება მშვენიერი სიტყვაა, როცა ჩვეულებრივად ამბობს ის, ვისაც წილად ხვდა იგი. ბოლოს და ბოლოს რისა უნდა ეშინოდეს მთავარია მანუელი ვისთანაც მიდის, იმათ დროზე ადრე არ ჩაიგდონ ხელში. თუ გამოშიგნული, შამფურზე ასაგები წიწილასავით დაცარიელდება და თავის მუცელს თავს დააღწევს, მაშინ ხომ თითქმის ბედნიერად ჩათვლის თავს. კომენდანტის საათებში ქუჩები ისე საიმედოდ არის დაცარიელებული, რომ მანუელის რბოლას ორ კილომეტრზე მაინც არაფერმა არ უნდა შეუშალოს ხელი. იგი თავისუფალია, როგორც მია ფეხთა ქვეშ მსრბოლავი ბორბალი და ამ ბორბალის ფოლადის მონოტონური სიმღერა მანუელი ყველას და ყველაფერს აუმხედრდა. დუფელში იწვევს ყველაფერს: ავადმყოფობას, ჯანაღ აზრს, გაბატონებულ წესრიგს. დიდებული ველოსიპედი და ამ ველოსიპედს თვით მანუელის წონა ემსახურება ძრავად. ქებათა ქება მიზიდულობის ძალას. რომელიც მალე უწონადობის სამეფოში გადაასახლებს მას! მისი დიდებული ველოსიპედი უკვე დამოუკიდებლობის მოედანზე გავიდა. მანუელს რამდენჯერ გაუვლია აქ კორტეჟის თანხლებით. ვილები მალაღმა შენობებმა შეცვალებს, ქუჩაში ერთმანეთს ენაცვლებიან ხეები და ფარნები, ჩრდილი და სინათლე. სწორედ აქ მწყობრად მოდიან მოჩვენებანი და წინ უჩინარი ალმები მოაქვთ. მეც აქა ვარ, მეგობრებო, აქა ვარ, მაპატიეთ დაგვიანება!

წინ, წინ! ველოსიპედი სწრაფად და სწრაფად მიჰქრის გრძელ, სწორ, დატანებულ გზაზე. სალტეები შრიალეებენ. ჰაერი მანუელის პიჯამოს ბერავს და გულმკერდს უყინავს. იგი იცინის. რა ესაქმება ბრონქიტთან ან ფილტვების ანთებასთან? კვლავ იცინის. გესმით, იგი ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანია, ვინც წინასწარ იცის თავისი სიკვდილის დღე. ისევ იცინის. დინამოს გორგალი ბორბალზე არ მიუმაგრებია და ჩამქრალფარნიანი მიჰქრის. შეიძლება წესრიგის დარღვევისათვისაც კი დააკავონ იცინის. ძალი ახსენე და ჯობი ხელში დაიჭირეო. გზაჯვარედინზე, სადაც ნარინჯისფერი შუქნიშანი ანთია — ქარვისფერი, როგორც წესრიგის მოყვარული სკანდინავიელი სელმა იტყოდა, — ჯიპი გამოჩნდა, მან ქუჩა გადაიარა. მანუელი ერთი წუთით ადრე რომ მისულიყო, ახლა იმ ჯიპში იჯდებოდა. ცხადია, არ იცის საით მიდის, მაგრამ თუ ველოსიპედი ამ ხეტიალში დავისუფლების მოედნისკენ გამავალ კიბის ბაქანს გადაჭრას, კარგი იქნება. ეს ის მოედანია, სადაც გაიცნო მარია. ის მოედანია, სადაც ერთხელ, ქანდაკების წინ, სკამზე მარია იჯდა. ის მოედანია, სადაც მანუელი, მერე იმავე სკამზე მწოლარე, ამბების მოლოდინში სიამოვნებით მიაგებდა პატივს — თავისუფლებასაც და მარიასაც. ამას კი ორივე იმსახურებდა. როცა მეტი აღარაფერი გაგაჩნია, სიმბოლოები აღარ არის ყეყეჩების უბრალო მისატყუებელი.

სასტვენის გიჟური ხმა ღამის წყვილიადს აპობს. მერე გასროლაც ისმის, ერთადერთი გასროლა. სადღაც, მესამე თუ მეოთხე ქუჩაზე, ვილაც შეგვიანებულ გამვლელს ესროლეს, იქნებ ააცდინეს კიდევ ტყვია. ვაკეზე ველოსიპედმა სვლა შეანელა. ახლა მანუელსაც უძნელდება წონასწორობის დაცვა,

რაც სწრაფი ქროლვის დროს არც ისე ძნელი იყო. ყურადღება! მარჯვნივ შე-
ნობაა, ეს სენატია! რადაც არ უნდა დაუჯდეს, პირდაპირ უნდა წავიდეს, ღრმად
სუნთქავს. ამ ვარჯიშს მალე მორჩება, მაგრამ ჯერ კიდევ უანგბადით უნდა მო-
ამარაგოს სენატორი, რათა უკანასკნელი ძალა მოიკრიბოს.

კიდევ ასი მეტრი. კიდევ ორმოცდაათი. ბორბალი მსუბუქად უნდა და-
ნაკლებ ხმაურობს. გზის დასასრულს მიხმარება სჭირდება უფრო მეტად, მაგ-
რამ ის, ვინც მასზე ზის, თვითონ ძლივსღა იბრუნებს სულს, შიშველ ფეხებ-
ში კბილანები ჩასობია. ძირს ეცემა. ისმის რკინის უღრიალი და ლანძღვა-გი-
ნება. ველოსიპედი შეიძლება აქვე დარჩეს. მანუელი ადგომასაც აღარ ცდი-
ლობს, იმ უზარმაზარი ფიგურისაკენ მიცოცავს, რომელსაც მასავით ფეხებზე
ჰკიდია საალყო წესები. აკი ამბობდა, თუ გაჭირდა, ხობვით მივალწევ მიზანსო.

X XII

ქარი ამოვარდა. უბრალო ქარი კი არა, პარკის ნაძვის წიწვებს რომ და-
უვლის და ააფრიალებს ხოლმე — არა, ნამდვილი გრიგალი. დროდადრო თით-
ქოს ქშინავსო, ქარბორბალა ტრიალებს, დარაბებს ეხლება და ღიად დარჩენილ
კარს აჯახუნებს.

მარიას გაეღვიძა, ცარიელი საწოლი დაინახა თუ არა, მაშინვე ყველაფერს
მიხვდა. განცვიფრებამ, აღფრთოვანებამ და რისხვამ მოიცვა მისი არსება.
გმირი, არამზადა! როგორ გაბედა მარიას მიტოვება, როგორ გაბედა, როგორ
შეამცირა ერთად ყოფნის ისედაც მცირე დრო. ქალის არსებაში ერთმანეთს
ენაცვლება მამაკაცის მამაცობით აღძრული პატივისცემის გრძნობა და მიაი
საქციელის სიშლეგე, წყენის გრძნობა გადაწონა თავგანწირვის წყურვილმა.
მარიას თითქოს დამბლა დაეცა.

— ოლივიე! ოლივიე! — კვენესის მარია.

თავისთვის კი ჩურჩულებს:

— თუ მან თავისი სიცოცხლე კი არა, ჩემი სიცოცხლე გადაარჩინა, მაინც
სულ ერთია, ჩემი სიცოცხლე მაინც მას ეკუთვნის!

გვერდითა ოთახში საწოლის ზამბარამ ძველებურად წაიმღერა თავისი ღო
დიეზი. კარებში ძილისაგან თვალეზდასიებულნი ოლივიე გამოჩნდა, მთქნარე-
ბისას ხელი აიფარა პირზე:

— გინდათ მითხრათ, რომ იგი...

— ჰო, გაქცევაზე დავეთანხმე. — თქვა მარიამ, — მაგრამ ასეთ გაქცევაზე
არა.

ოლივიე ხელებჩამოყრილი იდგა, ბოლოს ძლივს ამოღერდა:

— თქვენ გაგიფრთხილდათ.

— აი, სწორედ ამის პატიება არ შემიძლია.

უმადურმა, შეცბუნებულმა მარიამ, ეჭვად გაივლო, ოლივიე შემთხვევით
არ დადგა ახლა კარშიო და ფეხსაცმელში წაყო ფეხი. როცა საფრთხეში იგდებ
საკუთარ თავს, გაქვს კი უფლება, სხვას გაუფრთხილდე, თანაც თუ იმ
„სხვას“ შენი ასეთი გაუფრთხილება არ სჭირდება? ვის შეუძლია თქვას, სად იწ-
ყება თავგანწირვა? სიყვარულს რელიქვიები არ აქვს. განა ბუნება ოდესმე
ცდილა გადაერჩინა თვით ყველაზე დიდებული ქმნილება თვისი? განა ოდეს-

მე კვლავ გადაიქცევა გუშინდელ კოკრად ქალბატონ გალიოს დანჯარაზე გადაფურჩქნული მოვარდისფრო ყვავილი, რომელიც უგვანო მრგვალ კაკტუსზე აღმოცენებულა — სამეფო ყვავილი, ღეროგრძელი, თავნოჭა, სურნელოვანი, — და თანაც აღმოცენებულა ერთი დღის დიდებისთვის? განა მუხლუხოდ კვლავ გადაიქცევა ცისარტყელას ფერებად აჭრელებული ჰეპატა?

— შორა წასვლას ვერ შეძლებდა, ბაღში ვიპოვიო, — თქვა ოლივიემ ამისი თქმა იყო, მარიამ ფანჯარა გააღო და გადახტა. პირველი, რაც სიბნელეში შეამჩნია, თეთრი ლაქა იყო: მანუელის ცხვირსახოცი, გარაყის წინ ჯიბიდან ამოვარდნოდა. ქალი იქით გაიქცა. მანქანის ახლოს, რომელიც თავის საბურავებზე, ზეთის სუნში თვლემდა, მარტო ერთი ველოსიპედი იდგა, სელმას ველოსიპედი. ვიდრე ოლივიე ფეხსაცმელს ჩაიცვამდა და სახლის ზღურბლზე გამოჩნდებოდა, მარიამ ველოსიპედი უკვე ჭიშკარში გაიტანა.

— დაბრუნდით, ეს ხომ სიგიჟეა! — დაუყვირა ოლივიემ. ვერ იპოვიო, და თუ იპოვიო, ველარ დააბრუნებო!

მარია მოტრიალდა, შეხედა, ხელი დაუქნია, და აღარაფერი თქვა. ველოსიპედს მსუბუქად შეახტა. კაბა აუფრიალდა. სატერფულეებზე აღიმართა და ღონივრად დააწვა. ოლივიე ქუჩაში გავარდა, მაგრამ მარია უკვე შორს იყო. ოლივიემ თვალი გააყოლა. ქალი უკვე ველოსიპედზე იჯდა. ქარი თმას უფრიალებდა იგი უკვე დაღმართში მიჰქროდა.

XVII

დიდებულია ადამიანისა და ძეგლის საუბარი. სიმართლე რომ ითქვას, ძეგლს ერთი უპირატესობა აქვს, ბრინჯაოსია, საკუთარი ღირსების შეგრძნებით დგას კვარცხლბეკზე. საიდანაც გენერალი-პრეზიდენტი მის ჩამოგდებას ვერ გაბედავს. გენერლისათვის ფრიად საჭიროა ალიბი. აგერ თავის უფლებების მოედანი, — თავისუფლება კი განადგურებულია; დამოუკიდებლობის პროსპექტი, — არადა, ეს ქვეყანა მუდამ უცხოელებს ემორჩილებოდა; კონსტიტუციის პროსპექტი, — კონსტიტუცია ათჯერ მაინც დაამახინჯეს, უკანასკნელი კი, უბრალოდ, ადგნენ და გააუქმეს, ჯერ არაფრით შეუცვლიათ... ისინი არაფერს არ ცვლიან! მით უმეტეს — სახელწოდებების ფასი სწორედ ის არის, რომ ამავე სახელწოდებებითვე დაასამარონ მათი აზრი და მნიშვნელობა.

ძალაგამოცლილ, სახეშეცვლილ კაცს კვლავ გულს აზიდებს, დიდებული მოედანი წაბილწა, თუმცა შეიძლება აქაურობა იმსახურებდეს კიდევაც ამას და თან ავად ბუზღუნებს:

— ია ბატონები კი იგვიანებენ!

მაგრამ ძეგლი საუბარში არ ჩაერია. მარტო ხრინწიანი, გაავეებული კნავილი ჩაესმა მანუელს. კატების ალყაში მოექცა, მის ირგვლივ ტრიალებდნენ, კნაოდნენ, ერთმანეთს დასდევდნენ საკუთარი სუნითვე გაღიზიანებულნი და ფოსფორით აკვესებდნენ თვალებს. მერე ძაღლმა გაირბინა, ძაღლს არ ეშინია პატრულთან შეხვედრისა, არც მოედნის ირგვლივ შემოჯარულ ხეებს ეშინიათ და არც ლამის გასათენებლად ტოტებში შეხიზნულ, განაბულ ჩიტებს, დროდადრო რომ გასცემდნენ ხოლმე თავს, როცა მათი სკორე თეთრ ვარს-

კვლავად ეფინება ქვაფენილს. ფოთლებში ჩიტები შეფრთქილდნენ, ფრთებია ფართქუნით ავარდნენ ცაში. სულ ცოტა ასი მაინც იქნებოდა, შესაძლოა ათასიც. ჭყიპინებდნენ, ბზრიალებდნენ. ისინი თითქოს შეერივნენ ფარნის სამ გაუმჭვირვალე ბურთის — იასამნისფერ შუქს. კონსტიტუციის პროსპექტიდან ძრავების ხმაური მოისმა, მერე სულ ახლოს და ახლოს აგრუნებდა.

— ეს ყველაფერი ჩემ გამოა! — თქვა მანუელმა. თავი მალლა ასწია უკეთ რომ დაენახა და თვალები ძალუმად აახამხამა.

მაგრამ არა, სწრაფად მქროლავმა ალაღმა მოედანი გადაჭრა. მანუელს ახსოვს, როგორ შეუკვეთეს სხვადასხვა ქვეყნებს იარაღი და ახლა კარგად ცნობს ორ „მ-60“-ს, ინგლისურ გრძელლულიან „ჩიფტეინს“, ერთ „ლეოპარდს“ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, ჯავშნიან მანქანებს, ამფიბიებს, თვითმავალ ქვემეხებს. შეიძლება ეა უზარმაზარი, ფოლადის ტყავიანი ურჩხულები პროვინციიდან დამსჯელი ოპერაციის შემდეგ ბრუნდებიან? ანდა იქნებ სწორედ ახლა მიდიან იქით? იქნებ ახალი გენერალიც მიიჩქარის, გათენებისას, ერთი შეტევით იმ სასახლის დასაპყრობად, სადაც მის წინამორბედს მშვიდად სძინავს? ძლიერებამ დასვენება არ იცის, ბატონო გენერალო! როგორც ერთმა ხუმარამ თქვა, ხიშტებით რააც გინდა იმას იზამ, მხოლოდ ზედ ვერ დააჯდებიო. ასეა თუ ისე ამ ყოჩაღმა ჯარისკაცებმა გრიალით ჩაიარეს. მანუელი არც დაუნახავთ. რომც დაენახათ, არც ისურვებდნენ წუთით გაჩერებას და ამ საცოდავი კაცის წამოყენებას, ისინი უფრო დიდ საქმეს აკეთებდნენ, წვრილმანები არ აინტერესებდათ. კოლონის ბოლოში ხიდების გამდები მანქანა მიდიოდა. ეტყობა, რომელიღაც დაუმორჩილებელ ქალაქისკენ მიიჩქარიან. კოლონა თავისივე კვამლში ჩაიკარგა. ისევ სიჩუმე ჩამოდგა. ჩიტები კვლავ ხის ტოტებს დაუბრუნდნენ, მანუელი — თავის მარტოობას. ნათურები ჩაქრა. მის შუქზე ჩამოშვებული ქალუზები მბზინავ კიბეს ჰგავდა. ექვსის ხუთი წუთია. ნეტავ რას აკეთებს მარია? ნეტავ თუ სძინავს ისევ?

— თუ გაიღვიძა, ალბათ ვეზიზღები! — ხმამალლა თქვა მანუელმა, რადგან ძალზე უნდოდა საკუთარი ხმის გაგონება. — არადა, შეგვეძლო სხვანაირად დავშორებულიყავით.

კვლავ სლოკინმა შემოუტია და გააწამა. ნარკოტიკები რას უშველიდა! ეპ, მარია, ჩვენ ვერ გავიგებთ ვერასოდეს რა არის მოყირჭება, ან ყოველდღიურობა, როცა ერთი სხეული ისე ეჩვევა მეორეს, როგორც საკუთარ სახლს. ვერც იმ გრძნობას გამოვცდით, რასაც კაცი აღმოაჩენს ხოლმე ცოლის შერთვის მერე; ვერც იმ გრძნობას გამოვცდით, როცა ერთს სწყურია უფრო მეტად მას ეკუთვნოდე, ვიდრე თვითონ ეკუთვნოდეს სხვას. ვერასოდეს გავიგებთ რა არის წაკინკლავება და დატუქსვა, რას ნიშნავს ვალები, შემოსავალ-გასავალი, ყოველფეიური ანგარიშები, საოჯახო ფუსფუსი, გადამეტებული სამშევნისები, სამეურნეო თუ საფინანსო საქმეები, შეძენისაკენ სწრაფვა. განა ღირს კი ახლა ამეებზე სინანული? ცოლქმრობა განუწყვეტლივ ცვდება, ინჯლრევა, იქანცება; არ არსებობს სიყვარული, ტრაგიკული რომ არ იყოს, რადგან სიყვარულს ზუღამ ორი ბოლო აქვს: დავიწყება ან სიკვდილი. ჩვენი კი მგზნებარე გამოდგა და სწრაფმავალი.

— სულელო! — ყვირის მანუელი.

ტკივილისაგან დაიკრუნჩხა. ძალდატანებამ ზედა უბნიდან ჩამოსვლისას რომ დასჭირდა, ეტყობა, ისედაც გახვრეტელ ნაწლავს მთლად მოუთავა ხე-

ლი და ახლა ინფექცია მთელს სხეულს მოედო. ბოლოს შეშხაპუნებული ნემსია ძალა გამოილია. მუცელი ახლა გავარვარებული ნაკვერჩხლებით სავსე ტომრად ექცა: ეს ჯოჯოხეთის ნაკვერჩხლებია. რომელზეც ობოლთა თავშესაფრის მღვდელი ამბობდა: ანთია, მაგრამ არ წვავსო! სულელი! ახლა ასეთ წვრილმანზე ნერვების აშლის დროა? მარიას საფრთხე აღარაა შემსუქრება! ეს ცოტას როდი ნიშნავს... ხოლო დანარჩენი კი — სუფთად წააგო, მარტია წააგო და ახლა პოლიტიკოსი სიკვდილს უსჯის სიყვარულს. რაკი მარადიული სიყვარული არ არსებობს, მაშინ არც ელვისებური არსებულა. გრძნობათა სიმძაფრის ხანმოკლეობა მხოლოდ კინომაყურებელს მოსწონს, რომელიც სავარძელში გადაშხლართული უყურებს დიდსა თუ პატარა ეკრანს, რომელზეც უკანასკნელი კადრი ზუგუნად ოთხმოცდაათი წუთის შემდეგ გამოჩნდება: „the end“! ყველა საქმე, თუ გნებავთ ვნებაც, დროსთან ბრძოლაა.

კარგი და მშვენიერი მხოლოდ ის არის, რაც იმდენ ხანს გრძელდება, რამდენ ხანსაც შეუძლია გაგრძელდეს წაგებული საქმე, წაგებული ვნება. ორი ჩამქრალი ცეცხლი ძალზე მძიმე ტვირთია მათთვის, ვისაც მხოლოდ მიწიერი არსებობა აწამს. თუ არ არსებობს საიქიო ცხოვრება, მაშინ მორწმუნეებში შეიძლება საერთოდ დაკარგოს თავისი ანაბარი; თუმცა ამას იგი ველარასოდეს გაიგებს, სხვები კი...

მანუელს ისევე აზიდავს ღამე უკან იხევს. მთვარე შორს, სამრეკლოზე ნელა ჯდება. თითქოს სამრეკლოს ჩამოეგო, ორ თანაბარ ნაწილად გააყო მთვარე. ყრუდ ქნავის ხვადი კატის მიერ ძეგლის ფეხთან მიმწყვდეული ძუ კატა ქარმა დაიქროლა და კუჭყიანი ქალღმრთლები მიფანტ-მოფანტა, ხეები ააშრილა. ქვაფენილზე მსუბუქი ფეხის ხმა ისმის.

— უფროსო, ერთი მარჯვნივ გაიხედეთ. მესამე სკამზე ვილაც პიუამოიანი ტიპი წევს და არწყევს, — გაისმა ახალგაზრდა კაცის ადგზნებული ხმა. — კიდევ ერთი ლოთია! — ზიზღით თქვა ვილაცამ.

ელექტროფარნის შუქმა დამაბრმავებელი წრე მოხაზა მიწაზე, წრე გაიზარდა, ოვალური ფორმა მიიღო, ლიცლიცით მიეფინა სკამს და წესრიგის დამრღვევის თავს შარავანდედივით დაადგა.

— არ გაინძრე, თორემ ტყვიას მოგარჭობ! — ბრძანა მესამე ხმამ, — ლოთი... ლოთი... რა ადვილი სათქმელია... ეს ტიპი ვილაცას მაგონებს. მატუს, მონეცი ერთი სურათები.

ქარის ზუზუნში ვერ გაიგო მათი მოახლოება. ეს ბატონები ზურგიდან წამოადგნენ, მანუელი იძულებულია თავი მოაბრუნოს, რათა თვალი მაინც შეავლოს მოსულებს.

ორმოცდაათიოდე მეტრზე რაღაც უცნაური ავტომანქანა დგას, ალბათ პუტჩის მეორე დღესვე გადააკეთეს, რომ შიგ მყოფთ სახლის სახურავებზე შეყუყუული სნაიპერების ტყვია არ მისწვდომოდათ. მაგარი, ფურცლოვანი რკინის ჯაეშანით არის გადახურული, ჯაეშანი კარებსაც ფარავს, ფანჯრებზე ტყვიაგაუმტარი ფარდებია აფარებული, — მოძრავი რკინის დარაბები, რომლის ჩამოშვება გვერდებზეც შეიძლება და კაპოტზეც, როგორც ახლაა ჩამოშვებული. მანქანაში ოთხი კარაბინერი ზის და სიგარეტს ექაჩება, კვამლში ოთხი წითელი წერტილი მოჩანს. წესრიგის დამცველები, ეტყობა, საკუთარ თავს

¹ „დასასრული“ (ინგლ.)

უფროთხილდებიან: რკინის ჩაფხუტებიდან, ავტომატების სამიზნეების გასწვრივ, მხოლოდ ცხვირები მოუჩანთ. მანქანის გვერდზე გრძელი ანტენა ირხევა: ქერზე პატარა ნათურა ინთება და შოფრის გვერდით მჯდარი დაეღაჟა ბიჭს სახეს ერთბაშად ანათებს. იგი გულმოდგინედ ადარებს სკამზე მწოლარე კაცსა და ფოტოსურათებზე გამოსახულ ადამიანებს. მისი ყურადღება ერთმა ფოტომ მიიქცია. ბიჭმა სიგარეტის ნამწვავი გადმოაფურთხა და განაგრძობს შეპყვირა:

— შეუძლებელია!

ბიჭი ალბათ შეფია, სერჟანტი. ცუდად გაპარსული სახე, ორად გაყოფილი ნიკაპი, გადმოკარკლული თვალები და აღტაცებული ღიმილი აქვს...

ჰეი, ბიჭებო, ღვთის წყალობით, გაგვიმართლა! ეს ზომ მანუელ ალკოვარია. ამგვარი ნადავლისათვის მედალსაც კი გავიკრავთ.

— ეტყობა, ცუდადაა, — ამბობა შოფერი.

— მალე უარესი არ დაემართოს! — პასუხობს დაეღაჟა ბიჭი და თავისიანებისაკენ მიბრუნდება, ამათ უკვე კარის სახელურზე წაევლოთ ხელი და გაღებას აპირებდნენ.

— ფეხი არავინ მოიცივალოს! ახლავე დავრეკავ! ალკოვარზე სავანგებო განკარგულება უნდა მივიღოთ. უმაღლესი რანგის საქმეა. ბრძანებას ელოდეთ და თვალი არ მოაშოროთ. სულაც არ გამიკვირდება, რომ მიბრძანონ, განსაკუთრებულად მოეპყარიოთ.

ტელეფონის ყურმილი აიღო:

— შუქი პირდაპირ მიანათეთ, ასე გეჭიროთ, დანარჩენი გამორთეთ... ალო! მეცხრამეტე ვარ. მისმენთ? მეცხრამეტე ვარ...

მანუელი ამოდ ცდილობდა წამოდგომას, ბოლოს გადაიფიქრა. ნეტავ რად უნდა უყუროს ამ გაუთლელ ბიჭებს, ვისაც თავისი ბედი ჩაუგდო ხელში! სააცილო არ იქნება, ამათ რომ ტელეფონით უბრძანონ ჩემზე, ჯერ აავეადნყოფოში წაიყვანეთო. ცივილიზებულმა ადამიანებმა სასიკვდილოდ განწირული ავადმყოფი ჯერ უნდა გამოაკეთონ, რადგან კანონით მხოლოდ ჯანმრთელი ადამიანის დასჯა შეიძლება. ეს აქაური ტრადიცია როდია მხოლოდ. ყველგან ცდილობენ ტუსაღი გამოაჯანმრთელონ, კაცს დაამსგავსონ, რათა „უმაღლესი თანრიგის“ დაკითხვისას წინააღმდეგობის გაწევა შეძლოს. ახლა კი მანუელისთვის ყოველგვარი ვადაეადება სახიფათოა. აბა, რა უნდა უპასუხოს კითხვაზე, სად იმყოფებოდა ოცდაექვსი დღე? საბედნიეროდ, „განსაკუთრებული მოპყრობის“ ვადის ხანგრძლივად გადადება ოდნავადაც არ არის სარწმუნო. პირიქით, ასეთ დროს სისწრაფე და სრული საიდუმლოება უფროა საჭირო. ეტყობა, სერჟანტი რადიოთი მიღებულ ბრძანებას დაემორჩილა, მაგრამ ყურმილი მაინც ხელში უჭირავს, ყოველ შემთხვევისათვის მაინც ჩაპყვირის:

— მანუელ ალკოვარი!

— აქ არის!

— აბუჩად მიგდებენ! — ბუზღუნებს სერჟანტი, — ნამდვილად ალკოვარია.

სერჟანტი უნდა დაამშვიდოს. ნუ გეეჭვება, სერჟანტო, ეს გასავათებელი კაცი, რომელიც თავისივე ნარწყევში წევს სკამზე, მართლაც მანუელ ალ-

კოვარია და ძალიან ნანობს, რომ ეს ჭეშმარიტებაა, რადგან შეიძლებოდა ყველაფერი სულ სხვანაირად, სხვანაირი ბრწყინვალეებით მოწყობილყო. ელფგანტურადაც კი... განა უპრიანი არ იქნებოდა ამ ბედოვლათი სერჯანტისათვის, რომელსაც კაპიტებს უხდიან გასამრჯელოდ, უხეშად ექცევიან და შეურაცხყოფასაც კი აყენებენ, ეკითხა: რას განიცდის, როცა სრულყოფილად აღამიანი დასახვრეტად მიჰყავს, ამ კაცს ხომ მისთვის არაფერ უნდა უყარებოდეს ხომ მხოლოდ ერთი რამ სურდა: ბედნიერება ყველასათვის, მათ შორის ჯარისკაცებისათვისაც! ისიც უპრიანი იქნებოდა, ეშაფოტზე ასული თომას მორივით გახუმრებოდა ამ თითქოსდა უდანაშაულო ჯალათს, რომელიც ახლა გაჯავრებული ბუზღუნებს:

— ისეა, როგორც ვფიქრობდი... არავის არ უნდა, პროცესი მოუწყოს ამ ბირუტყვს. ეს ხომ ტრიბუნად გამოიყენებს სასამართლოს. არავის უნახავს... არავინ იცნობს... ჩვენც პირში წყალი უნდა ჩავიგუბოთ, მედალი კი ჯანდაბას — უკანალზე მიიკრან! ბინძურ საქმეს მუდამ ჩვენი ხელით აკეთებენ. მთავარია, უშუქოდ...

ესეც ასე! საერთო საფლავი და უსახელოდ დაღპობა ელის... ერიპაა! შენი შავზოლეუმი მიწა იქნება, მანუელ ალკოვარო. რა ვუყოთ, არც ესაა ცუდი. რამდენიმე თვის მერე კი, ყველასათვის, მეგობრებისთვისაც და მტრებისათვისაც, ძვლების გროვა იქნები მხოლოდ „homo sapiens“-ისა, რომელსაც ალბათ ათი ათასი წლის მერეღა იპოვიან, ფრთხილად გაათავისუფლებენ პატარა ფუნჯით, მზრუნველობით ჩამოაცილებენ ჭუჭყს და ისეთივე ცნობის-მოყვარეობით დაუწყებენ თვალთვლებას, როგორც დღეს უყურებენ სპეციალისტები ნეანდერტალელის¹ ნაშთებს. მორჩა, გათავდა ზიზლი, სინანული, სევდა, მწუხარება, მარცხი, სულისა და სხეულის გვემა... მორჩა, ამით დავამთავროთ! მუცლის ღრუს ყველაზე საუკეთესო ოპერაცია არის...

— უფროსო! — ყვირის შოფერი. — ერთი შეხედეთ, რა თავბეღია! რაღაც ხდება. სერჯანტიც ყვირის:

— ჰეი, შეიცადეთ! არც ერთი მოწმე! თუ არ ესმის, მით უარესი მაგისტრის! გამოატარეთ ეგ სულელი ეგა...

მანუელმა ისევე წამოსწია თავი. იმ სულელ გოგოს ბროწეულის ფერით გაწყობილი ნაცრისფერი კაბა აცვია. სწრაფად ატრიალებს პედალს. აგერ, დამოუკიდებლობის პროსპექტზეც გამოვარდა. ველოსიპედის ზარი რეკავს და რეკავს. ველოსიპედი დაყინებით იუწყება მოახლოვებას.

— არა! — ყვირის მანუელი.

ქალი მიუახლოვდათ. ველოსიპედიდან შეუჩერებლივ გადმოხტა. ველოსიპედი ხეს დაეჯახა და გადაყირავდა. ბორბლები სიცარიელეში დატრიალდნენ ნაღვლიანი სიმღერით. მე შენ სიცოცხლე გაჩუქე, შენ კი შენი სიკვდილი მაჩუქე, მარია. რა უაზრობაა. საკლიტურში რომ არ ჩაგეტოვებინა გასაღები, მეც სხვა გზით რომ წამოვსულიყავი, ახლა არც ერთი და არც მეორე აქ არ ვიქნებოდით. რა უაზრობაა. ყველაფერი გააკეთო იმისთვის.

¹ „მოაზროვნე ადამიანი“ (ლათ.).
² ნეანდერტალელი — ძველი ადამიანი, თანამედროვე ადამიანის უშუალო წინამორბედი და პითეკანთობის შთამომავალი. ცხოვრობდა ქვედა და შუა პალეოლითის ხანაში. მისი ნაშთები აღმოაჩინეს ქ. დიუსელდორფის მახლობლად ნეანდერტალის ავლებზე, 1856 წელს.

რომ ამგვარი დასასრული აგეცილებინა თავიდან და წაიხრე ვერ აიცილო, რა უაზრობაა. შეიცნო მთელი ბედნიერება, შეიცნო წუთი, რისთვისაც ღირდა სიცოცხლე, და შეიგნო, რომ ეს წუთი უკანასკნელია — რა უაზრობაა! სამაგიეროდ, რა მშვენიერებაა! რა დიდებულია!

მარიამ გულგრილად გადახედა მანქანას, სკამის კედელს და მანუქელის ხელი აიღო.

მანუქელმა ჩაიჩურჩულა:

— წამომწყენე, თუ შეგიძლია.

ქარმა, თითქოს დაძაბული დუმილით ისარგებლო, შორს გახვეტა მტვერი. სერჟანტმა ისევ აიღო ტელეფონი, ისევ დაიწყო რაღაცის მოხსენება. პოლოს ჩაახველა და ბრინჯიანი ხმით თქვა:

— ისინი გაქცევას ცდილობდნენ! სხვა გზა არა გვქონდა, იარაღი ვიხმარეთ! გაიგეთ თუ არა? ასეა საჭირო...

— ქალიშვილი? — იკითხა მოფერმა.

— სამწუხაროა, მაგრამ ვგეც თანამზრახველია. მკვდრებს კი ლაპარაკი არ შეუძლიათ. ქალებსაც კი...

მანუქელმა წამოიწია. მარია მხარში შეუდგა. თავი თავს მიადო. თმები ერთმანეთში გადაიხლართნენ, თვალები დახუჭეს. რაც მათ წინ ხდებოდა, იმას უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მარია სიტყვა არ უთქვამს. მხოლოდ ტუჩები უთრთოდა. წამიც და მოედანს სროლის ექო გადაუვლის. სადღაც ფანჯრის მინები აწყრილდებიან, ჩიტები ერთხელაც აფრთხილდებიან ორი გასროლით გაგლეჯილ, ნაცრისფერი განთიადით შეფერილ ცაში.

(დასასრული)



თარგმნა გივი ალხაჯიშვილმა

მეგობრებს

დღემიწიდან ვარსკვლავებამდე
თვალუწვდენელი მოჩანს მანძილი,
ჩვენ ერთმანეთი იქ გავიცანით,
ხოლო მიწაზე, სწრაფად დავცილდით.

დაუსაბამო სიერცვა თითქოს
სიბრალულიდან ალალ ცრემლამდი,
სიმართლისაკენ გზად მიმავალნი
ჩვენ სიყმაწვილეს ნებით ვცელავდით.

რეაქტიული თვითმფრინავები...
მწამს, მღუმარების ცივი ნაპრალი
აფრენასა და იმ გუგუნს შორის
სასაცილოა და დამზაფრავიც.

დაგვიანებულ ხმას მოუსმინე —
(კი, უფრო სწრაფად ფრენდნენ ოდესღაც.)
ჩვენ ძილქუშიდან ხშირად გვაბრუნებს
ხმა, წლების შემდეგ რომ შემოგვესმა.

რა დავაშავეთ? ჩვენ მართლები ვართ!
გაოგნებული ისმის ძახილი,
ვისი ხმებია, ფანჯრებს რომ გვინგრევს,
სად იყო ცაში გადანახული?!

ხმა მიყუჩდება, წყდება უმაღვე
და ვარსკვლავები ლურჯი კაშკაშით
მოცვივა, როგორც აფეთქებისას
სახლის ჭერიდან ძველი ბათქაში.

ალბომი

სიყვარულისთვის არ მოიკლავს თავს აღარავინ,
 რაც იყო იყო, გამჭრალა ის დიდი მითი,
 რომეოს ჭლექი? ჯულიეტა? რის დიფტირიტი?
 გელით სიბერე უდრტვინველი, გაუბზარავი.



არავითარი თავგანწირვა და დარდი შენზე,
 ცრემლით დანამულ წერილებში პასუხი მკვეთრი,
 ბოლოს ყოველთვის მოელიან მეზობელს კეთილს —
 ხელში ყვავილი რომ უჭირავს და შეენის პენსნე.

ვინ შემალულა სიბნელეში ძველი კარადის,
 როცა ოჯახში მიუსწრებდა საყვარელს ქმარი?!
 რისი ფანჯარა, რა ფანჯარა, არსებობს კარი...
 ძველ სურათებზე წმინდანებად დარჩნენ მარადის.

სულში ერთხელაც არ გამკრთალა ბოსხი — წყეული,
 სიყვარულისთვის არ მოუკლავთ თავი არასდროს,
 კვდებოდნენ, მაგრამ სხვა მიზეზით, უნდა გაგანდოთ, —
 ბრძოლის ველზე და საკაცებზე კვდომას ჩვეულნი.

ლამაზკულულა ექსტაზურ ქალს, ნატანჯს სიმწრითა,
 იხსენებ, ფიქრობ, უცაბედად როგორ გაფითრდა,
 ისიც კი სისხლის დენას გაჰყვა, ისე გაფრინდა,
 სინანულისგან, დარდისაგან გამოიწრიტა.

სიყვარულისთვის მოკვდა ალბათ დაგეროტიპი,
 მაგრამ მათგან, ვინც ალბომშია, ვფიქრობ, არც ერთი,
 იცხოვრეს დიდხანს, ერთფეროვან ყოფით გაცვეთილთ,
 ჰკლავდათ დღეების უაზრობა, ხოცავდათ გრიპი.



ახლო ვარ მასთან,
 ისე ახლო ვარ,
 რომ არასოდეს დავესიზმრები.
 მის ოცნებებში არ დავფრენ და
 არც ფესვებთან არ ვემალეები.
 ახლო ვარ მასთან
 და ბადეში გაბმული თევზი
 უკვე ჩემი ხმით აღარ მღერის,
 ხმასაც არ იღებს.

თითზე შემზრდია მძიმე ბეჭედი-
 მეტისმეტად ახლო ვარ მასთან.
 სახლი რომ იწვის,
 ის უჩემოდ მოუხმობს მშველელს.
 ისე ახლო ვარ,
 რომ ჩემს თმაში
 გუგუნებს ზარი.

ისე ახლო ვარ,
 რომ სტუმარივით შევდივარ მასთან,

რომლის წინაშეც
კედლებიც მყისვე გაიხსნებიან.

ასე იოლად
მეორეჯერ აღარ მოვკვდები,
აღარ დავრჩები სხეულის მიღმა,
შეუცნობელ სივრცის იმედად,
როგორც ოდესღაც,
მის სიზმარში აღარ დავრჩები.
ახლო ვარ მასთან,
მეტისმეტად ახლო ვარ, ახლო,
გაქვავებული ვთვლემ მის მკლავებში,
მესმის შიშინი
და მობრჭყვიალე
სიტყვების ქერცლს მივჩერებივარ.
ამ წუთას იგი
ჩემზე მეტად ეკუთვნის ალბათ
მის ცხოვრებაში
ერთხელ ნანახ ცირკის მოლარეს —
ლომების პატრონს;
რადგან მე მას გვერდით ვუწევარ.
იზრდება მასში
იმ მოლარე გოგონასათვის
მეწამული მინდვრების სივრცე, —
დათოვლილ მთებით შემოზღუდული
და ლაქვარდოვან ზეცის ლივლივი.

ისე ახლო ვარ,
ზეციდან ვერ მოვევლინები
და თუ ვიკვილებ,

დაკვილება მარტოოდენ გამოაღვიძებს.
მე ვარ საბრალო
და საკუთარი სხეულით ვარ /
ეროშემფარსული.
გინჯლიქსეჰა

თუმცა ოდესღაც
არყის ხე ვიყავ —
ან სულაც ხვლიკი,
გამოვდიოდი დროიდან და
ატლასებიდან
და კანის ფერს ვიცვლიდი მხოლოდ,
თუმც ხომ შემეძლო,
მია გოცებულ თვალებში რომ
გავმქრალიყავი.
ო, რა უსაზღვრო ბედნიერებას
მოვიპოვებდი.

ძლიერ ახლო ვარ,
ისე ახლო,
რომ არასოდეს დავესიზმრები.

მძინარეს ფრთხილად გამოვუცურებ
ხელს თავქვეშიდან,
ხელს გახევებულს,
თმის სარკებისგან
წვრილად დაჩხვლეტილს.

ყოველ ნაჩხვლეთზე
მოცელილი ანგელოზები ეფინებიან.

ვაშლის ხე

მაისია, სამოთხეა,
სიო რტოებს არხევს,
თრთის ვაშლის ხე,
სურნელოვან ყვავილებში გამზვევს.

დგას ვაშლის ხე, არ დაგიდევს
კეთილსა და ბოროტს,
მოვარდისფრო ყვავილებით
ეცინება მხოლოდ.

არავისი არ არის და
არც იქნება სხვისი,
თრთის ნაყოფის მომლოდინე
წინათგრძნობის ნისლით.

არ აფიქრებს, სად იზრდება,
რიცხვი, თვე და წელი,
არც საითკენ ისწრაფის და
არც არავის ელის.

მუდამ სიუცხოვესა და
სიახლოვეს ავლენს,
არც არაფერს მანუგეშებს,
არც არაფერს მავნებს.

და თრთია მოთმინებიაგან
თითქოს ფოთოლ-ფოთოლ,
გუგლრილობა მოსდებია
მის ყვავილებს თოთოს.

სიზმარივით ბუნდოვანო,
მონატრებავ მწველო,
ძილ-ღვიძილის ქრუანტელი
მინდა გავიგრძელო.



მსურს ცოტა ხანს შენთან დაჯდომე,
ფიქრს გავშორდე მსუსხავს,
ვინძლო, სახლში დაბრუნება
უნდა მხოლოდ ტუსაღს.

მეხსიერება ბოლოს და ბოლოს...

მეხსიერებამ,
ბოლოს და ბოლოს კვოვა იგი,
რასაც ეძებდა.
მიპოვა დედამ, მიხილა მამამ.
ჩემი ოცნებით შექმნილ მაგიდაა
კვლავ შემოუსხდნენ,
კვლავ ჩემთან იყვნენ
და ცოცხლობდნენ ჩემთვის
მარტოდენ.

სიბნელეში კი ორი სახე —
ორი ნათურა,
როგორც რემბრანდტის პორტრეტები,
ისე ბრწყინავდა.

ხომ შემიძლია,
ახლა მაინც გიამბოთ ყველას,
რამდენ სიზმარში,
რაგვარ ბრბოში ეხეტებოდნენ.
რამდენჯერ ვიხსენ სიკვდილისგან —
სულთმობრძავნი, განწირულები.
თავმოკვეთილებს თავი ირიბად
ამოსდიოდათ,
ყოველდღიური უაზრობა აიძულებდათ
შენიღბულებს სამგვარად ევლოთ.

მერე რა კუყოთ,
თუ ჩემს ვულში გამოვლილი მათი
ტკივილი,
მათ სრულებითაც არ სტკიოდათ,
არ აწუხებდათ.
დასიზმრებულ ბრბოს ესმოდა,

როგორ ვუხმობდი დედას. —
იმ რალაციკენ,
ტოტებზე რომ წრიპინით ხტოდა.
მამას თმაზე ბაბთი ეკეთა
და ბრბო სიცილით იგუდებოდა.

შე ვიღვიძებდი დარცხვენილი.

და, როგორც იქნა,
ერთ ჩვეულებრივ ხუთშაბათს და
შაბათს შორის —

ჩვეულებრივი რომ ჩაწვა ღამე,
სწორედ ისეთი გამომეცხადნენ,
როგორც მსურდა.
კარგად ვიცოდი მესიზმრებოდნენ,
მავრამ სიზმარზე უფრო ცხადად
ვხედავდი თითქოს.

მხოლოდ სურათის შუაგულში
სხვა სურვილები ჩამქრალიყვნენ,
შემთხვევითობას
საბოლოო ფორმა აკლდა მარტოდენ.

მხოლოდ მშობლები ბრწყინავდნენ
ერთად,
რადგან ისინი ერთმანეთს ჰგავდნენ.
დიღხანს ვუმზერდი და ვივსებოდი
მათი უაზღვრო ბედნიერებით.
გამოვიღვიძე
და ვიხილე კედელზე შუქი,
როგორც ჩონჩხი ჩუქურთმიანი.

ბერნარდ შოუ

კეისარი და კლემატრა



ინგლისურიდან

თარგმნა პრაკლა ტატიშვილმა

(ისტორიული დრამა 5 მოქმედებად)

გამოჩენილი მოღვაწის
ერეკლე ტატიშვილის არ-
ქივში, სხვა მასალებთან ერთად, აღმოჩნდა
თარგმანი ბერნარდ შოუს ცნობილი პიესისა
„კეისარი და კლემატრა“. როგორც ჩანს, ეს
პიესაც, ისევე როგორც შილერის „ვერაგობა
და სიყვარული“, ერეკლე ტატიშვილს უთარ-
გმნია თავისი დისწულის, რეჟისორ გიორგი
ქურულის თხოვნით: რაკი თარგმანი სცენაზე
დასადგმელად იყო გათვალისწინებული და არა
დასაბეჭდად, მთარგმნელს პიესის პროლოგი
აღარ გადმოუტანია.

იმედი გვაქვს, მკითხველი ინტერესით წაი-
კითხავს ამ თარგმანს — შესრულებულს ინგ-
ლისური მწერლობის შესანიშნავი მცოდნისა
და ისევე შესანიშნავი მოქართულის მიერ.

ოთარ ჩხეიძე
პახტანავ ზელწყა

მოქმედნი პირნი:

იულიოს კეისარი

რუფუს — რომაელი სარდალი — შუა ხნის კაცი.

ბრიტანუს — კეისრის მდივანი, 40 წლისა.

შელზანორ — ეგვიპტელი, გუშაგების უფროსი, 50 წლისა.

სპარსელი რეკრუტი — ახალგაზრდა.

ბელ-აფრის — ეგვიპტელი, მემფისის ტაძრის გუშაგი.

პოტინ — მცირეწლოვან მეფე პტოლომეს მეურვე, 50 წლისა.

ი.ეოდოტ — პტოლომეს მასწავლებელი, შუა ხნისა.

მეფე პტოლომე — ათი წლის ბავშვი.

- აქლას — პტოლომეს სარდალი, 35 წლისა.
- ლუციუს სეპტიმუს — სამხედრო ტრიბუნი, რომაელთა საოკუპაციო
გარში მოსამსახურე, 40 წლისა.
- პოლოდორ სიცილიელი — ძახიობი და ხელოვანი, 24 წლისა.
- კენტურიონ — 50 წლისა.
- ხუბიელი გუშაგი
- კლერობატრა — ეგვიპტის დედოფალი, 16 წლისა.
- ფტატატრია — კლერობატრას გამზრდელი.
- სასახლის სეფე-ქალები
- მუსიკის მასწავლებელი
- დაჭრილი რომაელი ჯარისკაცი
- ზენავე
- გუშაგები
- მოსამსახურენი
- ნონები
- ჩერმიან, აირის — სეფე ქალები
- ჯარისკაცები



პ ი რ ვ ე ლ ი ა ქ ტ ი

ეგვიპტისა და სირიის შორის საზღვარზე 708 წელი რომაული აღრიცხვით ანუ 48 წელი ქრისტეს წინ, XXXIII დინასტიის ეპოქის დამლევს.

ოქტომბრის დამე. ცის აღმოსავლეთის კიდურზე ვერცხლისფერი ცეცხლების ნათელი კრთომა — მთვარეანი ღამის ციალი. ვარსკვლავები და უღრუბლო ცა იგივე — ჩვენი თანამედროვენი, ცხრამეტ ნახევარი საუკუნით უფრო ახალგაზრდა, ვიდრე დღეს, მაგრამ გარეგნობით ამას ვერავინ მიხვდება. მათ ქვეშ ცივილიზაციის ორი თვალსაჩინო ლაქა: სასახლე და ჯარისკაცები. სასახლე — დაბალი, ძველი შენობა სირიული სტილით, თეთრი კედლებით, არა ისე უმსგავსად შეთეთრებული, როგორც ბუკინგემის სასახლე; სასახლის ეზოში თავმოყრილი ოფიცრები — მეტი ცივილიზაციის მქონე, ვიდრე თანამედროვე ინგლისელი ოფიცრები. ისინი, მაგალითად, თავიანთ მტრებს საფლავებიდან არ ამოთხრიდნენ მათი დასახიჩრების მიზნით, როგორც, მაგალითად, ჩვენ მოვეპყარით კრომველსა და შაჰდის, ოფიცრები ორ ჯგუფად არიან გაყოფილი; ერთი მისჩერებია ორმოცდაათი წლის მხედარ ბელნაზორს, რომელიც დაღუნულა და ახალგაზრდა თვალთმაქც სპარსელ რეკრუტს კამათლებს ეთამაშება, მის გვერდით მიწაზე დევს შუბი; მეორე — გუშაგ ოფიცერს შემოხვევია — მან ეს არის ეხლა უამბო უწმანური ანექდოტი (რაც დღემდე მიღებულია ინგლისის უაზარმებში) და უველა ხარხარებს. ჯგუფში 12 კაცია; ახალგაზრდა არისტოკრატი ეგვიპტელი გვარდიელები არიან, ბრწყინვალე იარაღით; სრულიად არა ჰგვანან ინგლისელებს, თავიანთი სამხედრო ფორმისა არა რცხვენეიანთ და ფორმაში თავს უხერხულად არა გრძნობენ, პირიქით, თითქოს განგებ ამაყობენ სამხედრო წოდებით.

ბელზანორ — ნამდვილი ვეტერანია, მაგარი, კერპი, სადაც ტლანქი ძალია საქირო, იქ ის სწრაფად მოქმედებს, მარჯვეა და გაიძვერა; ხოლო სადაც ეს საქმარისი არ არის, ის უხუსური ბავშვია. ის ცუდი გენერალია და დიქტატორის როლში უბადრუკი იქნებოდა, მაგრამ კარგი მოსამსახურე და სწორედ ამისათვის, თუ საქმათ პროტექცია ექნებოდა, თანამედროვე ევროპის სახელმწიფოებში შესაძლებელია ან გენერლად ან დიქტატორად დაენიშნათ. ამჟამად იქნებ სიბრალულის ღირსი იყოს, იულიოს კეისარი ეს არის ეხლა მის ქვეყანას შეეხია. მაგრამ მან ეს ამბავი არ იცის, გართულია სპარსელთან თამაშით, რომელსაც, როგორც უცხოელს, მისი აზრით, თვალთმაქცობა შეუძლიან.

მისი ხელქვეითების უმრავლესობა ლამაზი ახალგაზრდებია. კამათლების თამაშითა და ანექდოტებით გატაცება საკმაოდ ახასიათებს მათი ცნობიერი

ცხოვრების ინტერესებს. მათი შუბები ნაწილობრივ კედლებზეა მიყუდებული, ნაწილობრივ იქვე ახლოს მიწაზე აწყვია.

კედლები რომლის ახლოს მათ თავი მოუყრიათ, სამკუთხედსა მქმნის: ერთი მისი მხარე წარმოადგენს სასახლის ფრონტონს კარით, მეორე კედელი ალაყაფის კარით. ჭგუფი, რომელიც ანეკდოტს უსმენს, სასახლის ფრონტონთან არის; მეორე კედელთან, მაღალ შავ ლოდზე, საიდანაც შეიძლება კედლებს ექით მდებარე მიდამოს კაცმა თვალუური აღევნოს, დგას ნუბიელი გუშაგი. ეზო განათებულია კედელში ჩარქობილი ჩირალდნით.

როდესაც იმ ჭგუფში, სადაც ანეკდოტს უსმენდნენ, სიცილი შესწყდება, მოგებული სპარსელი დაიხრება და მონაგებს კრეფავს.

ბელზანორ. აიხსა ვფიცავ, სპარსელო, ღმერთები გწყალობენ.

სპარსელი. ერთხელ კიდევ სცადეთ, სარანგო, დაუ ან ქვით!

ბელზანორ. არა, დღეს რაღაც ხელი მეცარება.

ბუშაბი (კედლის იქით იცქირება და შუბს ასწევს) შესდექი ვინ მოდის?

ხმა (კედლის იქით ყველა მის მიმართულებით იყურება, უსმენს). ცუდი ამბავი მომაქვს.

ბელზანორ (გუშაგს). შემოუშვი.

ბუშაბი (შუბს დაუშვებს). წინ წამოდექ, თუკი ცუდი ამბავი მოგაქვს.

ბელზანორ (კამათლებს გიბეში მალავს და შუბს აიღებს). ეს კაცი პატივით უნდა მივიღოთ — მას ცუდი ამბავი მოაქვს! (გუშაგები აიღებენ შუბებს და ალაყაფის კართან შეგუფდებიან, შემოსვლელისათვის ვიწრო გასაჯალსა სტოვებენ).

სპარსელი (წამოდგება). განა ესე პატივსა სცემთ ცუდ ამბავს?

ბელზანორ. უური დამიგდე, სპარსელო ბარბაროსო, ეგვიპტეში კეთილი ამბავის მაუწყებელს მადლობის ნიშნად ღმერთებსა ვწირავთ. მაგრამ ავის მაუწყებლის სისხლს ღმერთი არ შეიწირავს და ამიტომ კეთილი ამბის გადაცემას მონათა შორის უბადრუკს ვავალებთ, ავი ამბების მაუწყებლად კი წარმატების მაძიებელ კეთილშობილ ახალგაზრდებს ვირჩევთ.

ბუშაბი. მო, ჩიელო მხედარო, და დედოფლის სასახლის წინაშე თავი მოიდრიკე.

ხმა. შენი შუბი ღორის ქონით შეგოწე, შავკანა. ვიდრე დილა გათენდება, რომაელები მაგას ბუნამდე გადაგაყლაპინებენ. (შემოდის სიცილით ქერათმიანი ახალგაზრდა, ძლიერ მოხდენილად ჩაცმული, მისი სამოსელი გუშაგების ტანსაცმლიდან განსხვავდება, მაგრამ უცნაურობით არ ჩამოუვარდება. მას ბრძოლის ნიშნები ეტყობა და მარცხენა დახეული სახელურიდან მოუჩანს შეხეული ნიდაყვი. მარჯვენა ხელში რომაული ქარქაშიანი ხმალი უჭირავს. ეზოში ზოდის, მის მარჯვნივ სპარსელია, მარცხნივ ბელზანორი. გუშაგები ჭგუფად უკან მოსდევენ).

ბელზანორ. ვინა ხარ შენ, დედოფალ კლეოპატრას სახლში რომ იცინი? მის გუშაგთა სარანგის წინაშე რომ იცინი?

მოსული. მე ბელ-აფრისი ვარ, ღმერთების შთამომავალი.

ბელზანორ (ცერკმონიით) — სალამი სახლიკაცს!

ყველანი (გარდა სპარსელისა). სალამი სახლიკაცს!

სპარსელი. დედოფლის მცველნი ღმერთების შთამომავალნი არიან, უცხოელო! მე სპარსელი ვარ და მეფეთა შთამომავალი.

ბელ-აფრის (გუშაგებს) სალამი სახლიკაცებს! (სპარსელს აბუჩად) სალამი, მოკვდავო!

ბელზანორ. შენ ომში ყოფილხარ, მხედარი ხარ და აქ, მხედართა შორის, ნუთუ დედოფლის სეფექალები შენ მიერ მოტანილ ამბავს პირველები შეიტყობენ?

ბელ-აფრის. მე სხვა ამბავი არ მომაქვს, გარდა იმისა, რომ ჩვენ ყველას ყელებს დაგვჭრიან — დედაკაცებსაც. მხედრებსაც — ყველას.

სპარსელი (ბელზანორს) ხომ გითხარი!

ბუშაბი. ვაგლახ ჩვენ, ვაგლახ!

ბელ-აფრის (უფვირის გუშაგს). შენ მანდ ხმა გაიკმინდე, საბრალო ეთიოპო! ბედი იმ ღმერთების ხელთ არის, შენ რომ შავად შეგდებეს. (ბელზანორს მიმართავს და სპარსელზე მიუთითებს.) რა გითხრა ამ მოკვდავმა?

ბელზანორ. მითხრა, რომ ჩვენ ნაპირს ერთი მუტა ხალხით გადმოსული იულიოს კეისარი ეგ-

ვიკტის ბრძანებელი შეიქმნება. მას რომელი მხედრებისა ეშინიან. (გუშაგები ზიზლით იციხიან). გვეშინოდეს და იხიცი ვისი — გაუთლელი გლეხების, რომელთაც მხოლოდ უვავების დაფრთხობა ეხერხებათ და გუთნის მოვლა მჭედლების, მეწისქვილეების, დაბლების მოდგმისა ჩვენ — კეთილშობილთ ომისათვის თავდადებულ ღმერთების შთამომავალთ!

სპარსელი. ღმერთები თავიანთ საბრძოლო ნათესავეებს მუდამ ხომ არ ეხმარებიან ბელზანორ? ბელზანორ (აღელვებით). ერთი ერთზე განა ჩვენ კეისრის მონებზე უარს ვუთხროთ? ბელ-აფრის. სახლიკაცო, თუ ერთი ერთზე იქნება, ჩვენ რომაელების წინააღმდეგ ღმერთებივით ვიბრძოლებთ.

გუშაგები (აღფრთხილებით) დიახაც! დიახაც! ბელ-აფრის. მაგრამ კეისარი ერთი ერთზე არ მიდის: სადაც უნ სუსტი ხარ, იქ მთელი ლეგიონით დაგატყდება თავს, ვით შურდულის ქვა, და ეს ლეგიონი კი თითქოს ერთ-თავიანია და ათასხელა, მაგრამ ურწმუნო. შე მიბრძოლია მათთან — ვიცი.

ბელზანორ (ზიზლით). დაფრთხი, სახლიკაცო? (გუშაგები ხარხარებენ, ჭარისკაცებს თვალები უბრწყინავთ.)

ბელ-აფრის. არა, მაგრამ დავმარცხდი. იქნებ მათ უფრო ეშინოდათ და მაინც გაგვაბნიეს, ვით ქარმა ბზე.

ბელზანორ. განა სიკვდილი არ შეგეძლო?

ბელ-აფრის. არა, ღმერთების შთამომავლისათვის ეს შეუფერებელი იქნებოდა და, გარდა ამისა, დროც არა მქონდა — ყველაფერი ერთ წუთში გათავდა. იერიში მაშინ მოიტანეს, როდესაც ამას სულაც არ მოველოდი.

ბელზანორ. ეგ რომაელების სიმხდალესა მოწმობს.

ბელ-აფრის. რომაელებს სიმხადლისა არ ეშინიანთ, ისინი გამარჯვებისათვის იბრძვიან. მხედრის სიამაყესა და პატიოსნებას არაფრად ავლებენ.

სპარსელი. გვიამბე ბრძოლის ამბავი, როგორ დაიწყო?

გუშაგები (შემოეხვევიან ბელ-აფრისს). გვიამბე, გვიამბე ბრძოლის ამბავი!

ბელ-აფრის. უნდა იცოდეთ, რომ დიდი ხანი არ არის, რაც მე რას ტაძრის გუშაგად ჩავეწერე მემფისში და არც კლეოპატრას, არც მის ძმა პტოლომეს არ ვემსახურებო, არამედ ძლიერ ღმერთებს. ჩვენ გზას გავუდექით, რათა პტოლომესაგან შეგვეტყო, თუ რისთვის განდევნა მან კლეოპატრა სირიაში და როგორ უნდა მოვპყრობოდით ჩვენ — ეგვიპტელები — რომელსაც პომპეუსს, რომელიც კეისარმა ფარსალასთან დაამარცხა და ეხლა ჩვენ ნაპირს მოადგა, და იცით, რა შევიტყუეთ? შევიტყუეთ, რომ მტრის დევნილ გახლებული კეისარი ჩვენკენ მოდის და რომ პტოლომემ ბრძანა პომპეუსი მოკლან და მისი მოკვეთილი თავი კეისარს მიართვან. (აღელვება გუშაგთა შორის.) და კიდევ უფრო უარესი: შევიტყუეთ, რომ კეისარი უკვე მოვიდა — უკან დაბრუნების დროს ნახევარი დღის სავალი მანძილიც არ გაგვევლო, გზაში მისი ლეგიონებისაგან დამფრთხალ ქალაქის ბრბოს შევეუარეთ. მათ თურმე სურდათ ლეგიონების გადმოსხმისათვის ხელი შეეშალათ.


ბელზანორ. უნ კი, ტაძრის გუშაგო, იმ ლეგიონებს არ შეებრძოლე?

ბელ-აფრის. ჩვენ ყოველი ღონისძიება ვიხმარეთ, რაც ძალუძს ადამიანს. მაგრამ მოგვესმა საყვირის ხმა და ეს ხმა შავი მთის წყევლა-კრულვად გაისმოდა. შემდეგ შევამჩნიეთ ჩვენკენ მომავალი ფარების კედელი. ხომ იცით, როგორა ძგერს გული, გამაგრებული კედლის წინააღმდეგ რომ იერიში მიგაქვს. მაგრამ რას იტყვით, როდესაც სიმაგრეს თვით იერიში მოაქვს?

სპარსელი (კმაყოფილია, რომ წინასწარ აფრთხილებდა) შე ხომ ვამბობდი!

ბელ-აფრის. და როდესაც კედელი მოგვიახლოვდა, ის ადამიანთა რიგებად გარდაიქმნა — მუწარადებით, ტყავის ჭუბებით და სამკერდულებით. გვტყორცნეს შუბები. შე რომ შუბი მომხვდა, ფარი პაპირუსსავით გამიპო. აგერ, ნახეთ! (უჩვენებს შეხვეულ ნიდაყვს). ის უელსაც გამილადრავდა, რომ დროზე არ დავხრილიყავი, გვიცნენ დაშენებით და მათი დაშენები აგრეთვე სწრაფად გვეწოდა, როგორც შუბები. ამგვარი ხმლით შეიარაღებულ კაცის წინააღმდეგ ხელჩართულ ბრძოლაში ჩვენებური ხმლით ვერაფერს გახდები: ჩვენებური ხმალი მეტად გრძელია.

სპარსელი. მერე თქვენ რაღა ქენით?



ბელ-აფრის. ერთ რომაელს უბაში მუშტი ვავარტუი აღმოჩნდა, რომ ისიც ბოლოს და ბოლოს ჩვეულებრივი მოყვადვი უოფილა: თავბრუდახვეული გაიქცა, მე მის დაშნას ზელი დავტაცე და დავარტუი. აი, ეს არის რომაული დაშნა (უჩვეულებს დაშნა) და მახწეც რომაული სისხლია.

ბუზაბი. კარგია (აიღებენ დაშნის ცნობისმოყვარეობით სინჯავენ და ერთმანეთს გადისკვები.)

სპარსელი. შენი ქარისკაცები?

ბელ-აფრის. გაიქცნენ. დაიფანტნენ, ვით ცხვრის ფარა!

ბელზანორ. მხდალი მონები! ღმერთების შთამომავალი სახიკვდილოდ მიატოვეს!

ბელ-აფრის (დაცინვით). მაგრამ ღმერთების შთამომავალმა, ძვირფასო სახლიკაცო, სიკვდილს არ მოუცადა. ბრძოლა ძლიერთა სასარგებლოდ არ გადაწყვეტილა, სწრაფმსრბოლო კი წილად ზედა გაქცევა. რომაელებს სამარე ეტლები არა აქვთ. მათ უამრავ ცხენოსანთა გუნდები დაგვადევნეს და მრავალი დაგვიხოცეს. მაშინ ჩვენმა ბელადმა, მთავარმა მოგვმა, თავი მოგვიყარა ღმერთების ათიოდე შთამომავალს და ბრძოლა მოგვთხოვა. მე ვიფიქრე: რასაკვირველია, ერთ ადგილს გაჩერება უფრო ნაკლებად სახიფათოა, ვიდრე სირბილით სულის შეხუთვა ან ზურგიდან სიკვდილი. ჩვენ დავუჭერეთ ბელადს და შევჩერდით. რომაელები პატივისცემით მოგვეპურნენ: მართლა ვინ მოისურვებს ღომს შეუტიოს, როდესაც მინდორი ცხვრებით სავსეა? მხედრის სიამაყისა და პატიოსნებისათვის ხომ რომაელები არა ზრუნავენ. ესე გადავრჩით და აგერ მოვედი თქვენთან, რათა გაგაფრთხილოთ, რომ კეისარს უნდა კარი გაუღოთ: მისი მოწინავე ლაშქარი ერთი საათის სავალი გწითაც არ არის ჩემგან დაშორებული და თქვენსა და მისი ლეგიონების შორის ერთი ეგვიპტელი მხედრის ტაჭანებაც არა ჩანს.

ბუზაბი. ვაგლახ ჩვენ! (გადაადგებს შუბს და სასახლისაკენ მირბის.)

ბელზანორ. აბა ჩქარა შუბით კარს მიაჭედეთ! (გუშაგები გამოუდგებიან, მაგრამ ის სასახლეში შეასწრებს). ეხლა ეს ამბავი მთელ სასახლეს ცეცხლის ალივით მოედება.

ბელ-აფრის როგორ გადავარჩინოთ ქალები რომაელებისაგან?

ბელზანორ. მოდი დავხოცოთ.

სპარსელი. მაშინ ზოგიერთის სისხლის ანაზღაურებას მოგვთხოვენ. დეე, რომაელებმა დახოცონ. უფრო იაფი დაგვიჭდება.

ბელზანორ (განცვიფრებული მისი გონებაშახვილობით) გაიძვერა ხარი გველი!

ბელ-აფრის. თქვენ დედოფალზე რაღასა ფიქრობთ?

ბელზანორ. მართალია, დედოფალი უნდა როგორმე გადავარჩინოთ!

ბელ-აფრის. მის ბრძანებას არ მოუცდით?

ბელზანორ. ბრძანებას? თექვსმეტი წლის გოგოს ბრძანებას? არც მიფიქრია. თქვენ მას შემფისში პატივით მოეპუარით, როგორც დედოფალს; ჩვენ კი აქ უფრო ჰკვიანები ვართ. მე მას ცხენზე შევისვამ და, როდესაც ჩვენ, მხედრები, მას კეისარისაგან გადავარჩენთ, მაშინ მოგვებმა და გადიებმა კვლავ პატივი სცენ მას, ვით მეფეს ეკადრება, და მისი სახელით ბრძანებლობდნენ.

სპარსელი. მომისმინე, ბელზანორ!

ბელზანორ. თქვი, ნაადრევო ბრძენო!

სპარსელი. კლეოპატრას მისი ძმა პტოლომე ებრძვის. მოდი კლეოპატრა პტოლომეს მიუცუდოთ.

ერთი ბუზაბი. გაიძვერა ხარი გველი!

ბელზანორ. ამას ვერ ვიქმთ. ჩვენ — ღმერთების მოდგმისა ვართ, მაგრამ კლეოპატრა ხომ ნილოსის ასულია და ჩვენ წინაპართა მიწა პურს აღარ მოგვცემს, თუ ნილოსი არ ამოიწევს. თავისი წყლით მას არ დაჰფარავს. და უკეთუ წინაპრების დოვლათი არ გვექნება, ძაღლებისავით ვიცხოვრებთ.

სპარსელი. მართალია, დედოფლის მცველები ჯამაგირით ვერ იცხოვრებენ. ყური დამიგდეთ თქვენ, ოზირისის ტომისანო!

ერთი ბუზაბი. თქვი, გაიძვერავე, მოვუსმინოთ გველის ნაშობს.

სპარსელი. ხომ მართალს გეუბნებოდით კეისრისას, გეგონათ, დაგცინოდით.

მცველები. მართალია, მართალია!

ბელზანორ (უგულოდ). დიახ, ბელ-აფრისი ადასტურებს.

სპარსელი. მაშ მოისმინეთ, რასაც კვლავ კეისარისას გეტყვით. კეისარს ქალები უყვარს: ის მათთან მეგობრობს და მათ რჩევას უსმენს.

ბელზანორ. ეგრეთა ქალები ეგვიპტეს დაღუპავენ!

სპარსელი. უკეთესია, მათ რომ დაღუპონ! კეისარი უკვე ხანში შესულია, ის ორმოცდაათა წლისა და მეტისაც იქნება, ბრძოლებისათვის იღვწის და ღონებობს. ის შეტად მოხუცია ახალგაზრდა ქალებისათვის. მოხუცი ქალები კი შეტად ქვიანები არიან, რომ მას ეთაყვანონ.

ბელ-აფრისი. ფრთხილად, სპარსელთა კეისარი ისე ახლოა, შეიძლება შენს სიტყვებს ყური მოჰკრას.

სპარსელი. კლეოპატრა ჯერ ქალი არ არის და არცთუ ბრძენია, მაგრამ უკვე განსაცდელში აგდებს მამაკაცების სიბრძნეს.

ბელზანორ. დიახ, ის ხომ ნილოსისა და თეთრი ღვთაებრივი კატის შთამომავლის შავი კატის შთამომავალია. მერე?

სპარსელი. ის ფარულად პტოლომეს მიეყიდოთ, შემდეგ კეისარს ჩვენი ხმლებით სამსახური შევთავაზოთ, რათა პტოლომეს დამხობისა და ნილოსის შვილის-შვილის-შვილის, ჩვენი დედოფლის დახსნისათვის ვიბრძოლოთ.

ერთი გუზაბთაბანი. გველო!

სპარსელი. კეისარს კლეოპატრას ამბავს გავაგებინებთ, ის დაგვიჩერებს. დაამარცხებს მის ძმა პტოლომეს და ეგვიპტეში გამეფდება თავის დედოფალ კლეოპატრასთან ერთად. ჩვენ კა დედოფლის მცველები შევიქნებით.

მცველები. გაიძვერა, გველთა შორის — გაიძვერა! აი სიბრძნე, აი ჭკუა!

ბელ-აფრისი. მაგრამ ის აქ უფრო ადრე გაჩნდება, ვიდრე შენ ლაპარაკს მორჩები, შენ, სიტყვის ფეიქარო!

ბელზანორ. ეგ ხომ ეგრეთა (სწყვეტს ლაპარაკს, ვინაიდან სასახლიდან გაისმის შიშის ყვირილი). ჩქარა მირბიან! დაიცავით სასახლე! (მცველები მისცვივიან კართან და თავიანთი შუბებით გზას შეღობავენ. კარიდან მორბის მოსამსახურე ქალებისა და გამზრდელების ხროვა. მოწინავე მათი რიგები შუბების წინაშე ჩერდებიან და უკანა რიგებს უყვირიან, რათა ისინიც შეჩერდნენ).

ბელზანორ. (ყვირის და თავისი ხმით ჰფარავს ხმაურს). უკან, ჯაგლაგებო!

ერთი მცველთაბანი. უკან, ჯაგლაგებო!

ბელზანორ. დაუძახეთ დედოფლია მთავარ გამზრდელ ფტატატიტას.

მცველები. ფტატატიტა, ფტატატიტა, აქ მოდი, აქა, ბელზანორს ელაპარაკე!

დირეზე გამოჩნდება მაღალი ტანის შავბნელი დედაკაცი. სახე წვრილი ხაზების ქაელითა აქვს დაღარული, მისი თვალები მოხუცის თვალები, ფართოდ გაღებულა და ბრძნული; ძარღვიანი ხელები, ტუჩები აკაკისა და ყბები ბულდოგისა, აცვია, როგორც ფრიალ გავლენიან ბირს სასახლეში. უტიფრად უცქერის მცველებს.

ფტატატიტა. გზა დედოფლის მთავარ გამზრდელს!

ბელზანორ. (დიდი ამპარტავნობით). ფტატატიტა! მე ბელზანორი ვარ, მცველთა სარანგი, ღმერთების შთამომავალი!

ფტატატიტა (უფრო ამპარტავნულად). ბელზანორ! მე ფტატატიტა ვარ, დედოფლის მთავარი გამზრდელი და შენი ღვთაებრივი წინაპრები იამაყებდნენ, მათი სურათები რომ იმ მეფეთა პირამიდების კედლებზე ყოფილიყო აღბეჭდილი, რომელთაც ჩემი მამა-პაპა ემსახურებოდა. (ქალები გამარჯვებული სიცილით იცინიან.)

ბელზანორ (მწუხარე დაცინვით). ფტატატიტა, ასულო გრძელენა, ელამი ქამელეონაა, რომაელები გვიახლოვდებიან! (ქალები შიშით კვიან.) მათ კი ღმერთების შთამომავალნიც ვერ გაუმაგრდებიან! უოველ მათგანს შვიდი ხელი აქვს და თითო ხელში შვიდი შუბი. მათ ძარღვებში ტყვიას სისხლი დუღს; მათი ცოლები უკვე სამი საათის შემდეგ დედები ხდებიან და მეორე დღეს ქალებსა ხოცავენ და ჭამენ. (ქალები შიშით კანკალებენ. ფტატატიტა ზიზლით უცქერის მათ და მრისხანედ უყურებს მცველებს, გაარღვევს ქალების ბრბოს და უშიშრად დგას შუბების წინ.)

ფტატატიტა. მაშ, გაიქცეით, თავს უშველეთ! ჰეი, თქვე მხალეები, თქვენი წინაპრები ხომ თიხის ღმერთები არიან, რომელთაც მხოლოდ მეთევზეები უიღუღებენ. დაგვტოვეთ, რომაელებს ჩვენ თვითონ გავუწორდებით..

ბელზანორ. მაგრამ ჯერ ჩვენი მოთხოვნილება უნდა შეასრულო. შენ, ადამიანთა საფრთხობელავ! კლეოპატრა მოგვგვარე და შემდეგ წადი, სადაც გინებოს.

ფტატატიტა (ზიზღის სიცილით). ეხლა კი მივხვდი, თუ რისთვის მოგვტოვეს ის ღმერთებმა. (მცველები გაკვირვებით ერთმანეთს გადახედავენ). უწყოდ, რეგვენო მხედარო, რომ დედოფალი სასახლიდან გაქრა მშის ჩასვლის ერთი საათის შემდეგ.

ბელზანორ (განრისხებული). კუდიანო! შენ ის დამალე, გინდა კეისარს მიჰყილო ან კლოტომესი (ხელს მოავლება მარცხენა ხელში და მცველების დახმარებით ეზოს შუაგულში გამოათრევს. მუხლებზე დააჩოტებს, ამოიღებს დანას.) სად არის დედოფალი? თქვი, თორემ... (თავის მოჭრას ემუქრება.)

ფტატატიტა (ველეური ხმით შეტყვირებს). ხელი მახელი, ქოფაკო, და ნილოსი თქვენ შვიდ-ჯერ შვიდი წლით შიმშილს მოგივლენთ!

ბელზანორ (შეშინებული, მაგრამ გაბედულად). შე ნილოსს მსხვერპლს შევწირავ, გადავიხდი! არა, მოიცა! (სპარსელს). შენ, გაიძვერავ, მამაშენის ქვეყანა ნილოსიდან შორს არის, — შენ მოჭკალი!

სპარსელი (ფტატატიტას დანას მოუღერებს). სპარსელებს ერთი ღმერთი გყავს და მას მოხუცი ქალების სისხლი უყვარს. სად არის კლეოპატრა?

ფტატატიტა. სპარსელო, ოზირისსა ვფიცავ, არა ვიცი რა. შე გავურისხდი, რომ ის მოგვების ღვთაებრივ კატებთანა ლაუბობს, მათ ხელში იყვანს და ამით უბედურებას გვიქადის. დავემუქრე — რომაელები რომ მოვლენ, ურჩობისათვის სასჯელად მართო დავტოვებდი; ის წავიდა, გაიქცა, დაიშალა. შე მართალს ვამბობ და ოზირისს ვუხმობ მოწმედი!

ქალეგი (გულმოდგინედ აღასტურებენ). ფტატატიტა მართალს ამბობს, ბელზანორ!

ბელზანორ. შენ ბავშვი დაგიფრთხია — ის დამალულა. ჩქარა სასახლე განხრიკეთ, უოველი მისი კუნჭული (მცველები ბელზანორის მეთაურობით იკაფავენ გზას სასახლეში, ქალები ალაყაფის კარისკენ გარბიან.)

ფტატატიტა (ყვირის). მკრებელობა! კაცები დედოფლის ხავანეში მკრებ... (სპარსელი ყელზე დანას მიამჯენს და ყვირილი წყდება.)

ბელ-აფრის. (ფტატატიტას მხარზე ხელს დაადებს). ცოტა კიდევ მოითმინე, სპარსელო! (ფტატატიტას იღუმალა აზრით.) დედილო, შენ ღმერთები ან ძილს მისცემიან ან სანადიროდ წასულან და მახვილი ყელს მოგბჭენია! წავვიყვანე დედოფალთან და იცოცხლებ.

ფტატატიტა. თუ ღმერთებმა მახვილი რეგვენს ხელთ მისცეს, ვილა შეაჩერებს ამ ხელს? ყური დამიგდეთ, უსუსურო რეგვენებო! კლეოპატრას ჩემი შიში აქვს, მაგრამ უფრო მეტად მას რომაელების ეშინია. მისთვის მხოლოდ ერთადერთი ძალაა მეტად საშინელი, ვიდრე მთავარი გამწრდელის რისხვა და რომაელების სიმკაცრე: ეს სფინქსის ძალაა, სფინქსისა — უდაბნოში რომ ზღვისაკენ გზას გუშაგობს. რაც სფინქსს სურს გაუნდოს, მას ღვთაებრივ კატებს ეჩურჩულება; თავის დაბადების დღეს სფინქსს მსხვერპლსა სწირავს და მას უაყაროს თაიგულებით ამკობს, წადათ უდაბნოს და სფინქსის ჩრდილში მონახეთ კლეოპატრა. პასუხს აგებთ, თავით, რომ მას ცუდი არა შეემთხვევა რა.

ბელ-აფრის. (სპარსელს) დავუჯეროთ ნათქვამს, გაიძვერა?

სპარსელი. რომელი გზით მოდიან რომაელები?

ბელ-აფრის. ზღვის მხრიდან, უდაბნოთი, სფინქსს გვერდით გაუვლიან.

სპარსელი (ფტატატიტას). შენ, ვერაგობის დედა, ტყუპენიანო! ეს ზღაპარი შენი შეთხზულია, რათა ორივენი უდაბნოს გაგვისტუმრო და რომაელების მახვილების მსხვერპლი გაგვხადო. (ასწევს მახვილს). მოკვდი!

ფტატატიტა. არა შენი ხელით, ლეკვო! (გამოჰკრავს სარმას და, მოკუზული, სასახლის გასწვრივ გარბის, სიბნელეში მიიჩქმალება; სპარსელი დაბარბაცდება; ბელ-აფრის ხითხითებს. მცველები ბელზანორთან ერთად და ლტოლვილთა ჩროვასთან სასახლის კარიდან გამოვარდებიან, ხელში ლტოლვილებს ბოხნები უჭირავთ).

სპარსელი. იპოვეთ კლეოპატრა?

ბელზანორ. ვერა, ყველა კუნძული კი დავათვალიერეთ.

ბუშაბი (გამოჩნდება სასახლის ალაყაფის კართან). ვაგლახ ჩვენს საშინელებას გაიქცეოთ ბელზანორ, რა მოხდა?

ბუშაბი. თეთრი ღვთაებრივი კატა მოუპარავთ!

ყველანი. ვაგლახ! საშინელებას!

ერთი აღრევა. ყველანი გარბიან სასოწარკვეთით. ჩირაღდასნი გაქცეულნი და ქრება. სიბნელე. ღტოლვილთა ხმაური შეწყდება. წყველობა.

შემდეგ სიბნელესა და სიჩუმეს არღვევს ვერცხლისფერი ნისლოვანი სინათლე და უცნაური ბედობით: ნელ-ნელა გამოჩნდება მთვარე და ქარს მოაქვს მემნონის ქნარის ბგერები, უდაბნოს ანათებს მთვარე და შორეული ცისკამარის ფონზე ისახება ქანდაკების ხაზები; ნათელი ძლიერდება და გამოჩნდება სფინქსი ქვიშის კოცონზე. უფრო ნათდება, თვალი არჩევს ზეაღმართულ თვალებს, მარად მღვიძარი და შეუპოვარი ის იცქირება წინა და ზემოთ. მისი ვეებერთელა თათების შორის ფერადების ლაქა ისახება წითელი ყაყაჩოს ძნად, რომელზედაც წევს უძრავი ახალგაზრდა ასული, მისი აბრეშუმის ტუნიკა ნელა და თანაბრად აღის-ჩადის, ღრმა ძილის სუნთქვით ამოძრავებული; მისი ხუჭუჭი თმა ელავს, ვით ფრინველის ფრთები მთვარის შუქზე.

უეცრივ შორიდან გაისმის მკაცრი ბგერა, მსგავსი მინოტავრის ღრიალისა, რომელსაც მახდილი არბილებს, მემნონის ქნარი მიჩუმდება. სიჩუმე. შემდეგ ძლივს ისმის საყვარის ხმა და კვლავ სიჩუმე. სამხრეთის მხრიდან მოიპარება კაცი, ნოზიბლული ღამის მშვენიერი იღუმალეებით. ის შეჩერდება დაფიქრებული სფინქსის მარცხნივ. სფინქსის მკერდი და მისი ტვირთი სფინქსის ძლიერ ბეჭით არის დამალული.

ბაბი. საღამო სფინქსსა საღამს გაძღვნის კეისარი! მრავალი ქვეყანა მოვლიე, ვეძიებდი დაკარგულ სამშობლოს, საიდან ჩემმა დაბადების დღემ განმდევნა, ვეძიებდი ჩემ მსგავსთ. ვპოვე ჯოგები და იალადები, ხალხი და დაბა-ქალაქნი; სხვა კეისარი ვერა ვპოვე და მშობლიური ჰაერი; ვერ შევეყარე, ვერა ვნახე ჩემი მსგავსი, რომელს ძალუძდეს ეამთა ჩემთა საქმენი, ღამეთა ჩემთა გულისთქმა. სფინქს, შენ წინაშე გაშლილ უბადრუკ ქვეყანაში ჩემი ადგილი მაღალია, ვით შენი დიდ უდაბნოში, ხოლო მე უარიბი ვარ, შენ უძრავი; მე დამპყრობი, შენ მომლოდინე; მე ვიღწვი და ვცვიფრდები, შენ გუშაგობ და მეთვალყურეობ; მე აღმა ვიშვირები — ნათელი თვალსა მჭრის, ქვე დავხრი თვალს — და წყვედიადია; გარემოს გავხედაე და ვკრთები; შენ კი მარად წინ იშვირები, ქვეყნის აღმით, დაკარგულ სამშობლოსაკენ, საიდან ჩვენ ორივენი მოვედით. სფინქსო, მე და შენ უცხონი ვართ ადამიანთა შორის, არა ურთიერთისათვის: განა დღიდან ჩემი დაბადებისა შენთვის არ ვოცნებობდი და ამ ადგილისათვის? რომი შეშლილის სიზმარია, აქ — ჩემი სინამდვილე. ყველგან ვხედავდი მე შენ ზემოთ ვარსკვლავთა კელაპატრებს — გალიას, ბრიტანეთს, ესპანიას, თესალიაში, ისინი მაუწყებდნენ მარად დიდ საიდუმლოებას აქ ძირს, მარად მდებარე გუშაგს რომ ემზილა, ხოლო მის სამყოფელს ვერა ვპოვებდი. და აი გუშაგი — ხატება ჩემ შორის უცვალბებლისა და უკვდავისა — გულისთქმით შეპყრობილი მღუმარე ვერცხლოვან უდაბნოში. სფინქს, სფინქს, ღამით მთებს აველიდი, რათა შორით მსმენოდა შენ ქვიშასთან მონავარდე ქართა იღუმალი შრიალი სიცილის ჩურჩულში. ჩემი გზა შენკენ ბედმა მაგონა; ის ვარ, ვის გენიას შენ ანსახიერებ: მხეციც, დედაკაციც, ღმერთიც — ჩემ შორის არა არის ადამიანისა. სფინქს, მე ვცანი შენი ამოცანა.

ქალწული (გაიღვიძა და ფრთხილად იყურება). მოხუცო!

კეისარი (შეკრთება და ხმალიზე ხელს წაიღებს). უკვდავო ღმერთებო!

ქალწული. მოხუცო, ნუ გაიქცევი.

კეისარი. „მოხუცო, ნუ გაიქცევი“, ამას — იულიოს კეისარს ეუბნებიან!

ქალწული (ღაეინებით). მოხუცო!

კეისარი. სფინქს, შენ შენი საუკუნეები გავიწყდება. მე შენზე ახალგაზრდა ვარ; მართალია, შენი ხმა კვლავ ქალწულის ხმაა.

ქალწული. ჩქარა, აქ ამოცოცდი, თორემ რომაელები მოვლენ და შეგკამენ.
პეისარი (შირბის, სფინქსის მხარს მოუხვევს და დაინახავს ქალწულს). მის მკერდზე ბავ-
შვია, ღვთაებრივი ბავშვი!

ქალწული. ჩქარა, იქით მხარიდან ამოძვერი.

პეისარი (განცვიფრებული). ვინა ხარ?

ქალწული. კლეოპატრა, ეგვიპტის დედოფალი.

პეისარი. გინდა თქვა — ხომების დედოფალი?

ქალწული. პატივისცემით მომბეჯარი, თორემ სფინქსი რომაელებს შეგაკმევინებს. ამოძ-
ვერი, აქ ძალიან კარგია.

პეისარი (თავისთვის). სიზმარი! საოცარი სიზმარი! ნეტავ არ გამოვფხიზლდე. ათ დაპურო-
ბილ ქვეყანას მივცემ, რათა სიზმარი ბოლომდე ესე გაგრძელდეს. (აცოცდება
გვერდიდან, გადაძვრება სფინქსის ბეჭზე და ქალწულის წინ გაჩნდება.)

კლეოპატრა. ფრთხილად, ეგრე უხლა აქ მოკვცე მარჯვენა თათზე (თვით კლეოპატრა
სწორდება მარცხენა თათზე). სფინქსი ძლიერია და დაგვიფარავს, მაგრამ... (ძაგ-
ძაგებს და ჩივის). ყურადღებას არ მაქცევს და ჩემთან შეგობრობა არა სურს.
შესიამოვნა რომ მოხვედრი — აქ ისეთი მარტოობაა! თეთრ კატას ხომ არსად შეხ-
ვედრიხარ?

პეისარი. (ღიწკად ჯდება მარჯვენა თათზე, სრულიად განცვიფრებული). შენ თეთრი კატა
დაკარგე?

კლეოპატრა. დიახ, ღვთაებრივი თეთრი კატა. განა ხაშინელება არ არის? მე აქ მომყავდა,
სფინქსისთვის მინდოდა შემეწირა. მაგრამ ქალაქს რომ ცოტას გამოვცდით, შავმა
კატამ დაუძახა. ესეც გამისხლტა ხელიდან და იმას გაეკიდა. როგორ გგონია,
შეიძლება ის შავი კატა ჩემი დიდი-დიდი-დიდი — ბებია იყოს?

პეისარი. (დააშტერდება მას). შენი დიდი-დიდი-დიდი ბებია? პო, რატომაც არა! ამ უცმაურ
ლამეში აღარაფერიც არ გამაკვირვებს.

კლეოპატრა. მე გგონი, ის უნდა ყოფილიყო. ჩემი დიდი ბებიის დიდი ბებია ღვთაებრივი
თეთრი კატის შავი კნუტი იყო და მდინარე ნილოსმა იგი თავის მეშვიდე ცოლად
დაისვა. ამიტომაც ჩემი თმა ასე ტალღისებურად ჩახუჭუჭებული. თანაც მე ყოველ-
თვის მინდა ისე მოვიქცე, როგორც მომეპრიანება, და არ დაგიდევ, ღმერთებსაც.
ასე ნებავთ თუ არა. ეს იმიტომ, რომ ჩემი სისხლი ნილოსის წყლისაა.

პეისარი. აქ რა გინდა ამ ლამეში? აქ ცხოვრობ?

კლეოპატრა. რასაკვირველია, არა. მე დედოფალი გახლავარ და ალექსანდრიის სასახლეში
ვიცხოვრებ, როცა ჩემს ძმას მოვკლავ, რომელმაც იქიდან გამომაძევა. მე რომ დავ-
ქალდები, ისე მოვიქცევი, როგორც მენებება. მე შემეძლება მოვაწამლინო მო-
ნები და ვუცქირო ნათ კრუნჩხვა-წამებას; ფტატატიტას კი გავარჯარებულ ღუმელში
ჩავდებით დავაფრთხობ ხოლმე.

პეისარი. კმი მაინც ახლა რატომ შინ არა ხარ და ლოგინში არ წევხარ?

კლეოპატრა. იმიტომ, რომ რომაელები მოდიან და ჩვენ უველას შეგკამენ. შენც ხომ არა
ხარ შინ და არც ლოგინში წევხარ!

პეისარი (დამარწმუნებლად). დიახ, მე შინ ვახლავარ. მე კარავში ვცხოვრობ და ახლა იმ
კარავში ვარ, მძინავს და მესიზმრება. გგონია მჭერა, რომ შენ ნამდვილი ცოც-
ხალი არსება ხარ, შენ, საარაკო პაწია სიზმარეულო ჰინკავ?

კლეოპატრა (ჩაიხიბბითებს და ნდობით გადაიხრება მისკენ). შენ სასაცილო ბერიკაცი ხარ.
მომწონხარ.

პეისარი. ეჰ, მაგან კი წამიხდინა სიზმარი. რატომ არ გეზმანება, რომ მე ჰაბუკი ვარ?

კლეოპატრა. ნეტავი იყო, ოდობდ, მე გგონია, მაშინ უფრო შემეშინდებოდა შენი. მე მომ-
წონს ვაჟაკები, განსაკუთრებით, ზორბა, მკლავდონიერი უმაწვილი კაცები,
მაგრამ მეშინია კი მათი. შენ მოხუცი ხარ და უფრო მკლე და ძარღვიანი, მაგრამ
მშვენიერი ხმა გაქვს. თანაც მე მიყვარს, როცა მომუსაიფე მყავს, თუმცა, გგონია,
ცოტა გიფი კი უნდა იყო. შენ აღბათ მთვარე გიშვრება მაგას, ეგრე სულელუ-
რად რომ ბურტყუნებ შენთვის.

პეისარი. რაო! განა გაიგონე? მე დიდ სფინქსს ევედრებოდი.

კლეოპატრა. მერე ეს რომ დიდი სფინქსი არ გახლავს?

პეისარი (ღრმად ინფლავირებული შეკვრება ქანდაკებას). რაო!



კლეოპატრა. ეს მხოლოდ სფინქსის პაწია, ძვირფასი კნუტია. ოჰ, დიდი სფინქსი იმ სიდი-
დით, რომ მის თათებს შორის ტაძარია მოთავსებული. ეს ჩემი საყვარელი სფინ-
ქსია. მითხარი: როგორ გგონია, რომაელებს ისეთი ჯადოქრები ზომბრ ეყოლებათ.
რომლებსაც შეეძლებათ ჯადოთი მოგვაცილონ სფინქსს?

კეისარი. როგორ, რომაელების გეშინია?

კლეოპატრა (ძალიან სერიოზულად). ოჰ, თუ შეგვიპყრეს, შეგვკამენ! ისინი ბარბაროსები
არიან. მათ ბელადს იულიოს კეისარს უწოდებენ. მისი მამა ვერუსი იყო, დედა
ცეცხლოვანი მთა; მას სპილოს მსგავსი ცხვირი აქვს. (კეისარი უნებურად ცხვირ-
ზე ხელს მოიხეამს) მათ ყველას გრძელი ცხვირები აქვთ, სპილოს ეშვები და
პატარა კუდები, შვიდ-შვიდი ხელი, თითო ხელში ასი ისარი და ისინი ადამიანის
ზორცსა სკამენ.

კეისარი. გინდა ნამდვილი რომაელი გაჩვენო?

კლეოპატრა. არა, ნუ მაშინებ.

კეისარი. არა უშავს რა, ეს ხომ სიზმარია...

კლეოპატრა (მღელვარებით). ეს სიზმარი არ არის, არა! უყურე... (თმიდან ქინძისთავს
გამოიღებს და კეისარს ხელში უჩვენებს.)

კეისარი. რის რას სჩადიხარი (მრისხანედ.) როგორა ბედავ?

კლეოპატრა (დარცხენილად). შენ ხომ ამბობ, მძინავსო. (ტირის); მინდოდა დამერწმუნებინე...

კეისარი (ნაზად). ნუ სტირი! დედოფალი არ უნდა ტიროდეს. (ნახევლეტზე ისვამს ხელს და
პკვირობს ტკვილის სინამდვილეს.) ნუთუ მძინავს? (სფინქსს ხელს დაარტყამს,
რათა დარწმუნდეს, რომ ეს სინამდვილეა. ეხლა იმდენად დაჯერებულია, რომ შე-
წუხებით და არეულად ლაპარაკობს.) დიახ, მე... (შეშინებული). არა, შეუძლებე-
ლია; ეს შესწლილობაა, შესწლილობაა! (სასოწარკვეთით.) უკან ბანაკისაკენ, ბანაკ-
საკენ! (ცდილობს ჩამოხტეს კვარცხლბეკიდან.)

კლეოპატრა (შეშინებული მოეჭიდება კეისარს). არა, ნუ დამტოვებ, ნუ, ნუ წახვალ. მეშე-
ნაინ, რომაელებისა გეშინიან!

კეისარი (დარწმუნდება, რომ მართლა არა მძინავს). კლეოპატრა, კარგად ხედავ ჩემს სახეს?

კლეოპატრა. დიახ. მთვარის შუქზე ისე თეთრია!

კეისარი. დარწმუნებული ხარ, რომ მთვარის შუქი მაჩენს ეგვიპტელზე უფრო თეთრად?

(პირქუშად.) ვერ ამჩნევ, რომ ცოტა არ იყოს გრძელი ცხვირი მაქვს?

კლეოპატრა (უკან მიაწყდება, საზარელი ექვით გაოგნებულია). ოჰ!

კეისარი. ეს რომაული ცხვირი გახლავს, კლეოპატრა.

კლეოპატრა. აჰ! (ყურთასმუნის წამლები კვილით წამოხტება, სწრაფად შემოურბენს სფინ-
ქსის მარცხენა ბეჭს, ჩამოცოცდება ქვიშაზე, დაეცემა მუხლებზე და გიჟური
წივილით ევედრება). ორად გაკბიჩე ეგ, სფინქსო, ორად გაკბიჩე! მე, თეთრი
კატის შემოწირვა მინდოდა... მე მართლაც... მე... (კეისარი, რომელიც ჩამოცურ-
და კვარცხლბეკიდან, მხარზე შეახებს ხელს.) აჰ! (კლეოპატრა ხელებში ჩაიმაღლა
თავს.)

კეისარი. კლეოპატრა, გინდა გახწავლო, რა უნდა ბქნა, რომ კეისარმა არ შეგკამოს?

კლეოპატრა (საწყალობლად ებღაუტება). ოჰ, მასწავლე, მასწავლე, ფტატატიტას მოვბარავ
თვალმარგალიტს და შენ მოგცემ. ნილოსს წელიწადში ორჯერ მოვარწყვევინებ
შენს ყანებს.

კეისარი. დაწყნარდი, დაწყნარდი, შეილო ჩემო. შენს ღმერთებს ეშინია რომაელებისა. ხომ
ხედავ, სფინქსი ვერ ბედავს ჩემს კბენას და ვერც დამიშლის შენს წაყვანას იუ-
ლიოს კეისართან.

კლეოპატრა (ვედრებით ჩურჩულებს). არა, არა, აკი მითხარი, არაო.

კეისარი. კეისარი ქალებს არა სკამს.

კლეოპატრა (იმედით გამხნეებული წამოხტება). რაო?

კეისარი. მაგრამ გოგოებსა და კატებს კი სკამს. შენ კი პატარა, სულელი გოგო ხარ, შავი
კატის შთამომავალი. გოგოცა ხარ და კატაც.

კლეოპატრა (კანკალებს). და მეც შემკამს?

კეისარი. შეგკამს, თუ არ დაარწმუნებ, რომ შენ ქალი ხარ.

კლეოპატრა. მამ მიწოვე ჯადოქარი, რომ გამაქალოს, შენ ჯადოქარი არა ხარ?

კეისარი. იქნებ ვიყო. მაგრამ ამისათვის საჭიროა დრო: შენ კი ამაღამვე კეისრის წინაშე უნდა წარსდგე, შენ წინაპართა სახელგეში.

კლემენტრე. არა, არა! არ შემოძლიან!

კეისარი. რაც უნდა შეშმა შეგებუროს, რაც არ უნდა თავზარსა გცემდეს კეისარი, მას უნდა შეხედო, როგორც მამაცი დედაკაცი და დიდი დედოფალი, და შეშხარ უნდა გრძნობდე. უკეთეს ხელი ავიკანკალდა, ხმამ გიღალატა, ვაშენს ვეფრედიადე გელის და სიკვდილი. (კლემენტრა ეხვესის.) მაგრამ თუ კეისარმა დაინახა, რომ შეფობის ღირსი ხარ, ტახტზე გვერდით მოგიხვამს და ეგვიპტის მმართველად გაგხდის.

კლემენტრე (სასოწარკვეთით). არა, ის დაინახავს, რაცა ვარ, დაინახავს.

კეისარი (თითქმის სასოწარკვეთით). ქალები ისე ადვილად ატყუებენ კეისარს, მათი თვალები აბრმავებს, ხედავს მათ ისე, როგორც სურს, რომ ეჩვენებოდნენ, და არა როგორებიც სანამდვილეში არიან.

კლემენტრე (იძულებით). მაშინ მოვატყუოთ. მე ფტატატატას თავის სამკაულს დავიხურავ და მოხუცად მოვაჩვენებ თავს.

კეისარი. თუ ეგრე მოიქცევი, მაშინ ერთ ლუკმად გადაგყლაპავს.

კლემენტრე. მაგრამ მე მას ქადას შევთავაზებ ქაღალქული ცის დანაკითა და შიგ გამოცხვარი თეთრი კატის შვილი ბეწვით და...

კეისარი (წინარაღ). სულელში ის ქადას შესჭამს და შენც ზედ მიგაყოლებს. (ზიზღით პირს იბრუნებს.)

კლემენტრე (უბლაღკება). შენი კირიშე! ისე მოვიქცევი, როგორც შენ გინდა, კარგად მოვიქცევი. მონად გემსახურები. (უღაბნოში კვლავ მკაცრი ხმაური ისმის, მაგრამ უფრო ახლო, ვიდრე წინათ. ეს ბუკცინაა, რომაელების სამხედრო საყვირი.)

კეისარი. გესმის?

კლემენტრე (კანკალებს). რა არის?

კეისარი. კეისრის ხმა!

კლემენტრე. გავიქცეთ, ჩქარა გავიქცეთ!

კეისარი. ჩემთან ნურაფრისა შეგეშინდება, ვიდრე ტახტზე არ დაქდები კეისრის მოლოდინში. იქით გამხდებ.

კლემენტრე (გახარებულა, რომ წააგლა შეუძლიან.) წაგიყვან, წაგიყვან, (კვლავ ბუკცინის ხმა). წავიდეთ, ჩქარა წავიდეთ; ღმერთები განრიხსდნენ, გესმის, როგორ ზანზარებს მიწა?

კეისარი. ეს კეისრის ღეგონები მოდიან.

კლემენტრე (ფრეფა კეისარს). აქეთ ჩქარა! და გზაში თეთრი კატა მოვძებნოთ, იმან გადაგაქცია შენ რომაელად.

კეისარი. შენ გაუსწორებელი ხარ! წავადეთ. (გაპყვება კლემენტრას, ბუკცინის ხმა უფრო ძლიერდება, რამდენადაც ისინი უღაბნოში წინ მოდიან. მთვარე ჩადის. პორციონტის შავ ფონზე მოჩანს სფინქსის ფანტასტიკური სილუეტი. შემდეგ, პორციონტსაც წაეღიადო მოიცავს; სიბნელეა, რომელსაც არღუეყს ჩირაღდნის სინათლე შორიდან. სინათლე ახლოედება, ის ეგვიპტურ კოლონადაა ეცემა, რომელსაც დედებული დერეფნის თაღები უჭრავს. დერეფნის ბოლოში ნუბიელი მონაა. მას მოაქვს ჩირაღდანი, მას მოსდევს კეისარი, რომელსაც ხელჩაკიდებულა მოჰყავს კლემენტრა მოდიან დერეფანში. კეისარი დაკვირვებით ათვალიერებს მისთვის უცნაურ კოლონადის არქიტექტურას, რომლებზედაც სწრაფად მოძრავ ჩირაღდნის წუქზე ხედავს ფროტოსან აღმზანება. ნიშნის ნიკარტებით, თითქოს ჩასადრებელი შავი კატების მარმარილოს ფიგურებს. განაგრძობენ წინ სვლას კედელი უხვევს და გამოჩნდება დარბაზი; კეისარი ხედავს სამეფო ტახტს და ტახტის უკან კარს. ტახტის აქეთ-იქით წვრილი სვეტები ღამპრონებით.)

კეისარი. ეს რა არის?

კლემენტრე. ეს ჩემი ტახტია. ზედ ვქდები, როდესაც ნებას მაძლევენ გვირგვინი დავიდვა და მანტია წამოვიხსნა. (მონა ახათებს ტახტს.)

კეისარი. უბრძანე მოხას ღამპრონები აანთოს.

კლემენტრე (მოკრძალებით). შეიძლება განა?

კეისარი. რასაკვირველია! შენ დედოფალი ხარ.

კლემენტრე (მოკრძალებით მონას). აანთე ყველა ღამპრონი.

ფტატატიტა (უეცრივ გაჩნდება ტახტის უკან). **შესდექ!** (მონა გაჩერდება. ფტატატიტა მკაცრად მიმართავს, კლეოპატრას, ის ხვლიბანებს, როგორც უნიანი ბავშვი) **ეს ვინ მოგიყვანია და როგორ ბედავ ლამპიონების ანთების ბრძანებას ჩემ ნებადაურთველად?** (კლეოპატრა ღუჟს.)

კეისარი. ეს ვინ არის?

კლეოპატრა. ფტატატიტა!

ფტატატიტა (კადნიერებით). **მთავარი აღმზრდელი..**

კეისარი (აწყვეტილებს სიტყვას) **შე დედოფალს ველაპარაკები. გაჩუმდი.** (კლეოპატრას.) **ესე გეპურობიან შენი მსახურნი? უბრძანე წავიდეს.** (მონას.) **შეასრულე, რასაც დედოფალი გიბრძანებს.** (მონა ანთებს ლამპიონებს: კლეოპატრა მერყეობს.) **შენ დედოფალი ხარ, უთხარი წავიდეს!**

კლეოპატრა (ხვეწნით). **ფტატატიტა, ძვირფასო, ერთი წუთით უნდა წახვიდე!**
კეისარი. **შენ წასვლას კი არ უბრძანებ, ეხვეწები. შენ დედოფალი არა ხარ! შენ რომაელები შეგკამენი მშვიდობით!** (გაბრუნდება, თითქოს წასვლას აპირებს.)

კლეოპატრა (მოეჭიდება კეისარს). **არა, არა, არ დამტოვო!**

კეისარი. **რომაელი არ დარჩება დედოფალთან, რომელსაც თავისი მონისა ეშინიან.**

კლეოპატრა. **არ მეშინია, მართლა არ მეშინია!**

ფტატატიტა. **ვნახოთ თუ არ გეშინიან.** (მუქარით.) **კლეოპატრა!**

კეისარი. **ძირს, დედაკაცო! განა ბავშვი ვარ, რომ მეზუმრები!** (ფტატატიტა ნახევრად დაოკებული, კვლავ წინააღმდეგობას უწევს, მერყეობს. კეისარი მიმართავს ნუბიელს.) **მონა!** (ნუბიელი მიუახლოვდება.) **შეგიძლია თავის მოკვეთა?** (მონა თავს უქნევს და მხიარულად იღრიჭება. კეისარი აიღებს თავის ხმალს და ნუბიელს გაუწვდის, კვლავ ფტატატიტას მიმართავს.) **გონს მოხვედი თუ არა, დედაკაცო?** (დამორჩილებული ფტატატიტა დაიჩოქებს კლეოპატრას წინ; უკანასკნელი თითქმის თვალს არ უჯერებს.)

ფტატატიტა (ხმაჩახლეჩილი), **ო, დედოფალო, ნუ დაივიწყებ შენს მხევალს, შენი დიდების დღეს.**

კლეოპატრა (აღელვებული). **წადი აქედან დამეყარგი ეხლავე!** (ფტატატიტა წამოდგება თავჩაქინდრული და კარისკენ მიდის. კლეოპატრა თვალს გაადევნებს მის მორჩილ ფიგურას, ისრესავს ავანკალებულ ხელებს, უეცრივ შეჭყვირებს). **მომეცით რამე, რომ დავარტყა!** (ხელს მოავლებს ტახტზე ჩამოკიდებულ გველის ტყავს და ფტატატიტას გაედევნება, აქნევს ტყავს მათრახის მსგავსად. კეისარი დაიჭერს მას, ვიდრე ფტატატიტა გარბის).

კეისარი. **პატარა ფისუნია, შენ კაწვრაც შეგძლება?**

კლეოპატრა (კეისარს ხელიდან გაუსხლტება). **უნდა ვცემო ვისმე! ამას დავარტყამ!** (მონისაკენ გაეჭანება, ის გარბის და დერეფანში მიიმალება. კლეოპატრა გადაადგებს გველის ტყავს და ტახტზე ახტება, ხელებს მალლა ასწევს და ყვირის.) **ეხლა კი ხამდვილი დედოფალი ვარ, ნამდვილი მე — კლეოპატრა დედოფალი!** (კეისარი ეჭვით თავს იქნევს, ესეთი უეცარი გარდაქმნის სარგებლობა ეგვიპტის საერთო კეთილდღეობისათვის მას არა სჭერა. კლეოპატრა კეისარს გამარჯვებულის იერით უყურებს. შემდეგ ჩამოხტება ტახტიდან, აღტაცებით მივარდება მას, მოეხვევა და თან ყვირის.) **ო, როგორ მიყვარხარ, შენ ნამდვილ დედოფლად მაქციე!**

კეისარი. **მაგრამ დედოფლებს ხომ მხოლოდ მეფეები უყვართ!**

კლეოპატრა. **ვინც მიყვარს, ყველას მეფედ გავხდი. შენც მეფობას გიბოძებ. შე მინდა მრავალი ახალგაზრდა მეფეები მყავდეს, მრავალი ძლიერი ხელებით; როცა მომწყინდებიან, მათრახის ცემით სულს ამოვართმევ. შენ კი მარად ჩემი მეფე იქნები — ჩემი საყვარელი, კეთილი, ბრძენი მოხუცი მეფე!**

კეისარი. **შე, ჩემი დადარული სახე! და ბავშვის გული! ქალწულო, შენ კეისრის ყველაზე სახიფათო ნადავლი ხარ!**

კლეოპატრა (შეშინებული). **კეისარი! კეისარი სულ დამავიწყდა! ხომ ეტყვი მას, რომ მართლა დედოფალი ვარ, ნამდვილი დედოფალი! მოდი (ლაქუცით) გავიქციეთ და დავიშალოთ, ვიდრე კეისარი არ წავა.**



მოსული ახალგაზრდა. საყვირი ეხვევა მის ტანსა; საყვირის სპილენძის ყელი ღმუ-
ილა მგლის პირს ემსგავსება. განცვიფრებით მიაჩერდებიან ტანტს, მის წინ ჩამ-
წკრივდებიან, ამოდებენ ხმლებს და ჰაერში იქნევენ.)

ჯარისკაცები. საღამო კეისარს!

(კლერკატრა მიბრუნდება, ველურა შიშით შეპყურებს კეისარს, გაერკვევა და
შვების ოხვრით მოეხვევა კეისარს.)



მეორე აქტი

ალექსანდრია. დარბაზი მეფის სასახლის ქვედა სართულში, რომელიც ორ-
საფეხურიან კიბით გადის კოლონადებიან პორტიკში, საიდანაც მოჩანს ხმელთა-
შუა ზღვა დილის ნზის სხივებში. დარბაზი დიდი, მისი კედლები მუხუჭი იერისა
და უბრალო. მათზე დახატულია ეგვიპტის თეოკრატის სურათები პროფილით,
როგორც კედლების ორნამენტი. დარბაზში არ არის სარკეები, მტკრიანი მდიდ-
რული ავეჯი, ხალიჩები და მორთულობა ესოვილებისაგან და ამისათვის ის უბ-
რალო სტილიურ, გრილ, მოხდენილ შთაბეჭდილებასაა ტოვებს, რისთვისაც ინგ-
ლისის ბურჟუაზიას ეს დარბაზი ცარიელად უბადრუკად და არამიმზიდველად
მოეჩვენებოდა, საჭმე ის არის, რომ ტოტენჰემ კორტ როდის ცივილიზაცია შე-
დარებით ეგვიპტის ამ ცივილიზაციასთან იგივეა, როგორც იმ ქვეყნების ცივილი-
ზაცია, აადაც შუშის მძივებსა და ტატუირებას ძვირად აფასებენ, შედარებით
ტოტენჰემ კორტ როდის ცივილიზაციასთან.

ახალგაზრდა 10 წლის მეფე პტოლომე დიონისო შემოდის დარბაზში, დგას
პორტიკის ზემო საფეხურზე. მისი ხელი უჭირავს მის მეურვეს პოტინს. დარ-
ბაზში თავი მოუყრიათ კარისკაცთ, რომელნიც მეფეს საღამს აძლევენ. მათ
შორის არიან მამაკაცები და დედაკაცებიც — ზოგიერთ დედაკაცს ოფიციალი თა-
ნამდებობა აქვს — სხედასხვა მოდგმისა და რასისა უმთავრესად კი — ეგვიპ-
ტელები, ზოგიერთი მათგანნი. უფრო ნათელკანიანნი, ქვემო ეგვიპტიდან არიან,
ზოგიერთნი, უფრო მუქკანიანნი — ზემო ეგვიპტიდან; მათ შორის არიან ბერძ-
ნები და ებრაელები. ჭგუფში, რომელიც პტოლომეს გარშემო შეკრებილა, ვა-
შიორჩევა მისი მისწავლებელი თეოდოტი. მეორე ჭგუფის ცენტრში დგას პტო-
ლომეს ჯარების სარდალი აქილას. თეოდოტი — პატარა მოხუცია, მისი სახე
აგრეთვე გამხმარია და დაღარული, როგორც მთელი მისი სხეული, გამონაკლისით
მაღალი შუბლისა, რაც საერთოდ მისი ფიგურისათვის დომინანტურია. ის ღრმა
მოაზროვნე ფილოსოფოსის ნიღაბს ატარება. სხვას ყურს უგდებს მოწადეებისაფ-
ში ფილოსოფოსის სარკასტული იმპარტავნული ყურადღებით. — აქილას მაღალი
ტანის მოხდენილი კაცია, დაახლოებით 35 წლისა, ლამაზი პედელის ბაღნის
მსგავსი ხუჭუჭი შავი წვერით; ჩანს — ის დიდი ჭკუის პატრონი არ არის, მაე-
რამ თავაზიანია და პატივსაცემი — პოტინა ღონით სავსე 55 წლის საჭურისია,
ის გულფიცხია, ენერგიული და აზრიანი, მაგრამ ჩვეულებრივი გონებისა და თავ-
დაუქერელი. მისი დია მიხავისფერი თმა თავზე ბეწვის მსგავსად ლაპლაპებს.
მეფე პტოლომე გაცილებით უფროსად გამოიყურება, ვიდრე მისი ტოლი ინგ-
ლისელი ბავწევები, მაგრამ მის ბავშვურად უჭირავს თავი, ვინაიდან მუდამ სხვის
მორჩილებაშია; მას ახასიათებს ნების სისუსტე და ყინიანობა; მას შეტად ხში-
რად ბანენ, ვარცხნიან და აცმევენ, რაც, საერთოდ, ყველა პრინცის ბეღია.

მეფეს პატივსაცემით შეხვდებიან, ის ძირს ჩამოდის. მივა ტანტთან —
მთელ დარბაზში სხვა დასაჯდომი არ მოიპოვება — და აღელვებული, თითქოს
დარიგების მოლოდინში, მის მარცხნივ მყოფ პოტინს შეპყურებს.

პოტინ. მეფეს სიტყვა ნებავეს!

თეოდოტი (მყვირალა ხმით, მაგრამ დამაჯერებელი გაბედული ტონით). მოუსმინეთ მეფეს!

პტოლომე (უაზროდ, როგორც ჩანს, იმეორებს დასწავლილ გაკვეთილს) უწყიდეს ყვე-
ლამ: მე ვარ პირმშო თქვენი მეფის მესტირე აუღუბისა. ჩემმა დამ ბერენისემ



ჩამოართვა მას ტახტი და მის ნაცვლად მეფობდა, მაგრამ, მაგრამ... (ენა ებმის).
პოტინი (ჩუმად უკარნახებს)... მაგრამ ღმერთებმა არ ინებეს...

პტოლომეი. დიახ, ღმერთებმა არ ინებეს (შეჩერდება. შემდეგ შეწუხებული განაგრძობს).
დამავიწყდა, ღმერთებმა არ ინებეს.

თეოდოტ. მეფის მაგიერ მისმა მეურვემ პოტინმა ილაპარაკოს
პოტინი (ძლივს ჰფარავს თავის მოუთმენლობას) მეფეს ნებავდა ეთქვა რომ ღმერთებმა და-

უსჯელად არ დატოვეს მისი დის შეცოდება.

პტოლომეი (აჩქარებით). მო, ეხლა მომაგონდა. (მონოტონურად განაგრძობს). ამისათვის ღმერ-
თებმა უდაბნოთი მოუვლინეს ეგვიპტეს რომაელი მხედართსარდალი მარკუს ან-
ტონიუსი, რომელმაც დაუბრუნა მამაჩემს ტახტი. მამაჩემმა შეიპყრო ჩემი და ბე-
რენისა და თავი მოჰკვეთა. და ახლა, როდესაც მამაჩემი გარდაიცვალა, მისი მეორე
ქალი, ჩემი და კლეოპატრა ლამობს ტახტი წამართვას და ჩემ ნაცვლად იმეფოს.
მაგრამ ღმერთები ამას არ ინებებენ... (პოტინი ხველებით აფრთხილებს.) ღმერ-
თები ამას არ ინებებენ...

პოტინი (უკარნახებს). ღმერთები ვერ აიტანენ...

პტოლომეი. დიახ, ღმერთები ვერ აიტანენ ამ უკანონობას და მას ცუდით სიკვდილისათვის
განწირავენ, როგორც მის დას. მაგრამ კუდიანი ფტატატიტას დახმარებით მოხიბ-
ლა რომაელი იულიოს კეისარი, რომ მხარი დაეჭირა ეგვიპტეში გამეფების მისი
უსამართლო წადილისათვის. მაშ იცოდეთ, რომ მე ვერ მოვითმენ... რომ მე ვერ
მოვითმენ... (ჭირვეულად პოტინს.) რას ვერ მოვითმენ?

პოტინი (პოლიტიკურ ვნებათა მთელი ძალითა და მნიშვნელობით აბორგებული უცბად წა-
მოროშავს). მეფე ვერ მოითმენს, რომ უცხოელმა წარსტაცოს ჩვენი ეგვიპტის
ტახტი. (გაისმის მოწონების შეძახილი.) აქლას, მოახსენე მეფეს, რამდენი ჯა-
რისკაცი და მხედარი ჰყავს რომაელს?

თეოდოტ. დაე ბრძანოს მეფის სარდალმა!

აქილას. მხოლოდ ორი რომაული ლეგიონი ჰყავს, ო, მეფეო, სამი ათასი ჯარისკაცი და
ათასამდე არც კი — მხედარი.

(დიდებულებში იფეთქებს დამცინავი ხარხარი და მითქმა-მოთქმა შეიქმნება, რომ-
ლის დროსაც ლოჯიაში გამორჩნდება რომაელი ოფიცერი რუფუსი. იგი ზორბა, შეე-
წვერა შუახნისა კაცია; ძალიან ხეპრე, ფიცხი და ტლანქი; წვრილი გამჭრიახი თვა-
ლებიანი; სქელი ცხვირი და ლოყები აქვს, რომლებიც მაინც, მისი სხეულის და-
ნარჩენი ნაკვთების მსგავსად, რკინისებურ ჯანსაღობას მოწმობს.)

რუფუსი (საფეხურებიდანე). ჰეი, ჩუმად! (სიცილი და ყბედობა მყის წყდება.) კეისარი მო-
დის.

თეოდოტ. (დიდი დარბაილობით). მეფე ნებას რთავს რომაელთა სარდალს შემობრძან-
დეს!

(სადაღ ჩაკბული, მაგრამ მელოტის დასაფარავად თავზე მუხის ფოთლების გვირ-
გვინით შემკული კეისარი შემოდის ლოჯიიდან. ახლავს ბრიტანუსი, მისი მდივანი,
ბრიტანელი, დაახლოებით ორმოცი წლისა; მაღალი, მედიდური, უკვე ცოტა შემე-
ლოტებული; მძიმე, დაკიდებულ წაბლისფერ უღვაშებიანი, რომლებიც ისე აქვს
დაყვინებული, რომ კობტა უღვაშებს უერთდება. იგი გულმოდგინედაა გამოწყო-
ბილი ლურჯ სამოსში, წელზე აბგა, სამელნე რქა და კალამი აქვს. მისი სერიოზული
ფერი და ნაკისრი საჭმის მნიშვნელობის შეგნება შესამჩნევად განსხვავდება გულ-
კეთილი ინტერესისაგან კეისრისა, რომელიც უცქერის მისთვის ახალ სანახაობას
ბავშვის გულწრფელი ცნობისმოყვარეობით და შემდეგ მეფის ტახტისაკენ იბრუ-
ნებს პირს. ბრიტანუსი და რუფუსი მეორე მხარეს დადგებიან საფეხურების ახ-
ლოს.)

კეისარი (შეკვურებს პოტინს და პტოლომეს). რომელია მეფე? კაცი თუ ბიჭი?

პოტინი. მე ვარ პოტინი, ჩემი ბატონის, მეფის მეურვე.

კეისარი (გულკეთილად მოუთათუნებს მხარზე პტოლომეს). მაშ, შენა უოფილხარ მეფე!
ვერაფერი საამო საქმეა შენს ასაკში, მა? (პოტინს.) თქვენი მონამორჩილი გახ-
ლავარ, პოტინ. (წყნარად იბრუნებს პირს და ნელა გავა დარბაზის შუაგულში,

თან აქეთ-იქით ათვლიეობებს დიდებულებს (ანამ აქილასს არ მოადგება) ეს დარბაისელი ვინლა?

თეოდოტ. აქილას, მეფის სარდალი

კეისარი (აქილასს, ძალიან შეგობრულად.) სარდალი, აა? მე თვითონაც სარდალი ვარ. მაგრამ სიბერეში, სიბერეში შევუდექი მაგ საქმეს. ჩანი და ბევრი გამორჩევა, აქილას!



აკილას. როგორც ღმერთები ინებებენ, კეისარო.

კეისარი (მიუბრუნდება თეოდოტეს) შენ, ბატონო, ვინ ბრძანდები?

თეოდოტ. თეოდოტე, მეფის მასწავლებელი.

კეისარი. შენ ასწავლი ადამიანებს, როგორ უნდა იმეფონ, თეოდოტ. ძალიან კვვიანურად გიქნია. (თეოდოტესგან რომ იბრუნებს პირს, კედლებზე ღმერთებს შესცქერის და მერე კვლავ პოტინს მიადგება.) ეს რაღა ადგილია?

პოტინ. მეფის სალაროს მოხელეთა ბჭობის დარბაზია, კეისარო.

კეისარი. ოჰ, მაგან მომაგონა! ფული მჭირდება.

პოტინ. მეფის სალარო დარიბია, კეისარო.

კეისარი. დიახ, მე ვხედავ, რომ აქ ერთი სკამის მეტი არა დგას.

რუფუს (შესძახებს ტლანქად). სკამი მოართვით ვინმემ კეისარს.

ატოლოგა (კრძალებით დგება, რომ შესთავაზოს თავისი სკამი კეისარს). კეისარო...

კეისარი (აღურსიანად). არა, არა, შეიღო ჩემო, ეგ შენი სამეფო სკამია, დაჯექი. (კვლავ დასვამს პტოლომეს ამასობაში რუფუსი, რომელიც აქეთ-იქით იცქირება, ახლოს კუთხეში თვალს მოპკოავს, ღმერთ რას გამოსახულებას. იგი წარმოდგენილია პტოლისთავიანი მადლობარე კაცის სახით. გამოსახულების წინ დაახლოებით სამფეხა სკამის ოდენა ბრინჯაოს სამფეხა გუნდრუკი დგას რომელზედაც საქმეველი იწვის. რუფუსი რომაული გამჭკრიანობითა და უცხოელთა სარწმუნოებისადმი გულგრილობით სწრაფად სტაიებს ხელს სამფეხას, გადმოყრის საქმეველს, გადმობერტყავს ფერფლს და ზურგს უკან დაუდგამს კეისარს თითქმის დარბაზის შეაგულში.)

რუფუს. დაბრძანდი, კეისარო.

(სამეფო კარს ცახცახი აიტანს, გაისმის ასინა ჩურჩული: „მკრებელობა!“)

კეისარი (დაჯდება). აბა, პოტინ, საქმეს მივხედოთ. ძალიან მჭირდება ფული.

ბრიტანუს (კეისარი არ ექცლება ასე არაოცოციალური ჭუსაიფი). ჩემს პატრონს ნებავე გითხრათ, რომ ეგვიპტეს რომის კანონიერი ვალი მართებს, რომელიც მეფის განსვენებულ მამას დაედო ტრიუმფარატთან დადებული ხელშეკრულების ძალით და რომ კეისარი მოვალეა თავისი კვეყნის წინაშე ხანწრაფოდ მოითხოვოს ანაზ-დაურება.

კეისარი (თავაზიანად). ოჰ, დამავეწუდა, ჩემი ამხანაგები არ გაგაცანით, პოტინ. ეს ჩემი მდივანია, კუნძულები, კვეყნიერების დასავლეთ კიდურიდან, — გალიიდან მის სამშობლომდე ერთი დღის სავალი გზაა ზღვით (ბრიტანუსი ამპარტავნულად სალამს აძლევს) ეს კი ჩემი ამხანაგია რუფუსი (რუფუსი თავს დაუქნევს.) პოტინ, მე ათას ექვსასი ტალანტი მჭირდება. (კარისკაცთა შორის ხმაოდლა ჩურჩული ატყდება, თეოდოტე და აქილას ერთმანეთის წინაშე ჩუმად პროტესტს გამოთქვამენ ესეთი უზომო მოთხოვნის წინააღმდეგ.)

პოტინ (დაბნეულად). ორმოცი მილიონი სესტერცია! შეუძლებელია! ამდენი მეფის ხაზინაში სულაც არ მოიძებნება!

კეისარი (დამამშვიდებლად). მხოლოდ ათას ექვსასი ტალანტი. სესტერცებით რად ანვი-რიშობთ? ერთი ნაჭერი პური ხომ ერთი სესტერცი ღირს!

პოტინ. ტალანტი კი ერთი საჭირითო ცხენის ფასია. მე ვაზობ — ეს შეუძლებელია. ჩვენ გაჭირვებას განვიცდით: მეფეს ნიხი და კლეოპატრა ტახტს ეცილება და უკვე წელიწადია გადასახადები აღარ იყრიფება.

კეისარი. შენ სცდები, პოტინ. ჩემმა ქარისკაცებმა დღეს დილით გადასახადები უკვე მოყ-

რიფეს. (კარისკაცთა შორის კვლავ ჩურჩულო და განცვიფრებაა და დაბნულო სი-
ცილი)

რუფუსს (დაეჩვილებლივ). უნდა გადაიხადო, პოტინ, ტყუილად რათა ბარჯავ სიტყვებს? თქვენ
ისედაც იაფად გადარჩით!

პოტინს (მხურვალეებით). ნუთუ ქვეყნის დამპყრობი კეისარი იმდენად მოკლევლია, რომ
ჩვენი გადასახადების აკრეფას მიპყოს ხელი?

პენისარი. მევობარო, გადასახადების აკრეფა ქვეყნის დამპყრობის მთავარი საქმეა.

პოტინს. მაშ, იცოდეთ კეისარო, დღესვე ტაძრების და მეფის ხაზინის მთელი ოქრო ზარათ-
ხანას გადაეცემა, რათა ხალხის თვალწინ გადაიდნოს და შემდეგ შენ გადმოგეცეს.
ხალხი დაინახავს, რომ ჩვენ ცარიელი კედლებიდა შეგვრჩება და იძულებული
ვიქნებით დვინო ხის ქაშებითა ვსვათ. თუ ამ მკრებელობას გვაიძულებ, კეისარო,
ხალხის რისხვა შენ დაგატყდება.

პენისარი. ნუ შეშინდები, პოტინ. ხალხმა კარგად იცის, თუ რა გემრიელია დვინის სმა ხის
ქაშებით. ჭილდოდ კი ესეთი უხვობისათვის მე თქვენი სამეფო ტახტისათვის და-
ვას გადავქრი, ცხადია, თუ ეს გესაქიროებათ. რას იტყვი?

პოტინს. განა მე რომ უარი ვთქვა ეს შენ დაგაბრკოლებს?

რუფუსს (გამომწვევი ტონით). რასაკვირველია არა!

პენისარი. შენ ამბობ — ეს დავა უკვე წელიწადია გრძელდება. შეგიძლიან ათი წუთი მომცე
მის გადასაწავებლად?

პოტინს. რასაკვირველია, ისე გადასწყვეტ, როგორც გენებება!

პენისარი. კეთილი მაგრამ ჭერ კლეოპატრა მოეწვიოთ აქ.

თეოდოსი. ის არ გახლავს ალექსანდრიაში, — სირიაში გაიქცა.

პენისარი. არა მგონია. (რუფუსს.) დაუძახე ტოტატიტას.

რუფუსს (იძახის). პეი, ტოტატიტა!

(ფტატატიტა შემოდის ლოჯიაში და ზვილად დგება კიბის თავში.)

ფტატატიტა. ვინ წარმოთქვამს დედოფლის მთავარი გამწრდელის ფტატატიტას სახელს?

პენისარი. მაგ სახელს შენს გარდა სხვა ვერავინ გამოთქვამს, ტოტა. სად ბრძანდება შენი
ქალბატონი?

(კლეოპატრა, რომელიც ფტატატიტას ზურგს ეფარებოდა, გამოიჭყიტავს სი-
ცილით, კეისარი წამოდგება.)

პენისარი. ხომ არ ინებებს დედოფალი ბედნიერ გვეოს მცირე ხანს აქ ყოფნით?

კლეოპატრა (განზე გასწევს ფტატატიტას და საფეხურების კედელზე გადმოდგება ამპარტავ-
ხულად). როგორც დედოფალს შეკფერის, ისე უნდა მოვიქცე?

კეისარი. დიას (კლეოპატრა მყის ჩამოვა სამეფო ტახტთან, სტაყებს ხელს პტოლომეს,
გადმოთარებს საჯდომიდან, მერე თვითონ დაბრძანდება მის ადგილზე. ფტატატი-
ტა ლოჯიის საფეხურზე ჩამოქდება, აქ ზია და სიბილას გამჭრიახობით ადევნებს
თვალყურს სანახაობას.)

პტოლომე (შეწუხებულია და ცრემლს ძლივს იმაგრებს). კეისარო, აი, ყოველთვის ასე შეპ-
ყრობა მე. თუ მეფე ვარ, ვინ მისცა უფლება, რომ ყველაფერს მართმევს?

კლეოპატრა. შენ მეფე არ იქნები, შე მღნავანა ხალხო. შენ რომაელები შეგქამენ.

პენისარი (პტოლომეს მწუხარებით გულახულებული). აქ მოდი, შვილო ჩემო, ჩემთან და-
დექი.

(პტოლომე მივა კეისართან, რომელიც დაჯდება სამეფოზე და გასამხნეებლად
ხელს მოკვიდება ბიკს. შუიით გამძვინვარებული კლეოპატრა წამოდგება და რის-
ხვით უბრალებს მათ თვალებს.)

კლეოპატრა (ლოყებალუწილი). დაჯექი შენს ტახტზე, მე არ მინდა ეგ. (იგი მიატოვებს
ტახტს და მიუახლოვდება პტოლომეს, რომელიც უკან მიაწყდება მისი შიშით.)
წადი ახლავე და დაჯექი შენს ადგილზე.

პენისარი. წადი, პტოლომე. ყოველთვის დაეპატრონე ტახტს, როცა კი შემოგთავაზებენ.

რუფუსს. იმედი მაქვს კეიუსს იხმარ და მაგ შენს საკუთარ რჩევას გამოიყენებ, როცა რომს
დაბრუნდები, კეისარო.

(პტოლომე წელა უბრუნდება ტახტს, თღონჯ შორს უკლის კლეოპატრას. —
ამგარად ეშინია, ხელი არ მომაწვდინოს. კლეოპატრა მის ადგილზე დგება კეის-
რის გვერდზე.)

კვირისა, პოტინ.,

კლემენტის (გააწყვეტიან). მე აღარ უნდა დამელაპარაკო?

კვირისა, წყნარად, ერთხელ კიდევ რომ დახმარა კრინტი ჩემს უნებურად, მაშინვე შეგკამ. კლემენტის, მე არ შეშინია, დედოფალს არც უნდა ეშინოდეს. თუ გნებავს, აი, ის ჩემი ქმარი შექამე — იმას ეშინია.

კვირისა (შეკრთება). შენი ქმარი რას ამბობ?

კლემენტის (მიუთითებს პტოლომეზე). აი, ეს ერთი ციცქნა, (ორი რომაელი და ბრიტანელი განცვიფრებულნი შეაჩერდებიან ერთმანეთს.)

თეოდოტე. კეისარო, შენ უცხოელი ხარ აქ და ჩვენი კანონები არ იცი. ეგვიპტის მეფეებსა და დედოფლებს მხოლოდ თავიანთივე მეფური სისხლის ნათესავის შერთვა შეუძლიათ. პტოლომე და კლემენტისა დაბადებითვე მეფე-დედოფალი არიან სწორედ ისევე, როგორც დაბადებითვე არიან და-ძმანი.

ბრიტანუს (აღშფოთებული). კეისარო, ეს უხამსობაა!

თეოდოტე (შეურაცხყოფილი). როგორ?

კვირისა (უკვე მოახერხებს თავის შეკავებას). მიუტევე, თეოდოტე. ეს ბარბაროსია და ჰგონია, რომ მისი ტომისა და კუნძულის ადათები ბუნების კანონია.

ბრიტანუს. პირიქით, კეისარო, ბარბაროსები ეს ეგვიპტელები არიან და სცდები, მათ რომ უღებო. მე ვაცხადებ — ეს სამარცხვინოა!

კვირისა. სამარცხვინოა თუ არა, ჩემო მეგობარო, მშვიდობიანობის კარს კი გვიღებს. (იგი მიმართავს პოტინს სერიოზულად.) პოტინ, ყური მიგდე, რას გეტყვი.

რუფუს. ყური უგდეთ კეისარს მანდი!

კვირისა. პტოლომემ და კლემენტისამ ერთად იმეფონ ეგვიპტეში.

ბრიტანუს. მეფის უმცროს ძმასა და კლემენტისას უმცროს დას რაღა ვუყოთ?

რუფუს (განუმარტავს). კიდევ არის ერთი პატარა პტოლომე, კეისარო. ასე მითხრეს.

კვირისა. ჰო, პატარა პტოლომეს შეუძლია მეორე და შეირთოს და ორთავს მერე კიპროსს ვაჩუქებთ.

პოტინ. (მოუთმენლად) კიპროსი ვის რად უნდა!

კვირისა. არა უშავს რა! ის თქვენ ზავისთვის დაგჭირდებათ.

ბრიტანუს (შეუგნებლად, მრავალ საუკუნეთა წინანდელ ერთ სახელმწიფო მოღვაწეს განასახიერებს) საპატიო ზავისათვის, პოტინ!

პოტინ (განრისხებული). კეისარო, იქონიე პატიოსნება! ფული, რომელსაც შენა გვთხოვ, ჩვენი თავისუფლების საფასურია. აიღე და თავი დაგვანებე, ჩვენ საქმეებს თვით მოვუვლით.

ზოზივრთი პარისატისი. (პოტინის ტონით და კეისარის სიმშვიდით გამხნეებული). დიახ, დიახ, ეგვიპტე ეგვიპტელებისათვის!

(ეგვიპტელები უფრო და უფრო ცხარობენ, კეისარი დამშვიდებულია, რუფუსს ცოფი მოსდის, ბრიტანუსი ამპარტავნულად განრისხებულია).

რუფუს (ზიზლით) ეგვიპტე ეგვიპტელებისათვის! რომის საოკუპაციო ლაშქარი გავიწყდებათ? ის აქ ავლენ გაბინიუსმა დასტოვა, როდესაც თქვენი ტყინა მეფე ტახტზე დაგისვათ.

ბრიტანუს (უეცრივ გაახსენებს თავს იქ მყოფთ.) და ამ ლაშქრის სარდალი ვარ მე! აქ მე რომაელი სარდალი ვარ, კეისარო!

კვირისა (ამ მღვდლობობის კომიზმის სრული შეგნებით). შენ ხომ ეგვიპტის სარდალიც ხარ?

პოტინ (გამარჯვებულის ტონით), დიახ, კეისარო!

კვირისა (აქილასს). ამგვარად შეგიძლიან ეგვიპტელებს რომის სახელით ებრძოლო. და რომაელებს კი, თუ დაგჭირდა, ეგვიპტის სახელით.

ბრიტანუს. დიახ, კეისარო!

კვირისა. ვკადნიერდები და მსურს გავიგო, ამჟამად ვის მხარესა ხარ, სარდალო?

ბრიტანუს. ღმერთებისა და სამართლიანობის.

კვირისა. მშე და შენი ლაშქარის რიცხვი?

ბრიტანუს. ამას ბრძოლის ველზე დავინახავთ.

რუფუს (მტკარით). შენი მხედრები რომაელები არიან? თუ არა, სულ ერთია, ოღონდ ჩვენი ათეულის წინააღმდეგ ხუთ ასეულზე მეტი ნუ იქნება.

კოტინი. ნუ გვაშინებ, რუფუსი კეისარი უკვე დამარცხდა ერთხელ და შეიძლება კვლავ დამარცხდეს! რამდენიმე კვირის წინათ კეისარა პომპეუსს გაექცა და ამით თავი გადაირჩინა; რამდენიმე თვის შემდეგ თავის გადარჩენისათვის იქნებ იძულებული იყოს აფრიკის მეფეს იუბას და კატონს გაექცეს!

ამილას (მხარს უჭერს კოტინის მექარას). რას ვახდებით თქვენი მარტინისთან?

თეოდოტე (ხმახალეხილი ყვირის). და ამასთან უფულოდ! მარტინისთან დაიკარგეთ აქედან!

პარისპატრი (რისხვიო ყვირის და კეისრის გარშემო ჯგუფდებიან). მოგვშორდით, დაიკარგეთ! ეგვიპტე ეგვიპტელებისათვის! მოგვშორდით!

რუფუს (წვერს იგრებს და იმდენად ცხარობს, რომ ხმის ამოდებას ვეღარ ახერხებს, კეისარი კი ისე კარგად გრძობს თავს, თითქოს საუზმეს შეექცაოდეს, და კატას ეთამაშება, რომელიც შემწვარი თევზის ნაჭერს ითხოვს.).

კლეოპატრა. როგორა ბედავენ შენთან ესეთ ლაპარაკს, კეისარო, გეშინიან ამათი?

კეისარი. რასაც ამბობენ, სულ მართალია, ჩემო ძვირფასო.

კლეოპატრა. მაგრამ, შენ რომ წახვიდე, მე დედოფალი ვეღარ ვავხდები?

კეისარი. მე არ წავალ, ვიდრე შენ დედოფალი არ ვახდები.

კოტინი. თუ სულელი არა ხარ, აქილას, შეიბყარ ეს გომშიო, ვიდრე აქ არის!

რუფუს (მექარით). რატომ არ გინდათ კეისარიც შეიბყროთ, აქილას?

კოტინი (უფრო მეტი მექარით). მართალს ამბობ, რუფუს. რატომაც არა?

რუფუს. სცადე! (ყვირის.) მცველებო, აქეთ!

(სპორტუკი უცბად კეისრის მცველებით აივსება, ამოდებული ხმლებით უცდიან თავიანთი ცენტურიონის ბრძანებას, რათა ეგვიპტელებს შეუტონ. ერთ წუთს ეგვიპტელები განოქმევე იერით უმხერენ მათ, შემდეგ დაღვრემილები უკან დაიხევენ.)

ბრიტანუს. თქვენ ყველა კეისრის ტყვეები ხართ!

კეისარი (კეთილგანწყობილი ტონით). ო, არა, არა, სულაც არა. კეისრის სტუმრები, ბატონებო!

კლეოპატრა. უბრძანე თავები მოკვეთონ!

კეისარი. რაო? შენ ძმას მოკვეთოთ თავი?

კლეოპატრა. რატომაც არა! ისიც ხომ არ დამინდობდა, თუკი მოახერხებდა? ხომ მართალს ვამბობ, ატოლომე?

ატოლომე (უგუნური სიკერპით). მოგვეთდი და კიდევაც მოგვეთავ, როცა გავიზრდება. (კლეოპატრა ებრძვის ახლად მოპოვებული დედოფლობის ღირსების შეგნებასა და სურვილს ატოლომეს ენა გამოუყოს. უკანასკნელ სცენაში კლეოპატრა არ მონაწილეობს, არამედ ცნობიანოყვარებით და განცვიფრებით თვალყურს ადევნება, ერთ ადგილს ვერ ჩერდება; როგორც მოუსვენარი ბავშვი, ხან კეისრის ზედადგარზე დაჯდება, როცა კეისარი წამოდგება.)

კოტინი. კეისარო, თუ გაბედავ და დაგვაპატიმრებ...

რუფუს. მაშინ კიდევაც დაგვაპატიმრებთ, ეგვიპტელო, და ეს კარგად გახსოვდეს. ჩვენ ხელშია სასახლე, ყურე, ნავსადგურის დასავლეთი ნაწილი რომისკენ გზა ხსნილია და თქვენც ამ გზას გაჭყეებით, თუ კეისარი მოისურვებს!

კეისარი (თავაზიანად). კოტინ, მე იძულებული ვიყავი ესე მოვქცეულიყავი, რათა ჩემი ლაშქრისათვის საშობლოს გზა ხსნილი ყოფილიყო. მე ხომ ყოველი ჩემი მხედრის სიცოცხლისათვის პასუხისმგებელი ვარ. შენ კი თავისუფალი ხარ და შეგიძლია წახვიდე, აგრეთვე ყველანი აქ და სასახლეშიც.

რუფუს (გულმოსული ასეთი სულგრძელობით). როგორი მოღალატენი და დანარჩენები?

კეისარი (არბილება გამოიქვამს). რომის საოკუპაციო ლაშქარი და დანარჩენები, რუფუს.

კოტინი (სასოწარკვეთით). უკანასკნელად მივმართავ კეისრის სამართლიანობის გრძობას. მე მოვეუწოდებ მოწმეს და დავამტკიცებ, რომ ჩვენ კი არა, კეისარი ჩაუვარდებოდა ტყვედ რომის საოკუპაციო ლაშქარს, რომელსაც მსოფლიოს უდიდესი მხედარი სარდლობდა. (ყვირის) აქეთ, ლუცი სეპტიმიუს (კეისარი წამოვარდება მეტად აღელვებული) თუ ჩემი ხმა გესმის, მოდი და კეისრის წინაშე მიმოწმე!

კეისარი (უკან დაიხევს). არა, არა!

თეოდოტე. მე ვამბობ, კო, სამხედრო ტრიბუნი იყოს მოწმე. (შემოდის ლუცი სეპტიმიუსი,

სუფთად გაპარსული, ატლეტური აკეთულების, დაახლოებით ორმოცი წლისა, სახის სწორი ხაზებით, გაბედულების მაჩვენებელი ნიკაბით და ლამაზი, რომაული ცხვირით. ის აკვირდება კეისარს, რომელიც ერთ წუთს სახეს ტოვით დაიფარავს, მაგრამ მალე ჩამოუშვებს და ამაყად შესცქერის ტრიბუნს.

კოტინი. გვიმოწმე, ლუცი სეპტიმუს, კეისარი თავის მტერს დაედევნა და ჩვენ ნაპირს მოადგა. მივეციოთ კეისარის მტერს თავშესაფარი?

ლუციუსი. როგორც კი პომპეუსმა ეგვიპტის ნაპირს ფეხი დაადგა, მენიკლეტუსი ერთი მოქნივით ძირს გაგორდა.

თეოდოსი (ბორბოტი კმაყოფილებით). მისი ცოლისა და ბავშვის თვალწინი გახსოვდეს ეს, კეისარო! ისინი იმ ხომალდიდან უყურებდნენ, რომლითაც მოვიდნენ. ჩვენ შურისძიებით სავსე ტკბილი თასი მოგართვით ძღვენად.

კეისარი (შეძრწუნებული). შურისძიების?

კოტინი. შენი ხომალდი რომ ჩვენ ნავსადგურში შემოვიდა, ჩვენი პირველი ძღვენი შენდამი შენი მეტოქის თავი იყო, რომელსაც ებრძოდი ქვეყნიერებაზე ბატონობისათვის. გვიმოწმე, ლუციუს სეპტიმუს, ესე იყო თუ არა?

ლუციუსი. ამ ხელმა რომელმაც პომპეუსი მოკლა, მისი თავი კეისარს ფეხწინ დაუგდო.

კეისარი. კაცის მკვლელი! შენ კეისარსაც მოკლავდი, პომპეუსს რომ ფარსალასთან გაემარჯვნა.

ლუციუსი. ვაი დამარცხებულთ, კეისარო! პომპეუსს რომ ვემსახურებოდი, ვკლავდი აგრეთვე ღირსეულთ, როგორც თვით ის იყო, მხოლოდ იმისათვის, რომ პომპეუსი მათ ამარცხებდა. მისი ჭერიც დადგა.

თეოდოსი (პირმოთნედ) ეს საქმე შენ კი არ ჩაიდინე, კეისარო, არამედ ჩვენ... არა, მე! ეს ჩემი რჩევით მოხდა. შენ კი ჩვენი წყალობით მწყალობელის სახელი შეგარჩა და შურისგების წყურვილიც მოიკალი.

კეისარი. შურისგება, შურისგება! შე რომ შურისგებაში დავმცირდე, რას არ მოგთხოვდით მოკლულის ხისხლის ასანაზღაურებლად? (კარისკაცნი დარცხვენილნი და გაკვირვებულნი უკან დაიხევენ.) ის ხომ ჩემი სიძე იყო, ჩემი ძველი მეგობარი, პირველი კაცი დიდებულ რომში ოცი წლის განმავლობაში და გამარჯვების მახარობელი ოცდაათ წელს? და განა მე, როგორც რომელი, მისი დიდების მოზიარე არ ვიყავი? განა ჩვენ ვქედდით ბედს, ქვეყანაზე ბატონობისათვის რომ ერთმანეთის წინააღმდეგ აგვამხედრა? ვინა ვარ მე? იულიოს კეისარი თუ გაუმადლარი მგელი, რომელსაც თქვენ მხცოვანი მეომრის ქალარა თავი გადაუგდეთ, დაფნით შემკული. ძღვევამოსილის, ძლიერი რომაელის ამ უგუნური უსაბის მიერ ვერაგულად მოკლულის თავი — და მადლობასაც ითხოვთ! (ლუციუსს მიმართავს.) მომშორდი, შენ ზიზღსა მგერი!

ლუციუსი (დაჭრებით, ცივად). მე! იყო დრო, კეისარო, როდესაც შენცა მკვეთლი მარჯვენა ხელეზს, ათასი მარჯვენა ხელი გალიაში ვერცინგეტორიქსის დამარცხების შემდეგ, განა შენმა დიდმა ქველობამ შეიბრალა იგი? და განა ეს შურისგება არ იყო?

კეისარი. არა, ღმერთებსა ვფიცავ. ნეტავი ეგრე უოფილიყო მართალია, შურისძიება ადამიანის თანმდევარია. არა, ვიმეორებ. მოკვეთილი მარჯვენა ხელეზი, ის, მამაცი ვერცინგეტორიქსი, კაპიტოლთან ეკვდავში რომ ვერაგულად დააბრჩეს — ყველაფერი ეს (მწვავე სარკაზმით) ბრძნული სიმკაცრე იყო, საზოგადოების დაცვის აუცილებლობით გამოწვეული, სახელმწიფო მოვალეობა — ეს სიყალბე, ეს შემოღობობა ათქერ უფრო სახიფათო, ვიდრე უბრალო, პატიოსანი შურისძიება. რა უგუნური და რეგვენი ვიყავი ნაშინი და ადამიანთა სიცოცხლე მსგავს რეგვენებისგან არის დამოკიდებული (მშვიდად.) ლუცი სეპტიმუს, მაპატიე: რა უფლება აქვს ვერცინგეტორიქსის მკვლელს პომპეუსის მკვლელს უსაყვედუროს? თავისუფალი ხარ. შენცა და დანარჩენებიც. ან თუ გსურს დარჩი, ჩემთან გიშოვი საქმეს.

ლუციუსი. ყველაფერი შენ წინააღმდეგ არის, კეისარო. გტოვებ! (გამობრუნდება და გადის პორტიკით).

რუფუსი (ხედავს, რომ მსხვერპლი ხელიდან უსხლტება და ცხარობს). მაშ, რესპუბლიკელი უოფილა?

ლუციუსი (ჭერს არ გასულა). შენ ვინლა ხარ?

რუფუსი. ცეზარიანელი, როგორც კეისრის ყველა მხედარი.

კამისარი (თავაზიანად). ლუციუს, დამიჯერე, კეისარი ცეზარიანელი არ არის, რაში რომ მართლა რესპუბლიკა იყო, კეისარი პირველი რესპუბლიკელი იქნებოდა, მაგრამ შენ უკვე შენი ირჩიე. მშვიდობით!

ლუციუსი. მშვიდობით! წავიდეთ, აქილას, ვიდრე დრო გვაქვს (დაინახა რუფუსი მეტად რისხდება, კეისარი მას მხარზე ხელს დაადებს და პორტიკიდან დარბაზის შუაგულსკენ წაიყვანს, კეისარს მარჯვნივ ბრიტანუსი მისდევს. ეს ჯგუფი აქილასს გაუთანასწორდება. ის ზიზღით მოშორდება და თეოდოტს მიუახლოვდება. ლუციუსს სეპტიმუსს გაივლის პორტიკს ჯარისკაცთა შორის. მას მისდევენ პოტინი, თეოდოტი, აქილასი და კარისკაცი. ჯარისკაცები გაატარებენ რა მათ, შეჭვუფდებიან და უცერემონიოდ ერეკებიან. მეფე დარჩება თავის ტახტზე, მას სახე და ხელები უკრთის, რუფუსი ბრაზით ბუზღუნებს).

რუფუსი (ლუციუსს თვალს გააყოლებს). როგორა გგონია, ის ჩვენ დაგვიწოდებდა, ხელთ რომ ჩავვარდნოდით?

კამისარი. რა უფლება მაქვს ვიფიქრო, ჩემზე უარესს იზამდა.

რუფუსი. კვი

კამისარი. რუფუსი მე რომ ჩემს მაგალითად, ლუციუსს სეპტიმუსი დამესახა, მას დავმსგავსებოდი და კეისარი აღარ ვყოფილიყავი, ვანა ჩემთან სამსახურს ვანაგრძობდი?

ბრიტანუსი. კეისარი! სად არის შენი სალი გონება! შენი მოვალეობაა რომის წინაშე — მოუსპო რომის მტრებს მისი ვნების საშუალება. (კეისარი სტებება თავისი ბრიტანელი მდივნის საქმიანი მორალით და ილიმება.)

რუფუსი. შენი ლაპარაკით არაფერი გამოვა ბრიტანუსს, გაუფრთხილდი შენს სუნთქვას, შვრიის ფაფის გასაციებლად მაინც გამოგადგება. სულგრძელობა კარგი საქმეა, კეისარო, მაგრამ რა შედეგი ექნება მას შენი ლაშქრისათვის, რომელსაც ხვალ მათთან მოუხდება შებრძოლება, ვისაც შენ დღეს თავისუფლება აჩუქე? ბრძანე, რაცა გსურს, ხოლო გეტყვი, რომ შენი შემდეგი გამარჯვება სისხლის ნიაღვარი იქნება და სწორედ შენი ღმობიერების წყალობით. მე, მაგალითად, ტყვედ არ წამოვიყვან, მტრებს ბრძოლის ველზევე დავხოცავ და მაშინ ღმობიერებაზე. იმდენი იქადაგე, რამდენიც გენებოს: მე მათთან ბრძოლა აღარ მომიხდება. ეხლა კი, თუ ნებას მიბოძებ, იმ ხალხის გასაცილებლად ვიზრუნებ. (უნდა გავიდეს).

კამისარი (შენიშნავს პტოლომეს). ეს ბავშვი მარტო დასტოვეს! რა საზიზღრობაა!

რუფუსი (პტოლომეს ხელს მოჰკიდებს და აიძულებს წამოდგეს). წავიდეთ, თქვენო დიდებულებო!

პტოლომე (ცდილობს ხელიდან გაუსხლტეს). ეს ჩემი სასახლიდან მაგდებს!

რუფუსი (მოქეშული). თუ გსურს, შეგიძლია დარჩე.

კამისარი (ალერსიანად). წადი, ბიჭოკო, მე შენ არაფერს დაგიშავებ, მაგრამ უკეთესია შენს მეგობრებთან იყო. აქ ღომის ბუნაგში ხარ!

პტოლომე (უცქერის რუფუსს). მე ტურასი მეშინია, არა ღომისა! (გაღის.)

კამისარი (იციინის). უოჩაღ, ბიჭო!

კლემენტრა (ეკვიანობს და ბრანშორეული მიძახებს პტოლომეს). სულელო, გგონია ძლიერ ეკვიანური რამ თქვი?!

კამისარი. ბრიტან, იზრუნე შეფისათვის, იმ პოტინს. ჩააბარე (ბრიტანუსი, გაღის).

რუფუსი (მიუთითებს კლემენტრაზე). ამას რაღა ვუყოთ? მაგრამ ეგ შენი საქმეა, როგორც გინდა, ისე მოიქეცი.

კლემენტრა (გაწითლდება). გინდოდა მეც დანარჩენებს გავყოლოდი?

კამისარი (ჩაფიქრებული ამოიხრება და პტოლომეს ტახტთან მივა; კლემენტრა ეცდის მის პასუხს გაწითლებული სახით. მუშტებად შეკუმშული ხელებით). ისე მოიქეცი, როგორც გენებოს, კლემენტრა.

კლემენტრა. მაშ შენთვის ხუდი ერთი ყოფილა, დავრჩები თუ არა?

კამისარი (ილიმება). რასაკვირველია, ჩემთვის უფრო სასიამოვნო იქნება, თუ დარჩები.

კლემენტრა. მეტად, მეტად სასიამოვნო?

კამისარი (ეთანხმება). მეტად, მეტად სასიამოვნო!

კლემენტრა. რადგანაც მთხოვ, დავრჩები. მაგრამ იცოდეთ, დარჩენა არ მინდოდა.

კამისარი. მესმის, რასაკვირველია. ტოტატიტა!

(ფტატატიტა, რომელსაც პორტიკის საფეხურებზე ეძინა, შეხედავს კეისარს დაღვრემილი თვალებით, მაგრამ ადგილიდან არ იძვრის.)

კლეოპატრა (იციანს). ამის სახელი ფტატატიტა და არა ტოტატიტა. ფტატატიტა (ფტატატიტა წამოდგება და კლეოპატრას მიუახლოვდება.)

კეისარი. ფტატატიტა აპატიებს მაგ შეცდომას რომაელს. ტოტა, დედოფალი აქ აღიქვანდრიაში იცხოვრებს. უშოვე მოსამსახურეები, იზრუნე ყველაფერსა და დაეცე საკიროსა.

ფტატატიტა. მე ვიქნები დედოფლის კარის მმართველი?

კლეოპატრა (მკაცრად). არა, ჩემი კარის მმართველი მე თვით ვიქნები. წადი და შეასრულე, რაც გიბრძანებს, თორემ, ეხლავე ნილოსში გადაგადგებიან საცოდავი ნიანგების მოსაწამლავად.

კეისარი (უხერხულობასა გრძნობს). ო, არა, არა!

კლეოპატრა. ო, დიახ, დიახ! შენ მეტად მგრძნობიარე ხარ, კეისარო, მაგრამ გონიერი, თუ ჩემს ხიტყვას დაუჭერებ, მაღე სახელმწიფოს მმართველობას ისწავლი. (კეისარი სრულიად გაოცებულია ამ უტიფრობით; შედის ტახტზე მჯდომარე მობრუნდება და კლეოპატრას უყურებს. ფტატატიტა დაღვრემილი იღიმება და გადის. კეისარი და კლეოპატრა მარტო რჩებიან.)

კეისარი. კლეოპატრა, ბოლოს და ბოლოს, მე მგონი, იძულებული ვიქნები შეგკამო!

კლეოპატრა (კეისარს ახლოს დაეშვება მუხლებზე და უმზერს მკვირცხლად, ნაწილობრივ გულწრფელი, ნაწილობრივ ხელოვნური ინტერესით, რათა დაანახვოს, თუ რამდენად ჭკვიანია). ეხლა პატარა ბავშვივით კი ნულარ მელაპარაკები.

კეისარი. მართალია, შენ გაიზარდე იმ დამის შემდეგ, რაც სფინქსმა ერთმანეთს გაგვაცნო. მაგრამ შენ უკვე გგონია, რომ ჩემზე მეტი გაგეგება?

კლეოპატრა (ცდილობს გაშართლდეს). არა, ეს სისულელე იქნებოდა. რასაკვირველია, მესმის. მაგრამ... (უეცრივ) მითხარი, შემდურები?

კეისარი. არა.

კლეოპატრა (საბოლოოდ არ უჯერებს). მაშ რადა ხარ ეგრე ჩაფიქრებული?

კეისარი (წამოდგება). მე სამუშაო მაქვს, კლეოპატრა.

კლეოპატრა (დაიხვეს). სამუშაო? (ნაწყენი). შენ ჩემთან ლაპარაკი მოგებურდა, გინდა მომიშორო და საბაბს იგონებ.

კეისარი (კვლავ დაქდება). კარგი, ერთი წამი კიდევ, შემდეგ კი უნდა ვიმუშაო.

კლეოპატრა. იმუშაო! რა სისულელეა! ნუ გავიწყდება, რომ შენ ახლა მეფე ხარ, მე ხომ შენ მეფობა მოგეცი. მეფეები კი არა მუშაობენ.

კეისარი. მართლა? ეს ვინ გითხრა შენ, ფისუნია?

კლეოპატრა. მამაჩემი ეგვიპტის მეფე იყო და არასოდეს მუშაობდა. მაგრამ ის დიდი მეფე იყო და ჩემს დას თავი გააგდებინა იმისათვის, რომ აუჯანყდა და ტახტი წაართვა.

კეისარი. კარგი და როგორ დაიბრუნა მან ტახტი?

კლეოპატრა (მკვირცხლად, თვალები უბრწყინავს). გეტყვი. უდაბნოს მხრივ მოვიდა ახალგაზრდა ვაჟკაცი, ძლიერი მრგვალი მკლავებით და თან მოჰყვა მრავალი მხედარი. მან მოჰკლა ჩემი დის ქმარი და მამას ტახტა დაუბრუნა. (მოწყენით). მაშინ მხოლოდ თორმეტი წლისა ვიყავი. ნეტავ კიდევ მოვიდოდეს ეხლა, როდესაც უკვე დედოფალი ვარ. მე მას ქმრად შევირთავდი.

კეისარი. ეგ იქნებ მართლა მოხერხდეს; ის ლამაზი ვაჟკაცი მამაშენის დასახმარებლად შე გამოვგზავნე.

კლეოპატრა (აღტაცებით). იცნობ იმას?

კეისარი. ვიცნობ.

კლეოპატრა. ის შენთან ერთად მოვიდა? (კეისარი უარას ნიშნად თავს აქნევს, კლეოპატრა იმედგაცრუებულია.) ო, როგორ მენატრება, მენატრება. ნეტავ ცოტა დიდი მაინც ვიყო, რომ იმანაც შენსავით პატარა კატად არ ჩამთვალოს. ეს ალბათ იმიტომ, რომ შენ მოხუცი ხარ. ის ხომ შენზე ბევრად, ბევრად ახალგაზრდაა, არა?

კეისარი (თითქოს წამლის აბი გადაეცლაპოს) ის ჩემზე ცოტა ახალგაზრდაა.

კლეოპატრა. როგორა გგონია, შევირთავს. თუ შევეხვეწები?

კეისარი. შეიძლება.

კლემოპატრა. მაგრამ არა მსურს შევეხვეწო. შეგიძლია შენ დააჭერო, თვით შემეხვეწოს და ის კი არ იცოდეს, რომ შე ეს მინდა?

კეისარი (შეწუხებული კლეოპატრას გულუბრყვილობით ლამაზი გაეკიდეს ხასიათის შესახებ) საბრალო ბავშვო!

კლემოპატრა. ისე ლაპარაკობ, თითქოს გებრალეები, განა მას ოდესმე შეგარებულს შეგეცქიალი?

კეისარი. მგონი, ეგრე უნდა იყოს.

კლემოპატრა (ცრემლმორეული). მაშ, შე მისი პირველი სიყვარული არ ვიქნები?

კეისარი. არა მგონია. ქალები მას ეთაყვანებიან.

კლემოპატრა. შე კი მინდოდა პირველი ვყოფილიყავი, მაგრამ სულ ერთია — თუ შემეყვარებს, ვაძლევ დაწარჩენები დახოცოს. მითხარი, ის ისევე ლამაზია? მისი მძლავრი მკლავები მზეში კვლავ მარმარილოსავით ბრწყინავს?

კეისარი. ის ძლიერ კარგადა გრძნობს თავს, თუ გავითვალისწინებთ ქამა-სმის მადას.

კლემოპატრა. ნუ, ნუ ამბობ ეგრე, ნუ ისხენიებ ეგრეთი მდაბიო, მდაბალი სიტყვებით, ხომ იცი, შე ის მიყვარს... ის ღმერთია.

კეისარი. ის საუცხოო სარდალია და უფრო ფეხმარია, ვიდრე სხვა ვინმე რომში.

კლემოპატრა. მისი ნამდვილი სახელი?

კეისარი (გაცვირვებით). ნამდვილი სახელი?

კლემოპატრა. დიას. შე მას გორს ვეძახი იმისათვის, რომ გორი ჩვენს ღმერთებს შორის ულამაზესია. მაგრამ შე მინდა მისი ნამდვილი სახელი გავიგო.

კეისარი. მარკუს ანტონიუსი.

კლემოპატრა (გაბმით) მ-არ-კ-უს ა-ნ-ტ-ონი-უს, მ-არ-კ-უს ა-ნ-ტ-ონ-ი-უს, რა ლამაზი სახელია! (მოეხვევა კეისარს.) როგორ მიყვარხარ, რომ ის მამაჩემის დასახმარებლად გამოგზავნე. შენ მამაჩემი ძლიერ გიყვარდა?

კეისარი. არა, მაგრამ მამაშენი, როგორც სთქვი, სულ არა მუშაობდა, შე კი მუდამ ვმუშაობ, და როდესაც მან გვირგვინი დაკარგა, თექვსმეტი ათას ტალანტს დამპირდა. რათა მისი უკან დაბრუნებისათვის დავხმარებოდი.

კლემოპატრა. და იმან გადაგიხადა ეს თანხა?

კეისარი. არა, ჭერ კიდევ აკლია.

კლემოპატრა. ის მართალია, — ძვირს მოითხოვ. მთელი ქვეყანა თექვსმეტ ათას ტალანტად არა ღირს.

კეისარი. ეს შეიძლება სწორე იყოს, კლემოპატრა. იმ ეგვიპტელებმა, რომელნიც მუშაობენ იმდენი გადაიხადეს, რამდენიც მას შეეძლო გადაეხდევინებინა. დანარჩენი ჭერ გადაუხდელია და ალბათ ვერც მივიღებ; ამისათვის უნდა მუშაობას დავუბრუნდე. შენ კი უნდა წახვიდე და ჩემს მდივანს დაუძახო.

კლემოპატრა (ლაქუციო) არა, მინდა დავრჩე და შენ უნდა მარკუს ანტონიუსის ამბავი მომიყვე.

კეისარი. შე თუ არ ვიმუშავე, პოტინი და დანარჩენები ნავსადგურს დაეპატრონებიან და რომისკენ გზას მოგვიჭრიან.

კლემოპატრა. მერე რა უშავს შე არ მინდა შენ რომში დაბრუნდე!

კეისარი. მაგრამ ხომ გინდა რომიდან მარკუს ანტონიუსი მოვიდეს?

კლემოპატრა (წამოხტება). მართლა, სულ დამავიწყდა! ჩქარა, კეისარო, იმუშავე და რომიდან გზა, დეე, ხსნილ იყოს ჩემი მარკუს ანტონიუსისათვის! (გარბის და წღვით მარკუსს ანტონიუსს კოცნას უკზავნის.)

კეისარი (სწრაფად მიდის პორტიკოსაკენ). ოოო, ბრატანუს! (გახცვიფრდება, დაინახავს რა დაჭრილ რომაელ ჯარისკაცს, რომელიც უცქეოის მას ზემო საფეხურიდან). რა მოხდა?

ჯარისკაცი (უჩვენებს დაჭრილ ხელს). აი, კეისარო! და ორი ჩემი ამხანაგი ბაზრის მოედარზე მოკლეს.

კეისარი (მშვიდად, მაგრამ ძლიერ სერიოზულად). რისთვის?

ჯარისკაცი. ალექსანდრიაში მოვიდა რაზმი, რომელსაც რომის ლაშქარს უწოდებენ.

კეისარი. რომის საოკუპაციო ლაშქარი. მერმე?

ჯარისკაცი. მისი სარდალი ვიდაც აქილასია.

კეისარი. მერმე?

ჯარისკაცი ეს ლაშქარი რომ ქალაქში შემოვიდა, მოქალაქეები ავვიმხედრდნენ. შე ორ ამხა-

ნაგთან ერთად ბაზარში ვიყავი, როდესაც ეს ამბავი მოვიდა. თავს დაგვეხსნენ. მე როგორც იყო, გზა გავიკაფე. აი!

კეისარი. კარგი, მოხარული ვარ, გადარჩენილხარ. (სწრაფად მიმოდის რუფუსს, ზევიდან ქუჩას დასტკერის.) რუფუს, ჩვენ ალყა შემოგვარტყეს!

რუფუს. როგორ, უკვე?

კეისარი. დღეს თუ ხვალ, სულ ერთია! ჩვენ უნდა ალყა შემოგვარტყას!

ბრიტანუს (შემობრბის). კეისარო...
კეისარი (დაასწრებს). ვიცო, (რუფუსი და ბრიტანუსი გაირბენენ ღარბაზში კეისარის წინ. კეისარი პორტიკთან დგას, მიმართავს ჯარისკაცს). მეგობარო, გადაეცი ბრძანება, ზღვის ნაპირთან მოგროვდნენ, ხომალდების ახლო. მოუარე ჭრილობას, წადი. (ჯარისკაცი მიდის, კეისარი მიუახლოვდება ბრიტანუსს და რუფუსს.) რუფუს, ნავსადგურის დახავლეთ ნაწილში ჩვენი ხომალდებია, საჭიროა ცეცხლი წავუკიდოთ.

რუფუს. ხომალდებს ცეცხლი წავუკიდოთ?

კეისარი. აღმოსავლეთის ნავსადგურიდან ყველა გემები გამოიყვანე და კუნძული ფაროსი დაიჭირე; ეს ის კუნძულია, სადაც ფანოსია აგებული. ლაშქრის ნაწილი ხმელეთზე დარჩეს — ნაპირი და სასახლის წინ ქუჩა დაიცვას; აქ შინისაკენ გზა ხსნილია.

რუფუს (მეტად აღელვებული). მაშ, ქალაქს ვცლით?

კეისარი. ჩვენ მას არც დავპატრონებივართ, რუფუს. ჩვენ მხოლოდ ეს სასახლე დავიჭირებთ და... რა შენობაა გვერდით?

რუფუს. თეატრი.

კეისარი. ჰო, თეატრსაც ხელიდან არ გავუშვებთ. ის მთელ სანაპიროს ზედ დაჰყურებს. დარჩენი კი — ეგვიპტე ეგვიპტელებისათვის.

რუფუს. კეთილი, მგონი, შენ იცი, როგორც უნდა მოვიქცეთ. სხვა არაფერს იტყვი?

კეისარი. არაფერს. ხომალდებისათვის ხომ ჯერ ცეცხლი არ წაუკიდებიათ?

რუფუს. ნუ სწუხარ — ტყუილად მე დროს არ დავჯარგავ. (ჯარბის.)

ბრიტანუს. კეისარო! პოტინი შენ განცხადებას ელოდება. ჩემი აზრით, საჭიროა მას ჰკუთვნა ახწავლო, ნამეტნავად უტიფრად იქცევა.

კეისარი. სად არის?

ბრიტანუს. აი, იქ გიცდის.

კეისარი. გზა მიეციოთ პოტინს (შემოდის პოტინი, გამომწვევი იერით უყურებს კეისარს.) რაო, პოტინ, რას იტყვი?

პოტინ. ჩვენი ულტიმატუმში უნდა გადმოგცე, კეისარო!

კეისარი. შენ თავისუფალი გზა გქონდა; უნდა გესარგებლა, ვიდრე ომს გამომიცხადებდი. ეხლა კი ჩემი ტყვე ხარ. (მიდის ტახტისკენ და მხრიდან ტოგას ჩამოეშვება.)

პოტინ (განრისხებული). შენი ტყვე? გეხმის, რომ ალექსანდრიაში ხარ, მას მეფე პტოლომე ფლობს ჯარით, რომელიც შენ მცირე რაზმს ასჯერ აღემატება!

კეისარი (უღარდელად მოიხსნის ტოგას და დაადებს სავარძელზე). რა ვუყოთ, მეგობარო! გადი აქედან, თუკი მოახერხებ, და გადაეცი შენს მეგობრებს, ბაზარში რომაელებს ნუღარ დასოცავენ... თორემ მათ ჩემი დიდებული სულგრძელობისა სულაც არაფერი სცხიათ და აღბათ მოგკლავენ. ბრიტანუს, გუშაგებს ბრძანება გადაეცი და ჩემი იარაღი მომიტანე! (ბრიტანუსს ვაღას, რუფუსს შემობრბის.) რა ამბავია?

რუფუს (პორტიკიდან მიუთითებს კეისარის ღრუბელს. რომელიც ნავსადგურში აღის). ხელავ! (პოტინი სწრაფად მიდის პორტიკისაკენ, რათა დაინახოს, რა ხდება.)

კეისარი. როგორ? ცეცხლი უკვე მოედო? შეუძლებელია!

რუფუს. დიას, ხუთ საუცხოო ხომალდს და უოკელ მათგანს გამობმული ბქონდა ზეთით დატვირთული ნავი, მაგრამ ეს ჩემს ხელს არ გაუკეთებია. დასავლეთის ნავსადგური ეგვიპტელებმა ჩაივდეს.

კეისარი (ცოტა აღელვებით). ნავსადგური? ფანოსი, რუფუს?

რუფუს (განრისხებული მიუახლოვდება კეისარს და ყვარს). ხუთ წამში ხომ მთელ ლეგიონს ხომალდებზე ვერ ავიყვანდი. პირველი კოჰორტა უკვე ნაპირზეა. მეტას გაკეთება შეუძლებელი იყო. თუ გსურს საქმე დაჩქარდეს, წადი და შენ თვითონ მოუარე.

კეისარი (ამწვილებს მას). კეთილი, კეთილი დაშვიდდი, რუფუს!

რობათაგანია. შემდეგ წლებში სერიოზულად და ოფიციალურად ბრიტანეთის დამპყრობა ნიშნავდა).

რუფუს (ყვირის). წინ, გარდა კეისრის მოწინავე ხომალდისა, კეისრის მცველნი, მზად! (მოიხედავს.) რა იქნენ ის ეგვიპტელები? კვლავ სულგრძელობა? შენ გაუშვი?

კეისარი (ჩაიცინებს), თვალმოკლე გავუშვი, ბიბლიოთეკა უნდა გადაარჩინოს ჩვენ უნდა პატივსა ვცემდეთ ლიტერატურას. რუფუს.

რუფუს (გაცოფებული). ამ შემთხვევაში ბოლო არ ეღება! რომ შეგეძლოს, შენ ენაწიანაში, გალრიაში, თესალიაში ყველა დახოცილო, მგონი, საფლავიდან აღადგენდი, რათა განზრახ მათ წინააღმდეგ ომებით დაგეტვირთე.

კეისარი. ღმერთები ქვეყანას ალბათ დაანგრევდნენ, თუ მხოლოდ იმას იფიქრებდნენ, რომ შემდეგ წყნარად ეცხოვრათ (რუფუსი პყარგავს უკანასკნელ მოთმინებას და ბრან-მორეული ზურგს შეაქცევს; კეისარი მას ზელს მოჰკიდებს და ეშმაკურად ეუბნება.) გარდა ამისა, მეგობარო. თვითეულ ეგვიპტელ ტყვეს ორი რომაელი და რაჭი დასჭირდება. ეხლა რას იტყვი?

რუფუს. ჰო! უნდა მცოდნოდა, რომ შენი დიადი სიტყვების უკან მელას ეშმაკობა იმალება. (მოშორდება მხრების აწევით. კვლავ ნაპარს შეხედავს და ბოლოს გადის.)

კეისარი. დაიძინა ბრიტანმა? უკვე ერთი საათია იარაღის მოსატანად გავგზავნე. ბრიტანიკუს! ბრიტანეთის კუნძულელნი (შემორბის კლეოპატრა კეისრის მუზარადით და ხმლით კეისარს მიუახლოვდა, მას მოსდევს ბრიტანუსი სამკერდულით და სამუბლებით.)

კლემენტა. დაქექი, კეისარო, მე შეგმოსავ (კეისარი შორილდება.) რა ლამაზია ეს რომაული მუზარადები! (მოხდის კეისარს გვირგვინს.) ახ! (ძლიერი სიცილი).

კეისარი. რად იცინი?

კლემენტა (გაბნით). შენ მელოტი ყოფილხარ!

კეისარი (თითქმის ვულგარულად). კლემენტა! (ადგება, რათა სამკერდული დაუმაგროს ბრიტანუსმა.)

კლემენტა. აი, რისთვის ატარებ გვირგვინს! რომ არავინ შეგამჩნიოს!

ბრიტანუს. გაჩუმდი, ეგვიპტელნი ეს გამარჯვებულის გვირგვინია (უმაგრებს სამკერდულს).

კლემენტა. შენ თითონ გაჩუმდი, კუნძულელნი (მიუბრუნდება კეისარს.) კეისარო, შენ უნდა შექრის წვენით იზილო თავის ქალა, თმას ამოგიყვანს.

კეისარი (უგემური გამოხეტყველებით). კლემენტა, გინდა მოგაგონო, რომ შენ ძალზე ახალგაზრდა ხარ!

კლემენტა (მწყურვლად). არა.

კეისარი (დაჯდება და ფეხს გააშვერს, ბრიტანუსი სამუხლეს უმაგრებს). მეც არ მომწონს, როცა მაგონებენ, რომ მე უკვე შუა ხნის კაცი ვარ. გინდა ჩემს ზედმეტ ათიოდუ წელს გაჩუქებ. მაშინ ოცდაექვსი წლისა 'მეიქნები, მე კი.. მე.. ეს საინტერესო არ არის. თანახმა ხარ?

კლემენტა. კარგი. გახსოვდეს — ოცდაექვსი წლისა ვარ. (აბურავს მუზარადს.) რა ლამაზია! ეხლა კაცი ორმოცდაათ წელზე მეტს ვერ მოგცემს.

ბრიტანუს (შეცხრად უყურებს კლემენტას). კეისარს ეგრე არ ელაპარაკებია.

კლემენტა (ბრიტანუსს). მითხარი, მართლა თავიდან ფეხებამდე ლურჯად იყავი შედებილი, კეისარმა რომ კუნძულზე დაგაჭირა?

ბრიტანუს. ლურჯი ფერი ბრიტანელ კეთილშობილთა ფერია. საომრად რომ მივდივართ სხეულს ლურჯად ვიღებავთ და, თუ მტერი ტანსაცმელსა და სხეულს წაგვართმევს, კეთილშობილებას ვერაფერს დააკლებს. (წამოდგება.)

კლემენტა (ხმალი უჭირავს). მოდი ხმალი მე შემოგარტყამ. ეხლა დიდებული ხარ. რომში აქვთ შენი ქანდაკება?

კეისარი. მრავალი.

კლემენტა. ერთი მაინც მოატანინე და მე მაჩუქე.

რუფუს (დაბრუნდა, უფრო დიდი პოუთმენლობით). პორჩით ხაუბარს, კეისარო? ფეხს შესდგამ თუ არა ხომალდზე, ჩვენებს ველარ გაჩერებ: ხომალდები ფანოსისაკენ გაფრინდებიან!

კეისარი (ამოიძრობს ხმალი და პირს უსიხვავს). კარგად არის გაღვნილი, ბრიტან? ფარსალასთან ბლაგვი იყო, როგორც რკინის საღებო.

გრიტანუს ეგვიპტური თმის ბეწვს ორად გააბობს. თვით მე გავლესე.

კლეოპატრა (შეშინებული კეისარს მოეხვევა). შენ მართლა საომრად ემზადები? რომ მოვკლან?

კეისარი. არა, კლეოპატრა, საომრად მიმავალი სიკვდილს არა ფიქრობს.

კლეოპატრა. მაგრამ ომში ხომ იხოცებიან. ჩემი დის ქმარი ომში მოკლეს. შენ ნუ წახვალ. აი, ეს წავიდეს. (მიუთითებს რუფუსს, ისინი იცინიან) გეთაყვა, ნუ წახვალ, რაღა შეშველება, შენ რომ აღარ დაბრუნდე?

კეისარი (სერიოზულად). გეწინია?

კლეოპატრა. არა.

კეისარი (მშვიდი, მბრძანებელი კილოთი). გადი აივანზე, იქიდან დაინახავ, როგორ დავიჭერთ ფაროსს. ბრძოლის ცქერას უნდა შეეჩვიო. კლეოპატრა შეწუხებული მიდის აივანისაკენ). ეგრე, აბა, რუფუს, გამიძებ.

კლეოპატრა (ტაშს უტრავს). ნახეთ, ვეღარ გახვალთ.

კეისარი. რაო? რა ამბავია?

კლეოპატრა. უყურე, აგერ იქ. სათლებით, წყალს აშრობენ! (უჩვენებს მარცხნივ.) მრავალ ჯარისკაცს მოუყრია თავი, მთელ წყალს გამოლივეს.

რუფუს (სწრაფად თვალს მოაგვებს). მართალია. ეგვიპტის ლაშქარი! დასავლეთის ნავთსადგურში კალიას გუნდით მოუყრია თავი (ყვირის.) ეს შენა და შენი წყეული სულგრძელობაა, კეისარო! მათ თეოდოტე მოიყვანდა.

კეისარი (აღტაცებული, რომ მისმა ხერხმა გასკრა). მეც სწორედ ეგ მინდოდა, რუფუს, ისინი ხანძრის ჩაქრობას ცდილობენ, ბიბლიოთეკით გაერთობიან და ამასობაში კი ჩვენ ფანოსს დავიჭერთ. ნახე? (ჩქარა გადიან ბრიტანუსთან ერთად.)

რუფუს (ბრაზმორეული). კვლავ ხერხი! (გარბის.)

(ჯარისკაცების ყვირილი ქვემოთ აუწყებს, რომ კეისარი გამოჩნდა.)

ცენტურიონი (ქვემოდან). ყველა ხომალდზე! გზა! (კვლავ ღრიანცელი.)

კლეოპატრა (იქნევს შარფს). მშვიდობით, მშვიდობით, კეისარო! კეთილად დაბრუნდი, მშვიდობით!

მესამე აქტი

სანაპიროს ერთი კუთხე სასახლის წინ. მოჩანს აღმოსავლეთის ნავთსადგური და მის იქით — კუნძული ფაროსი. კუნძულიდან ზღვაში იჭრება ვიწრო დამბა. მის ბოლოს ცნობილი ფაროსის შუქურაა ვებერთელა ოთხკუთხი თეთრი მარმარილოს კოშკი, რომელიც თანდათან ვიწროვდება, სადაც არის მოთავსებული ფანოსი. კუნძული შეერთებულია სანაპიროს კვებტასტადიუმით — დიდი, ხუთმილიანი დამბით, რომელიც ნავსადგურს სამხრეთით აკრავს.

სანაპიროზე დგას რომელიღაც გუშაგი ხელში შეებით. ის ყურადღებით იცქირება ფანოსისაკენ. მის შუბს ცილინდრული მოყვანილობის ბუნი (ხის ტარი) აქვს სიგრძით 4 1/2 ფუტი და ამ ბუნს წამოცმული აქვს რკინის ლახვარი სიგრძით 3 ფუტი, გუშაგი ისეა გართული ფანოსისაკენ ყურებით, რომ ვერ ამჩნევს, რომ სანაპიროზე გამოჩნდება ოთხი ეგვიპტელი ტვირთმზიდველი, რომლებსაც დახვეული ხალიჩები მოაგვთ. მათ შორის ფტატატიტა და სიცილიელი აპოლოდორია. აპოლოდორი მოხდენილი ახალგაზრდაა 24 წლისა; აცვია დიდი გემოვნებით, ციაგი ქიაფერი და სოსან-ნაცრისფერი ტანსაცმელი, ბრინჯაოს, დასველებული ვერცხლის, ქარვის და აგატის მორთულობით. არტყია დიდი ხელოვნებით გაკეთებული ხმალი, რომელიც საშუალო საუკუნეების ჯვარს ემსგავსება; ამ ხმლის ცისფერი პირის ფოლადი მოჩანს ფელიგრანით შემკულ წითელი ტყავის აფურულ ქარქანიდას. ფტატატიტა და ტვირთმზიდველები გუშაგს უკან გაუვლიან და სასახლის კიბესთან მიდიან; ტვირთს პირს დაუშვებენ და მიწაზე დასხდებიან. აპოლოდორი ცოტა ჩამორჩება მათ, შეჩერდება და გუშაგს უცქერის.

აპოლოდორი (გუშაგს). შეი, ვინ მოდის.

გუშაგი (შეკრთება, მობრუნდება, შუბს მოიპარჩევს; გუშაგი შუა ტანის პირობელი, კუნ-

თეზიანი ქერა ახალგაზრდაა, ძლიერ პატიოსანი, მოხუცის სახით). რა? შესდექ! ვინა ხარ?

აკოლოდორ. მე აპოლოდორი ვარ, სიცილიელი. ერთი მითხარი, რასა ოცნებობ? რატრი-დან თქვენი საგუშაგოების შორის გამოვიარე: სამი კაცისაგან შემდგარ ჩემი ქა-რავანი სამი გუშაგის ცხვირწინ გამოვატარე და უველა ისე გართულიყა ფანოსის ცქერით, ერთიც არ გამომეხმაურა. ეს არის რომაული დისციპლინა? უნდა

გუშაგი. ჩვენ აქ ზღვისკენ გვიჭირავს თვალი, არა ნაპირისაკენ. კეისარე ეს არის? უნდა ადგა ფანოსს. (უცქერის ფტატატიტას.) შენთან ვინ არის? ვინ არის ეს ეგვიპტელი მაჭლაჭუნა?

ფტატატიტა. აპოლოდორ, გაუჭავრდი ამ რომაელ ქოფაკს და უთხარი, დედოფლის კარის მმართველის, ფტატატიტას წინაშე ენა დაიმოკლოს.

აკოლოდორ. მეგობარო, ეს ღირსეული მანდილოსანია, თვით კეისარიც მას პატივსა სცემს. გუშაგი (ეს გუშაგზე შეთბეჭდილებას არ ახდენს) ეს რაღაა?

აკოლოდორ. ხალიჩებია, მეგობარო, დედოფლის ოთახებისათვის სასახლეში. მე უკეთესთა შორის საუკეთესო ამოვარჩიე, დედოფალი კი ჩემს არჩეულთაგან საუკეთესოებს აირჩევს.

გუშაგი. მაშ, შენ ხალიჩების ვაჭარი უოფილხარ?

აკოლოდორ. (ეამწყრალი). მე პატრიცი ვარ, მეგობარო.

გუშაგი. პატრიცი? პატრიცის მალაზია გაუხსნია იმის ნაცვლად, რომ იომოს?

აკოლოდორ. მე მალაზია არა მაქვს. მე მოგვი ვარ — ხელოვნების ტაძარში. მე თაყვანსა ვცემ მშვენიერებას. ჩემი დანიშნულებაა მშვენიერი ნივთების აღმოჩენა მშვენიერი დედოფლისათვის. ჩემი ლოზუნგია — ხელოვნება ხელოვნებისათვის.

გუშაგი. მე ეგ სამხილი არ ვიცი.

აკოლოდორ. ეს ხომ მსოფლიო სამხილია.

გუშაგი. მე არავითარი მსოფლიო სამხილი არ ვიცი. ან დღევანდელი სამხილი მითხარი ან არა და წაეთრიე შენს დუქანში. (ფტატატიტა ჭარისკაცის მტრული ტონით აღელეუ-ბული ვეფხვის ნაბიჯით ნაპირისაკენ მიიპარება და გუშაგის უკან გაჩერდება).

აკოლოდორ. და თუ არც ერთს, არც მეორეს არ შევასრულებ?

გუშაგი. მაშინ ამ შუბს წამოგაცვამ!

აკოლოდორ. როგორც გენებოს, მეგობარო! (ამოიძრობს ხმალს და თაფდაცვის ლამაზ პოზას მიიღებს.)

ფტატატიტა (უცქრივ გუშაგს უკნიდან ხელს დაუჭერს). ჰეა ამ ქოფაკს, აპოლოდორ! (აპო-ლოდორი იცინის, თავის ქნევით მიდის სასახლისაკენ და ხმალს ძირს დაუშვებს).

გუშაგი (ამოდ ცდილობს ფტატატიტას ხელიდან დაუსხლტეს). წუელიმც იყავ, გამიშვი პეი, გუშაგებო, აქეთ!

ფტატატიტა (გუშაგს ფეხზე წაწოყენებს). ჰეა უწმინდურ რომაულ გველს, განგმირე მახ-ვილით! (სანაპიროს ჩრდილო ბოლოდან მორბიან ორი რომაელი მხედარი და ცენ-ტურიონი. ისინი ფტატატიტას გადაადგდებენ და გუშაგს გაანთავისუფლებენ. ფტა-ტატიტა მიწაზე დაეცემა.)

ცენტურიონ (50 წლისა, უკმეხი, ლაპარაკი და ვესტება არ უყვარს, ხელში ვაზის კვერთხი უჭირავს). რა იყო? რა ამბავია?

ფტატატიტა (აპოლოდორს). რატომ არ მოგკალი? ხომ მოასწრებდი?

აკოლოდორ. მე აქ დედოფლას ბრძანებითა ვარ, რათა...

ცენტურიონ. დედოფლის? კარგი. (გუშაგს). გაუშვი. ვაჭრები შეგიძლიან შეუშვა დედოფალ-თან, იცოდე, სასახლიდან არავინ გამოუშვა, ვინც უნდა იყოს, — თვით დედო-ფალიც.

გუშაგი. ეს ბებრუხუნა სახიფათოა. სამი ვაჟკაცის ღონე აქვს. ვაჭარს ჩემი მოკვლისათვის აქეზებდა.

აკოლოდორ. ცენტურიონ, მე ვაჭარი არა ვარ, მე პატრიცი ვარ და ხელოვანი.


ცენტურიონ. ეს დედაკაცი შენი ცოლია?

აკოლოდორ (შეშინებული). არა, არა! უნდა ნათქვამი შეარბილოს) რასაკვირველია, ამ მან-დილოსანს, უეჭველია, თავისი განსაკუთრებული ღირსება აქვს, მაგრამ ჩემი ცოლი არ არის!

ფტატატიტა. რომაელო, მე დედოფლის სახლთუხუცესი ვარ.

ცენტურიონი. ჩვენს ქარისკაცებს შორს მოუარე, ქალბატონო, თორემ წყალში გადაგადებთ, თუნდაც ათჯერ უფრო ღონიერი იყო. (მიმართავს ქარისკაცებს.) ადგილზე!.. წა! (მიდის ორ გუშაგთან ერთად.)

ფტატატატიტა. ვნახოთ, ვინ უფრო უყვარს იზიდას: თავისი მონა თუ რომელიმე ძაღლი? გუშაგნი (აპოლოდორს, შუბს გაიშვერს სასახლისაკენ). შეგიძლიან შეხვიდე, მაგრამ შორს იარე. (მიუბრუნდება ფტატატატიტას). გაბედე ახლო მოხვლა! ნიანგო, ნახავ, ამ შუბით დინგს გამოვლადრავ!



კლეოპატრა (იძახის სასახლიდან). ფტატატატიტა! ფტატატატიტა (შემოთ იხედება, უხერხულობასა გრძნობს) მოშორდი ხარკმელს, აქ მამაკაცები არიან!

კლეოპატრა. მოვდივარ. ფტატატატიტა. არა, არა! არ გაბედო! ო, ღმერთებო, ღმერთებო! აპოლოდორ, უთხარი მუშებს, ხალიჩები აიკიდონ და სასახლეში შეიტანონ.

აპოლოდორ. შეასრულეთ დედოფლის სახლის მმართველის ბრძანება. (მუშები მოიკიდებენ ტვირთს.)

ფტატატატიტა. ჩქარა, ჩქარა, თორემ დედოფალი აქ ჩამოვა. (მაგრამ კლეოპატრა უკვე გამოვიდა სასახლიდან და ფტატატატიტასაკენ მირბის.) ნეტამც არ გავჩენილიყავ! რასა ხედავს ჩემი თვალები!

კლეოპატრა (აღელვებული). ფტატატატიტა, ერთი აზრი დამებადა... მე ნავი მჭირდება... ეხლავე!

ფტატატატიტა. ნავი? არა, არ შეიძლება! აპოლოდორ, მოელაპარაკე დედოფალს.

აპოლოდორ. (დიდი თავაზიანობით). მშვენიერო დედოფალო, მე აპოლოდორი ვარ, სიცილიელი, შენი მორჩილი მონა, პირდაპირ ბაზრიდან გეახლები. მოგართვი სამი უმშვენიერესი სპარსული ხალიჩა, რათა სურვილისამებრ ამოირჩიო.

კლეოპატრა. ეხლა ხალიჩებისათვის არა მცალიან — მე ნავი მჭირდება.

ფტატატატიტა. ეგ სადაური დაუინებაა? ზღვაში შენ მხოლოდ სამეფო ხომალდით შეგიძლიან გასვლა!

აპოლოდორ. მეფობას ხომალდი კი არა ქმნის, ფტატატატიტა, არამედ თვით დედოფალი. (მიმართავს კლეოპატრას.) მხოლოდ შენი ფეხის მიკარება უბადრუკ ნავსაც კი სამეფო ხომალდად გარდაქმნიდა. (პირს იბრუნებს ზღვისაკენ და იძახის.) ჰეი, მენავე, აქეთ, საფეხურებისაკენ!

კლეოპატრა. შენ ჩემი საუკეთესო რაინდი ხარ და ამიერიდან მუდამ შენ ამომირჩევ ხალიჩებს. (აპოლოდორი მხიარულად თავს უკრავს. სანაპიროს მოაჭირიდან გამოჩნდება ნიჩბი და მენავე, მრგვალთავა, ცოცხალი, მხიარული ახალგაზრდა, მზებზე დამწვარი, ამოვა და ზემო საფეხურზე იცდის, გუშაგის ახლო, ნიჩბით ხელში.) აპოლოდორ, შენ იცი ნიჩბის მოსმა?

აპოლოდორ. ჩემი ნიჩბები თქვენი უდიდებულესობის ფრთები იქნება, საით ინებებთ დედოფალო?

კლეოპატრა. ფანოსისაკენ, წავიდე. (მიდის საფეხურებისაკენ.)

გუშაგნი (შუბით გზას გადუღობავს). შესდექ! ვერ გაივლი.

კლეოპატრა (განრისხებული). როგორა ბედავ! იცი, მე დედოფალი ვარ?

გუშაგნი. მე ბრძანებას ვემორჩილები, ვერ გაივლი!

კლეოპატრა. მე კეისარს შენ თავს მოვაკვლივინებ, ეგრე რომ მეწინააღმდეგები.

გუშაგნი. უარესი დამემართება თუ ჩემი უფროსის ბრძანებას არ შევასრულებ. უკან!

კლეოპატრა. ფტატატატიტა, დაახრჩვე!

გუშაგნი. (შიშით უყურებს ფტატატატიტას და შუბს აღმართავს). მოსცილდით აქაურობას!

კლეოპატრა. აპოლოდორ, უბრძანე შენს მონებს დაეხმარონ.

აპოლოდორ. მათ დახმარებას არ ვსაჭიროებ, ქალბატონო! (ხმაღს იძრობს.) რომელი იარაღით გსურს თავი დაიცვა, მხედარო? ხმალი შუბის წინააღმდეგ თუ ხმალი ხმლის? გუშაგნი. რომელი საცილიელის წინააღმდეგ, წყეულამც იყავ! მიიღე საჩუქარი! (ესვრას შუბს აპოლოდორს, რომელიც დროზე ერთ მეტლზე დაიჩოქებს და დაეცემა. აპოლოდორი უცნებელია, ის წამოდგება გამარჯვების ყიჟინით და გუშაგს მივარდება. ის ამოიძრობს ხმაღს და თავს იცავს, ამასთან ყვირის.) ჰეი, გუშაგებო აქეთ!

(კლეოპატრა შეშინებული და აღტაცებული მიობის სასახლის მიმართულებით მუშებისაკენ, რომელნიც ხალიჩებზე სხედან. დამფრთხალი მენავე ჩაბრუნს საფეხურებს, მაგრამ შეჩერდება უკანასკნელ საფეხურზე; თავი მოაჯირს ზემოთ აქვს ამოყოფილი, უყურებს ბრძოლას. გუშაგი არახელსაყრელ პირობებში იბრძვის, თან ფტატატიტასი ეშინია ზურგიდან. ის უშინოდ იქნევს ხმალს, რაც უფრო იმით ძნელდება, რომ ზურგიდანაც უნდა თავი დაიცვას. მოდის ცენტურიონი, რომელიც ღარიბად ღიად, აბოლოდორი, დაინახავს რა ახალ მტრებს, კლეოპატრასთან მიიბრუნს.)

ცენტურიონი. რა ამბავია? რა მოხდა?

ბუშაბი (სულს ამოითქვამს). მე ერთიც გავუსწორებოდი, რომ ეს წყეული დედაკაცი არ ყოფილიყო. მომავორე თავიდან ეს ბებრუხუნა, სხვა დახმარებას არა ვსაქიროებ.

ცენტურიონი. მხედარო, წესიერად მოჰყე, რა მოხდა?

მბატბატიბა. მაგას დედოფლის მოყვლა უნდოდა, ცენტურიონ!

ბუშაბი (მტკიცედ). ცხადია, მოყვლას ვარჩევდი, ვიდრე გაშვებას. მაგას სურდა ნავში ჩამჯდარიყო და ფანოსისაკენ გაეცურა — ესე ამბობდა. მე შევაჩერე ბრძანების თანახმად; მაგან კი აი, ეს ვაჟკაცი მომიხია! (ასწევს შუბს.)

ცენტურიონი (მიმართავს კლეოპატრას). კლეოპატრა, მე შენი წყენა არ მინდა, მაგრამ, იცოდე, კეისარის ნებადაურთველად რომაელთა ლაშქრის ხაზის იქით ვერ გაგიშვებთ.

აპოლოდორი. კეთილი, ცენტურიონო! მაგრამ ფანოსი ხომ რომაელთა ხაზის ფარგლებშია მას შემდეგ, რაც ის კეისარმა დაიჭირა.

კლეოპატრა. დიახ, დიახ! აბა, უპასუხე!

ცენტურიონი (მიმართავს აპოლოდორს). აპოლოდორ, ღმერთებს უნდა უმადლოდე, შუბით სასახლის კარს არ მიგაჭედეს იმისათვის, რომ სხვის საქმეში ერევი.

აპოლოდორი (თავაზიანად). ჩემო მხედარო მეგობარო, განა მე იმისათვის გავჩნდი ეგრეთი უბადრუკი, იარაღით მომკლან? თუ დავიღუპები — ხმლით, კეთილშობილი ხელოვნების მსახურისათვის ღირსეული იარაღით და, რადგანაც ხედავ, ჩვენ რომაელთა ხაზის იქით წასვლის განზრახვა არა გვაქვს, ხელს ნუ შემოშლი შენს გუშავს გავუსწორდე და დედოფალთან ერთად დანიშნულებისამებრ წავიდე. (გუშაგი მრისხანედ შეინძრევს.)

ცენტურიონი. ჩუმადი კლეოპატრა, მე იძულებული ვარ ბრძანებას დავემორჩილო და არა იმ სიცილიელის ლაუბობას. სასახლეში შედი და იქ შენი ხალიჩები ათვალიერე.

კლეოპატრა (ეინიანად) არ მინდა, მე დედოფალი ვარ! კეისარი შენსავით როდი მელაპარაკება. ნუთუ კეისრის ცენტურიონებს გაუთლელ გლეხებზე მეტი ზრდილობა არა აქვთ?

ცენტურიონი (დაღვრემილი). მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ, ეს ჩემთვის საკმარისია.

აპოლოდორი. მუდამ ეგრეა: უგუნურის უგუნურება ამხილე და ის თავის მოვალეობაზე დაგიწყებს ლაპარაკს.

ცენტურიონი (მრისხანედ). აპოლოდორ...

აპოლოდორი (გაბედულად და მოხდენით). მზადა ვარ ბოდიში მოვიხადო ჩემი ხმლით ამ შეურაცხყოფისათვის, როცა და სადაცა ვსურდეს. არტისტობა — დუელიანტობა! (მიმართავს კლეოპატრას.) დამიჯერე, აღმოსავლეთის მნათობო: ვიდრე თვით კეისარი არ ჩაერევა, შენ ამ ჭარისკაცების ტყვე იქნები. ნება მიბოძე ვეახლო მას შენი დავალებითა და ძღვენით და, ვიდრე მზე დაისამხრებდეს, შენი განთავისუფლების ბრძანებით აქ გავჩნდები.

ცენტურიონი. და, რასაკვირველია, მაგ ძღვენს დედოფალს შენ თვითონ მიჰყიდი!

აპოლოდორი. ცენტურიონ, დედოფალი უსასყიდლოდ მიიღებს ჩემგან ეგვიპტური მშვენიერებისადმი მიძღვნილ სიცილიური გემოვნების ხარკს მათ შორის საუკეთესო ხალიჩას — ნობათად კეისრისათვის.

კლეოპატრა (გახარებული, ცენტურიონს). ხომ ხედავ, რა უვიცი და ტლანქი კმნილება ხარ!

ცენტურიონი (მშვიდად). სულელს ქონება დიდხანს არ შერჩება (ჭარისკაცებს). ორიც სხვა დარჩებით აქ! უთვალუურეთ, არავინ გამოვიდეს სასახლიდან, გარდა ამ კაცისა ხალიჩებით, და თუ კვლავ გაბედა ხმლის ამოდება, — მოჰკალით! წა! (მიდის, ტოვებს გუშავთან ორ სხვა ჭარისკაცს.)

აპოლოდორი (თავაზიანი კეთილგანწყობალებით). მეგობრებო, არ ისურვებთ სასახლეში შე-

მობრძანდეთ და ჩვენი დავა ღვინის თასში ჩავახრჩოთ? (ამოიღება ფულის ქისას და ფულებს აჩხარუნებს.) დედოფალს თქვენთვის საჩუქარი აქვს მომზადებული. გუშაბი (ძლიერ დაღვრემილად). ხომ გაიგონე, რაც გვიბრძანებს? წადი, შენს საქმეს მიხედე! პირველი ახალი გუშაბსაბანი (აპოლოდორს). შენ რეებსა ბოდავ მოშორდი აქედან! მეორე ახალი გუშაბი (სევდიანად უცქერის ქისას). ნუ აწამებ მხედარს! აპოლოდორ (კლეოპატრას). დედოფალთა მარგალიტო, ცენტურეონი! შენს და რომელი მხედრების მოსუიდეა შეუძლებელია, თუ უფროსი ახდენს კვლავ შენს დავალებას კეისარს მე გადავცემ.

კლეოპატრა (ჩაფიქრებული უცურებს ხალიჩებს). ეს ხალიჩები ძლიერ მძიმეა?

აპოლოდორ. რა უშავს, რომ მძიმეა. მუშები გვეყოფა.

კლეოპატრა. როგორა სდებენ ხალიჩებს ნავში? პირდაპირ ზევიდან გადაისვრიან?

აპოლოდორ. არა. პატარა ნავი ეგრე გადაბრუნდება.

კლეოპატრა (ნავზე უთითებს). ამ ნავსაც გადააბრუნებს?

აპოლოდორ. თუ ტვირთს ზემოდან გადავისვრით, გადააბრუნებს.

კლეოპატრა. მე რომ კეისარს ხალიჩა გავუგზავნო, ამ ნავით შეიძლება მისი წაღება?

აპოლოდორ. რასაკვირველია.

კლეოპატრა. შენ მას ციმციმად ჩაიტან კიბეზე და ძლიერ, ძლიერ გაუფრთხილდები?

აპოლოდორ. შეგიძლია მენდო.

კლეოპატრა. ძლიერ, ძლიერ გაუფრთხილდები?

აპოლოდორ. შეტად, ვიდრე საკუთარ თავსა.

კლეოპატრა. სიტყვას მაძლევ, რომ ნებას არ მისცემ მუშებს გადისროლ-გადმოისროლონ?

აპოლოდორ. მოათავსე უნაზესი ბროლის ქიქა ამ ხალიჩაში და, თუ გატყდა, ჩემი საკუთარი თავით პასუხს ვაგებ, დედოფალო.

კლეოპატრა. კარგი. წამოდი, ფტატატიტა! (ფტატატიტა მივა კლეოპატრასთან, აპოლოდორი აპირებს სასახლეში მიაცილოს.) არა, აპოლოდორ, ნუ წამოხვალ. ხალიჩას მე თვითონ ამოვირჩევ. შენ აქ მოიცადე. (მარბის სასახლისაკენ.)

აპოლოდორ (მუშებს ფტატატიტაზე მიუთითებს). გაჰყევით ამ ქალბატონს და, რასაც გიბრძანებთ, შეასრულეთ. (მუშები აღგებთან და მოიკიდებენ ტვირთს.)

ფტატატიტა (მიმართავს მუშებს გულამრევთ ზიზლით). აქეთ, უნებთ გაიხადეთ, ვიდრე ამ კიბეზე ამოხვალთ. (შედის სასახლეში მუშებთან ერთად. აპოლოდორი მივა მოაჯირთან და ნავსადგურს ათვალეირებს. გუშაგი მას თვალს არ ამორებს.)

აპოლოდორ (გუშაგს). მეგობარო!

გუშაგი (ტლანქად). ჩუმაღ!

მეორე გუშაგი. ხმა გაიკმინდე!

მესამე გუშაგი (ნახევრად ჩერჩულით). ერთ წუთს ვეღარ მოიცდი?

აპოლოდორ. წყნარად, ღირსეულო სამთავა ვირო. (გუშაგები გაბრაზებული ბურტყუნებენ, მაგრამ აპოლოდორზე ეს გავლენას არ ახდენს.) მითხარით, თქვენ აქ მე მიდარაჯებთ თუ ეგვიპტელებს?

გუშაგი. ჩვენ ვიცით ჩვენი ბრძანება.

აპოლოდორ. მერე რატომ არ ასრულებთ? ხედავთ, იქ რა ხდება? (მიუთითებს გრძელ დამბაზე.)

გუშაგი. მე შენისთანებისაგან კკუის სწავლება არა მჭირდება!

აპოლოდორ. შენისთანა დოყლაპიასთან ლაპარაკი არა ღირს! (იდახოს). ჰეი, ცენტურიონ, აქეთ!

გუშაგი. კვლავ ჩვენს საქმეში ერევი, წყუულიმც იყავ! (ყვირის). განგაში, განგაში (შემორბის ცენტურიონ ჯარისკაცებით.)

ცენტურიონ. რა მოხდა? კიდევ არ გეშვება ის მოწუცი დედაკაცი? (შეამჩნევს აპოლოდორს.) შენ ისევ აქა ხარ?

აპოლოდორ (ნავსადგურზე მიუთითებს). დააკვირდით, ეგვიპტელები ამოძრავდნენ, უნდათ ფანოხი დაიბრუნონ. ისინი იერიშს მოიტანენ ზღვითა და ხმელეთით, ხმელეთით გრძელი დამბიდან, ზღვით კი — დასავლეთის ნავსადგურიდან. მზად იყავით, ჩემო ვაჟკაცო მეგობრებო, ნადირობა დაიწყო! (სანაპიროს სხვადასხვა ადგილებიდან საყვირების ხმა ისმის). აგერ! ხომ გითხარი!

ცენტურიონ. ორმა სიგნალი მისცეს სამხრეთ საგუშაგოებს. ერთი დარჩება აქ, დანარჩენებო —

გამომუცთ. სწრაფად! (ორი ჯარისკაცი სამხრეთისაკენ მირბის, ცენტურიონი ორ სხვა ჯარისკაცთან ჩრდილოეთით მირბის, ისმის ბუქცონის ხმა; სასახლიდან გამოდის ოთხი მუშა ტვირთით, მათ მოხდევს ფტატატიტა.)

გუზაბი (დასარტყმელად მომზადებული შუბით). ისევ თქვენ? (მუშები შეთვებად.)

ფტატატიტა. წუნარად, რომაელო, ეხლა მარტო ხარ, აპოლოდორ, ეს ხალიჩა კლუბატრას ძღვენია კეისრისათვის. ხალიჩაში იბერიის უნაზესი ბროლის კაქა და დვთაებრივი ცისფერი მტრედის ანი კვერცხი. არა გატყდეს რა, შენ კატივსება უნდა მომცე თავდებად.

აპოლოდორ. ჩემი თავი იყოს თავდები. (მუშებს). ფრთხილად ჩადეთ ნავში. (მუშები ჩაღიწით ჩაღიწა კიბეზე.)

კირველი მუშა (დაიხრება ნავისაკენ). გაფრთხილდი, ბატონო, კვერცხები, ქალბატონი რომ მოგახსენებთ, თითო თითო გირვანქაზე ნაკლებს არ იწონის. ნავი მეტად მცირეა ეხეთი ტვირთისათვის.

მენავე (აღელვებული ამოიბრუნს კიბეს). უტიფარო, აქლემის ნაბუშარო! (აპოლოდორს მიმართავს.) ჩემს ნავში ხუთი კაცი დაეტევა. ბატონო, ნუთუ თქვენს კეთილშობილებას, ხალიჩასა და კვერცხებს ვერ გაუძლებს? (მუშას.) შენ, კუზიანო აქლემო, ღმერთები დაგხტიან შურიანი ავკაცობისათვის!

მუშა (მცხრალი უგზურებით). ეს ძირს როგორ დავაგდო, თორემ მაგრად გაგტყიპავდი. მაგრამ მაინც მოგასწრებ საღმე.

აპოლოდორ. წუნარად! ნავი კი არა, ერთი ფიცარიც რომ იყოს, კეისრამდე მაინც მივალწევ.

ფტატატიტა (შეირწუნებული). ღმერთების გულისთვის, აპოლოდორ, გაუფრთხილდი ამ ტვირთს.

აპოლოდორ. ნუ გეშინიან, პატივცემულო ურჩხულო! მე ვხვდები, რა ძვირფასი რამეა ამ ხალიჩაში გახვეული. (მუშებს.) ჩაიტანეთ! ფრთხილად, თორემ იმდენსა გცემთ ჯობით, რომ ათი დღე გეყოფათ. (მენავე და მუშები ჩაღიწით ნავში, აპოლოდორ და ფტატატიტა ზემოდან უყურებენ.)

აპოლოდორ. წუნარად, შვილებო, ვაჟიშვილებო! (უეცროვ შიშმორეული.) ფრთხილად, ძაღლებო! საქესთან დაუშვით... ეგრე...

ფტატატიტა (უეცროვ ერთ მუშათაგანს). ფეხი არ დაადგა, შე ველურო ცხოველო, ფეხი მუშა (წამოდგება). ნუ დელავ, ქალბატონო, ყველაფერი რიგზეა!

ფტატატიტა (სული ეხუთება). ოხ, გული გულის ალაგს აღარ მაქვს (ხელს მიიდებს გულზე და მძიმედა სუნთქავს. მუშები ამოვიდნენ და ზემო საფეხურზე გასამრჯელოს უცდიან.)

აპოლოდორ. აჰა, მშვირებო, აიღეთ! (ფულს აძლევს პირველ მუშას, რომელსაც ის ხელისგულზე უჭირავს და სხვებს უჩვენებს. მუშები მზად იყვნენ გასამრჯელოს სიმცირის გამო უკმაყოფილება განეცხადებინათ, მაგრამ გასამრჯელო იმდენად დიდია, რომ თავს დამარცხებულად ვრძნობენ.)

კირველი მუშა. ო, მოწყალე თავადო!

მეორე მუშა. შენ — ბაზრის უფალო!

მესამე მუშა. ღმერთების ნებერო!

მეოთხე მუშა. ბაზრის მუშების მამავ!

გუზაბი (შურით, შუბს აქხევს). ჰეი, თქვენ, ძაღლებო, მოშორდით აქაურობას, დაიკარგეთ! (მუშები მირბიან.)

აპოლოდორ. მშვიდობით, ფტატატიტა — ფანოსთან მე ეგვიპტელებზე აღრე გავჩნდები. (ჩადის კიბეზე.)

ფტატატიტა. ღმერთებმა წარგიმართონ ვა და დაიფარონ ჩემი აღზრდილი (გუშავი ზემო საფეხურზე დგას და უთვალუწურებს, რომ ფტატატიტა ნავში არ ჩაქდეს.)

აპოლოდორ. (ნავი შორდება ნაპირს, აპოლოდორი მიმართავს გუშავს) მშვიდობით, ვაჟკაცო მხედარო, შუბს რომ ბარივით იქნევ.

გუზაბი. მშვიდობით, მეწვრიმალე!

აპოლოდორ. მოუხვი, მენავე. მოუხვი მამაცო, ეგრე! (მღერის ნიჩბების მოსმის ტაქტით ბარგაროლას კანგზე)

გულო ჩემო, გულო ჩემო, ფრთა გაშალე,
მოიშორე, სიყვარულის მძიმე ტვირთი..



ბუშაბი (იწევს ფტატატატასაკენ). აბა, ქალბატონო, შედი შენს საქათმეში ჩქარა!
შტატატიტა (დაიჩოქებს და ზღვისკენ იშვერს ხელებს). ღმერთო ოკეანისა, უვნებლად და
მშვიდობით დამიბრუნე!

ბუშაბი. ვინ დაგიბრუნოს? რასა ჩმახავ?
შტატატიტა (დაღვრნილი უცქერის გუშავს). ეგვიპტის ღმერთნო, ღმერთნო შურისგებისა,
აბრეგვინეთ ეს რომაელი რეგვენი თავის უფროსს ძალღვიით; აბრეგვინეთ, რომ
ნება მისცა ის ნავით წაეყვანათ!

ბუშაბი. წყეულო, მამ ის ნავშია? (ყვირის.) მეი, მენავე, დაბრუნდი! უკან!
აკოლოდორ (შოროდან ისმის მისი სიმღერა).

გულო ჩემო, მხნე იყავ და თავისუფალი,
მოსისხლე მტერი შენი არის მხოლოდლა ტრფობა.

ფანოსი. რუფუსი თავნებმა დილის ბრძოლის შემდეგ; ფიჩხის კონაზე ზის
ფანოსის შესაგულთან, ხურმასა ქამს, მარცხნივ, ღრუბლებში ატყორცნილია
ფანოსის კოშკი. ლაგებში ხურმით სავსე მუზარადი აქვს, გვერდით — პატარა
ტიკი ღვინით. ფანოსის ვეებერთელა საქარკველს ქვიტკირის მოაჯირი არტყია;
მის შუაში კიბე რამდენიმე საფეხურით. რუფუსის თავზემთ ფანოსის წვერო-
დან ჩამოშვებულია მძიმე ჭაჭვი, რომელსაც ლუზა აბია. მიწაზე — ფიჩხის კონები
ფანოსის ცეცხლისათვის.

კეისარი ოდნავ ღელავს. როგორცა ჩანს, თავს მტყიცედ ვერ გრძნობს; მოა-
ჯირის ზემო საფეხურზე გაჩერებულა, ფანოსის კარიდან გამოდის ბრიტანუს.

რუფუს. რაო, ბრიტანეთის კუნძულელო, ახვედი ფანოსის კენწეროზე?

ბრიტანუს. დიახ, ჩემი ანგარიშით, ორასი ადლი უნდა იყოს.

რუფუს. არის ვინმე ზემოთ?

ბრიტანუს. ტიროსელი მოხუცი, რომელიც აზარმაცსა მართავს, და მისი თოთხმეტი წლის
ვაჟი, საუცხოოდ გაწვრონილი ქაბუკი.

რუფუს. როგორ? მოხუცი და ქაბუკი უძღვებიან ამ საქმეს? გინდა თქვა — იქ ოცი კაცი
მუშაობსო?

ბრიტანუს. გარწმუნებ, მხოლოდ ორი. იქ მათ აზარმაცი აქვთ და კიდევ რაღაც მანქანა
ადულებული წყლით. ვერ გავიგე, რა არის — ბრიტანეთში ამისთანა რამ არა
გვაქვს. ამ მანქანით ისინი ზეთის კასრებსა სწევენ ზევით და ფიჩხს ფანოსი-
სათვის.

რუფუს. საოცარია..

ბრიტანუს. ბოდიში, ჩამოვედი, რადგანაც ვიღაც უცხოელები გადმოვიდნენ კუნძულიდან
დამბაზე და აქეთ მოდიან, უნდა შევიტყო, რა ამბავია. (სწრაფად მიეფარება ფა-
ნოსს.)

კეისარი (ჩამოდის მოაჯირის კბიდან; სცევა და კანკალებს, ცუდადა გრძნობს თავსა). რუ-
ფუს, ეს რა სისულელე დაგვემართა. ჩვენ დაგვამარცხებენ. ნეტავი ჩვენები მო-
ასწრებენ თუ არა ბარიკადის აგებას დიდა დამბის გზის მოსაქრელად?

რუფუს (გაჭავრებით). მამ, ნუღარას შევქამ, მშიერი ავღგე, წავიდე და შევიტყო, რა ამ-
ბავია?

კეისარი (ამშვიდებს რუფუსს). არა, რუფუს, საჭირო არ არის. დანაყრდი, შვილო, დანაყ-
რდი (მიდი-მოდის, რუფუსი განაგრძობს ხურმის ქამას.) ნუთუ ეგვიპტელები
იმდენად უგუნურები არიან, რომ იმ ბარიკადას არ დაანგრევენ, ვიდრე არ დამ-
თავრებულა, და არ შემოგვიტყვენ? ეს პირველად ვმოქმედობ ალაღბედში, სა-
დაც უამისოდაც მოხერხდებოდა. ეგვიპტეს არ უნდა წამოვსულიყავ.

რუფუს. ამ ერთი საათის წინათ შენ მხოლოდ გაშარჯვება გაგონდებოდა.

კეისარი (თავსა მართლულობს). მართალია. მე სულელი ვიყავი, ბავშვივით მოუთმენარი.
რუფუს; ბავშვივით? სულაც არა! (გაუწვდის ერთ ნუჭა ხურმას.) აბა, გასინჯე!

კეისარი. ამას რათ მაძლევ? (აიღებს ხურმას).

რუფუსს. საქმელად, შენ ჰამა გინდა, უველაფერი ამის ბრალია! შენი ასაკის კაცი სამხრობის უამს სუსტდება. ჰამე და დალიე და საქმე შემდეგ ავწონ-დავწონო.

კეისარი. ჩემი ასაკი (მოკბეჩავს ხურმას, თავა იქნევს). მართალია, რუფუსს, უკვე მოვხუცდი, გავტყუდი, სიმართლეა, მწარე სიმართლე... (მელანქოლიურად ჩაფიქრდება და ნეორე ხურმას შეჭამს). აქილასი ძალღონით სავსე ვაფკაცია, ^{მეტროპოლიტანის} ბავშვი... (შეჭამს მესამე ხურმას და ოდნავ გამხიარულდება.) რა ვჭყობ, უველას თავისი დღე აქვს. მეც ჩემი დღე მქონდა. (უეცრივ გამხიარულებული). რუფუსს, შენს ხურმას არა უშავს რა. (მოღია ბრიტანუსი, ძლიერ აღელვებული, ტყავის თოფრაკით; კეისარი უეცრივ შეიცვლება — ის კვლავ ჩვეულებრივი კეისარია). რა მოხდა?

ბრიტანუსს (გამარჯვებულის ტონით). ჩვენმა მამაცმა როდოსელმა მეზღვაურებმა განძი დაიჭირეს. აგერს (თოფრაკს კეისარი წინ დააგდებს.) მტრები ჩვენს ხელში არიან.

ბრიტანუსს. ამ თოფრაკში პომპეუსისა და აქაურ საოკუპაციო ლაშქარს შორის მიწერ-მოწერაა, კეისარო.

კეისარი. მერე?

ბრიტანუსს (უცმაყოფილოა, რომ კეისარი უცბად ვერა ზღდება საქმეს). მერე ის, რომ შევიტყობთ, ჩვენი მტრები ვინ არიან, ამ საბუთით შესაძლებელია ყოველის ვინაობა აღმოჩნდეს, ვინც შენ წინააღმდეგ იყო განჯრახული მას შემდეგ, რაც რუბიკონი გადალახე.

კეისარი. ეგ საბუთები ცეცხლში შეჭყარე!

ბრიტანუსს. ცეცხლში შევ... (სული უგუბდება.)

კეისარი. ცეცხლში მამ, გინდა ჩემი სიცოცხლის სამი წელი იმ პირთა კანონგარეშე გამოცხადებასა და დასჯას მოვანდომო, რომელნიც მეგობრებად გამიხდებიან, თუ დავუმტკიცებ, რომ ჩემს მეგობრობას მეტი ფასი აქვს, ვიდრე პომპეუსის მეგობრობასა მქონდა ან კატონის მეგობრობას აქვს? გაუსწორებელი ხარ, ბრიტანელო კუნძულელო. განა ბუღდოგი მნახე, ჩხუბს რომ ეძებს მხოლოდ იმისთვის, რომ თავის კბილებს ძალა გამოსცადოს?

ბრიტანუსს. მაგრამ შენი დიდება... რომის დიდება..

კეისარი. ჩემს დიდებას ადამიანთა მსხვერპლს არა ვწირავ, თქვენი დრუიდების მსგავსად. თუ მაგ საბუთების დაწვა არ გეშეტება მე მათ წყალს მივცემ. (აიღებს თოფრაკს და მოაჯირიდან ზღვაში გადაისვრის.)

ბრიტანუსს. ეს მხოლოდ შენი ახირებაა. პარადოქსის გულისთვის შენს მტრებს ხელიდან უშვებ!

რუფუსს. კეისარო, როდესაც კუნძულელი თავის ქადაგებას მოჩჩება, დამიძახე. ახლა წავალ და იმ მანქანას ვნახავ მდუღარე წყლით. (ფანოსის კარში შედის.)

ბრიტანუსს. (მხურვალე გრძნობით). ო, კეისარო, დილა ბატონო! ნეტავი შემეძლოს დაგაჭერო, რათა ცხოვრებას ისე მოეპურა, როგორც ჩემი თანამემამულენი ეპყრობიან!

კეისარი. მართლა ეგრე ფრთხილობენ, ბრიტანიკო?

ბრიტანუსს. განა ჩემს სამშობლოში არა ყოფილხარ, ბრიტანელები არ ვინახავს? რომელი ბრიტანელი ილაპარაკებს შენებრ, როდესაც თავმსუბუქობის უინი მოგივლის? რომელი ბრიტანელი ჩაიცვამს მაგ ფერად სამოსელს ერთფეროვანი ლურჯი სამოსლის ნაცვლად, როგორც ეს დარბაისელ, პატივსაცემ ხალხს შეეფერება? რომელი ბრიტანელი გაბედავს წმინდა ქალებში ღვთის მსახურების აბუჩად აგდებას? ჩვენთვის უველაფერი ეს — ზნეობის საკითხია.

კეისარი. რა ვქნა, მეგობარო! მოვა დრო და მეც დავდინჯდები; იქნებ ცისფერი ტოვაც ჩავიცვა. მანამდე კი ვცხოვრობ, როგორც შემეძლია — რომაული თავმსუბუქი წესით. (ფანოსის უკნიდან აბოლოდორი გამოჩნდება.) რა მოხდა?

ბრიტანუსს (სწრაფად მიბრუნდება და მოსულს მშრალად მიმართავს). რა იყო? ვინა ხარ? აქ როგორ მოხვდი?

აპოლოდორ. დაშვდიდი, მეგობარო. მე არას გაწყენ. ალექსანდრიიდან მოვდივარ ძვირფასი ძღვნით კეისარისათვის.

კეისარი. ალექსანდრიიდან?

ბრიტანუსს (შკაყრად). შენ კეისარის წინაშე დგახარ, ბატონო ჩემო.

რუფუს (გამონდება ფანოსის კარიდან). რა ამბავია?

აკოლოდორ. სალაში დიდებულ კეისარს მე აპოლოდორი ვარ, სიცილიელ ხელოვანი. ბრიტანუს ხელოვანი ვინ მოუშვა აქ ეს მაწანწალა?

პენისარი. ნუ ელაპარაკებ. აპოლოდორი ცნობილი პატრიცია და ხელოვნების მოყვარული.

ბრიტანუს (თავგზაარეული). ბოდიში, ბატონო ჩემო! (კეისარს). ისე გავიგე, თითქოს პროფესიონალი ხელოვანი ყოფილიყოს. (ოდნავ დარცხვენით, აპოლოდორს კეისართან მიუშვებს; რუფუსი ათვალერებს აპოლოდორს ყოველი მხრიდან და უკმბხად მეორე მხარეს მიდის.)

პენისარი. სალაში აპოლოდორს რამ მოგიყვანა ჩემთან?

აკოლოდორ. დედოფალთა დედოფლის ნობათი უნდა გადმოგცე.

პენისარი. ვინ არის ეს დედოფალთა დედოფალი?

აკოლოდორ. კლეოპატრა ეგვიპტელი.

პენისარი (მიმართავს აპოლოდორს მისთვის ჩვეულებრივი მომხიბვლელობით). აპოლოდორ, ეხლა ნობათებით თავშექცევის დრო არ არის, გახვალ უკან წახვიდე და გადასცე დედოფალს, რომ თუ საქმე კარგად წავიდა, სალაში უამს ხასხლეში დავბრუნდები.

აკოლოდორ. ვერ დავბრუნდები, კეისარო, როცა ფანოსს მოვატანე, ვიდაც სულელმა ზღვაში ტყავის ტომარა გადმოაგდო. ტომარამ ჩემს ნავს ცხვირი მოაგდებინა და ჩემი საბრალო ნაჭუჭი ჩაიძირა; მე და ჩემი ტვირთი ძლივს გადავრჩით.

პენისარი. ვწუხარ, ჩემო აპოლოდორ. იმ სულელს უქველად დავსჯი, რა მოიტანე? რომ არა ვნახო, დედოფალს ეწყინება.

რუფუს. განა ეხლა მაგისთანებისათვის გვცალია? დედოფალი ხომ ჭერ ბავშვია.

პენისარი. მართლს ამბობ და სწორედ მაგისათვის არ უნდა გავაწბილოთ. რა ნობათია, აპოლოდორ?

აკოლოდორ. საოცარი სპარსული ხალიჩა, კეისარო! შიგ კი, როგორც გადმომცეს, მტრედის კვერცხები და ბროლის ძვირფასი ქიქები. ამ ვიწრო კიბეზე ჩემი ტვირთით ამოსვლას ვერ გავბედავ.

რუფუს. მაშ შენი ტვირთი ამ ასაწევ ჭაჭვზე ჩამოჰკიდე. კვერცხებს მზარეულს გადავცემთ, ქიქებით ღვინოს დავღვეთ და ხალიჩა კი კეისარს ლეიბად გამოადგება.

აკოლოდორ. ასაწევ ჭაჭვზე? კეისარო, მე დედოფალს შევფიცე ხალიჩას საკუთარი თავივით გავუფრთხილდე!

პენისარი. მაშ, შენ და ხალიჩა ერთად აგწიონ და, თუ ჭაჭვი გაწყდა, შენ და მტრედის კვერცხები ერთად დაიღუპებით. (კეისარი მიუახლოვდება ჭაჭვს და ყურადღებით ათვალერებს.)

აკოლოდორ (ბრიტანუსს). კეისარი მართლა ლაპარაკობს?

ბრიტანუს. კეისარს ხუმრობით ლაპარაკი უყვარს, — ეგ ხომ იტალიელია! მაგრამ უბრალოდ არაოდეს ლაპარაკობს.

აკოლოდორ. მართლა სთქვა თუ არა, რა მოგახსენოთ; ხოლო საკმაოდ შეაფიოდ კი თქვა. მაგრამ ამ ჭაჭვის აწევას მთელი რაზმი დასჭირდება.

ბრიტანუს. ეგ მე მომანდებ. წადი და მოიცადე, ვიდრე ჭაჭვს ჩამოუშვებენ.

აკოლოდორ. თანახმა ვარ. მაშ ეხლა დაინახავთ, (მიბრუნდება და ეფექტური ვესტით ცაზე უჩვენებს.) როგორ მზესავით ამოვალ ჩემი განძით. (გადის. ბრიტანუსი ფანოსში შევა.)

რუფუს (უკმაყოფილოდ). კეისარო, შენ მართლა აპირებ ამ სულელურ თავშექცევას მოუცადო?

პენისარი (ჭაჭვი ამოძრავდა და კეისარი გვერდზე გახტება). რატომაც არა?

რუფუს. ეგვიპტელები გაჩვენებენ, რატომაც არა, თუ მოისაზრებს და, ვიდრე ჩვენს ბარბაკდას აგებენ ხმელეთიდან, დამბას შემოუტყოს. ჩვენ კი ბავშვებით მტრედის კვერცხებით გატენილ ხალიჩას ველოდებით. (ჭაჭვი ჭრიალებს, აიწვევა მოაჯირის ზევით და ფანოსის უკან გაქრება.)

პენისარი. ნუ სწუხარ, შვილო. როგორც კი პირველი ეგვიპტელი ფეხს დაადგამს დამბას, განგაშს ასტებენ და ჩვენ ბარბაკდასთან უფრო ადრე გავჩნდებით, ვიდრე ეგვიპტელები. ჩვენ ორნი, რუფუს: მე, მოხუცი და შენ — მისი უფროსი ვაჟი. და მოხუცი იქ პირველი იქნება. მაშ დამშვიდდა და კიდევ მომეცი ხურმა.

აკოლოდორ (ტვევიდან ყვირის). ეგრე, ეგრე ახწიე! (ახწევენ ჭაჭვენ და ის კვლავ გამოჩნდება ფანოსის უკნიდან. აპოლოდორ თავისი ტვირთით ჭაჭვზე ჰკიდია. გადაიკლის რა მთაჯირს, აპოლოდორი მღერის). ნელა, გააჩერეთ ჭაჭვი, მოუხვედეთ, ეგრე! (ჭაჭვი ფანოსის ბაქანზემთ გაჩერდება.)



რუფუს (ზემოთ ასდახებს). აქ დაუშვით! (ჭაჭვი ეშვება).
აკოლოდორ (ზემოდან უძახის). ფრთხილად, ფრთხილად! ნელა, კვერცხები ქრ და ხეფნუთი რუფუს. ფრთხილად, ეგრე! (აპოლოდორი და მისი ტვირთი დაეშვებიან ქვემოთ).
 სარი ეხმარებიან აპოლოდორს ხალიჩის ჩამოღების დროს.) ახწიე! (ჭაჭვი ქრატუნით ზემოთ იწევა. ბრიტანუსი ფანოსიდან გამოდის და ხალიჩის გახსნასა შველის.)

აკოლოდორ. განზე დადევით, კეისარმა დაინახოს. (ხსნის ხალიჩას).
რუფუს. თავშეღების გარდა არაფერია. მტრედის კვერცხები რაღა იქნა?

აკოლოდორ. მობრძანდი, კეისარო, და თავშეღებში ეძებე.
რუფუს (ხმაღს ამოიღებს). დალატია, დალატი! უკან, კეისარო! თავშეღები ინძრევა, შიგ რაღაც ცოცხალია!

ბრიტანუს. (ხმაღს ამოიღებს). გველი იქნება, გველი!
აკოლოდორ. გაბედავს კეისარი ხელი ჩაყოს ტომარაში, სადაც ცოცხალი გველია?

რუფუს. ქოფაკო! მოლაღატევი!
კეისარი. დაწყნარდით და ხმლები ჩააგეთ. აპოლოდორ, შენი გველი ძლიერ მშვიდადა სუნთქავს. (ხეღს შეტყოფს თავშეღებში და გამოსწევს ვილაციის ტიტველა მკლავს). რა საუცხოო პატარა გველია!

რუფუს (გამოსწევს მეორე მკლავს). დანარჩენი სადღაა? (ამოაძვრენენ კლეოპატრას ხელებით. ბრიტანუსი დარცხვენილია და პროტესტის ნიშნად ხმაღს ჩააგებს.)

კლეოპატრა. ახ, კინაღამ არ დავიხრჩე. იცი კეისარო, ნავში ვიღაცამ ფეხი დამადგა, მერე ციდან რაღაც მძიმე დამეცა, შემდეგ ნავი ჩაიძირა, მერე ზემოთ ამწიეს და ძირს დამაგდეს.

კეისარი (კლეოპატრა კეისარს გულში ეხუტება, კეისარი უაღერსებს მას, როგორც ბავშვს). ეხლა აღარა გიჭირს რა, შენ უვნებელი ხარ და საღსაღამათი.

რუფუს. მართალია, მაგრამ ეხლა როგორ მოვიქცეთ?

ბრიტანუს. კეისარო, აქ ხომ მარტო ვერ დარჩება. როგორ შეიძლება, თუ ვინმე მანდილოსანი თან არ ახლავს?

კლეოპატრა (ეჭვით მიმართავს აშკარად დარცხვენილ კეისარს). არ გესიამოვნა ჩემი ნახვა?

კეისარი. რასაკვირველია, ძლიერ მესიამოვნა. მაგრამ რუფუსი განრისხებულია და ბრიტანუსიც უხერხულადა გრძნობს თავს.

კლეოპატრა. განა ვერ უბრძანებ თავი მოჰკვეთონ?

კეისარი. მოკვეთილი თავებით ესენი ნაკლებად გამომადგებიან, ვიდრე ცოცხალი თავებით, ჩემო ზღვის ჩიტუნა.

რუფუს (კლეოპატრას). ეხლა უნდა წავიდეთ და ზოგიერთ თქვენს ეგვიპტელს თავები დავაყრევინოთ. გინდა აქ დაგტოვოთ, და, თუ დავმარცხდით, შენმა პატარა ძმამ ტყვედ ჩაგიგდოს?

კლეოპატრა. მაშ ნუ დამტოვებთ. მართლა ხომ არ დამტოვებ, კეისარო?

რუფუს. მოგვეცემენ თუ არა ნიშანს, ყველა ჩვენგანის სიცოცხლე დამოკიდებული იქნება, მიასწრებს კეისარი ბარიკადას ეგვიპტელებზე აღრე თუ არა. როგორ მოვიქცეთ?

კლეოპატრა. მერე რა ვუყოთ, დაიდუნონ. ისინი ხომ მხოლოდ ჭარისკაცები არიან!

კეისარი (დინჯად). კლეოპატრა, საუვირის ხმაზე ყველანი ჩვენ, თვითთული ჩვენგანი მზად უნდა იყოს თავისი სიცოცხლე სიკვდილს სახეში ესროლოს. არ არის მხედარი, თავისი ბედი მე რომ მომანდო, რომლის მარჯვენა ჩემთვის მეტად არ ღირდეს, ვიდრე შენი თავი. (კლეოპატრა თავზარდაცემულია, ცრემლი მოერევა). აპოლოდორ, შენ დედოფალი სასახლეში უხდა დააბრუნო.

აკოლოდორ. დედოფანი ხომ არა ვარ! განა შემიძლია ახალგაზრდა ქალით ზურგზე ზღვაში გავცურდე? ჩემი ნავი დაიდუბა, თქვენები ან ბარიკადასთან არიან ან ქალაქში. წავალ, ვნახავ, იქნებ ნავი ვიშოვო. (გაღის.)

კლეოპატრა (ცრემლებს ძლივს იტერს). სულ ერთია, უკან არ დავბრუნდები. ჩემი დარდი არავისა აქვს.

კეისარი. კლეოპატრა...

კლეოპატრა. გინდა, რომ მომკლან?

კეისარი. საბრალო ბავშვი! შენ გარდა აქ შენთვის არავინ იზრუნებს. (ეს სატყვები იმდენად მოქმედებს კლეოპატრაზე, რომ ის ტირილით ფიჩხნე დაუდება. უცნაურ შორიდან განგაშის ხმა გაისმის. საყვირებია და ბუქცინის ხმა. ბრიტანუს მოაჯირთან მივარდება და დაშბას უცქერის კეისარი და აკვსს ვრთმანეთს შეხედავენ. ჩანს, ვრთმანეთს მიუხვდნენ.)

კეისარი. რუფუს, წავიდეთ!

კლეოპატრა (წამოხტება და კეისარს მოეჭიდება). არა, არა, ნუ დამტოვებ! (კეისარი ხელიდან უსხლტება.)

ბრიტანუს (მოაჯირიდან). გზა მოუჭრიათ, კეისარო! ეგვიპტელები დასავლეთ ნავსადგურს დაჰპატრონებიან, ჩვენსა და ბარიკადას შორის მოქცეულან!

რუფუს (იხედება). წყულები! მართალია, ხაფანგში მოვუმწყვდევივართ!

კეისარი (სევდიანად). რუფუს, ჩვენებს ბარიკადასთან მტერი ორი მხრიდან შემორტყმია — ხმელეთიდან და ზღვიდან. მე მათი მკვლელი ვარ, რუფუს!

რუფუს. დიახ, ყველაფერი ეს ამ გოგოსთან ცუდლუტობის ბრალია!

აკოლოდორ (სწრაფად ამოდის). გაინდე, რა ამბავია, კეისარო!

კეისარი. ვიცი, ვიცი, მეგობარო. ჩვენ აქ უნდა გავმაგრდეთ.

აკოლოდორ. კიბე ზღვაში გადავაგდე. უიშისოდ აქ ვერავინ ამოვა.

რუფუს. კარგი, მაგრამ უიშისოდ ჩვენც აქედან თავს ვერ დავაღწევთ. ეს აღარ იფიქრე?

აკოლოდორ. რატომ? ჩვენი ხომალდები ხომ აღმოსავლეთის ნავთსადგურშია?

ბრიტანუს. (იმედით). როდოსელი გაღერები უკვე გვიახლოვდება. (კეისარი სწრაფად მიუახლოვდება მოაჯირზე მდგარ ბრიტანუსს.)

რუფუს (მოუთმენლად აპოლოდორს). მაგრამ ჰქენი ხიკეთე და მითხარი, როგორ უნდა მივაღწიო გაღერებს?

აკოლოდორ (მხიარული და გაბედული რიტორიკით) იმ გზით, რომლითაც ყველგან გაივლი — მზისა და მთვარის მარგალიტის გზით. არ გიყურებია, როგორ თამაშობს ბავშვების ჩრდილები გატეხილ ხიდზე. (მოიშვლებს ქუდს და ტოვას. ხმალს ზურგზე მიიბამს.)

რუფუს. რაებსა ბოდავ?

აკოლოდორ. მოითმინე და დაინახავ. (მიმართავს ბრიტანუსს). რა მანძილია აქედან უახლოეს გაღერამდე?

ბრიტანუს. სამასი ადგილი იქნება.

კეისარი. არა, მეტი უნდა იყოს. ამ მზიან დღეში შენს ბრიტანულ თვალებს ახლო ეჩვენება. თითქმის მეოთხედი მილია, აპოლოდორ.

აკოლოდორ. კეთილი. აქ გაშავრდით და მე უახლოეს გაღერიდან ნავს გამოგიგზავნით.

რუფუს. შენ რა, ფრთები გასხია?

აკოლოდორ წყლის ფრთები, მხედარო! მიყურე! (ჩარბის კიბეზე და ზღვაში გადახტება თავით.)

კეისარი (სკოლის მოწაფესავით აღელვებულია). ვაშა, ვაშა! (მოიხსნის და გადაისერის ტოვას) იუპიტერსა ვფიცავ, მეც მინდა!

რუფუს (ხელს მოჰკიდებს). შეიშალე! არ გაბედო!

კეისარი. რატომაც არა? განა მე ნაკლები ცურვა ვიცი?

რუფუს (გაცოფებული). მოხუც რეგვენს ახალგაზრდა რეგვენივით ყვინთვა და ცურვა არ შეუძლია. შენ ორმოცდაათი წლისა ხარ, ის ოცდახუთის.

კეისარი (რუფუსს ხელიდან უსხლტება). მოხუცი ვარ?

ბრიტანუს (უხერხულად გრძნობს თავს). რუფუს, თავი ნუ გავიწყდება!

კეისარი. გავჯიბრდეთ, ბიძია რუფუს, ვინ უფრო მალე მიაღწევს უახლოეს გაღერას, ხანძლეოდ ერთი კვირის ჯამაგარი იყოს.

კლეოპატრა. მე! მე! მე რაღა ვქნა?

კეისარი. ჩემს ზურგზე დელფინით მიგიყვან გაღერამდე. რუფუს, როგორც კი დამინახავ ამოვტივტივდი, კლეოპატრა გადმომიგდე. მერე თქვენ ორივე გადმოეშვით.

კლეოპატრა. არა, არა, მე შეშინია, დავიხრჩობი.

ბრიტანუს. კეისარო, მე აღამიანი ვარ, ბრიტანელი და არა თევზა. უნავოდ არ შემოძლიან, ცურვა არ ვიცი.

კლეოპატრა. არც მე ვიცი.

კეისარი (ბრიტანუსს). მაშ აქ დარჩი, ვიდრე ფანოსს ხელმეორედ ავიღებდე. არ დაგივიწყებს. აბა, რუფუს!

რუფუს. მართლა გადაწყვიტე?

კეისარი. ჩემ მაგივრად ეგვიპტელებმა გადაწყვიტეს. სხვა რა ვქნათ. მაგრამ ფრთხილად გადმოხტი და ზურგზე არ დაშაბტე. შენი თრევა სულაც არა მსურს (ჩარბის კიბეს).

ბრიტანუს (შეწუხებული). ერთი სიტყვაც, კეისარო! ქალაქის არისტოკრატიულ ნაწილში ნუ გამოჩნდები, ვიდრე ტანსაცმელს არ გამოიცვლი.

კეისარი (ზღვის მიმართულებით იძახის). ჰე, ამოლოდორო! (უჩვენებს ცისკენ და მღერის ბარკაროლის რითმზე).

თეთრი ქულები ცურავს ლაქვარდში.

რა ჩანს ცაში ზემოთ...

ამოლოდორო (მისცურავს და უპასუხებს).

ძირს, მწვანე წყალში მეწამული ჩანს,

ის აქ ციმციმებს ქვემოთ.

კლეოპატრა (აღელვებული ჩიბრბუნს კიბეს). დამანახეთ, დამანახეთ! დაიხრჩვება!... (რუფუსი ხელს მოხვევს.) უი, უი! (გადაისვრის კლეოპატრას ზღვაში. რუფუსი და ბრიტანუს იცინიან.)

რუფუს. დაიჭირა, ბრიტანელო. ციხეს გაუფრთხილდი. კეისარი არ დაგივიწყებს. (გადახტება.)

ბრიტანუს (საფეხურზე დგას და თვალს ადევნებს). უველაფერი წესიერად არის, რუფუს?

რუფუს (მიცურავს). ბრიტანუს, კოშკში დაიმალე და კარი შეშებით ჩახერგე.

ბრიტანუს (ყვირის). ეგრე მოვიქცევი, მერმე კი ჩემს ბედს სამშობლოს ღმერთებს მივანდობ (ზღვიდან მხიარული ხმაური ისმის. ბრიტანუსი აღტაცებულია). ნავთან არიან. შიპ-შიპ-შიპ! ვაშა! ვაშ-ა-ა!

მეთხე აქტი

48 წელს ქრ. წ. კლეოპატრას საბანაო ადგილი ალექსანდრიის აღმოსავლეთ ნავსადგურში. მარტში 47 წელს ნაპადილევს ალექსანდრიის სასახლეში კლეოპატრა ისვენებს თავის ბუდეარში; მის გარშემო სეფექალები უსმენენ მონაქალს, რომელიც ქნარს უკრავს. ქნარის დამკვრელის მასწავლებელი მოხუცი მუსიკოსია, დადარული სახით, მაღალი შუბლით, ქალარა წვერით, რქების მსგავსად ზემოთ აწეული უღვაშებითა და წარბებით; საერთოდ, მისი ფიგურა გამოირჩევა; ის მუხლმოკეცილი ზის ქნარის დამკვრელის გვერდით და თვალს ადევნებს დაკვრას. ფტატატიტა კართან დგას მონა ქალების ჯგუფში. კლეოპატრა ზის სავარძელში კარის პირდაპირ; სეფექალები იატაკზე სხედან. სეფექალები ახალგაზრდები არიან. მათ შორის გამოირჩევიან ჩერმიან და აირას — დედოფლის ნებიერები, ჩერმიან — პატარა ელფს მოგვაგონებს წვეტიანი, ფრინველი ტერაკოტისფერი პირისახით, სწრაფი, მოხდენილი მოძრაობით. ლამაზი ხელებითა და ფეხებით. აირას — ჩატკუნული, გულკეთილი არსებაა, წითელი სქელი თმით; უბრალო საბაბია საჭირო, რათა მან გულიანი სიცილი მორთოს.

კლეოპატრა. შემოძლია მე...

ფტატატიტა (ქნარის დამკვრელ ქალს, ტლანქად). გაჩუმდი, დედოფალი ლაპარაკობს! (ქნარის დამკვრელი ქალი შეჩერდება.)

კლეოპატრა (მოხუც მუსიკოსს). მე მსურს ქნარის დაკვრა ვისწავლო. კეისარს მუსიკა უყვარს. შეგიძლია მასწავლო?

მუსიკოსი. რასაკვირველია, მხოლოდ მე შემოძლიან ვასწავლო დედოფალს. მე ხომ ძველ ეგვიპტელთა მეთოდი აღმოვაჩინე, ისინი კი ისე უკრავდნენ, რომ ბანის სიმის ერთი

შეხება პირამიდას ათრთოლებდა. დანარჩენი მასწავლებლები თვალთმაქცეები არიან, მე არაერთხელ მიმზილებია ეს.

კლემოპატრა. კეთილი, შენ მასწავლი. რამდენი ხანი დამჭირდება? მუსნიკოსი, არცთუ დიდი: სულ ოთხიოდე წელი. თქვენმა უდიდებულესობამ კერ პითაგორას ფილოსოფია უნდა შეისწავლოს.

კლემოპატრა. ამან (მიუთითებს ქნარის დამკვრელ მონა ქალზე). იცინის თუ არა, ფილოსოფია?

მუსნიკოსი. ეს ხომ მონაა. მას მუსიკა ძალღვივით ასწავლეს.

კლემოპატრა. მეც მიხნდა ძალღვივით მასწავლო — ეს ხომ შენზე უკეთ უკრავს. შენ მასწავლი ყოველდღე ორი კვირის განმავლობაში. (მუსიკოსი სწრაფად წამოხტება და თავს უკრავს.) შემდეგ ქოველთვის, როდესაც ქალბ ნოტას ავიღებ, გაცემინებ და, თუ იმდენი ყალბი ნოტა ავიღე, რომ ცემისათვის დრო აღარ გვეყო, ნილოსში გადაგადებინებ ნიანგების კერძად. (ფტატატიტას.) აჩუქე ერთი პატარა ოქროს ფული და გაისტუმრე.

მუსნიკოსი (ძლიერ შეფიქრიახებული). კეშნარიტი ხელოვნების დაძალება როგორ შეიძლება! ფტატატიტა (ძალით აგდებს მუსიკოსს). როგორა ჰბედავ და დედოფალს სიტყვას უბრუნებ? გასწი დაიკარგე! (გააგდებს; მას ქნარის დამკვრელი მონაქალი გაჰყვება. სეფექალები და მონები იცინიან).

კლემოპატრა. აბა, რომელი თქვენთაგანი გამართობს, გაქვთ რამე ახალი ამბავი ან ჭორი? პირას. ფტატატიტა...

კლემოპატრა. სულ ფტატატიტა და ფტატატიტა აღბათ რაღაც ჭორი იქნება, რათა მის წინააღმდეგ ამამხედროთ.

პირას. არა, ამჯერად ფტატატიტამ სათნოება გამოიჩინა. (ქალები იცინიან). პოტინი ეცადა ის მოექრთამა, რათა შენთან სალაპარაკოდ შემოეშვა.

კლემოპატრა (განრისხებული). ჰოო? ყველა ვაქრობთ ჩემი აუღენციგებით, თითქოს მე მოვალე ვიყო ის მივიღო, ვინც თქვენა გასურთ და არა ისინი, ვინც მე მსურს. ნეტავ ვიცოდე, რამდენს გაიმეტებს თქვენთვის ფტატატიტა პოტინის მიერ დაპირებული ოქროდან?

პირას. ეს ადვილი გასაგებია. (სეფექალები იცინიან).

კლემოპატრა. თქვენ იცინით... მაგრამ გაფრთხილდით. მე თქვენ გაიძულებით მემსახუროთ, როგორც კეისარს ემსახურებიან!

ჩერმიან. ცხვირნისკარტა ბებრუხუნა (იცინიან.)

კლემოპატრა (გაჯავრებით). ჩუმადი ჩერმიან, თავს ნუ იგდები იცით, რისთვის გაძლევთ თავისუფლად ყბედობის უფლებას და არ გეპყრობით ისე, როგორც ფტატატიტა მოგეპყრობოდათ, დედოფალი რომ ყოფილიყო?

ჩერმიან. იმისათვის, რომ ცდილობ ყველაფრით კეისარს მიბაძო; ის კი ყველას უფლებას აძლევს, რაც უნდა ილაპარაკოს.

კლემოპატრა. არა, მაგრამ ერთხელ კეისარსა ვკითხე, თუ რისთვის სჩადის ამას და ამან მიპასუხა: „დღე. იუბედონ შენმა ქალებმა, როგორც მოეპრიანებათ, მათგან რამეს ისწავლი“. — „რა უნდა ვისწავლო მათგან?“, — მე შევეკითხე. „შეიტყობ, ისინი ვინ არიან“. ნეტავ გენახათ, როგორ შემომხედა, ამას რომ ამბობდა. ის გამოხედვა მუშტისოდენად გაგზდიდათ თქვენ, საცოდავო ქმნილებანო! (იცინიან. კლემოპატრა განრისხებული მიმართავს პირასს.) ვის დახცინი, მე თუ კეისარს?

პირას. კეისარს.

კლემოპატრა. შენ რომ სულელი არ იყო, მე ამიგდებდი სასაცილოდ, და მხდალი რომ არ იყო, ამის თქმისა არ შეგეშინდებოდა. (შემოდის ფტატატიტა.) ფტატატიტა, ეს არის ეხლა მიამბეს, პოტინმა ჩემი ნახვისათვის ქრთამი შემოგთავაზა.

ფტატატიტა (აღშფოთებით). ჩემს წინაპართა ღმერთებსა ვფიცავ...

კლემოპატრა (შეკახედ აწყვეტიანებს სიტყვას). ნაბრძანები გაქვს არ იტყუო! შენ რომ შენს ნებაზე მიგიშვა. მთელი დღე არაფერს გააკეთებ და შენს წინაპართა ღმერთებს შენი სიქველის მოწმობისათვის გულს გაუწყალებ. წადი, აიღე ფული და პოტინი მოიყვანე. (ფტატატიტას უნდა პასუხი გასცეს.) უპასუხოდ, წადი! (ფტატატიტა

გადის. კლეოპატრა წამოდგება და ჩაფიქრებული ბოლთასა სცემს. ქალებიც წამოდგებიან.)

ანრას. ეხ, ნეტავი კეისარი უკვე რომში იყოს!

კლეოპატრა (მუქარით). შავბნელი დღე დაგიდგებათ, როდესაც ის აქედან წავა. ჩემთვის უხერხულია კეისარმა შეიტყოს, რომ მე მამაჩემივით მკაცრი ვარ, თორემ მაგ სიტყვებს განანიებდი. შენ გინდა ის აქედან წავიდეს? რისთვის?

ჩარმინა. იმისათვის, რომ შენ ილიერ საქმიანი გახდი, სწავლული და დარბაისელი. ჩვენი ასაკისათვის ეს უარესია, ვიდრე მორწმუნეობა. (ყველა იცინის).

კლეოპატრა. მორჩით მაგ უაზრო სიცილს... გესმით... და ენა დაიშოკლეთ!

ჩარმინა (ხუმრობით და მორჩილებით). კეთილი ვეცდებით კეისარს მივბაძოთ! (კვლავ სიცილი. კლეოპატრა სდუმს და ბრაზობს. შემოდის ფტატატიტა პოტინთან ერთად, კართან გაჩერდებიან.)

ფტატატიტა. პოტინი იხვეწება ერთი წუთით მას ყური...

კლეოპატრა (აწყვეტივნება). კარგი, საკმარისია, მოვიდეს. (სავარძელში ჩაჯდება. ყველანი დასხდებიან. პოტინი ოთახის შუაგულში მიდის.) აბა, პოტინ, რას იტყვი ახალს შენ აჯანყებულ მეგობრებისას?

პოტინ (ამაყად). მე აჯანყებულების მეგობარი არა ვარ ან ტყვემ რა ახალი ამბავი უნდა იცოდეს?

კლეოპატრა. შენ ისეთივე ტყვე ხარ, როგორც მე, როგორც კეისარი. უკვე ექვსი თვეა, რაც ჩემმა ქვეშევრდომებმა ამ სასახლეში ალყა შემოშარტყეს. შენ უფლებას გაძლევენ ნაპირზე ქარისკაცთა შორის თავისუფლად იარო. ვერც მე, ვერც კეისარი ამაზე შორს ვერ წავალთ.

პოტინ. შენ ისევ ბავშვი ხარ, კლეოპატრა, და ამ საქმეებში ვერ ერკვევი. (კლეოპატრა უნდობლად შეჰყურებს.)

ჩარმინა. როგორცა ვხედავ, პოტინ, შენ ახალი ამბავი არა გცოდნია.

პოტინ. რა ამბავი?

ჩარმინა. რომ კლეოპატრა ბავშვი აღარ არის. გიამბო — ერთ დღეში როგორღა ბერდებიან და მეტიმეტად დარბაისლდებიან?

პოტინ. მე კი უბერებლად დარბაისლობას ვარჩევდი.

ჩარმინა. ამისათვის საჭიროა მხოლოდ მაღლა წვეროზე მოექცე და ვისმე სთხოვო, თმაში ხელი ჩაგავლოს და ზღვაში გასროლოს.

კლეოპატრა. ჩერმიან მართალს ამბობს, პოტინ, და როცა ნაპირს გამოხვალ, ნახავ, რომ შენი ყოყონობა ზღვაში ჩაძირულა. (ქალები იცინიან. კლეოპატრას მოუთმენლობა ემჩნევა, წამოდგება.) ყველანი მომშორდით, პოტინს მართლ უნდა ვესაუბრო. გარეკე ყველა, ფტატატიტა! (ქალები სიცილით გარბიან. ფტატატიტა კარს მიხურავს.) შენ რაღას უცდი?

ფტატატიტა. არ შეგფერის დედოფალს მართლ...

კლეოპატრა (აწყვეტივნება). ფტატატიტა, ნუთუ იძულებული ვიქნები შენს წინაპართა ღმერთებს მსხვერპლად შეგწირო. რათა ბოლოს და ბოლოს შეგაგნებინო, რომ ეგვიპტის დედოფალი მე ვარ და არა შენ?

პოტინ (დაკვირვებით უმზერს კლეოპატრას). ჩემთვის მართალი უთქვამთ — შენ გამოცვლილხარ.

კლეოპატრა. ესაუბრე კეისარს ყოველდღე და ექვს თვეში შენც გამოიცვლები.

პოტინ. ყველა დაპარაკობს, რომ იმ მოხუცისათვის თავი დაჰკარგე.

კლეოპატრა. თავი დავკარგე? ესე იგი გავსულელდი, არა? ო, არა! მაგრამ ნეტავი ეგრე ყოფილიყო.

პოტინ. გასულელდებულიყავ? რატომ?

კლეოპატრა. როდესაც სულელი ვიყავი, თუ ფტატატიტა ხელს არ შემიშლიდა, ჩემს ნებაზე ვიქცეოდი, მაგრამ იმასაც ვატყუებდი და ჩუმად, რაცა მწადდა, იმას ჩავდიოდი. ეხლა კი, მას შემდეგ, რაც კეისარმა პკუა შემმატა, ჩემთვის უკვე სულ ერთია, რა მომწონს და რა არ მომწონს და ისე ვიქცევი, როგორც უნდა მოვიქცე. ამას ბედნიერებას ვერ ვუწოდებთ, მაგრამ ეს — ხიდიდია. კეისარი რომ წავიდეს, მე ალბათ შევძლებ ეგვიპტელთა მართვა-გამგეობას: რაც ჩემთვის კეისარია, ის მე — ჩემ გარშემო სულელდებიანათვის.

პოტინი (შეაცრად უყურებს). კლეოპატრა, შეიძლება ეს ახალგაზრდული ამაოება იყოს? კლეოპატრა, არა, არ ვამბობ, თითქოს მე დიდი ბრძენი ვიყო, მაგრამ სხვებმა მეტად სულელები არიან!

პოტინი (ჩაფიქრებული). მართალია! ეგ არის დიდი საიდუმლოება.

კლეოპატრა. ესლა მითხარი, რისთვისაც მოსულხარ, რა გინდა მითხრა?

პოტინი (არეული). მე? არაფერი!

კლეოპატრა. არაფერი?

პოტინი. მე... ჩემი განთავისუფლება მინდოდა მეთხოვნა, სხვა არაფერი.

კლეოპატრა. ამისათვის კეისარს მიმართე. არა, პოტინი, შენ აქ სხვა გეგმით მოხვედი. გეგონა — კლეოპატრა შინაური პატარა კატა იყო და, რაკი კლეოპატრა დედოფალია, დავთრები აგერია.

პოტინი (შორჩილებით თავს დახრის). შენ მართლს ამბობ.

კლეოპატრა (გამარჯვებული). ნახე!

პოტინი (ყურადღებით შეჰყურებს კლეოპატრას). ნაშ, კლეოპატრა მართლა უკვე დედოფალია და არა კეისრის ტყვე და მონა?

კლეოპატრა. პოტინი, ეგვიპტეში, ძალაუნებურად ყველანი კეისრის მონები ვართ და, ვინც საკმაოდ გონიერია, ამას მიხვდეს, კეისრის წასვლის შემდეგ ის იმეფებს.

პოტინი. შენ სულ კეისრის წასვლას ლაპარაკობ!

კლეოპატრა. მერე?

პოტინი. განა კეისარს არ უყვარხარ?

კლეოპატრა. ვუყვარვარ? პოტინი, კეისარს არავინ უყვარს. ჩვენ... ჩვენ ვილა გვიყვარს? მხოლოდ ისინი, ვინც არა გვძულან. ჩვენთვის ყველა უცხოა ან მტერი, გარდა, მათი, ვინც გვიყვარს, კეისარი სხვანაირია: მან მძულვარებისა არა უწყის რა; ყველას თავის მეგობრებადა პქმნის — ძალღებსაც და ბავშვებსაც. ის საოცრად კეთილად შეპყრობა; არც დედა, არც მამა, არც გამაზრდელი ჩემთვის ესე არ ზრუნავდნენ, არაოდეს ესე გული არ გადაუშლიათ.

პოტინი. და განა ეს სიყვარული არ არის?

კლეოპატრა. სიყვარული! მაგრამ ის ხომ ეგრეთვე მოეპყრობა ყოველ ახალგაზრდა ქალს, რომელსაც ის რომისკენ გზაში შეეყრება. შეეკითხე მის მონა ბრიტანუსს — იფივეს გიტყვის. უკეთესია კიდევ — ჰკითხე მის რაშს. მისი ქველობა მე არ გამომიწვევია, ეს მის ბუნებაშია.

პოტინი. მაგრამ რატომა გგონია რომ მას ჩვეულებრივი სიყვარულით არ უყვარხარ, — როგორც მამაკაცს დედაკაცი?

კლეოპატრა. იმიტომ, რომ ვცაადე და ვერაფრით მისი ეჭვი ვერ გამოვიწვიე.

პოტინი. მო... მაშ, იქნებ უმჯობესი იყო შეკითხვა: შენ გიყვარს თუ არა კეისარი?

კლეოპატრა. განა ღმერთის შეყვარება შესაძლებელია? გარდა ამისა, მე მეორე რომაელი მიყვარს; ის კეისარზე ადრე მყავს ნანახა — ის ღმერთი არ არის, უბრალოდ ადამიანია; მან სიყვარულიც იცის და მძულვარებაც. — ადამიანი, რომელსაც შეუძლია გული მატკინოს და მეც ვატკინო.

პოტინი. იცის ეგ კეისარმა?

კლეოპატრა. დიახ.

პოტინი. და არა ჭავრობს?

კლეოპატრა. დამპირდა ეგვიპტეში გამოისტუმროს და ამით მასიამოვნოს.

პოტინი. ეგ კაცი ვერ გამოშიცვნია.

კლეოპატრა (დიდსულლოვანი ზიზღით). შენ — კეისარი გამოიცნო! ვერ შეძლებ. (ამყად). მე ინსტინქტით გავიცანი!

პოტინი (მცირეოდენი ფაქრის შემდეგ, პატივისცემით) თქვენმა უდიდებულესობამ ინება მიველე. რა ჰსურს დედოფალს მაუწყოს?

კლეოპატრა. ყური დამიგდე. გგონია, ჩემს ძმას მეფედ დასვამ და შენ კი იმეფებ, ვინაიდან შენ მისი მეურვე ხარ, ის კი რეგენია.

პოტინი. უკეთუ დედოფალს ნებავს, ეგრე იფიქროს...

კლეოპატრა. და გარდა ამისა დედოფალს ისიცა ნებავს იფიქროს, რომ კეისარი გადაყლაპავს შენც, აქილასსაც და ჩემს ძმასაც, როგორც კატა თავს. ამის შემდეგ რომში დაბრუნდება და კლეოპატრას აქ თავის ნაცვლად დასტოვებს.



კოტინე (რისხვით ანთება). მაგას ვერ იზამს ყოველ მის ათეულზე ჩვენ ათასეული გვევა. ჩვენ მას მის დაბრანძულ ლეგიონებთან ერთად განვლევნით!

კლეოპატრა (განრისხებული წამოდგება). შენ ბაჭრის მეკურტნესავით ღრიჭობ. წადი, ათასებს მოუხმე, ოღონდ აჩქარდი; მიტრდატ პერგამელი თავისი მაშველი ლაშქარით უკვე ახლოა. კეისარმა თავისი ორი ლეგიონით თქვენ საფრთხეში ჩავადლოთ. ვნახავთ, რას იზამს ის ოცით.

ეროვნული
გეგლიციონი

კოტინე. კლეოპატრა...
კლეოპატრა. კმარა, კმარა! მართლა გამრყენა კეისარმა, რომ შენისთანა არარაონას ველაპარაკები. (კლეოპატრა გადის. მას გაცოფებული პოტინი მისდევს, მაგრამ შემოეფტატატიტა და შეაჩერებს.)

კოტინე. გამიშვი ამ წყეული ადგილიდან.

ფტატატიტა. რამ გაგარიხხა?

კოტინე. ეგვიპტის ყველა ღმერთების წყევლა-კრულვა კლეოპატრას თავს! მან რომაელებს მიშყიდა სამშობლო, რათა თავისი კოცნით გამოისყიდოს!

ფტატატიტა. ყეყეო, განა არ გითხრა, რომ მას უნდა კეისარი წავიდეს?

კოტინე. შენ რა, ყურს უგდებდი?

ფტატატიტა. შე ვიზრუნე, ვიდრე შენ დედოფალს ესაუბრებოდი, მანლობლად ერთი პატივცემული მანდილოსანი ყოფილიყო.

კოტინე. ღმერთებსა ვფიცავ...

ფტატატიტა. კმარა ღმერთების აქ მხოლოდ კეისრის ღმერთებსა აქვთ ძალა, კლეოპატრას ამოდ ელაპარაკები: შენ ხომ მხოლოდ ეგვიპტელი ხარ. ჩვენი მოდგმისას ის არავის დაუჭერებს, ჩვენ ბავშვებივით გვეპყრობა.

კოტინე. მაშ დაიღუპოს!

ფტატატიტა (მოღუშული). ენაც გაგხმობია! წადი, უთხარი, ლუციუს სეპტიმიუსს დაუძახონ, პომპეუსის მკვლელს. ის რომაელია. დედოფალმა იქნებ მას დაუჭეროს. წადი!

კოტინე (მუქარით). ვიცი, ვისაც მივმართავ.

ფტატატიტა (ეჭვით) ვის?

კოტინე. უფრო დიდ რომაელს, ვიდრე ლუციუსია. შენ, დედაკაცო, გახსოვდეს: ვიდრე კეისარი მოვიდოდა, შენ და შენს დამქაშებზე განზრახვა გქონდათ კლეოპატრას სახელით ეგვიპტის მართვა-გამგეობა ხელში ჩაგეგდოთ. შე ამას შევებრძოდე...

ფტატატიტა (აწყვეტილებს). შენ კი შენი დამქაშებით ეგვიპტის მართვა-გამგეობას პტოლომეს სახელით ლამობდი.

კოტინე. უმჯობესია შე ვიყო, ან თუნდაც შენ, ვიდრე დედაკაცი რომაელის გულით, როგორც დღეს კლეოპატრაა. ვიდრე ცოცხალვარ, ის ვერ იმეფებს. დაუფიქრდი ამას. (გადის.)

სადილის დრო. სუფრა სასახლის ბანზეა გაშლილი; აქ ამოდის რუფუსი, მას მხარში შესდგომია ზეიადი შეხედულების სასახლის მსახური კვერთხით ხელში; მათ შემდეგ მოდის მონა და მოაქვს სავარძელი ინკრუსტაციებით. სასახლის სახურავზე მასიური კოლოხადაა. სვეტებს შორის თხელი ფარდები, რომელიც იქაურობას ჩამავალი მზის სხივებისგან აჩრდილებს. სვეტებს შორის ზონრებია ფარდების გასაწვეად.

მსახური (თავის დაკვრით). რომაელი სარდალი კეთილინებებს და კეისარს აქ მოუცდის. (მონა დადგამს სავარძელს სამხრეთის სვეტთან, ფარდას მიეფარება.)

რუფუს (დაჭდება, მძიმედ სუნთქავს). ოხ, ოხ! ძლივს ამოვედი. რა სიმალღეზე ვართ?

მსახური. სასახლის სახურავზე, გამარჯვების ნებიერო!

რუფუს. კარგია კიდევ, რომ გამარჯვების ნებიერს უფრო მალლა არ მოუხდა აცოცება. (მოპირდაპირე მხრიდან შემოდის მეორე მსახური.)

მეორე მსახური. კეისარი მობრძანდება. (შემოდის კეისარი. მან ეს არის ეხლა მიიღო აბაზანა. აცვია შეწამული ღერის აბრეშუმის ტუნთიკა. იცინის და მხიარულ გუნებაზეა. მას მოსდევს ორი მონა და მოაქვს მსუბუქი სოფა — დიდი ხელოვნებით შემკული გრძელი სკამი, რომელსაც დაჩრდილულ ალაგს დგამენ და შემდეგ გადიან მსახურებთან ერთად ცერემონიალური სალამით რუფუსი წამოდგება, რათა მიესალმოს კეისარს.)

პეისბარი (მიუახლოვდება რუფუსს). სხვა, რასა იქ, რუფუს? (შეპყურებს მის სამოსელს ალტაცებით და განცვიფრებით). ახალი ყაბიწის ხმლის ახალი ოქროს კატა თმაც შეგიკრებია, წვერი კი არა? არა, შეუძლებელია! (სუნავს რუფუსის წვერს). იუპიტერ ოლიმპიელსა ვფიცავ, შესტახსულია!

რუფუს (ბუზღუნებს). ეს ხომ ჩემთვის არ არის.

პეისბარი (მეგობრულად). ვიცი, ვიცი რუფუს. ეს ჩემთვის არის, რატომ ჩემი დაბადების დღე აღნიშნა.

რუფუს (ბუზღუნებს). შენი დაბადების დღე შენთვის მუდამ დაბადების დღეა, როცა გინდა ლამაზ ქალს გაუნებოვრდე ან რომელიმე დესპანის გული მოიგო. ამ ათ თვეში შენი დაბადების დღე შეიძვერ იუქმე.

პეისბარი (მორჩილებით). მართალს ამბობ, რუფუს. ამ პატარა ტყუილებს ვერა და ვერ გადავეჩვიე.

რუფუს. ვინ ისადილებს ჩვენთან, გარდა კლეოპატრასი?

პეისბარი. აპოლოდორ სიცილიელი.

რუფუს. ის თუთიყუშია

პეისბარი. ის მეტად მხიარული და გამოსადეგი თუთიყუშია: ანეკდოტს გვიამბობს, სიმღერას იტყვის და დედოფლის გართობის ტვირთს მოგვაშორებს. რა სასიამოვნოა კლეოპატრასათვის მოხუცი დიპლომატებისა და გაუთლელი ჯარისკაცების საზოგადოება? აპოლოდორი საუცხოო საზოგადოებაა, საუცხოო საზოგადოება.

რუფუს. დიახ. მან ცოტა ცურვაც იცის, ცოტა ხმალიც ემარჯვება... ნეტავ ენაც დაიმოკლოს!

პეისბარი. ღმერთებმა ნუ მისცენ მას ეგ უნარი! ეხ, ეს ჩვენი სამხედრო ცხოვრება! მოსაწყენი, ტლანჭი ცხოვრება და შრომა! ჩვენ — რომაელებს — ცუდი ისა გვჭირს, რომ მხოლოდ ფუსფუსი ვიცით და მძიმე მუშაობა: ადამიანებად გარდაქმნილი ფუტკრების სკა. მე ვოცნებობ კარგად მოუბარ, საკმაოდ ჰკუამახვილ და ფანტაზიის ბატონ ადამიანზე, რომელიც იცხოვრებს და მუდამ არ იფიქრებს, რომ რაღაც უნდა გააკეთოს.

რუფუს. დიახ, სადილის შემდეგ ის შენთან ერთ ნანევარ საათს სიამით გაატარებდა. შენიშნე, მე დანიშნულ დროზე ადრე მოვედი?

პეისბარი. როგორ არა; ვიფიქრე — ეს რაღაცას უნდა მოახწავებდეს და რას კი — არ ვიცი.

რუფუს. აქ ყურს ხომ არავინ გვიგდებს?

პეისბარი. ჩვენ განვმარტოვდით. ცხადია, ეცდებიან უური დაგვიგდონ, მაგრამ შეიძლება ამას ხელი შევუშალოთ. (ორჯერ შემოპკრავს ტანს; ფარდები გაიხსნება და გამოჩნდება სახლის სახურავზე გაშენებული ბაღი და მის შუაგულში საუცხოოდ გაწყობილი მაგიდა ოთხი ქუვერტია. დიდრატო, სასახლის მსახურთა უფროსი მეთვალყურეობს მონებს, რომელნიც მაგიდას აწყობენ. ბაღს კოლონადა არტყია ყველა მხრიდან; ერთ მხარეს, სვეტების შორის, უარყო ხანია დატოვებული, ალყაფის კარის მსგავსად, საიდანაც მოჩანს ცა. ბაღს ერთ კუთხეში ღმერთი რას ქანდაკებაა, ადამიანის ზომისა, მაღალ კვარცხლბეკზე ქანდაკებას ქორის თავი აქვს და გვირგვინი გველის სახით. ქანდაკების წინ სამსხვერპლოა უბრალო თეთრი ქვისა.) ეხლა ყველა გვხედავს და უურის დაგდებას აღარავინ იფიქრებს.

რუფუს (თავის სავარძელში ჩაქდება). პოტინს ხურს მოგელაპარაკოს. გირჩევ მიიღო: ქალებს აქ რაღაც ხრიკები გაუჩაღებიათ.

პეისბარი. პოტინს? ვინ არის?

რუფუს. აი ის, თმა რომ კურდღლის ბეწვს მიუგავს, — პატარა მეფის მეურვე. ის ხომ შენი ტყვეა.

პეისბარი (გაჯივრებით). აქამდე არ გაქცეულა?

რუფუს. არა.

პეისბარი (განრისხებული წამოდგება). რატომ? იმის ნაცვლად, მტრებისათვის გედევნებინათ თვალი, შენ კი ამ კაცს უარაულობდი განა დაგავიწყდა ჩემი ბრძანება, ტყვეებს გაქცევის საშუალება მიეცეს, თუ განსაკუთრებული საწინააღმდეგო განკარგულება არ მომიცია? განა უიმისოდაც ცოტა გვყავს სარჩენი?

რუფუს. რასაკვირველია, — შენ რომ ოდნავ ხალი ჰკუის პატრონი იყო, უფლებას მომცემდი მისთვის ყელი გამომეჭრა და მისი შენახვისათვის ხარჯი არ გაგვეღო. რაც მოხდა,

მოხდა. იმ კაცს გაქცევა არა სურს სამმა გუშაგმა განუცხადა, რომ მას შუბებზე წამოაგებენ, თუ კვლავ სადმე გზად შეეყარათ. მეტი რა გინდა ვუყოთ? ის ტყვეობას ამჯობინებს და თვალუურს გვადევნებს. შიშ ეგრე მოვექცეოდი ქველობის ბნელით შეპურობილ შენისთანა ხარდლებს.

კეისარი (დაჯდება ამ სიტყვით დაჭერებულ). კეთილო. მას ჩემი ნახვა სურს? რუფუს. დიახ. მე ის აქ მოვიყვანე და ქვემოთ გელოდება.

კეისარი. გინდა მივიღო?

რუფუს (ახირებულად). მე არაფერიც არ მინდა. ვგონებ, სწორედ ისე მოგვცემს მთავარს გნებავს. ჩემი სურვილი აქ რა მოსატანია?

კეისარი (თითქოს განზრახვით რუფუსის დაკმაყოფილებლსა). კარგი, კარგი, მოვიდეს.

რუფუს (იძახის). გუშაგებო, ეგ კაცი გამოუშვით! (შემოდის პოტინი და უნდობლად უყურებს ხან ერთს, ხან მეორეს.)

კეისარი (თავაზიანად). პოტინი კეთილი იყოს შენი მობრძანება, რისთვის შეწუხებულხარ? პოტინი. კეისარო, მოვედი განსაცდელისაგან გაგაფრთხილო და წინადადება შემოგთავაზო.

კეისარი. განსაცდელი — არაფერია. თქვი შენი წინადადება.

რუფუს. წინადადება არაფერია. თქვი, რა განსაცდელია.

პოტინი. კეისარო, გგონია, კლეოპატრა შენი ერთგულია?

კეისარი (სერიოზულად). მეგობარო, მე ხომ ვიცი, რაცა გგონია. შენი წინადადება?

პოტინი. პირდაპირ გეტყვი. არ ვიცი, რომელი უცხო ღმერთები გწყალობენ, რომ სასახლეაა და ერთ ცილა ნაპირს მთელი ქალაქისა და ლაშქრის წინააღმდეგ იცავ; მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენ მორეპტის ტბა მოგიჭერათ, თქვენ ზღვის პირად ჰქები ამოთხარეთ და სასმელი წყალი გაიჩინეთ, მივხვდით, რომ შენ ღმერთებს ვერ გავუძალიანდებით, რომ შენ სასწაულებს ახდენ. მე აღარ გეწინააღმდეგები.

რუფუს (დაცინვით) კეთილსა ბრძანებ, პოტინი

პოტინი. ეგრე იყოს; შენა ხარ უფალი და ბატონი. ჩვენმა ღმერთებმა ჩრდილო-დასავლეთით ქარები მოგვივლინეს და თითქოს ჩვენთვის გაგწირეს; მაგრამ ჩვენი ღმერთებისათვის შენ უძლეველი აღმოჩნდი.

კეისარი (თავაზიანად აძულებს პოტინს საჭმიანი წინადადებისათვის).

დიახ, დიახ, მეგობარო. მერე?

რუფუს. ჩქარა! რა გსურდა გეთქვა?

პოტინი. მინდა გაუწყოთ, რომ თქვენ ბანაკში მოლაღატეა — კლეოპატრა!

მსახურთუფროსი (მაგიდასთან აცხადებს). დედოფალი (კეისარი და რუფუსი წამოდგებიან.)

რუფუს (პოტინს) სულელო, აღრე უნდა გეთქვა. ეხლა უკვე გვიანია.

(კოლონადის ფართო მხრიდან შემოდის კლეოპატრა საუცხოოდ, მეფურად მორთული. გაივლის რას ქანდაკებასა და მაგიდას შორის და კეისარს მიუახლოვდება. მისი მხლებლები ფტატატიტასთან ერთად მსახურებში გაერევიან. კეისარი კლეოპატრას ადგილს დაუთნობს.)

კლეოპატრა (შეამჩნევს პოტინს). ამას აქ რა უნდა?

კეისარი (კლეოპატრას გვერდით დაჯდება. კარგ გუნებაზეა). შენ ამბავს მეუბნებოდა — შენც მოუსმინე. განაგრძე, პოტინი.

პოტინი (არეულად). კეისარო... (ენა ებმის).

კეისარი. თქვი, თქვი, განაგრძე.

პოტინი. რაც მინდა ვთქვა, შენთვის არის, არა დედოფლისათვის.

კლეოპატრა (ცუდად დაფარული ბრაზით.) გაფრთხილდი — ენას ამოგადგმევინებ, ამის საშუალებაც არის.

პოტინი (განომწვევი ტონით). მაგ საშუალებას კეისარი არ მიმართავს.

კეისარი. მეგობარო, როდესაც აღამიანს ამქვეყნად გასამხელი აქვს რამე, ძნელი ის კი არ არის ვაძულოთ გაამხილოს, არამედ ხელი შევუშალოთ, მეტად ხშირად არ გაამხილოს. ნება მიბოძე, ჩემი დაბადების დღე შენი განთავისუფლებით აღვნიშნო. მშვიდობით, ჩვენ ერთმანეთს აღარ შევხვდებით.

კლეოპატრა (ბრაზიანად). კეისარო, ეგ სულგრძელობა უგუნურებაა.

პოტინი (კეისარს). არა გსურს მარტო შელაპარაკო? მაგრამ შეიძლება ეს შენთვის საბედისწერო იყოს (კეისარი ამაყად ადგება.)

რუფუს (პოტინს). ვირო! ეხლა შენ გმირულ დეკლამაციას მოისმენ.

კეისარი (ორატორის იერით). პოტინ...
რუფუს (აწყვეტივნებს). კეისარო, თუ ეხლა სიცოცხლისა და სიკვდილის შენ საუვარელ ქა-
დაგებას დაიწყებ, სადილი გაცივდება.

კლეოპატრა (ამპარტავნულად). გაჩუმდი, რუფუს. მე მსურს კეისარს მოუხსნინო.
რუფუს (კლეოპატრას, უხეშად). თქვენმა უდიდებულესობამ უკვე მოუხსინა; წარხულ კვი-
რას ეს ქადაგება შენ აბოლოდორსაც გაუმეორე, იმას კე შენთვის შეთხზული ეგონა
(კეისარი პარგავს ღირსეულ იერს, იღიბება, დაჯდებუ დასწრეში უცქერს)
კლეოპატრას. ის გაცოფებულა, რუფუს (ჩახის). ჰეი, მანდ გუშაგებო, გაატა-
რეთ ტყვე, ეგ თავისუფალია. (პოტინს.) აბა, დაიკარგე აქედან! შენ ღროთი ვერ
ისარგებლე.

პოტინ (სიფიცხე სძლეეს მის სიფრთხილეს). მე ვილაპარაკებ.
კეისარი (კლეოპატრას). ნახე? წამებით კი ხმას ვერ ამოაღებინებდი.
პოტინ, კეისარო, შენ ასწავლე კლეოპატრას ქვეყნის მართვის ხელოვნება.
კეისარი. რომაელებს კი თავისი თავისთვისაც ვერ მოუვლიათ. მერე?
პოტინ. მერე? ნუთუ იმდენად მოგზიბლა მაგისმა სილამაზემ, რომ ვერ ამჩნევ, როგორ მოუთ-
მენლად ელის ეგვიპტეში მართო იმეფოს და ისწრაფის რომს გაგისტუმროს.

კლეოპატრა (წამოდგება). შენ სტყუი!
კეისარი (უხერხულადა გრძნობს თავსა). რას ხჩადიხარ? პროტესტი კამათი!
კლეოპატრა (დარცხენილია, მაგრამ სიბრაზით ცახცახებს). არა, პასუხის ღირსს არ გავხდი.
ილაპარაკოს. (დაჯდება.)

პოტინ. ეს მისი პირით მოვისმინე. კეისარო, მას სურს იარაღად გამოვიყენოს; უნდა მის ძმას
გვირგვინი მოხადო, მას დაადგა და უველანი ჩვენ, თვით შენი თავიც, ხელში ჩა-
უვლო, მერე კი კეისარს შეუძლია რომისაყენ გაემგზავროს ან სიკვდილის კარის-
კენ — რაც უფრო ახლოა და საიმედო.

კეისარი (დამშვიდებით). კეთილო, მეგობარო, მაგრამ უველაფერი ეგ ხომ სრულიად ბუნებ-
რივია.

პოტინ (გაოცებული). ბუნებრივია? მაჰ, ღალატისათვის შურს არ იძიებ?
კეისარი. შურს ვიძიებ? სულელო ეგვიპტელო! შური იძიებისათვის ვიფიქრო! შური ვიძიო
ქარის წინააღმდეგ, რომ მყინავს? შური ვიძიო ღამის წინააღმდეგ, რომ სიბნე-
ლეში ფეხი მიცდება? შური ვიძიო ახალგაზრდობის წინააღმდეგ, სიბერეს რომ
შურგს აქცევს ან თავმოყვარეობის, — მონობას რომ უარყოფს. შენ მიერ თქმული
ახალი არ არის, როგორც ხვალინდელი მზის ამოსვლის ამბავი.

კლეოპატრა (თავს ვერ იქერს). მაგრამ ეს სტყუის, სტყუის, უველაფერსა ვფიცავ!

კეისარი. ეს მართალია, თუნდაც ათასჯერ დაიფიცო და ფიცი გჭეროდეს. (კლეოპატრა კან-
კალებს. რათა დამშვიდებისათვის დრო მიაცეს, კეისარი წამოდგება და პოტინს
რუფუსთან მიიყვანს.) წამოდი, რუფუს. პოტინს ორიოდ სიტყვა უნდა ვუთხრა.
(მათ მიმართავს.) დეე, დამშვიდდეს. (ხმაშალლა.) პოტინ, შენს მეგობრებს გადა-
ეცი: მე ხაწინააღმდეგო არა მაქვს რა ამ საკითხების გონივრული მოწესრიგები-
სათვის... (შორს მიდის. მათი ლაპარაკი აღარ ისმის.)

კლეოპატრა (ყრუ ჩურჩულთ). ფტატატიტა, ფტატატიტა!

ფტატატიტა (კლეოპატრას მიამურებს). ჩუმად, შვილო, დამშვიდდი.

კლეოპატრა. ჩვენს ლაპარაკს ხომ ყურს ვერ მოჰკრავენ?

ფტატატიტა. ვერა, შვილო, ვერა.

კლეოპატრა. იცოდე, თუ ის სასახლიდან ცოცხალი გავიდა, ახლო აღარ მიგიკარებ.

ფტატატიტა. ის... პოტ...
კლეოპატრა (პირზე ხელს დააფარებს). მოუხპე სიცოცხლენ, ვით მე მოვსპე მისი სახელი შენს
ბავაზე; კედლიდან გადაჩებე, ქვებზე დაანარცხე! მოჰკალ, მოჰკალ, მოჰკალი!

ფტატატიტა (კბილებს აღრჭენს). ძალი მოკვდება!

კლეოპატრა. არ იჯამ და თვალთ ვეღარ მიხილავ!

ფტატატიტა (მტკიცედ). ეგრე იყოს. ჩემს სახეს ვეღარ იხილავ, ვიდრე მას სამუდამოდ თვალთ
არ დაუბნელდება. (კეისარი და რუფუსი ბრუნდებიან დიდებულად ჩაცმულ აბო-
ლოდორთან ერთად.)

კლეოპატრა (ფტატატიტას). მალე მოდი, მალე! (ფტატატიტა ერთ წუთს უცქერის კლეოპატ-
რას, შემდეგ მძიმე ნაბიჯით გადის. კლეოპატრა მიეგებება კეისარს.) უკან დამიბ-

ჰოცნის.) კმაყოფილი ხარ?

კლემოპატრა. კიდევ ხომ არ გჭერა, ვითომც რომში შენს დაბრუნებას ვნატრულობდე? კეისარი. მე აღარაფერი მჭერა, ჩემი ვინება თვლემს და, გარდა ამისა, ვინ იცის, დავ-ბრუნდები კვლავ რომში თუ არა?

რუფუს (შეწუხებული). როგორ? რაო? რისთვის? კეისარი. განა რასა ვნახავ, რომში რომ არ შენახოს? წლები გადიხარ ქრისტეში მგნვეა, მხოლოდ მე ვბერდები, ბრბო კი აპიას გზაზე კვლავ ახადგურდეს.

აკოლოდორ. აქ, ეგვიპტეშიც, უკეთესი არ არის. ცხოვრებით მოქანცული მოხუცები იძახიან — ყველაფერი გვინახავს, გარდა ნილოსის სათავისაო.

კეისარი (აგზნებული ოცნებით). მაშ, ვნახოთ. კლემოპატრა, წამომხვეები ამ მდინარის აკენის სანახავად საიდუმლოებათა გულის ქვეყანაში? დავიფიწყო რომი, რომელიც ამაღლდა მხოლოდ მისთვის, რომ ამოეცნო, ვით ანადგურებს საზოგადოების დიდებას სრულიად არა დიდ ხალხს! აგიშენო ახალი სამეფო, ავაგო წმინდა ქალაქი იქ, დიდი უცნაურების სამყაროში!

კლემოპატრა (აღტაცებით). ეგრე, ეგრე მქმენს! რუფუს. ვიდრე შემწვარ დაკეულს მოგვიტანდნენ, ორი ლეგიონით მთელი აფრიკის დაპყრობას მოასწრებს.

აკოლოდორ. ნუ ხუმრობ, რუფუს. ეს კეთილშობილი გეგმაა. კეისარი ეხლა არა მხოლოდ დამპყრობელია, არამედ შემოქმედი მგოსანი, სახელი ვუწოდოთ იმ წმინდა ქალაქს და ლესბოსის დვინით ავსილი სასმისი შევწიროთ.

კეისარი. დეე, კლემოპატრამ გამოუნახოს მას სახელი.

კლემოპატრა. მისი სახელი იყოს კეისრის ნობათი მის საყვარლისადმი.

აკოლოდორ. არა, ეს არ ვარგა. მისი სახელი უნდა დიდი იყოს, ფართე ვით ცის თალი.

კეისარი (პროზაულად). უმჯობესია უბრალო სახელი — ნილოსის აკვანი.

კლემოპატრა. არა, ნილოსი ღმერთია და ჩემი წინაპარი. მოდი, ნილოსმა თვით უწოდოს იმ ქალაქს სახელი, იმასა ვკითხოთ. (მსახურთუხუცესს). უთხარი, დაუძახონ! (კეისარი, რუფუსი და აკოლოდორი ერთმანეთს შეპყურებენ, მაგრამ მსახურთუხუცესი გადის, თითქოს ჩვეულებრივი ზრძანება მიიღო.) თქვენ კი (მხლებლებს მიმართავს) ყველანი წადით.

(მხლებლები თავს უკრავენ და გადიან. შემოდის ქურუმი და შემოაქვს სფინქსის მინიატურული ქანდაკება; მინიატურულ ზედადგარ სამსხვერპლოთა; სამსხვერპლოზე იწვის გუნდრუკი; ქურუმი დადგამს სამსხვერპლოსა და ქანდაკებას ძაგიდაზე. ცვეხლი სამსხვერპლოზე ფერს იცვლის და ეგვიპტის ჩამავალი მზის მეწამულ ფერს იღებს; ქანდაკებას თითქოს ფერადი ჩრდილი მოიცავს. სამივე მამაცი გადაწვევითი აქვს შთაბეჭდილებას გაუძალიანდეს, მაგრამ ძლიერ დაიტყვევებულნი არიან.)

კეისარი. კარგი თვალთმაქცობაა.

კლემოპატრა. აი, ნახავ... და ეს სრულიადაც თვალთმაქცობა არ არის. რათა ყველაფერი რიგზე უოფილიყო, უნდა ვინმე მოგვეკლა — ეს სფინქსს ესიამოვნებოდა, მაგრამ კეისარს იქნებ უამისოდაც უპასუხოს, თუ ღვინოს ვაპყურებთ?

აკოლოდორ (ღმერთ რას ქანდაკებას უცქერის) იქნებ ჩვენს ქორისთავა მეგობარს მივმართოთ?

კლემოპატრა (ნერვიულად). ჩუმაღ. გაგიგონებს და გაჩავრდება.

რუფუს (ფლეგმატურად). ნილოსის სათავე, მგონი, მისი რაიონის გარეშეა.

კლემოპატრა. არა, ჩემი ძვირფასი სფინქსის გარდა, ჩემს ქალაქს სახელს ვერავინ მოუნახავს — მე მის მკერდზე მეძინა, როდესაც კეისარმა მიპოვა. (წყნარად მიმართავს ქურუმს.) წადი, მე თვით ქურუმი ვარ და შემოძლიან ვიკისრო შენი მოვალეობა. (ქურუმი თავს უკრავს და გადის). ახლა ყველამ ერთად მოვეუწოდოთ ნილოსს, იქნებ ძაგიდის კაკუნით გვიპასუხოს.

კეისარი. რაო? ძაგიდის კაკუნით? ნუთუ რესპუბლიკის შვიდას მეშვიდე წელს კვლავ სჭერათ ესეთი ცრუ ამბები?

კლემოპატრა. ეს ცრუ ამბავი არ არის. ჩვენი ქურუმები ამ საშუალებით მრავალ რამეს იგებენ. ხომ მართალს ვამბობ, აკოლოდორ?

აკოლოდორ. დიახ, მე ვაცხადებ, რომ მწამს, თუ კლეოპატრა ქურუმია, მე მოჩვენებზე ვარ. შეულოცე.

კლეოპატრა. თქვენ ჩემთან ერთად უნდა შეულოცოთ — გვამხილეთ, შამა ნილოსო (მეტივეს სასმიაღება ქანდაკების წინაშე). გვამხილეთ, შამა ნილოსო (ისმის მომავლადვი ადამიანის ყვირილი. შემოხებულხი მტარქმენქ მტარსებს და ყურს უგლებენ სიჩუმე, ცის ვარდისფერი განათება მტარქმენქ მტარსებს დაეს კლეოპატრას: დაინახავს, რომ ის აგზნებული თვალებით სამსხვერპლოს ღვინოს აპყურებს მადლობისა და თაყუახისცემის გამომეტყველებით. აკოლოდორ წამოხტება და შირბია სახურავის კიდესთან, ყურადღებით იცქირება ქვემოთ და ყურს უგლებს.)

კეისარი (აჩერდება კლეოპატრას). ეს რა ამბავია?

კლეოპატრა (გაგვირებული). არაფერი, ალბათ მონახა სცემენ.

კეისარი. არაფერი?

რუფუს. დავიფიცავ, რომ ეს დანით დაკლული კაცის ყვირილი იყო.

კეისარი. მკვლელობა!

აკოლოდორ (ხელს იქნევს) წყნარად, წყნარად! ყური დაუგდეთ.

კეისარი. კვლავ ყვირილი?

აკოლოდორ (უბრუნდება მკვლელს). არა, თითქოს რაღაც დავარდა ნაპირზე.

რუფუს (მოდუნული წამოდგება). და ძვლები დაიმსხვრა.

კეისარი (კანკალებს). ჩუმად, ჩუმად, რუფუს, (წამოდგება და კოლონადისაკენ მიდის, მს რუფუსს და აკოლოდორს მისდევენ.)

კლეოპატრა. შარტო მტოვებ, კეისარო? მიდიხარ, აკოლოდორ?

აკოლოდორ. უნდა მოგახსენო, დედოფალო, რომ მადა სულ დამეკარგა.

კეისარი. ჩადი ეზოში, აკოლოდორ, და გაიგე, რა მოხდა. (აკოლოდორი თავს უქნევს და გადის.)

კლეოპატრა. ვანა რა მოხდა? იქნებ შენმა ქარისკაცებმა მოკლეს ვინმე? (ქვევადან გაისმის ბობოს აღშფოთებული ხმები. კეისარი და რუფუსი ერთმანეთს უცქერიან.)

კეისარი. ეს უნდა გამოვიძიოთ! (უნდა აკოლოდორს გაჰყუეს, მაგრამ რუფუსი აჩერებს მას და სახლის სახურავის შორეული კუთხიდან მომავალ ფტატატატაზე მიუთითებს. ფტატატატა ძლივს ადგამს ფეხებს. მის თვალებში და პირის კუნჭულებში ცხოველური კმაყოფილება ისახება, კეისარს ჰგონია, მთვრალიაო; რუფუსი კარგად ამჩნევს, რა წითელი დეიხოცა აქვს მას რაღაც.)

რუფუს (ხმადაბლა). ამ ორმა დედაკაცმა რაღაც საზიზღარი ამბავი იცის.

ფტატატატა. დედოფალს კვლავ შეუძლიან პირი იბრუნოს თავისი ერთგული მონისაკენ.

(კლეოპატრა გაბარებული უყურებს ფტატატატას. წიქდგვ მოეხვევა, ველური ენით კოცნის მას, მოიხსნის თავის სამკაულს და მას აძლევს. კეისარი და რუფუსი კითხვით შესცქერიან ერთმანეთს. ფტატატატა მოდუნებული მიდის სამსხვერპლოსთან. მუხლს მოიდრეკს ქანდაკების წინაშე და ასე რჩება. ლოცულობს: კეისარი კლეოპატრას მიუახლოვდება.)

კეისარი (გამოცდის კალთით და სერაოხულად). რა მოხდა, კლეოპატრა?

კლეოპატრა (კეისარისა წმინისა, მაგრამ მაცდური ტონით) არაფერი, კეისარო. (მკრთალი ხმით.) არაფერი, მე უდანაშაულო ვარ, ძვირფასო კეისარო, მიჯავრდები? ვგრე რად მიყურებ? მე ხომ სულ აქ ვიყავი. მე რა ვიცი, რა მოხდა?

კეისარი (ზადიქრებული). ეგ მართალია.

კლეოპატრა (შეღავითით. ეალერსება). რასაკვირველია, მართალია. (კეისარი ალერსზე არ უპასუხებს.) რუფუსნაც იცის — ეს მართალია. (ხმაური ქვემოთ გოდებად იქცევა და სიჩუმე ჩამოვარდება.)

რუფუს. ეხლავე შევიტყობთ. (ჩქარი და მძიმე ნახიჯით მივა სამსხვერპლოსთან და ფტატატატას მხარზე ხელს დაადებს.) მე თქვენთან საქმე მაქვს, ქალბატონო! (ყვსტით უბრძანებს წამოდგეს.)

ფტატატატა (წამოდგება მუქარის იერით). ჩემი ადგილი დედოფლის გვერდით არის.

კლეოპატრა. რუფუს, მაგას ცუდი არა ჩაუდენია რა.

კეისარი. (რუფუსს). თავი დაანებე.

რუფუს (სამსხვერპლოზე დაჯდება). კეთილი, მაშ ჩემი ადგილი აქ არის. წადი და შენ თვი-

თონ გაიგე, რაც მოხდა. საშინელი ღრიალი ისმის ქალაქიდან უნდა იყოს კენისარი (ქალიერ უკმაყოფილო). რუფუსს, ეხლა მორჩილების დროა. რუფუსი და ინადობის. (ჯილტად ვულზე ხელებს დაკრეფს.) კენისარი, (კლეოპატრას), უთხარი ფტატატიტას მოგვმორდეს.

კლეოპატრა (სლუკუნით ცდილობა კეისარი მოაღბოს). რასაც შეტყუვი, შევასრულებ იმ-სათვის, რომ მიყვარხარ. წადი, ფტატატიტა. ფტატატიტა. შესმის, დედოფალო, თუ დაგვირდი, აქვე ახლოს ვიქნები. (გადის.) რუფუსს (გაძყვება ფტატატიტას). ვახხოდეს, კეისარო, მახსენე და შენთან გავჩნდები.

კლეოპატრა (მოშორდება მაგიდას და სვეტთან სკამზე დაჯდება). რისთვის აძლევ რუფუსს ამდენ უფლებას? მას უნდა თავისი ადგილი უჩვენო. კენისარი. ესე იგი ჩემი მტრობა ვახწავლო, ვახწავლო ჩემ წინაშე თავის წრახვათა დაფარვა, რასაც შენ ეხლა ხჩადიხარი

კლეოპატრა (კვლავ შიში აღედგინის) მაგას რად ამბობ, კეისარო? მე არაფერს, არაფერსა ვფარავ- ეგრე ნუ მეპყრობი. (ოხერას იკავებს). მე ხომ ბავშვი ვარ, შენ კი თითქოს ქვად იქეცი იმისათვის, რომ ეჭვობ, ვიდაც მოგვალა. მე ამას ვერ ავიტან. (თითქოს ძალა აღარ შესწევს და ტირილს მორთავს. კეისარი მას სვედიანად უყურებს, მაგრამ ამავე დროს ცივად. დაინახავს რა, რომ კეისარი გულგრილობას იჩენს, კლეოპატრა შეებრძოლება თავის აღელვებას და თავს მოერევა). არა, აღარ ვიტორებ, ვიცო, ცრემლები, გეჩავრება. ვიცო, გაჩავრებული არა ხარ, სვედამ მოგიცვა მხოლოდ. მე კი გული მეთანაღრება, როცა ცივად მელაპარაკები, რასაკვირველია, შენ მართალი ხარ — მართლა ფიქრიც კი საშინელია, რომ ვინმე მომკლეს ან თუნდაც დაჭრეს; მაგრამ იმედი მაქვს, არაფერი სამძიმო არ მომხდარა... (გაჩუმდება, ვერ იტანს კეისრის უკმეხ მზერას.)

კენისარი. ეგრე რამ შეგაშინა? რა ჩაიღინე? (ნაპირიდან გაისმის საყვირის ხმა). მე, ეს თითქოს პასუხად ხმიანობს!

კლეოპატრა (უკან გადაიხრება, სახეზე ხელებს მიიფარებს). მე შენთვის არ მიღალატნია! ვფიცავ, კეისარო!

კენისარი. ვიცო. მე შენ არც გენდობოდი. (მიბრუნდება და გასვლას აპირებს. შემოდინ აპოლოლორ და ბრიტანუს და ძალით მოჰყავთ ლუციუს სეპტიმუსს. მას მოსდევს რუფუსი. კეისარი შეერთება.) კვლავ მომპეუსის მკვლეელი?

რუფუსს. ქალაქი ქკუიდან შეიშალა. მათ განზრახვა მქონდათ ხასახლე მტვრად ექციათ და ჩვენ ზღვაში ჩავეყარეთ. ჩვენ ეზოდან უკან დავახვევინეთ და ეს მოღალატე შევიყარით.

კენისარი. გაუშვით! (ხელს გაუშვებებს.) რამ ამხედრა ქალაქი, სეპტიმუს?

ლუციუს სეპტიმუსს. მაშ, რა გეგონა, კეისარო? პოტინი მათი საყვარელი იყო.

კენისარი. განა რა დაემართა პოტინს? ჭერ ნახევარი საათიც არ გასულა, გავანთავისუფლე. გუშაგებმა არ გაუშვეს?

ლუციუს სეპტიმუსს. დიახ, გაუშვეს, — სამოცი ადლის სიმაღლიდან დაუშვეს სამი გოჭი ფოლალით ნეკნებში. ის მკვდარია, ვით მომპეუსი. ეხლა ქვითსა ვართ, კეისარო, მკვდელობისათვის მე და შენ...

კენისარი (აღელვებული). მოჰკლეს... ჩვენი ტყვე... ჩვენი სტუმარი (საყვედურით.) რუფუსს...

რუფუსს (უპასუხებს კითხვას, რომელიც მისთვის არ მიუციათ). ვინც უნდა იყოს მისი მკვლეელი, ის ბრძნულად მოიქცა, ის შენი მეგობარია, მაგრამ არც ერთი ჩვენგანის ხელი აქ არ ურევია და მე ტყუილად მირისხდები. (კეისარი მიბრუნდება და კლეოპატრას უცქერის.)

კლეოპატრა (გამომშვვევი ტონით). ის მოჰკლეს ეგვიპტის დედოფლის ბრძანებით. მე იულიოს კეისარი არა ვარ — მეოცნებე, ყოველი მონის შეურაცხყოფას რომ იტანს, რუფუსმა დაადასტურა ჩემი სიმართლე — ეგრევე მსაჯონ სხეებმაც. პოტინი ცდილობდა შეთქმულებაში ჩავეთრიე, რათა კეისარი აქილასისა და პტოლომეს ხელთ მიშეცა. მე უარი ეუპასუხე. მან დამწყველა და კეისართან ფარულად მივიდა, რათა თავისი ღალატი ჩემთვის დაეკისრებინა. ზედ მივასწარი და მან შეურაცხყო მე — მე, დედოფალი კეისარმა ჩემი გულისათვის შურისგება არ ისურვა — აღერსით

ელაპარაკა და გაანთავისუფლა. მითხარი, ლუციუს, სწორად მოვიქცევი, რომ შური ვიძიე? თქვი, ლუციუს.

ლუციუს სპატიმშს არ უარვყოფ. მაგრამ კეისარი მაგისტრის მადლობას არ გეტყვის.

კლეოპატრა. თქვი, აპოლოდორ, მართალი ვარ მე?

აპოლოდორ. მხოლოდ ერთ რამეს შესცდვი, მშვენიეროს ჩემთვის, შენი რაინდისათვის, უნდა გეთქვა და პატიოსან ორთაბრძოლაში მე შეურაცხყოფელს მოვკლავდი.

კლეოპატრა (ენებლით). მსაჯოს თვით შენმა მონამ, კეისარო, სთქვი, ბრიტანეუსს, მართალი ვარ მე?

ბრიტანეუს. თუ ლატს, ვერაგობას, სიცრუეს დაუსჯელად დავტოვებთ, საზოგადოება გადაიქცევა სასრბოდ, სადაც ველური მხეცნი ერთმანეთს დაჭამენ. კეისარი სცდება.

კეისარი. როგორც ვხედავ, განაჩენი ჩემ წინააღმდეგ არის.

კლეოპატრა (დაყინებით). მომისმინე, კეისარო. მთელ აღმოსავლეთში ერთი კაციც რომ გამოჩნდეს და ბრალი დამდოს, ჩემს მონებს ვუბრძანებ სასახლის კარს მიმაქედონ!

კეისარი ამჟამად ან შემდეგ მთელ ქვეყანაზე ერთი კაციც რომ აღმოჩნდეს, რომელიც შენს საქციელს დამრახავს, ის ჩემებრ ან ქვეყანას დაიპყრობს, ან ქვეყანა მას სასიკვდილოდ გასწირავს. (ისმის რისხვის ხმაური). გესმით? იმათ, კარს რომ აწვებიან, იმათაც სწამთ შურისძიება და მკვლელობა. შენ მათი ბელადი მოჰკალი. სამართლიანი იქნება, თუ ისინი შენ მოგკლავენ. თუ ეჭვი გაქვს, შეეკითხე შენს ოთხ მრჩეველს. და შემდეგ იმავე სამართლიანობის (ამ სიტყვას ხანა უსვამს) გულისთვის დედოფლის მკვლელები არ უნდა დავხოცო და განა მათ თანამემამულეთ მე არ უნდა მომკლან, მათ ქვეყანაში რომ შემოვიქერი? და განა რომმა ეს მკვლელები არ უნდა დახოცოს, რათა დაანახოს ქვეყანას, თუ როგორ იძიებს ის შურს თავის სვილთა და საბედისათვის? და ესე დაუსრულებლად მკვლელობა მკვლელობასა შობს — სამართლიანობის, სინდისისა და მშვიდობიანობის სახელით... ესე იქნება, ვიდრე სისხლს მობეზრებული ღმერთები ხალხის ახალ მოდგმას არ შექმნიან, ის შეიმცნობს... (ხმაური მძვინვარდება, კლეოპატრას შიშით ფერი მიადის.) გესმის შენ, შეურაცხყოფას რომ ვერ იტან? წადი, ყური დაუგდე. მათი სიტყვები უფრო მწარეა, ვიდრე პოტინის ენა იყო. (ღირსეული იერით.) დედოფალმა გასცეს შურისძიების ბრძანება და თავდაცვის ზომები მიიღოს. მან უარბყო კეისარი. (სურს გაეიდეს.)

კლეოპატრა (კეისრის წინაშე მუხლებზე დაეცემა). შენ არ დამტოვებ, შენ სასახლეს დაიცავ.

კეისარი. შენ ხომ ხელთ აიღე სიცოცხლისა და სიკვდილის უფლება, მე მხოლოდ მეოცნებე ვარ.

კლეოპატრა. რომ მომკლან?

კეისარი. და რატომაც არა?

კლეოპატრა. სიბრალულის გულისთვის.

კეისარი. რაო? სიბრალულის? განა ესეა, რომ სიბრალულის გარდა არაფერი გიხსნის? შეიბრალე შენ პოტინი? (კლეოპატრა წამოდგება, სასოწარკვეთით ხელებს იმტრევეს და თავის ადგილზე ბრუნდება. აპოლოდორი, რათა კლეოპატრას თავისი თანაგრძნობა ასვენოს, მისი საფარძლის უკან გაჩერდება. ცამ უკვე ღია წითელი ფერი მიიღო და მალე მუქ ვარდისფრად იღებება, კოლონადა და რას ქანდაკება მუქდება.)

რუფუს. კეისარო, გმარა ქადაგება, მტერი კარს მოადგა.

კეისარი (რისხვით). მართლა და ვინ აჩერებდა მას ამდენ ხანს კართან? ჩემი შემოღობობა, როგორც თქვენ უწოდებთ, თუ თქვენი სიბრძნე? ვინ გფარავდათ ეგვიპტის სისხლის ზღვის ტალღებში? (მიმართავს კლეოპატრას.) და როდესაც კეისარი ეუბნება ერთ მათგანს — მეგობარო, მშვიდობით წადი, — შენ, შენს უღირს სიცოცხლეს რომ უფროსილდები და ჩემს მახვილს ეფარები, გაჰბედე და ვერაგულად, ქურდულად მას ზურგში ხანჯალი დაეცი! თქვენ კი, ღირსეულო მხედარნო, თავი დაგავიწყდათ და ტაშს უკრავთ ამ მკვლელობას და გაიძახით — „კეისარი მართალი არ არის!“ ღმერთებსა ვფიცავ, მინდა გულებელი დავიკრიფო და მაშინ ენახეთ — წაგიდებთ თუ არა ნიაღვარი?

კლემენტინა (ეშმაკური იმედი ებადება). კეისარი, თუ ამას ჩაიღენ, შენც ხომ დაიღუპები? (კეისარს თვალები აუღვლევადება).

რუფუს (შეძრწუნებული). დიდ იუპიტერს ვფიცავ, — ქეციანო ეგვიპტელო ვარძხა, სწორედ ეს სიტყვები საკმარისია, მართო თვითონ შეებრძოლოს ქალაქს და ჩვენ აქ სასიკვდილოდ განწირულნი მიგვატოვოს. (ინედდაკარგულ ქაღალდს კეისარს.) ნუთუ მართლა დაგვტოვებ მხოლოდ იმისათვის, რომ ჩვენს [სიტყვებს] ვართ? როდესაც მე ვისმესა ვკლავ, არა მსურს მას ვნება მოვუტანო, ვკლავ, როგორც ძალღი შკლავს კატას, — ინსტინქტურად. ჩვენ ყველანი შენი ძაღლები ვართ, მაგრამ ერთგულად გემსახურებათ.

კეისარი (დამშვიდებული). ვაი, შერლო რუფუს, რომ ყველას ჩვენ ძაღლებივით ქუჩაში ამოგვხოცავენ.

აკოლოდორ. შენი სიტყვები ოლიმპიურად ხშიანებს, კეისარო! მართალს ამბობ, — ეს სიტყვები ხელოვნების მშვენიერი ქმნილებაა. მაგრამ მე მაინც კლემენტინას მხარესა ვარ და, თუ უნდა დავიხოცნეთ, დედოფალს არც ვაუკაცის ერთგულება მოაკლდება, არც ვაუკაცის ღონე.

კლემენტინა (ტირის). მე რომ არ შინდა სიკვდილი.

კეისარი (სევდიანად). რა მდაბალი ხარ.

ლუციუს (წინ წამოდგება). კეისარო, შეიძლება ეს სიმაბულე იყოს, მაგრამ მე ისე დიდხანს შინდა ვიცოცხლო, რამდენადაც შეხატლებელია.

კეისარი. მაშ შენ კეისარზე დიდხანს იცოცხლებ. ჩემი ჯადო ხომ არ აფერხებდა დღემდე თქვენ ჯარსა და ქალაქს? დღემდე მათ საბაბი არ ჰქონდათ ჩემ წინააღმდეგ იერიშის მოტანით თავი სასიკვდილოდ გადაედოთ. დღეს კი მათი ყელგამოღადრული გმირა აქედან ვისროლეთ და ეხლა თვითეულ მათგანს სწუურიან მოსპოს მკვლელების ბუდე, — ჩვენ ხომ მკვლელების ბუდე ვართ, სხვა არაფერი, გამხნევი, ვაუკაცო, გაღესე მახვილი, ლუციუს. პომპეუსის თავი ძირს გაგორდა — კეისარის თავსაც იგივე ელის.

აკოლოდორ. განა კეისარმა იმედი დაჰკარგა?

კეისარი (უაღრესი სიანაყოით). ვისაც იმედი არაოდეს ჰქონია, მას ვერც დაჰკარგავს. ბედნიერებასა თუ უბედურებაში კეისარი თავის ბედს სახეში უცქერის.

ლუციუს. მაშ შეხედე ბედს სახეში და დაინახავ; ის შენ გიღიმის.

კეისარი. (უნებლიე ამპარტავნობით). სცდილობ გამამხნევო?

ლუციუს. მე მსურს მხოლოდ ჩემი სამსახური შემოგთავაზო. მე შენ მხარეს აღმოვალ, თუ მიმიღებ.

კეისარი (სიმაღლიდან მიწაზე ქმეცება, გამქრიაბი თვალთ შეხედავს და მიხედება, რომ მის წინადადებაში რაღაც იფარება). როგორ? ეხლა, ამ პირობებში?

ლუციუს (მტკიცედ). ეხლა, ამ პირობებში.

კეისარი. გგონია, კეისარი უგუნურია, რომ მოგენდოს?

ლუციუს. მე მას ნდობას არ ვთხოვ, თუ არ გაიმარჯვებს. ვთხოვ მხოლოდ სიცოცხლე შემინარჩუნოს და ჯარში მიმსახუროს, ჩემს საქმეში ისევე პატიოსანი ვარ, როგორც კეისარი, — მე წინდაწინვე გადავიხდი.

კეისარი. გადაიხდი? როგორ?

ლუციუს. კარგი ამბით. (კეისარი მიხედება, რა ამბავის შესახებ არის ლაპარაკი.)

რუფუს. რა ამბით?

კეისარი (მას ახალგაზრდული, აგზნებული ენთუზიაზში შეაპყრობს. კლემენტინა განცვიფრებით შესცქერის). რა ამბავით? შენ ეკითხები, რა ამბავით? დახმარება ახლოს არის — სხვა რა ახალი ამბავი უნდა იყოს! მართალს არ ვამბობ, ლუციუს? მიტრიდატ პერგამელი გვიანლოვდება.

ლუციუს. მან უკვე პელუზიუმში აიღო.

კეისარი (ილტაცებით). ლუციუს, ამიერიდან შენ ჩემი ხელქვეითი ხარ. რუფუს, რათა მიტრიდატს ნილოსზე აღმოსვლისათვის ხელი შეუშალონ, ეგვიპტელები მთელ თავიანთ ჯარებს ქალაქიდან გაიყვანდნენ; ქალაქში მხოლოდ ბრბოლა დარჩებოდა, ბრბო!

ლუციუს. მართალია, მიტრიდატი შემფისასაკენ შარავსით მოდის, რათა გაღმით დელტასთან გამოვიდეს. აქილასი იქ აპირებს მასთან შებრძოლებას.

კეისარი (ვაჟკაცური აღტაცებით). აქილასი კეისარს აქ შეებრძოლება! რუფუს, უუურე! (მაგიდას მიაშურებს და ღვინოში დასველებული თითით სუფრაზე გეგმა ხაზავს. რუფუსი და ლუციუსი ყურადღებით უცქერიან. უკვე დაბნელდნენ.) აი, ხაზავს, აი — თეატრი. შენ (რუფუსს მიმართავს) წაიყვან ოც კაცს და ეცდები ამ ქუჩით გაიარო. ვიდრე ისინი ქვების წვიმით დაგატყდებიან, ჩვენი კომარტები აი, აქ და აქ გაივლიან. გეგმა სწორად დავხატე, ლუციუს?

ლუციუს. დიახ, აქ მწვანის ბაზარია...

კეისარი (აღელვებულია, ლუციუსის სიტყვები არ ესმის). ეს გზა მე ქალაქში პირველად, შემოსვლის დღესვე, ავირჩიე. კეთილი (მაგიდას მოშორდება.) ბრიტან, წადი უთხარი პეტრონის, რომ ერთი საათის განმავლობაში ჩვენი ჯარების ნახევარი დასავლეთ ტბის ნაპირს უნდა გაჩნდეს. იზრუნე ჩემი იარაღისა და ცხენისათვის. (ბრიტანუსი გარბის.) დანარჩენებით მე ტბას შემოვუვლი და ნილოსს გავცემა მიტრიდატის შესახვედრად. ლუციუს, წადი და ბრძანება გაეცი. (ლუციუსი გადის.) აბოლოდორ, მოიტა შენი მარჯვენა და ხმალი ამ ლაშქრისათვის!

აკოლოდორ. და მათთან გული და სიცოცხლეც.

კეისარი (ხელს ართმევს). თანახმა ვარ. მზადა ხარ მოქმედებისათვის?

აკოლოდორ. მზად ვარ ხელოვნებისათვის, — ომის ხელოვნებისათვის, (სწრაფად გამოუდგება ლუციუსს, კლეოპატრა სულ ავიწყდება.)

რუფუს. ეს კი თითქოს საქმეა!

კეისარი (მხიარული). ხომ ხედავი (ტაშს უკრავს, მონები შენობიან). შესწყვიტეთ ეს საზინდარი ღრეობა! მომავალად უველაფერი ეს აქედან, აღარაფერი დავინახო და თქვენც მომცილდით! (მონები სუფრას აალაგებენ, ფარდები ჩამოეშვება და კოლონადა დაიფარება.) ქუჩები ხომ არ აგერევა, რუფუს?

რუფუს. არა, მე, ყოველ შემთხვევაში, გზას გავიკვლევ. (ეზოში ისმის ბუქცინის ხმა.)

კეისარი. მაშ წავიდეთ, უნდა ჯარისკაცებს ვუთხრათ რამე, გავამხნევოთ. შენ ნაპირისკენ წადი, მე ეზოში ჩავალ. (კიბისკენ მოდის.)

კლეოპატრა (იგი ყველას დააფიწყდა, ფრთხილად წამოდგება და კეისარს ხელს გაუწვდის). კეისარო...

კეისარი. (მიბრუნდება). დიახ?

კლეოპატრა. მე დაგავიწყდი?

კეისარი (სიბრალებლით). ეხლა საქმე მაქვს. დავბრუნდები და შენ საქმესაც მოვარიგებ. შშვიდობით, კარგად იყავი და მოთმინება იქონიე. (გაღის საქმიანი იერით და კლეოპატრასადმი სრული გულგრილობით. კლეოპატრა ხელებს კუმშავს, დამცირებული და ბრაზმორეული.)

რუფუს. მორჩა, შენ წააგე. ქალი მასთან მუდამ წაგებულა.

კლეოპატრა (მედიფურად). წადი, შენს ბატონს გაჰყე!

რუფუს (კლეოპატრას ტლანქი ფამილიარობით ყურში უჩურჩულებს). ერთი სიტყვაც. გადაეცი შენს ჯალათს: პოტინისათვის რომ, როგორც ჯერარს, ყელი გამოეღადრა, დაუვირებას ვეღარ მოახწრებდა. შენ მიერ მოხუდილმა კაცმა მარჯვედ ვერ იმუშავა.

კლეოპატრა. საიდან იცი, რომ კაცი იყო?

რუფუს (გაკვირვებული). შენ ხომ არ იქნებოდი შენ ჩვენ არ მოგვშორებიხარ. (კლეოპატრა უკმეხად პირს იბრუნებს, რუფუსი თავს იქნევს და ფარდას გასწევს, რათა გავიდეს. მთვარე სიუცხოოდ ანათებს. მაგიდა ალაგებულია. სამსხვერპლოზე ზედაღვრის წინ რას ქანდაკებასთან ფტატატიტა დანოქილი ლოცულობს მთვარისა და ვარსკვლავების შუქში გახვეული, რუფუსი შეჩერდება, ნელა გასწევს ფარდას და ჩურჩულით მიმართავს კლეოპატრას.) ეს იყო? საკუთარი ხელით?

კლეოპატრა (მუქარით). ვინც არ უნდა ყოფილიყო, ჩემი მტრები უფროსილდნენ ფტატატიტას. ეს კარგად დაიხსომე, რუფუს, რომ ბბედავ და კეისარის წინაშე ეგვიპტის დედოფალს სასაცილოდ იგდებ.

რუფუს (კლეოპატრას უცხურებს მიაღუშული). არ დამაფიწყდება, კლეოპატრა. (დაპირების

დასადასტურებლად თავს იქნევს და პარვით გადის ფარდის უკან გზაში თავის მანვილს ამოიღებს.)

ჯარისკაცები (ეზოში). სალაში კეისარს!

(კლეოპატრა ყურს უგდებს. ისმის ბუქცინა, შემდეგ — საყვირი.)

კლეოპატრა (ოთების მტვრევით იძახის). ფტატატიტა, ფტატატიტა! **ქრისტე** ვარ, აქ მოდი (სიჩუმე). ფტატატიტა! (უფრო ხმამაღლა) ფტატატიტა! **ქრისტე** შიშით შეპყრობილი ზონარს ხელს მოჰკიდებს და ფარდას გასწევს. სამსხვერპლოსთან ყელგამოდარული გღია ფტატატიტა, მისი სისხლით შეღებულია თეთრი ქვა.)

(ფარდა)

მეხუთე აქტი

შუაღღეს ზეიმი და სამხედრო აღლუმი სასახლის წინ ესპლანადაზე. აღმოსავლეთ ნავსადგურში დგას კეისრის გალერა, მორთული, თითქოს ყვავილებით დატვირთული. ეს გალერა იმ სანაპირო ქუჩასთან დგას, საიდანაც აპოლოდორ თავისი ბალიჩებით ნავში ჩაჯდა. კიბიდან ზღვის ნაპირზე, სადაც რომაელი გუშაგი დგას, სასახლის კარბდე ესპლანადაზე გაფენილია ლამაზი ვიწრო ხალიჩა სასახლის შესავალთან ფართო საფეხურებზე თავი მოუყრიათ კლეოპატრას სფფექალებს. მათ თხელი, ფერადი ტანსაცმელი აცვიათ და აყვავებულ ბაღს ემსგავსებიან. სასახლის ფასადთან კლეოპატრას გუშაგებია. ეს იგივე ლამაზი ვაჟკაცები არიან, რომლებსაც ექვსი თვის წინათ ძველ სასახლეში, სირიის საზღვრებთან, ბელ-აფრისმა კეისრის მოსვლა აცნობა. ესპლანადის მეორე მხარე უჭირავთ რომაელ ჯარისკაცებს; მათ უკან ხალხი ფეხის წვერებზე დგება, რათა თვალი მოავლოს ესპლანადას, სადაც დასერილობენ და ბაასობენ ოფიცრები. მათ შორის სპარსელი და ბელჯანორი, აგრეთვე რომაელი ცენტურიონ ვაზის პატარა კეტი. ცენტურიონს ომში გაცვეთილი ტანსაცმელი აცვია, სქელი ფეხსაცმელები და ბრწყინვალე, მოქნილ ეგვიპტულ ოფიცრებთან უხეში მოსჩანს. აპოლოდორი ხალხს გამოარდევს და რომაელ ჯარისკაცთა რიგის უკნიდან იძახის.

აპოლოდორ. შეიძლება გამოვიარო?

ცენტურიონ. გამოუშვით აპოლოდორ სიცილიელი (ჯარისკაცები გაუშვებენ.)

ბელჯანორ. კეისარი ახლოა?

აპოლოდორ. ჯერ არა, ისევ მოედანზეა. ჯარის ღრიანცელი ვეღარ ავიტანე. ნახევარსაათიანი სამხედრო აღტკინების შემდეგ საქიროა კაცმა ერთი წუთით მაინც ზღვის პარვით ისუნთქოს.

სპარსელი. ახალს რას იტყვი? კეისარმა ქურუმები სიკვდილით დასაჯა?

აპოლოდორ. არა, რას ამბობ! ისინი კეისარს მოედანზე შეხვდნენ, თავზე ნაცარი დაეყარათ და ხელებში ღმერთები აეყვანათ. ღმერთები მის ფეხებთან დაუშვეს. მათ შორის მართლა ხანახავი იყო აპისი, ხელოვნების საუცხოო ნაწარმოები ოქროს და სპილოს ძელიდან. ჩემი რჩევით კეისარმა მთავარ ქურუმს ორი ტალანტი შეაძლია.

ბელჯანორ (გაოცებულად). გულთამხილავი აპისი ორ ტალანტად მთავარმა მოგვმა რა უპასუხა?

აპოლოდორ. მან აპისის მოწყალე გულს შეჰლაღადა და ზუთი ტალანტი მოითხოვა.

ბელჯანორ. ამ ქვეყანას შიმშილობა და ქარიშხალი ეწევა.

სპარსელი. მამ რატომ არ დაეხმარა აპისი ეგვიპტელებს კეისრის დამარცხებისათვის? იცი რაშე ახალი სამხედრო ამბავი, აპოლოდორ?

აპოლოდორ. პატარა მეფე პტოლომე დაიხრჩო.

ბელჯანორ. დაიხრჩო? როგორ?

აპოლოდორ. კეისარმა დანარჩენებთან ერთად სამი მხრიდან დაუარა და უველანი წყალში ჩაყარა; პტოლომეს ხომალდი დაიდუმა.

ბელჯანორ. საოცარი ადამიანია კეისარი, როგორა გგონია, მალე იქნება აქ?

აკოლოდორ. რომ მოვდიოდი, ებრაელების საკითხსა სწყვეტდა.

საყვირის ხმა და მოქალაქეთა მიღღვარება კეისრის მოახლოებას აღწევს.

სპარსელი. მას უკვე გადაუწყვეტია. აგერ მოდის. (თავის იდგილს მიაშურებს.)

ბელზანორ (სპარსელს უკან მისდევს). წუნარად! კეისარი

(ქარისკაცები რიგად დაეწყობიან. აპოლოდორი ეგვიპტელთა კრეფსუფსუ მღერის.)

ცენტურიონი (მცველდა მიაშურებს). სმენა! კეისარი

შემოდის მდიდრულად ჩაცმული კეისარი რუფუსთან ერთად. მათ ბრიტანუს მის-
დევს. ქარისკაცები კეისარს მზიარული ყოყონით შეხვდებიან.

კეისარი. ვხედავ, ხომალდი მზად არის. დროა კეისარი ეგვიპტეს გამოეთხოვოს. რუფუს,
ხომ არაფერი დამრჩა მოუწესრიგებელი?

რუფუს. ამ პროვინციისათვის რომელი მმართველი არ დაგინიშნავს.

კეისარი (ემშაპურად უცქერის რუფუსს და სრულიად სერიოზულად ამბობს). რას იტყვი,
დიდი ევპატორის შვილი, ჩემი მხსნელი მიტრიდატ პერგამელი რომ დაგნიშნო?

რუფუს. ის სხვაგან დაგვირდება. განა დაგავიწყდა, რომ გზად რომისაკენ სამი თუ ოთხი
მტრის ლაშქრის დამარცხება მოგიხდება?

კეისარი. მართლა? შენ შესახებ რაღას იტყვი?

რუფუს (არ უჭერებს). შე? მმართველი? რასა ფიქრობ? მე ხომ ყოფილი მონის შვილი ვარ?
კეისარი (აღერსით). განა კეისარმა შენ შვილი არ გიწოდა? (ხალხს მიმართავს.) წუნარად,
მოუსმინეთ კეისარს!

კარისტაცები. მოუსმინეთ კეისარს!

კეისარი. უწყიდეთ, რა არის რომელი მმართველის სამსახური, ჩილდო, წოდება და სახელი,
სამსახური — კეისრის ფარი იყოს, ჩილდო — კეისრის მეგობრობა, წოდება —
რომაელი მხედარი, სახელი მისი — რუფუსი (რომაელი ქარისკაცების ყოყონა.)

რუფუს (კეისარს ხელზე კოცნის). მე კეისრის ფარი ვარ, ხოლო რად ვარგვივარ თუ კეისრის
ხელთ აღარ ვიქნები? მაგრამ სულ ერთია...

(ხმა ჩაეხლიჩება და მიბრუნდება.)

კეისარი. ჩემი ბრიტანელი კუნძული სად არის? მითხარი, ვინ გიბრძანა, დედუტახთან ბრძო-
ლაში რომ შეშლილივით გადაეშვი შენი ქვეყნის ბარბაროსული ხმიანობით, თან
უშვერი სიტყვებით ილანძლებოდი და იძახდი, რომ ოთხ ეგვიპტელს ერთად შე-
ებრძოლები?

ბრიტანუს. კეისარო, ბოდიშს ვიხდი, თუ ბრძოლით გახურებულს თავი დამავიწყდა და უკად-
რისი სიტყვები წამომცდა.

კეისარი. შენ ცურვა არ იცი, მას როგორ გასცურე არხი, როდესაც მტრის ბანაკს დავა-
ტულით?

ბრიტანუს. მე შენი ცხენის კუდს მოვეჭიდე, კეისარო.

კეისარი. მაგრამ ამას მხოლოდ თავისუფალი ადამიანი ჩაიდენს, არა მონა.

ბრიტანუს. მე თავისუფალი დავიბადე, კეისარო.

კეისარი. მაგრამ შენ კეისრის მონას ვეძახიან?

ბრიტანუს. მხოლოდ კეისრის მონობაში ვპოვე მე უტყუარი თავისუფლება.

კეისარი. კარგად თქვი. მე, უმადური, შენს განთავისუფლებას ვაპირებდი. ეხლა კი მილიონ
ტალანტად აღარ მოგიშორებ. (მეგობრულად მხარზე ხელს დაჰკრავს; ოდნავ დარ-
ცხვენილი ბრიტანუს კეისარს ხელზე აკოცებს.)

ბელზანორ (სპარსელს). ამ რომაელმა იცის, როგორ იმსახუროს ხალხი.

სპარსელი. დიახ, მხოლოდ ისეთები, რომლებიც სახიფათო მეტოქეობას ვერ გაუწივენ.

ბელზანორ. ო, გაიძვერავე, ცინიკოსო!

კეისარი (აპოლოდორის დაანახებაზე). აპოლოდორ, შენ განდობ იზრუნო ეგვიპტის ხელოვნე-
ბისათვის. გახსოვდეს: რომს უყვარს ხელოვნება და მას უზვი ხელით ეხმარება.

აკოლოდორ. მესმის, კეისარო, რომს თავად ხელოვნება არა აქვს; სამაგიეროდ ყიდულობს
და იძენს, რაც სხვას შეუქმნია.

კეისარი. რომს ხელოვნება არა აქვს? და განა მშვიდობიანობის განმტკიცება, ომი, სახელ-
მწიფოს მართვა-გამგეობა — ყველაფერი ეს ხელოვნება არ არის? განა ცივი-
ლიზაცია ხელოვნება არ არის? ამას კი რამდენიმე სამკაულის სამაგიეროდ გაძ-
ლევთ. არა მგონია, წაგებულნი იყოთ. (რუფუსს.) კიდევ რა მრჩება გასაკეთე-

ბელი? (ცდილობს მოიგონოს.) რაღაც მავიწყდება... არ ვუყვით, დარჩეს — შურის
ქარია და უნდა ვეჩქაროთ, მშვიდობით, რუფუს!

რუფუს. გული არ მერჩის — რომისკენ უფროდ გისტუმრებ. იქ შეტად ბევრი ხანაა.
პენისარი. არაფერია: ამ მოგზაურობის დროს ჩემი საცოცხლის საქმეს დავაბოლოებ და ეს
კი ნიშნავს, რომ საკმაოდ ვიცხოვრე. ამასთან სიკვდილი არაოდეს მიზიდავდა, ვარ-
ჩევ მომკლან. მშვიდობით.

რუფუს (ამოიხრებს და ხელებს მალა ასწევს ნიშნად იმისა, რომ კენსარი გამოუსწორე-
ბელია). მშვიდობით! (ხელს ართმევს ერთმანეთს.)

პენისარი. მშვიდობით, აპოლოდორ, და თქვენც, მეგობრებო! ხომალდზე!
სანაპიროდან გეშვებ ბოგირს გასდებენ. სასახლიდან კლემპატრა გამოვა. მას ტრა-
გიკული ღერი აქვს. განზრახ შევები ჩაუტვამს, არც სამკაულები უკეთია. ამით ეს
მკაფიოდ გამოირჩევა თავის კეკლუცად ჩაცმულ სეფეპალებიდან. შეჩერდება სა-
ნაპიროს კიბესთან. კენსარი ვერ ამჩნევს ვიდრე ის არ დაილაპარაკებს.

კლემპატრა. ნუთუ ამ განშორების უამს კლემპატრას აქ ადგილი არა აქვს?

პენისარი. აკი ვთქვი, რაღაც მაწუხებდა! (რუფუსს.) როგორ არ მომაგონე? (მიაშურებს
კლემპატრას.) ჩემს თავს აროდეს ვაპატიებდი, შენს უნახვად რომ წავსულიყავი.
(ხელს მოავლებს კლემპატრას და ესპლანადის შუაგულში გაიყვანს. კლემპატრა
ცივად ემორჩილება.) ეს შავები ჩემთვის ჩავიცვამს?

კლემპატრა. არა.

პენისარი. ოხ, როგორ ვერ მივხვდი! ძმისათვის.

კლემპატრა. არა.

პენისარი. მაშ ვისთვის?

კლემპატრა. შეეკითხე შენ მიერ მმართველად დანიშნულ რომაელს.

პენისარი. რუფუსს?

კლემპატრა. დიახ, რუფუსს. (ნრაზმორეული მიუთითებს რუფუსზე.) მას, ვინც უნდა აქა-
ურობა მართოს კენსარის სახელით, კენსარის გზით, კენსარის სიბრძნით.

პენისარი (ეჭვით). ის მართავს, როგორც შეძლებს, კლემპატრა, მან ეს ტვირთი იყისრა და
ისე ზიდავს, როგორც მოახერხებს.

კლემპატრა. მაშ, შენი გზით არ ივლის?

პენისარი. რას უწოდებ ჩემს გზას?

კლემპატრა. არც ხასკელი, არც შურისძიება, არც სჯა.

პენისარი. დიახ, ეს სანდო გზაა, უდიდესი გზა, ბოლოს და ბოლოს ერთადერთი შესაძლე-
ბელი გზა. რუფუსს, დაადექი ამ გზას, თუ შეგიძლია.

რუფუს. მაგ გზას ვენდობი, კენსარო; დიდი ხანია დამაჭერე. მაგრამ მომისმინე; დღეს ნუმი-
დიას მიემგზავრები, მითხარი, იქ რომ მშიერ ლომს შეხვდე, არ დასჭი, როცა
შეჭმას მოგინდომებს?

პენისარი (ვერა ხვდება მსჯელობის მიზანს). არა.

რუფუს. არც შურის იძიებ მის მიერ შეჭმულათვის?

პენისარი. არა.

რუფუს. არცა სჯი დანაშაულისათვის?

პენისარი. არა.

რუფუს. მაშ რას იქმ, რათა თავი გადაირჩინო?

პენისარი (სწრაფად). მოვკლავ გაუფრთხილებლად, ისე, როგორც ის მე მომკლავდა. მაგრამ
რას ნიშნავს ეს არაკი?

რუფუს. კლემპატრას ჰყავდა ძუ ვეფხვი. ის ხოცავდა ბრძანებით. ვიფიქრე: დადგება დრო
და შენს მოკვლას უბრძანებს. მე რომ კენსარის მოწაფე არ ვიყო, რამდენ რამეს
ჩავიდენდი! შემეძლო ის ძუ დამესაჯა, პოტინის გულისათვის შური მეძიებინა...

პენისარი. პოტინის გულისათვის!

რუფუს. შემეძლო დამესაჯა. მაგრამ უველაფერი ეს უარვევად, უარვევად ბოროტმძლეობა და
მას უბრალოდ უფლი გამოვკერი. ამისათვის შეიმოსა კლემპატრა შავებით.

კლემპატრა (აგზნებით). აჰან ჩემი ერთგული ფტატატიტას სისხლი დაღვარა. ეს სისხლი
შენს კისერზე იქნება, კენსარო, თუ რუფუსს პასუხს არ მოსთხოვ.

პენისარი (ენერგიულად). ჩემს კისერზე იყოს, ვინაიდან სწორად მოქცეულა. რუფუს, შენ
რომ მსაჭულის სავარძელში ჩამჭდარიყავ და საზიზღარი პრანტვა გრეხითა და ღმერ-

თების მოწოდებით ის დედაკაცი დაქირავებული ქალათისათვის გადაგეცა ხაზართლიანობის სახელით ხალხის წინაშე დასასჯელად, ხელსაც ვერ ჩამოგართმევდი, რომ ზიზღი არ შეგრძნო. მაგრამ შენ ხუნებრივი მკვლელობა ჩაიდინე და ეს მე არ მაძრწუნებს.

(დაკმაყოფილებული რუფუსი თავს დაუქნევს კლეოპატრას და უსწრებლად მიხვედრებს მას კეისარის სიტყვები მხედველობაში მიიღოს.)

კლეოპატრა (ბავშვური უსუსურებით) შენ არ შეძრწუნდები, ვინაიდან რომაელმა ეგვიპტელი მოჰკლა. ხოლო მთელი ქვეყანა დაინახავს, თუ როგორ უსამართლოა კეისარი და უპატიოსნო!

კეისარი (აღერსით ხელს მოჰკიდებს). ნუ გამიჯავრდები. მართლა ვწუხარ ტოტათისათვის. (კლეოპატრა უნებურად იცინის.) ხომ ხედავ, შენ გეცინება, მაშ შევრიგდით?

კლეოპატრა (ბრაზობს, რომ გაეცინა). არა, არა, არა! შე გამეცინა, რომ შენ მისი სახელი ვერ ისწავლე და ტოტათიტას ეძახი.

კეისარი. ბავშვი ხარ, კლეოპატრა. მაშ ვერ გაგაქალე?
კლეოპატრა. ვერა, იმიტომ, რომ შენ თვითონ დიდი ბავშვი ხარ. მე სულელად გეჩვენები. რადგანაც არ გსურს დინჯად მომექცე. მაგრამ შენ საძაგლად მომეპყარი და არ გაპატიებ.

კეისარი. გზა დამილოცე, კლეოპატრა.
კლეოპატრა. არ მინდა.

კეისარი (აღერსით), რომიდან მშვენიერ ნობათს გამოგიგზავნი.
კლეოპატრა (ამპარტავნულად). მშვენიერ ნობათს, რომიდან? განა მოიპოვება რამე მშვენიერი რომში, რომ ეგვიპტეში არ იყოს?

აკოლოდორ. ეს მართალია, კეისარო. ნობათი რომ მართლა მშვენიერი იყოს, შენი დავალებით მომიხდება ის აქ. ალექსანდრიაში, შევიძინო.

კეისარი. შენ გავიწყდება განძეულობა, რომლითაც რომი ყველაზე უფრო განთქმულია. მას ალექსანდრიაში ვერ იყიდი.

აკოლოდორ. განა რა არის ასეთი?
კეისარი. რომაელი ვაჟები. მაშ უური დამიგდე, კლეოპატრა; მაპატიე და გზა დამილოცე. მე შენ გამოგიგზავნი კეთილშობილ ვაჟკაც რომაელს, რომაელს თხემით ტერფამდე. ის მოხუცი არ იქნება, მკვლევლები რომ ხანჯლებს უღესავენ; მას არც გამხმარი ხელები ექნება, არც ცივი გული, მელოტი თავი და გამარჯვებულის დაუნის გვირგვინით მის დაფარვას არ ეცდება; არც ქვეყნიერების ტვირთი დაუშვამებს მხრებს. ის მარდია, ძლიერი და ახალგაზრდა; დილით მას იმედი უღიმის. დღისით ბრძოლაშია, ღამით ლაღობს. ხომ გასცვლი მასში კეისარს?

კლეოპატრა (კანკალებს). მისი სახელი? სახელი?
კეისარი. გინდა მისი სახელი იყოს მარკუს ანტონიუს? (კლეოპატრა კეისარს მოეხვევა.)

რუფუს, ბევრი არაფერი გაგებია, ქალბატონო, თუ კეისარს ანტონიუსში უცვლი.
კეისარი. მაშ კმაყოფილი ხარ?

კლეოპატრა. ხომ არ დამავიწყდება?
კეისარი. არა, არ დამავიწყდება, მშვიდობით. მგონი, ჩვენ ერთმანეთს ვეღარ შევხვდებით. მშვიდობით. (კეისარი კლეოპატრას შუბლზე კოცნის. კლეოპატრა აღელვებულია და ტირილს მორთავს. კეისარი კიბეზე ჩადის.)

ჯარისკაცები. მშვიდობით, კეისარო! (კეისარი ხომალდზე აღის და რუფუსს ხელს უქნევს.)
აკოლოდორ (კლეოპატრას). ნუ სტირი. ეს შენს მონას გულს მიკლავს. კეისარი კიდევ დაბრუნდება.

კლეოპატრა. არა მგონია, მაგრამ არ შემიძლია არ ვიტყვო. (კლეოპატრა ცხვირსახოცს უქნევს კეისარს, ხომალდი მიდის.)

ჯარისკაცები (ხმლებს ამოიღებენ და ჰაერში იქნევენ). მშვიდობით, კეისარო!



თარგმნა ქეთევან ჟურდოვანიძე

უკვდავების ჩურჩული

უებსტერს სიკვდილზე ფიქრი იპყრობდა
და თავის ქალას კანქვეშ ხედავდა;
უმკერდო ჩონჩხებს მიყრდნობილთ ზურგით
და უტუჩებო ღრეჭას ცხედართა.

იმზირებოდნენ თვალთა სიღრმიდან
ყვითლად ნარგიზის მრგვალი ბოლქვები!
ხოლო ფიქრები გამხმარ სხეულზე
ძაბავდნენ ვნებებს და ველურ სურვილს.

ღონი, მე ვფიქრობ, სხვა იყო ქვეყნად,
ძალა ვერ პოვა გონების მეტი,
ძიება პოვნა დაპყრობა წვდომა
ცისმილმა სივრცის იყო ექსპერტი.

იცოდა ძვლების ტვინის ტკივილი
გამხმარ ჩონჩხების ციებ-ცხელება
ვერ აყუჩებდა ვნებიან სურვილს
შეხება ხორცთან და მოფერება

...
მშვენიერია გრიშკინა რუსი:
თვალეებს კაშკაშა მზერით გამოჰკვეთს,
და უკორსეტო თბილი ბიუსტით
უხმობს პნევმატურ გრძნობის სამოთხეს.

მიწას გართხმული იაგუარი
მაიმუნს იჭერს, როგორც კატა თავებს,

და ეშმაკური თავშეკავეებით;
თავშესათარი გრიშკინას აქვს:

ბრაზილიური იაგუარი
გამოქვაბულის ნაპრალებშია
ძლიერი ყნოსვით და ეშმაკობით;
გრიშკინა ახლა მისაღებშია:

და აბსტრაქტული მოჩვენებანი
მოჯადოებულ სივრცეებს კრავენ
ჩვენ კი ნეკნების მიღმა მივცოცავთ,
მეტაფიზიკას გადავხვევთ მკლავებს.



მოგვთა თაყვანისცემა

„ჩვენ გავეშურეთ ყინვის თარეში
იმ წელიწადის ყველაზე მკაცრ დროს,
სამოგზაუროდ უცხო მხარეში
უკვალო გზებზე, თოვლში, ავდარში
ჩვენ გავეშურეთ სამოგზაუროდ“.
და აქლემები ნაღრძობ ფეხებით, თვალეში დარდით,
წვებოდნენ მომაკვდავ თოვლზე,
ჩვენ კი ვნატრობდით
იმ ძველ სასახლეს, დამრეც ტერასზე ლამაზად გაშლილს,
შალის გოგონებს შარბათის თასით.
მეჭარავნენი ილანძლებოდნენ,
სადღაც გარბოდნენ, ითხოვდნენ ქალებს,
ღამის კოცონი ცისკენ ილტვოდა,
თავშესათარი აკლდათ იმ მხარეს.
დიდ ქალაქებში მტრობა აუფევდა,
სოფელში ჭუჭყი, დიდი ფასები,
ასეთ მძიმე დროს ჩვენ გავეშურეთ სამოგზაუროდ უცხო მხარეში.
ბოლოს ვარჩიეთ მთვარის ნათელი,
და ნათლეთებზე ღამეს ვათევდით,
ხმები მღეროდნენ, გვეუბნებოდნენ, რომ სიგიჟეა ეს ყველაფერი.
დილამ მოგვისწრო მშველ ადგილებში,
თოვლში იძალა ბალახის სუნმა,
მოჩუხჩუხებდნენ ნაკადულები, სიბნელეს კვეთდა წისქვილის ბრუნვა.
სამი ხე ჩანდა ღრუბლების ქვემოთ,
გარბოდა თეთრი ბებური ცხენი.
შემდეგ მივედით სამიკიტნოში, ვაზის ლერწი რომ ეხატა კარზე,
მოჩანდა ძვლების კორიანტელი.
აქაც არავენ გვითხრა ამბავი და ამიტომაც გადავწყვიტეთ ისევ წინ წასვლა,

სალამო იყო რომ ჩამოვედით,
შესანიშნავი ალაგა დაგვხვდა.
ეს ყოველივე წარსულში იყო, გადავიხადე საკუთარ თევზზე,
და მე ყველაფერს სულ თავიდან გავაკეთებდი,
და ვიკითხავდი:
რატომ გაგვიშვეს ამ ხრიოკ ვზაზე?
დაბადება თუ სიკვდილი ვნახეთ.
ვიხილეთ შობა, უეჭველია.
აღრეც მინახავს სიკვდილ-სიცოცხლე,
ისინი არცთუ ერთნაირია,
ჩვენ შობა ვნახეთ.
მძიმე და მწვავე ტანჯვა ვიგემეთ, სიკვდილის მსგავსი,
ჩვენი სიკვდილის ტკივილისხელა,
მერე დავბრუნდით ყველანი სახლში,
მაგრამ ველარსად ვბოვეთ სიმშვიდე
უცხონი ვნახეთ ჩვენს სამეფოში, ჩაბლუჯულები თავიანთ ღმერთებს.
მე ნეტარებით ველოდები ხელახალ სიკვდილს.



□



უკრაინულიდან თარგმნა რაულ ჩილაჩავამ

მისლოვიცი

1

მანქანა უცნობი ბანაკის ეზოში შეხრიგინდა. ჩამოხტომა და სამსამად ჩამწყრივება გვიბრძანეს. გერმანიის ყველა ციხესა და ბანაკში უფროსობა დიდ ყურადღებას აქცევდა ტყვეთა დაწყობას. იგი მიაჩნდათ მეტად მნიშვნელოვან რიტუალად. „მკვდარი“ დისციპლინის ეტალონად, რომლის დარღვევას ვერაფერს ბედავდა. არცთუ იშვიათად ილაჯგაწყვეტილი გეფტლინგი¹ დაწყობისას დაეცემოდა ხოლმე. მას იქვე შეუბრალებლად უღებდნენ ბოლოს, როგორც გამოუსწორებელ სიმულიანტს, რომელმაც მძიმე დანაშაული ჩაიდინა. დაწყობის პროცედურა ტყვეთათვის მუდამ ერთი გაუთავებელი ტანჯვა იყო. სმენაზე გაჭიმულს არც ერთი ძარღვი არ უნდა შეგტოკებოდა. „მწყრივების გასწორებისას“ გესტაპოელები უხვად გეთავაზობდნენ მუშტებსა და პანდურებს, გვირტყამდნენ სისხლის დენამდე.

უფროსობის მოსვლამდე ახალი ბანაკის ტერიტორია შევათვალიერე. მარცხნივ იდგა ხის ბარაკი — ბანაკის სამხარეულო. იქიდან მოხარშული ჭარბლის ტკბილი სუნი მოდიოდა და ჩვენს მშვიერ კუჭებში სპაზმებს იწვევდა. წინ ჩოგბურთის კორტივით სწორი და კრიალა ქვაფენილის მოედანი იყო. გადაღმა ერთმანეთს მიტყუებოდნენ კრამიტით დახურული ექვსი ერთსართულიანი ქვის შენობა. ეტყობა ომამდე აქ სამხედრო პაკაუზები ჰქონდათ, ახლაც კი ფაშისტები მათ საკონცენტრაციო ბანაკის ბლოკებად იყენებდნენ. ზედ სახურავებქვეშ, სარკმლების ნაცვლად შავი ჭრილები მოჩანდა, რომლებიც სათოფურებს მოგაგონებდათ. ოდესღაც ისინი ალბათ სავენტილაციო ლუქები იყო. ახლა ამ ჭრილებში გისოსები ჩაესვათ. იქიდან მისავეათებული სახეებით იმზირებოდნენ ტყვეები.

ბანაკის ეზოში ძეგორციელი არ ჰაჭანებდა. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ეტაპის მოსვლასთან დაკავშირებით ბანაკში გამოეცხადებინათ ბლოკშპერა, რაღაც მკვდარი საათის მსგავსი, რომლის დროსაც ტყვეები ბლოკებში უნდა ისხდნენ და აბსოლუტურ სიჩუმეს იცავდნენ. ბლოკშპერა შეიძლებოდა

¹ ტყვე

* დასასრული. დააწყისი „საუნჯე“ № 3, № 4, № 5.

გაგრძელებულიყო რამდენიმე წუთს, ზოგჯერ რამდენიმე საათსაც დაიძახებდნენ — „ბლოკშპერა!“ და ნებისმიერი სამუშაო წყდება. ტყვეებს ბლოკებში შერეკავდნენ, სადაც ისინი ან უნდა წოლილიყვნენ, ან მდგარიყვნენ. იმისდა მიხედვით, როგორი ბლოკშპერა გამოცხადდა — წმინდასწრაფიანად ან ბრძანება „ბლოკშპერა“ ელვის სისწრაფით უნდა შესრულდებოდა. ვინც მას დაარღვევდა გაუფრთხილებლად ეპროდნენ.

მოედნის მახლობლად ხის დაბალი ბოგურა იდგა, რომელიც ალბათ ტრიბუნის მაგივრობას სწევდა. იქვე ფაშიზმის ძეგლივით აღმართულიყო კაპიტალური, ეტყობოდა, მუდმივმოქმედი სახრჩობელა. ახლა იქ თორმეტი ტყვე ეკიდა. სახრჩობელაზე ტრანსპარანტი მიემაგრებინათ: „ასეთი სასჯელი ელის ყველას, ვინც ბანაკიდან გაქცევას გაბედავს“.

ალაყაფის მარჯვენა მხარეს ერთ სწორ ხაზზე გაჭიმულიყო რამდენიმე ხის ბარაკი. როგორც მერე გავიგე, მათში იყო მოთავსებული კანცელარია, საწყობი, აბანო, სადღეზინფექციო კამერა და ტოტენბლიკი — საგვამე.

ბანაკს შემოვლელი ჰქონდა მავთულხლართის ხშირი ქსელი. სათვალთვალს კომპიუტრებში ავტომატებითა და მსხვილყალიბიანი ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული გუშაგები იხდნენ. მავთულხლართის მიღმა, მწვანე მდელოზე მიიკლაკნებოდა პაწია ნაკადული, როგორც პოლონეთის მრავალტანჯული, ნაიარევი და სისხლით მორწყული მიწის ცისფრად მფეთქავი ძარღვი.

პირველი წუთებიდანვე მივხვდი, რომ ამ ბანაკში ახალი განსაცდელი, ახალი ტანჯვა-წამება მომელოდა. გავუძლებ კი მას? ეყოფა კი ფიზიკური და სულიერი ძალები ჩემს უილაჯო, დასახიჩრებულ სხეულს? უკან დარჩა არა ერთი ციხე და ბანაკი, სადაც ძალ-ღონე გამომწოვეს და სრულ ფიზიკურ უძლურებამდე მიმიყვანეს, დამასახიჩრეს. და აჰა, ისევ ვდგავარ სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე...

დამხმარე შენობიდან გამოვიდა ესესელ ოფიცერთა ჯგუფი ობერშტურმბანფიურერის მეთაურობით. იგი თურმე, როგორც გამოირკვა, რაპორტფიურერის, ესე იგი, ბანაკის უფროსის მოადგილის მოვალეობას ასრულებდა. ვაისმა ბრძანება „ახტუნგ!“ ობერშტურმბანფიურერი და მისი ამაღა ტყვეებს მიუახლოვდნენ. ბადრაგის უფროსმა პატაკი ჩააბარა. ობერშტურმბანფიურერი მიესალმა მას და ტყვეების პირადად ჩაბარებას შეუდგა. იგი თითოეულის საბუთებსა და ნომრებს ამოწმებდა. მიღების პროცედურას რომ მორჩა, თავისი მღვრიე თვალები ჩვენ მოგვაშტერა. მას რაღაც არ მოეწონა, ამიტომ მძვინვარე ხმით გვიბრძანა თავზე ხელები დაგვეწყო და დავჩოქილიყავით, თანაც ისე, რომ მწკრივები არ არეულიყო. ამ დამამცირებელ პროცედურას ცემატყეპაც მოაყოლეს. როგორც იქნა, რაპორტფიურერმა გული იჯერა და სიტყვით მოგვმართა.

— თქვენ იყავით საშიში დამნაშავეები, გერმანიის სახელმწიფოს მტრები, მაგრამ ჩვენთან თვინიერ ცხოველებად გადაიქცევით. ამას სულ უბრალო რამით ვალწევთ, — თქვა მან და სახრჩობელაზე მიგვითითა. — უპრიანი კი იყო ჩამოგვებრჩვეთ, მაგრამ სიკვდილით დასჯა რატომღაც მუდმივი კატორღით შეცვალეს. განაჩენი მეტად რბილი და უმართებულოა, თუმცა ეს უკვე ჩვენი საქმე არ არის, კანონი კანონია. ჩვენ საშუალებას მოგცემთ გამოისყიდოთ საკუთარი მძიმე დანაშაულებანი რაიხის წინაშე და გასწავლით ჩვენი წესების პატივისცემას. ამჟამად იმყოფებით მისლოვიცის საჯარიმო ვადამგზავნ ბა-

ნაკში. ხანმოკლე კარანტინის შემდეგ გაგზავნით სანატორიული ტიპის ჩინებულ ბანაკ აუსშვიტცში¹. იქ სამოთხესავით საამური ცხოვრება ვეჭვნებათ, თუმცა როგორც შემდგომ ნახავთ, არც აქ ყოფნაა ურიგო საქმე.

ამ „მისასალმებელი სიტყვის“ შემდეგ მან კაპოების² მოხმობა ბრძანა. ერთ-ერთი ესესელი განკარგულების შესასრულებლად გაიქცნენ ხუთი-წუთიც არ გასულა, რომ ჩვენთან ლაქიების მთელმა ხროვამ მოიბრძინა. ისინი ცრფიანი ძაღლებივით გვეცნენ და რეზინის ხელჯოხების უწყალო ხათქუნით აბანოში წაგვრეკეს. იქ წესის გულისთვის ცივი წყალი შემოგვასხურეს და სადღეზინფექციო კამერაში წაგვიყვანეს. ყველაფერი ეს ყურისწამლები ყვირილით, გინებითა და ცემით ხდებოდა.

დეზინფექციის პროცედურა ღირს იმად, რომ მასზე რამდენიმე სიტყვა ითქვას. რომელიღაც მომწამვლელი სითხით სავსე კასრთან რეზინის ჩექმებიანი დეზინფექტორი იდგა, რომელსაც ასევე რეზინის ხელთათმანები და აირწინალი ეკეთა. იგი ამ სითხეს ფუნჯით გვისვამდა ყველგან, სადაც კი ადამიანს თმა ეზრდება. რამდენიმე წუთში თმა ცვენას იწყებდა, ქრებოდნენ თვით წარბებიც კი. ამ „დეზინფექციისაგან“ საშინლად გვექავებოდა სხეული და გვეცრემლვებოდა თვალები.

დედიშობილანი მიგვაცილეს ტანსაცმლის საწყობში და ზოლებიანი საბანაკო ფორმით შეგვმოსეს. პოლიტიკურ პატიმრებს მკერდზე წითელი სამკუთხედები ეკერათ. ზურგსა და მკერდზე წითელი წრე კი „საჯარიმოელს“, ცოცხალ სამიზნეს ნიშნავდა. საჯარიმო რაზმში მოხვედრა გერმანიის ყველა საკონცენტრაციო ბანაკში უდიდეს სასჯელად ითვლებოდა. იქ როგორც წესი, თვეზე მეტს ვერავინ ძლებდა. საჯარიმოელს უწყალოდ ცემდნენ, კატორღული რეჟიმის უმცირესი დარღვევისთვისაც კი წინასწარი გაფრთხილების გარეშე ესროდნენ. ისინი ადამიანები კი არა, სასიკვდილოდ განწირული ცოცხალი სამიზნეები იყვნენ. მათ ასეც ეძახდნენ „ფლიუგბუნქტ“³.

აბანოს, დეზინფექციისა და შემოსვის შემდეგ მოედანზე, ბოგურისა და სახრჩობელის წინ ჩაგვამწყრივეს. კაპოები მარჯვენა ფლანგზე დადგნენ. მალე ალაყაფი გაიღო და ბანაკის ეზოში შემოგორდა დიდი მსუბუქი ავტომობილა „მაიბახი“.

რაპორტფიურერმა ახტუნგო, დაიძახა და მანქანის კარს თვითონვე ეცა გასაღებად. მზეზე შავად მბზინავი მანქანიდან რაღაც სისაძაგლემ დაიწყო გადმობობლება. ჯერ ძვირფას მაუდშემოჭერილი, დაუჯერებლად დიდი უკანალი გამოჩნდა, რომელიც თითქოს კარში გაიჭედა და ძვრას ეერ ახერხებდა. რამდენიმე წუთი დასჭირდა, ამ უნიკალური უკანალის პატრონს, ესესის ჯარების შტანდარტენფიურერს⁴, მანქანიდან ვადმოსასვლელად. არაფერი მისი მსგავსი ჩემს ცხოვრებაში არ მენახა. ჩვენს წინ წარმოსდგა ძვირფას მაუდში გახვეული ასორმოცდაათკილოგრამიანი, მძიმედ მზვნეშარე ლეში. მთელ მკერდსა და მუცელზე ამ ადამიანისმაგვარ არსებას ჯვრები და მედლები უბრწყინავდა, ხოლო ღორის ჩლიქების მსგავს კოტიტა თითებზე ათობით ძვირფასთვლიანი ბეჭედი ეკეთა. შტანდარტენფიურერმა ჯიბიდან დიდი ქრელი ცხვირ-

¹ ოსვენციმის კოლური სახელწოდება.

² ბანაკის პოლიციელები; არჩევდნენ პირწავარდნილი კრიმინალური დამნაშავეებიდან.

³ ცოცხალი სამიზნე.

⁴ ესესის ჯარების პოლკოვნიკი.

სახოცი ამოიღო და დიხაშხოსავით სახესა და კისერზე ოფლი შეიწმინდა.

ორი ესესელი მოკრძალებით მიეხმარა მას ბოგურაზე ახლებადი სტუმარ-მა პატარა, ღორის თვალების მსგავსი თვალები მოგვაელო, სპილოსავით მოკლე ფეხები გაჩაჩხა და უზარმაზარ ღიპზე კიტელი ნელა შეისწორდა.

ყველანი შიშითა და ზიზლით შევცქეროდით მას. ჩვენს შორის ყველა არა, ქონმორეული ბეჭემოტი იდგა.

— აი, ეს კი ჭეშმარიტი არიელია, წმინდა სისხლისა, — ჩაიჩურჩულა ჩემმა მეზობელმა.

შტანდარტენფიურერს ეტყობოდა, ნამეტანი ეჭამა, რადგან სულ ამოყინებდა. ბოყინს რომ მორჩა, თონთლო ხელები ღიპზე გადაიჯვარედინა და საოცრად წვრილი, წრიპინა ხმით თქვა:

— ბატონებო, ნება მიბოძეთ გაგაცნოთ ჩემი თავი. მე გახლავართ შტანდარტენფიურერი ფონ ბოდენშატცი, ამ ბანაკის ლაგერფიურერი, თქვენა მშობელი მამა.

ამ სიტყვებზე ესესელებმა ერთხმად გადაიხარხარეს.

— ვერასოდეს ვიფიქრებდი, აქ თუ მამიკოს შევხვდებოდი, — ჩაილაპარაკა ერთმა ტყვემ.

„მამიკომ“ დაიცადა, სანამ ხარხარი მიწყდებოდა და განაგრძო:

— ძალიან არ მომწონს თქვენი შესახედაობა, ყველანი როგორღაც უჭმელი და უსუსური ჩანხართ. ეს უმსგავსობაა. მე ხომ აუსშვიტცში ფიზიკურად ძლიერები და გამოწრთობილნი უნდა ჩაგაბართ. ამის მიღწევა მხოლოდ სპორტის წყალობით შეიძლება. სპორტი, როგორც ცნობილია, აკაყებს ორგანიზმს და მეტად სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის. დასანანია, რომ კრაკოვის ციხეში სპორტული ვარჯიშისთვის პირობები არ გქონდათ. გულს ნუ გაიტეხთ. ამ ხარვეზებს აქ გამოვასწორებთ. გთავაზობთ სამ საინტერესო ვარჯიშს. პირველი — მუშტებით ქვაფენილის მოსწორება, მეორე — გომბეშოსავით ხტომა, მესამე — ოთხით სირბილი. მთელი კომპლექსი ორსაათიანია. გაფრთხილებთ, ვინც ფონს გასვლას ეშმაკობით შეეცდება, თავის თავს დააბრალოს. კაპობო, დაიწყეთ!

კაპობმა ყურისწამლები ყვირილით გაგვრეკეს ქვაფენილზე, გვიბრძანეს ჩაჭჩოქილიყავით და ქვებისთვის მთელი ძალით დაგვეშინა მუშტები, რათა გზა „მაგიდასავით სწორი და გლუვი გამხდარიყო“.

ეს იყო რაღაც საშინელება. ჩვენს თავზე შხუოდა რეზინის ხელჯოხები, გამხეცებული კაპობი რიგებს შორის დარბოდნენ და უმოწყალოდ სცემდნენ ყველას, ვინც მათი აზრით „სიმულაციას“ ეწეოდა. კმაყოფილი ფონ ბოდენშატცი და მისი ამაღა ხარხარებდა.

მხოლოდ მოთავებულ დეგენერატსა და სადისტს, როგორც იყო ფონ ბოდენშატცი, შეეძლო ადამიანთა ასე აბუჩად აგდება. მოგვიანებით გავიგე, რომ ჩვენი ლაგერფიურერი თვით პიტლერის რჩეულის, ფელდმარშალ ფონ ბოდენშატცის უმცროსი ძმა ყოფილა. ესესელები ამიტომაც დარბოდნენ მის წინ კუდის ქიციანით, თორემ ისე ყველა ხედავდა ლაგერფიურერი რა კრეტინიცა და ნაძირალაც იყო.

პირველი ვარჯიშით გული რომ იჯერა, „მამიკომ“ ჩვენი ისევ ტრიბუნის წინ ჩამწკრივება ბრძანა. სამი გონდაკარგული ტყვე ფეხებით მოათრიეს და მარცხენა ფლანგზე დააგდეს. მათი საქციელით აღშფოთებულმა შტანდარტენფი-

ურერმა „სიმულიანტების გონზე მოყვანის“ განკარგულება გასცა. არამზადა კაპობმა საბრალოებს ჩვენს თვალწინ ამოხადეს სული.

— ჩემო მეგობრებო! — მოგვმართა „მამიკო“, — ეს მოთულება იყო. ახლა თქვენ იხტუნავეთ ნორჩი გომბეშოებივით. კაპობო!

— იავოლ, ჰერ ლაგერფიურერო! — ერთხმად დაიყრანტანტან კაპობმა. არ ვიცი, რას შევადარო ის, რაც იქ იმჟამად ხდებოდა, აღმათ მხოლოდ ჯოჯოხეთს. დამუწუკებული თითები ჯერ კიდევ ქვაფენილის „მოსწორებისას“ დამისკდა და უკვე ჩირქი მდიოდა. თვალწინ შავი წრეები მიცურავდნენ. სხვა ტყვეებთან ერთად გონშეშლილივით ვხტოდი, საძულველი კაპობები კი მაინც გვაჩქარებდნენ მძიმე ჯოხების ცემით. მოედანზე სასიკვდილო აგონიას შეეპყრო რამდენიმე ტყვე...

მესამე ვარჯიშის შემდეგ ქვაფენილზე კიდევ რამდენიმე ტყვე დარჩა. ისინი „სიმულაციისათვის“ დახვრიტეს. კრაკოვის ციხიდან ჩამოყვანილი ოცდაათი კაციდან „ფინიშთან“ უვნებელი მხოლოდ ჩვიდმეტი მივიდა. სანამ მკვდრები ტოტენბლოკში გადაჰქონდათ, მე შეთხელებულ მწკრივში ვიდექი და გონზე ნელ-ნელა მოვდიოდი. გულის გიჟური ბაგა-ბუგისაგან მკერდი გასკდომაზე მქონდა. არ მყოფნიდა ჰაერი. საშინლად მწყუროდა. დღემდის ვერ გამოვიგია, როგორ გავუძელი იმ არაადამიანურ „ფიზკულტურას“.

მესამე რაიხის ციხეებსა და ბანაკებში წვალეებისას არაერთგზის ვყოფილვარ გესტაპოელი ჯალათების მიერ ტყვეთა აბუჩად აგდების მოწმე. ჩემი გაოცება უკვე არაფრით შეიძლებოდა. „მამიკო“ ბოდენშატცის სავარჯიშოებმა განმაცვიფრა არა იმდენად თავისი სისასტიკით, რამდენადაც ველური უაზრობით. მე ამას შტანდარტენფიურერის საღიზმისკენ ავადმყოფური მიდრეკილებით ვხსნიდი, სინამდვილეში კი ასე როდი ყოფილა. მას ყველაფერი უმცირეს წვრილმანებამდე ჰქონია გაანგარიშებულ-გაფიქრებული. შტანდარტენფიურერი თურმე სავსებით კონკრეტულ მიზანს ისახავდა: იმთავითვე დაერეტიანებინა ტყვეები, მიელწია მათი ადამიანური პიროვნების რღვევისათვის, მორალურად გაეხრწნა და ცხოველებად ექცია ისინი, რომლებიც ადამიანური ღირსების დაკარგვის მერე მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენაზე იფიქრებდნენ.

ფაშისტებს ესმოდათ, რომ ადამიანობადაკარგულ ტყვეს ნებისმიერი სისაძაგლის ჩადენა შეუძლია. იგი ერთი ჩამჩა სალაფავისათვის ამხანაგებს გაყიდის, მუცელზე იხობებს და იმათხოვრებს ადმინისტრაციის წინაშე. ასეთებს აზრადაც არ მოუვათ თანამოაზრეთა და მოკავშირეთა ძებნა. ისინი თითო-თითოდ მოკვდებიან, მაგრამ სიკვდილამდე ყველაფერს გააკეთებენ, რათა სხვა ტყვეების ხარჯზე სიცოცხლე შეინარჩუნონ. აქ უკვე ქვენა ეგოისტური მორალი მოქმედებდა, რომელსაც ყოველნაირად ამკვიდრებდნენ ჰიტლერელები: შენ დღეს მოკვდი, მე ხვალ მოკვდები.

უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ბევრს ნიშნავდა ტყვის იდეური რწმენა, ნებისყოფა და მორალური სიმტკიცე. როგორადაც არ ცდილობდნენ ფაშისტი ურჯულები, მათ მაინც ვერ შეძლეს ტყვეთა უმრავლესობის მორალურად გახრწნა, მათი ცხოველურ მდგომარეობამდე მიყვანა. ისინი ილუპებოდნენ ქანცგაცილობისგან, მუდმივი ცემისა და წამებისგან, მაგრამ მაინც ნამდვილ ადამიანებად რჩებოდნენ, არ უნდოდათ გამცემლობის ფასად შენარჩუნებული სიცოცხლე, არ მიდიოდნენ საკუთარ სინდისთან დათმობაზე. ამ ფი-

ზიკურად გათელილ, მაგრამ სულიერად გაუტეხელ ადამიანებს მე უდიდესი პატივისცემით ვეპყრობოდი. განსაკუთრებით მომწონდა ისეთი ხალხი, ვისაც გმირობის ჩადენა და მაღალი იდეალებისათვის თავის განწირვა შეეძლო. მათ წინაშე ქედს ვიხრიდი, მიმაჩნდა, რომ ისინი კაცობრიობას მზესავით სჭირდება. საკუთარ თავს გმირობის ჩამდენად არ ვთვლიდი. სამწუხაროდ, ვიცოდი, რომ მებრძოლის ძვირფასი თვისებები მაკლდა. და გმირების მშვენიერებას ვეძებოდი პასიურ, გულგრილ მედროვეებს, მათი ტანჯვა თანაგრძნობის ღირსადაც არ მეჩვენებოდა.

პიტლერელთა ბანაკებში იყო ტყვეთა კატეგორია, რომელიც ჩემში ზიზღს იწვევდა. მათ უკვე ყოველგვარი ადამიანობა დაკარგული ჰქონდათ და თავის გადასარჩენად არაფერს თაკილობდნენ. ისინი სრულ დაცემამდე, ფიზიკურ, გონებრივ და მორალურ დეგრადაციამდე მივიდნენ.

უილაჯობესა და მშიერებს ჭუჭყიანი და ტილიანი ძონძები ეცვათ, აწუხებდათ კუჭის ქრონიკული აშლილობა. ამღვრეული გონებითა და ჩამქრალი, ღრმად ჩავარდნილი თვალებით იქეჭებოდნენ ნარეცხისა და ნაგვის ორმოებში, ჰამდნენ ყოველგვარ დამპალ საზიზღრობას და არც კი უწყობდნენ, რომ ამით საკუთარ აღსასრულს იახლოვებდნენ. მათ რატომღაც „მუსულმანებს“ ეძახდნენ. ისინი ღეჭავდნენ ყველაფერს, რისი ღეჭვაც შეიძლებოდა და საჭმლის გულისთვის თავზე ხელს იღებდნენ. „მუსულმანი“ ბრმად ეტაკებოდა ხოლმე მიწამხალით დატვირთულ ურემს, რომელსაც ავტომატებით შეიარაღებული ჯარისკაცები იცავდნენ. თუ იგი მიწამხალის ხელში ჩაგდებას მოახერხებდა, გაქცევის ნაცვლად იქვე დაეცემოდა და ხარბად, თავდავიწყებით დააცხრებოდა თავის ნადავლს. მას მაშინათვე ხვრეტდნენ, მაგრამ სხვა „მუსულმანები“ თითქოს არაფერი მომხდარიყოს, გაშმაგებით უტეჟდნენ მეავტომატეთ. თვალწინ მხოლოდ მიწამხალა ედგათ, რომლის შეჭმაც შეიძლებოდა.

„მუსულმანებად“ უფრო ახალბედები იქცეოდნენ. ბევრის მნახველი ტყვეები კი შეჩვეული იყვნენ ბანაკის ყველა სიავს და თავი მაგრად ეჭირათ. პიტლერულ ციხეებსა და ბანაკებში ყოველივე განცდილის შემდეგ დავრწმუნდები, რომ პირობები პირობებად და შენგანაც, პირობებისადმი შენი წინააღმდეგობის გაწევის უნარისგანაც ბევრი რამაა დამოკიდებული. მე ვისწავლე შიმშილის, ცემის, დამცირების ატანა და თითქმის არასდროს მივცემივარ სასოწარკვეთას. იმედისა და რწმენის ნაპერწკალი ყველაზე უსასტიკეს ქამსაც კი არ ჩამქრალა ჩემში. ალბათ ამანაც გადამარჩინა.

3

ჩვენი დაცინვით გული რომ იჯერეს, ფონ ბოდენშატცი და მისი თეფშილოკიები სადილად წავიდნენ, არც დაღლილი და ხმაჩახლეჩილი კაპოები იყვნენ დასვენების წინააღმდეგი. მათ ქცევაში უცებ მკვეთრი ცვლილება მოხდა. როგორც კი უფროსობა წავიდა, კაპოებმა ჩვენდამი ინტერესი დაკარგეს, შეწყვიტეს ჯოხების ტრიალი და ილაჯგაწყვეტილები ბლოკში მშვიდად გაგვრეკეს.

ბლოკად გადაკეთებულ პაკჰაუზს ორად ჰყოფდა ვიწრო, გრძელი დერეფანი. შენობა დაყოფილი იყო სექცია-კამერებად. ყოველ ასეთ სექციაში რამდენიმე ათეული ტყვე იჯდა. კამერებში უფროსობდნენ მამასახლისები და მათი თანაშემწეები. მამასახლისს ნიშნავდა ბლოკფიურერი, რა თქმა უნდა, კრი-

მინალურ დამნაშავეთა რიცხვიდან, ისინი კი ერთ ან ორ თანაშემწეს ირჩევდნენ. მამასახლისები, კაპოთა მსგავსად, საკონცენტრაციო ბანაკებში პრივილეგირებული ფენაა. მათ მატერიალურად ახალისებდნენ და ასინიც უფროსების საამებლად ნემსის ყუნწში ძვრებოდნენ. წამება კი მხოლოდ მკაცრი დისციპლინის დაცვითა და ტყვეების დღენიადაგ აბუჩად აგდებინებდნენ. როცა დერეფანში მივყავდით, ერთ-ერთი კამერის გამოტყუბულს უკმაპტან მწყობრში მდგარი ხელემაწეული ტყვეები დავინახე. ისინი მამასახლისის მიერ გამოტანილ სასჯელს იხდიდნენ. მე ვხედავდი ნახევრად მკვდარი ადამიანების სახეებს. მათ წინ მიდი-მოდიოდა განგსტერას სიტყათის მოდღღეზილი მამასახლისი და სცემდა ყველას, ვისაც ხელები უცახცახებდა ან ძირს უვარდებოდა.

ჩვენ, საჯარო მოხელნი, როგორც დღეს და გუშინ გარდაცვლილთა სამაგიერო შეეჭება, სხვადასხვა კამერებში გაგვანაწილეს. მე უკანასკნელ, მეორე კამერაში მოვხვდი. ცხვირში მეცა პარაშის, საღებზინფექციო სითხისა და დიდი ხნის დაუბანელი ადამიანის სხეულის ნაცნობი სუნი... უქვეშაგებო, სამიარუსიანი სკამლოგინების შიშველ ფიცრებზე ეყარა სამოს შემოხეული, ჭუჭყიანი, სიქაწართმეული ხალხი. მარჯვენა, შორეულ კუთხეში ცალკე იდგა ორი საწოლი. ერთზე თეთრი ზეწარი და ბამბის ორი საბანი ეფარა, ზემოდანაც ორი დიდი ბალიში იდო. მეორეზე ძველი ლეიბ-საბანი დაეგოთ. ძნელი მისახვედრი არ იყო. რომ მდიდრული საწოლი მამასახლისს, მეორე კი მის ლაქიას ეკუთვნოდა. მდიდრულ საწოლზე ნახევრად წამოწოლილიყო წელსზემით შიშველი, შეშუპებული სახის მსუქანი მამაკაცი — კამერის მამასახლისი. მის საწოლთან ჭურჭლის შესანახი ტუმბო იდგა. აშკარად ჩანდა, რომ მამასახლისი ესეველ უფროსებში დიდი ავტორიტეტითა და პრივილეგიებით სარგებლობდა.

მამასახლისის მახლობლად ხითხითით ცმუკავდა მისი თანაშემწე. ერთი შეხედვისთანავე შეუმცდარად განვსაზღვრე, რომ იგი დიდი გათახსირებული ვინმე იყო. ვიწრო შუბლი, სველი ქალაღდის ფერი და მელასავით გრძელი სახე, ზეთიანი, მოუსვენარი თვალები — აი, მისი გარეგნობის უმნიშვნელოვანესი შტრიხები. როგორც მერე გავიგე, ეს არამზადა ოდესღაც საბჭოთა მოქალაქე ყოფილა. თავად იკვეხნიდა, ომამდე ათი წელიწადი კოლიმაში ვიჭექით. როგორ და რისთვის მოხვდა მისლოვიცში, არავინ იცოდა. მამასახლისის ლაქიას უცნაური მეტსახელი ჰქონდა — ასოცდასამკუბლეტა. იგი ხშირად ღილინებდა ძველბიჭურ სიმღერას „Гоп по смыком“-ის ჰანგზე, რომელიც ასე იწყებოდა:

Песня «Гоп со смыком» интересна.
Сто двадцать три куплета — всем известна.
Я теперь спою няую, ленинградскую блатную,
Как живут филоны в лагерях.

იგი ხშირად მღეროდა ამ პირველ კუბლეტს, ასოცდასამკუბლეტაც იმიტომ შეერქმიათ.

მამასახლისი ფერდინანდს „ჯვრის ტუზს“ ეძახდნენ. გამოუსწორებელი ბანქოს მოთამაშე და ლოთი დაქერამდე სეიფების გატეხვის ოსტატი ყოფილა. არაყი და ბანქო ბანაკში სასტიკად იყო აკრძალული, მაგრამ ფერდინანდს არაყი ყოველთვის სამყოფად ჰქონდა, ბანქოც ერთი ოცი დასტა ექნებოდა. არყითაც და ბანქოთიც „ჯვრის ტუზს“ თვით ბლოკფიურერი ამარაგებდა.

საქმე ის გახლავთ, რომ მისლოვიცის ბანაკში თავმოყრილი იყო ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ხალხი. ბევრი მათგანი გესტაპოს ციხისა და სასტიკი კარანტინების გაუვლელად პირდაპირ მოჰყავდათ ჩვენთან. ისინი ახერხებდნენ ბლოკში ფულის, ოქროს კბილების, ბეჭდების, სამაჯურების და სხვა ძვირფასეულობათა შემოტანას. ყველაფერი ეს ხელში უვარდებოდა „ჯვრის ტუზს“, რომელიც მათ ბლოკფიურერს აძლევდა. არც უკანასკნელი, რჩებოდა ვალში: „ჯვრის ტუზი“ ესესელთა სამზარეულოდან ღებულობდა კარაქს, ძეხვს, ხილფაფას, მარმელადს, თანაც იმდენს, რომ მის ლაქიასაც ყოფნიდა. ფერდინანდი თითქმის ყოველდღე ლოთობდა, თამაშობდა ბანქოს, ერთობოდა უმწეო ტყვეების აბუჩად აგდებით. იგი ერთგულად ემსახურებოდა ბლოკფიურერს. ასოცდასამკუპლეტა კი — მას. ამ ორ ნაძირალას შიშსა და მორჩილებაში ჰყავდა ასობით ტყვე.

ჩარიგ უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, მესამე რაიხის ციხეებსა და ბანაკებში ტყვეთა ოფიციალური ქცევის წესების გარდა დაუწერელი წესებიც არსებობდა. თავისებური სატუსალო „ეთიკის“ თანახმად, ახალბედას ზღურბლზე გადმობიჯებისთანავე უნდა მოეხსენებინა მამასახლისისთვის თავისი მოსვლის შესახებ და ერთგულება შეეფიცა. მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო მას მამასახლისის მზარდაჭერის იმედი ჰქონოდა, პირველ დღეს მაინც. გარდა ამისა, ახალმოსულის ფიცი ადასტურებდა, რომ მას ტუსალობის „სტაჟი“ ჰქონდა და „წესები“ იცოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მამასახლისი ჯოხისა და მუშტების დახმარებით ასწავლიდა მოსულს „თავაზიან ქცევას“. ასეთი სწავლება არაიშვიათად დამთავრებულა ტყვის დასახიჩრებით.

იმავე დროს სატუსალო „ეთიკა“ არც ერთ ტყვეს უფლებას არ აძლევდა გამოეკითხა ახალბედა, თუ ვინ იყო იგი ან როდის და რისთვის მოხვდა ციხეში. მამასახლისს ამის შესახებ რომც ეკითხა, ტყვეს შეეძლო პასუხად შეეკუთრებინა და ამგვარი სითამამისათვის მას ვერ დასჯიდნენ. როგორც წესი, ეს მხოლოდ კრიმინალურ დამნაშავეებს ეხებოდა და ამ „ეთიკას“ ძალა მარტო კრიმინალურ სამყაროში ჰქონდა. პოლიტიკურები მას არ ემორჩილებოდნენ.

მე უკვე გავლილი მქონდა ჰიტლერულ ციხეთა და ბანაკთა მკაცრი სკოლა, სადაც ადმინისტრაციის სისასტიკეს მამასახლისებისა და მათი ლაქიების ველური თავგასულობაც ემატებოდა. ყოველ შემთხვევაში, მე ვიცოდი, არსებული წესები, ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი.

მამასახლისი და მისი ლაქია თვალის შევლებითანავე ვიცანი. ისლა დამრჩენოდა, ვხლებოდი და მეპატავა. ამ დროს ზღურბლთან დაფენილი აბრეშუმის ცხვირსახოცი შევნიშნე. ყველა ციხის კრიმინალური დამნაშავენი ამ იაფფასიან ხრიკს ახლად მოსულის გამოსაცდელად იყენებდნენ. ახალბედა უმეტესწილად ან გადააბიჯებდა ცხვირსახოცს, ან აიღებდა და იკითხავდა, ვისიაო. მაშინ კი კრიმინალისტი — მამასახლისი მამის სულს იცხონებდა.

თავი მაშინათვე ბევრის მნახველ პატიმრად რომ მომეჩვენებინა, ცხვირსახოცზე ფეხები შევიწმინდე და პარაშისკენ მოჭისროლე, მერე მამასახლისს მაუუახლოვდი (თუმცა იმ გიჟური „ფიზკულტურის“ მერე ფეხზე ძლივს ვიდექი) და ვთქვი: „მშვიდობა სახლს ჩემსა!“ ვიცოდი, რომ კრიმინალურ დამნაშავეთა შორის ფართოდ იყო გავრცელებული აფორიზმი: „ციხე ჩემი მშობლიური სახლია, თავისუფლება — დროებითი მივლინება“.

ამგვარი თავხედობით გაოცებული მამასახლისი ერთხანს დაბნეულად შემომცქეროდა, მერე ფეხსაცმელი გაიძრო და ფეხზე კოცნა მიბრძანა.

— „ჯვრის ტუზო!“ გენიოსი ხართ! ეს რა გასაგებებელი ნომერი მოიგონეთ!

სკამლოგინებიდან დაძაბულად უყურებდნენ ჩვენს ორთაბობილებს და, რაც მთავარია, მისი დასასრული წინასწარვე იცოდნენ.

მე მშვიდად ვუპასუხე:

— იცით, რას გეტყვით, ბატონო მამასახლისო! მე სიკვდილს ვეძებდი კვლავ და ეს განაჩენი მხოლოდ გუშინ შემიცვალეს. კრიმინალური სამყაროს კანონთა მიხედვით, — ისინი კი მე თვითონ ვილი შმიდტმა ამიხსნა, — თქვენი ძალაუფლება ჩემზე არ ვრცელდება.

ჩემმა სიტყვებმა „ჯვრის ტუზზე“ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ნაცვლად იმისა, რომ მეტიჩრობისთვის ჭკუა ესწავლებინა, მკითხა:

— ხომ არ თვალთმაქცობ, დამისახელე ვილი შმიდტის გარეგნული ნიშნები.

— მარჯვენა წარბზემთო ნაიარევი ამჩნევია, მკერდზე ფერადი ტუშით ამოსვირინგებული აქვს არწივის კლანჭებში მოჭედილი შიშველი ქალი...

იმხანად კრიმინალურ სამყაროში ვილი შმიდტის სახელი ქუხდა, მის შესახებ იცოდნენ გერმანიის ყველა ციხესა და ბანაკში. გერმანელმა ვილი შმიდტმა, მეტსახელად მოუხელთებელმა ვილიმ, სახელი გაითქვა იმით, რომ შექმნა და წლების მანძილზე სათავეში ედგა საერთაშორისო განგსტერულ ორგანიზაციას, რომელიც ძარცვავდა ბანკებს, ტეხდა სეიფებს, სჩადიოდა მკვლელობებს. ჰყვებოდნენ, რომ მოუხელთებელ ვილის გაძარცვული ჰქონდა საფრანგეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, პოლონეთისა და თვით ნეიტრალური შვეიცარიის რამდენიმე ბანკი.

გერმანიის კრიმინალური პოლიცია მის წინააღმდეგ უმწეო აღმოჩნდა და დახმარებისათვის გესტაპოს მიმართა, გესტაპომ კვალში მისდია და 1942 წლის 1 იანვარს მოუხელთებელი ვილი შეიპყრო მის აგარაკზე, სადაც ავსტრიის ალპებში, როცა იგი თავის დამქაშებთან ერთად ახალ წელს ზეიმობდა. 1942 წლის მაისში ყაჩაღები გაასამართლეს, ბევრი მათგანი ჩამოახრჩვეს. ვილი შმიდტმა სახრჩობელა აიცილია. მას აღმოაჩნდა ჯიბესქელი და გავლენიანი დამცველები. განგსტერს იცავდნენ საუკეთესო ადვოკატები, რომლებმაც შეძლეს დაერწმუნებინათ სასამართლო, რომ ვილი შმიდტი გერმანიის დიდი პატრიოტი იყო. იგი მარტო საზღვარგარეთულ ბანკებს ძარცვავდა, გარდა ამისა, ნადავლის ნაწილს „ფატერლანდის დაცვის“ ფონდში რიცხავდაო. უმაღლესმა საიმპერიო სასამართლომ სასიკვდილო განაჩენი მას სამუდამო კატორღით შეუცვალა.

1942 წლის მაისში მოუხელთებელი ვილი შმიდტის ციხეში იჯდა. იგი ფუფუნებაში ცხოვრობდა, მოსდიოდა ამანათები ურიცხვი თაყვანისმცემლებისგან, იწვა სუფთა საწოლში და ერთობოდა გიტარაზე დაკვრით. ტუსადის ზოლებიანი ხალათის შიგნით ვილის აბრეშუმის საცვლები ეცვა. ყოველდღე იღებდა შხაპს. ციხის დალაქი დილდობით პარსავდა და მასაყს უტარებდა წარჩინებულ პატიმარს. მეთვალყურენი წელში იკავებოდნენ, ამ მათივე თქმით, „საპატიო“ ტუსადის წინაშე.

მოხდა ისე, რომ პირველი გაქცევის მერე შემიპყრეს და ჩამსვეს შმიდტის ციხის 144-ე კამერაში, სადაც 1942 წლის ოციდან ოცდაშვიდ მაისამდე დაჰყავი. კამერაში მამასახლისობდა ვილი შმიდტი. იგი უჩვეულო გონების პატ-

რონი იყო და თავი ღირსეულად ეჭირა. ციხეში ჯდომა „ცხოვრებისეულ ამო-
ოებათაგან“ დროებით დასვენებად მიაჩნდა. ვილი შმიდტი გახლდათ შუახნის
ულამაზესი მამაკაცი, ჰქონდა სასიამოვნო ხმა, არც თუ ურიგოდ მღეროდა და
უკრავდა გიტარაზე. საერთოდ, რომანტიკული პიროვნება იყო ზოგჯერ, ერთი
ბოთლი რაინვაინის შემდეგ, ღირსეული განწყობილება ეუფლებოდა და თავის
უცნაურ თავგადასავლებს ჰყვებოდა. მის მონაყოლში ძაღვმა და მისი ძაღვმა ფანტა-
ზია, ფანტაზია კი ტყვეებზე გაცილებით უფრო ძლიერად მოქმედებს, ვიდრე
შეუფერავი სინამდვილე. ერთი სიტყვით, მშვენიერ მთხრობელს მსმენელი
ყოველთვის ბლომად ჰყავდა.

ბუნებრივია, მე საერთოდ არაფერი მქონია და არც შეიძლებოდა მქონოდა
სახელგანთქმულ განგსტერთან, მაგრამ მასთან ნაცნობობა ამჯერად გამომადგა.
მან მიხსნა, „ჯვრის ტუზისა“ და მისი ლაქის მძიმე მუშტებისაგან. ვარდა
ამისა, ყველა მსხვილი გერმანელი კრიმინალური დამნაშავე მოაბიტის ციხეს
თავის ალმა მატერად თვლიდა და აქ ნაჯდომ ხალხს პატივისცემით ეპყრობოდა.

- თითებზე რა გჭირს? — მკითხა „ჯვრის ტუზმა“.
- გესტაპოს მანიკიურია, — მივუგე.
- ჯიბის ქურდი ხარ?
- წადი, ერთი შენი...
- კეთილი, მაგრამ მე მამასახლისი ვარ და უნდა გაგჩხრიკო.
- ნება თქვენია.

„ჯვრის ტუზთან“ ჩემს საუბარს ლაქია პირდაღებული უსმენდა და თვა-
ლებს უაზროდ ახამხამებდა. მას გერმანულის ინჩი-ბინჩი არ ესმოდა და უკ-
ვირდა, რად არ ვაკოცე მამასახლისს ფეხზე, ან რად აგვიანებდა იგი ჩემთან
ანგარიშის გასწორებას.

— გაჩხრიკე! — უბრძანა „ჯვრის ტუზმა“ ლაქიას პოლონურად. იგი მა-
შინათვე დაფაცურდა და კამერის შუაგულისკენ გამათრია, ალბათ, ეგონა, გაჩ-
ხრეკას დასჯაც მოჰყვებო.

ასოცდასამკუბლეტა «Гоп со смыком»-ის მხიარული ღიღინით შეუდგა
ჩემს გაჩხრეკას. გულდასმით შემიმოწმა ტანსაცმელი, თანაც რამდენჯერმე
მტკივნეულად მიპწკინა ცოდვილ სხეულზე.

- პარდონ, ჯიგარო, რა ვქნა, ასეთი სამსახური მაქვს, — იდიოტური
ხმით ხითხითებდა ის ყიამყრალი.
- მორჩი ახლავე, ვირისთავო! — აღვშფოთდი მე.
- რაო, არ მოგწონს, ძაღლიშვილო? — გაბრაზდა უცებ ასოცდასამკუბ-
ლეტა. — იდექი სწორად და ნუ ხევანხვალე, როცა გიბწკენენ, თორემ ისეთ
დღეს დაგაყრი, სიკვდილს ნატრობდე. ჩვენ თვით გერმანელებსაც ვუკეთებთ
ოყნას. თუ მომესურვა, ისე დაგკოდავ, ხმასაც არ ამოგაღებინებ, უღლეურო
კომკავშირელო!

მან ისევ მტკივნეულად მიპწკინა და ოფლიანი ხელით სილაც გამაწნა.
— ბატონო მამასახლისო, — მივმართე გერმანულად „ჯვრის ტუზს“, —
თქვენ ამ კრიმინალური სამყაროს უცოდინარ რეგვენს ჩემი გაჩხრეკა უბრძა-
ნეთ, ის კი მპწკენს ცოდვილ სხეულზე და ხელსაც მირტყამს, რითაც ჩირქს
სცხებს თქვენს ღირსებას.

— მოდი აქ, — დაუძახა ლაქიას მამასახლისმა და ისეთი ალიყური აჭა-
მა, ასოცდასამკუბლეტა კუთხეში მიენარცხა. ის მატრაკვეცა კი, ვითომც არა-

ფერიაო, წამოდგა, მტვერი ჩამოიფერთხა და ყბამოდრეცილმა ჩაიხვიხვინა:

— გმადლობთ, ბატონო მამასახლისო. უპ, რა ხელი გაქვთ, რა ხელა, ღმერთმა ჯანმრთელობა ნუ მოგაკლოთ!

— ეს იმისთვის, რომ საკუთარი მეუფე არ დაგაეწყდეს! მაკოცე ფეხზე! ლაქია მუხლებზე დაეცა და მამასახლისის ფეხს კოცნა. ამ გულისამრევ სცენას ასი წყვილი თვალი მისჩერებოდა. მტვერები ისე იყვნენ დაშინებულნი, განძრევასაც ვერ ბედავდნენ.

მალე ბანაკის პრომინენტებმა¹ „ჯვრის ტუზს“ ესესელთა სამზარეულოდან სამი კერძისგან შემდგარი სადილი მოუტანეს. მამასახლისმა აუჩქარებლად დაიწყო ლექვა, საწოლზე მჯდარი ასოცდასამკუპლეტა კი, როგორც მშვიერი ძაღლი, თვალებით ჭამდა თავის ბატონს. კარგად რომ გამოძღა, „ჯვრის ტუზმა“ საჭმლის ნარჩენები და ძვლები მოკრიბა, ქაღალდში შეაბვია და ლაქიას გადასცა. ეტყობა, შეეზიზლა მისთვის საკუთარი ჭურჭლის მიცემა. ლაქიამ პირი გემრიელად ააწკლაპუნა, ძვლების წუწვნასა და კატასავით თითების ლოკვას მოჰყვა. დანარჩენი ტყვეები მხოლოდ ნერწყვისა ულაპავდნენ.

ამ ბანაკში კრაკოვის ციხეზე უარესი კვება გქქონდა. ბანაკი არარენტაბელურად ითვლებოდა. ამიტომაც დღეში მხოლოდ ოთხას გრამ ცივსა და მღვრიე სითხეს გვაძლევდნენ, რომელშიც არც ბურღული იყო, და არც ბოსტნეული. მარილზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. როგორც ნიურნბერგის პროცესზე დადგინდა, ამით აიხსნებოდა მეტად ხშირი სიკვდილიანობა პიტლერელთა ყველა გამანაწილებელ ბანაკში.

„ჯვრის ტუზმა“ მოწყალედ დამრთო სკამლოგინზე დაწოლის ნება და თვითონ დასაძინებლად შებრუნდა. ასოცდასამკუპლეტა ბატონის ძილს დარაჯობდა. იგი ბუზებს უგერიებდა მძინარე მამასახლისს და მკაცრად იცავდა კამერის სიმყუდროვეს.

გამოძინებული „ჯვრის ტუზი“ გემრიელი მთქნარებითა და ზმორებით კიდევ ნახევარ საათს ნებივრობდა ბალიშებზე. აჰა, გაიჭრიალა კამერის კარმა და ისიც წამოდგა. მოიყვანეს ოფიცრის ფორმაში ჩაცმული ორი ახალბედა ფრანგი სამხედრო ტყვე, ორთავე სუფთა და საღ-სალამათი. შალის ახალ სამოსელს ჯერ კიდევ ვერ მოესწრო დაჰმუჭვნა და გაჭუჭყიანება. ჩანდა, ტყვეებს არ გაველოთ წინასწარი „დამუშავება“, რომლის მერეც მსხვერპლს არც საკუთარი ნივთები რჩება, არც სამოსი და თმა რომ თმაა, არც ის.

ფრანგებს თავი ამაყად ეჭირათ. მათ ზღურბლზე გადმობიჯებისთანავე ზიზლით მიმოათვალიერეს კამერა და მისი ბინადარნი. ერთხანს შექმუხვნილნი იდგნენ, მერე კი სკამლოგინის კიდეზე ჩამოსხდნენ. ჩამოწვა ავისმომასწავებელი სიჩუმე. ფრანგების თავხედობით აღშფოთებული „ჯვრის ტუზი“ თითქოს ნახტომისთვის ემზადებო, წამოყინდა, აიფხორა და ახალმოსულნი საწოლთან იხმო. როცა ისინი მიუახლოვდნენ, მამასახლისმა უმიეთმოეთოდ მოსთხოვა სვირფასეულობა.

შავთმიანმა და თაფლისფერთვალემა ფრანგმა გერმანულად თქვა:

— ჩვენ სამხედრო ტყვეები ვართ, ფრანგი ოფიცრები, თანაც თავადი-შვილები. ჩვენზე ვრცელდება ენევის საერთაშორისო კონვენციის დებულება სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ. არავის არა აქვს უფლება...

¹ ესესელთა მომსახურე პრივილეგირებული ტყვეები.

„ჯვრის ტუზმა“ ფრანგს სიტყვა არ დაამთავრებინა, ერთი ლაზათიანად შეაგინა და თავში ჯობი ხეთქა. მეორემ მეგობრის მისაშველებლად წამოიწია, მაგრამ მასაც ისეთი წიხლი ჩააზილეს მუცელში, რომ იგი ყვირილით ჩაიკეცა იატაკზე. მოიბრინა ასოცდასამკუბლეტამაც და ახლა უკვე ორთავემ დასცხეს საბრალლო ფრანგებს. მათ ლულულით დაიფარეს ხელებზე, ხელებზე დასცხეს ადარც ფიქრობდნენ. საწყლებს არ სცოდნიათ, რომ მამასახლისების შეუსრულებლობისთვის, მით უმეტეს, მასზე თავდასხმისათვის, ტყვეს ადგილზე კლავდნენ.

რამდენიმე წუთს მესმოდა მამასახლისისა და მისი ლაქის ქლოშინი, ყრუ დარტყმები და ფრანგ ოფიცერთა სასოწარკვეთილი კვნესა. მერე ყველაფერი მიწყნარდა.

— ადექით! — მძიმე ხვნეშით დაიყრანტალა მამასახლისმა და ლაქიას უბრძანა — ეს ლორები გაჩხრიკეო.

ასოცდასამკუბლეტამ ფრანგები გულდასმით გაჩხრიკა. ააწაპნა საათები, ფული, ავტოკალმები, სიგარეტები, სანთებლები და ყველაფერი მამასახლისს გადასცა. მან ერთ-ერთ ფრანგს ოქროსძეწკვიანი მედალიონის შეხსნისას ყელზე ხელი წაუჭირა და პირი დააღებინა.

— ბატონო მამასახლისო, რიჟიო! — შესძახა გახარებულმა.

„ჯვრის ტუზმა“ ლეიბიდან სასწრაფოდ გამოაძვრინა მარწუხი და ფრანგს მივარდა. მერე ისეთი რამ ვნახე, სისხლი გამეყინა. მან მარწუხი ტყვეს პირში ჩასჩარა და სანამ მსხვერპლი გონს მოეგებოდა, „ჯვრის ტუზს“ ხელში რამდენიმე ოქროს კბილი ეჭირა. ფრანგი ტკივილისგან აღრიალდა. მამასახლისმა მარწუხი ყბაში ლეწა და მხეცური წამება განაგრძო.

უხსოვარი დროიდან მრავალ ხალხში ცოცხლობს ბრძნული ანდაზა — დაცემულს არ სცემენო. გერმანიის ბანაკებში გამხეცებული სადისტები დაცემულს ყოველთვის სცემდნენ.

ამ დროს ურდულმა გაიჭრიალა და კამერაში ესესელის თანხლებით შემოვიდა ბლოკფიურერი — პირქუში, ტარანივით გამხდარი და აწოწილი ოფიცერი.

— რა ხდება აქ? რატომ წვანან ეს ლორები იატაკზე? მათ რა, საიქიო ხომ არ მოენატრათ? — იყვირა ბლოკფიურერმა. მერე მამასახლისის ტუმბოზე რაღაც დიდი ფუთა ჩამოსდო და მკვნესარე ტყვეებს მოჭუტული თვალებით დახედა. „ჯვრის ტუზი“ ბლოკფიურერს მიუახლოვდა და ფრანგებისთვის წართხეული ნადავლი ჯიბეში შეუმჩნევლად ჩაუჩურთა. ბლოკფიურერმა მამასახლისს მხარზე მეგობრულად დაჰკრა ხელი და დაყვავებით უთხრა, კამერა წესრიგში მოიყვანეო.

როგორც კი ბლოკფიურერმა კარები გაიხურა, „ჯვრის ტუზი“ ფრანგებს მიუბრუნდა:

— ახლა კი, სიფილისიანებო, გულახდილად ვილაპარაკოთ. ჯერ ერთი, თქვენ კამერაში აყალმაყალი ატეხეთ, რის გამოც ბლოკფიურერმა შენიშვნა მომცა. მეორეც, არ ჩამაბარეთ განძეულობა და, ამდენად, გაქურდეთ გერმანიის სახელმწიფო. მარტო ამის გამო ხართ ჩამოსახრჩობი. თქვენი ბედი, რომ ჩემისთანა კეთილი კაცი შეგხვდათ. რა გქვია შენ? — ჰკითხა მან კბილებდაძრობილ ფრანგს.

1 ოქრო (ქურდების ქარგონზე).

— ჟანი, — ჩაიღულღულა მან.

— შენ?

— ჟაკი.

— მაშ, ასე, — შემრიგებლურად თქვა მამასახლისმა. — შენ, ჟაკი, შენ კი, ჟანი, პარაშაზე დაჯექი, სარქველის მაგიტრობას გასწევ.

აბა, ჩქარა!

ფრანგებმა ბრძანება მორჩილად შეასრულეს — ერთი პარაშაზე დაჯდა, მეორე სკამლოგინქვეშ შეძვრა.

მამასახლისისა და მისი ლაქიის სიძულვილი მახრჩობდა. ამ ჯალათების ძაღლებივით მოსპობის დაუოკებელმა სურვილმა შემიბყრო, თუმცა, მშვენივრად ვუწყოდი, ასეთი საქციელისთვის ძალა და გამბედაობაც რომ მყოფნოდა, მაინც ვერაფერს შევცვლიდი. ფაშისტები მე ჩამომახრჩობდნენ, ამ ნაძირალების ადგილზე კი სხვებს დანიშნავდნენ.

აქ თბრობას ოდნავ უნდა გადაეუხვიო.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნებისმიერ სულთმობრძავ რეჟიმს ყველაზე უფრო იმათი ერთიანობისა ეშინია, ვისაც ჩაგრავს და სდევნის. გამონაკლისი არც ფაშისტები ყოფილან. ისინი ბანაკებში ფართოდ იყენებდნენ ტირანთა ცნობილ პრინციპს — გათიშე და იბატონე! ტყვეთა შორის განხეთქილების ჩამოგდებისა და მათი ერთიანობისთვის ხელისშეშლის მიზნით ჰიტლერელები საკონცენტრაციო ბანაკებში განგებ ადვილებდნენ ეროვნულ შუღლს. ამავე მიზნით სვამდნენ ისინი პოლიტიკურ პატიმრებს კრიმინალურ დამნაშავეებთან ერთად. უკანასკნელთ ისინი ყოველნაირად ეფერებოდნენ, აქეზებდნენ პოლიტიკურთა საწვალეზლად და აბუჩად ასაგდებად. პირწავარდნილ ყაჩაღებსა და მკვლელებს ბანკის ადმინისტრაცია ნიშნავდა კომენდატების, მამასახლისების, კაპოების და სხვა თანამდებობებზე.

ტყვეთა გამოცნობის გასაადვილებლად ტანსაცმელზე მათ სპეციალურ ვენკელებს — სხვადასხვა ფერის სამკუთხედებს აკერებდნენ. წითელ სამკუთხედს ატარებდნენ პოლიტიკურები, შავს — მესაბოტაჟენი, მღვდლები, ბაპტიტები და სხვა სექტანტები, რომლებმაც უარი თქვეს ფიურერის სისხლიანი რეჟიმის განდიდებაზე, — იისფერს: ებრაელებს აკერებდნენ ექვსქიმიან ვარსკვლავს, რომლის სამი ქიმი ყვითელი იყო, სამიც — წითელი: გერმანელ კრიმინალურ დამნაშავეებს — მკვლელებს, ქურდებს, მძარცველებს, მოძალადეებსა და სხვათა — მწვანე სამკუთხედები ჰქონდათ. აქედან წარმოსდგა მათი სახელწოდებაც — მწვანეები. მწვანეები ბანაკთა ადმინისტრაციისა და ესესელთა დაცვის ერთგული თანაშემწეები იყვნენ. მათსა და პოლიტიკურ პატიმრებს შორის განუწყვეტლივ მიმდინარეობდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. 1944 წლის მიწურულსა და 1945 წლის დამდეგს წინააღმდეგობის მოძრაობა გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებში იმდენად გაიზარდა და განმტკიცდა, რომ იატაკქვეშა ანტიფაშისტურმა ორგანიზაციებმა მოახერხეს ყველა შინასაბანაკო თანამდებობათა ხელში ჩაგდება. ამას ხელი შეუწყო თვით ჰიტლერმა, რომლის ბრძანებითაც ომის დასასრულს მწვანეები ჯარში გაიწვიეს. მათ ყველა ცოდვა მიუტევეს და ფრონტზე უკრეს თავი. ამის შედეგად იატაკქვეშა ორგანიზაციები უფრო მომაგრდნენ, წინააღმდეგობის მოძრაობა ბანაკებში უძლეველ ძალად იქცა. სწორედ ამ ძალამ უბიძგა ტყვეებს შეიარა-

ღებული აჯანყებისაკენ. ასე მოხდა, მაგალითად, ბუხენვალდში, სობიბორში, ბაუტჰაუზენსა და ლინცი III-ში, სადაც ამბოხებულმა ტყვეებმა ჯერ კიდევ მოკაფშირეთა არმიების მოსვლამდე გაანადგურეს დაცვა და თავი გაინთავისუფლეს.

ეს იყო მოგვიანებით, ჯერ კი ბანაკებში ადმინისტრაციის მიერ წაქეზებული „ჯვრის ტუზის“ მსგავსი კრიმინალური დამნაშავეების ჩაქოვება. ესე-სელთა სამზარეულოდან მიღებული სანოვაგისა და სხვა უბრალო საგნებისთვის ისინი ტყვეებს სულს ხდიდნენ. ფიზიკურ ტერორს თან ერთვოდა საშინელი მორალური ტერორიც. თუ ამას დავუმატებთ შიმშილობასაც, ადვილი გასაგები იქნება, რატომ ტყდებოდა მაშინათვე საკონცენტრაციო ბანაკში მოხვედრილი ადამიანი, რატომ კარგავდა წინააღმდეგობის გაწევის ძალასა და ნებისყოფას. ბოლოს და ბოლოს იგი იღუპებოდა. დაღუპულთა სანაცვლოდ ახალი შექცევა მოჰყავდათ და ასე უსასრულოდ.

ეს გაუბედურებული, მიწყვიტ წამებული და დევნილი ხალხი თეორიულად მრისხანე ძალა შეიძლებოდა გამხდარიყო. მათ ხომ, უმცირესი გამონაკლისის გარდა, ფაშიზმი ჭირის დღესავით სძულდათ. მაგრამ ეს მხოლოდ თეორიულად. მათ გაერთიანებას მრავალი ფაქტორი ეღობებოდა წინ. ჯერ ერთი, ბანაკებში არეული იყო ევროპის ყველა კუთხის ათეულ ეროვნებათა წარმომადგენელი. მეტწილად ისინი უბრალოდ ვერ უგებდნენ ერთმანეთს. მეორეც, ტყვეებს ერთმანეთთან ხეირიანად გაცნობამდე აშორიშორებდნენ და სხვადასხვა ბანაკებში გზავნიდნენ. ისინი ვერ ასწრებდნენ ერთმანეთის შესწავლას, არ ენდობოდნენ ერთმანეთს, რადგან არც ისე ადვილი იყო საკუთარი ბედის სასწორზე შეგდება, მით უმეტეს, რომ ჰიტლერელები არ თვლემდნენ და ყველას, ვისზეც ოდნავი ეჭვი შეეპარებოდათ, მაშინათვე სპობდნენ. აი, ამიტომ იმ ბანაკებში, სადაც ტყვეთა კონტინგენტი მეტ-ნაკლებად მუდმივი იყო, იატაკქვეშა ორგანიზაციები ერთობ ნელა იბადებოდა.

3

ჩემი სკამლოგინის მეზობელი იყო მხარბეჭიანი, სიმპათიური შეხედულებების ცისფერთვალა ახალგაზრდა ტყვე, რომელსაც თავი დამოუკიდებლად და ღირსეულად ეჭირა. უკვე მეორე დღესვე, დილის აპელისა და კამერის მილაგების მერე ერთმანეთს დაველაპარაკეთ.

— მაქსიმ კირეევი მქვია, წარმოშობით სმოლენსკელი ვარო, — გამეცნო თანამოსაუბრე. ომამდე თურმე სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადიოდა ბელორუსიაში დისლოცირებულ ერთ-ერთ ნაწილში. უკვე ომის მეხუთე დღეს მათი დივიზია მძიმე ბრძოლებს აწარმოებდა მინსკის მისადგომებთან. მათ ნაბრძანები ჰქონიათ ნებისმიერ ფასად შეეჩერებინათ გერმანელთა წინსვლა მაშველი ძალების მოსწრებამდე. სანგრებში ჩასაფრებული წითელარმიელები იგერიებდნენ კბილებამდე შეიარაღებულ მტრის შემოტევას. სიკვდილს თვალეში ჩასცქეროდნენ, მაშველი ძალა კი რატომღაც იგვიანებდა. არ ჰქონდათ ტანკები, არ ჰყოფნიდათ არტილერია, ცაში არ ჩანდა ჩვენი თვითმფრინავები.

გერმანელებს დიდძალი დანაკლისი განუცდიათ, და იერიში შეუწყვეტიათ.

მეორე დღეს გარკვეულა, რომ ჭიქურ შეტაკებებში დამარცხებულნი შემოვლან-ზე წასულიყვნენ და დივიზია ალყაში მოექციათ. კაცმა რომ თქვას, ეს უკვე დივიზია კი არა, მისი ნარჩენი ყოფილა — ათასამდე მეტწილად დაჭრილი, მშინ-ერ-მწყურვალი, შეუწყვეტილი ბრძოლებით გაწამებული ადამიანები, რომლებ-საც თავდავიწყებამდე სდომებიათ ძილი. თითქმის უვაზნებო მშინებრებს და ტყვიამფრქვევებით განუზრახავთ ალყიდან თავის დაღწევა. ერთ-ერთი შეტაკე-ბისას უკვე ასეულის მეთაური სერჟანტი კირეევი მძიმედ დაუჭრიათ. იგი ტყის განაპირა, მიყრუებულ ხუტორში დაუტოვებიათ. ორი თვე იბრძოდა თურმე მთელი ხუტორი მაქსიმეს სიცოცხლის გადასარჩენად და სიკვდილს დაუხევია. გასულა კიდევ ერთი თვე და მაქსიმე წამომდგარა. როცა საბოლო-ოდ გამოკეთებულა, პარტიზანების მოძებნა გადაუწყვეტია, მაგრამ ერთ დღეს ხუტორს გერმანელები დასცემიან და ყველა მამაკაცი, მათ შორის მაქსიმეც, შეუპყრიათ.

ჯერ ბარანოვიჩის მახლობლად განლაგებულ სამხედრო ტყვეთა ბანაკში იტანჯებოდა თურმე, მერე გადაუყვანიათ ხელმსკის საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც ხალხი შემოდგომის ბუზებივით იხოცებოდა. გადაუწყვეტია გაქცევა. შეთანხმებია რამდენიმე სამხედრო ტყვეს, შეუდგენიათ გაქცევის დეტალური გეგმა, რომელიც მეორე დღეს უნდა განეხორციელებინათ. მეორე დღე კი შა-ვად გათენებულა. სამუშაოზე წაყვანის ნაცვლად ისინი ვაგონებში შეიყურიათ და გერმანიისკენ გაუქანებიათ. თითქმის წელიწად-ნახევარი იხრიდა ქედს ქარ-ხანაში ლუკმაპურისთვის, მუშაობდა შავ მუშად რკინიგზაზე და ქვის სამტენ-ლოში. თავიდან არ მოშორებია შინ დაბრუნებაზე ფიქრი, მაგრამ გაქცევის რამდენიმე მცდელობა მარცხით დამთავრებულა. ბოლოს და ბოლოს, 1943 წლის მაისს, მაქსიმეს მოუხერხებია მაგდებურგის მიდამოებში მდებარე ბა-ნაკიდან გაქცევა. იგი სილეზიაში შეუპყრიათ და ხუთი დღის წინ მისლოვიცში ჩამოუყვანიათ. მაქსიმე ჯერ კიდევ არ დაჩაჩანაკებულიყო, ძალ-ღონეს ჭარბად გრძნობდა და მზად იყო თავისუფლების მოსაპოვებლად ეშმაკს რქებში ჩასჭი-დებოდა. ერთობ აღგზნებული ჰყვებოდა საკუთარ თავგადასავალს.

— მოდი, რამე ვილონოთ, — მითხრა მან ერთხელ. — არ შეიძლება გულ-ხელდაკრეფილი ვისხდეთ და ვუყურებდეთ, როგორ იგდებს აბუჩად ღონემიხ-დილ, უსასოო ტყვეებს ეს ორი ნაძირალა.

მე უკვე მოყოლილი მქონდა მაქსიმესთვის ციხეებსა და ბანაკებში გადა-ტანილი ჭირ-ვარამისა და რამდენიმე უიღბლო გაქცევის ამბავი. ქხედავ, მენ-დობა ბიჭი.

— მე აქ ერთს უკვე მოველაპარაკე, — ჩურჩულით მიყვება მაქსიმე. — უნდა შევქმნათ იატაკქვეშა ჯგუფი. მაგრამ ამას მხოლოდ „ჯვრის ტუზისა“ და მისი ლაქიის მოსპობის მერე შევძლებთ. თვითონაც ხედავ, ხალხი დაშინებული ჰყავთ ამ არამხადებს.

— თანახმა ვარ, აქედან უნდა დავიწყოთ. ოღონდ ნუ დაგავიწყდებათ, რომ მამასახლისის მოკვლისათვის შეიძლება მთელი კამერა დახვრიტონ, — სიფრ-თხილეს ვჩინ მე.

— თვალდახუჭული არც ჩვენ ვცხოვრობთ, — მეჩურჩულება მაქსიმე — გეგმა შედგენილი მაქვს და შენი დახმარება მჭირდება.

— რა უნდა გავაკეთო?

— როგორც კი მამასახლისს მოვაშთობთ, შენ შეგიძლია უთხრა ბლოკფიუ-

რერს, რომ ეს ასოცდასამკუბლეტამ გააკეთა? ისინი გვიან ღამემდე ლოთობენ და ბანქოს თამაშობენ ტყვეებისათვის წართმეულ ოქროსა და ძვირფას ნივთებზე, რომელთა ნაწილსაც ბლოკფიურერისგან მალულად ლეიბში ინახავენ. ხომ შეიძლება გამომთვრალეებმა იჩხუბონ და ლაქიამ მოკლას მამასახლისი?

ახლა კი ვხვდები მაქსიმეს გეგმის არსს და ხალისით ვთანხმდები.

— იცოდე, საკმარისია ორმა ერთნაირი ჩვენება მისცეს, რომ ლაქიას აღსასრული მოვიდეს. სხვა რა ჩარაა. სადაც მიხვალ, იქაური ქუდი უნდა დაიხურო. მამასახლისი კი ჩემზე იყოს.

ჩვენებებს ვათანხმებთ და შეთანხმებას ფიცით ვაგვირგვინებთ.

საღამოთი „ჯვრის ტუზი“ გვაგარჯიშებდა ორი ბრძანების შესრულებაში: „დაეწყვეთ!“ და „დაიშაღეთ!“, ბრძანებაზე — „დაეწყვეთ!“ თითოეული ტყვე სკამლოგინიდან ტყვიასავით უნდა გავარდნილიყო და მწყობრში საკუთარი ადგილი დაეკავებინა. მწყობრი ელვის სისწრაფით უნდა გაქიმულიყო. ბრძანებაზე „დაიშაღეთ!“ — სკამლოგინისკენ უნდა გაქცეულიყო თავქუდმოგლეჯილი და ქვასავით დაეარდნილიყო ზედ. ამ ბრძანებების შესასრულებლად რაღაც წამები გვეძლეოდა. ერთი საათის ვარჯიშმა სასურველი შედეგი არ გამოიღო, მოცემულ დროში ვერავინ ჩაეტია. „ჯვრის ტუზი“ და ასოცდასამკუბლეტა თავდაუზოგავად მუშაობდნენ, ხელჯობებს მარჯვედ ატრიალებდნენ, თუმცა საწადელს მაინც ვერ მიაღწიეს. საშინელ სივიწროვესა და ჯგლეთაში ბევრ ტყვეს კობებიც დააჩნდა, მაგრამ ამოდ, უაზრო ბრძანებების შესრულება ვერ შეძლეს. ეს ვარჯიში არაფრით ჩამოუვარდებოდა იმას, „მამიკო“ ბოდეშატცმა რომ მოგვიწყო მოედანზე.

ჩამოგვირიგეს ვახშამი — თითო ჩამჩა უშაქრო ერზაც-ყავა. ამის გამო „ვარჯიში“ ხვალისთვის გადაიდო. მამასახლისმა ფრანგებს ყავა საკუთარი ხელით დაუსხა და სკამლოგინზე დაწოლის ნება დართო. თანაც დააყოლა, მე მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ვარ და მამასახლისის „მძიმე მოვალეობანი“ მაძულებენ ზოგჯერ შეუბრალებელი ვიყო.

ბრძანებების — „დაეწყვეთ!“ და „დაიშაღეთ!“ დამუშავებისას ასოცდასამკუბლეტა სულ ცდილობდა ჩემთვის ხელში ან თავში ჯოხი ჩაერთყა. ხელების დამალვას კი ვახერხებდი, მაგრამ თავს ვერაფერი ვუშველე. ახლა იგი ტკივილისგან მისკდებოდა. ერზაც-ყავისთვის მისულს მამასახლისმა ნახევარი ჩამჩა დამიმატა, რადგან, როგორც ჩანს, თავისიანად, კრიმინალურ დამნაშავედ მთვლიდა.

გასაყრისის მეორე კამერაში ღამის ლურჯი ნათურა აინთო. „ჯვრის ტუზმა“ ჯიბის ფარანი ჩართო, ბლოკფიურერის მოტანილი ფუთა ამოიღო და იქიდან ორი ბოთლი შნაპსი, ძეხვი და პური ამოალაგა. დაიწყეს ლოთობა და ბანქოს თამაში. „ჯვრის ტუზი“ და ასოცდასამკუბლეტა თამაშობდნენ ძვირფასეულობაზე, ოქროს მონეტებზე, ვალუტასა და სილის გაწვნაზე. ძნელი სათქმელია, ვინ ჭის უგებდა, ეს კია, მამასახლისი თავის ლაქიას თაღლითობაში სდებდა ბრალს და მალიმალ უხათქუნებდა. თამაშმა ნაშუაღამევამდე გასტანა. მათ კიდევ ერთი ბოთლი შნაპსი დააძვრინეს „ჯვრის ტუზის“ ლეიბიდან, კიდევ ერთხელ მიბეგვეს ერთმანეთი და, როგორც იქნა, დასაძინებლად დაწვნენ. დამეძინა მეც.

განთიადისას სიჩუმეს სირენის გამგმირავი კივილი არღვევს. დერეფანში ისმის ესესელთა ხმამალალი ბრძანებები, გასაღებთა ჟღარუნი. იწყება სადილო

შემოწმება. ჩვენი კამერა დერეფნის ბოლოშია, მაგრამ მაინც სასწრაფოდ ვტოვებთ სკამლოგინებს და მწყობრში დადგომას ვჩქარობთ. წამით დაყოვნებული მაქსიმე ჩურჩულით შეუბნება:

— აბა, შენ იცი, არ დამადალატო.

დარდი ნუ გაქვს-მეთქი, ვპირდები და ვგრძნობ, როგორ მიბრუნდება ხელფეხი. მაშასადამე, ჩანაფიქრი აღსრულებულია. ნეტავი რით დამთავრდება ყველაფერი? მაქსიმეს თვალები ღრმად ჩაცვენია, ეტყობა, არ უძინია მთელი ღამე.

ჩვეულებრივი არეულობისა და ხმაურის შემდეგ ოთხმოცდათვრამეტი ტყვე მწყობრში გაისუსა. მხოლოდ მამასახლისსა და მის თანაშემწეს ეძინათ ყველასდა გასაოცრად. მე მარცხენა ფლანგის ჩამკეტი ვიყავი და კარგად ვხედავდი, როგორ უხერხულად ჩაერგო თავი ბალიშში მამასახლისს, ასოცდასამკუპლეტა კი სასაცილოდ გაშხლართულიყო და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ხვრინავდა.

ახლოვდებოდა გადამწყვეტი წუთი. გაიყდრიალეს გასაღებებმა, გაიღო კარი და კამერაში ორი ესესელის თანხლებით შემოვიდა ბლოკფიურერი. დღეს იგი ცუდ გუნებაზე იყო. მოგრძო, გამხლარ სახეზე მიწისფერი ედო, თვალის უბეები შავად შეშუბებოდა. ბლოკფიურერმა მწყობრს ნერვიულად ჩამოუარა და მამასახლისის საწოლს ეცა, ისე, რომ პატაკისათვის არ დაუცდია. მან საზიზღარი გინებით მათრახი გადაუჭირა „ჯერის ტუზს“. ასეთი დარტყმისგან მკვდარი გადაბრუნდებოდა კუბოში, „ჯერის ტუზი“ კი გაუნძრევლად იწვა. სამაგიეროდ, დამღულრულივით წამოიჭრა ასოცდასამკუპლეტა და შიშისგან მთელი ხმით იყვირა: „ახტუნგ!“ ბლოკფიურერმა მას ზიზღით შეხედა და ერთხელ კიდევ გადაუჭირა მამასახლისს. მერე იდაყვზემთ სტაცა ხელი და საბნიდან გამოათრია. „ჯერის ტუზი“ იატაკზე ბრაგვანით დაეცა. ბოლოს და ბოლოს, ბლოკფიურერი მიხვდა, რომ მამასახლისი მკვდარი იყო. ჭერ გაოცებით შეხედა ასოცდასამკუპლეტას, მერე ტყვეებს მოავლო მზერა და ავისმომასწავებლად ჩაისისინა:

— მკვლელობა... ვინ მოკლა?

ფრთხილი ნაბიჯით, თითქოს ეშინია მიწამ არ დააღოსო პირი, მწყობრს ჩამოუარა. თხელი, კაუჭა ცხვირი და ესესელთა აპრეხილი დიდი კარტუზის ქვეშიდან უფერული, ცივი თვალების გამჭოლავი მზერა ბლოკფიურერს ამსგავსებდა მტაცებელ ფრინველს, რომელიც სამსხვერპლოს ირჩევს.

ვიდექით ფერდაკარგულნი, მოღუშულნი, დაბნეულნი და ძრწოლვით ველოდით, ვისზე მიიტანდა ეჭვს ბლოკფიურერი. ის კი დაყინებით მისჩერებოდა ტყვეთა რიგებს. მისმა მზერამ მეც გადამიარა, წამის რალაც მონაკვეთში ჩვენი თვალები შეეფეთნენ ერთმანეთს. მე მესმოდა, რომ ერთ წინდაუხედავ სიტყვას, ერთ დაუფიქრებელ ნაბიჯს მთელი საქმის ჩაფუშვა შეეძლო. ასეთ სიტუაციაში მთავარია არ დაკარგო თავდაჭერა. უკიდურესობამდე დავიძაბე. ვინ არ იცის, რომ სიკვდილთან ხუმრობა ადვილი საქმე არაა!

— გამოვიდეს მწყობრიდან ის, ვინც მამასახლისი მოკლა! — რკინისებური ხმით ბრძანა ბლოკფიურერმა.

მწყობრიდან არავინ გამოდიოდა. ოთხმოცდათვრამეტი ტყვე ადგილზევე გაქვავდა და განძრევის კი არა, ამოსუნთქვისაც ეშინოდა. ჩამოწვა მძიმე, დამთრგუნველი სიჩუმე.

— მაშასადამე, არავის არ მოუკლავს, — გაწელილად თქვა ბლოკფიურერმა. — მაშინ გამოვიდეს მწყობრიდან ის, ვინც ამ ამბავს შესწრო.

მწყობრიდან მე და ერთი ცალთვალა, ტანდაბალი ტყვე გასაუკვლით.

— მეტი არავინ შესწრებია? — რამდენადაც შეეძლო, მშვიდად იკითხა ბლოკფიურერმა, თუმცა, ეტყობოდა, რომ თავს ძლივს ეჭმუჭებდა მწყობრიდან. — მწყობრიდან მისი ცემის მეტი მსურველი არ აღმოჩნდა.

— თქვი, აბა, რა ნახე? — მიმართა ბლოკფიურერმა ცალთვალას. ცალთვალა უმაღლვე აროხროხდა გერმანულად. აქამდე თავის საწოლთან გაჭიმულმა ასოცდასამკუპლეტამ პირი დაბნეულად დააფჩინა და ტყვის სიტყვებს მიაცურადა, მაგრამ, მგონი, ვერაფერი გაიგო, რადგან სულ რამდენიმე ღერი გერმანული იცოდა.

ცალთვალა მოჰყვა: მამასახლისი და მისი თანაშემწე სალამოდანვე ლოთობდნენ და ფულსა და ოქროულობაზე თამაშობდნენ. თანაც სულ ჩხუბი მოსდიოდათ. რამდენჯერმე დასცხეს კიდევაც ერთმანეთს. ფულსა და ოქროულობას ლეიბისპირიდან იღებდნენ მგონი, მამასახლისი აგებდა, რადგან ფული ორჯერ დაადვრინა. ბოლოს „ჯვრის ტუზმა“ თანაშემწე სცემა, წაართვა ყველაფერი, რაც კი წააგო და ისევ ლეიბში შეინახა. ასოცდასამკუპლეტა მიეპარა მამასახლისს, თავზე საბანი წააფარა და მოაშთო.

ბლოკფიურერი უნდობლად უსმენდა ცალთვალას, ის კი ისე არაკრავებდა, თითქოს დაწერილს კითხულობსო.

— შენ რა ნახე? — ახლა მე მომიბრუნდა იგი.

მე ვუპასუხე, გერმანული ცუდად მესმის, თარჯიმანი მჭირდება-მეთქი. ბლოკფიურერმა თარჯიმნად პოლონელი ებრაელი სემიონ ვარშავსკი გამოიხმო. მე თითქმის სიტყვა-სიტყვით გავიმეორე ცალთვალას ნაამბობი, თანაც დაემატე მამასახლისის მოშთობის შემდეგ ასოცდასამკუპლეტა მის ლეიბში რაღაცას ეძებდა-მეთქი.

ბლოკფიურერი სულ უფრო ავად აბრიალებდა თვალებს. თხრობას რომ მოვრჩი, მკითხა:

— როდის მოხდა ეგ?

— შუალამე გადასული იქნებოდა.

— შენ რატომ არ გეძინა?

— თითები მტკიოდა ძალიან, — ვთქვი და დასიებული, ჩირქიანი თითები ეუჩვენე. იმან, რომ მე და ცალთვალამ სხვადასხვა ენებზე ერთნაირი ჩვენებები მივეცით, რომლებიც წჭრილმანებშიც კი არ შორდებოდნენ ერთმანეთს, ბლოკფიურერზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. უკანასკნელი ეჭვის გასაფანტავად დავამატე: საკმარისია გაჩხრიკოთ მამასახლისის თანაშემწის ლეიბი და ნახავთ, რომ სრული სიმართლე მოგახსენეთ-მეთქი.

აქამდე მონუსხულივით მდგარმა ასოცდასამკუპლეტამ სასოწარკვეთილად იყვირა:

— ბატონო უფროსო! ტყუილია ეს, სულ ტყუილი! პირიქით, მაგათ მოკლეს ბატონი მამასახლისი!..

გამძვინვარებული ბლოკფიურერი ლაქიას ჯიქურ მიეჭრა და მათრახი პირდაპირ სახეზე გადაუჭირა. გასისხლიანებული ასოცდასამკუპლეტა „ბატონო უფროსო“, „ბატონო უფროსო“ ძახილით ესესელის ფეხებთან დაეცა.

— გაჩხრიკეთ ამ ღორების საწოლები! — უბრძანა ესესელებს ბლოკფიურერმა.

ორთავეს ლეიბი წამში გაფატრეს და გადმოაბრუნეს. ასოცდასამკუპლეტას ლეიბიდან გადმოცვივდა ოქროს საათები, ძეწკვები, ბეჭდები, მედალიონები, მონეტები. კიდევ უფრო მეტი ოქროულობა იპოვეს მამასახლისისა ლეიბში. ბლოკფიურერმა ნაალაფარი ჯიბეში შეინახა. როცა ბალიშებზე გაფატრეს, ვედარ მოითმინა. მიაფურთხა თავის არიულ პატივმოყვარეობას და თვითონვე დაიწყო ძვირფასეულობის ძებნა.

როგორც იქნა, ჩხრეკა დამთავრდა. ბლოკფიურერმა შეჭირვებულად დახედა საათს. დილის ხუთ საათზე პატაკი უნდა ჩაებარებინა რაპორტფიურერისთვის. საიმედო ადგილას ჰქონდა შესანახი ძვირფასეულობათა ნაწილიც. მუნდირსაც ბურტყლისგან გაწმენდა სჭირდებოდა. ხომ ვერ წახვალ უფროსთან გამოტენილი ჯიბეებითა და ბურტყლიანი ფორმით. ფაშისტურ რაიხში ოფიცრის გარეგნულ შესახედაობას, მგონი, ფიურერისადმი ერთგულების დონეზე აფასებდნენ ფიცის დარღვევისა და განძეულობათა მითვისებისთვის კი, რაც გერმანიის სახელმწიფოს „საკუთრებად“ ითვლებოდა, თვით ესესელ ოფიცრსაც არ გადაუსვამდნენ თავზე ხელს უფროსს შეეძლო წამში შემოეხია მისთვის მუნდირი და ჩაეცვა ტუსალის ზოლებიანი ფორმა. გარდა ამისა, ბლოკფიურერს რაც შეიძლება ჩქარა უნდა გაეჭრო ასოცდასამკუპლეტა.

როგორც კი დავინახე, რა სიხარულითაც იჯიბავდა ბლოკფიურერი ნაპოვნ განძეულობას, მივხვდი, რომ ასოცდასამკუპლეტას ბედი გადაწყვეტილი იყო. ბლოკფიურერი არც იმდენად ბრიყვი გახლდათ, რომ მოწმე დაეტოვებინა. დიდხანს ლოდინი არ დაგვეჭირვებია. ესესელები მივარდნენ ბლოკფიურერის ფეხებთან დაცემულ ასოცდასამკუპლეტას და დასცხეს. ლაქიამ ხელები თავზე იტაცა და საზიზღრად აღრიალდა. ესესელებმა მანამდე ურტყეს ნალდარტყმული ჩეკმებით, სანამ არ დარწმუნდნენ, რომ იგი უკვე ვერასოდეს ადგებოდა. მერე დაჩეჩქვილი გვამი ფეხებით ვაათრიეს კამერიდან.

— ალეს ინ ორდუნტ! — საზეიმოდ გამოაცხადა ბლოკფიურერმა, მწყობრს ჩამოუარა და თითი ეაკს დაადო:

— გნიშნავ მამასახლისად. სასწრაფოდ მიალაგეთ აქაურობა. — მან მათ-რახის ტარით ანიშნა გაფატრულ ლეიბებსა და ბალიშებზე. — და საერთოდ, დაიცავით წესრიგი კამერაში! შეასრულეთ ბრძანება!

— იავოლ! — წამოიძახა ახლად გამომცხვარმა მამასახლისმა.

ბლოკფიურერი წავიდა. ჩვენ კი ნანახით ისე ვიყავით შეფრული, დაშლა დაგვაფიწყდა. ფრანგები არ მალავდნენ თავიანთ კმაყოფილებას ვითარების ასე შემობრუნებით. საიუღველი მამასახლისისა და მისი ლაქიის სიკვდილი ყველას უხაროდა, თუმცა ძალზე ცინიკური და გულისამრევი კი იყო მამასახლისის დამქაშის დასჯის სცენა.

ერთ-ერთი ტყვე მოშიახლოვდა, თვალი თვალში გამიყარა და მითხრა:

— ყველაფერი ისე გაკეთდა, წყალი არ გაუვა. ესესელები ოქროს გულისთვის საიჭიოში გაგზავნიან ვისაც გინდა, თვით ფიურერსაც კი. ზუსტი ნაზუსევაარია. ვერაფერს იტყვი...

† ყველაფერი რიგზეა!

მე ხმა არ ამოვიღე, თითქოს მომხდარ ამბავში ჩემი ხელი სულაც არ ერია.

შევუდექით კამერის მილაგებას. ვაგროვებდით ბუმბულსა და ბამბას, ქლორით ვრეცხავდით სკამლოგინებს, კედლებს, იატაკს. ვმუშაობდით ბეჯითად, უხმოდ. ჟაკი მშვიდად, ხმის აუწევლად გვხელმძღვანელებდა. პირველი, რაც მან გააკეთა, ის იყო, რომ ნაგვის ყუთში მოისროდა სკამლოგინების, რომლითაც მამასახლისი და მისი თანაშემწე ტყვეებს სცემდნენ, ეს დეტალი შეუმჩნეველი არ დაგვრჩენია. ყველამ შვებით ამოისუნთქა, ზოგმა გაიღიმა კიდევ, ვინ იცის, იქნებ პირველად ამ ბოლო თვეების მანძილზე, თუ წლებისა არა. იგრძნობოდა, რომ ხალხმა მოიშორა მძიმე, საძულველი ტვირთი, რომელიც მათ აქამდე თრგუნავდა.

არაა საჭირო იყო დიდი ფსიქოლოგი, რომ მიხვდეთ უბრალო ჭეშმარიტებას: მორალურად განადგურებული, ფსიქოლოგიურად გასრესილი კაცი მებრძოლად არ ივარგებს. მისი სულ პატარა საქმისთვის განსაწყობადაც კი აუცილებელია მორალური და ფსიქოლოგიური ტვირთის მოშორება, საკუთარი ძალებისადმი რწმენის შთაბერვა. ორი ნაძირალას სიკვდილს, რომლებიც ნიადაგ სიცოცხლეს უმწარებდნენ ტყვეებს, და კამერაში შექმნილ ახალ ვითარებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საერთო ატმოსფეროს გაჯანსაღებისა და ტყვეთა შეკავშირებისთვის.

იქნებ ზოგიერთს მოეჩვენოს — ორი ფაშისტი ვიგინდარას მოსპობა საკმაოდ წვრილმანი საქმეა და ამდენად ლაპარაკად არ ღირსო. ასე შეიძლება გაიფიქროს მხოლოდ იმან, ვისაც ვერ წარმოუდგენია, რა თავზარდამცემი ატმოსფერო სუფევდა ჰიტლერულ საკონცენტრაციო ბანაკებში. ჰიტლერულ ჯალათებსა და მათ დამქაშებს შორის, ერთის მხრივ, და ტყვეებს შორის, მეორეს მხრივ წამით არ წყდებოდა ვარეგნულად ნაკლებშესამჩნევი, სინამდვილეში კი შეუჩნელებელი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ერთი შეხედვით ყოველი პატარა გამარჯვება, რასაც ტყვეები ძალთა უჩვეულო დაძაბვით აღწევდნენ, ფაშისტ არაკაცთა მხეცობაზე გამარჯვება იყო. რაც მთავარია, ასეთი გამარჯვებები საკუთარი ძალებისადმი რწმენას გვიწერავდა, გვაკავშირებდა და სისხლიან ფაშისტურ რეჟიმთან საბრძოლველად გვიხმობდა.

მეოცე კამერის ტყვეთა ცხოვრება სასიკეთოდ შეიცვალა. ჟაკი მშვიდად და საქმიანად აწყობდა ტყვეებს დილისა და მწუხრის აპელებზე, უპატაკებდა ბლოკფიურერს, ღებულობდა და პატიოსნად ანაწილებდა სალაფავს, ხელმძღვანელობდა კამერის მილაგებას, თვალყურს ადევნებდა წესრიგს და ცდილობდა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, სწული და უკიდურესად დაუძლურებული, წინა მამასახლისისა და მისი ლაქიის მიერ გაწამებული ტყვეებისთვის მდგომარეობა შეემსუბუქებინა. ბევრ უსასოოს აუკიაფდა თვალეში იმედის ნაპერწკალი, გაუჭრა განწირულობის გრძნობა. ჩემს თვალწინ იბადებოდა მეგობრული, შედუღაბებული კოლექტივი. ტყვეები ეხმარებოდნენ ერთმანეთს, ხელს აშველებდნენ ავადმყოფებსა და სუსტებს დილისა თუ მწუხრის შემოწმებებზე სკამლოგინებიდან გადმოსვლისას. კამერას ალაგებდნენ მოხალისეები, რომლებიც ჯერ კიდევ არ დაუძლურებულიყვნენ.

თვალწინსაცემად შეიცვალა ჩემი მდგომარეობაც. ჟაკთან, როგორც მამასახლისთან, ესესელთა სამხარეულოდან დღეში სამჯერ მოჰქონდათ გემრიელი კალორიული საჭმელი, რომელსაც იგი თავის თანამემამულე ქანსა და მეც

გვინაწილებდა. ჩემის მხრივ, ამ საჭმელს მე მაქსიმეს ვუყოფდი, ერთხელ ბლოკფიურერმა უკეს ერთი ბოთლი შნაპსი მოუტანა, რითაც ფრანგმა საკუთარი სურვილით ზურგსა და თითებზე იარები მომბანა, დანარჩენი კი თვითნაკეთი ბანდების საღებზინფექციოდ გამოიყენა. გარდა ამისა, მეძინა, რამდენიც მინდოდა. მალვიძებდნენ მხოლოდ საჭმელად და დილისა და მწუხრის აბელებზე.

სიჭაბუკეს თავისი გაჰქონდა. მე ისევ დამიბრუნდა თითქმის ჩამქრალი სიცოცხლის წყურვილი, ღრმად შემძრა ამ ყურადღებამ და მზრუნველობამ, რომლითაც კამერის ტყვეები მეპყრობოდნენ. ახლა ყველაზე უფრო სხვაგან ვადაყვანის მეშინოდა, რადგან ჩვენი ბანაკი გამანაწილებელი იყო და აქ დიდხანს არავის აჩერებდნენ. ჩემი შიში საფუძვლიანი გამოდგა.

4

კართან მორიგე ტყვემ განგაშის სიგნალი მოგვცა: ბლოკფიურერი! ჩვენ მარდად დავეწყვეთ. ბრძანებას „დაეწყვეთ!“ ახლა გაცილებით ჩქარა ვასრულებდით, ვიდრე „ჯვრის ტუზის“ დროს. არავის არ სურდა ახალი მამასახლისის დაღალატება.

კარი გაიღო და ზღურბლზე აყლაყუდა ბლოკფიურერი აიწოწა. უკმა ტრადიციული „ახტუნგ!“ გამოიძახა და უპატაკა:

— მწყობრშია ოთხმოცდათვრამეტი გეფტლინგი. ვამუშავებთ დაწყობის ხერხებს. მეოცე კამერის მამასახლისი უკე მორელი.

ბლოკფიურერმა კამერაში მიმოიარა და, ეტყობოდა, კმაყოფილი დარჩა, რადგან არც ერთი შენიშვნა არ მოუცია. „გუტ“-ო ჩაიბურღლუნა, უბის წიგნაკი ამოიღო და ნელა ფურცვლას შეუდგა. ყველანი მღელვარე პოლოდინში გავქვავდით.

— დრაიჰუნდერტფიუნფუნდნონციგზიბენუნდცვაინციგ!

გული შემიქანდა. ბლოკფიურერმა ჩემი ნომერი დაასახელა. მაქსიმეს გადავხედე. სახეზე მკვდრის ფერი ედო, ნაცრისფერ თვალებში ბინდი ჩასდგომოდა. ალბათ იფიქრა „ჯვრის ტუზის“ იღუმალი სიკვდილის თაობაზე დასაკითხად მიჰყავთო.

სულიერი ძალთა მოკრებით ხმამაღლა ვუბასუხე „არის!“ და მწყობრიდან გამოვედი.

— რაუს! — ბრძანა ბლოკფიურერმა.

უკანასკნელად მოვაღლე თვალი კამერასა და მის ბინადართ. ისინი თანაგრძნობით შემომცქეროდნენ, თითქოს სასიკვდილოდ მივდიოდი.

— მშვიდობით, ამხანაგებო! — ვამბობ და კამერიდან გავდივარ.

— ახტუნგ! — მთრთოლვარე ხმით იძახის უკე.

ვხვდები, რომ ეს სპეციალურად ჩემთვის ითქვა. ყელში ცხელი ბურთი გამჩრია, ძლივს ვიკავებ ცრემლებს, რომლებიც ეს-ესაა წამსკდება.

გადავაბიჯე თუ არა კამერის ზღურბლს, თავი მარტოსულად და უმწეოდ ვიგრძენი. ბლოკფიურერმა ჩემი თავი მეავტომატეს ჩააბარა და მე ბლოკის გასასვლელისკენ გავემართე. ნაცნობ მოედანზე სამასამდე ტყვე ჩემწყრივბინათ, ტრიბუნის მახლობლად ამალით გარშემორტყმული „მამიკო“ ბოდენ-

შატცი იდგა. ჩანდა, თავის თეფშილოკიებს რაღაც სასაცილოს უყვებოდა, რადგან ისინი ზმამაღლა ხარხარებდნენ. უფროსების დანახვაზე მეთვალყურე მამდენივე პანდური ამომკრა და რიგში შემაგდო. აქ უკვე როხროხა კაპოები ბატონობდნენ.

როგორც იქნა, დაწყობის პროცედურა დამთავრდა. მამდენივე ტყვემ ამას ვერ გაუძლო და ახლა მწყობრის მარცხენა ფლანგზე უსუსულად ეყრდნენ. „მამიკო“ ბოდენშატცი ორი ლაქის დახმარებით ბოგურაზე ძლივს აბობლდა. კოტიტა ხელები ღიაზე გადაიჯვარედინა და თითქოს საზეიმო მომენტს ხაზს უსვამსო, თვალეები მლოცველივით მალლა აღაპყრო:

— ჩემო ძვირფასო პატარებო! მოაწია მწყობრე ყამმა. როგორადაც არ უნდა გვეძნელოს, განშორება გარდუვალია. თქვენ ჩემთან თითქოს ღვთის კალთა გეფარათ. ვიმედოვნებ, არაერთხელ გაიხსენებთ ამ სამოთხეში გატარებულ ბედნიერ დღეებს. მენანება თქვენი გაშვება, მაგრამ მანუგეშებს ის, რომ უფრო ბედნიერი მომავალი გელით. მშვიდობით. მოიწერეთ წერილები.

ბებერმა მასხარამ ცხვირსახოცი ამოიღო და თვალეებზე აიფარა, თითქოს ცრემლებს იწმენდდა. ესესელებმა ერთხმად გადაიბარხარეს.

— იცინეთ, ხვადაგებო, მალე ტირილი მოგიწევთ — ზმამაღლა თქვა ერთმა ტყვემ. ეს იყო უაზრო და თავგანწირული სიტამამე. მისი ბედი, რომ ესესელები ამ დროს ხარხარებდნენ და ეს სიტყვები არ გაუგონიათ.

დაიწყო საბუთებთან ტყვეთა ნომრების შეჯერება. ბანაკის საქმის მწარმოებლები, რომლებსაც ესესელები ადევნებდნენ თვალყურს, სიებითა და სიებს დართული სტანდარტული ბარათებით ხელში დაუყვანენ ტყვეთა რიგებს. ბარათები სქელი კვადრატული ქაღალდისა იყო, დაახლოებით თორმეტი სანტიმეტრი თორმეტზე. ზედ ეწერა ტყვეთა ძირითადი მონაცემები და მათ მიერ გერმანიის სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი „დანაშაულობანი“. ჩემს ბარათზე ქვედა მარცხენა კუთხიდან ზემო მარჯვენა კუთხემდე გავლებული იყო ფართო წითელი ხაზი, რომელზეც შავი საღებავით დაებეჭდათ: „ციურიკ კერენ ისტ უნნერვენგ“¹. ჩემი ნომრის ბარათთან შეჯერებისას გადამწერმა და ესესელმა გაოცებულად და უნდობლად შემათვალიერეს: მათ არ სჯეროდათ, რომ ამ ხელებშეხვეულ, უსახურ ბიჭუნას ბანაკებიდან ამდენჯერ გაქცევა შეეძლო. ესესელმა თავი ვერ შეიკავა და მკითხა:

— ხელებზე რა გჭირს?

— გესტაპოში მანიკიური გამიკეთეს, — მიჯუგე მე.

ოფიცერმა გაიცინა და დამრიგებლურად თქვა:

— ალბათ დაიმსახურე.

— რა თქმა უნდა, დაემსახურე.

პასუხი, მგონი, მოეწონა ოფიცერს, რომელიც ისედაც ჩინებულ გუნებაზე იყო. იგი ერთხანს გაღიმებული შემომცქეროდა, მერე პორტსიგარიდან ორი სიგარეტი ამოიღო და გამომიწოდა:

— აიღე პატოსნებისა და გულახდილობისათვის.

— გმადლობთ, არ ვეწევი.

ოფიცერი უკმაყოფილოდ დაიღრიჯა და სიგარეტები შეინახა.

ესესელებს, რომლებიც ყოველდღე აწამებდნენ და ხოცავდნენ ტყვეებს,

¹ დაბრუნება არასასურველია.

უყვარდათ ზოგჯერ „ზრდილობისა“ და „ჰუმანურობის“ გამოჩენა, მსხვერპლთა წინაშე თავის მოწონება. ისინი მლიქვნელურად ლაყობდნენ იქნებებზე, როგორცაა სინდისი, პატიოსნება, გულწრფელობა, სამართლიანობა და ა. შ. მოგვიანებით, ოსვენციმში, მე მინახავს ბლოკის კედლებზე ზეთის საღებავებით შესრულებული ასობით ღოზუნგი: „პატიოსნება შენი იარაღი იქნება, რომელითაც შენ დაიპყრებ ჯანმრთელობის საწინდარია“, „შრომა მოგანიჭებს თავისუფლებას“, „თვინიერება და გულმოდგინება — აი, რით დაიმსახურებთ პატივისცემას“. და ამ ცინიკურ მლიქვნელობას მიმართავენ სიკვდილის ბანაკში! ეს რა გასაკვირია, როცა გებელსის უწყების პროპაგანდისტები იჭამდნენ მივიდნენ, რომ ჰიტლერელთა საკონცენტრაციო ბანაკებზე ფილმი გადაიღეს, რომელშიც უჩვენეს ჯანსაღი, მსუქანი ტყვეები უხვად გაწყობილ სუფრასთან, თავისუფალ დროს კულტურულად გართობისას. ამ ფილმის გულუბრყვილო მაყურებელს შეიძლებოდა ეფიქრა, რომ ჰიტლერელები მარტო ტყვეთა კეთილდღეობაზე ზრუნვით იყვნენ გართული.

საქმის მწარმოებლებს შემოწმება მოთავეებული არ ჰქონდათ, როცა ბანაკში ათი დახურული სატვირთო მანქანა და ათი ტყვიამფრქვევებით აღჭურვილი ეტლებიანი მოტოციკლი შემოვიდა. მანქანებში შერეკვა დაგვიწყეს. მე ფეხი ავითრიე. ეს ზურგში კონდახის დარტყმად დამიჯდა, მაგრამ ჩემსას მაინც მივალწიე — მანქანაში ერთ-ერთი უკანასკნელთაგანი ავძვერი. ამ ეშმაკობის წყალობით საშუალება მომეცა გზადაგზა მიდამოები შეთვალიერებინა, ქვეყნისთვის თვალი შემეგლო.

— უარეს ადგილას სად წაგვიყვანენ, — თქვა რომელიღაც ტყვემ. საწყალი თავს იმშვიდებდა და სხვებსაც ამხნევებდა იმ გაურკვეველი მომავლის წინაშე, რომელიც იქნებ უფრო საშინელიც იყო.

— უარესი ადგილიც შეიძლება არსებობდეს, — დაარწმუნა ვიღაცამ. მე რე მე ხშირად ვიგონებდი ამ სიტყვებს, თვით ტონსაც კი, რომლითაც ისინი იყო წარმოთქმული...

ცხრა ავტომანქანა სწრაფად დატვირთეს ცოცხალი ტყვეებით, მკვდრები კი ხათბალა გახდა: ისინი ტოტენბლოკებიდან გამოჰქონდათ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ ნომრებს ბარათებს შეუდარებდნენ, ავტომანქანის ძარაზე შეშასავით შტაბელებად აწყობდნენ.

უყურებდი, რა გულდასმით ამოწმებდნენ ესეგლები გვამებს და გაცივებას ვერ ვფარავდი. ჰიტლერელებს ჩალის ფასად უღირდათ ტყვის სიცოცხლე და არცთუ იშვიათად ისე, გასართობად კლავდნენ მას. ეს ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა. ტყვის მოკვლისათვის არც ადმინისტრაცია, არც დაცვა პასუხს არ აგებდა, არავის აინტერესებდა, რატომ მოკლეს კაცი. სამავიეროდ მკვდრების მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ. ჯალათები გვამების გულმოდგინე აღრიცხვას აწარმოებდნენ. ვერაფერს იტყვი, სიკვდილის ბუღალტერია მათ მაღალ დონეზე ჰქონდათ დაყენებული.

როგორც იქნა, მორჩნენ გვამების ტვირთვას. ბადრაგის უფროსმა რაპორტფიურერს ბარათები გამოართვა, ტყავის ჩანთაში ჩაალაგა და დაძვრის ბრძანება გასცა. კოლონა ალაყაფიდან გავიდა და გარკვეული ინტერვალის დაცვით გზატკეცილისკენ გაუხეია.

1. მორგი.

უკანასკნელად გაიღვა ჩემს თვალწინ მისლოვიცის სიკვდილის ბანაკის უანგიანმა მავთულხლართმა, სათვალთვალო კოშკურებმა, საბრჩობელამ, ხის ბარაკებმა და ქვის ბლოკებმა, მათ შორის მეოთხე ბლოკმაც, რომელშიც ჩემი მეგობრები დარჩნენ...

ბანაკი უკან დარჩა. მასზე ფიქრიც არ მინდოდა, ისევე როგორც არ მინდოდა ფიქრი წარსულზე. მეწადა ერთადერთი რამ, რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო ეს მგზავრობა, დაუსრულებლად მესუნთქა ხეთა და ყვა-ვილთა სურნელებით გაჟღენთილი მაცოცხლებელი ჰაერი, რაც შეიძლება დიდხანს დავმტკბარიყავი ბორცვებიანი ტყისპირებისა და ველების ყურებით...

გზის ორივე მხარეს დატალღული დაბლობი გადაჭიმულიყო, რომელიც ასე საოცრად წააგავდა ჩემს საყვარელ უკრაინას. ცრემლებს მგვრიდა ტრამა-ლის ბალახები, აბზინდის ვერცხლისფერი ყლორტები, გორაკზე მდგარი მარ-ტოხე და ხევში ჩაკარგული ხუტორი.

მზად ვიყავი ჩემი დასახიჩრებელი სიცოცხლის დარჩენილი დღეები და-მეთმო მარტო იმისთვის, რომ ამ ლალ ბუნებაში გამეელო, მომეწყინა მარტო-ხის ქვეშ, მომესმინა, როგორ უჩიოდა ხრამში ვიღაცას ცელქი ნაკადული. ან რა კარგი იქნებოდა სურნელოვან ბალახებში გულაღმა წოლა და ზეცის უძი-რო ლაყვარდისთვის საათობით ყურება. იქ შავი წერტილებივით გაქვავებუ-ლან ტრამალის ქორები და დასცქერიან მიწას, თითქოს ეშინიათ მოწყდნენ მას და უკვალოდ გაითქვიფონ უსასრულო ლაყვარდში, რომელსაც არც ბოლო დააჩნია, არც დასასრული...





რომანი

გერმანულიდან თარგმნა ოთარ ხუციშვილმა

Il mal seme d'Adamo. Dante. Inferno¹.

იმავე დღეს მოწიწებით შეძრწუნებულმა სამყარომ გაიგო მისი სიკვდილის ამბავი.

თომას მანი: „სიკვდილი ვინეციაში“.

ოცო დრო, როცა ამ ქალაქში ღმერთები ცხოვრობდნენ. ახლა რაფაელი, ეს ჯერაც ისევ ნახევრად ღმერთი, აპოლონის ნე-ბიერი, პანთეონში განისვენებს, მაგრამ რაოდენ უბადრუკნი არიან ისინი, ვინც შემდგომ მის გვერდით დაასაფლავეს — ჭილაკ კარდინალი, ვისი დამსახურებაც აღარავის ახსოვს, რამდენიმე მეფე, სიბრძავეთ დაღდასმული მათი გენერლები, კარიერის კიბის თავში ასული მოხელეები, სწავლულები, რომლებმაც იმდენი მოახერხეს, ენციკლოპედიებში მოხვდნენ, აკადემიკოსის წოდებით დამშვენებული მხატვრები. მერედა ვინღა იხსენებს მათ? მოგზაურები გაოცებულნი დგანან ანტიკურ თაღებქვეშ და შეცბუნებულნი აპყურებენ ერთადერთი ფანჯრიდან, ოდესღაც ბრინჯაოს აგურით მოგებული გუმბათის მრგვალი ხვრელიდან შემოჭრილ სინათლეს, რომელიც ზემოდან ეღვრებათ. ოქროს წვიმა ხომ არ არის ეს? „კუკუს“ სააგენტოსა და იტალიურ ტურისტულ ბიუროს დანაე ნებას რთავს მოინახულონ, მაგრამ ამით თვითონ არავეითარ სიამოვნებას არ განიცდიან. ამიტომ არც კაბას იწვევს, რომ ღმერთი მიიღოს. პერსევსი არ დაიბადება. მედუზა თავს ინარჩუნებს და მეშინაურ ცხოვრებას ეძლევა. იუპიტერი რაღას შვრება? ღარიბულ პენსიაზე გადაყვანილმა იქნებ ჩვენ შორის, მოკვდავთა შორის დაიდო ბინა? ან იქნებ იგი კომპანია „ამერიკენ ექსპრესის“ წარმომადგენელი ის მოხუცი ბატონია, გერმანია — ევროპის სამოგზაურო ბიუროს რომ ხელმძღვანელობს? ვინ იცის, ეგებ სულით ავადმყოფთა სახლის კედლებს იქითაა გამოკეტილი ქალაქის განაპირა უბანში და ცნობისმოყვარე ფსიქიატრების დაკვირვების ობიექტად იქცა, ანდა იქნებ სახელმწიფო საპატიმროშიც უკრეს თავი? კაპიტოლიუმის ბორცვზე ერთი ძუ მგელი გალიაში შეამწყვდიეს, იგი ავადაა და განწირულია და იმის ჯავრი აღარ აქვს, რომულუსა და რემუსს ძუძუ აწოვოს. პანთეონის სინათლეში ტურისტების სახეები ცომისას ჰგავს. რომელი ხაბაზი მოხელავს მას, რომელი ღუმელი გამოაცხობს?

ყალბად ეღერდა მუსიკა და გულს აღარ უჩქროლებდა, თითქმის უსიამოვნოც კი გამხდარიყო მიათვის. მსგავსად საკუთარი ხმისა, რომელსაც მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერილ პირველად ისმენ ზნამაღლამოლაპარაკიდან და ფიქრობ, აი თურმე როგორი ვყოფილვარ — ქედმაღალი პრანჭია, კოუჩენტელა, თვალთმაქცი და პატივმოყვარე ქარაფშუტაო. უპირველესად ჩაჩქმანდა ჩიოლინოები ეღერდნენ ყალბად — მეტისმეტად წარმტაც ხმებს უკეთესს უკეთესს. ასეთი არ არის ხეთა შორის შეჭრილი გახვლებული ქარის ხმა, არც საუბარი, ბავშვები რომ სადამო ხანს დემონს უმართავენ, ასეთი არ არის მიწიერი ყოფის წინაშე შიში, არ არის ესოდენ ზომიერი, სულაც არ არის ესოდენ მოწესრიგებული, იგი გაწამებს, გულს ვიფორიაქებს, ეს უძველესი შიში, როგორც კი თვალს მოჰკრავ ტყის სიმწვანეს, ცია უკიდევანო სივრცეს. მსრბოლავ ღრუბლებს. ეს უნდა გამოეთქვა მუსიკით ზიგფრიდს, მაგრამ ოდნავადაც ვერ მოაზერხა და რაკი საამისოდ ძალ-ღონე არ ეყო, ახლა თავი უსუსურად და განწირულად მიანდა. სიამოვნებით ატირდებოდა, მაგრამ კიურენბერგი კარგ ხასიათზე იყო და სიმფონიას აქებდა. ზიგფრიდი აღტაცებული იყო კიურენბერგით იმით, რომ იგი ნოტებს ემორჩილებოდა და ამივე დროს დირიჟორის ჯონით სულსაც უდგამდა მათ, მაგრამ იყო წუთები, როცა ზიგფრიდი თავს ისე გრძნობდა, თითქოს კიურენბერგი მის მიმართ ძალდატანებას მიმართავდა. ასეთ დროს ზიგფრიდი ბრახობდა, რადგან თავს არ იცაუდა. ვერ ახერხებდა თავის დაცვას: კიურენბერგმა ესოდენ ბეერი რამ იცოდა, ხოლო ზიგფრიდმა ცოტა ისწავლა და თეორიაში მასთან რას მოვიდოდა. კიურენბერგი თითქოს უთოთი ასწორებდა, ანაწილებდა, მკაფიოდ გამოჰყოფდა ზიგფრიდის პარტიტურას, და ის, რაც ზიგფრიდისათვის მტკიცეული შეგრძნება, რალაც ეღერადობის ძიება, რომელიდაც ბალის მოგონება, ჯერ კიდევ დაბადებამდე საგანთა ჭეშმარიტებასთან მიახლოება იყო, რაც კი შეიძლებოდა არაადამიანური ყოფილიყო — ეს ყველაფერი კიურენბერგის დირიჟორული ხელით ჩდებოდა პუშანური და გამჰვირვალე, იქცეოდა მუსიკად, რომელსაც განათლებული მსმენელი სჭირდებოდა, მაგრამ ეს მუსიკა ზიგფრიდს უცხოდ და სასოწარმკვეთად ესმოდა, რადგან კიურენბერგის მიერ დაურვებული გრძნობა პარმონიისკენ მიისწრაფოდა და ზიგფრიდსაც სწორედ ეს აშფოთებდა. ბოლოს მასშიც არტისტმა გაიღვიძა და სიხარულით აღიქვა ინსტრუმენტების ზუსტი და ფაქიზი ეღერადობა, ის გულმოდგინება, რომლითაც სახელგანთქმული ორკესტრის ასი მუსიკოსი მის ნაწარმოებს ასრულებდა.

ღარბაზის მწვანედშეღებულ კასრებში დაფნები იდგა, ვინ იცის, იქნებ ოლეანდრებიც იყო. ასეთივე მცენარეები იდგა კრემატორიუმებში და გაზაფხულშიც ზამთრის ცივი დღეების მოგონებას იწვევდა. „ვარიაციები ოლეანდრების სიკვდილისა და ფერის თემაზე“ — ასე უწოდა ზიგფრიდმა თავის პირველ მოზრდილ ნაწარმოებს, სეპტეტს, რომელიც არ შესრულებულა. ამ ნაწარმოების პირველ ვარიანტზე მუშაობისას ზიგფრიდს თვალწინ ედგა დიდება, რომელიც ოჯახის ერთადერთი წევრი იყო, მას რომ უყვარდა, ალბათ იმიტომ, რომ ასე უჩუმრად და ასე შეუცნობელი წავიდა მისი მშობლების ხმაურიანი სახლიდან, სადაც ხალხი გამუდმებით იყრიდა თავს და სალაშქრო ჩექმების ბრაგაბრუვი ისმოდა. მერედა რა საზეიმოდ და ნაღვლიანად ჩაიარა მისმა კრემაციამ! დიდდამისი პასტორის ქვრივი იყო და რომ შეძლებოდა ენახა, რაოდენ მაღალტექნიკურად და კომფორტით, რაოდენ ჰიგიენურად და მარჯვედ,

რა გულცივად და მალაღმარდოვანი ქადაგებით გაისტუმრეს ამა ქვეყნიდან, ალბათ სულაც არ მოეწონებოდა ეს პროცედურა. იქნებ არც გერმანულ ქალთა კავშირის მიერ გამოგზავნილი გვირგვინი და სეასტიკიანი მყვარალა ბაიბა მოსწონებოდა, თუმცაღა სიცოცხლეში მათი საწინააღმდეგო არასოდეს არაფერი წამოსცდენია, მაგრამ სექტეტის მეორე ვარიანტში თავის შემტყუპ ნიშნულუმენტით ზიგფრიდმა მოიწადინა გამოეხატა რაღაც ზოგადი, ნიშნულუმენტით, გამოეხატა იდუმალი წინააღმდეგობა, მოციმციმე, ჩაბშული, რომანტიკული და ცვალებადი შეგრძნებანი, და მისი სიჯიუტის გამომხატველი მუსიკალური ფრაზები თითქოს ჭაბუკი მებრძოლის ვარდებით მოფენილ მარმარილოს ტორსს წააგაედა ანდა იარაღის საწყობის ცეცხლმოკიდებულ ნანგრევებში მოხვედრილ პერმაფროდიტის ტორსს. ამით გამოხატავდა ზიგფრიდი პროტესტს თავისი გარემოს მიმართ — სამხედრო ტყვეთა ბანაკების, ეკლიანი მავთულხლართების, თვისტომთა გამაბეზრებელი უბედობისა და ომის წინააღმდეგ, რომლის წამოწყებას იგი თავის მშობლებსა და მათ მსგავსთ აწერდა, და ბედისწერაატანილი და ეშმაკისკერძად ქცეული სამშობლოს წინააღმდეგ. ზიგფრიდს სურდა ისინი ყველანი გაებრაზებინა და წინათ თავის ქვეყანაში ცნობილ დირიჟორ კიურენბერგს სთხოვა, — რომელიც ახლა ინგლისური გაზეთის ცნობით ედინბურგში იყო, — თორმეტტონიანი² მუსიკის ნიმუშები გამოგიგზავნეთ. ზიგფრიდის ყმაწვილობისას მის სამშობლოში კომპოზიციის ეს ხერხი არასასურველად იყო მიჩნეული, ხოლო თვითონ თუნდაც იმის გამო იზიდავდა, რომ იგი დაგმეს ამა ქვეყნის ძლიერებმა, საქულველმა სამხედრო ხელმძღვანელობამ და მრისხანე ძია იუდეიანმა, ამ ძღვევამოსილმა კაცმა, რომლის საზარელ ფორმაში გადაღებული პირქუში პორტრეტი საქულველი მამის საწერი მაგიდის თავზე ეკიდა; კიურენბერგმა ზიგფრიდს ბანაკში შოენბერგისა³ და ვებერნის⁴ თბზულებები და გულთბილი წერილი გამოუგზავნა. ასე მიიღო ზიგფრიდმა „უნივერსალ ედისიონის“ ძველი ნოტების რვეულები, რომლებიც იმდენად ადრე იყო გამოცემული, რომ ზიგფრიდს არ შეეძლო ისინი ენახა, ხოლო ავსტრიის გერმანიასთან შეერთების შემდგომ უკვე აკრძალული იყო. ამ მუსიკამ ზიგფრიდის წინაშე ახალი სამყარო გადაშალა, ის იყო ჭიშკარი, რომლის საშუალებითაც შეეძლო გალიიდან თავი დაეხსნა, თანაც არა მხოლოდ სამხედრო ტყვეთა ეკლიანი მავთულით შემოკავებულ გალიიდან. არამედ კიდევ უფრო სულის შემხუთველი მარწუხებიდან, და მას შემდეგ აღარც შეუვია თავი იმ უღელში, როგორც თვითონ უწოდებდა, — ომი ხომ უკვე წაგებულ იყო, ამიტომ სხვა თუ არაფერი, განთავისუფლდა მაინც და იძულებული აღარ ხდებოდა ქედი მოედრიკა წეს-ჩვეულებების წინაშე თავისი ოჯახისა, რომლის შეილობა მუდამ შემზარავ უბედურებად მიაჩნდა.

დარბაზში შემოტანილი მცენარეები თითქოს მტვრიანი ჩანდა. იქნებ დაფნები იყო, რადგან მათი ფოთლები იმ გამხმარ ფოთლებს წააგაჟდა, წვნიანში რომ დასველებულა, მაგრამ მოუხარშავი დარჩენილა და ახლა აქეთ-იქით დაცურავს. ეს მცენარეები გულს უღონებდნენ ზიგფრიდს, მას კი რომში არ სურდა ხასიათწამხდარი ყოფილიყო. არადა დაფნები მეტისმეტად მკაფიოდ ახსენებდა ერთი თავი კერძისაგან შემდგარ სადილს⁵ ნაცისტურ სკოლაში, სადაც მამამ იუდეიანის მითითებით ვაგზავნა, ახსენებდა სამხედრო ულუფასა და ვერმახტს, რომელსაც სკოლიდან გაქცეულმა ზიგფრიდმა შეაფარა თავი. ნაცისტური პარტიის იუნკერთა სკოლაშიც მწვანედ ღაღანებდა დაფნის ფოთ-

უყრიათ თავი და ასობითვე შიმშილობენ, ისინი ავხორცები, სისხლისმსმელები არიან, მაკეველებიან, ავადდებიან, იხოცებიან და ისე არიან დაცემულები, მხოლოდ კატებს რომ შეუძლიათ დაეცნენ. ერთი გოგირდისფერი ხვადი კატა, მოკლებეწვა და ძლიერთავიანი, გაავებული უფროსობს სხვა სუსტ კატებს. თათს ურტყამს, მბრძანებლობს, სხვისას ითვისებს. თავზე ძალაუფლებებისათვის ბრძოლების ნაჭრილობევეები აჩნევია, ყური ჩამოხევია. ეს ბრძოლა მან წააგო. ბეწვს ქეცი მოსდებია. ბავშვები ამ კატას ალერსით „ბენიტოს“¹⁰ უწოდებენ.

ალუმინის მაგიდას ვუჯექი, ალუმინის სკამზე, და ისეთ სიმსუბუქეს ვგრძნობდი, თითქოს სადაც იყო ქარი წამიღებდა. ბედნიერი ვიყავი, ყოველ შემთხვევაში თავს ვირწმუნებდი, რომ ასე იყო, მე ხომ რომში ვიყავი, რომში, რომში, ვიჯექი როტონდის მოედნის კუთხეში ბარ „ესპრესოს“ წინ და არაყს ვწრუპავდი. არაყიც მსუბუქი იყო, აქროლადი, ლითონის გემო დაჰკრავდა, თითქოს ალუმინისაგან გამოეხადოთ. ეს გრაპა იყო და მე ვსვამდი მას, რადგან ჰემინგუეისთან წამიკითხავს, იტალიაში გრაპა უნდა სვავო. მსურდა მხიარულად ვყოფილიყავი, მაგრამ ვერ ვიყავი. რაღაც მაწუხებდა. იქნებ იმ ბედკრული კატების ხროვა? არავის უყვარს სილატაკის ცქერა, აქ კი პფენიგებით თავს ვერ დაიხსნი. ასეთ შემთხვევებში საერთოდ არ ვიცი, როგორ მოვიქცე. სხვა მხარეს ვიხედები. ასე სჩადიან მრავლის უმრავლესნი, მაგრამ მე ეს მაწუხებს. ჰემინგუეის, ეტყობა, არაყისა არა გაეგება რა. გრაპას რაღაც ნარევი, მძალე გემო დაჰკრავს. ასეთი გემო ჰქონდა ინფლაციის წლებში გერმანიის შავ ბაზარზე ნაყიდ არაყს. ერთხელ ლენბახის¹¹ სურათი ათ ბოთლ ამგვარ არაყში გაფცვალე. ეს იყო ბისმარკის პორტრეტის ეტიუდი, იგი ყალბმა ამერიკელმა — ამერიკულ მუნდირში გამოწკეპილმა კუბელმა შეიძინა. არაყი ტექნიკური სპირტიდან იყო გამოხდილი, რომელსაც რაკეტა V-2-ის საწვავად იყენებდნენ. ამ რაკეტით სურდათ ლონდონის დანგრევა. დასტვენა მოგინდებოდა, მას რომ დაღევდი, მაგრამ ნუ გენადვლება, ლენბახიც ყალბი იყო. ახლა გერმანიაში „ეკონომიკური სასწაულია“¹² და არაყიც კარგი გვაქვს. იტალიელებსაც აქვთ კარგი არაყი, თუმცაღა „ეკონომიკური სასწაული“ რაღაც არ უჩანთ. მოედანს ვათვალიერებდი, აქ სახელმწიფოს თვალს უხვევდნენ. ახალგაზრდა ქალი ჭუჭყიან წინსაფარში გამოხვეული ამერიკული სიგარეტებით ვაჭრობდა. კვლავ კატები გამახსენდა. ეს ქალი იმ საბრალო არსებების ადამიანური და იყო — შემოფლეთილი, თმაგაწეწილი, დაღუდუდებული. გაუბედურებულიყო და წამხდარიყო. მისი მოდგმაც ძალზე გამრავლებულა და ავხორცობასა და შიმშილს წაუხდენია, ახლა იმის იმედი აქვს, როგორმე მეწვრილმანეობით გავმდიდრდებიო. ქალი მზად იყო ოქროს კერპზე ელოცა, თუმცა არ ვიცი, შეისმენდა კი იგი რაიმეს? უცბად გულში გამიელვა, შეიძლება ეს ქალი მოკლანმეთქი. წარმოვიდგინე იგი დახრჩობილი, ის კი ამ დროს თავის თავს ალბათ რესპექტაბელურ კიოსკში ჩამდგარ ალლოიან საქმოსნად, სამდვილ სინიორად ხედავდა. მოედანზე ოქროს კერპმა იმდენი სიკეთე გამოიჩინა, რომ ქალს მოწყალედ გაუღიმა. ეტყობა, მას აქ კარგად იცნობენ. ტივტივასავით მოჩანს ტრანსპორტის ამ გაცხარებულ ნაკადში, ხოლო პატარა მარდი ფიატები მარჯვედ და გაბედულად მიჰქრიან მისკენ. რა ძალიან ღრჭიალებენ მუხრუჭები! მძლოლებს, მოხდენილ მამაკაცებს, თმა აქვთ დახვეული, ტალღა-ტალღა დაწ-

ყობილი, სახეზე კრემით წაუსვამთ, ფრჩხილები დაუქნიათ და ლაქით შეუღებავთ; ისინი ქალს ფანჯრიდან ფულს აწვდიან, იღებენ თავიანთ წილ სიგარეტის კოლოფს და პატარა ფიატი ისევ გარბის სხვა საქმეზე, და ახლა სხვა სერხით ჯიუტად ცდილობს სახელმწიფოს წაგლიჯოს ის, რაც უკრძალავს. იგი მოიარა კომუნისტების ახალგაზრდული ფედერაციის წევრმა ქალიშვილმა. იგი ლურჯი სპორტული ქურთუკითა და ხასხასა წითელი ჰალსტუხით ვიცანი. რა ამაყი სახე აქვს! „რად ხარ ასე ქედმაღალი, ქალიშვილო? — ვფიქრობ ჩემთვის, — შენ უარყოფ ყველაფერს, უარყოფ მოხუც ქალს, რომელსაც კატები-სათვის მიაქვს საჭმელი, და საერთოდ, თანაგრძნობასაც უარყოფ“. ერთ ჭიშკარში ვიღაც ბიჭი შეყუჟულა, წვირიანი, თითქოს ქონით არისო გაზინთული. ის სიგარეტის გამყიდველი ქალის მეგობარია, მის მეურვეობაში მყოფი, თუ მისი მეურვე. ვინ იცის, იქნებ მისი შეფიცაა, სერიოზული საქმოსანი, რომელსაც საქონლის გასაღების საზრუნავი გასჩენია, ყოველ შემთხვევაში, მგონი, სწორედ ის ეშმაკია, რომელთანაც ბედმა ეს ქალი დააკაჭმირა. დროგამოშვებით ისინი თითქოს შემთხვევით ხვდებიან ერთმანეთს მოედანზე. ქალი აღებულ ჭუჭყიან ლირებს გადასცემს ვაჟს, ვაჟი — ახალ, ცელოფანში სუფთად გახვეულ სიგარეტის კოლოფებს. შორიახლოს ელვგანტურ მუნდირში გამოწყობილი კარაბინერი ისე დგას, თითქოს საკუთარი თავის ძეგლიაო და მძულვარებითა და მოწყენით გასცქერის პანთეონს. ფიქრს განვაგრძობ: „შენ და აი ის პატარა ქალიშვილი — კომუნისტური ფედერაციის წევრი დიდებული წყვილი იქნებით, მაშინ კატებიც სახელმწიფო საკუთრებად იქცევიან, მათი გულშემატკივარი მოხუცი ქალიც სახელმწიფოს დავრდომილთა თავშესაფარში გარდაიცვლება, თევზის თავებიც სახალხო ქონებად გამოცხადდება, და საერთოდ, ყველაფერი ჩინებულად მოწყესრიგდება“. მაგრამ ჯერ ისევ სუფევს უწყესრიგობა და ხდება სენსაციები. გაზეთის გამყიდველები ჩაბრინწული ხმით დაჟინებით გაჰკივიან საღამოს გაზეთების სახელწოდებებს. გაზეთის გამყიდველებით ყოველთვის აღტაცებული ვიყავი — ისინი დანაშაულის, უბედური შემთხვევების, სკანდალებისა და ეროვნული მღელვარების პანეგირისტები და რაფსოდები არიან მუდამ. ინდოჩინეთის ჯუნგლებში თეთრი სიმაგრე დაცემის პირად იყო მისული. თურმე იმ დღეებში მშვიდობის საქმე სასწორზე იდო, ჩვენ კი ბაიბურში არ ვიყავით. მოსალოდნელი დაღუპვის შესახებ გაცილებით გვიანლა შევიტყვეთ, თანაც იმ გაზეთებიდან, რომლებიც ჯერ არც იყო დასაბეჭდად გაგზავნილი. ვისაც შეეძლო, კარგად ჰამდა. ჩვენ ვსვამდით ყავას, ვსვამდით არაყს, ვშრომობდით, რომ შემდეგ ფული გვეხარჯა და, როცა ვახერხებდით, ერთად გვეძინა. მამაკაცებისათვის რომი საოცარი ქალაქია. მე მაინტერესებდა მუსიკა და როგორც ჩანდა, რომში იყვნენ ისეთებიც, ვისაც ჩემსავით ახალი მუსიკა აინტერესებდა. მრავალი ქვეყნიდან ჩამოვიდნენ კონკურსზე ძველ დედაქალაქში, აზიიდან? აზია შორს იყო. აზიამდე ათი საფრენი საათია, თანაც პოკუსაის“ ტალღასავით“¹³ შემზარავია და დიდი. ეს ტალღა ახლოვდებოდა. იგი ლოკავდა ოსტიას¹⁴ ნაპირებს, სადაც ახალგაზრდა გოგონას გვამი იპოვეს. საბრალო მიცვალებულმა აჩრდილივით გაიარა რომ ის ქუჩებში და მისმა ცვილისფერმა სახემ მინისტრები შეაშფოთა, მაგრამ მათ ყველაფერი ერთხელ კიდევ თავიანთ სასარგებლოდ მოაგვარეს. ტალღა კონცხ ანტიბის კლდეს უახლოვდებოდა. „Bon soir, monsieur Aga Klan!“¹⁵ ნუთუ გავბედავ და ვიტყვი, ეს მე არ მეხება-მეთქი? ბანკში ანგარიში არ მაქვს

გახსნილი, ოქრო მე არ მაქვს და ძვირფასი თვლები, არაფერი მე არ მალღვებს, თავისუფალი ვარ სრულიად. დოღის ცხენების გამო არ ვჭეხვარ და არც კინომსახიობი ქალების გამო. ჩემი სახელი და გვარია ზიგფრიდ პფაფრატი. ვიცი, სასაცილო გვარია, მაგრამ ამაზე სასაცილო სხვაც ბევრი რამეა. რატომ მძულს ჩემი გვარი ასე ძალიან, მე ხომ არ შემირჩევია? სწამს, რომ და მოურიდებლად ვერევი სხვის ლაპარაკში, მაგრამ მრცხვენია, თავს ისე ვაჩვენებ, თითქოს არაფერს ვცემდე პატივს, ძალზე კი მსურდა რაიმეს ან ვინმეს პატივისცემა შემძლებოდა. კომპოზიტორი ვარ, მაგრამ თუ ფართო მსმენელისთვის არ წერე, ეს ხელობა ჩემი გვარივით სასაცილო იქნება. ამრიგად, ზიგფრიდ პფაფრატის გვარი გამოჩნდა საკონცერტო პროგრამების აფიშებზე, რატომ ფსევდონიმს არ ვირჩევ? არ ვიცი. ნუთუ ამ საძულველ გვარსა ვარ მიჯაჭვული და ასეც ვიქნები? ნუთუ ჩემს მოდგმას ვერა ვლალატობ?.. და მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი, რაც კი ამქვეყნად ხდება, რაზეც კი ადამიანები ფიქრობენ, ოცნებობენ, რაც ფუჭდება თუ კეთდება, თვით უხილავი თუ მოუხელთებელი რამეც კი, მე მეხება და მე მეცახის.

დიდი, შავად გალაქული, სარკისებრ კრიალა, გაუმჭვირვალ შუშებიანი ავტომანქანა, ეს უკუნეთისფრად მბზინავი კუბო, უჩუმრად ჩამოდგა პანთონის წინ. მანქანა საელჩოსას ჰგავდა, შიგ შეიძლება ფუმფულა ბალიშებზე პლუტონის დესპანი, ჯოჯოხეთის ან მარსის მინისტრი განისვენებს. ზიგფრიდმა, რომელიც მოედანზე არაყს წრუპავდა და თავის საფიქრალს ფიქრობდა, შეამჩნია ეს ამბავი, მაინცდამაინც დიდი შესამჩნევი რომ არაფერი სჭირდა, და ნომრის ფარზე არაბული ასოები მოხვდა თვალში. ნეტავ ვინ იყო იგი, „ათას ერთი ღამის“ პრინცი, თუ რომელიღაც ტახტიდან გადმოგდებული მეფე? სამხედრო ფორმის მაგვარ ლივრეაში გამოწყობილი შავ-შავი მძლავრი მკვირცხლად გადმოხტა, ავტომანქანის მეორე კარი აჩქარებით გამოაღო და იქიდან გადმოსული, თავისუფალ ტანზე ლალადმდგარ ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილი მამაკაცის უკან ბრძანების მოლოდინში ადიუტანტივით გაიჭიმა. ინგლისური ფლანელის კოსტიუმს კარგი მკერავის ხელი ეტყობოდა, მაგრამ სრული მამაკაცის სხეულზე მთიელი გლეხის შინნაქსოვი ქალისას მოგაგონებდათ. მხრები განიერი ჰქონდა, კეფა ძალუმი, მკერდი ამობურცული, ბარძაყები კუნძივით, მუცელი კი მოკრივეს ბურთივით მომრგვალებული, მოქნილი და დაჭიმული: კაცს მოკლედ შეკრეჭილი შეჭალარავებული, ჯაგარივით თმა ჰქონდა, დიდი შავი სათვალე გლეხის გარეგნობისას არაფერს უტოვებდა, პირიქით რაღაც იდუმალ იერს ანიჭებდა, შორიდან ჩამოსულ დიპლომატიური კორპუსის წევრს ან დევნისაგან მარჯვედ თავდალწეულ ლტოლვილს წააგავდა. ოდისევისი ხომ არ იყო, რომელსაც ღმერთების ნახვა მოსდომებია? არა, ოდისევისი არ იყო, ითაკეს ცბიერი მეფე. ეს კაცი ჯალათი გახლდათ. მიცვალებულთა სამყაროდან მოვიდა იგი, სუნიც გვამისა ასდიოდა, თვითონაც სიკვდილი იყო, უღმობელი, უხეში, უხამსი უნიჭო სიკვდილი. ცამეტი წელიწადი გასულიყო, ზიგფრიდი აღარ შეხვედროდა ბიძამის იუდეიანს, ბავშვობაში რომ ესოდენ აშინებდა. ხშირად დაუსჯიათ ზიგფრიდი იმის გამო, რომ იუდეიანს ემალებოდა და ბოლოს ბიჭმა ძია გოტლიბი მიიჩნია ყოველივე იმის განსახიერებად, რისაც ეშინოდა და რაიც სძულდა, მიიჩნია სიმბოლოდ ყოველივე

იძულებითისა, მობილიზაციისა, არმიისა, ომისა და ხანდახან ახლაც ეგონა, თითქოს კვლავ ესმოდა ამ ჯიუტი კაცის ღრიალი და ლანძღვა, სახე კი ოდნავდა ახსოვდა ამ ძლიერი ტრიბუნისა, რომლისაც მთელ ქვეყანაში ყველას ეშინოდა და რომლის უამრავი პორტრეტი აღბეჭდილი იყო გზატკეცილებში, გაეკრათ აფიშების სვეტებზე, სკოლის კედლებზე, თითქოს ზამთრის სანთელი ყოფილიყო, საზარელ აჩრდილად გაიელვებდა ხოლმე კინოეკრანებზე და ყველგან ძლიერი თავი ბოროტად ჰქონდა დახრილი, ყველგან ერთნაირ, მეტად სადა და მომაბეზრებელ პარტიულ ფორმასა და ბრტყელცხვირიან სალაშქრო ჩექმებში იყო გამოწყობილი. ამიტომ ზიგფრიდმა, — რომელიც უკვე ზიარებოდა თავისუფლებას, ახლა ერთ-ერთი ბარის წინ იჯდა, ჰემინგუეისებურად გრავას სვამდა და თავის სიმფონიასა და რომის მოედანზე ფიქრობდა, — გოტლიბ იუდეიანი ვერ იცნო, ვერც კი წარმოიდგენდა, თუ ეს ურჩხული მკვდრეთით აღდგომას დააპირებდა და რომში გამოჩნდებოდა. ზიგფრიდმა მხოლოდ წამით შეავლო თვალი და თავისდაუნებლიედ შეზარა ამ ვიღაც ბრგე, როგორც ეტყობოდა, შეძლებული, გავლენიანი და უსიამოვნო უცხოელის დანახვამ, რომელმაც კატა ბენიტოს მოუხმო, მერე ქეჩოში ხელი ჩაავლო და თავის მდიდრულ ავტომანქანაში შეაგდო, რასაც ბავშვების ყვილ-ხივილი მოჰყვა, მძლოლი ერთ წამს სარივით გაიჭიმა, მერე კი იუდეიანსა და ბენიტოს კარი მოკრძალებით მიუკეტა. დიდი შავი ავტომანქანა მოედანზე უხმაუროდ გასრიალდა და ზიგფრიდს თვალში მოხვდა საღამოს მზის სხივებით ფარზე ალაპლაპებული არაბული ასოები, მერე მზეს ღრუბელი ჩამოეფარა, მანქანა კი უცბად, თითქოს მტკვრსა და კვამლში გაიტყვიფათ, თვალს მიეფარა.

კიურენბერგმა თავისი ცოლი ილზე რეპეტიციასზე მიიწვია. იგი ახლა დარბაზის ბოლო რიგში ერთ-ერთ მწვანე კასრში ჩარგულ ხესთან მიმჯდარიყო და სიმფონიას ზიგფრიდის შეუმჩნეველად უსმენდა, რამდენადაც შუქი მხოლოდ ორკესტრს ანათებდა. სიმფონია ქალს არ მოეწონა. მას ესმოდა დისონანსები, ურთიერთ მტრულად შეხლილი, არაპარმონიული ბგერები და გრძნობდა, რომ ეს იყო მიზანმოკლებული ძიება, უიმედო ექსპერიმენტი, რადგან ავტორი სხვადასხვა გზას ირჩევდა და ისევ თავს ანებებდა, არც ერთი აზრი არ იყო ბოლომდე გამოკვეთილი, ყველაფერი თავიდანვე უსუსური ჩანდა, ეჭვებით აღსავსე და განწირულებით დაღდასმული. ეს მუსიკა იმ კაცის დაწერილია, ვინც თვითონვე არ იცის რა სურსო, — ფიქრობდა ილზე. იქნებ ავტორი იმიტომ იყო ასე განწირული, რომ გამოსავალს ვერსად ხედავდა, ან იქნებ მისთვის გამოსავალი არც არსებობდა, რადგან იგი ყოველ ბილიკს თავისივე განწირულების ბინდში ძირავდა და ამით გაუვალს ხდიდა? კიურენბერგი ბევრს ელაპარაკა ილზეს ზიგფრიდის შესახებ, მაგრამ ქალი პირადად ჯერ არ იცნობდა და აქამდე მის მიმართ გულგრილი იყო. ახლა ზიგფრიდის მუსიკამ შეაშფოთა, ილზეს კი არ სურდა შეშფოთებულიყო. მის მუსიკაში ეღერდა რაღაც ისეთი, რაც ქალს წუხილს ჰგვრიდა. მაგრამ მთელი სიცოცხლის მანძილზე ილზემ კარგად გაიგო, რომ ჯობდა ტანჯვასა და მწუხარებას გაქცეოდა. ტანჯვა არ სურდა. არა, აღარ სურდა. საკმაოდ იტანჯა. მათხოვრებს გაუმართლებლად დიდძალ ფულს სჩუქნიდა, მაგრამ ერთი სიტყვითაც არ ეკითხებოდა, რად მათხოვრობთო. კიურენბერგს მსოფლიოს ყოველ კუთხეში, ნიუ-იორკშიც, სიდნეიშიც უფრო მეტი გასამრჯელოს მიღება შეეძლო; როცა კიურენბერგი რომის კონკურ-

სისათვის ზიგფრიდის სიმფონიის მომზადებას შეუდგა, იღზეს ქმრისათვის დაუშლია, ამჟამად კი ნანობდა, რადგან დირიჟორს როგორღაც დანაწევრებულ, უიმედო ნაწარმოებზე უნდა ემუშავა, რომელიც თავისი სრულიშვილით ურცხვი, აშკარად მიუღებელი სასოწარკვეთილების გამოხატულებას წარმოადგენდა.

რეპეტიციის შემდეგ კიურენბერგები სასადილოდ წავიდნენ ქვემოთ უყვარდათ, ზევს ჭამდნენ, ხშირად და გემრიელად. საბედნიეროდ! ზუსტად არ ეტყობოდათ. უხვსა და გემრიელ საჭმელს კარგად იტანდნენ; პროპორციები არც ერთს არ ჰქონდა დარღვეული, ფერ-ხორციით იყვნენ სავსე, მაგრამ მსუქნები არ ეთქმოდათ, თითქოს ნაპატივები ცხოველები არიანო, ერთმანეთსაც ძალიან უხდებოდნენ. რაკი იღზე დუმდა, კიურენბერგი მიხვდა, სიმფონია არ მოსწონებიაო. ძნელია შეედავო ადამიანს, რომელიც არაფერს ამბობს და ბოლოს კიურენბერგი ზიგფრიდის ქებას შეუდგა, ახლებს შორის იგი ყველაზე ნიჭიერიაო. კიურენბერგმა ამ საღამოს ზიგფრიდი შინ მიიწვია, მაგრამ ახლა აღარ იცოდა, ეს ამბავი იღზეს ეამებოდა თუ არა. ამის თაობაზე ცოლს როგორღაც გაკვირვებით გადაუგდო სიტყვა და იღზემ ჰკითხა:

— სასტუმროში მოიწვიე?

— ჰო, — მიუგო კიურენბერგმა.

იღზე მიხვდა: კიურენბერგი, რომელიც მოგზაურობის დროსაც თავგადაკლული მზარეული იყო, — ისინი კი დაუსრულებლად მგზავრობდნენ, — საჭმელს თვითონ მოამზადებდა, ხოლო ეს იმის ნიშანი იყო, რომ იგი ზიგფრიდს მართლაც პატივს სცემდა და აფასებდა, და კვლავ არაფერი უთქვამს. ან კი თვითონ რატომ არ უნდა მიედო ზიგფრიდი? უარის თქმა საერთოდ არ უყვარდა, არც კიურენბერგთან უნდოდა წაკინკლავება, ცოლ-ქმარი თითქმის არასოდეს არ კინკლაობდა, შეხლა-შემოხლის გარეშე ახერხებდნენ ერთად ცხოვრებას და გაჭირვებასა და შიშინაობაში მთელი ზღვა და ხმელეთი უდავი-დარაბოდ შემოიარეს. კარგი, დაე მოვიდეს ზიგფრიდი სასტუმროში, დაე ვახშამში ქმარმა თვითონ მოუმზადოს, იღზე წინააღმდეგი არ იყო. იქნებ კიურენბერგი მართალიც იყო და ზიგფრიდი ნამდვილად საამო ადამიანია, მაგრამ ამით მუსიკა არ იცვლებოდა. იღზეს არ სჯეროდა, რომ ამ მუსიკის შეცვლა საერთოდ შეიძლებოდა, რადგან, თუმცა იგი არ მოსწონდა, მასში მაინც ჭეშმარიტი ტონები მოისმოდა და მათი ურთიერთდაუკავშირებლობის მიუხედავად იგი გადმოსცემდა გარკვეულ ადამიანურ ბედს, რის გამოც მათი შეცვლა დი-ახაც შეუძლებელი იყო. მაგრამ რაც უნდა საამო ადამიანი ყოფილიყო ზიგფრიდი, ეს მუსიკა მისთვის მაინც მუდამ უსიამოვნო იქნებოდა. იღზე შესცქეროდა კიურენბერგს — აი მხარდამხარ მოსდევს შოტლანდიური შალის უხეშ კოსტიუმსა და სქელლანჩებიან მოჭრაჭტუნე ფეხსაცმელებში გამოწყობილი ქმარი, თმა გვარჩინად შეთხელებია და გათეთრებია, კეთილენერგიულ სახეს ჯერაც ისევ ნათელი თვალების სხივი მოსაგვს, თუმცა ჩასკვნილია, მაგრამ მარჯვედ და მსუბუქად მიაბიჯებს ხალხით სავსე რომის ქუჩებში, კიურენბერგი გულჩახვეული კაცის შთაბეჭდილებას ახდენდა, უფრო სწორად, საკუთარი თავით დაიმედებულისა და მტკიცე სულიერი განწყობილების კაცისას, არასოდეს ამჟღავნებდა მოუთმენლობასა და სენტიმენტალობას, მაგრამ იღზეს მაინც ეგონა, რომ მისი თავგამოდება ზიგფრიდის გამო მაინც ფაქიზი გრძნობით უფრო იყო გამოწვეული: კიურენბერგს გულს უჩქროლებდა ის გარე-

მოება, რომ ინგლისელთა ბანაკში მყოფმა გერმანელმა სამხედრო ტყვემ ორ-მოცდაოთხ წელს სწორედ მას, ნებაყოფლობით ემიგრანტს, პირველ მსოფლიო ომში ლანგემარკზე¹⁶ იერიშის მონაწილესა და ძალად მოხალისეს მიმართა და ახალი მუსიკის ნოტების ნიმუშები სთხოვა. კიურენბერგისათვის სამხედრო ტყვე ზიგფრიდის წერილი გახლდათ, გაველურებული ევროპის მუსიკალური ნი-შანი, მტრედი, მაუწყებელი იმისა, რომ წარღვნა უკან იწვევდა.

მზის გულზე ჩამოსხდნენ და ნებივრობას მიეცნენ, ნავონას მოედანზე ულ-მერთოდ ძვირი რესტორნის ტერასაზე ისხდნენ და სიამოვნებდათ იქ ჯდომა, შესცქეროდნენ ძველი არენის დამამშვიდებლად მოქმედ პარმონიულ ოვალს და ტკბებოდნენ იმის შეგნებით, რომ ბრძოლები წარსულს ჩაბარდა. შემდეგ ჭამას შეუდგნენ. ჭამდნენ ერბოში ჩაშუშულ ხრაშუნა პატარა-პატარა კიბოებს, საამოდ შებრაწულ ფრინველს, ლიმონის წვენიში ჩალაგებულ და ზეთმოპკუ-რებულ სალათას, ვნებიანად წითელ გოლიათურ ხენდროს და ზედ აყოლებდ-ნენ მწკლარტე ამგზნებ ფრასკატის ღვინოს. ტკბებოდნენ ღვინით, ტკბებოდნენ საჭმლით. ჭამდნენ მოწიწებით, სვამდნენ მოწიწებით. ჭამდნენ მშვიდად და სერიოზული გამომეტყველებით. სვამდნენ დინჯად და ხალისიანად. ერთ-ორ სიტყვას თუ ამოთქვამდნენ, ერთმანეთი კი მაინც ძალიან უყვარდათ.

სადილის შემდეგ ომნიბუსით გაემგზავრნენ ვაგზლის რაიონში, სადაც ცხოვრობდნენ. ომნიბუსი, როგორც ყოველთვის, ახლაც გაჭედილი იყო. ისინი ერთმანეთს ეკვროდნენ, მათ სხვები ეკვროდათ. იდგნენ მშვიდად, ნაამებნი და ხმას არ იღებდნენ; ვაგზალში მოსულებმა გადაწყვიტეს, მცირე ხნით ეროვნულ მუზეუმში შევიდეთო, რომელიც დიოკლეტიანეს თერმების ნანგრევებში იყო მოთავსებული. ანტიკა უყვარდათ. უყვარდათ მაგარი მარმარილო, ამალ-ლებული სახეები; რაიც კაცმა თავის ხატის მიხედვით შექმნა, ცივი სარკო-ფაგები, მრავლისაღმქმელი სიმრგვალე ღვინის თასებისა. მოინახულეს ერო-ტები, ფავნები, ღმერთები და გმირები. დაათვალიერეს საგების ურჩხულები, შეიგრძნეს კირენელი ვენერას მშვენიერი სხეული და მძინარე ევმენიდეს თავი. შემდეგ მაღალი სახლებით დაჩრდილულ და ჩაბნელებულ ვიწრო ქუჩას გაუყ-ვნენ. ქუჩა მათი სასტუმროს უკან გაქიმულიყო, მიუხედავად იმისა, რომ სას-ტუმრო დედამიწის ზურგზე ყველაზე უფრო მოსაწყენ თავშესაფარს წარმო-ადგენდა, ისინი აქ მაინც სიამოვნებით ცხოვრობდნენ. შევიდნენ საყასბოში, შემზარავ კაკვებზე შეათვალიერეს საქონლის ახალთახალი უსისხლო, ცივი, აქნილი ხორცი, დააკვირდნენ ცხვრისა და საქონლის მსხვერპლად შეწირულ მშვიდად და მღუმარედ დალაგებულ თავებს. იყიდეს სუფთა მარმარილოს და-ქანებულ დაფაზე ყასბის მიერ შემოდებული ჩიჩქვი საბივშტექსე ხორცი, რომლის ხარისხი კიურენბერგმა თითებით კარგა ხანს ამოწმა, ჭყლიტა და სრისა, შეიძინეს ღია დახლებზე ჩამოლაგებული ხილი და ბოსტნეული, იყიდეს ძველისძველ სარდაფში ზეთი და ღვინო და დიდი ხნის ძებნის შემდეგ კიურ-ენბერგმა მიაგნო ბრინჯს, რომელიც მოხარშვის შემდეგაც მარცვლოვანი დარ-ჩებოდა — დასარწმუნებლად კიურენბერგმა ბრინჯი კბილით გასინჯა. პარკე-ბით დატვირთული ცოლ-ქმარი ლიფტით თავიანთ ფართო ნათელ ოთახში ავიდა, რომელიც ამ სასტუმროში ყველაზე მშვენიერი იყო. დაიღალნენ და დაღლაც სიამოვნებდათ. ფართო საწოლს გადახედეს და წინასწარ დატკბნენ იმ სისუფთავითა და სიგრილით, რასაც ლოგინი აღუთქვამდათ. დღე ჯერ კიდევ ძალაში იყო. ოთახი არ ჩაუბნელებიათ. განათებულ ოთახში გაიხადეს და სა-

ბანქვეშ შეწვნენ. მათი ფიქრები წარმტაც ვენერასა და აცეკვებულ ფავნს დასტრიალებდა. ტკბებოდნენ თავიანთი ფიქრებითა და მოგონებებით. შემდეგ ერთმანეთითაც დატკბნენ და ღრმა ძილს მიეცნენ — იმ უმტკივნეულო სიკვდილის მდგომარეობას, რომელშიც ჩვენი სიცოცხლის ერთ მესამედს ვატარებთ. მაგრამ იღვეს ესაზმრა, თითქოს ევმენიდე იყო, მძინარე ევმენიდე, რომელსაც გულის მოსალობად კეთილმოსურნე შეარქვეს, ხუშტის მგა შურისძიების ქალღმერთია.

უკვე დრო იყო, იუდეიანი უნდა წასულიყო. მან აცნობა, მოვალე, ისინი მიელოდნენ, დათქმული დროც დამდგარიყო, მაგრამ წასვლა აღარ უნდოდა, ყოყმანობდა ეშინოდა. მას, იუდეიანს, ეშინოდა, მერედა როგორი იყო მისი ცხოვრების დევიზი? „მე არ ვიცი, რა არის შიში!“ ამ ფრაზამ ბევრი ჩაყლაპა, მოინელა, რასაკვირველია, სხვები, იუდეიანი მბრძანებლობდა, სხვები უშედეგო იერიშების მიტანისას იქლიტებოდნენ, აზრდაკარგული ღირსების ცნების დასაცავად წინასწარვე განწირული პოზიციებიდან ფეხს არ იცვლიდნენ, უკანასკნელ კაცამდე იქ იდგნენ, როგორც შემდეგ მოახსენებდა მკერდგამოწეული იუდეიანი თავის ფიურერს, ხოლო ვისაც ეშინოდა, ახრჩობდნენ, ხეზე ან ფარანზე ჰკიდებდნენ და ჩამომბრჩვლებს ცივი ქარი ყელზე ჩამოკიდებულ წარწერიანად აქანავებდა: „ძალზე ლაჩარი აღმოვჩნდი საიმისოდ, რომ სამშობლოს დაცვა შემძლებოდა“. ვისი სამშობლო იყო დასაცავი? იუდეიანისა? იუდეიანის ჯალათური რაიზი და საომრად შეკრული მოძალადეები, რომელთაც ჯანდაბის იქით უნდა ჰქონოდათ გზა, არა მხოლოდ ხეზე ჰკიდებდნენ, თავსაც აჭრიდნენ, აწამებდნენ, ხვრეტდნენ, რასაკვირველია, იხოცებოდნენ კედლებს მიღმაც და სანგრებშიც, მტერიც ხომ ისვროდა, მაგრამ აქ კამრადი გიგზავნიდა ტყვიას, „უკეთესს ვერ იპოვი“¹⁷, აქ თვისტომი ბობოქრობდა, შექებული და განდიდებული, ხოლო სასიკვდილოდ განწირული ახალგაზრდა გვიანდაც აზრებდა, ვინ იყო მტერი და ვინ მოყვარე. იუდეიანი მშობლიურად ამბობდა, „ჩემო ბიჭებო“, და იგივე იუდეიანი ამბობდა მეფეხსალაგეთა ვულგარულ ენაზე — „მიაკერე ამ ძუკნა ძაღლს“, იგი მუდამ ხალხთან ახლოს იყო და მუდამ კარგ ბიჭად ითვლებოდა, ხუმრობა ეხერხებოდა ლანდსბერგის ფემეს¹⁸ ამ ძველ ჯალათს, მეკლენბურგის შავი ბანაკების ამ სისხლიან მედილეგეს, ამ მუზარადზე გამოსახულ თავის ქალას. თვით იმათაც კი, ძველმა კერპებმა, ლალატი ჩაიდინეს — კაპიტანმა ერჰარტმა ლიტერატორებთან და ტვინჩასვრილ ინტელიგენტებთან პურისჭამას მიჰყო ხელი, როსბახი ცინგლიან ბიჭებთან ერთად ერთი კუთხიდან მეორეში დაეხეტებოდა, სკოლის მასწავლებელთა და ხუცესთა საამებლად მისტერიებს დგამდა, ის კი, იუდეიანი, სწორ გზაზე ვიდოდა ჭიუტად და განუხრელად, რაიზის ხელმძღვანელისა და პატივისა და დიდების გზაზე.

იუდეიანი ოთახში მიმოდოდა, იატაკზე დაფენილ რბილ ხალიჩაზე, კედლებზე ქსოვილი იყო გაკრული, ჩამოკიდებული ნათურების შუქს აბრეშუმის შუქფარები სიღბოს აძლევდნენ, საწოლის ქამხის გადასაფარებელზე ბენიტო, ქეციანი კატა განისვენებდა. ბენიტომ იუდეიანს თვალეზმოჭუტვით, დაცინვით ახედა, თითქოს ეუბნებოდა: „შენ კიდევ ცოცხალი ხარ?“ შემდეგ ზიზღით შეავლო თვალი საწოლის ფეხთან ვერცხლის ლანგარზე დაგდებულ შემწვარ ღვიძლს. ნეტავ რისთვის მოათრია ეს ცოცხალი მძორი? რაღაც მაგიური ხომ

არა აქვს ამ კატას? არა, იუდეიანს არასოდეს ეზმანებოდა ავი სულეები. ეს იყო მხოლოდ, სანტიმენტალობამ დასძლია, ვერ მოითმინა ემზირა, როგორ აწვალედნენ კატას, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაა. ბენიტო! ო, შე ცინგლიანო! იუდეიანი საცხოვრებლად ვია ვენეტოზე შეჩერდა, დიპლომატიებისა და მინისტრების სასტუმროში, სადაც ბინა ედო „ნატოს“ მთავარ მდივანთა კლასში, აშშ-ს ფოლადის კონცერნის პრეზიდენტს და „ფარბენინდუსტრის“ სამეთვალყურეო საბჭოს, სადაც ტრიალებდნენ მაღალმკერდიანი კინოვარსკვლავები, ყალთაბანდებსა და კოკოტებსაც აქ დაეგოთ თავიანთი ხაფანგები. ვის აღარ იხილავთ რომში, რას აღარ ნახავთ! ნაირნაირად დაყენებულ მოდურ წვერს, საროსტანა ქალებს, მტკაველი რომ შემოსწვდებათ წელზე, ზღაპრულად ძვირფას სამოსს, ტანკენარ გოგონებს, რომლებიც, იფიქრებთ, საცაა წელში გადატყდებიანო, თუმცა ვინ გიშლით მაგრად მოეხვიოთ, მკვრივ ძუძუებსა და დუნდულებს, გრძნობთ, როგორ თრთის მაცდუნებელი, სისხლისამჩქროლებელი ხორცი შებურვილი ნეილონის საფარით, რომელიც ტანზე შემოტმასნილი მუცელსა და თეძოებზე ეშვება წმინდა ძაფით ნაქსოვ წინდებისაკენ; კარდინალები ამ სასტუმროში არ ცხოვრობდნენ.

იუდეიანმა ლურჯი სათვალე მოიხსნა, წყალჩამდგარი თვალები თეთრცისფრად ჩაბინდოდა. იქნებ უმართებულო იყო, აქ რომ დასახლდა? ჯერ ერთი, ეს როგორც უწინ, ახლაც მისი ნება იყო, მეორეც — ხომ უნდა იცოდეს. რა ქარმა დაბერა ამჟამად? მიტევებისა და გადავიწყებისამ. ეს გახლდათ იუდეიანის ერთ-ერთი გახუმრება და იუდეიანი სიამოვნებით ხუმრობდა. ესეც მისი ხუმრობა იყო, რომ ამ სასტუმროში ჩამოხდა, თუმცაღა ისეთი პასპორტი ჰქონდა, სადაც არც მისი სახელი იყო, არც მისი დაბადების ადგილი, მაგრამ საბუთი საერთოდ ნამდვილი იყო, დიპლომატიური ვიზით დადასტურებული. იგი მნიშვნელოვანი პიროვნებაა, იუდეიანი ყოველთვის მნიშვნელოვანი პიროვნება იყო, ახლაც კვლავ ასეთი გახდა. შეეძლო თავისი თავისთვის ნება მიეცა, აქ დასახლებულიყო და წარსულ დიდების დღეთა მოგონებით დამტკბარიყო. სწორედ ამ ჭერქვეშ იყო ერთ დროს მისი რეზიდენცია, სწორედ აქედან გზავნიდა იგი მიმართვებს ვენეციის სასახლეში, ამ სასტუმროს ჰოლიდან ბრძანა მძევლების დახვრეტა.

რა ჯობს ჩაიცივას? კარგი გარდერობით გამოირჩეოდა, ჰქონდა საუკეთესო არაბ მკერაეთა მიერ შეკერილი ინგლისური ქსოვილების კოსტიუმები, ერისკაცი გახდა, სანამ საროსკიპოსკენ გასწევდა, ასე გასინჯეთ, სუნამოსაც ისხურებდა. ეს მან შეიხებისაგან ისწავლა, მაგრამ ყოველ სამოსში იგი მაინც ძველ იუდეიანად რჩებოდა, იმავე ინფანტილურ ტიპად, ბავშვების პირქუშ გმირად, რომელსაც არა და არ შეეძლო დაევიწყებინა მამის, სახალხო სკოლის მასწავლებლის, წკებლები, რადგან სკოლაში ისწავლა არ სურდა. რომელიმე მუქი ფერის კოსტიუმი ხომ არ ჯობდა? საჭიროა ამ შეხვედრას საზეიმო ელფერი მისცეს. მაგრამ ალბათ ასეთ დროს სუნამოს დასხმა არ შეიძლება. სადაც ახლა მიდის, იქ არ შეიძლება მუშკის სუნი ასდიოდეს. მამალს ბოლო არ უნდა უჩანდეს. გერმანელმა ბიურგერებმა საკუთარ თავს ისევ მიაგნეს. ისევ ფხიზელ ხალხად იქცნენ. ნეტავი ხომ არ დაეტყო იმ ქვეყნის ავკარგი, საიდანაც ჩამოვიდა? ჯერ მთელი ის სისხლიანი გზა, ბოლოს კი ის ხეატი, პაპანაქებისაგან ვადამხმარი მიდამო, ქვიშა?

ტურების ქვეყნიდან ჩამოვიდა. ლამლამობით გაუთავებლად ყმუოდნენ

ისინი, ზეცაშიც უცხო ვარსკვლავები ანათებდნენ. მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის, უფხო იყო თუ ნაცნობი? ვარსკვლავები მხოლოდ ორიენტირებს წარმოადგენდნენ ადგილმდებარეობის რუკაზე და სხვას არაფერს, სხვა დროს მათ არც უყურებდა. არც ტურების ყმუილი ესმოდა. ეძინა, ეძინა მშვიდად, წყნარად, უსიზმროდ. ყოველ საღამოს ძილში ისე იძირებოდა, როგორც ქვა ქაში. ძილს არ უფრთხობდა არავითარი კოშმარი, არაფერიც არაფერიც კენჭნა, არავითარი მოჩვენება. მხოლოდ დილის საყვირის ხმა აღვიძებდა. ეს იყო ნაცნობი საამო მუსიკა. უდაბნოდან ქარაშოტი უბერავდა. საყვირის ხმა გარშემო იფანტებოდა და კვდებოდა. მესაყვირე ერთი ზოზინა ქოფაკი იყო, ასეთებს სახრე უნდა ურტყა კოჭებში. ბარაკის კედლებს ქვიშა ეხლებოდა გამეტებით. აი ვიწრო საველე საწოლიდან წამოდგა იუდეიანი. უყვარდა მაგარი საწოლი. უყვარდა თეთრად შეფეთქილი ოთახი, თუნუქის კარადა, დასაკეცი მაგიდა, პირსაბანი, ჟანგმოკიდებული ტაშტისა და ტოლჩის ღერიალი. შეეძლო მეფის სასახლეში, დიდებულ ვილაში ეცხოვრა, როგორც შეფ-ინსტრუქტორს, არმიის ორგანიზატორს, სანთლით საძებნელ სპეციალისტს, რომელსაც დიდი გასამრჯელოთი თუ მოიზიდავ — ის ხომ მართლაც ასეთი იყო. მაგრამ ყაზარმები უყვარდა. ყაზარმა ანიჭებდა მტკიცე რწმენას, მხოლოდ იქ გრძნობდა თავს უშიშრად. ყაზარმა იყო მისი სამშობლო, მისი მეგობარი, მისი საყრდენი და წესრიგი. სინამდვილეში მთელი ეს ამბავი ფუჭი ფრაზებია, მოსწავლეს რომ შეჰფერის. ვისი მეგობარი იყო იუდეიანი? მას უყვარდა უდაბნოს მზერა. მისი უნაპირობა კი არ იზიდავდა იუდეიანს, არამედ მისი სიშიშველე. იუდეიანისათვის უდაბნო უზარმაზარ სასწავლო მოედანს წარმოადგენდა, ეს იყო ფრონტი, მარადიულად მოლიტინე გზნება, რომლის მეოხებითაც მამაკაცი მუდამ მამაკაცად რჩება. მეფის სასახლეში მის ირგვლივ მსახურები ალბათ ფეხის წვერებზე ივლიდნენ, ალბათ თბილმუცლიან გოგონებთან იძინებდა, მათ კალთებქვეშ ჩაიკარგებოდა, ალბათ ფაშასავით ნელსაცხებლებით შეზავებულ წყალში იბანავებდა. მაგრამ იგი ბანაკში იბანდა, ჯაგრისით კანს გაწითლებამდე იხეხავდა, წვერს ძველი გერმანული სამართებლით იპარსავდა, რომელიც შარვლის ჯიბით ვაიდენდამერ ბრიუკედან უდაბნომდე მოიტანა. თავს ასედაც კარგად გრძნობდა. ფიქრობდა როგორც დამფრთხალი გარეული ტახი. სმენა ჩინებული ჰქონდა. ესმოდა ოდნავი გაფაჩუნება, წყლის ჩხრიალი, ციციხეების რაკუნის, სტვენის, უხამსი ლაპარაკის, გინება, ბრძანების ხმა, ჩექმის ბრახუნის, კარის ჯახუნის. სუნთქავდა ყაზარმის აქოთებულ ჰაერს, რომელიც შეზავებული იყო ტყვეობით, მონობით, გაქონილი ტყავით, იარაღის ზეთით, მყრალი საპნით, ტკბილი პომადით, მკავე ოფლით, ყავით, გახურებული ალუმინის ჭურჭლითა და შარდით. ეს გახლდათ შიშის სუნი, მაგრამ იუდეიანმა არ იცოდა, რომ ეს შიშის სუნი იყო. მან ხომ არ იცოდა, რა იყო შიში. ამას ეტრაბახებოდა სარკეში თავის ორეულს. შიშველი, მუცელგაბერელი დამდგარი-ყო ბუზების ნასკინტლით მოფენილი შუშის წინ. შემდეგ ქამარი შემოირტყა. ამაში იგი ძველი სკოლის ერთგული იყო. ესეც არ იყოს, ქამარი მუცელს აპატარავებდა და უკანალი გაბზეკილი უჩანდა. ეს ხომ ძველი გენერლების ფანდი იყო. იუდეიანი დერეფანში გავიდა. ადამიანები უცბად კედელს აეკვრნენ, მორჩილ ჩრდილებად იქცნენ. მას ზედაც არ შეუხედავს. გარეთ გაეშურა, მალე სისხლისფერი მზე მიცურავდა, თითქოს ქვიშის ქარაშოტს მიაქვსო. იუდეიანმა ჯარისკაცების რიგს ჩამოუარა. ქარიშხალი აგლეჯდა ხაკისფერ მუნ-

დირს, ქვიშას შუშის გააღმასებული ნამსხვრევებივით ურჭობდა ხორცში და ტანკებს სეტყვასავით უშენდა. ამ სანახაობამ გაახალისა იუდეიანი, ეს ხომ უდაბნოს შვილების პარადი იყო! თვალი შეავლო მათ. დაინახა მათი ნუშისებრი თვალები, შავი, აელვარებული, გამცემლური, დაინახა ყავისფერი კანი, მზით დამწვარი სახეები, მავრების დრუნჩები, სემიტური ცხვირები. ესენი იყვნენ ახლა მისი ბიჭები, ჯარისკაცები. ადრინდელი ბიჭები მკვდრები იყვნენ. ბალახქვეშ იწვნენ, თოვლქვეშ იწვნენ, ქვისა და წვიმისქვეშ, განისვენებდნენ პოლარული წრის იქით, საფრანგეთში, იტალიაში, კრეტაზე, კავკასიაში, ზოგი მათგანი კი ციხის ეზოში. მისი ბიჭები! მისი ბიჭები ახლა ესენი არიან. იუდეიანი ბედის დაცინვას ვერა ხვდებოდა. ძველებურად მიაბიჯებდა, რიგების ჩამოვლის დროს რომ იცოდა, და მტკიცედ და მკაცრად შესცქეროდა მათ ნუშისებრ თბალებს, აელვარებულს, გამცემლურს, მეოცნებეს. ვერავითარ საყვედურს ვერ ამჩნევდა მათში. ვერც სამდურავს. იუდეიანმა წაართვა მათ თვინიერება, თვინიერება პირველქმნილებისა. წაართვა სიამაყე, ბუნებით მიანიჭებული თავმოყვარეობა, რაც პარამხანის ამ ნაწიერებში თვლემდა. გატეხა ისინი და ასწავლა მხოლოდ ერთი რამ — მორჩილება. ძველი სკოლის მეთოდებისდა მიხედვით გვარიანად გაწვრთნა. და აი ახლა იდგნენ გაჭიმული და გასწორებულები, თითქოს თუთიის ჯარისკაცები არიანო, ხოლო სული ჩამკვვდარი ჰქონდათ, ჯარისკაცებად ქცეულიყვნენ, ადამიანურ მასალად ქცეულიყვნენ. ეს ახალი შევსება იყო და შეეძლო თავი უაზროდ გაეწირა. ამოდ არ გაუფლანგავს დრო იუდეიანს. არ მოუტყუებია ბატონები, ვის ხელში შემყურეც იყო. სადაც კი იუდეიანი მბრძანებლობდა, პრუსიის ძველებური დიდებაც იქ იყო, სადაც იუდეიანი მივიდოდა, დიდი გერმანიაც მისთვის იქ იყო. უდაბნოს ქვიშა მას გერმანული ქვეყნების ქვიშად მიაჩნდა. მართალია, იგი გააძვევს, მაგრამ ფესვები ვერ დააწყვიტეს; იგი გულით ატარებდა თავის გერმანიას, რომელსაც ერთ დროს მაინც უნდა გაეჯანსაღებინა მსოფლიო. ფლაგშტოკი მალლა შემართულიყო ქარიშხალში, ეულად შემართულიყო ქვიშით დაბურული მზის ქვეშ, ეულად შემართულიყო უღვთო არარაობაში. გაისმა ბრძანების ხმა. ამ ხმამ ელექტრობასავით დაუარა ჯარისკაცებს. ისინი კიდევ უფრო გაიჯგიმნენ და ალაში კვლავ აღიმართა! რა დიდებული სიმბოლოა უაზრობისა! მწვანე ალამზე წითლად ბრწყინავდა ცისკრის ვარსკვლავი. აქ ჯერ კიდევ შეიძლებოდა ჩაწოლილი საქონლის გასადება — მოჩვენებითი ეროვნული სახელმწიფო, მისდამი ერთგულება და ისრაელთა მიმართ მტრობა. შეიძლებოდა ეს საქონელი მიეყიდათ ამ მუდამ გამოსადეგი ძმებისათვის, ვისი წყალობითაც იუდეიანს დღესაც არ აკლდა ფული, პატივი და თანამდებობა.

არც თალხი ფერის კოსტიუმი მოუხდა. იუდეიანი ჩასუქებულ კონფირმანტს ჰგავდა; გაახსენდა, ერთ დროს როგორ აიძულა მამამ, სახალხო სკოლის მასწავლებელმა, ასე გამოწყობილი წარმდგარიყო უფლის საკურთხევლის წინაშე და ახლაც ცეცხლი მოეკიდა. ეს იყო ათას ცხრაას თხუთმეტში, ის ფრონტზე მიიწევდა, სკოლიდან სურდა გაქცეულიყო, მაგრამ პატარა გოტლიბი მოხალისედ არ წაიყვანეს, მერე ჯავრი იმით იყარა, რომ ათას ცხრაას ჩვიდმეტში ნოტაბიტური¹⁹ იოლად ჩააბარა, ოფიცერთა კურსებზე მოხვდა და არა ფრონტზე, შემდეგ ლეიტენანტი გახდა, თუმცა ფრონტზე არა, მაგრამ იუდეიანის ორგვლივ ტყვიები მაინც წუთოდნენ — ეს იყო დრო მოხალისეთა კორპუსებისა,

ანაბერგის ბროლისა, სპარტაკელთა წინააღმდეგ ლაშქრობისა, კაპის პუჩისა, რურის არეულობისა²⁰ და ბოლოს ფემეს განაჩენების იღუმალად აღსრულებისა, როცა ტყეში მსჯავრ დადებულს მიპარვით ახლიდნენ ტყვიას კეფაში. ასეთი იყო მისი ბოჰემა, ასეთი იყო მისი ჭაბუკობა, ხოლო ჭაბუკობა, როგორც ერთ ლექსში მღერიან, მშვენიერი რამაა და აღარასოდეს არ უფიქრუნდება. პიტლერის სამსახურში იუდეიანი ბურჟუაზი იქცა, წარმართები დაიშალა, წია, ჩასუქდა, დიდ-დიდი ტიტულები მოიპოვა, იქორწინა და ამრიგად დაუქვისლდა „მარტის იას“²¹, კაპის პუჩის თანამონაწილეს, ანგარებიან და კარიერისტ ადამიანს, ობერპრეზიდენტსა და ობერბურგომისტრს, ფიურერის ფინანსების განმკარგულებელსა და საკასაციო სასამართლოს წევრს, რომელსაც ამჟამად კვლავ სადავეები უბყრია ხელთ, კვლავაც ქალაქის თავია, ხალხის მიერ არჩეული, დემოკრატიული პრინციპის მკაცრი დაცვით, ამას რაღა განმარტება სჭირდება; ჰოდა, აი ასეთ კაცს — ფრიდრიხ ვილჰელმ პფაფრატს დაუქვისლდა, თუმცა იგი კაცად კი არა, კაცის უკანალად მიაჩნდა, გულის აჩვილების წუთებში აი სწორედ ამ კაცს აცნობა წერილობით, ჩემს გამო ცრემლებს ნუ ღვრით, ისევ ძველი იუდეიანი ვარო, მერე კი რომში ამ უაზრო შეხვედრაზეც დათანხმდა. ქვისლი ატყობინებდა, ყველაფერს მოვაგვარებო. სახელდობრ რას? სამშობლოში დაბრუნებას, მონაწიებას, შეწყალებას, ბოლოს ერთ პატარა სამსახურს. ძაან კი გაყოყოჩებულა ეს ვაჟბატონი. მერე, სურდა კი იუდეიანს სამშობლოში დაბრუნება? სჭირდება კი მას ეს მოჩვენებითი მონაწიება, შეწყალებით მინიჭებული თავისუფლება? ის ისედაც თავისუფალი იყო. აგერ სია ამ საქმეებისა, რაც უნდა მოაგვაროს. უნდა იყიდოს იარაღი, ტანკები, ქვემეხები, თვითმფრინავები, შეიარაღების ნარჩენები, რომლებიც დიდი ხოცვა-ყლეტისათვის უკვე უვარგისია, მაგრამ უდაბნოში პატარ-პატარა ომების, პუტჩებისა და აჯანყების მოსაწყობად ჯერაც გამოსადეგია. იუდეიანს ბანკებში ჰქონდა კრედიტები, აღჭურვილი იყო სათანადო რწმუნებებით. კავშირი უნდა დაემყარებინა დედამიწის ორივე ნახევარსფეროში იარაღით მოვაჭრე სპეკულიანტებთან. ამ საქმეში ძველი თანამზრახველები უნდა ჩაება. საკეთებელი ყელამდე ჰქონდა და ეს ახარებდა. რა დროს ოჯახი იყო? კაი დროს კი შეახსენეს ეს სიბინძურე! ადამიანი მკაცრი უნდა იყო. მაგრამ ეს ევა მართლაც რომ მისი ერთგულია, ნამდვილი გერმანელი ქალი, სანიმუშო ცოლი, ვისი გულისთვისაც ვითომც ცოცხლობდნენ და ახოცებოდნენ. ზოგჯერ სჯეროდა კიდევც ეს. იუდეიანს ეშინოდა. ეშინოდა ევასი, რომელიც ფერუმარლით არასოდეს ითხიპნებოდა, თმას უბრალოდ იწნავდა, ეშინოდა ამ აქტივისტი ქალისა, საბოლოო გამარჯვებაში იოტისოდენა ეჭვი რომ არასოდეს შეჰპარვია. ევას, რასაკვირველია, ჯერ დასაწუნი არაფერი არ ჰქონდა, მაგრამ იუდეიანს მისკენ არაფერი იზიდავდა. ამას გარდა, იგი ალბათ მოტყუდა კიდევც. მათი ვაჟი როგორღაა, ნეტავ, ეს უცნაური ობროლი? ნეტავ რა იმალებოდა მის დაუჯერებელ მასკარადს იქით? წერილებში მოიარებით მინიშნებული იყო რაღაც ცვლილებების შესახებ, მაგრამ იუდეიანი ვერა ხვდებოდა. მან ისე გაშალა ქალაქ რომის გეგმა, თითქოს გენარალური შტაბის რუკა ყოფილიყოს. საჭიროა გაიაროს ვია ლუდოვიჯი, შემდეგ კიბეებით ესპანეთის მოედანზე ავიდეს, საიდანაც დაბლა გაფენილ ქალაქს ერთი ქვემეხითაც დაიპყრობდა, დიან, მერე ვია კონდოტიზე გავიდეს, იმ მეშჩანურ სასტუმროსთან, სადაც მათ ყველამ ერთად შეაფარეს თავი და ახლა მას მიეღიან. იქნებ თვითონაც იქ უნდა

დაედო ბინა, სადაც გერმანელებს უყვარდათ ჩამოხდომა, როგორც ექსკურსიამ-
 დლოლები ამბობდნენ, ოჯახურ სივიწროვესა და ოჯახურ სიმყუდროვეში, სა-
 დაც ფრიდრიხ ვილჰელმ პფაფრატი, ეს კეთილგონიერი და რეალური ეროვნული
 პრეტენზიების მუდამ კეთილგონიერი მომხრე, პფაფრატი, რომელმაც
 კვლავ ყველაფერი თავის სასარგებლოდ ააწყო და ახლა აფხაზეთში ყველაზე
 გონიერად მიაჩნდა, რადგან ისევ თბილ ადგილზე იჯდა და მისი გერმანი-
 ის ახალი აღმავლობისათვის, ქვისლი პფაფრატი, ობერბურგომისტრი და ფე-
 დერაციული გერმანიის პატივცემული მოქალაქე, მფარველობასა და დახმარე-
 ბას აღმოუჩენდა მას, დევნილს, აღმა-დაღმა მოხეტიალეს — ასე ფიქრობდა
 პფაფრატი, გულში ჩაიკრავდა და სრულად ეპატიებოდა იუდეიანს ჩადენილი
 ცოდვა, გაქრებოდა ანკეტის შევსებითა და სხვადასხვა კომისიებზე გატარების
 მოლოდინით გამოწვეული შიში. ვერ მოესწრება პფაფრატი ამას, მეტისმეტად
 შორს შეიჭრა იუდეიანი, ასეთი იდილიისთვის აღარ გამოდგება, ეს მიცვალე-
 ბული თუ მიცვალებულად ჩათვლილი, ძველა ბერლინის ერთი ნატეხი; დიდი
 წმენდის დროს უგზოუკვლოდ დაკარგული, ნიურნბერგში *in contumaciam*²
 გაასამართლეს, თავისთავად გასაგებია, არც თუ უყოყმანოდ, რადგან უმაღ-
 ლესი ტრიბუნალი, რომელმაც უფლება მიინიჭა და ადამიანთა ბედ-იღბლისა,
 მისი ხვედრის განსჯა და ისტორიის ბრმა მსვლელობის მართვა იკისრა, თვი-
 თონ დაიბნა ისტორიის ლაბირინთში, ამის შემდეგ იგი თვალემახვეული სა-
 მართლიანობის ქალღმერთი კი აღარ იყო, არამედ კეკემალობობაში გართული
 სულელი, რადგან იმის გამო, რომ უსამართლოდ სჯიდა სამართალს, ანკესზე
 თვითონ წამოეგო, ამორალურობის ჭაობში თვითონ ჩაეფლო; უმაღლესმა ტრი-
 ბუნალმა ვერც იუდეიანის სიკვდილის მოწმე მოძებნა და ვერც იმის მოწმე,
 ვინც დაადასტურებდა, იუდეიანი ამქვეყნად ისევ არსებობსო, ამიტომ უმაღ-
 ლესმა მოსამართლემ იუდეიანს საბოლოო განაჩენი გამოუტანა, მთელი სამ-
 ყაროს წინაშე შეჩვენებულ მტარვალად გამოაცხადა და წინდახედულად მიუ-
 საჯა სიკვდილი იმის გამო, ვაითუ კიდევ სადმე მიმალული ჩუმად სუნოქავსო,
 თანაც, როგორც უკვე ითქვა, დაუსწრებლად; ეს გადაწყვეტილება მარჯვე და
 ჭკვიანური იყო, რადგან დევნილმა თავი მარჯვედ და ჭკვიანურად დააღწია
 თოქს, რომელსაც იმ ხანებში მეტისმეტად თვითნებურად და აჩქარებით იყე-
 ნებდნენ ხოლმე; ბოლოს კი აღმოჩნდა, ტრიბუნალმა მარჯვედ და ჭკვიანუ-
 რად დააღწია თავი შეცდომას იმით, რომ იუდეიანი თოქს გადაურჩა, რადგან
 იუდეიანი, როგორც მტარვალი, შემდგომაც გამოსადეგი აღმოჩნდა — ომი
 ხომ სასტიკი რამ ხელობაა, ობერბურგომისტრი ალბათ საკუთარი ავტომანქა-
 ნით გამოემგზავრა რომში, „მერსედესისათვის“ ფული ეყოფოდა, შეიძლება
 ქალაქმაც მიაართვა ავტომანქანა იტალიაში — ამ აღთქმულ ქვეყანაში გასამ-
 გზავრებლად, საითკენაც გერმანელები გატაცებით მიისწრაფოდნენ; ერთი
 სიტყვით, პფაფრატს, გერმანელს, წიგნების კარადაში ედო ტყავის ყდაში
 დაკანშული გოეთე, ხოლო მის, ამ ვაიმარელი საეჭვო ჯეფლის — ვაიმარი-
 დან აბა კარგი ვინ გამოვიდოდა, — გვერდით „საგადასახადო დებულების ახ-
 სნა-განმარტებანი“, და გულმოდგინედ კითხულობდა, იუდეიანი კი აქ ბრაზობ-
 და, რადგან მისი ქვისლი კვლავ ლაღად გრძნობდა თავს; ეს იყო დალატი,
 თაღლითური დალატი და საჭირო იყო ასეთი არამზადა ჩაძაღლებულიყო. იუ-
 დეიანსაც შეეძლო ავტომანქანით განებივრებულიყო, ისე როდი ჰქონდა საქ-
 მე, რომ ფეხით ეეღო, არა, როცა სურდა ფეხითაც გაივილიდა, შეეძლო პილიგ-

რიმივით ქვეითად შესულიყო მათ ბურჟუაზიულ ცხოვრებაში. ეს აქ შესაფერის იყო, ამ სიტუაციაში და ქალაქში. მას სურდა დრო მოეგო, რადგან რომი, როგორც ამბობდნენ, რომი, სადაც ბერებმა მოიკიდეს ფეხი, სადაც ქოველ კუთხე-კუნჭულში ანაფორები გეჩხირება თვალში, აი ეს რომი, როგორც ამბობდნენ, ლამაზი ქალაქია და იუდეიანს ერთხელ მაინც სჭირდება — შეველო მისთვის თვალი, აქამდე ეს ვერ მოახერხა, აქამდე აქ მხოლოდ წარმოდგენილი იყო, მბრძანებლობდა, მძვინვარებდა, აბლა კი შეეძლო რომში ფეხით გაეგლო, შეეძლო განეცადა ის, რასაც ქალაქი სთავაზობდა — კლიმატი, ისტორიული ადგილები, ნატიფი როსკიპები და გულუბხვი სუფრა. ან რად უნდა ეთქვა უარი? რამდენი ხანია უდაბნოშია, ეს რომი კი ისევ ფეხზე დგას, არ დანგრეულა. რომს მარადიულ ქალაქსაც უწოდებენ. ასე, რასაკვირველია, ბერები და პროფესორები უწოდებენ. იუდეიანმა თავისი ჯალათური სახე გამოაჩინა. მან უკეთ იცოდა, რამდენი ქალაქი უნახავს მიწის პირიდან აღგვილი.

ქალი იცდიდა. იცდიდა მარტო. არაეინ ცდილობდა ლოდინში შეშველებოდა, ლოდინის დრო საუბრით შეემოკლებინა, არცა სურდა, ეს დრო შემოკლებულიყო ანდა ვინმე მზრუნველა გამოსჩენოდა, რადგან მხოლოდ თვითონ მჭმუნვარებდა, მხოლოდ თვითონ იყო შავებში ჩაცმული; თვით ანაც, მისი საკუთარი და, ვერ გრძნობდა, რომ ევა იუდეიანი დაკარგულ ქონებას, დაკარგულ ადგილს, დაკარგულ პატივსა და დიდებას კი არ მისტიროდა ანდა, ეოველ შემთხვევაში, იუდეიანის გამო ურვამ კი არ ჩამოაყვითლა ასე, იუდეიანისა, რომელიც უკვე გმირთა შორის ვალჰალაში²³ ჰყავდა წარმოდგენილი, არამედ დიდი გერმანიის გამო იყო ასე გულშედონებული. იგი დასტიროდა ფიურერს, დასტიროდა ათასწლოვან მესამე რაიხს და გერმანიის მიერ მთელი მსოფლიოს გაბედნიერების იდეას, რომლებიც ღალატით, მუხანათობითა და ბუნების საწინააღმდეგო კავშირის მეოხებით განადგურდა. რესტორნის დარბაზიდან კიბეებსა და დერეფნებს სიცილის ხმა ეფინებოდა, მის ფანჯარაში კი სამზარეულოს ოხშივართან ერთად იჭრებოდა ამერიკული საცეკვაო სიმღერა, რომელსაც იტალიელი მზარეული მღეროდა, მაგრამ მის სმენამდე ვერ აღწევდა ჯერც სიცილი და ვერც იტალიური ბელკანტოთი გაბრწყინებული ხალისიანი ზანგური სიმღერა, შავებით შემოსილი იდგა ოთახში, ამ ქვების გალიაში, წარმავალი დროით, უგუნურებით გარემოცული, იდგა არად მიჩნეული, შურისძიებით პირთამდე სავსე, დაჭრილი ნადიროვით გამძვინვარებული, თაღლითურად მოჩმახული და სარწმუნოდ მიჩნეული მითოსით, ყოფიერების წინაშე ძველისძველი შიშით, დაცვისა და გადარჩენის ნამდვილი მითოსით გონებადაბინდული. ჰალარაგამორეული გახუნებული ჩალისფერი თმა ჭექა-ქუხილით შეშინებული, აქეთ-იქით გაფანტული მოჯამაგირების მიერ მიტოვებულ ხელეურს მოგაგონებდათ. მჭიდროდ დაწნული თმა გარსშემოვლებოდა ჩამოგრძელებულ მკვდრისფერ სახეს, დაკუთხულ სახეს, მჭმუნვარე სახეს, საზარელ სახეს, ჩამომხმარ-ჩანახშირებულ მკვდრის თავისქალას, რომელიც იმ ემბლემას წააგავდა, იუდეიანს, მაღლა აყუყუული ფორმის ქუდზე რომ ეკეთა. მთლად მოჩვენებას ჰგავდა ევა, ევმენიდეს კი არა, ჩრდილოურ მოჩვენებას, ნისლეულ მოჩვენებას, რომელიც ეილაც შეშლილს რომში ჩამოეყვანა და სასტუმროს ოთახში გამოეკეტა.

ოთახი, სადაც ის ცხოვრობდა, პატარა იყო, ამ სასტუმროში ყველაზე

იაფფასიანი, თვითონ მოისურვა ასე; მისი სიძე ფრიდრიხ ვილჰელმი, რომელსაც არასოდეს არ სურდა ელიარებინა, რომ სწორედ ევას უნდა ჩამოერეცხა გერმანიისათვის შერცხვენა, -- აი ეს ფრიდრიხ ვილჰელმი მისი გულისათვის წამოვიდა იტალიაში, -- ამასვე ადასტურებდა ანაც; ფრიდრიხ ვილჰელმ პფაფრატიმა ევა იუდეიანს მხარზე მეგობრულად დაჰკრა ხელი და იუდეიანს უთხრა: „ნუ სწუხარ, ევა, ეჭვი არ არის, ვოტილბს გამოვიხსნით“. ევამ უკან დაიხია და ტუჩებს უწყალოდ დააჭირა კბილები, რადგან პფაფრატი ამას აღრე ვერ გაბედავდა. და მართლაც, განა ლალატი არ იყო შტანდარტენფიურერის, ესესის გენერლისა და უღვთო პარტიის ერთ-ერთი დიდი თანამდებობის პირისათვის გოტლიბი²⁴ ეწოდებინათ? იუდეიანს სძულდა ეს სახელი, სძულდა სკოლის მასწავლებელი მამის მიერ მიკერებული ეს ხუცესის სახელი, მას არ სურდა ყოფილიყო ღვთის მოყვარე და ოჯახსა და მეგობრებს აძალებდა, გოცი დამიძახეთო, ხოლო საქმიან და ოფიციალურ ქაღალდებს გ. იუდეიანს აწერდა. გოცი იყო გოტლიბიდან თავისუფლად ნაწარმოები სახელი, რომელიც მოხალისეთა კორპუსის თარეშის დროს ახსენებდა, მაგრამ ფრიდრიხ ვილჰელმს, ამ კორექტულ კაცსა და ტყავის ყდაში დაკაზმული გოეთეს თხზულებათა კრებულის მფლობელს, გოცი შეუფერებლად მიაჩნდა, რადგან თუმცაღა ნამდვილად გერმანული და ძარღვიანი სახელი იყო, მაგრამ ცნობილი ციტატის გახსენებას იწვევდა²⁵, ამას გარდა, ეს იყო თვითნებურად მიკუთვნებული, ოკუპირებული სახელი, მისი აზრით კი კაცს ის უნდა დაუძახო, რაც დაანათლეს, ამიტომ ახლა, როცა ეგონა, მე უფრო ძლიერი ვარო, კვლავ გაბედა, იუდეიანი გოტლიბად მოეხსენებინა, თუმცა ეს სახელი თვითონაც სასაცილოდ და მამაკაცისათვის შეუფერებლად მიაჩნდა.

შავად შემოსილი ქალი შეუსვენებლად მიმოდოდა ეზოსკენ მიქცეული ფანჯრიდან სარკემდე, რომელიც პირსაბანი ბაკანის თავზე ეკიდა, საკანში გამომწყვდეულივით დადიოდა წინ და უკან, თითქოს დატყვევებული, მაგრამ ჯერ მოუთვინიერებელი მხეციაო. მრავალი წლას განმავლობაში სულ შავებში იყო ჩაცმული, მხოლოდ წინასწარი პატიმრობის ბანაკში არ ემოსა შავები -- დაპატიმრებისას სამგზავრო კოსტიუმში ეცვა, მაგრამ როგორც კი გამოუშვეს, მაშინვე დას გამოართვა შავი კაბა, რადგან საკუთარი კაბები დაეკარგა, კარადები გაეძარცვათ, ხოლო იუდეიანის კუთვნილი სახლები ჩამოართვეს. მაშინაც კი, როცა იუდეიანისაგან, მისი დაღუპულად მიჩნეული ქმრისაგან ამბავი მოუვიდა, ცოცხალი ვარო, პფაფრატის ოჯახის გასაკვირვებლად ევას მაინც არ გაუხდია შავები -- მართლაცდა ის ხომ მეუღლეს, ამ ვაჟკაცურად დაცემულ გმირს არ გლოვობდა, ხოლო ის ამბავი, რომ იუდეიანი ახლა ცოცხალი აღმოჩნდა, მხოლოდ ზრდიდა ევას გლოვის მიზეზს. ქმარი იკითხავდა ვაჟიშვილს, დედამ კი ვერ დაიცვა იგი, იქნებ თვითონ იუდეიანმაც ხვეწნა-მუდარით მიაღწია შეწყალებას და ახლა უდარდელად ცხოვრობდა. ევას არ სწყინდა, რომ ქმარს სხვა ქალებთან ეძინა, ამას იუდეიანი ყოველთვის სჩადიოდა და ევას ეუბნებოდა კიდევ, ასეთი იყო ჯარისკაცის ცხოვრება, ხოლო თუ მისგან ის ქალები შვილებს აჩენდნენ, ეს შვილები ომისა იყვნენ, თანაც უმადლესი რასისა, ესენი იყვნენ ფიურერისათვის თავდადებული მომავალი შვესება, მოიერიშეთა რაზმებისა, მაგრამ იუდეიანი რომ ახლო აღმოსავლეთის რომელიღაც ქვეყანაში მიიძალა, ევას მოსვენება დაეკარგა, რადგან გულს ჭია უღრღნიდა -- ვაითუ მეუღლემ ლალატი ჩაიდინა, ულალატა რასას, ულალატა სისხლს ამ ვე-

რაგულ რბილ კლიმატში, ვარდის სურნელებით გაყვნილილ ჰაერშიანების სიბნელეში, ნივრის სუნით აქოთებულ სენაკებში, რომლებიც ავსებული იყო ზანგი და სემიტი ქალებით — ესენი ხომ შურისძიების დადგომის დროს უცდიან და მთელი მონდომებით ისწრაფვიან, როგორმე გერმანული თხლით განაყოფიერდნენ. ევა მზად იყო შეეიარაღებინა მთელი არმია, რომ იუდეიანის ბუშები გერმანიაში მოეგროვებინა, სადაც მათი რასისგან მომდინარეობდა, გერმანელებს დატოვებდა, მეტივებს კი გაუუყავდა. დაბლა ეზოში მზარეული ბიჭი ახლა სხვა სიმღერას სტვენდა, ესეც ზანგური იყო, თავხედური და დამცინავი; რესტორნიდან გამოდიოდა მსუყე და უდარდელი სიცილი, ზოგჯერ ეს სიცილი ქათმის კუტიკუტს ემსგავსებოდა და სასტუმროს კიბეებსა და დერეფნებს ეფინებოდა.

ობერბურგომისტრი ფრიდრიხ ვილჰელმ პფაფრატი გერმანელების საყვარელ სასტუმროს სალონში იჯდა თავის მეუღლე ანასთან და უმცროს ვაჟიშვილ დიტრიხთან ერთად. მათ უკვე გააბეს ნაცნობობა სხვა ჩამოსულებთან, ესენი იყვნენ მათი მსგავსი და მათივე შეხედულებების მქონე თანამემამულენი, რომლებმაც ერთ დროს მათსავით იწვნიეს შიში, მერე კი გულიდან გადაიყარეს, ახლა მათ ჰქონდათ ავტომანქანები, უბრალოც და მდიდრულებიც, გერმანული ფხიანობის წყალობით საკუთარი ყოფა ცხოვრებას მიუსადაგეს და კვლავ ყველგან სასურველები გახდნენ, რადგან ვალუტას იხდიდნენ; თავშეყრილები ურთიერთში საუბრობდნენ, სვამდნენ ტკბილ ვერმუტს, ხოლო მაგიდებზე ელაგა საგზაო რუკები და გზამკვლევები; მსჯელობდნენ რომელი მარშრუტი აერჩიათ, ტივოლიში წასულიყვნენ თუ ფრასკატიში, იქნებ კასინოს აღდგენილი მონასტერი ენახათ, ბრძოლაგადატანილი მიდამოების ნახვა უკვე ნებადართული იყო და ამ ხალხსაც სისხლდანთხეული ადგილებისა აღარ ეშინოდა, რომელიმე მათგანი მოძებნიდა ნაცნობ ადგილს და რომ იპოვიდა, წაწოიძახებდა: აჰ, აქ იდგა ჩვენი ბატარეა, იცოცხლე, იმათ ცეცხლს ვაწვიმებდით, აქ ჩავსანგრდით და პოზიციები გავამაგრეთ“. და მერე ყველასათვის ცხადი გახდებოდა თუ რა ბიჭიც იყო; თვითონ კი მოწიწებით, — მოწიწებით, რადგან თავისი თავით, როგორც პატიოსანი მებრძოლითა და ეგრეთ წოდებული სპორტსმენ-მკვლელით, თვითონვე იყო აღტაცებული, — დაიწყებდა ინგლისელი და ამერიკელი ჯარისკაცების შესახებ თხრობას, იქნებ ანდერსის არმიის²⁶ პოლონელი ლეგიონერების შესახებაც მოეთხრო, თუმცა ეს უკვე სათუო ჩანდა, რადგან პოლონელი ხომ პოლონელი იყო და სხვა არაფერი, ჯარისკაცთა სასაფლაოზე კი მთლიანად უნდა განიცადო ამალღებული გრძნობა საკუთარი თავისა და მიცვალებულთა მიმართ. მიცვალებულები ხომ სიცილს არ დააყრიან, მკვდრები არიან, იქნებ არც დრო აქვთ და მათთვის სულ ერთია, ცოცხლად გადარჩენილთაგან ვინ მივა მათ საფლავზე, ისინი სახეცვლილების სტადიაში იმყოფებიან, გასვრილები და ცოდვებით დამძიმებულნი, რომლებიც ზოგჯერ მათი საკუთარი არც იყო, მალღდებიან ცხოვრებაზე და მიისწრაფვიან დაბადების ორომტრიალში ახალი ცოდვიანი არსებობისათვის, ახალი დანაშაულისათვის, ახალი უაზრო ყოფისათვის.

ფრიდრიხ ვილჰელმ პფაფრატს იუდეიანის მხრივ არასაკადრისად მიაჩნდა, რომ მათ აცდევინებდა. მაგრამ იქნებ იგი რომში ჯერ არც ჩამოსულიყო, იქნებ მგზავრობისას რაღაც გაუჭირდა, იქნებ პასპორტის გამო შეხვდა რაღაც უსიამოვნება, მისი მდგომარეობა მაინც საფრთხილო იყო და ფხიზლად ყოფნა

ჯობდა. ნაჩქარევად მოქმედება არ შეიძლებოდა, მაგრამ პფაფრატი დარწმუნებული იყო, რომ ახლა, როცა მისი ქვისლი ასე მოულოდნელად ცოცხალი აღმოჩნდა, დრო იყო იუდეიანის საქმე თანდათან მიეფუჩეჩებინა, რასაკვირველია ფრთხილად, უხმაუროდ და უდავიდარაბოდ, — ~~საქმე~~ ~~საშიში~~ საშიში იყო, ვაითუ ამით სახელი გაეტეხა, ვილაც ბოგანოს შეეძლო ~~საქმე~~ ~~საშიში~~ შეეტეხა. თუმცა სახრჩობელების დრო ერთხელ და სამუდამოდ წასულიყო, ყოველ შემთხვევაში, მათთან, დასავლეთ გერმანიაში, ამერიკელები გონს მოსულიყვნენ, ფხიზლად აფასებდნენ მდგომარეობას და გერმანელთა გამოყენების შესაძლებლობას, ხოლო სამაგიეროს გადახდისა და მკაცრი განაჩენების დრო კარგა ხანია უგუნურებადა და უტაქტობად ითვლებოდა. რუზველტი გარდაიცვალა, თუმცა სანამ ცოცხალი იყო, კომუნისტობაში ედებოდა ბრალი. ეს მორგენტაუ²⁷ ვინლა იყო? ვილაც უბადრუკი არარაობა! ვინც გადარჩა, სიცოცხლე სურდა. იუდეიანისათვის ალბათ მოიძებნებოდა ადგილი სასოფლო-სამეურნეო კავშირში, შემდეგ კი ვნახოთ, საქმე როგორ წავა, მერე ალბათ ევაც მოეშვეება ფანტაზიორობას. თვითონ ფრიდრიხ ვილჰელმ პფაფრატი, რაც უნდა იყოს, ურყევი ნაციონალისტია, მაგრამ უნდა ვალიაროთ, შეცდომები მართლაც იყო დაშვებული და ყველაფერი ახლა თავიდან უნდა დავიწყოთ. პრუსიამ დიდება თავის მოქალაქეთა კუჭების ხარჯზე მოიპოვა. განა მთელი გერმანიაც იმავე გზას არ ადგა? არა, საქმე დამშევამდე, რასაკვირველია, არ მისულა, ისე ითქვა, ეს ხატოვანი გამოთქმა, ჭკუის სასწავლი ლეგენდაა წარსულ დროზე, როცა მრავალი გაჭირვება ამაყად გადავიტანეთ, რადგან რა იყო შიმშილი, — მხოლოდ ცარიელი კუჭების ყურყური გამცემლობის გამო წაგებული ომების შემდეგ, და მასზე არც ვფიქრობდით, მაგრამ კეთილდღეობა, რომელიც ხელშესახებია და ლეგენდას სრულიადაც არ წარმოადგენს, უნდა გვაფიქრებდეს, მას უნდა ვაფასებდეთ. თუმცა საკითხავია, დაარწმუნებს კი ახალი ყოფა ჩვენს ვაჟიშვილებს, ამ თავგზააბნეულ ცხვრებს, უწესრიგობას რომ ბედნიერად დაუსხლტნენ ხელიდან, შინ დაბრუნდნენ და თავიანთ მამა-პაპასავით განაგრძონ ცხოვრება? გერმანულ ფედერაციას თავისი დემოკრატიული სისუსტენი ახასიათებს, ამას ლაპარაკი არ უნდა, და ჯერჯერობით მათი დაძლევა ძნელი ჩანს, მაგრამ საერთოდ რომ ითქვას, დაპყრობილ ქვეყანაში წესრიგი სუფევს და ყველაფერი საიმისოდ არის შემზადებული, ლაგამი უფრო მაგრად ამოგვდონ. მალე გადაიშლება შორეული პერსპექტივები, არცთუ ცუდი პერსპექტივები და პფაფრატის წარსულიც კარგი მხრით გამოჩნდება, ეს წარსული მას, ეჭვი არ არის, ღირსეულ რეკომენდაციას გაუწევს, რაც შეეხება ვაჟიშვილების უგუნურებას, გაზვიადებისკენ სწრაფვას, მათ მოჩვენებით სინდისის ქენჯნას, — ეს ყველაფერი დროის მოტანილია, დროის დაავადებაა და დროსთანვე ერთად გაივლის, ვითარცა სქესობრივი მომწიფების გაჭიანურებული პერიოდი. ამას რომ ფიქრობდა ფრიდრიხ ვილჰელმ პფაფრატი, მხედველობაში ჰყავდა არა იმდენად ქვისლის შვილი, ადოლფ იუდეიანი, რამდენადაც თავისი უფროსი ვაჟიშვილი ზიგფრიდი, რომელიც მამის ოჯახიდან გაიქცა. უმცროსი ვაჟით, დიტრიხით პფაფრატი კმაყოფილი იყო — იგი ძველგერმანული სულით აღიზარდა, ის ახლა ვანდალი იყო, იმავე სტუდენტურ კორპორაციაში²⁸ შევიდა, რომელშიც მამამისი იყო ერთ დროს, კარგად ათვისა სტუდენტური ყოფაქცევა, გაიჩინა გამოსადეგი ნაცნობები, გამოცდილესათვის ემზადება იურიდიულ დარგში სამოღვაწეოდ, ახლა კი, როგორც ახალ-

გაზრდას შეჰფერის კიდევ, კასინოში ბრძოლის ველის სანახავად წასვლა გულს სიხარულით უვსებს. ზიგფრიდი კი მთლად ამოვარდა კალაპოტიდან. ეშმაკსაც წაუღია მისი თავი, დაე იყოს დირიჟორი, მუსიკოსებსაც ხომ უხდინა მალალ ზელფასს. ფრიდრიხ ვილჰელმ პფაფრატი საქმეში კარგად ჩახედული კაცი იყო და გაგებულე ჰქონდა, ზიგფრიდი რომში იმყოფებო. ეს ამბავი კმეც-მაუწყებლად მიიჩნია, რომ შეიძლებოდა მასთან გულახდილი მოლაპარაკებები შერიგება. ეს, რასაკვირველია, ადვილი არ ჩანდა, რადგან, ხატოვნად რომ ითქვას, ზიგფრიდი ჯერაც ისევ ჰაობში იყო ჩაფლული და მუსიკალური კონგრესის პროგრამასაც სიურრეალიზმის, კულტურ-ბოლშევიზმისა და ზანგური მოდერნიზმის სუნი ასდიოდა. ნუთუ ეს ყმაწვილი ბრმა იყო? ვინ იცის, იქნებ ამგვარად ადიან ცხოვრების კიბეზე დღესდღეობით, როცა ებრაელებმა ფეხი ისევ მოიკიდეს ყველგან და საერთაშორისო მასშტაბით პრემიებსა და დიდებას თვითონ ანაწილებენ? პფაფრატმა ისიც წაიკითხა, ზიგფრიდის სიმფონიას თურმე კიურენბერგი დირიჟორობსო და ეს კაცი გაახსენდა.

— გახსოვს კიურენბერგი, ოცდაათობმეტში ჩვენთან რომ იყო მთავარ დირიჟორად, მერე კი ბერლინში მიიწვიეს? — ჰკითხა მან ცოლს.

— მან ხომ ებრაელ აუფპოიზერზე იქორწინა, — მიუგო ანამ.

— დიახ, და სწორედ მაგის გამო იყო, რომ ბერლინში აღარ მიიღეს და აღარც ჩვენთან შეგვეძლო გაგვეჩერებინა. — პფაფრატს როგორღაც მოეჩვენა, რომ იგი, როგორც პროვინციის ობერპრეზიდენტი — გაულაიტერებს²⁹ მაშინ ჯერ კიდევ არ ჩაეგდოთ ხელში მთელი ძალაუფლება, — კიურენბერგს მხარში ედგა, რამაც ამჟამად გული სიხარულით აუვსო, რადგან ბუნებრივი იყო, თუკი იგი მისი ვაჟიშვილის სიმფონიას დირიჟორობდა და ხალხში გახმაურებას უწყობდა ხელს, მამასაც მადლიერების გრძნობით გაიხსენებდა, ზემოთ კი თავის ოთახ-გალიაში ევა ყურწაგდებული ელოდა, როდის გაიგონებდა და შურისმგებლის ნაბიჯის ხმას.

კარი დატრიალდა, მეკარის ხელი, თეთრ ხელთათმანწამოცმული ხელი, ლაქის ხელი, ჯალათის ხელი, სიკვდილის ხელი აბრუნებდა ამ შესავლელისა და გამოსასვლელის კარუსელს. მოწიწებით აღვისილი დიდად ერთგული მსახურის ხელმა, რომელიც მუდამ მზად არის ნაჩუქარი ფული ჩაიჭიბოს, შეაბრუნა კარი და იუდეიანმა იგრძნო, როგორ გამოისროლეს იგი სასტუმროდან, იმავე წუთს როგორ დაკარგა ხელშეუხებლობა, რასაც ფული და მდგომარეობა ანიჭებდა, გამოისროლეს ძალაუფლების საფარველიდან, რომელიც თუმცა ამჟამად ნათხოვარი, უცხო ქვეყნის „ამასთანავე უცხო რასის ძალაუფლება იყო — გამოუცნობი აღმოსავლური ძალაუფლება, მაგრამ მაინც ძალაუფლება ერქვა სუვერენიტეტისა და საკუთარი აღმის მქონე სახელმწიფო, — გამოისროლეს და მაშინვე უმწეობა იგრძნო. მრავალი წლის შემდეგ ეს პირველად მოხდა, რომ იუდეიანი გარეთ გამოვიდა, როგორც ჩვეულებრივი მოკვდავი მოკვდავთა შორის, გამოვიდა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი, უბადრაგოდ, დაუცველად, შეუიარაღებლად, გამოვიდა, როგორც ერთი ჩვეულებრივი, შავ კოსტიუმჩაცმული ჩასკვნილი ხანდაზმული ბატონი. შეშფოთება ეტყობოდა, რაკი არავინ ყურადღებას არ აქცევდა. ქუჩაში მომავალნი გზას არ უთმობდნენ, ფეხებში ედებოდნენ, ეჯახებოდნენ და აჩქარებით ლუღლუღობდნენ გულგრილ „პარდონს“, მაგრამ ბოდიში და იუდეიანი? რამდენიმე

ნაბიჯი ალაღბედზე გადადგა, საპატიო მანძილს არავინ იცავდა. იუდეიანს შეეძლო სასტუმროში დაბრუნებულიყო, თავისი პატრონის დიპლომატიურ მისიაში დაერეკა და იქიდან არაბულნომრიანი ავტომანქანა გამოეთხოვა. შეეძლო სასტუმროს თეთრხელთათმნიანი მეკარისთვის ენიშნებინა და თავაზიანი ნეკარეც პატარა მწივანა სასტვენით ტაქსის მოუხმობდა. ^{მწივანე} მწივანე კი გაჭიმულები იდგნენ მის წინაშე! თორიგად ჩამწკრივდებოდნენ ხოლმე შავ მუნღირიანები³⁰. ორ მანქანას შუა მოქცეული მისი ავტომანქანა ოცი მეავტომატეს თანხლებით გამოდიოდა გარეთ. ამჟამად ფეხით-სურდა გაეგლო, ან კი რა გასაკვირი იყო ეს სურვილი, მას ხომ ოცდაათი წელიწადია, ქალაქში ფეხით აღარ გაუვლია! როცა ბერლინი ცეცხლწაქიდებულ ჯოჯოხეთად იქცა და მთელი სამყარო იუდეიანზე ნადირობდა, მაშინ კი მოუწია სირბილმა, მტვერშიც იხიხა, დახოცილთა გვამებზეც იცოცა, ნანგრევებშიც იძრომიალა და გადარჩა კიდევ. როგორ გადარჩა? შემთხვევით, იქნებ განგების წყალობით, როგორც მისი ფიურერი იტყოდა ალბათ — დამარცხებული, ბენზინგადასხმული, ნაცრადქცეული, მაგრამ მაინც დაუმარცხებელი, რადგან უკვე იგრძნობოდა ნაციისტური სულის აღორძინება. მაშასადამე, იუდეიანი განგებამ გადაარჩინა და ამ აღთქმულ ქვეყანაში ებრაელებთან კი არ მოაყვანა, არამედ სხვა, შეგვგრემანძმებთან. იუდეიანს აქაც არ უხდებოდა ფეხით სიარული, ხანდახან თუ გაივლ-გამოივლიდა უდაბნოში მოწყობილ საწვრთნელ მოედანზე.

მან წაიფორხილა, ამ ძველმა უშიშარმა ვაჟკაცმა და კინალამ დაეცა, მაგრამ იქვე მოაჯირი იყო და შეეძლო ბელი ჩაეჭიდა. ნაჭელი რკინის ლატნები გრძელი შუბებივით ატყორცნილიყო ზეცისკენ, — სიმბოლო ძალაუფლებისა, სიმდიდრისა და უარყოფისა. ქვაფენილზე უბმაუროდ მოსრიალდა გრძელი ავტომანქანა და შესასვლელთან გაჩერდა. იუდეიანს გააბსენდა, თვითონაც მოსულა ხოლმე ამ შენობასთან, მხნედ, ხმაურითა და ფართიფურთით, სწორედ აქ, შესასვლელთან გაკრული ფირნიში იუწყებოდა, აქ იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო. რასაკვირველია, იუდეიანი ამერიკელებს არა სწევია; იგი მათ არც მიუწვევიათ და მაშინ აქ არც ბრძანდებოდნენ, მაგრამ თურმე ამ შენობაში ყოფილან, ეს დანამდვილებით შეიძლება ითქვას, მაშინ აქ დიდი ფაშისტური ოპერაციები მზადდებოდა, მაგრამ ეს ოპერაციები არასოდეს საკმარისი მაინც არ იყო. რას წარმოადგენდა ეს დუჩე? ფიურერის სანტიმენტალური შემწყნარებლობის ნაყოფს. იუდეიანს სამხრეთელები ეზიზღებოდა. ისინი განსაკუთრებულ ზიზღს აღუძრავდნენ. იუდეიანი ვია ვენეტოზე გამოვიდა; აი ყავახანებიც, აქ სხედან ყველანი, არა მხოლოდ ეს საზიზღარი სამხრეთელები, არამედ სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულებიც ჩამომსხდარან ერთმანეთის გვერდიგვერდ, როგორც ერთ დროს კურფიურსტენდამზე³¹ იცოდნენ, თამაშობენ მშვიდობას მსოფლიოში და ერთმანეთს არწმუნებენ რაღაც სისულელეში. აი ესენი — ეს ფესვებდაწყვეტილი, თავის ერს მოწყვეტილი კოსმოპოლიტები, ეს ოქროს სილის მაძიებლები, ცხოვრობენ რომში, თვითმფრინავებით მოუსვენრად დაეთრევიან აქეთ-იქით, ხარბად ეძებენ თავიანთ საკბილოს ეს გაუმაძღარი ორბები, რომლებიც გერმანულ დისციპლინასა და წესრიგს დაუძვრნენ. იუდეიანს უმეტესად ინგლისური ლაპარაკი ხვდებოდა ყურში, აქ ამერიკელები ბატონობდნენ — ისინი ამ ომის მემკვიდრეები იყვნენ; ესმოდა იტალიური, ფრანგული და სხვა ენებიც, ზოგჯერ გერმანულიც, ძალზე იშვიათად — გერმანელები ცდილობდნენ სხვაგან ნდობა მოეპოვებინათ. და ყველ-

გან ეს წვირიანი ნაძირალები, ებრაელები და მათი მსახურები. ყვითელი ნაღველივით მწარე ლანაღვა-გინება ენის წვერზე ადგა. მუნდირი არავის ეცვა, არავის ეკეთა წარჩინების ნიშანი, ეს იყო ღირსება-პატივყრილთა სამქარო: მხოლოდ აქა-იქ თუ გაივლებდა გასტრონომიული მაღაზიის რომელიმე მოხელის ყაითანშემოვლებული ქრელი ქურთუკი, მაგრამ ეს რომელიმე დასწავლულ მწამულ წითლებში ჩაცმული რომ მიედინება მთელი მსოფლიოს უსაქმურთა ქუჩაზე და თითქოს იერიშით ცდილობს მომრავლებულ მუქთახორათა სამყოფელის აღებას? იქნებ მეწამულ წითლებში გამოწყობილი ჯარის ნაწილები სიმბოლოა სიძლიერისა, სიმბოლოა ძალაუფლებისა? იქნებ ეს წითელ-ოქროსფერი ბრბო ჯოჯინეცას³² სიმღერით მოედინება, რათა აქაურობა გაწმინდოს? მაგრამ არა, ეს მხოლოდ იუდეიანის გაბრიყვება და დაცინვა იყო — წითელი ანაფორები ახალგაზრდა მღვდლების ჩამომხმარ მხრებზე ლაღლაღობდნენ, ხოლო მეწამული ბრბო მწყობრში ჩამდგარი კი არ მიიწევდა წინ, არამედ არეულ-დარეულად მიიჩქაროდა თავის გზაზე; ამეამად იუდეიანს ეჩვენებოდა, თითქოს ეს გასაცოდაცვებული ანაფორიანები ქალებივით მიკუნკულებდნენ, რადგან არ იცოდა, თუ რა ვაჟკაცურად და გაბედულად იხოცებოდნენ მღვდლები ფაშისტური დიქტატურის დროს და, თავისდა საბედნიეროდ, აზრდაც არ მოსდიოდა, ეს წითლოსანი ახალგაზრდები გერმანელი სემინარისტები რომ იყვნენ, თორემ მათი შეხედვა კიდევ უფრო წაუხდენდა ხასიათს.

ვია ვენეტოზე ფული ბატონობდა. მერედა განა იუდეიანს არ ჰქონდა ფული, განა მას არ შეეძლო თავი გამოედო და ის ეყიდა, რასაც სხვები ყიდულობდნენ? რომელიღაც ბარის წინ ყვითელი სკამები დაელაგებინათ, ერთიანად დანჯღრეულები, თითქოს ეს სულელური ნაცოდვილარი დასაჯდომად არც იყო განკუთვნილი, ისე წრიბინებდა, გახლებულ იადონთა გუნდს მოგაგონებდა. ბარმა იუდეიანი თავისკენ მიიზიდა, რადგან ამ დროს მუშტრები არ ჩანდნენ. იუდეიანი გარეთ არ დაჯდა, დანჯღრეულ სკამებს ზიზლით დახედა და ქუჩის მხარეს ფართოდ გაღებულ კარით დარბაზში შევიდა, დახლთან მიდგა, ზედ დაეყრდნო და ლუდი შეუკვთა. რატომღაც დაღლა იგრძნო, ალბათ კლიმატის ბრალია, ასე რომ მოვდუნდიო, გაიფიქრა.

ლილისფერ ფრაკში გამოწყობილმა ლამაზმა მამაკაცმა იუდეიანს ხელებით ანიშნა, თუ ლუდს ფეხზე დგომელა დალევთ, სალაროში ჩეკი აიღეთო.

სალაროში ლაურა იჯდა და იღიმებოდა. მისი საამო ღიმილის ამბავი მთელმა ქუჩამ იცოდა და პატრონე ლაურას სწორედ ამ ღიმილის გამო არ ათავისუფლებდა, რომელიც მთელ ბარს აცისკროვნებდა, როგორღაც მიმზიდველს ხდიდა გარემოს და სალაროს სიხარულის წყაროდ აქცევდა, თუმცა თვითონ ლაურა სულელი იყო და ანგარიშსაც ვერ ახერხებდა. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა? ლაურას არავინ ატყუებდა, რადგან თვით ჰომოსექსუალისტებსაც კი, რომლებიც ამ დაწესებულებაში ღამით ან კვირა საღამოს დაიარებოდნენ, ლაურას მშვიდი ღიმილი საამო საჩუქრად მიაჩნდათ. ამ ღიმილმა იუდეიანზეც მოახდინა შთაბეჭდილება. მაგრამ მას უღმობელოება აბრმავებდა, ამიტომ ვერ გაიგო, რომ ეს ბავშვური არსება, რომელიც აგერ მის წინ იჯდა, ყველაფერ საუკეთესოს იძლეოდა და სამაგიეროდ კი არაფერს ითხოვდა. კარგი ძუკნაა, — გაიფიქრა მან. თვალი შეავლო მის კუნაპეტივით თმას, შავად გალაქულს რომ მიუგავდა, თოჯინის სახეს, რომელსაც სიცოცხლის ნიშანწყალს ღიმილი თუ აძლევდა; შეხედა მის მუქწითელ ტუჩებს, მუქწითელ

ფრჩხილებს და მისი ყიდვა მოუნდა — ამ ფუფუნებისმაუწყებელ ქუჩაზე ხომ მყიდველი უნდა ყოფილიყო კაცი, თუკი უნდოდა, მონად არ მიეჩნიათ. მაგრამ მცირე ხნის შემდეგ იუდეიანმა უმწეობა და უხერხულობა იგრძნო, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, როგორ აეხსნა თავის წადელს. მას ხომ მუნდირი არ ეცვა, გოგონას არ ეშინოდა მისი და ამჟამად მხოლოდ წინა მუცემით ვერ მოახერხებდა ამას. იუდეიანი მზად იყო კარგი ფასი მიეცა, ხოლო ლირებში გადაყვანილი ყოველგვარი თანხა უზარმაზარი ჩანდა; გერმანულად მიმართოს? გოგონა ალბათ ვერ გაუგებდა, იტალიური კი თვითონ არ იცოდა. ინგლისურსაც ცოტას ახერხებდა. მერე ისევ ინგლისურად მიმართა და ლუდის ნაცვლად ვისკი მოითხოვა, დიდი ჭიქა. ლაურამ უაზრო ღიმილით გაუწოდა ჩეკი და ლილისფერფრაკიან ლამაზ მამაკაცს ისეთივე უაზრო ღიმილით იოოეიანზე ანიშნა:

- დიდი ულუფა, ჯორჯ.
- ყინულით?
- არა.
- სოდიით?
- არა.

საუბარი მოკლე იყო. იუდეიანმა ვისკი გადაჰკრა. ბრანდებოდა. მას მხოლოდ ბრძანება შეეძლო. ამ ძუენისათვისაც ვერ მოახერხა ორიოდე თავაზიანი სიტყვის თქმა. იქნებ ეს ძუენა ებრაელია, ამ უცხო ადგილს ებრაელს უცებ რას იცნობ! ახლა ის ისევ პატარა გოტლიბი იყო, მასწავლებლის ბიჭი; ისევ უნდა ესწავლა და გიმნაზიაში ახლაც ჩამორჩენილთა შორის იყო. ახლაც ისე იდგა, როგორც ერთ დროს მამისეულ გადაბრუნებულ და ხელახლად შეკერილ კოსტიუმში გამოწყობილი იდგა კილელ მეზღვაურთა ხალათებში გამოწყობილ მდიდარ ამხანაგთა შორის. კიდევ ხომ არ დაელია ვისკი? დიდი და მდიდარი ლორდები ჩუმად სვამდნენ, ისინი ლოთები იყვნენ და ომი წააგეს. თუმცა სიამოვნებით დაღევდა, მაგრამ იუდეიანმა მეორე ჭიქაზე უარი თქვა — ვაითუ დახლს იქით მჯდარმა ლამაზმა კაცმა და სალაროში ჩამჯდარმა წარმტაცმა გოგონამ დასცინა ამ მუნჯ სტუმარს. მაგრამ ამ მუნჯი სტუმრის შეხედვით რამდენ ადამიანს დაჰკარგვია სამუდამოდ სიცილის ხასიათი? ნება მომეცით ეს გკითხოთ! იუდეიანმა ეს ბარი დაიხსომა. ფიქრობდა: შემდეგ ჩავიგდებ ხელშიო. ლაურა ამაოდ აფლანგავდა თავის ღიმილს მის ფართო ზურგს. ქალი ვერაფრით ხვდებოდა, რომ ეს მუშტარი მკვლელი იყო. იგი ფიქრობდა, — თუ კი მას საერთოდ შეეძლო ფიქრი, ფიქრი მისთვის უცხო ხილი გახლდათ, სამაგიეროდ ვეგეტატიური ოცნება შეეძლო, — მუშტარი ალბათ ოჯახის მამაა, აქ საქმეზეა ჩამოსული, არ იბღინძება, ჩვენთან შემთხვევით შემოიარა, ლურჯი სათვალევებით შთაბეჭდილებას ახდენს, ამ დროს ბარი მოწყენილი დაუხვდა და ჩვენთან კვლავ აღარ შემოივლის. თუ ის კიდევ მოვიდოდა, თუ მისი გულისთვის კვლავ მოვიდოდა და ლაურა შეამჩნევდა, რომ მისი გულისთვის მოვიდა, ლურჯი სათვალევების მიუხედავად მას სიმბატიურად მიიჩნევდა, რადგან სალამობით ბარში თავმოყრილი ჰომოსექსუალისტებისაგან ლაურა გაბეზრებული იყო, ამიტომ ყოველ მამაკაცს მიენდობოდა, რომელსაც ნამდვილად რაღაც მამაკაცური აღმოაჩნდებოდა, თუმცაღა არც ამ ჰომოსექსუალისტების საწინააღმდეგო ჰქონდა რაიმე, პურს ხომ ისინი აკმევდნენ.

პოლოს, როგორც იქნა, იუდეიანი თავისიანებისაკენ გაემართა, ისინი მო-

უთმენლად ელოდნენ მკვდრებით აღმდგარ ვმირს. ქალაქის გეგმა გადაათვალიერა, რომელიც თან ჰქონდა. მიმართულება სწრაფად მოძებნა, ეს არ ესწავლებოდა; გზას არსად დაკარგავდა, არც ტყეში, არც ჭაობსა და უდაბნოში. არც ქალაქის ჯუნგლებში დაიბნეოდა. გაუყვა ვია და პორტა პინჩანას, ჩაუარა ძველ, მაღალ გალავანს, რომლის იქით, ეტყობოდა, დარღვეული დაზარდილი ბაღი გაშლილიყო, იგი ალბათ რომელიმე მდიდარ არისტოკრატს ეკუთვნოდა, მეფის რომელიმე დამქაშს, იმათგანს, დუჩე რომ გასცეს. თბილოდა და ჰაერში წვიმის სუნი იგრძნობოდა. ჭარმა დაუბერა, კორიანტელი დააყენა და იუდეიანი ისე დაშოლტა, თითქოს ელექტროშნაპი ყოფილიყო. გალავანზე განცხადებები იყო გაკრული. იუწყებოდნენ არმიაში ახალი გაწვევის შესახებ. ფიზიკურად დაკნინებულთათვის, რასაკვირველია ეს სასარგებლო იყო. მათთვის იარაღზე ძია სემი ზრუნავდა, მაგრამ გერმანელი ინსტრუქტორები მაინც სჭირდებოდათ. მათ გარეშე ყოველი დოლარი წყალში იყო გადაგდებული. იქნებ ძია სემს ანგარიში აღარ შეეძლო? კომუნისტური პარტიის წითელი პლაკატი ჩირაღდანით ენთო. ის ღამე გაახსენდა, რაიხსტაგი რომ დაიწვა. ო, ენთუზიაზმი იგრძნობოდა მაშინ! როგორც იქნა! იწყებოდა ახალი ეპოქა! ეპოქა უგოეთეოდ! ნეტავ ამ რუსულ-რომაულ კომუნას რა და სურდა? იუდეიანს არ შეეძლო ტექსტის ამოკითხვა. ან კი რა საჭიროა მისი წაკითხვა? იგი დახვრეტის მომხრეა. აი ამ კედელთან უნდა მიაყენო ისინი. მათ ლისტერფელდში ხვრეტდნენ. მხოლოდ როტფრონტელებს კი არა, ხვრეტდნენ სხვებსაც. იუდეიანიც ესროდა მათ გასართობად. ვინ თქვა, ადამიანები ერთმანეთის ძმები არიანო? ვინა და გულნამცეცა კაცუნებმა, რომლებიც ჰველაფრიდან გამოჩინდნენ ელიან! ნეტავ რა იქნებოდა, მაშინ რომ მოსკოვთან მჭიდრო კავშირი დაგვემყარებინა? მოსკოვში ხომ კაცუნები არ ისხდნენ. რა იქნებოდა, ყოვლისმომცველი პაქტი დადებულყო სტალინსა და ჰიტლერს შორის? ამ ფიქრებისგან იუდეიანს თავი ასტკივდა. ეხ, რა შესაძლებლობანი დაკარგეს! იქნებ სამუდამოდ არც დაუკარგავთ? იქნებ ერთ მშვენიერ დილით ისევ ომახიანად შესძახონ: „მთელი სამყარო ჩვენი იქნება!“

კვირა დღეს კვლავ დაუნიშნიათ გადარბენა რომი-ნეაპოლი, ნეაპოლი-რომი. გლადიატორთა ბრძოლა სუსტნერვებიანთათვის. რა ერქვა იმ სატევრითა და ბადით მებრძოლს, ან იმ მახვილით მებრძოლს? ცირკში გერმანელები გარეულ მხეცებს ებრძოდნენ. მაგრამ გერმანელები ძალზე გულკეთილები იყვნენ, ამიტომ სხვებმა ეშმაკობით აჯობეს. თეთრ ქალაღზე შავი ჯვრით დაწერილი იყო საეკლესიო განკარგულება. ეკლესია მუდამ იმარჯვებდა. მღვდლები მუდამ წინდახედულად რჩებოდნენ ჩრდილში. ჯობდა ნარი სხვას ეგლიჯა. ომის შემდეგ კი თავიანთ პარტიას ქმნიდნენ. მძარცველები! ჯიუ-ჯიცუს მცოდნე იეზუიტები! მწვანე აქციები. „ოლიო სასო“³³. მთელი ამბავი, ეტყობა, ნავთობს ეხებოდა. ომი? მობილიზაცია? ჯერ არა, არც მალე იქნება. ვერავინ ბედავს. მხოლოდ პატარ-პატარა წვრთნა და ვარჯიშები თუ ეწყობოდა საცდელ მინდვრებსა, უდაბნოებსა, ჯუნგლებსა და შორეულ რაიონებში. როგორც ერთ დროს ხდებოდა ესპანეთში. ერთი მდიდრული შემოსავლიანი სახლის პირველ სართულზე კოიოტმა დაიდო ბინა და მსხვერპლს თავისკენ იტყუებდა. კოიოტი პრერიების მგელია: იუდეიანს კარლ მაი³⁴ გაახსენდა. აქ კოიოტი „ამერიკენ ბარი“ იყო. მისი კარის თითბერი ლაპლაპებდა, თვით ბარი არისტოკრატული და ჭკირი ჩანდა. იუდეიანს ბევრი ფული ჰქონდა, მაგრამ ბარში შესვლა მაინც ვერ

გაბედა. სწყუროდა, მაგრამ კოიოტებთან ვერ შებედა. რატომ ვერ შებედა? პატარა ვოტლიბი გადაეხიდა გზაზე და მხოლოდ სამხედრო მუნდირით შეეძლო მისი ჩამოცილება. გზა განაგრძო. დაინახა ფია ჩეტერიო³⁶. იქ ჩალაშე-მოწნული ბოთლების მთელი გორა აღმართულიყო, იატაკი ღვინით იყო დასველებული. აქ ხალხი სვამდა. ხალხისა არ უნდა გეშინოდეს, კვლავ შეიძლება შენს ნებაზე მართო, მასთან ლაპარაკი საჭირო არაა. მას მსხვერპლად დასწირავენ. ფიურერი ხალხზე მალლა იდგა. იუდეიანმა კიანტი³⁶ მოითხოვა. ერთბაშად გადახუნა. ღვინომ გაამხნევა, მეორე ჭიქაც მოითხოვა. გემო არ მოეწონა, მაგრამ კარგად მომაგრდა. მტკიცე ნაბიჯით მიადწია ეკლესია ტრინიტა დელ-მონტის წინ გაშლილ ცნობილ მოედანს. ეკლესიას ორი წვეტიანი კოშკი ჰქონდა. ეკლესიის კიბეებზე იდგნენ მონასტერ „წმინდა გულის“ მონაზვნები. იუდეიანს გული აურია მათმა გრძელმა ტანსაცმელმა, წამოსასხამებმა. ნამდვილი ჯადოქრებია!

აი იგი ესპანეთის მოედნისაკენ ჩამავალ კიბესთან დგას, მის წინ რომი გადაშლილა, უკან კი წმინდა პეტრეს უზარმაზარი გუმბათი აღმართულა — ეს ძველი მტერი. ის არ დაუნგრევიათ, არც არავინ გაუნადგურებიათ. ლალატის წყალობით პარტია წაგებით დასრულდა. ყველა კოზირი ფიურერის ხელთ იყო, მაგრამ ბოროტმა გნომებმა გამოსტაცეს, ბრძანებებს არ ასრულებდნენ — მხოლოდ იუდეიანი ასრულებდა ყოველ ბრძანებას. საქმე ყოველთვის ბოლომდე მიჰყავდა. ვითომ ყველგან ასე ბოლომდე მიჰყავდა? სამწუხაროდ, არა, როგორც ჩანს, არსად. ჰიდრას ცხრაზე მეტი თავი ჰქონია, მილიონი და არა ცხრა. აბა ერთი იუდეიანი რას აუვიდოდა. ამიტომაც იყო, რომ ომიდან გამარჯვებული კი არ დაბრუნდა, არამედ გამათხოვრებული, უსახელო. თავისდაუნებურად ხელი მოაჯირს ჩაავლო, თითები დაშლილ ქვას ჩასჭიდა, ტკივილმა გული გაუთანგა. მის თვალწინ რომი თითქოს აცურდა, თითქოს ქვები გადნა და ზღვად იქცა, ხოლო წმინდა პეტრეს გუმბათი გასაბერ ბუშტს დაემსგავსა აღელვებულ ზღვაზე. იუდეიანს ქვითინი აუვარდა და მთელი ტანით აცახცახდა. ლაყვარდისფრად თმაშეღებულმა ხანდაზმულმა არისტოკრატმა ქალმა ქოლგა მარადიული ქალაქის წინ გაშლილ პანორამისაკენ გაიქნია და წამოიძახა: *Isn't it wonder ful?*³⁷ ტრინიტა დელ მონტის მარცხენა კოშკიდან ზარის რეკვა მოისმა.

იუდეიანი ქვემოთ დაეშვა, დაეშვა ესპანეთის მოედნისაკენ, დაეშვა წარმტაცი იტალიისაკენ, უსაქმური ხალხისაკენ, რომელიც აქვე კიბეზევე ჩამომსხდარიყო, დაწოლილიყო, მიეძინა, თამაშობდა, კითხულობდა, სწავლობდა, მხიარულად საუბრობდა, დაობდა და ხვევანა-კოცნაში გართულიყო. ვიღაც ბიჭმა იუდეიანს სიმინდი შესთავაზა. შემწვარი ყვითელი მარცვლები. მან ამ უცხოელს, ჩრდილოელ ბარბაროსს ბოლოებწვეტიანი პარკი გაუწოდა და თავაზიანად შეაპარა „cento Lire“³⁸ იუდეიანმა პარკს ხელი ჰკრა, მარცვლები კიბეზე დაიბნა და ზედ ფეხით შედგა. იუდეიანს ეს თავისდაუნებურად მოუვიდა, მოუხეშაობის გამო. სიამოვნებით მიბეგვავდა ახლა ამ ბიჭს.

მოედანზე გადაიარა და ხვნეშა-ხვნეშით ვია ფონდოტის მიადწია. ტროტუარი ვიწრო იყო. ამ სავაჭრო ქუჩაზე ჯგლეთა გაემართათ. იჯგლითებოდნენ ვიტრინის წინ, იჯგლითებოდნენ სიარულისას, იუდეიანიც მუჯლუგუნებით იცოლებდა მოსიარულეებს, მასაც ჰკრავდნენ მუჯლუგუნებს, უკვირდა, როგორ

თუ გზას არ მიტოვებენო, გზიდან არავინ შეცლებათ. ისიც უკვირდა, მუჯლუ-
გუნებს როგორ მკრავენო.

იგი მეორე შუკას ეძებდა, ეძებდა გეგმის მიხედვით, მაგრამ ვითომ მარ-
თლა ეძებდა? ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს მთელი იმ წლების მანძილზე,
რომლებიც უდაბნოს დასალიერში გაატარა, ნარკოზი ჰქონდა მიღებული, მა-
შინ არავითარი ტკავილი არ უგრძენია, მაგრამ ახლა გრძნობდა თქვენი ცეცხლად,
რალაც სტკიოდა და ამცივებდა, გრძნობდა იმ დარტყმებისგან დანატოვარ
ნაჭრილობეებს, რომლებმაც მას მთავარი ნაწილი ჩამოასხიპეს და უბრალო
ნარჩენად აქციეს, რომლებმაც ეს ნარჩენი მთლიანად გამოასალმეს თავის
უწინდელ ძალაუფლებას. რაღა იყო ახლა? თავისი თავის აჩრდილი. აღსდგე-
ბოდა მკვდრეთით თუ უდაბნოს ლანდად დარჩებოდა, რომელიც სამშობლოს
ილუსტრირებულ გაზეთებში მოჩვენებასავით გაიფლავებდა? იუდეიანს არ ეში-
ნოდა. წინ აღდგომოდა მთელ მსოფლიოს. რა სურდა მისგან სამყაროს? დე-
მოფიდეს, მოვიდეს პატოსნების ნიღაბს ამოფარებული: თავისი გამყიდვე-
ლობით, მურდალი, მტაცებლური უნით აღვსილი სამყარო კმაყოფილი უნდა
ყოფილიყო, რაკი იუდეიანისთანა ჯეღლები ჰყავდა. იუდეიანს ჩამოხრჩობისა
არ ეშინოდა: მას ეშინოდა სიციცხლისა. ეშინოდა იმისა, რომ ცხოვრებას აზრი
დაეშრიტა, რაკი ბრძანებებს აღარავინ იძლეოდა, და ასეთ გარემოში უნდა
ეცხოვრა; პასუხისმგებლობა აწვა, რაც უფრო მაღლა იწევდა, პასუხისმგებ-
ლობაც იზრდებოდა, პასუხისმგებლობას კი არასოდეს დაუჯაბნია, მაგრამ
მისი სიტყვები „პასუხისმგებლობას მე ვკისრულობ“ ან „ამაზე პასუხს მე ვა-
გებ“ — ცარიელი ფრაზები იყო, ფრაზები, რომლებიც მას თრობასა ჰგვრიდა,
რადგან სინამდვილეში იგი ყოველთვის სხვას ემორჩილებოდა. დიდი ძალა-
უფლებით იყო იუდეიანი აღჭურვილი, ამ ძალაუფლების ფასი გაიგო, მაგრამ
მისით რომ დამტკბარიყო, უფლებების შეზღუდვა სჭირდებოდა, სჭირდებოდა
ფიურერი, როგორც სიძლიერის, ხილული ღმერთის განსახიერება, როგორც
მბრძანებელი, ვისაც დაიმოწმებდა ქვეყნის შემოქმედისა, კაცისა და ეშმაკის
წინაშე: მე მხოლოდ ვილაცას ვემორჩილებოდი, მხოლოდ ბრძანებებს ვასრუ-
ლებდიო. მაშასადამე, სინდისი ჰქონდა? არა, მხოლოდ შიში თუ გააჩნდა.
ეშინოდა, ვაითუ გამიგონ, რომ პატარა გოტლიბი ვარ და თავი კი დიდ ვინმედ
წარმოვიდგინეო. იუდეიანს ჩაესმოდა ხმა, არა, ღვთისა კი არა, არც სინდისისა,
ეს იყო უღონო ხმა მშიერი და პროგრესში დარწმუნებული მამისა, სკოლის
მასწავლებლის ხმა, რომელიც ეჩურჩულებოდა: უგუნური ხარ, ვაკვეთილები
არ გისწავლია, ცუდი მოსწავლე ხარ, ჰაერით გაბერილი ნულიო. ამიტომაც
კარგს შვრებოდა, რომ მუდამ უფრო ძლიერის ჩრდილს ეფარებოდა, რომ თა-
ნამგზავრი იყო, ბრწყინვალე თანავარსკვლავედის თანამგზავრი და აქამდე ვერ
გაეგო, რომ ისიც, ვისაც იგი მზედ თვლიდა, ვისგანაც სინათლესა და კვლის
უფლებას იღებდა, მხოლოდ მატყუარა, ცუდი მოსწავლე და პატარა გოტლი-
ბი იყო, მაგრამ ამავე დროს იყო ავსულის მიერ შერჩეული იარაღი, მაგი-
ური ნული, ერის ქიმერა, საპნის ბუშტი, რომელიც ბოლოს და ბოლოს გასკდა
კიდეც.

იუდეიანმა კუჭის ამოყორვის მწვავე სურვილი იგრძნო. ჯერ კიდევ მოხა-
ლისეთა კორპუსში ყოფნის დროს მოუვლიდა ხოლმე გაუმადრობა. ასეთ
დროს თითქოს სამიზნეს ზედიზედ ურტყამსო, კოვზით გაცხარებული ანადგუ-
რებდა ცერცვიან გულიაშს და მუცელს ივსებდა. იმ შუკას რომ მიუახლოვდა,

რომელსაც ეძებდა, საჭმელების სუნი ეცა. სასაუზმის მეპატრონეს ვიტრინაში ათასნაირი საჭმელი გამოეფინა. იუდეიანი სასაუზმეში შევიდა და შემწვარი ღვიძლი მოითხოვა, რომელთანაც იღო წარწერა „fritto scelto“. იუდეიანმა მოითხოვა სწორედ ის ღვიძლი, რომელთანაც ეს წარწერა „fritto scelto“ იყო, თუმცა წარწერა ნიშნავდა „არჩევანის მიხედვით“. მაგრამ იუდეიანმა უგეს, არც ბოლომდე მოუსმინეს და ცომსა და ზეთში შემწვარ ღვიძლის წვრილი მოლუსკები მიართვეს. იუდეიანმა ისინი მაშინვე გადაყლაპა, გემოთი შემწვარ ჭიკაყელას წააგავდნენ და შეზარა. გრძნობდა, როგორ აუფუთფუთდა მძიმე სხეულში ჭიკაყელები, ცხადად განიცდიდა საკუთარი სხეულის ხრწნას, მაგრამ რათა სხეულის რღვევას წინ აღდგომოდა, საშინელი ზიზღის მიუხედავად მორთმეული საჭმელი მთლად გადაყლაპა. შემდეგ ზედ ლიტრის მეოთხედი ღვინო დააყოლა, ესეც ზეზეულად და უკვე წასვლაც შეიძლებოდა.

სულ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და აგერ ის სასტუმროც, რომელიც მის თანამემამულეებსა და ოჯახს ესოდენ მოსწონდათ. სასტუმროს წინ ჩამწკრივებულიყო გერმანული „D“ ასოთი აღნიშნული ავტომანქანები. იუდეიანმა თვალი შეავლო გერმანიის აღზევების სიმბოლოს, გერმანული ეკონომიკური სასწაულის უღარუნას. ამან მასზე შთამაგონებლად იმოქმედა. მიიზიდა. იქნებ მივიდეს მათთან, ქუსლები ერთმანეთს შემოჰკრას და უპატაკოს: გამოვცხადდი თქვენს განკარგულებაშიო. ისინი ხელებგაშლილი მიიღებენ. გაშლიან კი ხელებს, ჩაიკრავენ კი გულში? ეს გაკრიალებული ავტომანქანები იუდეიანს გულს უმღვრევდა. ის ამბავი, რომ ტოტალური ომის, ტოტალური ბრძოლისა და ტოტალური დამარცხების შემდეგ ცხოვრება კვლავ გრძელდებოდა, კეთილი, მაძღრისი და ჩინებულად აწყობილი ცხოვრება კვლავ გრძელდებოდა და ხელახალ აღმავლობასაც განიცდიდა, იყო და არის ღალატი, ღალატი ფიურერის მიზნებისა, წინასწარჭვრეტისა და ანდერძისა, ეს იყო და არის სამარცხვინო თანამშრომლობა ძველისძველ დასავლეთელ მტრებთან, რომლებმაც გერმანული სისხლი, გერმანელი ჯარისკაცი აღმოსავლელი მტრების წინააღმდეგ გამოიყენეს ეშმაკურად მოპოვებული გამარჯვებისათვის. ახლა როგორღა მოიქცეს? სასტუმროში უკვე სინათლე აანთეს, სარკმლები ზედიზედ ნათდებოდა: ერთ-ერთის იქით ევა იჯდა და იცდიდა. იმ წერილების შემდეგ, რომლებიც მიანიშნებდნენ რაღაც გაურკვეველი, გულსატკენი ცვლილებების, დაცემისა და სირცხვილის შესახებ, ნუთუ კიდევ უნდა ჰქონდეს იმის იმედი, რომ აქ თავის ვაჟიშვილ ადოლფსაც შეხვდება? ნეტავ, ღირდა თუ არა შინ დაბრუნება? უდაბნოსკენ გზა ჯერაც თავისუფალი იყო. გერმანიის მოქალაქეობის ბადეში ძველი მებრძოლი ჯერაც არ მოქცეულიყო. წარმოიდგინა, როგორი დაეჭვებით, გაუბედავად გადააბიჯა კარის ზღურბლს, დარბაზში სუფრა იყო გაშლილი, დაინახა გერმანელი მამაკაცები, მათ შორის თავისი ქვისლი ფრიდრიხ ვილჰელმ პფაფრატიც იყო, პფაფრატი ცოტათი შეცვლილიყო, გერმანელი მამაკაცები პირისპირ ისხდნენ, როგორც ამას გერმანული წესი და ადათი მოითხოვდა, ხელში სასმისები ეჭირათ, არა, ეს ქერის ლუდით სავსე კათხა არ იყო, სასმისებში რაღაც უცხოური თხლე ესხა, მაგრამ განა თვითონ იუდეიანი არ სვამს ამგვარ თხლესა და სხვადასხვა ღურღოს—სხვა ქვეყანაში ვერ იქნები ძლიერ მომთხოვნი. გერმანელი მამაკაცები ჯანსაღი და ჯანღონიერნი იყვნენ, ისინი მღეროდნენ — „ღმერთია ჩვენი მტკიცე სიმაგრე“. უცბად

მან იგრძნო, ვილაც თვალს ადევნებდა, ისინი კი არა, ვინც მღეროდნენ, ვილაც უმზერდა კარიდან, უმზერდა დაუინებით, მუდარით, სასოწარკვეთით.

როცა ზიგფრიდმა ფართო აულაგებელი საწოლი დაინახა, არ შემკრთალა, მაგრამ დაიბნა, თუმცა ამოდ ცდილობდა არ შეეხედა, საწოლი მანქანის-კენ იზიდავდა მის მზერას, ცოლ-ქმრის ფართო საწოლი ძალუძად გაფაფხულიყო ვრცელ ოთახში, საქმიანი და ურცხვი, თუმცა არა ავხორცული, მაგრამ ურცხვი, და სუფთა ზეწრით ცივად და ნათლად ააშკარავებდა თავის დანიშნულებას, რომლის დაფარვა არც არავის სურდა, და იმასაც, რომ ზედ ღრმად და ჯანსილი ძილით ეძინათ.

ერთბაშად მივხვდი, რომ კიურენბერგებმა ბევრად გამისწრეს, ისინი ისეთები იყვნენ, მე რომ მსურდა ვყოფილიყავი, იყვნენ უცოდველნი, ძველი და ამავე დროს ახალი ყაიდის ადამიანები, ანტიკურნი და ავანგარდულნი, იყვნენ ქრისტიანობის წინა და შემდგომი დროის ადამიანები, ბერძენ-რომაელი მოქალაქეები და თვითმფრინავით მოგზაურები, იყვნენ სუფთა, შესწავლილი, გონივრულად მოვლილ ორგანიზმებში განსხეულებულები; ისინი იყვნენ მოგზაურები, რომლებიც ამ მოუწყობელ სამყაროში მყუდროდ მოეწყვნენ და სამყაროთი ხარობდნენ.

კიურენბერგი მოხეტიალე ცხოვრებას შეეგუა. პერანგსა და თეთრი ტილოს შარვალში გამოწყობილს, რეზინის წინსაფარი აეფარებინა და ორ მაგიდას შორის ტრიალებდა, რომლებიც სასტუმროს ადმინისტრაციამ ოთახში შეუტანა; საკუთარ თავს ვკითხე, ნეტავ როგორ მოახერხა ამ საკითხზე დირექციასთან შეთანხმება-მეთქი, რადგან საჭირო იყო განსაკუთრებული დამცველების დაყენება, შტეტსგლებში წარამარა აერთებდა სამ და ოთხკონტაქტიან ჩამრთველებს, ერთმანეთში გველებივით ჩახლართული დენის ზონრები მბზინვარე ელექტროხელსაწყობებისაკენ მიემართებოდნენ. ეს შესაწავი ცხაურები, საცხობი თალფაქები, ინფრაწითელი გამომსხივებლები, ორთქლის ქვაბები, სწრაფმადულებლები შეადგენდა სრულყოფილ მოძრავ სამზარეულოს, მას სიამოვნებას ანიჭებდა და ყველგან თან დაჰქონდა. ამ სამზარეულოთი ამზადებდა იგი სადილს, რომელზეც მე მომიწვია. საჭმელს ურევდა, გემოს უსინჯავდა, თქვეფდა, კმაზავდა და ამ საქმიანობის დროს მამაკაცურ სახეზე მტკიცე და სერიოზული იერი ედო; მისმა სიღინჯემ ჩემზე საამო შთაბეჭდილება დასტოვა. ფრაუ კიურენბერგმა ხელი გამომიწოდა და ორიოდე თავაზიანი სიტყვა მითხრა:

— როგორ მოგწონთ რომი? პირველად ხართ აქ?

ამ ორმა პატარა წინადადებაში ისე გაიხშიანა, მერცხალმა რომ იცის, როცა მიწისპირად გაიქროლებს ხოლმე, თან მაგიდის გაშლას შეუდგა, აქეთ-იქით მიმობოდა, მერე სააბაზანოში შევიდა, კარი ღია დატოვა, ჭიქებს წყალი გამოავლო, ლარნაკში ყვავილები ჩააწყო და ღვინის ბოთლები მოშვებული ონკანის ქვეშ შეალაგა.

არც მე მსურდა უსაქმოდ ვმდგარიყავი. რა გიშველოთ-მეთქი, ვკითხე კიურენბერგს და მან ხელებში ჯამი, სახეხი და ერთი ნაჭერი პარმეზანი³⁹ მომაჩეჩა და მისი გახეხვა დამავალა. პირველად ყველი კენჭებივით მაგარ ნამტვრევებად იფშვნებოდა და ჯამში ცვიოდა, ამიტომ კიურენბერგმა მიჩვენა, როგორც უნდა გამეხეხა და მერე მკითხა, ნუთუ დედას სამზარეულოში არა შეე-

ლოდიო ხოლმეთ? არა-მეთქი, მივუგე მე და გამახსენდა ჩვენი დიდი ცივი სამზარეულო, რომლის ქვის იატაკი წარამარა წმენდის გამო სულ სველი იყო, ხოლო ფორმიანი შიკრიკებისა და ჩვენი მოახლე ქალების მგვობართი ჩექმები, მუდამ უხეში, აუტანლად დაუდევარი დამლაგებლების გულის საკლავად, ისევ და ისევ აჩნევდნენ ჭუჭყიან ნაკვალევს სველ, სარკესავით მოწყობილ ქვის ფილებზე.

— თქვენ საიდან ხართ? — მკითხა კიურენბერგმა.

მე დავუსახელე ის ადგილი, საიდანაც ვიყავი და ის იყო უნდა დამემატე-ბინა, მასთან იქ დაბადების გარდა სხვა არაფერი მაკავშირებს-მეთქი, რომ კიურენბერგმა გაოცებით შემომხედა.

— ილზეც ხომ იმავე ქალაქიდანაა! — შესძახა მან.

ქალმაც, რომელიც ჭიქას წმენდდა, ჩემკენ მოიხედა, მაგრამ როგორღაც ჩემს იქით იყურებოდა და მომეჩვენა, თითქოს იგი ხედავდა ხეივანს, იმ ადრინდელ ხეივანს, რომელზეც რამდენიმე კაფე და ხეები იყო გამწკრივებული. ახლა ისინი გადამწვარია, კაფეები კი შეიძლება ხელახლა ააგეს კიდევ და ხალხი მათ წინ მზეში გამოფენილა, შეიძლება საჩრდილებლებქვეშაც სხედან, რაკი ხეები გადამწვარია. ვინ იცის, იქნება ახალი ხეებიც დარგეს, სწრაფად მზარდი ჩინარები. ალბათ ისიც ყველაფერს ამას ისევე მკაფიოდ ხედავს, როგორც მე, რეალურად და ცოტა გულშეძრული: ნეტავ თუ იცის, ხეები რომ გადამწვარია? მინდოდა ეს მეკითხა, მაგრამ გავიდა, რალაც საქმეზე კვლავ სააბაზანოში შევიდა. კიურენბერგი რომელიღაც სოუსის თქვეფას შეუღვა და მე შეეამჩნიე, რომ მას გულისყური როგორღაც გაეფანტა, გუნება წაუხდა; თვალის სააბაზანოსაკენ გააბარა, თითქოს სურდა დარწმუნებულიყო, ცოლი რომ იქ იყო და შემდეგ თქვა:

— მე თქვენი ქალაქის თეატრში ვმუშაობდი. კარგი ორკესტრი ჰყავდა, კარგი ხმები, შენობაც ჩინებული იყო.

— თეატრი დაინგრა, — მივუგე მე, — ახლა კლუბში მართავენ წარმოდგენებს.

მან თავი დააქნია, სოუსი მზად იყო. მან თქვა:

— იქ იყო ობერპრეზიდენტი, თქვენსავით პფაფრატი, თქვენი ნათესავი ხომ არ იყო?

— მაშაა ჩემი, ამჟამად ბურგომისტრია, — ვთქვი მე.

იგი აქაფქაფებული ქოთნისკენ დაიხარა და მერე ილზეს გასძახა:

— ჩქარა, დიდი საცერი მომიტანე!

ქალმა სააბაზანოდან ისეთივე მკვიდრად ნაქსოვი საცერი გამოიტანა, როგორც თვითონ იყო და კიურენბერგმა ზედ ბრინჯი მოაპირქვა, აოხშივრებული ბრინჯი სააბაზანოსაკენ გააქანა, ცივი წყალი მიუშვა, შემდეგ დასაწურად რამდენჯერმე დაიქნია და ბრინჯის მარცვლები რომ კარგად გაფუებულიყო და ისევ გამთბარიყო, საცერი ცხელ ქოთანზე დადგა და კვლივ მე მომიბრუნდა: ბატავიური რეცეპტია, ბრინჯი კარგადაც იხარშება და მარცვლოვანიც რჩება.

ცოლ-ქმარი ბევრს მოგზაურობდნენ, კიურენბერგი ყველგან დირიჟორობდა და ორივენი მოხეტიალე ცხოვრებას მიეჩვივნენ, მათ არ ჰქონდათ სახლი, არ ჰქონდათ მუდმივი საცხოვრებელი, ჰქონდათ მხოლოდ ჩემოდნები, დიდი, ლამაზი ჩემოდნები და იმის მსგავსი სასტუმროს ოთახი, რომელშიც ამჟამად

მე ვიდექი. ახლა კი მივხვდა, კიურენბერგებს უფრო ადრე ვიცნობდი, ვიდრე მეგონა. მაშინ, რასაკვირთველია, არ შეგეძლო ეს მცოდნოდა, რადგან ბავშვი კიყავი და ამ მოვლენათა გააზრებას ვერ მოვახერხებდი, მაგრამ ახლა კვლავ ყველაფერი თვალწინ ისე წარმომიდგა, თითქოს დღეს ხდებოდა: მამაჩემი კიურენბერგს გარეთ მიაცილებს, მე იატაკზე ვთამაშობ. როცა მამაჩემი კიურენბერგის გასვლის შემდეგ კარა მიხურა და შემობრუნდა, შევამჩინე, სახე გასწითლებოდა, გაბრაზებული იყო, მე შემომიტიია, აჭ რას თამაშობთ, მერე დედაჩემთან ვავიდა, მეც უკან მივყევი, რადგან არ ვიცოდი ამ დიდ სახლში სად წავსულიყავი, ამას გარდა ცნობის მოყვარეობამაც წამძლია, თუმცა ვიცოდი, მამა ახლაც ცუდ ხასიათზე იყო, როგორც საერთოდ ხდებოდა, როცა ვინმე დახმარებას სთხოვდა. როგორც ჩანდა, ჩვენი ქალაქის მცხოვრებლები მას ცუდად იცნობდნენ, რადგან იმ დროს მამაჩემს ხშირად სთხოვდნენ ხოლმე დახმარებას, მაგრამ ის სულაც არ ფიქრობდა იმ განწირულებისათვის თავის გამოდებას, იმიტომ კი არა, რომ სჩუღდა, არა, შეშლილი ხომ არ იყო, მაგრამ არც თანაუგრძნობდა, აი ასეთი კაცი გახლდათ. ახლა კი, როცა ისინი კეთროვნებად გამოაცხადეს, მათი ეშინოდა, თითქოს მართლა კეთროვნები იყვნენ. პირველ რიგში მაინც იუდეიანისა ეშინოდა, ახლაც მკაფიოდ ჩამესმა, როგორ უთხრა მაშინ დედაჩემს: „ჩვენი მთავარი დირიჟორი იყო ჩემთან, — ყოველთვის მაღალფარდოვნად უყვარდა ლაპარაკი, ტიტულები შთაბეჭდილებას ახდენდა მასზე, — და სიამამია, ბებერი აუფჰოიზერის გათავისუფლება მთხოვა. მე ვურჩიე, ჯობს საკუთარ კარიერაზე იფიქროთ და ცოლთან განქორწინდეთ-მეთქი.

ამ დროს მამამ შევამჩნია და გაბრაზებულმა გამომავდო. ჩემთვის ახლა გახდა ნათელი, რომ მოხუცი აუფჰოიზერი მაშინ პირველად იყო დაპატიმრებული, ეს მაშინ მოხდა, ებრაელებს პირველად რომ გამოუცხადეს ბოიკოტი, აუფჰოიზერის სავაჭრო სახლი კი მეორე, დიდი ბოიკოტის დროს გადაწვეს ფაშისტებმა. მაშინ იუნკერთა სკოლაში არდადეგები გვქონდა და ვნახე, როგორ იწეოდა სახლი, პირველად იყო, ასეთ თვალისმომჭრელ ხანძარს რომ ვხედავდი, აუფჰოიზერი ისევ დაპატიმრებული იყო, მამაჩემი კი სადილად მსხდართ წვნიანს გვისხამდა — ხანდახან უყვარდა ხოლმე ასეთი პატრიარქალური ამბები. რეპროდუქტორიდან პირზე დუფემორეულები გაჰკიოდნენ გერინგი და გებელსი, და დედაჩემმა თქვა:

— რა სამწუხაროა, რომ ამდენი მშვენიერი რამ დაიწვა.

მოხუცი აუფჰოიზერი ისევ ციხეში იჯდა და მე მისი ბიბლიოთეკის ქექვას შევუდექი — წიგნები ჰიტლერიუგენდის ბინის სხვენზე იყო დახორავებული, ეტყობა, იქ ვილაცამ გადაიტანა, მერე კი მიივიწყა. აუფჰოიზერი ბიბლიოფილი იყო და მის წიგნებში აღმოვაჩინე კლასიკოსებისა და რომანტიკოსების პირველი გამოცემები, ძველი ავტორების იშვიათი გერმანული და ლათინური გამოცემები, ენციკლოპედიების პირველი გამოცემები, ძმები მანების, ჰოფმანსტალის, რილკეს, გეორგეს ნაწარმოებები აკინძული და უღებში ჩასმული ჟურნალები „ბლეტერ ფიურ დი კუნსტ“ და „ნოიე რუნდშაუ“, პირველი მსოფლიო ომის ლიტერატურა, ექსპრესიონისტები, კაფკა. ზოგიერთი რამ მოვიპარე და წამოვიღე, მერე კი, მოგვიანებით, რაც იქ დარჩა, ყველაფერი დაიწვა, ბომბებმა ჰიტლერიუგენდის საერთო საცხოვრებელთან ერთად ნაყარტუტად აქცია, პატიმარი აუფჰოიზერიც მოკლეს... მაშ ეს ილზე მისი ქა-

ლიწვილია: როგორ შემეხედა მისთვის სახეში? სად დაჰქროდნენ ჩემი ფიქრები? ისინი ჭიუტობდნენ და არ უნდოდათ დასკვნების გამოტანა. ისინი ძვარნახობდნენ: ილზე კარგადაა თავშენახული, ალბათ რომელიმე გონიერი, მაგრამ სახეზე ერთი ნაოჭი არა აქვს. ფიქრები თავისას განაგრძობდნენ: აუფ-ჰოიზერები მდიდრები იყვნენ, ნეტავ ზარალი თუ აუნახლავს? შემდეგ: კიურენბერგს მის ქონებაზე არ უქორწინებია, ეს ბევრად უფრო გვიან მოხდა, ის ბოროტებას აღუდგა წინ. შემდეგ: მათ უყვართ ერთმანეთი, ერთგულად უდგხენ ერთმანეთს მხარში, ახლაც ისევე უყვართ ერთმანეთი. მაგიდას მივუსხედით, საჭმელს კიურენბერგი გვიღებდა, ილზე ღვინოს ასხამდა და სადილი დიდებული იყო. საჭირო იყო მზარეულის შექება, მაგრამ არ შემეძლო, ვერაფრის გემოს ვერ ვგრძნობდი, არა — ვგრძნობდი ნაცრის გემოს, აღარაფრის მაქნისი ნაცრისა, რომელსაც ეს-ესაა ქარი გაფანტავდა, და გავიფიქრე: მას არ უნახავს, როგორ იწვოდა მამამისის სახლი. გავიფიქრე: მას არც ჩვენი სახლების დაწვა უნახავს. და კვლავ გავიფიქრე: ეს უკვე მოხდა, მოხდა, მოხდა, ამას ველარ შეცვლი, ველარ შეცვლი, ღმერთმა დასწყევლოს, დასწყევლოს, დასწყევლოს. ვჭამდით გემრიელ, ზეთში შემწვარი ისპანახის მთელ-მთელ ფოთლებს და ზემოდან ჩემ გახეხილ ყველს ვაყრიდით, ორი თითის სისქე ბივშტექსი დანით იჭრებოდა, თითქოს კარაქიან და შიგნიდან ალისფერი სისხლი ჟონავდა, ზედ ვაყოლებდით მწკლარტე ღვინოს, რომელიც ისე ცივი იყო, თითქოს ეს-ესაა წყაროდან გადმოვიდაო — ამას მე მაინც ვგრძნობდი, მიუხედავად იმისა, რომ ენაზე თითქოს ისევ ის მშრალი, მქისე ნაცარი მეყარა. ქამის დროს არ ვლაპარაკობდით, კიურენბერგები თეფშებზე წახრილიყვნენ და დანჯად და მონდომებით მიერთმევდნენ. „დიდებული რამ არის!“ წარმოვთქვი ერთხელ, ეტყობა, ძალიან გაუბედავად, რადგან არავინ გამომპასუხებია. შემდეგ შემოიტანეს ყოლოთი შეკმახული ცხელი სუფლე, რომელიც თითქოს ძთლად ტროპიკული იყო, მაგრამ მაინც გერმანული ტყის სურნელება დაჰკრავდა და კიურენბერგმა თქვა:

— ყავას ოფიციალტი მოიტანს; არავითარი ყავა არ შეედრება მანქანა „ესპრეოს“ შემზადებულ კონცენტრატს.

ყავა ილზემ შიდა ტელეფონით შეუკვეთა. მაგიდაზე კონიაკი გაჩნდა და საუბარი რომზე გავაბით.

მათ უყვართ ძველი, ანტიკური, რომაული რომი, მათ უყვართ ფორუმები თავიანთი იავარყოფილი დიდებულებით, მათ უყვართ სალამო ხანს ძველი ნორცვების, კვიპაროსების, ეული იტალიური ფიჭვის ცქერა, უყვართ უქმი კოლონები, რომლებსაც არავითარი სიმძიმე აღარ აწევთ, მარმარილოს საფეხურები, რომლებსაც უკვე აღარსად მივყავართ, დახეთქილი თაღები, ამოვსებულ უფსკრულებს რომ დაჰყურებენ, სადაც გამარჯვებები ფენა-ფენად დალექილა, უყვართ ავგუსტუსის სახლი, იხსენებენ ჰორაციუსსა და ვერგილიუსს. ალტაცებაში მოდიან ვესტალების როტონდით და ლოცულობენ ბედნიერების ტაძარში. ყურს ვუგდებ მათ ლაპარაკს, ისინი დაწვრილებით ჰყვებიან ახალი აღმოჩენების შესახებ, საქმის ცოდნით განიხილავენ ახალ გათხრებსა და მუზეუმების საგანძურებს, მეც მიყვარს ეს საგანძურები, მიყვარს ძველი ღმერთები, მიყვარს სილამაზე, რომელიც დიდხანს იყო მიწაში და კვლავ მზის სინათლეს ეღირსა, მიყვარს სიმეტრიები და ძველი ქანდაკების ცივი გლუვი ქვის კანი, მაგრამ უფრო მეტად მიყვარს ცოცხალი რომი, როგორიც

არის და როგორც მე მეჩვენება, მიყვარს მისი ცა, ეს იუპიტერის ამოუცნობი ზღვა და ასე მგონია, თითქოს მის ფსკერზე ჩავიდარეთ, თითქოს ვინეტაში ვართ და ზემოთ, სტიქიის თავზე, რომელიც გარს შემოგვრტყმია, თვლისმომჭრელ ტალღებზე მიცურავენ ჩვენთვის უხილავი ხომალდები და სიკვდილი თავის უჩინარ ბადეში ხვევს ქალაქს; მიყვარს მისი ქუჩები, ქუჩების ფეხები, კიბეები, ურნებით, სურათი და ლარებით! შემკული წყნარეულები, ხმაურიანი მოედნები, სავსე თავზეხელაღებული მყვირალა მეწვრილმანეებით, მიყვარს სადამოობით სახლების წინ გამოფენილი ხალხი, მათი ხმაურობა, მათი მეტყველი ქესტები, მახვილსიტყვაობის ნიჭი, მათი ლაპარაკი, თუმცა ვერ ვიგებ, მიყვარს ზღვის ღმერთებით, ნიმფებითა და ტრიტონებით შემკული მოჩუხჩუხე შადრევნები, მიყვარს მარმარილოს შადრევნების გარშემო შეგროვილი ბავშვები, ეს დაფნის გვირგვინებით თავშემკული პატარა პამპულები და საშინელი ნერონები; მიყვარს ჯგლეთა, ჭყლეტა, მუჯლუგუნების კვრა, ყვირილი, სიცილი კორსოზე და უწმაწური სიტყვები, რომლებსაც გამვლელ ქალებს ყურში ჩასჩურჩულებენ, და მიყვარს გულგრილი, არაფრისმთქმელი ბილბები, ქალთა სახეებისა, რომლებსაც ბიწიერებაც არ აკლიათ, მიყვარს მათი პასუხები, მათი დამორცხვება და მათი ლტოლვა — გაიგონონ ვნებიანი ქათინაურები, და ეს ლტოლვა მათ ჭეშმარიტ სახეებზე იდუმალად ასახულა, თუმცა ქუჩისთვის საჭირო ნილაბქვეშაა მიმალული, მერე ეს ქათინაურები გულით მიაქვთ შინ და თავიანთ ქალურ სიზმრებში გადააქვთ; მიყვარს სიმდიდრის თვალისმომჭრელი ბრწყინვალება, თქრომჭედელთა ვიტრინები და ძოდების მიმდევართა ფრთებით შემკული ქუდები, მიყვარს აი ის პატარა ამაყი კომუნისტი გოგონა როტონდის მოედანზე. მიყვარს გრძელი, გაკრიალებული დახლი ბარ „ესპრესოში“, აშიშინებულნი, ორთქლის მბოლქვავე ყავის სახარში მანქანა, და ის კაცები, პატარა ფინჯნებით ქაფქაფა მუქ ტკბილ-მწაჩე ყავას რომ სვამენ, მიყვარს ვერდის მუსიკა, როცა იგი ტელევიზიის სტუდიის რეპროდუქტორებიდან კოლონის მოედნის პასაჟს ეფინება და მისი ექო საუკუნის; დასაწყისის შელესილი კედლებიდან უკანვე ირეკლება, მიყვარს ვიავენეტო, აბაოების ბაზრის ყავახანებით, მათი მხიარული სკამები, მათი ჭრგლი საჩრდილობლები, მიყვარს მალაღკანჭება, ვიწრო თედობიანი მანეკინი ქალები, მათი ალისფრად შეღებილი თმები, ფერმიხდილი სახეები, დიდი, გოცებულა თვალები და მათი ცეცხლი, რომელიც მე ვერ დამიჭერია; მიყვარს მოლოდიინში ვანაბული ბედნიერი, სულელი, ათლეტური აღნაგობის უიგოლოები, რომლებსაც მოხდენილი გარეგნობის შეძლებული ქალები თავისკენ იბირებენ, მიყვარს ღირსეული შესახედაობის ამერიკელი სენატორები, მათ წმინდა მამა მიღებას უწყობს ხოლმე, — სენატორებს ყველაფრის ყიდვა შეუძლიათ, — მიყვარს მხცითმოსილი თვინიერი ავტომობილების მეფეები, რომლებიც თავიანთ ქონებას მეცნიერების, ხელოვნებისა და პოეზიის განვითარებას სწირავენ, მიყვარს ვიწროტოტებიან შარვლებსა და თხელძირიან წვეტიან ფეხსაცმელებში გამოწყობილი პომოსექსუალისტი პოეტები, რომლებსაც საქველმოქმედო შეწირულებებით გააქვთ თავი და პერანგის მეტისმეტად გრძელ მანყეტებში კვკლუცად აქლარუნებენ ვერცხლის სამაჯურებს; მიყვარს ძველი, დამპალი საბანაო კარჭაპი, რომელსაც ლუზა ანგელოსის ციხე-სიმაგრის წინ მღვრიე ტიბრში ჩაუშვია, და მისი წითელი ნათურები ღამით, მიყვარს პატარა, საკმეველის იდუმალი სურნელებით გაყლენთილი, ხელოვნების ნი-

მუშებითა და სამკაულებით გამოვსებული ეკლესიები, თუმცა კიურენბერგი ამბობს, ბაროკოს პერიოდის რომი არც ისე მომხიბვლელიაო: მიყვარს შავ, წითელ, იისფერ, თეთრ სამოსში გამოწყობილი ხუცესები, ღვთის მსახურების ლათინურ ენაზე შესრულება, სემინარიელები და მათ სახეზე აღბეჭდილი შიში, დალაქავებულ სუტანებსა და გაქონილ, მხიარულ წითელ-წითლ-შლაპებში გამოწყობილი მოხუცი კანონიკები და მათ სახეებზე მსგავსებული შიში, საადმსარებლოს წინ დაჩოქილი ხანდაზმული ქალები და მათი შემკრთალი სახეები, ჩუქურთმებიანი და ნაჭედპორტალებიანი სამლოცველოების წინ დაყუდებული მათხოვრების ჩამომჟკნარი ხელები და მათი შიში გამჟღავნებული იქ, სადაც კისრის ძარღვი ფეთქავს, მიყვარს მუშათა კვარტალებში საჭმელებით მოვაჭრე მეწვრილმანენი, რომლებიც ბოლში გამოყვანილი ძეხვის დიდ ხაჭერს მოგიჭრიან, გეგონება ხის ფოთოლიაო, მიყვარს პატარ-პატარა ბაზრები, მწვანე, წითელი, ნარინჯისფერი ხილის ფარდულები, თევზით მოვაჭრეთა გეგება ავსებული ზღვის უცნობი ბინადრებით, და მიყვარს რომის ყველა კატა, რომელიც გალავნების გაყოლებით დასუნსულებს.

კიურენბერგების ორი მკვრივი ჩრდილი მიადგა ფანჯარას, მაღალ ფანჯარას, ოიოქოს კოშკის სარკმელიაო, და დააცქერდნენ სინათლეებით ავსებულ ქუჩის არხს, თვალი გადაავლეს ვაგზლის ახლომახლო აღმართულ ქვის მრავალსართულიან კოლოფებს, რომლებიც მათ კოლოფს წააგავდა და ისევე იყო მოგზაურებით გავსებული: ინთებოდნენ ფირნიშების ფერადი სინათლეები და თავისკენ უხმობდნენ გამვლელ-გამომვლელთ. უწინდელივით რომი ახლაც მზად იყო, რომ დაეპყროთ, და კიურენბერგი ფიქრობდა ზიგფრიდის მუსიკაზე, რომელსაც იგი ხვალ ამ ქალაქისათვის ხელახლა დაიმორჩილებდა, გააგრილებდა და მისი გრძნობების ნაკადს დაიურვებდა. ილზე იდგა ქმრის გვერდით და დასცქეროდა ქუჩის ძირზე მცოცავ ავტომანქანებს, რომლებიც დიდი ბალღინჯოუბის არმიას წააგავდა, დასცქეროდა მცირე ხნით დამორჩილებულ ელვას, რომელიც ტროლეიბუსების საკონტაქტო შტანგებზე დროდადრო მოჩვენებითი უვნებლობით გაიფართხალებდა ხოლმე; მთელი სიგრძე-სიგანით ვანჭვრატა სიკვდილისათვის თვალის არიდების, შიშის არადჩაგდების საყოველთაო შეთანხმება, რადგან ამ სახლების ფლობის უფლება, სახლებისა, რომლებსაც იგი უმზერდა, შეტანილი იყო მიწის კადასტრში და თვით რომაელებსაც კი, რომლებსაც იქვე, ცხვირწინ ჰქონდათ ერთ დროს დიდებული, ამჟამად კი იავარყოფილი, მიწისქვეშ მოქცეული შენობები, ირწმუნეს ბებერ მიწაზე ამჟამად გამოსადეგად დალაგებული ქვების მარადიულობა; ილზე ხედავდა ვაჭრობის მისტერიებს, ესეც მარადიულობის, მემკვიდრეობისა და უშიშროების ილუზიაზე იყო დაფუძნებული, უმზერდა წარამარა აფეთქებულ და ჩამქრალ საოცრებას რეკლამებისას, ჭრელ ათინათს ვერცხლის წყლისა ან ეშმაკის საშთლისა, რომელიც ჯერ კიდევ მისი ბავშვობისას გაიელვებდა ხოლმე, და სულელობად მიაჩნდა ახლა მამის მხრივ საკუთარი ქალიშვილის ცხოვრებასა და თავის სავაჭრო სახლს შორის წიგნების, მუსიკისა და ხელოვნების კედლის აღმართვა, აღმართვა ბასტიონისა, რომელიც სიცრუე, სამუდამოდ ჩამქრალი ლამპის მშვიდი სხივი გამოდგა. ილზე ამცივნებდა და ფიქრობდა, როგორ ცივია ყველაფერიო. უკვე გვიანიაო, გაიფიქრა მერე და ფიქრი განაგრძო: აი ეს ჩემი თანამოქალაქე ყმაწვილი წერს სიმფონიებს, შესაძლოა პაპამისი სპინეტს უჯდა ანდა ფლეიტაზე უკრავდა, მამამისმა კი მამაჩემი მოკლა, მამა-

ჩემი, რომელიც წიგნებს აგროვებდა და სიამოვნებით უსმენდა ბრანდენბურგის კონცერტს. იღზემ კიურენბერგის ხელს ჩასჭიდა თავისი ხელი, რომელიც ცივი და თითქოს ერთი წამით სიცოცხლედამრეტილიც იყო და მხოლოდ დიროქორს თბილ, მშრალ, მკვრივ, სანდო მუჭში ჩაუყო თითები. კიურენბერგი კვლავ ქუჩაში აფუსფუსებულ ხალხს დასცქეროდა და ფიქრობდა: „შეწყდება მათი ბედი წინასწარ განჭვრიტოს კაცმაო. იგი შეხვედრებზე უფრო უფლებს, სოციოლოგებს, ეკონომისტ-მგეგმავებს, მეატომეებს, ხალხის უფლებებზე მზრუნველებს, პოლიტიკოსებს, დიპლომატებს. ყველა მათგანი ეშმაკის კერძი იყო. ეს ეშმაკის კერძები წარმოადგენდნენ მის საზოგადოებას. ისინი ესწრებოდნენ მის კონცერტებს. კიურენბერგმა ფანჯარა მიხურა და ზიგფრიდს ჰკითხა:

-- იცით, რა თქვა ავგუსტინემ მუსიკის თაობაზე? სამუშაოს დასრულების შემდეგ დიდი ადამიანები მუსიკას ეძლევიან, რათა სული აღიდგინონო.

ეს სიტყვები ზიგფრიდმა არ იცოდა. არც ავგუსტინეს იცნობდა. ეპ, რა ცოტა რამ იცის ჯერ. რამდენი რამ აკლია. ზიგფრიდი გაწითლდა.

„დიდი ადამიანები არიან ისინი, ვისაც მე ვიცნობ? — ჩაეკითხა კიურენბერგი საკუთარ თავს. — თუ არ არიან დიდები, მაშ სადღა არიან ჭეშმარიტად დიდი ადამიანები? მერედა აქვთ მათ სული, რომელიც საღამოს მუსიკით უხდა აღიდგინონ? ავგუსტინე თუ იცნობდა, ნეტავ, დიდ ადამიანებს? ნეტავ ისინი თუ მიიჩნევდნენ ავგუსტინეს დიდად, ვისაც იგი ასეთებად თვლიდა? ოპ, რამდენი კითხვაა!“

კიურენბერგი აფასებდა ზიგფრიდის ნიჭს. მისგან რაღაც გასაოცარს ელოდა, ფიქრობდა, იგი რაღაც ახალს, სხვათა მიერ ჯერაც უთქმელს იტყვისო. შესაძლოა მისი მუსიკა ჩვეულებრივი ყურისთვის, დროის სწრაფ დინებას რომ ჩამორჩენია საშინელი მოსასმენიც იყოს, მაგრამ ახლის მაუწყებელი მაინც იქნება. ეს იქნება ახალი სიტყვა იმ ორიოდ ადამიანისათვის, ვისაც ძალა შესწევს მოისმინოს იგი. ესენი ხომ არ არიან ის დიდი ადამიანები, რომელთა შესახებაც ავგუსტინე ლპარაკობდა? ჩვენ დაუოკებლად ვისწრაფვით ცოდნისკენ მაშინაც კი, როცა მას უბედურება მოაქვს. კიურენბერგმა მეგობრულად შეათვალიერა ზიგფრიდი და სერიალურად უთხრა:

— არ ვიცი, თქვენ ვისთვის წერთ მუსიკას, მაგრამ ვიცი, თქვენს მუსიკას აჩქვეყნად თავის დანიშნულება აქვს. შესაძლოა იმათ, ვინც ვერ გაგიგებენ, გისტვინონ კიდეც, მაგრამ მათ გამო საკუთარ გზას ნუ ასცდებით. ნუ რასოდეს შეეცდებით სხვათა სურვილების აღსრულებას. არა უშავს რა, თუ მსმენელებს იმედს გაუცრუებთ, მაგრამ ჯობს იმედი თავმდაბლობის გამო გაუცრუოთ და არა ყოყოჩობისა! არ გირჩევთ, განმარტოვდეთ სპილოს ძვლის სანატრელ კოშკში. ღვთის გულისათვის — ნუ იცხოვრებთ ხელოვნებისათვის! არეთ ქუჩაში, ისმინეთ ღლის ხმაური! მაგრამ მარტოსულად დარჩით! თქვენ გაქვთ მარტოსულად ყოფნის ბედნიერება. ქუჩაში გასულიც ისეთივე ეული იყავით, თითქოს გამოკეტილ ლაბორატორიაში ხართ და ატარეთ ექსპერიმენტები. ატარეთ ექსპერიმენტები ყველაფერზე, ჩვენი სამყაროს მთელს ბრწყინვალეობა! და მთელს ლაფზე, მის დაცემასა და მის სიღიადეზე — ეგებ მაშინ ძიაგნოა: ახალ ქლერადობას!

და ზიგფრიდმა წარმოიდგინა სხვადასხვა ხმები, ქუჩის ხმები, წარმოიდგინა სიუხეშის, შიშის, ტანჯვის, სიხარბის, სიყვარულის, სიკეთის, ლოცვის

ხმები, წარმოიდგინა სიავის ხმა, სიძვის ჩურჩული და დანაშაულის გოდება. და გაიფიქრა: „ხვალ კიურენბერგი მე დამიმორჩილებს, პარმონის წესების შესახებ მკაცრ ლექციას წამიკითხავს ეს სახელგანთქმული დირიჟორი, რომელსაც შეუძლია ნოტები ზუსტად ამოიკითხოს. ეგებ ეს არის მუშაობა, რომელიც ყველაფერს კრეჭს, მე კი ველური მცენარე ან სახეცვლელი ვარ.“

კიურენბერგმა ისე თქვა, თითქოს ზიგფრიდის ფიქრები გამოიცნო:

— მე მჯერა ჩვენი შრომისა. ჩემში არის წინააღმდეგობანი. ისინი თქვენცა გაქვთ, მაგრამ ერთმანთს არ ეწინააღმდეგებიან.

წინააღმდეგობრივი იყო ცხოვრება, რომლის ფერხულშიაც იყვნენ ჩამძულნი. და თვითონაც წინააღმდეგობაში იმყოფებოდნენ, ადამიანთა მოდგმასთან.

იუდეიანმა იგრძნო, რომ უთვალთვალედნენ და უკან დაიხია. დაკუთხული თავი მხრებში ჩარგო და უკან დაიხია. გაქცევა იყო ეს თუ ტაქტიკა? ასე იხვევს უკან ორ ფრონტს შორის საარვისო მიწაზე მოქცეული პატრული, როცა ჰგონია — მტერმა დამინახაო. გაქცევა იყო ეს თუ ტაქტიკა? არავის გაუსვრია, არც რაკეტას გაუნათებია ღამე, ბედი ჯერაც გატრუნულია, მაგრამ უკან მიცოცავ, მიცოცავ ჩახერგილ დაბრკოლებებსა და ბუჩქნარში, მიცოცავ საკუთარი სანგრებისაკენ და ერთი წამით გაიფიქრებ, რომ მოწინააღმდეგის პოზიციები აუღებელია. ასევე იხვევს უკან მკვლელი, დევნილი დამნაშავე და თავს აფარებს ჩრდილს, ჯუნგლებს, ქალაქს, როგორც კი მეძებრების მოახლოებას იგრძნობს, როცა მიხვდება — პოლიციელებმა თვალი შემასწრესო. ცოდვილი ხომ ღვთის სახეს სულ გაურბის, მაგრამ ის, ვისაც ღვთისა არ სწამს და არც ის სიკეთე სჭირს, რომ თავისი ცოდვილობა იგრძნოს, სად გარბის? ღმერთს კი აუარა გვერდი, მაგრამ რომელ უდაბნოში გარბის? იუდეიანმა არ იცოდა, ვინ უთვალთვალედა. მოთვალთვალე არ დაუნახავს. ვესტიბიულში ვილაც ხუცესი იმყოფებოდა მხოლოდ, რომი ხომ მისი მსგავსებით სავსეა, ხუცესი უცნაურად გაქვავებულიყო და გამჭვირვალე შუშის კარიდან იუდეიანის მსგავსად დაყინებით შეჰყურებდა მაგიდის ირგვლივ შემომსხდარ საზოგადოებას, რომელიც მხიარულად საუბრობდა და დროს ატარებდა. ეს იყო მუდმივი სტუმრების, გერმანელი მუდმივი სტუმრების მაგიდა, გაწყობილი გერმანული წესების მიხედვით და შემთხვევითა და დროებით სამხრეთ განედის ამ გრადუსზე გერმანელებისათვის გამოყოფილი. უფრო მკაფიოდ თუ ვიტყვით, იუდეიანს თავისი ქვისლისაგან, ფრიდრიხ ვილჰელმ პფაფრატი-საგან მხოლოდ ხე და მინა თუ ჰყოფდა: ის კი მშვიდად იჯდა, სადაც არ უნდა ყოფილიყო, ყოველთვის მშვიდად იჯდა, ყბედობდა აქ, ქალაქის რატუშაში, იუდეიანი კი გაბედულად მიიწევდა წინ, გაბედულად და ბრმად, მიიწევდა ლოზუნგით — „ღმერთი მკვდარია“. იუდეიანმა შორს გაიწია, ვიდრე დარბაზში შესდომმა ბიურგერებმა, მაგრამ სწორედ მათი წყალობით გაიწია შორს, სხვათა სიკვდილით, სწორედ მათ შეუწყვეს ხელი იუდეიანის განდიდებას. მათ გააჩადეს სისხლის ღვრა, მათ მოუწოდეს იუდეიანს, მათ შთააგონეს — მახვილს ეკუთვნის მთელი სამყარო; ისინი გაჰკიოდნენ ხმამაღლა — არ არსებობს უფრო ლამაზი სიკვდილი, ვიდრე ბრძოლის ველზე დაცემააო; მათ ჩააცვეს იუდეიანს პირველი სამხედრო ფორმა და მერე ქედი მოუხარეს იმ ახალ ფორმას, რომელიც მან თვითონ იშოვა; ისინი განადიდებდნენ ყოველ

მის ნაქმნარს: ისინი უსახავდნენ იუდეიანს შვილებს ნიმუშად, ისინი ყვიროდნენ „ჩვენი რაიხი“! და არად აგდებდნენ მკვლელობას, ძალმომრეობას და მთელ გერმანიაზე გადაფარებულ გვამების კვამლს, თვითონ კი ისევ ძველ-გერმანულ ლუდხანაში უსხდნენ მაგიდას; წატლექილ ენიდან არ სცილდებოდათ მედიდური ფრაზები გერმანიის შესახებ, ნიკიტას, სტალინის, ლენინის ფრაზები, თვით ფიურერის სიტყვები და როზენბერგის მითიც⁴² მათთვის მხოლოდ ფრაზები იყო მაშინ, როცა ეს იუდეიანისათვის მოქმედებისკენ მოწოდებას წარმოადგენდა და იგი წინ გაიჭრა, , პატარა გოტლიბს სურდა სამყარო შეეცვალა, დახეთ ამ პატარა გოტლიბს! ის იყო რევოლუციონერი, რევოლუციონერები კი მაინცა სძულდა, არიზგვინებდა, ხეზე აკიდინებდა, თვითონ სულელი იყო, ეს იყო პატარა გოტლიბი, გამოტვინებული, ადამიანის დაუსჯელად რომ ვერა სძლებდა, ეს პატარა გოტლიბი, რომელსაც გამათრაახებისა თვისა ეშინოდა, სხვისი გამათრაახება კი სულს უამებდა; ეს უსუსური პატარა გოტლიბი ხელისუფლებისაკენ ისე ისწრაფოდა, როგორც მლოცველი წმინდა ადგილებისაკენ და როცა მას მიაღწია და პირისპირ შეხედა, რა დაინახა? სიკვდილი! ხელისუფლება სიკვდილი აღმოჩნდა. მხოლოდ სიკვდილი იყო ყოვლადძლიერი. იუდეიანს ეს არაფრად ჩაუგდია, არც შეშინებია, რადგან პატარა გოტლიბი ალლოთი ყოველთვის გრძნობდა, ამქვეყნად მხოლოდ ეს ერთადერთი ძალაუფლება არსებობდა, სიკვდილი, და რომ ძალაუფლების ჭეშმარიტად შესაცნობად საჭიროა კვლა, მხოლოდ ამას შეუძლია ყველაფერი ნათლად წარმოაჩინოს. არ არსებობს არავითარი აღდგომა. იუდეიანი სიკვდილის მსახურად იქცა, არც უძუნწია — გულუხვად უგზავნიდა შესაწირავს. ამის გამო ჩამოშორდა ბიურგერებს, იტალიაზე მეოცნებეებსა და ყოფილი საბრძოლო ადგილების სანახავად მოსიარულეებს; მათ არაფერი არ ჰქონდათ, ჰქონდათ მხოლოდ არაფერი. სუქდებოდნენ ამ არაფერში, წარმატებას აღწევდნენ არაფერში და ბოლოს მთლად ამ არაფრად იქცოდნენ, მის ერთ ნაწილად, რაც სინამდვილეში მუდამ იყვნენ კიდევ. თვით მას, იუდეიანს? მას ჰქონდა თავისი სიკვდილი, რომელიც ისე მტკიცედ ებყრა, რომ მხოლოდ ხუცესს თუ შეეძლო მისი გამოგლეჯა, შეეძლო მისი წართმევა. მაგრამ იუდეიანი თავს არავის გააჭურდვინებს. ხუცესების დახოცვაც შეიძლება. ნეტავ ეს შავანაფორა ვინ არის, აქ რომ დამდგარა? ვილაც მუწუკიანი ჭეელი, უძილობით სახემორღვეული დედაკაცის ხალათგადაცმული, მოთუთქული ვნების ერთი ნაგლეჯი? ეს ხუცესიც მაგიდის ირგვლივ შემომსხდართ შესცქეროდა და ეტყობოდა მასაც ტანში ზარავდა, მაგრამ იუდეიანის მოკავშირედ იგი მაინც არ გამოდგებოდა. იუდეიანს ხუცესიც ზარავდა და ის ბიურგერებიც. ამჩნევდა, რომ დღეს ამ ბიურგერთა პოზიციები აუღებელი იყო. მაგრამ დრო იუდეიანის სასარგებლოდ მუშაობდა, ამიტომ ჯობდა უდაბნოში დაბრუნებულიყო, კვლავ წვევამდელთა წვრთნა განეგრძნო და სიკვდილისათვის მოემზადებინა, ხოლო როცა იაჭირო იქნება არა ბრძოლის ველის დათვალიერება, არამედ მისი ხელახლა გადათხრა ყუმბარებით, შეტევაზეც მაშინ გადავა.

იგი სასტუმროდან გაიქცა. გაექცა იმ ბიურგერებს, გაექცა ხუცესის მზერას, გაექცა უხილავ მოთვალთვალეს. ეს არ იყო სამარცხვინო გაქცევა, არ იყო სიმხდალე, ეს იყო ტაქტიკური უკანდახევა. იუდეიანი რომ დარბაზში შესულიყო და ეთქვა, ესა და ეს ვარო, ბიურგერები წამოცვივოდნენ, აღტაცებით მიიღებდნენ, მაგრამ გმირის პატივისცემა მხოლოდ ერთ საღამოს გაგრძელდებოდა.

ბოდა, მერე კი თავიანთ ბიურგერულ ბაღეს გადააფარებდნენ. ალბათ ერთ-ერთ განათებულ ფანჯარასთან ევაც ელოდა — ეს გმირი ქალი, ზობდა კი მაშინ მომკვდარიყო, იმ მაისს, იმ თავლაფდასხმის უამს. მაგრამ ეს ცოცხალია და იუდეიანმა წარმოიდგინა, ვითომ მასთან ერთად იჯდა გერმანულ მყუდრო ბინაში, მერე სამსახურში გაემართა, რომელიც პფაფრატმა უშოვა, შინ დაბრუნდა სამუშაოდან, რომელიც პფაფრატმა უშოვა, შეუძლიათ მიირთვან შემწვარი ბატი და ზედ რაინვაინი დააყოლონ, პფაფრატის ნაშოვნის სამსახურის შემოსავალი საამისოდ ალბათ ეყოფოდა, ხოლო ფიურერის დაბადების დღეს, ცხრა ნოემბერს ევა ალბათ მკერდზე გულსაბნევს დაიბნევს, ჯერ თუ არ მოუპარავთ, ოკუპანტები ხომ ძვირფასეულობასა და სუვენირებზე ნადირობდნენ, ეს იუდეიანს კარგად მოეხსენება, ეს ოქროსსვასტიკიანი გულსაბნევი კი ფიურერის საჩუქარია, მერე ევა მას თვალედაჭყეტილი დააშტერდება, როცა რადიოდან ახალი ამბების გადმოცემას დაიწყებენ ანდა პოისი⁴³ ლაპარაკს დაიწყებს ან აღენაუერი ორატორობას შეუდგება, ხოლო მეზობელი ბინიდან ამერიკელი ზანგების ჯახური მუსიკა შემოიჭრება. ამ დროს ევა მას თვალს არ აცილებს და ფიქრს განაგრძობს — შენ ცოცხალი ხარ, ცოცხალი ხარ, ცოცხალი. და ის იცოცხლებს და უდაბნოზე იოცნებებს, იმ უდაბნოზე, საიდანაც შეიძლება გერმანია დაიპყრო.

ალაღბედად მიმავალი იუდეიანი გზად შეხვედრილ ტრაქტირში შევიდა, ჩაიძირა ზეთის, ცომისა და ზღვის სუნში, დახლს მიადგა. ასე ეგონა, ყველაფერს ერთბაშად გადავცლაპავო, რაღაც გახელებული შიმშილი სტანჯავდა. შეამჩნია მსხვილი თეთრი ლობიო, გერმანული კერძი, თავისი, ბავშვობის-დროინდელი სკოლის კერძი, თითი ატაკა, მაგრამ ლობიო ცივი იყო, ეტყობა აქ ცივად მიირთმევდნენ. არა, ეს არ იყო გერმანული კერძი, ზეთში ამოვლებული მარცვლები სრიალებდნენ, ძმარში ცურავდნენ, თანაც თევზის სუნიც ასდიოდა, რადგან რაც თავის თეფშზე დალაგებული ხორცი ეგონა, უგემური თევზი აღმოჩნდა, მაგრამ იუდეიანმა ყველაფერი ხარბად გადაყლაპა, მერე რაღაც ცომისმაგვარიც შეჭამა და ბოლოს იტალიური მაკარონი დააყოლა; ცხიმოვანი ტომატის სოუსი ტუჩებზე ისე გაესიპა, თითქოს უცხოური ამბორიო, წვრილი მაკარონი პირიდან ჩამოჰკიდებოდა, დანა არ მისცეს დასაჭრელად და ისე ქშინავდა, ძროხამ რომ იცის ბალახის ჭამის დროს, და როცა მეორედაც გადახუზა ნახევარი ლიტრა კიანტი, იმანლა ჩაასუფთავა იუდეიანი და კვლავ ადამიანად იქცა. ასე ეგონა თვითონ.

ასე გაადამიანებულმა ჩახვეულ-ჩახლართული ქუჩაბანდები გაიარა და სან სილვესტროს მოედანზე გავიდა. თვალში მოხვდა სატელეფონო სამსახურის შეჭრეკლამა. სწორედ ეს სჭირდებოდა ახლა. დაწესებულებაში შევიდა და ტელეფონის აპარატებიანი კაბინები დაინახა, მაგრამ არ იცოდა, როგორ დაერეკა. დაწერა პფაფრატის სასტუმროს სახელი და ქაღალდი სარკმელში გადააწოდა. მორიგე გოგონამ სათანადო ნომერი მოუძებნა, ღირებულება გადააბდეინა, იუდეიანი კაბინაში შევიდა, ციფრები აკრიფა და შემოესმა „Pronto“⁴⁴.

იუდეიანმა ყურმილში გერმანულად ჩასძახა და პფაფრატი გამოიძახა. ყურმილში ტკაცანი და სტვენა გაისმა, მერე ფეხის ხმა შემოესმა და პფაფრატმაც ოფიციალური კორექტულობითა და საკუთარი ღირსების შეგრძნებით წარმოსთქვა:

— ობერბურგომისტრი პფაფრატი გისმენთ, ვინ კითხულობს?

„ი, შე მაიმუნის უკანალო“, სურდა იუდეიანს მიეძახებინა, მერე იფიქრა, ჩემი ტიტულები ხომ არ ჩამოვუყაკლო სამხედრო და პარტიული, იქნებ ის აღმოსავლური ფერადოვან-ფუქსაეატური ტიტული ჯობს ვუხსენო, ახლა რომ ვატარებ ან ობერ-საჭურისად გავეცნო ან ჰარამხანის დამგრძობელ ბუღალდ ან უდაბნოს რისხვადო. ვინ იცის, იქნებ ჯობდა მოკრძალებული და მკაცრი „გოტლიბი გელაპარაკებათო“ და უცბად ისეთ პატარა, მსუბუქი ტიტულით იქცა, რომ ტელეფონის აპარატს ვეღარ სწვდებოდა და მხოლოდ სახელი თქვა „იუდეიანი“, მაგრამ ეს მოკრძალებული სახელი ისე ხაზგასმით წარმოსთქვა, რომ მავთულებში ერთად გაიარა მეუფებამ, ძღვევამოსილებამ და სიკვდილმა. პფაფრატს ხველა აუტყდა და ასე ხველებ-ხველებით ობერბურგომისტრიდან უბრალო ქვისლად იქცა, დასძლია შიშსა და ძრწოლას, რომელიც მასში ძვირფასი და საშიში მიცვალებულის, ოჯახის სიამაყისა და ოჯახის საფრთხობელას ხმამ გამოიწვია. პფაფრატს გარკვეული დრო დასჭირდა, რათა რიზი დაებრუნებინა, რადგან ახლა სწორედ ასე სურდა წარსდგომოდა იუდეიანს, და როგორც იქნა აღელვებით მიუგო:

— სად ხარ ამდენ ხანს, გელოდებით!

მე ძალზე ბევრი საქმე და მეტად მცირე დრო მაქვსო, გულზვიადად განუცხადა იუდეიანმა ქვისლს და მეორე დღისათვის თავის ოტელში მიიწვია ყველანი, ვია ვენეტოზე მდებარე ვრცელ და ბრწყინვალე სასახლეში, დაე ყველამ მთელი ბრწყინვალეობით იხილოს იგი, და პფაფრატს თავისი ყალბი სახელი, პასპორტში ჩაწერილი ფსევდონიმი უთხრა და უბრძანა ვიწრო კაბინაში ჩაქედილმა, რომლის კედლებზეც, ჩვეულებრივ, ათასნაირი უწმაწურობა წაეწერათ იტალიურად, — ნეტავ თუ ისევ წერენ ჩვენში ფეხსალაგის კედლებზე „გაილვიძეს“,⁴⁵ გაუელვა თავში იუდეიანს, — უბრძანა, აბა ჩემი სახელი და გვარი გაიმეორეო. ობერბურგომისტრმა ფრიდრიხ ვილჰელმ პფაფრატმაც მარჯვედ გაიმეორა ყალბი სახელი, პასპორტის მტკნარი გამონაგონი. არა, ახლა უკვე ვეღარ გამოვა პფაფრატი იუდეიანის მფარველის როლში, ახლა ის გაჭიმული დადგება მის წინაშე, ხოლო გერმანელთა საყვარელი სასტუმროდან იუდეიანის უჩუმრად წამოსვლა გაქცევა კი არ იყო, არამედ ნაცადი ჩიხებულის ტაქტიკა.

ამგვარად, ადამიანად რომ იქცა, მიწა ისევ ფეხქვეშ დაიგულა და თავისი ბედის ბატონი გახდა. გამარჯვებული იერით გამოვიდა ტელეფონის ჯიხურიდან. სურდა სან სილვესტროს მოედანი გაეგლო, რომი დაეპყრო, რომ უცბად ნოისმა ჭახანი და გრიალი, ფიცხელი ომისა და ბრძოლის ხმაური, ლეწვისა და გრგვინვის ხმა, ატყდა განწირულებისა და სიკვდილის მაუწყებელი ღმუილი და გმინვა, ჩამოიქცა რომელიღაც ახალი შენობა. საძირკველი შეცდომით იყო გაანგარიშებული, მტვრისა და ბუღის ღრუბლებიდან ამოეჩარა დაგრებილი კოჭები, ხალხი თავქუდმოგლეჯილი მორბოდა აქეთ და იუდეიანმაც გასცა ბრძანება:

— ალყა შემოარტყით! ახლოს არ მიხვიდეთ! ალყა შემოარტყით!

სურდა სიკვდილში დისციპლინა შეეტანა, მაგრამ მის გერმანულ ბრძანებას ყურს არაეინ უგდებდა, ვერაფერ იგებდა, მერე უკვე სირენებიც აღმუვლდა და ზარები აწკარუნდა, მოგრილდნენ პოლიციის, სასწრაფო დახმარებისა და მეხანძრეთა ავტომანქანები, მოედანზე მდგომი ეკლესიიდან ხუცესი გამოვიდა, — ისინი ხომ ყველგან ეჩრებიან, და იუდეიანი მიხვდა, აქ უცხო

იყო, ყველას ფეხებში ებლანდებოდა, სხვა თუ არაფერი, უყურადღებოდ მარცხ იყო მიტოვებული, ამიტომ განზე გადგა და ბრბოს გაეცალა. მერე გაახსენდა, სკოლაში, იმ საძულველ გიმნაზიაში ასწავლეს, რომელღაც ბედის მაუწყებელი ნიშნებისა სჯეროდათ და რომ აქ მომხდარი ამბავი ცუდის მაუწყებელი იყო. ვიღაც ქალი ხმამაღლა აქვითინდა, ალბათ ნანგრევებმა მისი შინაურები დაიტანა. იუდეიანის მიერ სიკვდილისათვის შეწირული მსხვერპლი არასოდეს არ ქვითინებდა. საოცარი იყო, მაგრამ არასოდეს არ გაუგონია, რომ მის მსხვერპლს ქვითინი ავარდნოდეს.

ღანებას გაჰყვა და თავი კორსოზე ამოჰყო, გრძელ ნაწლავში, რომელიც ავტომანქანებითა და ხალხით გაჭედდილიყო. გეგონებოდა, ირგვლივ მიკრობები და მატლები დაფუთფუთებდნენ, თითქოს ქალაქის ამ გაჭიმულ ნაწლავში გაცხარებული ნივთიერებათა ცვლა და საჭმლის მონელება მიმდინარეობდა. ნაკადმა იუდეიანი მარჯვნივ გაიტაცა მოედან პოპოლოსაკენ, მაგრამ გრძნობდა, აქეთ არ უნდა წამოსულიყო და ნაკადს გაუძალიანდა, მუჯლუგუნებს ჰკრავდნენ, აწვებოდნენ, მაგრამ მაინც შემობრუნდა, უკან გაიხედა და დაინახა, პროექტორებით განათებული მიდამო, სითეთრე და ოქროსფერი სჭარბობდა ირგვლივ, ახლა კი მიხვდა, აქ ერთ ღროს გაევლო, წინ დაცვის მანქანა მიდიოდა, აქეთ-იქიდან მოტოციკლისტთა ესკორტი მიაცილებდა, უკან გერმანელებითა და იტალიელებით გავსებული ავტომანქანები, სამმართველოს უფროსები, პარტიისა და ვერმახტის მაღალი თანამდებობის პირები მისდევდნენ. ხალხის მორევი წინ და უკან ატრიალებდა, ორიენტაცია და ღროის გაგება დაჰკარგა, აწმყო წარსულად იქცა, მაგრამ მიზანს თვალთავან არ ჰკარგავდა — აი ის მარმარილოს საფეხურები, ქვის კოლოსი, ეს თეთრი ძეგლი ვენეციის როედანზე, ეროვნული ძეგლი ვიქტორ ემანუელ მეორესი, რომელიც იუდეიანს რაღაც გაუგებრობისა თუ ვიღაცის ყალბი განმარტების გამო კაპიტოლიუმად და ამავე ღროს მუსოლინის ბრძანებით ისტორიის განსადიდებლად აგებულ მონუმენტად მიაჩნდა, ეს ქათქათა მარმარილო და აელვარებული ოქროს გახლდათ იმპერიის ხელახლა აღორძინების მაუწყებელი. აი სად გაიარა მაშინ იუდეიანმა. სწორედ აქეთ მოისწრაფოდა. აქ, მარჯვნივ იდგა დუჩეს სასახლე. დაცვა სადღაა? დაცვა არ არის. ჭუჭყით დაფარულ ყვითელ კედლებს ლამის ჩრდილები აჰკროდა. ჭიშკრის წინ არავინ იდგა. ერთი ფანჯარაც არ იყო განათებული. აი კვლავ აქ დგას, ძველი ნაცნობი დაბრუნდა. რამდენიც გინდა აკაკუნე, პატრონი მკვდარია. მემკვიდრეები კი შენ არ გიცნობენ, — ისინი კორსოზე მოფუსფუსეთა შორის უნდა ეძებო. დიახ, დუჩესთან ერთად გაუვლია ამ მოედანზე, მის გვერდით მიდიოდა, რათა ფიურერის სახელით უცნობი ჯარისკაცის საფლავი გვირგვინით შეემკო. აქ ჯერაც ისევ იდგა დაცვა, ფეხები ფართოდ გაეფარჩხათ, გაჭიმულიყვნენ და წარბიც არ უტოკავდათ. მაგრამ იუდეიანი ამჟამად არაფერს გრძნობდა, არც პატივს, არც სიამაყეს, არც წუხილს, არც მღელვარებას. თითქოს ის მორწმუნე იყო, რომელიც ტაძარში შესვლისას არაფერს განიცდის; სურს ილოცოს, მაგრამ ღმერთი აქ არ არის; სურს მუხლი მოიყაროს, მაგრამ ფიქრობს, იატაკი ცივი და ჭუჭყიანიათ; ხედავს მადონას, მაგრამ ფიქრობს, ეს ხომ ხეა და ცოტაც საღებავი, თან ხეს უკვე ჭიაც გასჩენიათ. ამჯერად ხალხი აღტაცებით არ შეხვედრია, არც ვივას სვიროდნენ, არც მღეროდნენ. გვერდით მოტოციკლებმა ჩაიგრიალეს. ერთი ფოტოგრაფიც არ გამოჩენილა, რომ იუდეიანი მაგნიუმის შუქში მოექცია. მოედნიდან ეტლში შებმული ორი ცხენი თუ შეავლებდა დალილ თვალებს.

ნეტავ აჩრდილად ხომ არ იქცა? მარმარილოს კიბეები აჩქარებით აიარა, ახლა მის ზურგს უკან დარჩა სვეტები იმ პომპეზური ტაძრისა, რომლის აშენებასაც შეცდომით მუსოლინის მიაწერდა, ხოლო თეთრი ბრწყინვალე სხვა რალაცას აგონებდა, აგონებდა მეყანდეულე ზიუფკეს ვიტრინაში გამოდგმულ ტორტს, რომელსაც პატარა გოტლიბი მუდამ ალტაცებაში მღვდელმთავრად გემო კი ვერასოდეს გაუსინჯა. ახლა თვალში მეფის ცხენის გავა წაეჩხირა, იუდეიანმა არ იცოდა, რომელი შეჯავშნული მეფე მიაჭენებდა ამ ცხენს, თუმცა მისთვის სულ ერთი იყო, რადგან იტალიელ მეფეებს ვერ იტანდა. პირველი მსოფლიო ომის დროინდელი იუმორისტული ჟურნალებით დაბნეული, ბავშვობიდანვე ფიქრობდა, მეფეებს ხმლის ნაცვლად ხელში ქოლგები უჭირავთო, მაგრამ ახლა, როცა კარგად ვერ გაერკვია, დღევანდელი იუდეიანი იყო თუ ის პატარა გოტლიბი, გრძნობდა, თუ რას წარმოადგენდა სიდიადე, ფიქრობდა დუჩეზე, რომლის ბრძანებითაც ალაშენეს ეს ყველაფერი, რაც შემდეგ შებილწეს და გრძნობდა სიდიადეს ისტორიისა, რომელსაც ძეგლებს უგებდნენ და რომლის ბოლო კურთხევაც მუდამ სიკვდილი იყო. იუდეიანის არგვლივ ძლიერი შუქი იღვრებოდა, რომი გაჩირადდნებულ იყო. იუდეიანს კი ჩამკვდარ ქალაქად მიაჩნდა, რომელსაც ამქვეყნიური პირი აღარ უჩანდა: დუჩე შებილწული იყო, ისტორიამ რომს თავი ანება და მასთან ერთად გაქრა სახელოვანი სიკვდილის შესაძლებლობაც. ახლა აქ ცხოვრობდა ხალხი, ბედავდნენ ასეთ ცხოვრებას, ცხოვრებას საკუთარი საქმისა და საკუთარი სიამოვნებისათვის — ამაზე უარესი რაღა უნდა ყოფილიყო? იუდეიანი ქალაქს უყურებდა. იგი მას მკვდრული ეჩვენებოდა.

გვიან ღამით ვია დელ ლავატორე ჩამკვდარი ქუჩაა. ბაზრის დახლები ალაგებულა, ხოლო პატარა-პატარა გასტრონომიული დუქნების ვიტრინებზე ჩამოშვებულ, სიძველისაგან გახუნებულ-გამწვანებულ ყალუზებს სახლების ფასადები ჩაულამებიან, თითქოს მოხუცის დაღლილი ბისტგადაკრული თვალებიაო. ქუჩაბანდებსა და ბნელ ჩიხებში ჩაუდგამთ ღარიბული სამიკიტნოები იმათთვის, ვინც მრავალსართულიანი სახლების ვიწრო სენაკებში გამოშფვდეულან. ისინი ჩამომსხდარან გრძელ სკამებსა და ტაბურეტებზე სუფრაგადაუფარებელ, სამჭლის ნარჩენებითა და ღვინის ლაქებით დაფარულ მაგიდებთან. უკვეთავენ ნახევარ ლიტრ წითელ ან თეთრ ღვინოს dolce ან secco, ხოლო ვიაც ჭამა უნდა, საჭმელიც თან მოაქვს ჯამით ან ქალაქში შეხვეული და მოურიდებლად შლის მაგიდაზე. ამ ქუჩაბანდებში უცხო კაცი იშვიათად თუ შემოიხედავს, მაგრამ ზიგფრიდი სწორედ აქ მისჯდომია შესასვლელთან მიდგმულ მაგიდას, რომელსაც თეთრი მრგვალი ლამპა მთვარისებრ შუქს აღვრის. მაგიდასთან მეორე კაციც მიმჯდარა და რალაცას ფაციფუცობს — ხახვის სალათას იკეთებს. ზიგფრიდი ხახვის სუნს ვერ იტანს, მაგრამ ეს კაცი ჯერაც მწვანე ქორთვა ხახვის თავს ისეთი ნაამები ფცქვნის და ჭრის, ისეთი მონდომებით აზავებს სალათას ძმრით, ზეთით, წიწაკითა და მარლით, ისე მოწიწებით ტეხს ხმელ პურს, რომ ზიგფრიდს buón appetito-ს⁴⁶ თქმით იქით გზა აღარ რჩება. კაცს უხარია ზიგფრიდის თავაზიანობა და სთხოვს, ღვინო გამისინჯეთო. მისი ჭიქის შეხედვაზე ზიგფრიდს გულ-მუცელი ერევა, რადგან ხახვნაჭამ კაცს ჭიქის კიდებზე უკვე დაუტოვებია ზეთიანი ნაკვალევი, მაგრამ ზიგფრიდი ძლევს ზიზღს და ღვინოს სინჯავს. ახლა თვითონ სთავა-

ზობს მეზობელს თავის ღვინოს. ისინი სვამენ და საუბრობენ. უფრო სწორად, მეზობელი ლაპარაკობს. იგი წარმოსთქვამს გრძელ, ლამაზად აგებულ და საბოლოოდ ნელერ წინადადებებს, რომელთა აზრს ზიგფრიდი ვერ იგებს. მას ლექსიკონიდან ამოკითხული რამდენიმე ჩვეულებრივი ფრაზა უჩვენებია თუ შეუძლია. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ამ კაცისა არ ესმის, მასთან მით უფრო სიამოვნებით საუბრობს. ზიგფრიდს ერთბაშად სიხარული მოიცავს, ორივენი ძველი მეგობრებივით მისხდომიან ერთმანეთს, რომელთაგან ერთს ბევრი რამ აქვს მოსაყოლი, მეორეს კი ყურისგდება ჰგვრის სიამეს, შესაძლოა კაცს ყურსაც არ უგდებს, იქნებ რაღაც შინაგან ხმას უფრო უსმენს მადლიერებითა და სიყვარულით გამსჭვალული, არც ამ ხმისა გაეგება რაიმე, მაგრამ ზოგჯერ ჰგონია, მის აზრს ვწვდებიო. სალათის ჭამას რომ მორჩა, კაცმა ბოლო ლუკმა ზეთიან ჯამს ამოუსვა და კატას გაუწოდა, რომელიც უკვე კარგა ხანია მუდარით შეპყურებდა. კატა მადლობას უხდის და ლუკმიანად კარისაკენ მიემართება. აქ შეუფარებია თავისი კნუტები. ზიგფრიდი დგება, თავს ხრის და „felice notte“-ს, მშვიდობის ღამეს უსურვებს მეზობელს, სასაუზმეს, კატას და მის კნუტებს. შესაძლოა თავის თავსაც მშვიდობიან ღამეს უსურვებს. კმაყოფილია ამ საღამოთი. სასაუზმეში ერთი ბოთლი ღვინოსათვის შევიდა. ვინ იცის, იქნებ ამ საღამოს არც დაეძინოს. კარგია, როცა არ გეძინება და შინ ღვინო გეგულება. ზიგფრიდს სურს მეორე ბოთლიც იყიდოს. სიამოვნებით მიართმევდა ღვინოს იმ კაცს, ვისაც აქამდე ელაპარაკებოდა, ჰგონია, კაცი ღარიბია და ღვინით გავახარებო. მაგრამ შიშობს, სწორედ იმის გამო, რომ ღარიბია, ვაითუ ამით ვაწყენინო. მეორე ბოთლი აღარ იყიდა. წამოსვლისას თანამეინახეს კიდევ ერთხელ დაუკრა თავი. კიდევ წარმოსთქვა felice notte ნეტავ სწორად მოიქცა თუ არა? რატომ შერცხვა თავისი მეგობრული განზრახვისა, ვერ გაურკვევია. კვლავ იჭვმა მოიცვა. ძნელია სწორად მოქცევა. სიხარული სადღაც გაუქრა. აღარც საკუთარი თავით არის კმაყოფილი.

ზიგფრიდის ფეხის ხმა ღამის მღუმარებით მოცულ ვია დელ ლავატორეზე გაისმის. საკუთარი ჩრდილი ხან წინ გაუსწრებს, ხან უკან რჩება, ხან კი სხეულს უერთდება, თითქოს შიგ ჩაძვრაო. აი უკვე გააყრუა იგი მოედანზე ფონტანა დი ტრევის შხუილმა და ხალხის ხორხოცმა, უცხოელები ჯგუფ-ჯგუფად შემოხვევიან ამ საოცარ შადრევანს და როგორც ერთ დროს ბაბილონში, სხვადასხვა ენაზე ლაქლაქებენ. ტურისტები ბეჭითი ხალხია და ქვეყნის ისტორიისა და მისი კულტურის აჩქარებულ კურსს ერთ ღამეში გადიან. ფოტოგრაფები მალ-მალე უღებენ სურათებს — მერე ხომ უნდა თქვან, რომში ვიყავითო. ღამენათევი რომაელი ბიჭბუჭები შადრევანზე გადახრილან და გრძელი ჯოხებით წყლიდან ფულს იღებენ, რომლებსაც ტურისტები დაუფიქრებლად, ცრუმორწმუნეობის გამო ანდა ისე, გასართობად ყრიან. გზის ჩაჩვენებლებში ნათქვამია, რომში კვლავ მოხვედები, თუ შადრევანში ფულს გადააგდებო. ნეტავ რად სურს უცხოელს, კვლავ ჩამოვიდეს, კვლავ დაბრუნდეს რომში? იქნებ თავის უსიხარულო სამშობლოში გარდაცვალება აშინებს და სურს რომში დაასაფლავონ? ზიგფრიდს სურდა კვლავ მოხვედრილიყო აქ, სურდა დარჩენილიყო. მაგრამ არ დარჩება და აუზში ფულს არც აგდებს. არც სიკვდილი სურს. აქ დაკრძალვას მაინც ხომ არ ისურვებდა? მისი სასტუმრო შადრევანის ახლოა, მისი ძველებური ფასადი წყალში ვიწროდ და ირი-

ბად ირეკლება. ზიგფრიდი სასტუმროში შევიდა. წინკარი გაიარა. წინკარის ეჭით ეულად მიმჯდარი მოხუცი კაცი იყინება. იყინება კიბესთან, გასაღებების დაფასთან მიმჯდარი, ქვის იატაკი ცივია და ფეხზე ნაბდები აცვიო, პალტო დამარცხებული მეომარივით წამოუსხამს, პატარა გამელოტებულ თავზე პროფესორივით შავი ჩაჩი დაუხურავს, ემიგრანტსა ჰგავს, რომელიმე ცენტრალური ეპოქის ლიბერალს, მაგრამ ამ პატარა სასტუმროს მამარტოვან და მეტი არაფერი, ავსტრიელად დაიბადა და მალე, რამდენიმე წელიწადში, ალბათ იტალიელად მოკვდება, მისთვის კი სულ ერთია, იტალიელად მოკვდება თუ ავსტრიელად. ჩვენ ხანდახან ვსაუბრობთ ხოლმე და ახლა, შემოსული რომ დამინახა, აჩქარებით მომმართა:

— მღვდელი გელოდებათ.

— მღვდელი? — ჩავეკითხე მე.

— დიახ, თქვენს ოთახში გელოდებათ.

რამე შეცდომა თუ არის-მეთქი, ისიც ასეთ დროს, — გავიფიქრე ჩემთვის. კიბეები ავიარე, ამ ჩაძვლებული სახლის კიბეები, ქვის საფეხურებზე ბევრი სიარულით პატარ-პატარა ღრმულები გაჩენილიყო, კედლები დაბრცილიყო, ჩემი სართულის იატაკი დაქანებულიყო და ზედ ისე მივდიოდი, თითქოს აღმართი ყოფილიყო. ბოლოს ჩემს ოთახს მივალწიე, რომლის კარი ცუდად იხურებოდა. კარის დამსკდარ ფიცრებს შორის დარჩენილ ღრიჭოვში შუქი არ ჩანდა და კვლავ გავიფიქრე, რაღაც შეცდომაა-მეთქი. კარი შევღე და პირდაპირ მას მოვკარი თვალი, ფანჯარასთან მართლაც მღვდლის მალაღი შავი ჩრდილი აღმართულიყო, იგი გარედან შემოჭრილი პროექტორების შუქში გახვეულიყო, ჯერაც რომ ენთო ფონტანა და ტრევის გასანათებლად, მისი ფუმფულა ზღაპრული არსებების, — ბაროკოს სტილის გათქვირული ოლიმპისა⁴⁷ და ზღვის ტალღასავით მუდამ მოდგაფუნე და ძილისმომგვრელი აუზის წყლის გასანათებლად, მღვდელი მალაღი და გამხდარი იყო. საეზე ხაცრისფერი ედო, მაგრამ ეს ალბათ კედლიდან არეკლილი პროექტორის შუქის ბრალი იყო. შუქი ჩავრთე, აინთო უშუქფარო ნათურა, რომელიც ჩემი საწოლის თავზე ეკიდა, ყველა სასტუმროს აუცილებელ *letto grande*-ს თავზე, ორსაწოლიან *letto matrimoniale*-ს თავზე, იგი ახლა მე მეკუთვნოდა, მარტო მე ერთს, როგორც მსურდა, მასზე ისე დავწვებოდი, გახდილი და ზეწარ დაუფარებელი, უბიწო თუ ბიწიერი, მარტოდმარტო, ეული, ჩემს ზემოთ კი ნათურა ეკიდებოდა, ისიც ეული ან მობზულიე ბუზებით შემოჯარული. აუზის წყლის ჩხიალსა და მიღეთის ხალხის გნისში ჩაძირული მღვდელი უცბად ჩემკენ შემობრუნდა, წამოწყებული მისასალმებელი ეესტი აღარ დაასრულა, მხოლოდ ხელები ასწია და გაშალა, და რაკი ანაფორა ეცვა, ამბონზე შემდგარ მქადაგებელს დაემსგავსა, მაგრამ ხელები ისევ მალე დაუშვა, თითქოს სასო წარეკვეთა ან შერცხვაო და მისი ხელები ორი წითელი მფრთხალი ნადირივით შავ ანაფორაში მიიმაღა.

— ზიგფრიდი! — წამოიძახა მან და სწრაფად ალაპარაკდა. — შენი მისამართი გავიგე, ბოდიშს ვიხდი. ხელს არ შეგიშლი. ჯობს ახლავე წავიდე, თუ ხელს ვიშლი.

ეს მალაღი, გამხდარი, დაბნეული, ანაფორიანი კაცი, ჩემს წინ იდგა, ადოლფი იყო, ადოლფ იუდეიანი, ვაჟიშვილი ჩემი ერთ დროს ესოდენ ძლიერი და თავზარდამცემი ბიძისა. გამახსენდა, როგორი ვნახე უკანასკნელად

ორდენსბურგში: პატარა იყო, — ჩემზე უმცროსი, — იუნკერთა სკოლის ფორმაში გამოწყობილი გასაცოდავებული ჯარისკაცი, პატარა იყო, გრძელი შავი წითელქობიანი სამხედრო შარვალი და ყავისფერი პარტიული ფრენჩი ემოსა, პატარა იყო. თავზე ეხურა შავი პილოტურა, რომელიც წესდების მიხედვით მოკლედ შეკრეჭილ თმაზე გვერდულად წამოეკოსა; მკაცრად გამოწყობილი დავიარებოდი და გულმუცელი მერეოდა, რაკი იძულებული ვიყავი ჯარისკაცივით ან პარტიული ბონზასავით ჩამეცვა, იქნებ ადოლფსაც სძულდა ის ტანისამოსი, მაგრამ მე არ ვიცოდი, მისთვის არ მიკითხავს, გაძულს თუ არა ორდენსბურგი, იუნკერთა სკოლა, ჯარისკაცობა, ბონზები-მეთქი, მახსოვდა ძია იუდეიანი და ადოლფს არ ვენდობოდი, მასთან შეხვედრას გავურბოდი და ისიც კი შეგონა, ადოლფს, ჩემს ძმა დიტრიხივით, სამხედრო ფორმა უყვარს, ამით რაღაც სარგებელსაც გამოელის და თბილი ადგილისკენ მილტვის-მეთქი. ამჟამად მღვდლის ტანისამოსში მისმა დანახვამ გამამხიარულა და გაეფიქრე, როგორ სამოსში არ გვიხდება გამოწყობა ჩვენ, საბრალო ჯამბახებს, შეცდომებით სავსე ცხოვრების ფარსის თამაშის დრო-მეთქი. ახლად ვხვდები, რომ ის ისევ ფეხზე იდგა.

— დაჯექი, რას დგახარ, — მივმართე ადოლფს და სასტუმროს ძველისძელი ფეხებმონჯლრეული სკამი მივუჩოჩე, მარმარილოს სახურავიანი კომოდდან წიგნები, გაზეთები და ნოტები იქით გავწიე, უჯრაში საცობის ამოსაღები მოვნახე, თან მოტანილი ბოთლი გავხსენი, წყლის ბაკანთან მივედი და ჭქას წყალი გამოვაველე. თან ფიქრს განვაგრძობდი: იუდეიანი თვალთაგან გაქრა, იუდეიანმა ჭირი მოგჭამა, იუდეიანი მკვდარია. კვლავ ვფიქრობდი: რა საშუალოა, რომ იუდეიანი ვერ ხედავს ვაყიშვილს; რა საშუალოა, რომ ვერ ხედავს, როგორ ზის ახლა მისი ვაყი ჩემთან მორყეულ სკამზე; რა საშუალოა-მეთქი, ვფიქრობდი, რადგან დარწმუნებული ვიყავი, ეს რომ დაენახა, გულზე გასკდებოდა, დღეს კი ძლიერ მსურდა გულზე გახეთქილი მენახა. ხო՛რ არ ვაჭარბებ? მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას ხომ არ ვანიჭებ მას? ლეონო დავასხი და ვთქვი:

— ჯერ შენ დალიე. ერთი ჭიქიდან მოგვიწევს დალევა. მეტი არა მაქვს.

— არ ვსვამ, — მითხრა ადოლფმა.

— მღვდელს შეუძლია ერთი ჭიქის დალევა, ეს ხომ ცოდვა არაა, — მი-
ღუგე მე.

— ცოდვა არაა, მაგრამ არ შემიძლია, გმადლობ. — მცირე ხანს შეიცადა და დაუმატა, — მე ხომ მღვდელი ჯერ არცა ვარ, დიაკონი ვარ.

ჭიქა გამოვცალე, კვლავ შევავესე პირთამდე და ჩემი ფართო საწოლისკენ გავწიე. საწოლზე ისე დავწექი, თითქოს მინდოდა მენიშნებინა, ბიწიერ ცხოვრებას ვეწევი-მეთქი, თუმცა ამ ოთახში ჯერ არ შემიცოდავს, და ისიც არ ვიცი, რა არის გარყვნილება, ესე იგი, რასაკვირველია, ვიცი, მაგრამ არ მინდა, ვიცოდე. უკან გადავიწიე, ბალიშს დავეყრდენი და ადოლფს ვკითხე:

— რა სხვაობაა მათ შორის?

— მე არ შემიძლია ბავშვი მოვნათლო, — მიპასუხა ადოლფმა და თითქოს მერე გაახსენდაო, დაუმატა: — ღვთისმსახურების უფლება არა მაქვს, არც აღსარების მიღება შემიძლია, მე ცოდვებს ვერ შეეფუნდობ აღსარების ათქმელს. როცა ეპისკოპოსი მღვდლად მაკურთხებს, მაშინ შემეძლება აღსარება მივიღო.

— მაშინ ბევრი საქმე გექნება, — ვუთხარი მე და საკუთარ თავზე გავბრაზდი, ეს რად ვთქვი-მეთქი. ნათქვამი სულელური, უკბილო და უხეში გამომივიდა, ამას გარდა, მღვდლები არ მძულან. მომწონან ის მღვდლები, რომლებსაც არ ვიცნობ. მომწონან მღვდლები, როცა მათ დავინახავ, მაგრამ არ ვიცნობ. ისინი შორიდან მომწონან, უშიშარი მანძილიდან. მომწონან მღვდლები, როცა ლათინურად ლაპარაკობენ, რადგან ამ დროს მათ ვერაფერს ვუგებ. ვერაფერს ვუგებ, მაგრამ მათი ლათინური მომწონს და სიამოვნებითაც ვუსმენ. ლათინური რომ მესმოდეს, მათი ლაპარაკის მოსმენა, ნამდვილად, ნაკლებ სასიამოვნო იქნებოდა, შეიძლება მესმოდეს კიდევ, მაგრამ ცოტათოდენი რამ. შეიძლება მგონია, რომ მათი ცოტათოდენი მესმის-მეთქი, და ეს მომწონს კიდევ, რადგან, მართალი რომ ვთქვა, მათი არ მესმის. იქნებ მათი სწორად არ მესმის, მაგრამ მომწონს კიდევ, სწორად რომ არ მესმის, მაგრამ მაშინაც კი სწორად მესმის მათი, როცა არასწორად მესმის, რადგან თუ ისინი სწორნი არიან და ღმერთი არსებობს, მაშინ ღმერთი მათი პირით სიმართლეს მამცნობს მაშინაც კი, როცა მის მსახურთა პირები სულ სხვას ღაღადებენ, ვიდრე მე მესმის. მე რომ მღვდლების სიტყვები ისე მესმოდეს, რა მნიშვნელობითაც ისინი ამბობენ, მაშინ მღვდლები არ მომეწონებოდნენ. საეჭვო არაა, მათ შორისაც არსებობენ სულელი, უფლებამოყვარული და კერპჯიუტა ადამიანები. იძისათვის, რომ იბატონონ, ღმერთს იმოწმებენ. როცა იუდეიანი ბატონობდა, ჰიტლერსა და ბედისწერას იმოწმებდა. ეს ადოლფი? ნეტავ ამას ვისი დამოწმება შეუძლია? ადოლფს შევხედე. მან მე შემომხედა. ორივენი ვდუმდით. ტურისტები, რომლებიც სულაც არ იყვნენ პილიგრიმები, ბაბილონის ენაზე ღაღადებდნენ. წყლის ჩხრიალში ამა სოფლის წარმავლობა შეიცნობოდა. ეს გარეთ ხდებოდა, ოთახში — ბუზების ბზუილი იდგა. აქ ბუზები ბზუოდნენ. ჭუჭყიანი ბუზები.

ეს სარდაფი პირდაპირ ვირთხების ბუნაგია, მაგრამ იუდეიანს გული იქით მაუწევს, ოღონდ ამ ფართო, მოსაწყენ ვია ნაციონალეს გაეცალოს და იმ სარდაფში ჩავიდეს, ჭუჭყიანი სველი ქვის კიბეებს ჩაუყვეს; მგელივით შიოდა და სწყუროდა და ეს უბიძგებდა ამ სარდაფისაკენ, ფირნიში „გერმანული სამხარეულო“ იზიდავდა, ფირნიში „პილზენის ლუდი“ თვალს სტაცებდა. გერმანელმა კაცმა გერმანული საქმელები უნდა ჭამოს, პილზენი გერმანული ქალაქი იყო, პილზენი პილზენად — ჩეხურ ქალაქად გადაიქცა, გამცემლობის გამო დაკარგეს ეს ქალაქი; შკოდას ქარხნებს სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა, ლუდს სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა, სახრჩობელებსაც სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა. ყველგან კი ეს გამცემლობა, დაბალი რასის ადამიანები, ვირთხები, უცხოელი მუშები, საიდუმლო პოლიციამ საშიშროება დროზე გაიგო და აღკვეთა, კამერადმა ჰაიდრიხმა მათზე გადამწყვეტი იერიში იიტანა, მაგრამ კამერადი ჰაიდრიხი — ეს მისი ორეული, სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი, — მკვდარია, იუდეიანი — ცოცხალი. მუდამ ერთი და იგივე საყვედური. ეს ევას საყვედურმა გაიხმიანა მის გულში ახლა. იუდეიანმაც გაიფიქრა, ევა რაღად არის ცოცხალი, რატომ გადარჩა? ფიქრი არ იყო იუდეიანის საქმე. ფიქრი — ეს მოძრავი ქვიშაა, საშიში, აკრძალული ზონაა. ფიქრი ლიტერატორების საქმეა, კულტურული ბოლშევიკების საქმე, ბრძალების საქმე. ყველაზე მარჯვედ კი პისტოლეტი ფიქრობს. იუდეიანს

თან არ ჰქონოდა იარაღი. თავს უშიშრად ვერ გრძნობდა. ნეტავ რა დაემართა? რატომ არ მიდის საუკეთესო რესტორანში, ის ხომ კარგად ჩაცმულია, ჯიბეშია ცეკვიუტანელი პასპორტი და ბლომად ფული უდევს, რატომ არ ამოიყორავს მუცელს როგორც ამას ებრაელები შვრებიან, რატომ არ მიადება ბატის ღვიძლს, სხვადასხვა სოუსებს, ნაზ, საგანგებოდ ნასუნუნს, მკვრივებს, რატომ არ წავა შემდეგ დანსინგში, კარგად ჩაცმული, ფულით ჯიბედატენილი, რატომ არ შეზარხოშდება გემოზე და შემდეგ ღამისთვის ერთ კარგ გოგოს არ გამოიჭერს? კარგად ჩაცმულს, ჯიბედატენილს, ებრაელივით ავხორცს შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს მათ, შეუძლია პრეტენზიები იქონიოს, მაგრამ რატომ არ სჩადის ამას? მუცელდმერთობა და კახპები — ლანდსკნეხტების საქმეა, ასეა მათ სიმღერაში, რომელსაც დაქირავებულთა კორპუსში მღეროდნენ, ასე მღეროდნენ როსბახში ბანაკის ცეცხლთან მიმსხდარნი, შავი რაიხსვერის ბანაკში ღრიალებდნენ ასე, ფემეს ტყეში. იუდეიანი ლანდსკნეხტი იყო, უკანასკნელი გადარჩენილი ლანდსკნეხტი, ამ სიმღერას იგი უდაბნოშიც უსტვენდა. ახლა მას სურს თავისუფლება მისცეს მუცელს, გატყვევებს, გაილეშოს, კახპებთან გორვის ეინიც მოიკლას, ძალიან სურს, რატომ არ აისრულებს იმას, რაც სურს, რად უნდოდა ეს ტრაქტირები და სასაუზმეები, ან ეს სარდაფი რად სჭირდება? მაგრამ გული მაინც იქით მიუწევდა. რაღაც საბედისწერო დღე იყო ეს დღე. უძრაობა იგრძნობოდა ამ ქალაქის ჩამყაყებულ პაერში, რაღაც საბედისწერო უძრაობა და გაშეშება. ასე ეგონა, ამ ქალაქში მხოლოდ ცვედნები ცხოვრობდნენ, ეგონა, თითქოს მღვდლებს დაესაჭურისებინათ მთელი ქალაქი. ქვემოთ ჩავიდა, „პილზენის ლუდთან“, საზოგადოების ფსკერზე დაეშვა, ჩეხ ვირთხებთან, პილზენის კასრებთან; დაინახა დიდი ქვის დარბაზი, თაღებიანი, რამდენიმე მაგიდა და სკამი, დაბლს იქით მოჩანდა ლუდის ჩაყანგებული ონკანები, ლუდის ქაფი თუთიაზე ამონარწყევს წააგავდა. ერთ მაგიდას ორნი მისხდომოდნენ. ბანქოს თამაშობდნენ. კაცები იუდეიანს მიაცქერდნენ და ჩაიცივნეს. იქედნურად ჩაიცივნეს. შემდეგ იუდეიანს მიესალმნენ:

— არც თქვენ ხართ აქაური!

კაცები გერმანულად ლაპარაკობდნენ.

იუდეიანი დაჯდა.

— ფაცურა აქეთ, — დაიძახა ერთ-ერთმა, დამხვდურმა. — მოვიდა კელნერი.

— ერთი პილზენური, — შეუკვეთა იუდეიანმა.

კაცებმა ჩაიცივნეს, იუდეიანმა დაუმატა:

— ყველასათვის.

მათ ისევ ჩაიცივნეს. კელნერს იტალიურად გამოელაპარაკნენ. კაი გაქხილი ჩაღხი ჩანდა. კელნერმა ჩაიცივნა. კაცები იუდეიანს კამერადს ეძახდნენ, ერთმანეთს კი ძმაკაცებს. იუდეიანს მათზე გული მოუვიდა. ამ მოღვმის ბაღს კარგად იცნობდა. თავზეხელაღებული, მარყუჟიდან თავდაღწეული ჯეგლები იყვნენ, სახე იმ მიცვალებულის სახეს მიუგავდათ, რომელიც რაღაც ბილწი სნეულებისაგან გარდაცვლილიყო. ლუდი მოიტანეს. ისეთი იყო, ენას უშუშავდა, უშუშუნა ღიმონათს ჰგავდა. ოღონდ შხამშერეულს, მაგრამ ცივი იყო. ტოლჩები გარედან შეიჭირბლა. ორივე მამაკაცმა შხამგარეული გემოს ლუდით სავსე შეჭირბლული ტოლჩები ასწია და იუდე-

იანს მიესალმა. წესი იცოდნენ. მაგიდის ქვეშ ქუსლები ერთმანეთს მიართ-
ყეს, სკამზე გასწორდნენ. იუდეიანმაც მათ მიბაძა. ის წესებს ყოველთვის
იცავდა. კელნერმა საჭმელები გაშალა. ეტყობოდა, კაცებმა შეუკვეთეს. ყა-
ვისფრად დაბრაწული ხახვი შიშხინებდა დიდ დაკეპილ ბიფშტეკს. მწკრივს შე-
უდგნენ, სტომაქს იყორავდნენ. კაცებს ხახვი ძალზე მოეწონათ. ხახვი მრე-
წონა იუდეიანსაც. დამეგობრდნენ.

— ისე გემრიელად ვჭამ, თითქოს შინ ვიყო, — თქვა ერთ-ერთმა.

— მიქარვაა! — მიუგო მეორემ, — ისეთი გემრიელია, თითქოს ჯარის-
კაცური ულუფა იყოს. მე ყოველთვის ჯარისკაცური საჭმელი მეგემრიელება.

— სად მსახურობდი? — ჰკითხა იუდეიანმა.

კაცებს ჩაეცინათ.

— სათვალე მოიხსენი, — უთხრეს იუდეიანს, — არც შენ ჩანხარ გუ-
შინდელი ბიჭი.

იუდეიანმა სათვალე მოიხსნა. ორივე დაკვირვებით შეათვალიერა. ნამდ-
ვილად მისი ყაიდის ჭეელები იყვნენ. ო, რა სიამოვნებით გაწვრთნიდა ორივეს.
ისე გაწვრთნიდა, რომ საჭმეში ტოლი არ ეყოლებოდათ. „კაი გაქნილი ბიჭე-
ბია“, გაიფიქრა მან.

— მგონი, გიცნობ, — დაიწყო ერთმა. — წყალი არ გაუვა, სადღაც მი-
ნახიხარ. თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს. — მართლაც და რას შეიძლებო-
და მნიშვნელობა ჰქონოდა? მათ დაასახელეს ნაწილის ნომერი. იუდეიანმა
ეს ნაწილი კარგად იცოდა, ერთი გამოუსწორებელი მკვლელების რაზმი იყო,
სახელგატეხილთა გაერთიანება, ვაჟკაცური შემართებისა; სადაც რეგულარუ-
ლი ჯარის ნაწილი ვერაფერს აწყობდა, იქ მათ მიუშვებდნენ ხოლმე. მრავ-
ლის უმრავლესიც დააწვინეს. მათი ნაწილი იუდეიანს ემორჩილებოდა. ფიუ-
რერი მათ მოსახლეობასთან ანგარიშის გასასწორებლად იყენებდა. ამ ნაწილს
ხალხების გაწყვეტა ჰქონდა დავალებული. იუდეიანმა მათი მეთაური იკით-
ხა, მარჯვე ჭეელი იყო, გამოსადეგი გაიძვერა. კაცებმა იუდეიანს შესცინეს.
ერთ-ერთმა ხელით ჰაერში მარყუჟი მოხაზა და გამონასკვა.

— ვარშავაში, — თქვა მეორემ.

„ვარშავა ხომ ჩვენი იყო, პარიზიც ჩვენი იყო, რომიც დაპყრობილი
გვქონდა“, — გაიფიქრა იუდეიანმა და ბიჭებს ჰკითხა.

— ახლა რას აკეთებთ?

— არაფერს, აი ასე ემოგზაურობთ.

— რამდენი ხანია?

— კარგა ხანია.

— საიდან ხართ წარმოშობით?

— ვენიდან.

ისინი არ იყვნენ გერმანელები, აღმოსავლეთის ნარევი რასას წარმოადგენ-
დნენ, ავსტრიელ ესესელებს, რომლებიც ყოველი გაჭირვებიდან იოლად იძ-
ვრენდნენ თავს. იუდეიანი მათ ისე უმზერდა, როგორც კობრა გომბეშოს
უყურებს, მათ კი იუდეიანი დიდ გომბეშოს აგონებდა. თუმცა იუდეიანის მზე-
რაში გამოსტკვიოდა მოწონებაც და ანგარიშიანობაც გველების მომშენებლისა,
რომელიც ლაბორატორიაში მზამის გამოსაღებად და ვივისექციისათვის რეპ-
ტილიებს აბარებს. იუდეიანი კაცებსა და ქაბუკებს ისტორიის აყროლებულ
სისხლიან ლაბორატორიაში, სიკვდილის გამოსაცდელ სადგურზე აგზავნიდა.

ეთქვა, ვინც იყო? ახლა უდაბნოში ხომ არ მოეწვია? ის არ შეუშინდებოდა თავის ვინაობის გამჟღავნებას, მაგრამ მას შემდეგ, რაც მათთან ერთად ჭამა და სვა, თავისი წოდება ნებას აღარ აძლევდა, თავი გაემხილა, მკვლევლების მთავარსარდალს არ შეფერის ხელქვეითებთან ერთად უჯდეს მაგიდას; ეს ეწინააღმდეგებოდა ოფიცრის ქცევის წესებს.

— ჩვენ გვაქვს ავტომანქანა, — განაცხადეს მათ, ამას „ორგანიზებას“ უწოდებდნენ. მათ ისწავლეს ორგანიზება. ჯერაც ორგანიზებას ეწეოდნენ. იუდეიანმა თავისი დანახარჯი გადაიხადა. კაცები მოელოდნენ, ის გადაიხდის ჩვენს დანახარჯსაცო, ამის გაფიქრებამ იუდეიანი გაახალისა. ის არასოდეს იბდიდა სხვის დანახარჯს. საფულეში იუდეიანს სხვადასხვა ქვეყნის ბანკნოტები ელაგა, მაგრამ ვერ ერკვეოდა ამ ბარაქიანი ზომის დაჭმუჭვნილი ქალაქლების კურსში, ომით გაუფასურებული კურსის გაბერილ რიცხვებში. ომი — ეს იუდეიანი იყო და მას ეგონა, თითქოს მან შეუწყო ხელი ფულის გაუფასურებასა და კურსის გაბერვას. ეს მას სიამოვნებდა კიდევ და გულსაც ურევდა. იუდეიანს კაცები დაეხმარნენ ვალუტის კურსის გარკვევაში. ისინი საბირჟო ოპერაციების „ორგანიზებას“ ახდენდნენ, შეეძლოთ მარჯვედ მოეღუნათ, როგორი დიდი თანხაც ვნებავთ, შეეძლოთ ჩალის ფასად ეშოვათ დოლარები. იუდეიანს სძულდა ფული და ბევრი კი სჭირდებოდა. ამიტომ ფხიზლობდა, ფული არ დაპკარგვოდა. პატარა გოტლები მდიდრებით ყოველთვის აღტაცებული იყო, თან კი მუდამ სძულდა ისინი. იუდეიანი სიამოვნებით ცხოვრობდა ისე, როგორც მდიდრები, მაგრამ მათ სიცოცხლეს პატივს არ სცემდა. ისიც სცადა, მათთვის გადაეჭარბებინა. მდიდრები სულელები იყვნენ. ისინი იუდეიანს იმ ლაქიად სთვლიდნენ, რომელსაც მათ საქმეებზე უნდა ეზრუნა. მაგრამ ლაქია მედილეგედ იქცა და მდიდრები საკნებში გამოამწყვდია. თუმცა ბოლოს ეს პატიმრებიც ხელიდან დაუძვრნენ იუდეიანს. მდიდრები კვლავ მდიდრებად დარჩნენ. ისევ თავისუფლად გრძნობდნენ თავს. კვლავ გონივრები იყვნენ. პატარა გოტლები ისევ კუთხეში იდგა, მდიდრებს კვლავ აღტაცებაში მოჰყავდა, მაგრამ ისინი ისევ სძულდა. ზოგჯერ ნამცხვრის ერთი ნაჭერი მასაც ხვდებოდა ხოლმე წილად. ვარსკვლავთა მდგომარეობა იუდეიანს ცუდს არაფერს უქადდა. ჭაღენშტაინს სჯეროდა ვარსკვლავებისა. მარსი, მერკური და კლიო ახლა ვირთხების ბუნაგში შეყუყულოყვნენ. ქანცგაწყვეტილები, ხასიათწამხდრები, ჭირვეულები, შურით აღვსილნი, ანგარებიანები, გაუმაძღრები, ერთმანეთთან მრუშობას მაინც არ წყვეტდნენ. პრესა აქვეყნებს ხოლმე ცნობებს მათი მუცლის მოშლის შესახებ. იუდეიანმა ავსტრიელებთან, ამ გვამისსახიან, მოდიმარ სულიერ ძმებთან და მებრძოლ მეგობრებთან, გამოსადეგ „ორგანიზატორებთან“ ერთად პილზენის სარდაფი მიატოვა.

კამერადები. ვირთხები. სარდაფის საფეხურებზე ვირთხები ამოდიოდნენ.

ის დაქანცული იყო და კიდევ ვთხოვე, ღვინო დალიე-მეთქი, მაგრამ ისევ იუარა. მე გავიფიქრე, მაშინაც ალბათ ასე ქანცმილეულია, როცა თავის მოძღვარს აღსარებას ეუბნება ხოლმე. მე მისი აღსარების მიმღები არ ვიყავი და არც არაფრის შენდობა შემეძლო. ვერავითარ ცოდვას ვერ ვხედავდი. მხოლოდ ცხოვრებას ვხედავდი, ცხოვრებას კი ვის შეუნდობ. არც თუ რამ რჩევის მიცემა შემეძლო. ვის აქვს რჩევის მიცემის უფლება? და როცა მან წამოიყვირა:

— ის ხომ დედაა ჩემი, ის ხომ მამაჩემია! — ამით თითქოს არც არაფერი მითხრა და ბევრი რამეც მითხრა.

ასე გავიგე, რომ ისინი რომში იყვნენ, ჩემი მშობლები, ჩემი ძმა დიტრიხი, ძალო და ძია იუდეიანი, თურმე ისიც ცოცხალი ყოფილა, ადოლფი კი ჩემს წინ იჯდა, იჯდა, როგორც ვხვდებოდი, თავისი ანათორის წყალობით თუ მთლად არა, ნაწილობრივ მაინც ჩვენგან თავისუფალი, დიახ, მან ვაიხსენებოდა თავი, თუმც არ მსურდა გამეგო, რა დაუჯდა ეს გათავისუფლება, ისევე როგორც არ მსურდა მცოდნოდა, თვით მე რა დამიჯდა მათგან გათავისუფლება. ახლა სადღა გავქცეულიყავი, როცა ისინი აქ იყვნენ და მე მდევდნენ? ადოლფი უკვე შეხვედროდა მათ, უფრო სწორად, დედამისს, რომელსაც მასზე საზარელი შთაბეჭდილება მოეხდინა და როცა ადოლფმა წამოიძახა, „ის ხომ დედაა ჩემი, ის ხომ მამაჩემიაო“, — მე ამის გაგონებაც არ მინდოდა. უკვე აღარ მინდოდა. მე მათგან თავი დავიხსენი. თავს თავისუფლად ვგრძნობდი. მეგონა, თავისუფალი ვიყავი და თავისუფლად მსურდა დავრჩენილიყავ და მე არ ვიყავი ქრისტიანი. ვფიქრობ, ამით ძია იუდეიანს მაინც არ ვგავდი, თუმცა ქრისტიანი არც ის იყო. მე არ ვიყავი ქრისტიანთა მტერი, ეგ კი იყო — ეკლესიაში არ დავდიოდი, ესე იგი, ეკლესიებში ძალზე ხშირადაც დავდიოდი, მაგრამ არა წირვა-ლოცვის გამო და მის მოსასმენად, უფრო სწორად, წირვა-ლოცვის მოსასმენად კი დავდიოდი, მაგრამ არა იმისა, რომელსაც ისინი აღავლენდნენ იქ. რაკი ადოლფი ქრისტიანიც იყო და სულიერი მამაც, მან იცოდა ღვთის სიტყვა, რომ მამა და დედა უნდა მიატოვო — ჰოდა, მანაც ხომ მიატოვა ორივე?

ადოლფი ნიკაპით ხელს დაეყრდნო. სამხედრო სასწავლებლის ბოლო დღეების ამბებს მომიყვა, გადმომცა, თუ როგორი იყო ნაციონალ-სოციალისტური აღზრდის კერის დასასრული, იმ კერისა, სადაც ჩვენ ყურმოჭრილ აღმსრულებლად გვწვრთნიდნენ, საიდანაც ფიურერისათვის ახალი შევსების მიღება სურდათ. ხელყუმბარებს ადრეც გვასროლინებდნენ ხოლმე, სავარჯიშო ხელყუმბარებს, რომლებიც ყურისწამლები გრიალით ფეთქდებოდა სკოლის მდგლოზე და პატარა ალს ამოისროდა ხოლმე, მერე მათ ნამდვილი „საბრძოლო ყუმბარები მისცეს, რომელიც ქამარზე უნდა ჩამოეკიდათ, მაგრამ ყუმბარები ყველას არ ეყო და ბიჭებს ბერძნული წარმოების ძველი, არასაიმედო, ნაალაფარი ხელყუმბარები დაურიგეს. ერთი ბიჭი ამ ხელყუმბარამ ნაფლეთებად აქცია, რადგან ხელის გამოსაკვრელი ზონარი ამურმას გამოეღო და სიარულში აფეთქდა. ასე განმარტეს აღმზრდელებმა ამ უბედურების მიზეზი. შემდეგ ბიჭებს ჩაყანგებულულებიანი შაშხანები დაურიგეს, რომელიც ადრე, უკვე წარსული გამარჯვების დროს ეგდოთ ხელთ, ბიჭებს ფოლქსშტურმის⁴⁸ ხანდაზმულ კაცებთან ერთად არწივის ბუდე უნდა დაეცვათ, დამარცხებული, მაგრამ ჯერაც ისევ სისხლმოწყურებული ღმერთების თავშესაფარი, მაგრამ საბედნიეროდ, ღმერთებმა ერთმანეთი მანამდე გადაჭამეს და თავგზა დაკარგეს, სანამ დაიხოცებოდნენ, ფოლქსშტურმელი ბებრები კი ტყესა და მთებში მიმოიფანტნენ, ზოგიც თივის ძნებში და კარტოფილის სარდაფებში გადაიმალა, ყოჩალი აღმზრდელები თავგებივით დაძრწოდნენ ირგვლივ, რადგან დადგა იმ ლორის ფასის გადახდის დრო, რაც მათ აქამდე თალეს. ახლა კი ჩაცვივდნენ იმ ხაფანგში, იმ გალიაში, რომელსაც ნელ-ნელა თვითონაც წნავდნენ. შემდეგ ხმა დაირბა, ერთი მატარებელი კიდეც გავაო და აღმზრდელებმა ბიჭები შინ გავზავ-

ნეს, უშაშხანოდ, უხელყუმბაროდ, სამაგიეროდ ყავისფერი სასკოლო ფორმა გააყოლეს. მაგრამ სახლში მისვლა მათ აღარ ეწერათ, სახლისგან მოკონება თულა დარჩა. მატარებელი შორს ვერ წავიდა. მოიერიშე ავიაციამ ტყვიების უწყვეტი ნაკადი გაცოფებული ხვრეტდა და აქუსმა ცხელ ვაკონის მინებს, თუნუქსა და ფიცარს. ადოლფი არ დაჭრილა, მაგრამ მატარებელი ადგილიდან აღარ დაძრულა, მიწაზე უძრავად გაჭიმულ მტრულს იყენებდა. ბიჭები ფეხით გაუყვნენ რკინიგზის ვაკისს, ნამტვრევ ქვას, განძელებზე ბორძიკობდნენ, შემდეგ მეორე მატარებელი დაინახეს. მასში საკონცენტრაციო ბანაკის პატიმრები ჩაეყარათ, ისიც ადგილზე მიყინულიყო. ბიჭებს ჩონჩხები უყურებდნენ. მკვდრები უყურებდნენ. ნაცისტების პარტიული სკოლის ფორმაში გამოწყობილ ბიჭებს გული გაუსკდათ. მაგრამ ისიც ვერ გაერკვიათ, რისა ეშინოდათ. ისინი ხომ პატარა გერმანელები იყვნენ, თანაც რჩეულები. მათ ერთმანეთს გადაუჩურჩულეს:

— ესენი საკონცენტრაციო ბანაკიდან არიან! ებრაელები! — მერე აქეთ-იქით მიმოიხედეს და კვლავ ჩურჩული განაგრძეს: — ჩვენები სადღა არიან, სადღა დაცვა?

დაცვა იქ აღარ იყო, მატარებელი კი ტყესა და ველს შორის გაჩხერილიყო. გაზაფხული იდგა, პირველი ყვავილები ამოწვერილიყვნენ, პირველი პეპლები დაფარფატებდნენ ჰაერში, ყავისფერქურთუკიანი ბიჭები მარტოდმარტო აყუდებულებიყვნენ პატიმრის თეთრ-ცისფრად დაზოლილ სამოსში გახვეული ტუსაღების პირდაპირ, ჩონჩხები და მკვდრები ჩაცვენილი თვალის ფოსოებით თითქოს ნაცისტი ბიჭების მიღმა იმზირებოდნენ და ბიჭებს უცბად მოეჩვენათ, თითქოს ძვლის საყრდენი გამოაცალეს, ჩონჩხები აღარ ჰქონდათ, თითქოს ცარიელი ყავისფერი ქურთუკებიღა იყვნენ, რაღაც ბოროტი ჯადოქრობით გაზაფხულის ჰაერში რომ ეკიდნენ. ბიჭები რკინიგზის ვაკისიდან ტყისაკენ დაეშენენ. ერთად აღარ დარჩენილან. აქეთ-იქით მიმოიფანტნენ. ერთმანეთი ისე მიატოვეს, არც გამომშვიდობებიათ. არც ხელი გაუწვდიათ ერთმანეთისათვის, არც „ჰაილ ჰიტლერ!“ წამოუძახიათ. ადოლფი ერთი ბუჩქის წინ ბალახში ჩაგდა, არ იცოდა, სად წასულიყო. მაგრამ ამ ბუჩქში მოჩვენება შემალულიყო და ადოლფს აკვირდებოდა. მოჩვენება სწორედ ადოლფის ტოლი იყო, მაგრამ მასზე ერთიორად ნაკლებს იწონიდა. ადოლფი ატირდა. ადოლფს ტირილს მუდამ უშლიდნენ. „გერმანელი ბიჭი არ ტირის“, ეუბნებოდნენ მშობლები და აღმზრდელები. ახლა ადოლფი ტიროდა, მაგრამ არ იცოდა, რად ტიროდა. იქნებ იმიტომ, რომ პირველად დარჩა მარტო, რადგან ახლომახლო არავინ იყო, ვინც ეტყოდა „გერმანელი ბიჭი არ ტირისო“. აჩრდილმა რომ შეამჩნია, ადოლფი ტირისო, წამოავლო კეტს ხელი, იქვე რომ ეგდო, და ბუჩქიდან გამოვიდა — ეს იყო მოცახცახე, დაძაბუნებული არსება, როზგებისაგან აჭრელებული კანით, გადაპარსული ბავშვური თავითა და მიცვალებულის სახით. დაზოლილქურთუკიანმა მოჩვენებამ ხელკეტი ასწია, ადოლფს მიუახლოვდა შიმშილისაგან ჩაშრეტილ სახეზე ამოზრდილი უზარმაზარი გაძვალტყავებული ცხვირი და ადოლფ იუდეიანმა შეამჩნია თავდამსხმელი — პირველად ნახა ცოცხალი ებრაელი, თუმცაღა ეს ებრაელი ცოცხლებში ძლივს თუ ჩაიწერებოდა. აჩრდილმა აცახცახებული ხელით ასწია კეტი და ჩახლეჩილი ხმით იყვირა — პური მომეციო. ადოლფმა ზურგჩანთა გახსნა, პურიც ჰქონდა, ძენვიც, მარგარინიც, — წამოსვლისას საღაშქრო მარაგი დაურიგეს — და, საოცარი კი

იყო, მაგრამ ნახევარი გირვანქა ნუშიც, რადგან შემთხვევით სკოლაში ისიც აღმოჩნდა. ადოლფმა მთელი მარაგი აჩრდილს გადასცა, მან ჩანთა ხელიდან გამოჰგლიჯა, ბიჭს ორიოდ ნაბიჯით გასცილდა, მიწაზე დაჯდა და ძეხვისა და პურის გლეჯას შეუდგა. ადოლფი შორიდან შესცქეროდა. არაფერს ფიქრობდა, გონებაში ერთი აზრიც არ უტრიალებდა, თავი მთლად გამოცხრობებოდა, თითქოს რაც აქამდე ეფიქრა თუ ესწავლა, ვიღაცას მისთვის დაწესებულ გამოეყარა, რათა ახალი აზრებისათვის ადგილი გაეთავისუფლებინა. მაგრამ ნამდვილად ასე იყო თუ არა, ჯერ არც ეს იყო ცნობილი; ერთი რამ კი ცხადი იყო — თავი სრულიად ცარიელი ჰქონდა, საპაერო ბუშტივით ცარიელი, რომელიც უსიცოცხლოდ ეკიდა მდებარეობაზე. აჩრდილმა შეამჩნია, რომ ადოლფი მას მისჩერებოდა, ძეხვისა და პურის ნაჭრები გადაუყარა და მიადახა:

— შენც ჭამე! ორივეს გვეყოფა!

ადოლფიც შეუდგა ჭამას, თუმცა შიმშილს არ გრძნობდა, ვერც თუ რაიმე გემოს ატანდა საჭმელს, მაგრამ არც ეზიზღებოდა. როცა მეორემ დაინახა ადოლფი ჭამსო, მასთან მივიდა და გვერდით მიუჯდა. ნუშის ჭამას ერთად შეუდგნენ. ნუშის პარკი მათ შუა იდო, ორივე მათგანი, ცოტა დაბნეული იყო, პარკში ხან ერთი ყოფდა ხელს, ხან მეორე.

—ახლა ამერიკელები მოვლენ, — თქვა ებრაელმა ბიჭმა. — შენ საით აპირებ წასვლას?

— რა ვიცი, — მიუგო ადოლფმა.

— ნაციისტი ხარ?

— მამაჩემი, — კვლავ გაეპასუხა ადოლფი.

— შინაურები დამიხოცეს, — თქვა ებრაელმა ბიჭმა.

ადოლფმა გაიფიქრა, ალბათ მამაჩემიც მკვდარიაო, უნდა მომკვდარიყო, მაგრამ ამას სულაც არ შეუწუხებია. წელან რომ ტიროდა, საკუთარი თავის გამო ტიროდა, შეიძლება არც საკუთარი თავის გამო, საერთოდ არც იცოდა, რად ტიროდა, იქნებ მთელ ქვეყანას დასტიროდა, მაგრამ მამის გამო არამცა და არამც, ნუთუ არ უყვარდა? არც ისე იცოდა. სძულდა? ჭერც ამაში გარკვეულიყო. მამას ისე უყურებდა, როგორც ხატს, როგროც კედელზე დაკიდულ ნაციისტური პარტიის წარმომადგენლის ხატს, მაგრამ მას ეს ხატი არაფერს ეუბნებოდა, ვერავითარ გრძნობას ვერ აღუძრავდა. ებრაელმა ბიჭმა ამოარწყია, უკანვე ამოიღო ძეხვი, პური, მარგარინი, ამოიღო ნუშიც. მის კბილებს რაკი-რუკი გაუდიოდა და ასე გეგონებოდათ ცვილისფერ კანში ამოჩრილი ძვლებიც რაკუნობენო. ადოლფმა ყავისფერი ქურთუკი გაიხადა და ბიჭს დააფარა. არ ესმოდა, ასე რატომ მოიქცა. თანაგრძნობის გამო არ უქნია, არც სიყვარულის გამო. არც სირცხვილის გამო მოქცეულა ასე. ისე, თავისთავად გამოუვიდა, რადგან იგრძნო, რომ სხვას სციოდა. ამის მერე მათ ქურთუკები გაცვალეს. ადოლფმა ტყავის ლურჯ-თეთრად დაზოლილი ქურთული ჩაიცვა, რომელსაც ებრაელობის მანიშნებელი ვარსკვლავი ეკეთა. ამან როგორღაც ააღელვა. გული ისე აუძგერდა, ძარღვებში აჩქროლებული სისხლის დენა იგრძნო. ქურთუკი ტანს უწვავდა. ამას აშკარად გრძნობდა. ცოტა ხნის მერე გზატკეცილიდან გრუხუნის შემოესმათ.

— ტანკებია, — თქვა ადოლფმა.

— ამერიკელები, — ჩაიჩურჩულა ბიჭმა, ახლა იგი გადარჩენილი იყო, მაგრამ თავს ძალზე სუსტად გრძნობდა და ტანკებამდე მიფოფხება არ შეეძლო.

ადოლფი? ნუთუ ამით დასრულდა მისი სიცოცხლე, ნუთუ ეს სიცოცხლე შეწყვიტა იმ არმიამ, რომელიც გერმანულ მიწაზე გრილითა და დრეხილით მოიწევდა? ბიჭები ბალახბულახში მიწვნენ და ზემოდან ტოტები წაიყარეს. ღამით გვერდივევრდ იწვნენ და ერთმანეთს ათბობდნენ. დილით სოფელში წავიდნენ. ებრაელმა ბიჭმა ამერიკელები მოძებნა. ადოლფს უთხრა: *Вот они!*

— წამომყევი!

მაგრამ ადოლფი არ წაყვა. ამერიკელების ნახვა მას არ სურდა და სოფელში ყიალს მოჰყვა. თვალეზღაპეტილები შესცქეროდნენ — წითელ ქობიანი შავი სამხედრო შარვალი ეცვა, თმა ჯარისკაცურ ყაიდაზე ჰქონდა გაკრეჭილი, ტანზე კი საკონცენტრაციო ბანაკის ქურთუკი ემოსა. სოფლის ეკლესიაში შევიდა. იქ ჩამოჯდა, რადგან ეკლესიის კარიღა იყო ღია, რადგან სხვაგან აღარსად იყო კარი ღია, რადგან დაიქანცა და არ იცოდა, სად წასულიყო. აქ იგი მღვდელმა იპოვა. მძინარეს წაადგა თავზე. ნუთუ ეს იყო მისი ბედი? ნუთუ ღმერთმა მოუწოდა თავის წიაღში? კვირა დღეს წირვისას მღვდელმა თქვა: „ჰეშმარიტად, ჰეშმარიტად, მოგმართავთ თქვენ, ვინც ისმენს ჩემს სიტყვას და სწამს მისი, ვინც მე მომავლინა, მარადიულია მისი სიცოცხლე, და სასამართლოში კი არ წარსდგება, არამედ უკვე აღსდგა სიკვდილიდან და სიცოცხლეში დაემკვიდრა. ჰეშმარიტად, ჰეშმარიტად, მოგმართავთ თქვენ: დადგება დრო და დადგა კიდევ, როცა მიცვალებულნი გაიგონებენ ხმას ღვთის ძისას და ის ვინც გაიგონებს, სიცოცხლეში დაემკვიდრება“.

სურდა ადოლფს სიცოცხლე? იქნებ სასამართლოში წარსდგომა სურდა? ეკლესიაში ქალები და ლტოლვილები შეკრებილიყვნენ, მოსულიყვნენ მამაკაცებიც, რომლებსაც საჩქაროდ ჩაეცვათ სამოქალაქო სამოსელი, რათა ტყვეობას გადარჩენოდნენ. ამერიკელი ჯარისკაცებიც შემოსულიყვნენ. მოკლე, მსუბუქი კარაბინები სკამებზე მიეყუდებინათ, სალოცავად გადაჯვარედინებული ხელები კი ფოლადის მუზარადებზე დაეწყოთ. მათ სიცოცხლე შეინარჩუნეს. ისინი ზღვის იქითა მხრიდან მოსულიყვნენ. ამბობდნენ, გამათავისუფლებლები ვართო. ისინი ჯვაროსნები იყვნენ. ნაციონალ-სოციალისტთა სკოლაში ადოლფ იუდეიანს ჯვაროსნების ლაშქრობების ამბები ხშირად გაეგონა. მაგრამ მის აღმზრდელებს ჯვაროსანთა ლაშქრობები არ მოსწონდათ. აღმზრდელები მიწის დაპყრობას ასწავლიდნენ და არა ზეცისას. მათი აზრით, არ ღირდა წმინდა კუბოს ბრძოლით მოპოვება; მაგრამ კუბოები მათ არ აშინებდათ. ადოლფს აღარაფერი სჯეროდა თავისი აღმზრდელებისა. ადამიანებისაც აღარაფერი სჯეროდა ადოლფს. მას სურდა ღვთისთვის ემსახურა. მამა ღმერთისა, ძისა და სულისა წმინდისათვის.

სიკვდილი არ უნდოდა. გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას. ეშინოდა. იუდეიანი ერთგულ ჰეშმევრდომთა — თავისუფლად გაშვებულთა და არა გაათავისუფლებულთა — ავტომანქანაში იჯდა. ეს გახლდათ გვარიანად შელანძლული, ფრონტგამოვლილი ჯაბახანა; თითქოს საომრად არიან გამზადებულნი, დასაზვერად მიდიან, რომ იერიში მიიტანონო. რომელი მიმართულებით? მიმართულება სულ ერთი იყო. მთავარი იყო იერიში მიეტანათ.

— ვაგზალზე! — ბრძანა იუდეიანმა.

თვითონაც არ იცოდა, რა სურდა ვაგზალზე, მაგრამ ვაგზალი რაღაც განსაზღვრული მიზანი მაინც იყო. ეს იყო რაღაც ადვილმდებარეობა. აქ შეიძლე-

ბოდა დამალვა. შეიძლებოდა თავის შეფარება. შეიძლება გამჭრალიყავი, გამ-
 გზავრებულიყავი, კვლავ უკვალოდ მიმალულიყავი, კვლავ მომკვდარიყავი ისე,
 რომ არ მომკვდარიყავი: იუდეიანს შეეძლო ლეგენდად ქცეულიყო, როგორც
 „მფრინავი პოლანდიელი“ და ევა მისით იამაყებდა. ვაგზალი, მათი მგზავ-
 რობის მიზანი, ახლოს იყო. იუდეიანი შოფრის გვერდით იჯდა მფრინველ-
 რიელი — მის უკან, იუდეიანის ზურგს ამოფარებოდა. იუდეიანი უწყნარ-
 რომ ვაგზლისაკენ არ მიემართებოდნენ, წრეებს უვლიდნენ, ხან წინ წავი-
 დოდნენ, მერე გეზს იცვლიდნენ, აქეთ-იქით უხვევდნენ, თითქოს რაღაცას
 ეძებდნენ, ალბათ შესაფერის ქუჩაბანდს ან ჩიხს, მკვლელობისათვის მოხერხე-
 ბულ მიყრუებულ ადგილს ეძებდნენ, იქნებ ხმაურიან და ტრანსპორტით სავ-
 სე ქუჩას ათვალიერებდნენ, სადაც გასროლის ხმას ვერავინ გაიგონებდა. ალ-
 ბათ ეგონათ, ჩვენს დანახარჯს იუდეიანი გადაიხდისო, ეს ჩერჩეტები, ეგონათ,
 ეს კაცი ბადეში გვყავს გამოჭერილიო, იუდეიანს კი იოლად შეეძლო თავის
 დაღწევა. აი ასე მიემგზავრებოდნენ ისინი ტყეში, ფემეს განაჩენის სისრულეში
 მოსაყვანად: უკნიდან ჩარტყმა ან ბეჭებში ტყვიის დაკერება. მერე მკვდარს
 საფულეს ამოაცლიდნენ, მერე მყუდრო ადგილას მანქანის კარს გააღებდნენ
 და გვამს სადმე სიბინძურეში მიაგდებდნენ. ეს ყველაფერი მან ჩინებულად
 იცოდა, და ბოლოს და ბოლოს, ასეთი იყო ფიურერის ბრძანება, მეთაური, კა-
 პიტულაციის მომხრე გამცემი ადგილზევე დახვრიტეთო. ასეთი ბრძანება ჰქონ-
 და მიცემული საერთოდ ყველას და განსაკუთრებით ავსტრიელ ესესელებს,
 რომლებიც ფიურერის სისხლხორცეულ გვარდაას შეადგენდნენ. მაგრამ იუ-
 დეიანი არც გამცემი იყო, არც კაპიტულაციის მომხრე და მხოლოდ აქ, რომში,
 ამ დაწყევლილ პაპის ქალაქში ეშინოდა, მაგრამ მშიშარა არ იყო და მას ასე
 ვერ გაყიდდნენ. ამ ჯეელებს მისი ფულით საროსკიპოში სურდათ წასულიყ-
 ვნენ, მაგრამ იუდეიანი მათ გაქცევის მცდელობისას თავს არ მოაკვლევინებს,
 თვითონ შეიმუშავა ეს მეთოდი და მას გაქცევას ვერ აიძულებდნენ. იგი იყენებ-
 და ტაქტიკურ მანევრებს, ეს გზა გადიოდა უდაბნოზე, გეზს ტურის ფუნით
 იღებდა, მაგრამ მისი მიზანი გერმანია იყო, მისი ფატა მორგანა დიდი გერ-
 მანია იყო, არაფერს შეეძლო მისი ამ გზიდან აცდენა. იუდეიანმა მათ დაულრი-
 ალა. ავტომანქანა მაშინვე გაჩერდა. ჩაყანგებული თუნუქი ისევ თრთოდა.
 იუდეიანმა ჯეელები გვარიანად გამოთათხა და ამით ნაამები დარჩა. ესენი
 მისი ხალხი იყო, მის ჯაჭვზე გამობმული ნაგაზები, მისი ბიჭები. ბიჭები რი-
 გიანად გამოლანძლა. მათ იცნეს საკუთარი ბატონის ხმა. წინააღმდეგობა არ გა-
 უწყევიათ. მზად იყვნენ მისთვის ჩექმები გაელოკათ. იუდეიანი მანქანიდან
 გადმოვიდა და ბრძანება გასცა: „უკანვე წადით!“ მათ ავტომანქანა შემოაბ-
 რუნეს და კისრის ტეხვით მოუსვეს. ისინი ვალჰალასაკენ მიმავალ გზას გა-
 უდგნენ. იუდეიანი სიამოვნებით უბრძანებდა, ჩემს განკარგულებაში დარჩი-
 თო, მაგრამ სად ებრძანებინა გამოცხადება, ჯოჯოხეთში? იუდეიანს ჯოჯოხეთი
 არ სწამდა. იმ ასაკში აღარ იყო. საკმაოდ გაანათლეს. ჯოჯოხეთი არ არსებობს.
 იგი ბავშვების დასაშინებლად მოიგონეს. ეშმაკი — პაპების ხელქვეითია. ასე
 და ამრიგად, მათ შეეძლოთ მხოლოდ სიკვდილის განკარგულებაში გამოცხა-
 დება — მეგობარ სიკვდილთან, კამერად სიკვდილთან, სიკვდელთან. ვისიც პა-
 ტარა გოტლიბს ეშინოდა, ხოლო იუდეიანი რჩებოდა ანდრეას პოფერის⁹ შე-
 სახებ პატარა გოტლიბის წლებში ნასწავლი სასკოლო სიმღერის ერთგული და
 სიკვდილს ხშირად აგზავნიდა ველზე და არა მხოლოდ ველზე.

მის უკან გვირაბი გამოჩნდა. იუდეიანი გვირაბმა მიიზიდა. შიგ შევარდა, თითქოს ვიღაცამ შეათრიაო. კვლავ ქვესკნელის ალაყაფს გადააბიჯა ეს იყო ჰადესის სამეფო. გვირაბი პირდაპირი იყო და ცივი, იგი წარმოადგენდა ტრანსპორტის საკანალიზაციო მილს, რომელშიც ავტობუსები მიგრიალებდნენ, ხოლო ნეონის ნათურები ამ ქვესკნელს მკვდრულ შუქს ჰფენდა! სქესობრივად მათ იუდეიანის დაცხრილვა. ინსტინქტს არ მოუტყუებია. ავტობუსებიდან სწორედ ბოლო წუთს გადმოხტა. აჩქარებით გაუყვა ვიწრო ტროტუარს, გვირაბის კედელს რომ გასდევდა. ასე ეგონა, საკუთარ სამარეში გავრბივარო. ეს იყო გრძელი სამარე, ჰიგიენური სამარე, რომლის კედლები შორენკეცებით იყო მოპირკეთებული და რაღაცით სამზარეულოს. მაცივარსა და პისუარს წააგავდა. საცხედრეში პირს მიწით არ უტენიან. ფემეს მსხვერპლს უტენიდნენ პირში მიწას. მისი მსხვერპლი ერთხელ ახალგაზრდა კაცი იყო. მაშინ იუდეიანიც ახალგაზრდა იყო. მსხვერპლი მისი ამხანაგი აღმოჩნდა. საველე ნიჩბები სწრაფად ფლავდა მსხვერპლს მიწაში. სხვებმაც ყლაპეს მიწა. პოლონეთსა, რუსეთსა და უკრაინაში მიწა ბლომად აყლაპეს ხალხს. მათ ჯერ სამარეს გაათხრევიანებდნენ, მერე სამოსს გაახდევინებდნენ. საკუთარი სამარის წინ ტიტვლები იდგნენ. მათი ფოტოსურათები ყველაზე მაღალი თანამდებობის პირამდე აღწევდა, ისინი სხვებს გადასცემდნენ, საუზმისას ათვალეირებდნენ და ხუმრობდნენ, მახვილსიტყვაობდნენ. ჩასახვა და სიკვდილი, სიკვდილთან ქორწინება — ეს უძველესი მითია. რასობრივი თეორიის პროფესორებს, ზნე-ჩვეულებათა ისტორიის სპეციალისტ დოცენტებს ავალეებდნენ შეესწავლათ, სიკვდილის წინა წუთებში როგორი იყო სქესობრივი რეაქცია. ფოტოსურათებს „შტიურმერში“ აქვეყნებდნენ. „შტიურმერს“ სკოლის ლობეებზე აკრავდნენ გაშლილს, ამას რვა წლის ბავშვები კითხულობდნენ. თვრამეტი წლისანები ხოცავდნენ. სამარეები დაცხრილული გვამებით ივსებოდა. გაწამებული ადამიანები, ნამუსშელანძლიანი ადამიანები, ნამუსგარეცხილი მოძალადეები და ყველა მათგანის თავზე — ერთი ცა. შემდეგ მოსულები ადრე მოსულებს მიწით ფარავდნენ. იუდეიანის თავს ზემოთაც მიწა იყო — გვირაბს ზემოთ კვირინალის⁵⁰ ბალი. ბაღში რომის პაპები დასეირნობდნენ. ამავე ბაღში ლოცულობდნენ პაპები. მათი ლოცვა არ შეისმინეს. ან კი, კაცმა რომ თქვას, რას ითხოვდნენ ისინი მამადმერთისაგან? ორი ათასი წელიწადი გასულიყო, რაც ქრისტიანული განმანათლებლობა არსებობდა და დედამიწაზე კვლავ იუდეიანი ცხოვრობდა. მაშ რაღად განდევნეთ ძველი ღმერთები? „არა კაც ჰკლა!“ გვირაბის კედლებიდან ხომ არ მოისმოდა ეს სიტყვები? Pontifex maximus-მა⁵¹ ძველ რომში არ იცოდა ეს მცნება. იგი სიამოვნებით შეჰყურებდა გლადიატორთა ბრძოლებს. Pontifex maximus-ი ახალ რომში დეკალოგის⁵² მსახური იყო, იგი ბრძანებდა, ეს მცნება გაავრცელეთო, ბრძანებდა, ეს მცნება დაიცავითო. და განა ამის შემდეგ უფრო მეტის დახოცვა არ დაიწყეს? თვითონ ქრისტიანთა მწყემსს მაინც შეექცია მკვლელობისათვის ზურგი, მას მაინც, მას ერთს მაინც; ნაცვლად ამისა, მან საქვეყნოდ განაცხადა: „აი, ხედავთ, მე უძღლური ვარ, ისინი ხოცავენ, ნაცვლად ღვთის მცნების დაცვისა, ნაცვლად თაღიანთი მწყემსის მოწოდებისა“. „მიაგეთ მისაგებელი იუდეიანს!“ გუგუნებდნენ გვირაბის კედლები. პატარა გოტლიბს სკოლაში ასწავლეს, რომ სიკვდილთან პაპებსაც ჰქონდათ კავშირი, ისეთი დროც იყო — და არცთუ ისე დადი ხნის წინათ, — როცა პაპები ჯალათებსაც საქმეს უჩენდნენ, ისეთ ხალხ-

საც, იუდეიანი რომ არის; ახლა რამდენი სარდალი განადიდეს, რა ხშირად უკუბრუნებიათ მათი გამარჯვებებში გამოტარებული დროშები! მიაგეთ მისაგებელი იუდეიანს! მეფეებსაც უსერიანათ კვირინალში, აქედან დამტკბარან მზის ჩასვლის ცქერით. მეფეები არ იყვნენ ისეთი იმპოზანტურნი, როგორც პაპები; ისინი იუდეიანს კვლავაც პირველი მსოფლიო ომის დროინდელი კარიკატურული ეურნალების კარიკატურებად მიაჩნდა — პატარა გოტლიბს მამინის-ის იყო წერა ესწავლა. აქ წარმოდგენილი მეფეები ტანმორჩილები იყვნენ, სახეზე გამცემლობა ეწვრათ, ხელში კი ქოლგები ეპყრათ მოკრძალებით. განა ჩემბერლენიც ქოლგით არ დადიოდა, ეს მშვიდობის ქომაგი, სასაცილო ფიგურა, რომელსაც ფიურერისათვის ომის მოპარვა სურდა. მეფეები და მათი დიპლომატები საცოდავი მოფარაკავენი თუ იყვნენ, რომლებიც ბედისწერის მუქარით აღსავსე ღრუბლებს ქოლგებით ებრძოდნენ. იუდეიანი ქოლგების წინააღმდეგი გახლდათ. პატარა გოტლიბს სურდა მამაკაცი ყოფილიყო; არ სურდა მამა-მასწავლებელს და მამა-ღმერთს დამორჩილებოდა. მამაკაცებს არ აშინებთ არავითარი ამინდი; დასცინიან ზეცის მრისხანებას; მამაკაცები ტყვიის წვიმაშიც წელგაშლილები მიემართებიან მტრის წინააღმდეგ, მამაკაცები უშიშრად ეშვებიან მძვინვარე ცეცხლში; ასეთი აზრისა იყო პატარა გოტლიბი და მიაგეთ იუდეიანს მისაგებელი! გვირაბში ავტომანქანების პროექტორები უზარმაზარ მტაცებელ ცხოველთა თვალებს ჰგავდნენ. მტაცებელი ცხოველები იუდეიანს არაფერს უშავებდნენ. ისინი სხვა სამსხვერპლოს დაეძებდნენ. ჯოჯოხეთის ნაგაზები იუდეიანს არა ჰკებდნენ. ისინი სხვა ნადირს მისდექდნენ. იუდეიანმა განვლო გვირაბი.

ქვესკნელმა იგი გაათავისუფლა. მან გამოსასვლელს მიაღწია.

სამარემ გაუშვა. ჰადესმა იგი უკანვე ამოანთხია. იგი იდგა ვია დელ ლავატორეს დასაწყისთან. უკაცური ქუჩა მიუუჩებულიყო. საამო ლამე იდგა. ჩაბნელებული ქუჩის ბოლოდან სიმღერა მოისმოდა. იუდეიანი თავისკენ მიიზიდა.

მინდოდა ფანჯარა მიმეხურა, მსურდა მზის გამომხმარი, ქარით დაფრაკებული დარაბები მიმეხურა, მაგრად მიმეხურა და ურდული გამეყარა, რადგან ახლა ბაბილონი უკვე დანგრეული იყო, ფონტანა დი ტრევის მოედანზე ისე აღარ ლაპარაკობდნენ, როგორც ერთ დროს ბაბილონში, ერთი ხმა ყველას ჩრდილავდა. გერმანელ ქალთა გუნდი კოლონებიანი მღვიმის წინ იდგა, ღმერთებისა და ნახევარღმერთების, ბაროკოს სტილის სამოსში გამოწყობილ ზღაპრულ არსებათა წინ, ძველი ეპოქის ქვადქცეულ მითოსის წინ, რომის წყალსადენიდან გადმოსული წყლის წინ, ზედ უცხოური ავტომანქანებისა და ქალაქის ლამპიონების შუქი ეფინებოდა და მღეროდა და მღეროდა „კარიბჭის წინ ჭასთან ერთი ცაცხვის ხე იდგა“, მღეროდა ამ სიმღერას შუა რომში, შუალამისას, არავითარი ცაცხვი არ შრიალებდა, ირგვლივ თვალსაწიერზე ხე არსად ჩანდა, მაგრამ ქვემოთ, წყლის აუზთან ისინი თავიანთი თავის ერთგულები იყვნენ, ერთგულები იყვნენ თავიანთი ერთგულებისა, გრძნობდნენ, ხედავდნენ, განიცდიდნენ თავიანთ ცაცხვის ხეს, თავიანთ ჭას, თავიანთ „კარიბჭის წინ“; საზეიმო წუთები იყო და ისინი მათ სიმღერით ხვდებოდნენ, აქეთ წამოსასვლელი ფული დიდხანს აგროვეს და გზაც შორი გამოიარეს. სხვა რა მექნა, ფანჯრები რომ არ დამეხურა და ხის დარაბები არ დამეგმანა? მაგრამ ადოლფი ჩემთან მოვიდა, ღია ფანჯარასთან გვერდით მომიდგა, ანაფორით შემეხო.

ორივემ ფანჯარაში გავყავით თავები და მან კიდევ ერთხელ მიაშობ, თუ როგორ დაინახა ჩემი მშობლები და ძმა დიტრიხი, როგორ შეავლო თვალი მათ სასტუმროს შემინულ კარს იქით და დაუმატა:

— შენი მშობლები უფრო საშინელები გამხდარან, ვიდრე ჩემები, სული მთლად დაუმახინჯებიათ.

მეც ვიხილე ისინი შემინული კარის იქით, თავიანთ მასტუმრობაში თუმცა იქ არასოდეს არა ვყოფილვარ. მაგრამ მშვენივრად ვხედავდი. იმდენად ქედმაღალი გახლდით, რომ იქ წამსვლელი და მათი მნახველი არ ვიყავი. რა უნდა მექნა? და ესლა ვთქვი:

— მოდი, მომეშვი შენი თეოლოგიით.

აბა რა მექნა, ქალები ისევ ქვემოთ იდგნენ და „ცაცხვის ხის“ ყველა სტროფს ერთგულად მღეროდნენ, იტალიელმა კი, რომელსაც ეძინებოდა, თავისი ფანჯრიდან მათ ლანძღვა-გინება გაუგზავნა. ქალების გუნდში მყოფმა მამაკაცმა, რომელიც გუნდის სიმღერით აღტაცებული იყო, დაიყვირა: „მოკეტე, ბებერო მაკარონიჭამიავ“, მერე ზემოთ აიხედა და რომელიღაც ფანჯარას კვლავ შესძახა: „მოკეტე, ბებერო მაკარონიჭამიავ“. მე რა მექნა? მოგრიალა პოლიციის მანქანა და შადრევანთან გაჩერდა, პოლიციელები გაკვირვებულები შეაწყერდნენ მომღერალ ქალებს, მერე ისევ ნელა განაგრძეს გზა, ქუჩაში გაუჩინარდნენ. ან კი რა უნდა ექნათ. ვიღაც კაცი გამოვიდა ვია დელ ლაფატორედან და ქალებსა და იმ კაცს შეუერთდა, „მოკეტე, ბებერო მაკარონიჭამიაო“ რომ დაინახა, გაეხარდა, ისინი რომ იპოვა, გაეხარდა, მათ რომ შეხვდა. უხაროდა, იუდეიანი სიმღერის ხმას გამოჰყვა, გერმანული სიმღერის ხმას. ერთ დროს ეს ძლიერი მამაკაცი მოწიწებით უსმენდა გერმანელი ქალების სიმღერას, მათი სიმღერა — ეს იყო გერმანია, მათი სიმღერა — ეს იყო სამშობლო, ეს იყო გერმანიის „კარიბჭე“, გერმანული ჭა, ეს იყო გერმანული ცაცხვი, ყველაფერი, რისთვისაც ღირდა სიცოცხლეც, ბრძოლაც და სიკვდილიც. და აღარ დაუმატებია: ხოცვა-ჟლეტაცო. იუდეიანი ფიქრობდა მკვლელი არა ვარო, ის მხოლოდ ერთი ძველი ყოჩაღი მებრძოლი იყო და ეს ამშვიდებდა ძველი ყოჩაღი მებრძოლის გულს, ეს იყო მუსიკა, რომელიც ღამღამობით მის სულს სიმხნევებს უბრუნებდა. ქალებმა რომ სიმღერა დაასრულეს, „ვაშაო“, შესძახა იუდეიანმა, მათ მიუახლოვდა და გაეცნო, თუმცა ყალბი სახელით, და რაკი ისინი ერთ მწკრივად იდგნენ, თითქოს სიის ამოკითხვას ელოდებიანო, იუდეიანი გულის კარნახს აჰყვა და მათ პატარა სიტყვით მიმართა. აღნიშნა, თუ რაოდენ ამაღლებულია ეს სიმღერა, თქვა, რომ ეს ისტორიული მომენტი ილაპარაკა გერმანულ ქალზე, სამახსოვრო შეხვედრაზე, რომელიც იტალიაში მოხდა, სამშობლოდან გამოგზავნილ უმშვენიერეს სალამზე, რომელიც, სამწუხაროდ, ამ მტრულად განწყობილ ქვეყანაში გაისმა, და მათ გაუგეს იუდეიანს, მიუხვდნენ სათქმელს, ხოლო იმ კაცმა, „მაკარონიჭამიაო“ რომ დაიძახა, იუდეიანს ხელი ჩამოართვა და მადლობა გადაუხადა გულში ჩამწვდომი სიტყვისათვის და ორივემ იგრძნო, თვალელები როგორ აუწყდლიანდათ და ორივემ, როგორც მამაკაცებმა, ცრემლები შეიმაგრა, რადგან გერმანელი მამაკაცი არ ტირის, იგრძნო, რომ ორივე აღსავესეა გერმანული სიმტკიცით, თუმცაღა გულს უჩვილებთ უცხოეთში სამშობლოს „კარიბჭის წინ ქასთან ცაცხვის“ გახსენება და გერმანელი ქალების სიმღერა.

მე კი ვფიქრობდი ადოლფზე: შენი არ მჯერა, შენ საამისოდ არ ხარ მო-

წოდებული და თვითონაც კარგად იცო, რომ ღმერთს შენთვის არ მიუხმია; შენ თავისუფალი იყავი, ერთადერთი ღამე იყავი თავისუფალი, ის ღამე, ტყეში რომ გაატარე და ის თავისუფლებაც ვერ აიტანე, როგორც ამ ღამე, ბატონი რომ დაკარგა, და ახალი ბატონი უნდა მოგეძებნა; აი სწორედ ამ დროს გიპოვა მღვდელმა და ახლა გგონია, ვითომ ღმერთმა შეგინა თავის წიაღში.

მაგრამ მისთვის არ მითქვამს, რასაც ვფიქრობდი. ის ხელს მიშლიდა. ხელს მიშლიდა თავისი ოჯახის ამბების თხრობით. რა უნდა მექნა? მის შესახებ არაფრის ცოდნა არა მსურდა, არც მისი ოჯახის წევრების თაობაზე მინდოდა მცოდნოდა რამე. ჩემი ცხოვრებით მსურდა მეცხოვრა, ჩემი პატარა ცხოვრებით, პრეტენზიული არ ვიყავი, მარადიული ცხოვრება არ მინდოდა, არც ცოდვილიანი ცხოვრება, — მართლა, როგორია ეს ცოდვილიანი სიცოცხლე? — მსურდა ჩემი ეგოისტური ცხოვრებით მეცხოვრა, მხოლოდ ჩემთვის ვყოფილიყავი და ცხოვრებასაც მართო გავმკლავებოდი, მას კი, ამ მშვიშარას, სურდა, თავის ჭკუაზე გადაეყვანე და მასთან ერთად შინაურების ძებნას შეეღვდომოდი, — ო, როგორ მზარავს ეს სიტყვა და მაინც განგებ ხმარობ, რათა მთელი ჩემი ზიზღი ამოვაფრქვიო, — ძებნას შინაურებისას, ძებნას საპყრობილისას, სადაც მათ მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე სურდათ გამოვტყუე, მაგრამ მე თავი ავიშვი, გამოვვარდი, გამათავისუფლეს, მე თვითონ გავითავისუფლე თავი, მე ნამდვილად თავისუფალი ვიყავი და აღარ მინდოდა ამ საპყრობილეში თავის შერგვა! ან ადოლფი რად ეძებდა მათ, ანდა რატომ აღარ მივიდა მათთან, როცა მიაგნო, ჩემთან რაღად მოდიოდა? იქნებ სურდა ისინი თავის რწმენისკენ შემოებრუნებინა? იქნებ მეც თავისი რწმენისკენ მიპირებდა გადაბირებას? მან თქვა:

— ის მამაა ჩემი!

მე ვუთხარი:

— ის მამაა ჩემი, მაგრამ მისი დანახვაც კი არ მსურს.

მან თქვა:

— ის დედაა ჩემი.

მე ვუთხარი:

— ის დედაა ჩემი, მაგრამ არც მისი დანახვა მსურს.

ჩემი ძმა დიტრიხისა ხომ სულ არაფერი არ მსურდა გამეგო. ხოლო იუდეიანი ეშმაკის წილხვედრი გამხდარიყო, ყოველ შემთხვევაში, ვიმედოვნებდი, რომ ეს ასე იქნებოდა; და თუ მას ახლა ეშმაკმა შვებულება მისცა, ეს ეშმაკის საქმე იყო. მე მხოლოდ ის მსურდა, რომ სადმე გზაზე არ გადავყროდი მას, ბიძაჩემ იუდეიანს, ყოვლისშემძლე ნაციტ გენერალს, რომელიც სიკვდილსიცოცხლის მბრძანებელი იყო, არ გადავყროდი ჩემი ბავშვობის მაგლაჯუნას, ყავისფერი ობერპამპულის ამ შავ ტაკიმასხარას. ადოლფი თავისას გაიძახოდა:

— ჩვენ მოვალენი ვართ, რაღაც ვიღონოთ. როგორმე უნდა ვუშველოთ მათ. ასე კი არ თქვა: „მე უნდა ვიხსნა მათი სულიო“. საამისოდ საკუთარი თავის რწმენა არ გააჩნდა, ვერც მე გამიბედა ამის თქმა.

მე ვუთხარი:

— არა, — და მას შევხედე, გამხდარი, დაეჭვებული და გასაცოდავებული მოჩანდა ანაფორაში გამოხვეული ეს დიაკონი, რომელიც ჯერ მღვდელი ვერ გამხდარიყო. და დაცინვით ვკითხე: — მაინც როგორ გსურს მამაშენ იუდეიანს

უშველო? იქნებ მონათვლა გსურს მისი? ჯერ ცოდვების შენდობა ხომ არ შეგიძლია? შენ ხომ მითხარი, ცოდვების შენდობის უფლება არა მაქვსო.

ადოლფი კანკალებდა. მე თვალმოუშორებლად შევეუბრებდი. მთლად უილაჯო იყო. შემეცოდა. ეგონა, ღმერთთან მაქვს კავშირიო და უილაჯო კი იყო.

კამოდის მარმარილოს თავზე ნოტები იდო, იქვე ელვაქონთებზე ფურცლები და კიურენბერგი ჩემგან ელოდა ისეთ მუსიკას, რომელიც გამოჩენილ ადამიანებს უნდა მოესმინათ სულის აღსადგენად. უშუქფარო ნათურის ირგვლივ ბუზებს ფერხული ჩაებათ. სასტუმროს უბიწო და ბიწიანი ფართო ლოგინი letto matrimoniale, ცოლ-ქმრის ლოგინი, თანამეცხედრეთა ლოგინი, გაშლილი იყო ბუზებშემოხვეულ ნათურის ქვეშ: წარმოვიდგინე ამ ლოგინში როგორ ხდებიან კაცი და ქალი ერთურთის ცოლ-ქმრად და ზიზლი ვფერძენი, რადღან მათ შეერთებას სიცოცხლის გაგრძელება შეეძლო. მეც უილაჯო ვიყავი; არც მსურდა, ძალ-ღონე მქონოდა. კბილების საწმენდ ჭიქაში ღვინო ჩარჩენილიყო და შიგ ბუზი ჩამხრჩვალყო. იგი ჩამხრჩვალყო სიმთვრალის ზღვაში, გამობრუებული. ჩვენთვის კი, რას წარმოადგენდა ჩვენთვის ეს პაერი, რას ნიშნავდა ჩვენთვის წყალი, მიწა, ცა? ნუთუ ღმერთის ხელი ერია ბუზის საქციელში? ...მე ვიკითხე:

— ღამე სად აფარებ თავს? — გულში კი გავიფიქრე: ჩემთან დარჩენა ხომ არ შევთავაზო? და გავიფიქრე: არა, არ უნდა შევთავაზო-მეთქი, მას აქვს თავშესაფარი მღვდლების სამყოფელში. ადოლფი წავიდა, შევხედე, როგორ გაემართა იგი კარისაკენ და კვლავ შემებრალა და კვლავ გავიფიქრე, თავისიანებისაგან გათავისუფლებას ის უთუოდ ცდილობს-მეთქი. მერე ვკითხე:

— ხვალ რას აპირებ? — ეტყობოდა, არ იცოდა, ხვალ რა ელოდა, შექოქმანდა, არ უნდოდა ეპასუხა, ალბათ არც იცოდა, რა ეპასუხა, მერე მაინც თქვა, წმინდა პეტრეს ტაძარში წავალო. მე შევთავაზე, ანგელოსების ხიდთან შევხვდეთ, ანგელოსის ციხე-სიმაგრის წინ-მეთქი, თუმცა ადოლფის კვლავ ნახვის არავითარი სურვილი არ მქონდა, მაგრამ პაემანი დაეუნიშნე და ისიც დამთანხმდა, მოვალო.

ბოლოს რომი მღუმარებამ მოიცვა. ქალთა გუნდი წავიდა, ტურისტები იქაურობას გაეცალნენ, ვიღაც კაცმა სადღაც ონკანის საკეტი გადაატრიალა და ფონტანა დი ტრევის წყალი აღარ ეფრქვეოდა ქვიდან ბაროკოს სტილზე გამოკვეთილ ღმერთებისა და ნახევარღმერთების ოლიმპსა და ზღაპრულ არსებებს. შადრევნის ჩხრიალი შეჩერდა, იგი გამოეთიშა დროის მსვლელობას. კაცს ეგონებოდა, სიჩუმე ხმიანებსო. მღუმარებაში, რომელიც ყურში ჩამესმოდა, უცბად გავიგონე ადოლფის ფეხის ხმა, რომელიც ქვის კიბეებზე ჩადიოდა. ღვთის მსახური, დიაკონი, თითქოს დროის შახტში ჩადიოდა. ფანჯრიდან გადავიხედე და დავინახე, როგორ გავიდა შენობიდან. თვალი გავაყოლე. ჩამკვდარ მოედანზე გაძვალტყავებული შავი ძაღლივით გაიარა და პიაცა კოლომნას პასაჟისკენ მიმავალ ქუჩაზე შეუხვია. ჭიქა ავიღე, შიგ ჩარჩენილი ღვინო დამხრჩვალ ბუზიანად წყლის ბაკანში გადმოვაქციე. ადოლფი უძლური იყო...

მათ პასაჟს შემოუარეს, მამა უკვე კორსოს გასასვლელთან იყო, ვაჟი-შვილი — ჯერ სანტა მარიას ეკლესიასთან. მუშები პასაჟის ატალახებულ მო-

ზაიკურ იატაკს წმენდდნენ, ზედ ნახერხს ყრიდნენ და მერე ნახერხსა და ტალახს დიდი ცოცხებით გვიდნენ, სხვანი მოზაიკაში გაჩენილ ბზარებს თაბაშირით ლესავდნენ და მოსასწორებელი მანქანით ასწორებდნენ. ასეთი ხმა იდგა, თითქოს გრძელ დანებს ლესავენო. იუდეიანს ასე ეგონა, ჩაძინებული ქალაქი გამოწვევას მიგზავნისო. ეს ქალაქი მას აბუჩად იჭრებოდა. მხოლოდ მძინარენი როდი აბრაზებდნენ იუდეიანს, — დაე, მათ იგრობონ სიკვდილსა და აქოთებულ ლოგინებში, ძალ-ღონე გამოსცალონ ავხორცი ცოლების მკლავებში მოჭყეულებმა და არსებობისათვის საჭირო ბრძოლაც წააგონ, — მას ყველაფერი აბრაზებდა ამ მიძინებულ ქალაქში — ყოველი მიხურული სარკმელი, ყოველი დაგმანული კარი, ყოველი ჩამოშვებული ფარდა. მას ის აცოფებდა, რომ ქალაქმა მისი ნებართვით არ დაიძინა, ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ქუჩებში პატრულება ივლიდნენ, თავზე ჩაჩქანჩამომხობილი, ავტომატჩაბლუჭული პატრულები და იუდეიანის ბრძანების შესრულებას უზრუნველყოფდნენ. ახლა კი რომ გაკადნიერებულიყო და მისი ნებართვის მიუღებლად დაეძინა, იმასაც კი ბედავდა, რომ სიზმრები ენახა და თავი უშიშრად ეგრძნო. ეს ხომ საბოტაჟი იყო, რომს რომ ეძინა, ეს იყო საბოტაჟი ომისა, რომელიც ჯერ არ დასრულებულიყო, რომელიც წესიერად ჯერ იქნებ დაწყებულიც არ იყო და ასეა თუ ისე, ყოველ შემთხვევაში იუდეიანის ომი იყო! იუდეიანს რომ შესძლებოდა, ქალაქს გააღვიძებდა, თვით იერიქონის საყვირიც რომ დასჭირებოდა, იმ საყვირით, რომელიც ქვის გალავნებს ძირსა სცემდა, მეორედ მოსვლის მაუწყებელი საყვირით, რომელიც სწავლისას პატარა გოტლიბში შიშსა და აღფრთოვანებას იწვევდა, შემდგომ, როცა განათლდა, დაცინვის საგნად მიიჩნია. მაგრამ იუდეიანს ძალაუფლება აღარ ჰქონდა, რასაც ნირი წაეხდინა მისთვის. ამის მოთმენა აღარ შეეძლო. სანამ უდაბნოში იყო, თითქოს სიზმარში ცხოვრობდა. უდაბნოში ყაზარმა ემორჩილებოდა, ყაზარმამ შეუქმნა ხელისუფლების ილუზია. კედელზე გაკრული ახალდაბეჭდილი პლაკატები შეამჩნია; ისინი ჯერაც სველი იყო და სტამბის საღებავისა და წებოს სუნი ასდიოდა. ეკლესიის დადგენილება კვლავ კომუნისტების მოწოდების გვერდით გაეკრათ; მოწოდება წითელი და აგრესიული იყო, დადგენილება — თეთრი, ეტყობოდა, საკუთარ ღირსებას ძლივსღა ინარჩუნებდა. ეს იყო ძველი და ახალი ხელისუფლების განცხადებანი და ორივეს აკლდა ის დაუდევრული სისასტიკე, აზროვნებისა და თავის სიმართლეში დარწმუნების-სურვილის სრული უარყოფა, ძლიერი დარტყმა, ძალისა და ბრძანების ბრმა რწმენა, რაც იუდეიანს საჭიროდ მიაჩნდა და მან გაიფიქრა, წითლებთან ხომ არ ჯობს კავშირი შევკრა, ერთი ლაზათიანად წავახალისოო, მაგრამ პატარა გოტლიბი წინააღმდეგი იყო, მას სძულდა ეს უთვისტომო უქონელნი, სწამდა გერმანიისა, საკუთრებაც სწამდა, თუმცა საკუთრების ხელახალი განაწილების მომხრე იყო — იუდეიანისა და წმინდა გერმანელების სასარგებლოდ, და რაკი პატარა გოტლიბს არა სურდა, არც იუდეიანს შეეძლო კომუნისტებთან კავშირის შეკვრა; იგი იმათ რიგებში ჩადგა, ვინც კომუნისტებს ქლევდა, მაგრამ უძლური და გამყიდველი სამყარო ამ საქმეში ხელს უშლიდა; კოლონას მოედანზე ტაქსი მოძებნა და უკან ვია ვენეტოსკენ, დიდი სასტუმროსკენ გასწია, ციხესიმაგრისკენ, რომელიც მისი საკომანდო პუნქტი იყო, ძღვეამოსილი, დიდი იუდეიანის საკომანდო პუნქტი.

ადოლფს, რომელსაც არ ესმოდა, თუ როგორ ლესავდნენ დანებს, და

ვერც კედელზე გაკრულ პლაკატს ხედავდა, მიძინებული ქალაქი უშფოთველი ეჩვენებოდა და მის აფორიაქებულ სულზე დამამშვიდებლად მოქმედებდა; ეგონა, თითქოს დიდ სასაფლაოზე მიდიოდა, რომელიც დამშვენებული იყო დიდებული ძეგლებით, სუროშემოხვეული ჯვრებითა და შველი სამლოცველოებით. ადოლფს მოსწონდა კიდევ, ქალაქს რომ სასაფლაოს სიწყნარე და უფლებოდა, იქნებ თვითონაც მკვდარი იყო, — მას ესეც მოსწონდა და მკვდარი მიდიოდა ამ მკვდარ ქალაქში და თვითონაც მკვდარი ეძებდა ვიწრო ქუჩას, სადაც ჩამოსული სასულიერო პირების თავშესაფარი იქნებოდა, და ისინიც მკვდრები ელაგნენ თავიანთ მკვდრულ საწოლებზე ამ მკვდრების თავშესაფარში, რომელიც ალბათ სადღაც აქ იყო ახლოს. აი უკვე გამოჩნდა მარად უქრობი კანდელის სხივი.

იუდეიანმა ტაქსი სასტუმროს მოშორებით გააჩერებინა და ავტომანქანიდან გადმოვიდა.

ჰომოსექსუალისტები წასულიყვნენ. იუდეიანს არ მოუსმენია მათი ლულუნი. მოხდენილი ლილისფერფრაკიანი ლამაზ-ლამაზი ოფიციანტები სკამებს მაგიდებზე ალაგებდნენ, წითელ რბილ დასაჯდომებს ხელის ოდნავი გაკვრით ასუფთავებდნენ და ჰაერში ადიოდა ნელსაცხებელშერეული მტვერი; იდგა ლავანდის, ოდეკოლონ „პორტუგალისა“ და ტუალეტის წყლის მძაფრი სუნი; პირმშვენიერი მოღიმარი ლაურა იჯდა თავის სალაროში და ფულსა და ოფიციანტების ჩეკებს ითვლიდა; ნავაჭრი თანხა ისევ არ ეთანხმებოდა ჩეკების თანხას, ლაურა კი მაინც თავისი სიხარულის ბომნიჭებელი ღიმილით იღიმებოდა, იღიმებოდა მომაჯადოებელი და გასხივოსნებული ღიმილით, რომელიც არავითარი აზრით არ იყო შემღვრეული, იღიმებოდა თავისი საოცრება-ღიმილით და ჰეტეროსექსუალური მფლობელი ამ ჰომოსექსუალისტთა ბარისა ბედნიერი იყო, მან გულმოწყალედ მიიღო ლაურას ღიმილი და დაუზუსტებელი ანგარიში; ბარის მფლობელი კარგი ადამიანი გახლდათ და ფულსაც კარგად შოულობდა; იუდეიანს ვერც ლაურა ხედავდა, ვერც ბარის მეპატრონე და ვერც ოფიციანტები, იგი ბარს ათვალეერებდა, ნადირობაზე ხელი არ აეღო, იქაურობას ამჟამად უკვე ფარდაჩამოფარებული კარის ჭუჭრუტანიდან ზვერაავდა, — ასე ზვერავს ქურდი ან მკვლელი თავის საკბილოს; მან შეამჩნია ლაურა, შეამჩნია მისი ღიმილი, ამ ღიმილმა მასაც გული აუთრთოლა, მისმა მომხიბვლელობამ იუდეიანზეც იმოქმედა, თუმცა ეს ღიმილი აწამებდა კიდევ. საგანგებოდ სალამოსთვის ლაურას წამწამები ლურჯად შეეღება, რის გამოც თვალები უფრო დიდი მოუჩანდა, სახე თეთრად გაეპუდრა, ხოლო ბაგეები ოდნავ გაეწითლებინა. ამგვარად მოკოპწიავებული ლაურა ძალზე ფერგამკრთალი გამოიყურებოდა, ნაზი და მოკრძალებული ჩანდა, თითქოს ღამის სიბნელეს მოექსოვა და ღამესვე მოკრძალებულად შეჰყუჟვოდა. იუდეიანმა კარის სახელური დასწია, მოვერცხლილი ბრინჯაოს მოხდენილი სახელური დამორჩილდა მის დიდ და მძიმე ხელს, მაგრამ იუდეიანმა ხელი ისევ აიღო და გაიფიქრა, ვინ იცის, იქნებ ეს გოგო ებრაელია, ებრაელი კახპა, ხოლო ვინც პოლონეთში ასეთებთან დაეთრეოდა, მას ჰკიდებდნენო და კვლავ დააწვა სახელურს და ისევ აუშვა — ებრაელი ნეზვია. ნუთუ ეშინოდა?

გ ა ნ მ ა რ ტ ი ა ნ ი

1. Il mal seme d'Adamo. Dante; Inferno — ადამის წამბდარი შთამომავლობა სტრიქონი დანტეს „ჯოჯოხეთიდან“.
2. თორმეტტონიანი მუსიკა — მუსიკის თხზვის მეთოდი, რომელიც ატონალური მუსიკის განვითარების პროცესში წარმოიშვა.
3. ზომეზარტი, არნოლდი (1874—1951) — დოდეკაფონიური მუსიკის ერთ-ერთი უმთავრესი მწიგნობარი.
4. ანტონ ფონ ვებერნი (1883—1945) — შოენბერგის მოწაფე.
5. ირთი თაზი კარძი — სქელი წენიანი, რომელიც პირველ და მეორე თავ კერძებს ცვლიდა. ეკონომიური მოსაზრებით ეს კერძი ჩვეულებრივი იყო პიტლერული გერმანიის მოსახლეობისათვის. ამ კერძით იკვებებოდნენ აგრეთვე იმპერიის პარტიული სკოლის მსმენელები.
6. პალესტრინა, ჯოვანი (1525—1594) — იტალიელი კომპოზიტორი, საეკლესიო მუსიკის ავტორი.
7. ტრიდენტის კრიზისი — კათოლიკური ეკლესიის მეცხრამეტე მსოფლიო საეკლესიო კრება (1545—1563 წ.წ.), რომელიც ვ. ტრენტოში (ლათინურად „ტრიდენტუმ“) შედგა.
8. აბრიკას ტერმინი — ძველი რომის საზოგადოებრივი სარგებლობის აბანოები, რომლებიც ამავე დროს სპორტული, კულტურული და გასართობი დაწესებულებების როლსაც ასრულებდა.
9. ორჯინი და კოლონა — ორსინი იტალიის ერთ-ერთი ცნობილი გვარია. ამ გვარიდან იყო სამი პაპი და 34 კარდინალი. კოლონაც იტალიის ცნობილი გვარია, რომელიც რომის ცხოვრებაში მე-11-16 საუკუნეებში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. ეს ორი გვარი ერთმანეთს შტრობდა.
10. ბენიტო — იტალიის ყოფილი დიქტატორის, მუსოლინის სახელი.
11. ფრანც ფონ ლენბახი, (1836—1904) — მე-19 ს. 70-იანი წლების გერმანელი პორტრეტისტი.
12. „აკონომიკური სასწაული“ — ასე უწოდებდნენ ჩვენი საუკუნის ორმოცდაათიან წლებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთგვარ ეკონომიკურ გამოცოცხლებას, რომელსაც შემდგომ კრიზისები და უმუშევრობის ზრდა მოყვა.
13. კოპუსანი კაპუსიკა — (1760—1849) — იაპონელი მხატვარი.
14. ოსტინ — ძველი რომის ნავსადგური მდინარე ტიბრზე. არქეოლოგიური გათხრებით გასუფთავებული მისი ნაშთი ტიბრის შესართავიდან 7 კილომეტრზე მდებარეობს.
15. Bon soir, Monsiuer Aga Khan (ფრ.) — საღამო მშვიდობისა, ბატონო ალა-ხანო. ალა-ხანი — ინდოეთში ისლამის მიმდევართა სექტის გავლენიანი ხელმძღვანელი.
16. ლანგემბარტი — ბელგიის ქალაქი, სადაც პირველი მსოფლიო ომის დროს სისხლისმღვრელი ბრძოლები მოხდა. ქალაქში ბევრია ჯარისკაცთა საფლავები და ძეგლები.
17. „შატივის ვირ იპოვი“ — სტრიქონი ნაციტურ გერმანიაში გავრცელებული ჯარისკაცთა საყვარელი სიმღერისა, რომელიც ჯარისკაცულ მეგობრობას უგალობდა.
18. ლანდსბერგის ფიმი — ჟ. ლანდსბერგის საილუმო ფაშისტური სამსჯავრო.
19. ნობატიზმი — სიმწიფის ატესტატის მისაღებად გამოცდების ვადამდე ჩაბარება.
20. მოხალისეთა კორპუსი, ბრძოლები ანაბერგთან, სპარტაკელთა წინააღმდეგ ლაშქრობა, კაპის პუტჩი, რურის არეულობა — აქ ჩამოთვლილ მოვლენებს ადგილი ჰქონდა გერმანიაში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ 1918 წელს. ჩამოყალიბდა კონტრევოლუციური მოხალისეთა რაზმები რევოლუციური პროლეტარიატის წინააღმდეგ საბრძოლველად. იუდეიანი მონაწილეობას იღებდა გერმანიის სოციალ-დემოკრატთა მემარცხენე ჯგუფის — სპარტაკელთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლებში. ამას მოყვა პუტჩი, რომელსაც რეაქციონერი პოლიტიკოსი კაპი ხელმძღვანელობდა; კაპის პუტჩის მიზანი იყო ვაიმარის რესპუბლიკის განადგურება და მონარქიის აღდგენა. რურის ოლქში იბრძოდა რევოლუციური „წითელი არმია“. ამ ბრძოლებში რეაქციონერთა მხარეზე მონაწილეობით იუდეიანს მაინც მოუხდა „ბრძოლის ველზე“ ყოფნა.
21. „მარტის ია“ — მინიმუმბულია კაპის პუტჩი, რომელიც 1920 წლის მარტში მოხდა.
22. in contumaciam — დაუსწრებლად (ლათ.).
23. ვალკალა — ძველგერმანული მითოლოგიით: ღმერთ ოდინის სასახლე, ომში დაცემულ მებრძოლთა სულების სამყოფელი.
24. Gottlieb — ღვთის მოყვარე (გერმან.).

25. ცნობილი ციტატის ბახსინიზას იწვევდა — ლაპარაკია გოეთეს დრამის „გოც ფონ ბერლინგენის“ მთავარ მოქმედ პირ გოცის ერთ უწმაწურ ნათქვამზე.
26. ანდერსის არშია — მეორე მსოფლიო ომში გენერალ ანდერსის მიერ მოლონელი რეაქციონერებისგან შედგენილი არშია.
27. შორბინტაუ, პენრი — აშშ-ს ყოფილი ფინანსთა მინისტრი, რომელიც 1944 წელს წარმოადგინა თავის მიერ შემუშავებული გერმანიის გარდაქმნის გეგმა [შორბინტაუ] [მსოფლიო ომის შემდეგ].
28. დიტრიხი იყო სტუდენტური კავშირის „ვანდალების“ წევრი.
29. ბაულაინტიერი — ფაშისტური გერმანიის რომელიმე ოლქის ან მეორე მსოფლიო ომში გერმანელთა მიერ ოკუპირებული ტერიტორიის ნაცისტი ხელმძღვანელი.
30. შავი ფორმის სამოსს ესესელები ატარებდნენ.
31. კურფინტსტაინლაში — ბერლინის ერთ-ერთი ცნობილი ქუჩა.
32. ჯომინიზმ (იტალიურად: ახალგაზრდობა). — ფაშისტური ახალგაზრდობის ჰიმნი დიქტატორ მუსოლინის დროს.
33. ილიო სასო — ნავთობი ტოსკანის ახლოს ქ. სასოს რაიონში.
34. კარლ შანი (1842—1912) — ინდიელთა ცხოვრების ამსახველი მოთხრობების ავტორი.
35. ფია ჩიტერიო — ღვინის სარდაფი (იტალ.).
36. კინანტი — ღვინოა ერთგვარი.
37. Isn't it wonderful? — რა დიდებულია (ინგლ.).
38. cento Lire — ათი ლირა (იტალ.).
39. პარმუზანი — ერთგვარი ხარისხის ყველი, გამოირჩევა სიმაკრიო.
40. შინიბა — ქალაქი, რომელიც გადმოცემით მიწისძვრის გამო ბალტიის ზღვაში ჩაიძირა.
41. ლარბი — სახლისა და ოჯახის მფარველი ღმერთები.
42. როზინგარბის შიშოსი — ფაშისტ თეორეტიკოს როზენბერგის მიერ შემუშავებული კაცთ-მოძულე ცრუმეცნიერული რასობრივი თეორია არიული რასის უპირატესობის შესახებ.
43. კოისი, ფიოდორ — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი. (1949—1959 წ.წ.).
44. Pronto — გისმენთ (იტალ.).
45. „ბაილინი“ — ნაგულსხმევია გერმანელთა ლოზუნგი: „გაიღვიძე, გერმანია!“
46. Buon appetito — გაამოთ! (იტალ.).
47. ბათვირული ოლიმპისა და ... — დი ტრევის სახელგანთქმული შადრევანი რომში შემკულია ძველბერძნული ღმერთების სკულპტურული გამოსახულებებით, აქედან ეს შედარება ოლიმპთან, რომელიც ძველბერძნული მითოლოგიით ღვთაებათა სამყოფელი გახლდათ.
48. ფოლკსმუზი — გერმანიის სახალხო ლაშქარი მეორე მსოფლიო ომში.
49. ანდრეას კოფერი (1767—1810) — თავისუფლებისათვის მებრძოლი ტიროლელი, 1809 წლის აჯანყების მეთაური, ებრძოდა ფრანგებსა და ბავარიელებს. ბავარიელები ქვეყნიდან განდევნა, მაგრამ ფრანგებთან ბრძოლაში დამარცხდა. ლალატის შედეგად შეიპყრეს 1810 წელს და მანტუაში სიკვდილით დასაჯეს.
50. კვირინალი — რომის შვიდ ბორცვთაგან ერთ-ერთი 1870 წლიდან შეფეოა რეზიდენცია იყო, ხოლო 1948 წლიდან პრეზიდენტის რეზიდენციაა.
51. Pontifex maximus — უმაღლესი ქურუმი (ლათ.).





გერმანულიდან
თარგმნა გიორგი ნოდია

იოჰან ვოიზინგა (1872-1945) ცნობილი პოლანდიელი ისტორიკოსი, სოციოლოგი და კულტუროლოგია. მას ეკუთვნის კლასიკური შრომები შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის ისტორიაში, საინტერესოდ აქვს გაანალიზებული XX საუკუნის ბურჟუაზიული კულტურის კრიზისი. წიგნი, რომლის ერთ-ერთ, ამასთან საპროგრამო, თავს აქვს გათვზობთ, მეტად პოპულარულია დასავლეთში. მასში გადმოცემულია ავტორის ზოგადი შეხედულება კულტურის ძირებზე — მეტად საკამათო, მაგრამ ამავე დროს ძალზე საინტერესო. წიგნის სრული ქართული თარგმანის გამოსცემა დიფერენციული აქვს მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ერთიერთობების მთავარ სარედაქციო კოლეჯიას.

თამაშის, როგორც კულტურის მოვლენის,
არსი და მნიშვნელობა

თავი წიგნიდან: „Homo ludens. კულტურის თამაშში წარმოშობის შესახებ“

თამაში კულტურაზე ძველია; რადგან რაც გინდა ფართე მნიშვნელობით გავიგოთ კულტურის ცნება, ის მაინც ადამიანთა საზოგადოებას გულისხმობს. ცხოველები კი ადამიანებს არ დალოდებიან, რომ მათგან თამაში ესწავლათ. დიან, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანურ ცივილიზაციას თამაშის ზოგადი ცნებისთვის არსებითად არაფერი დაუმატებია. ცხოველებიც ზუსტად ადამიანთა გვარად თამაშობენ. ცხოველთა ონავრობას უკვე ახასიათებს თამაშის ყველა ძირითადი ნიშანი. საკმარისია, ცოტა ხანს თვალი ვადევნოთ ლეკვების თამაშს, რომ მათ სიანცე-ლაღობაში ყველა ეს ნიშანი შევიცნოთ. ისინი საგანგებო, ცერემონიული პოზებში და მიხვრა-მოსხრით იწვევენ ერთმანეთს სათამაშოდ, მუდამ მკაცრად იცავენ წესს, რომ არ შეიძლება მოყვასს უური მოაგლიჯო, თავს კი ისე აჩვენებენ, თითქოს საშინლად ცხარობენ. ყველაზე მთავარი ისაა, რომ მათთვის უოველივე ამას აწკარად უდიდესი ხალისი და სიამოვნება მოაქვს. ერთმანეთზე შედრენილი ლეკვების ოინბაზობა მხოლოდ ერთ-ერთი უმარტივესი ფორმაა ცხოველთა თამაშისა. არსებობს ბევრად მაღალი და განვითარებული ფორმები — მაყურებლისათვის განკუთვნილი ნამღვილი შეჯიბრებანი და ლამაზი სანახაობანი.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: უკვე თავის უმარტივეს ფორმებში, თუნდაც ცხოველთა დონეზე, თამაში მეტია, ვიდრე წმინდა ფიზიოლოგიური მოვლენა ანდა ფიზიოლოგიურად განსაზღვრული ფსიქიკური რეაქცია. თამაში, როგორც ასეთი, სცილდება წმინდა ბიოლოგიური თუ წმინდა ფსიქიკური მოღვაწეობის საზღვრებს. იგი საზრისის მქონე ფუნქციაა. თამაშისას „თამაშდება“ რაღაც ისეთი, რაც აღემატება სიცოცხლის განმტკიცების ლტოლვას და თავად ანიჭებს საზრისს სასიცოცხლო მოღვაწეობას. უო-

ველი თამაში რაღაცას ნიშნავს, თუ აქტიურ საწყისს, თამაშის არსს რომ შეადგენს, „გონს“ ვუწოდებთ, გაწვიალება გამოგვივა; მაგრამ თუ მას „ინსტიქტად“ მოვხატავთ, სულ არაფერს ვიტყვით. რა გზითაც გინდა წავიდეთ, ერთი მაინც ცხადია: რაბან თამაში საზრისის მქონეა, მასში რაღაც არამატერიალური ელემენტიც მონაწილეობს.



თამაშის დღემდე არსებულ განსაზღვრებათა ნაკლებობა

ფსიქოლოგია და ფიზიოლოგია ცდილობენ დააკვირდნენ, აღწერონ, ახსნან ცხოველთა, ბავშვთა და ახაკბრულ ადამიანთა თამაში. ისინი ესწრაფვიან თამაშის არსისა და მნიშვნელობის დადგენას, მისთვის ადგილის მიჩენას სიცოცხლის სქემაში. ამ საქმეს რომ დიდი მნიშვნელობა აქვს და აუცილებელ, ან სულ ცოტა სასარგებლო ამოცანას ემსახურება, ულაპარაკოდ და საყოველთაოდ არის აღიარებული, როგორც მეცნიერული კვლევა-ძიების ამოსავალი პუნქტი. მაგრამ თამაშის ბიოლოგიური ფუნქციის განსაზღვრის უთვალავი ცდა მეტისმეტად შორდება ერთმანეთს. ზოგიერთთა რწმენით თამაშის ძირი და წყარო შეიძლება გავიგოთ როგორც მოჭარბებული სასიცოცხლო ძალებისაგან განტვირთვა. სხვათა მიხედვით თამაშისას ცოცხალი არსება იკმაყოფილებს მიბაძვის თანშობილ ლტოლვას, აგრეთვე განშუბტვის მოთხოვნილებას ან ემზადება სერიოზული მოღვაწეობისათვის, შემდგომ ყოფაში რომ გამოადგება; ზოგის აზრით, თამაში თავშეკავების უნარის გამოსამუშავებლად არის აუცილებელი. კიდევ სხვები თამაშის საფუძვლად მიიჩნევენ რაღაც უნართა გამომტკიცების თუ რაღაც ხდომილებათა მიზეზად ყოფნის, ბატონობის თუ შეჭიბრის თანდაყოლილ მოთხოვნილებებს. ზოგსაც თამაში წარმოუდგება მავნე ვნებათა დაცხრომის უწყინარ საშუალებად. ცალმხრივად წარმართული მოღვაწეობის აუცილებელ დამატებად, სინამდვილეში განუხორციელებელი სურვილების ფიქტიურ დაკმაყოფილებად და ამით საკუთარი პიროვნულობის შეგრძნების განმტკიცებად.

უველა ეს განმარტება ამოდის წანამძღვრიდან, თითქოს თამაშს რაღაც სხვის გამო მისდევდნენ, თითქოს ის რაღაცგვარ ბიოლოგიურ მიზანშეწონილობას ემორჩილებოდეს. კითხვა ასე ისმის: რატომ და რისთვის თამაშობენ? მასზე გაცემული პასუხები არანაირად არ გამოირიცხავს ერთმანეთს. შეიძლება კაცმა თითქმის უველა აქ ჩამოთვლილი განმარტება ერთმანეთის ბარდაბარ აღიაროს და ცნებათა არასასურველი აღრევა მაინც არ მოუვიდეს. აქედან კი გამომდინარეობს, რომ ყოველი მათგანი მხოლოდ ნაწილობრივ ახსნას იძლევა. ერთი რომელიმე გადამწყვეტი მნიშვნელობისა რომ ყოფილიყო, იგი სხვა დანარჩენთ ან გამორიცხავდა, ანდა უმალდეს ერთიანობაში მოიცავდა და შეითვისებდა. განმარტების მცდელობათა მეტი წილი მხოლოდ მეორე რიგში იწუხებს თავს კითხვით: რა არის და როგორია თამაში თავისთავად და თავისთვის, რას ნიშნავს იგი მოთამაშისთვის? ისინი უშუალოდ უყენებენ თამაშს ექსპერიმენტული მეცნიერებიდან მოტანილ გაზომვის მეთოდებს და იმთავითვე უშვებენ მხედველობიდან თამაშის ღრმად ესთეტიკურ ბუნებას. თამაშის საკუთრივი რაგვარობა, როგორც წესი, საერთოდ განხილვის გარეთ რჩება. მოცემულ განსაზღვრებებს შეიძლება დაეუპირისპიროთ კითხვა: „კი მაგრამ, რაში მდგომარეობს სერი (witz) თამაშისა? რატომ ღუღუნებს ბავშვი სიამოვნებისაგან? რატომ მიდის თავდავიწყებამდე მოთამაშის აზარტი? რატომ აშმაგებს შეჭიბრი მრავალათასიან ბრბოს?“ ინტენსიობა თამაშისა ბიოლოგიური ანალიზით ვერ აიხსნება. არადა, სწორედ ამ ინტენსიობაში, გახელების ამ უნარში მდგომარეობს მისი არსი, მისი უსაკუთრესი რაგვარობა. ბუნებას, ლოგიკურად განვსჯით ჩვენ, ადვილად შეეძლო უველა ეს აუცილებელი პუნქტი — მოჭარბებული ენერჯისაგან განტვირთვა, დაძაბულობის მოხსნა, ცხოვრების მოთხოვნების შესასრულებლად მომზადება და განუხორციელებელ ლტოლვათა კომპენსაცია — წმინდა მექანიკური ვარჯიშებისა და რეაქციების სახით დაეცისრებინა თავისი შეილებისათვის. მაგრამ მან სწორედ რომ თამაში მოგვამადლა თავისი სიმძაფრით, სიხარულითა და სილადით.

თამაშის ეს უკანასკნელი ელემენტი, მისი „სერი“, უსხლტება ყოველგვარ ანალიზს, ყოველგვარ ლოგიკურ ინტერპრეტაციას. მისი ჰოლანდიური შესატყვისი, „aardigheid“, საუცხოოდ გამოხატავს საჭირო შინაარსს. იგი წარმოადგება სიტყვისაგან „aard“, რაც ნიშნავს „სახეს“, მაგრამ აგრეთვე „არსსაც“, და ამით, თუ შეიძლება ასე ითქვას, ადასტურებს, რომ მისით აღნიშნული ვითარება სხვა არაფერზე დაიყვანება. ჩემთვის ცნობილ თანამედროვე

ენებში ამ დაუწყვანადობას უველაზე უკეთ გამოხატავს ინგლისური «fun», რომელიც ამჟამინდელი მნიშვნელობა არც ისე დიდი ხნის წინ მიიღო. საკვირველია, მაგრამ ფრანგულში ამ ცნებისთვის ეკვივალენტი არ გააჩნია. ამ დროს, სწორედ ეს ელემენტი განსაზღვრავს თამაშის არსს. თამაშის სახით საქმე გვაქვს ყოველი კაცისთვის უშუალოდ სუბიექტურ უბრალოდ პირველად სიცოცხლის კატეგორიასთან. თამაში მთლიანობაა, თუკი საქმე უშუალოდ შექმნილია და რამეს „მთლიანობა“ ვუწოდოთ. ჩვენ ვეცადოთ, გავიგოთ და შევაფასოთ თამაში მის მთლიანობაში.

თამაშის რეალობა აშკარად ვრცელდება როგორც ადამიანის, ისე ცხოველების სამყაროზე. მაშასადამე, ის არ შეიძლება რაიმე გონებით კავშირს ემყარებოდეს, რადგან ამ შემთხვევაში ის ადამიანთა სამყაროთი შემოიზღუდებოდა. თამაში არ არის დავალებული თავისი არსებობით კულტურის რომელიმე საფეხურისა თუ მსოფლმხედველობრივი ფორმისაგან. ყოველი მოაზროვნე არსება თვალნათლივ ხედავს, რომ თამაში არის თავისთავადი, საკუთრივი რბლაც, თუნდაც ენას არ გააჩნდეს ამ ზოგადი ცნების გამომხატველი სიტყვა. თამაშის უარყოფა შეუძლებელია. ადამიანს შეუძლია ყოველგვარ აბსტრაქციანზე თქვას უარი: სამართალზე, სილამაზეზე, ჭეშმარიტებაზე, სიკეთეზე, გონზე, ღმერთზე! სერიოზულობის უარყოფა შეიძლება, თამაშისა კი — არა!

ამასთან, თამაშის მეშვეობით ადამიანი, უნდა თუ არა, გონს შეიცნობს. რამეთუ თამაში არ არის ნივთი, რომელსაც ერთხელ და სამუდამოდ აქვს მოცემული მიხი არსი. ცხოველთა სამყაროშიც კი ის სცდება ფიზიკურად არსებულის საზღვრებს. თუ სამყაროს შევხედავთ, როგორც ბრმა ძალთა ურთიერთშემოქმედებებით დეტერმინირებულს, თამაშს სრული უფლებით შეიძლება ვუწოდოთ Superabundans — ფუფუნება, ზედმეტობა. მხოლოდ აბსოლუტური დეტერმინაციის დამძლევი გონის დაშვებით ხდება შესაძლებელი, მოაზრებადი და გასაგები თამაშის არსებობა. თამაში თავისი არსებობით კიდევ ერთხელ, თანაც უმაღლესი აზრით, ადასტურებს სამყაროში ჩვენი მდგომარეობის ზელოგიკურ ხასიათს. ცხოველებს თამაში შეუძლიათ, და უკვე ამიტომ შექანიკურ ნივთებს აღემატებიან. ჩვენ ვთამაშობთ და ვიცით, რომ ვთამაშობთ, ამიტომ ჩვენ მეტნი ვართ, ვიდრე მხოლოდ გონების მატარებელი არსებანი, რადგან თამაში არაგონებითია.

თამაში, როგორც კულტურის ფაქტორი

თუ მწერას იმაზე მივმართავთ, როგორ შეღავნდება თამაშის ფუნქცია კულტურაში, და არა ცხოველებთან ან ბავშვებთან, შეგვიძლია თამაშის განხილვა იქიდან დავიწყოთ, სადაც ბიოლოგიას და ფსიქოლოგიას თავიანთი საქმე უკვე მომთავრებული აქვთ. თამაში კულტურაში დაგვხვდება როგორც მოცემული სიდიდე, რომელიც წინ უსწრებს კულტურას და შემდეგ. თან ახლავს მას დასაბამიდან აწმყომდე. თამაში უველგან წარმოგვიდგება როგორც ქცევის გარკვეული, „ჩვეულებრივი“ ცხოვრებისაგან განსხვავებული რაგვარობა. ჩვენ შეგვიძლია დიად დავტოვოთ საკითხი იმის შესახებ, რამდენად ხელეწიფება მეცნიერულ ანალიზს ამ რაგვარობის რაოდენობრივ ფაქტორებზე დაუყვანა. ვფიქრობთ, რომ ის ამას ვერ ახერხებს. ჩვენთვის თავი და თავი საქმისა სწორედ ეს რაგვარობაა, რადგან სწორედ ის მიგვაჩნია არსებითად ჩვენს მიერ თამაშად წოდებული სასიცოცხლო ფორმისთვის. ჩვენ გვინტერესებს თამაში როგორც აქტივობის ფორმა, როგორც ხაზრისის მქონე ფორმა და როგორც სოციალური ფუნქცია. ჩვენ იმ ბუნებრივ სტიმულებს კი არ ვეძებთ, რომლებიც საზოგადოდ აპირობებენ თამაშის ფაქტს, არამედ განვიხილავთ თვითონ თამაშს მის მრავალფეროვან კონკრეტულ ფორმებში, თამაშს როგორც სოციალურ სტრუქტურას. ჩვენ ვცდილობთ გავიგოთ თამაში მისი პირველადი მნიშვნელობით, როგორც მას თავად მოთამაშე აღიქვამს. რაკი დავინახავთ, რომ თამაში რაღაც სახეებით მანიპულირებას ეფუძნება, რომ ის სინამდვილეს სიცოცხლის მოძრაე ფორმებს უნაცვლებს და ამით მის გარდასახვას ახდენს, ჩვენ უპირველეს ყოვლისა თვით ამ სახეებისა და გარდასახვის ღირებულებისა და მნიშვნელობის გაგებას შევეცდებით. ჩვენ მოგვინდება თამაშის პროცესშივე დავაკვირდეთ მათი მოქმედების მექანიზმს და ამ გზით ჩავწვდეთ თამაშს როგორც კულტურული ცხოვრების ფაქტორს.

ადამიანთა საზოგადოებისთვის ნიშნეული მოღვაწეობის უველა ძირეული სახე იმთავითვე გამსჭვალულია თამაშით. ავიდოთ ენა, პირველი და უმაღლესი იარაღი, რასაც ადამიანი იქმნის

რათა გააგებინოს, ახწავლოს, უბრძანოს, ენა, რითაც ის განასხვავებს, საზღვრავს, აღგენს, მოკლედ — სახელს არქმევს, ესე იგი ნივთი გონის საუფლოში აწვავს, ენის შემოქმედი გონი მუდამ თამაშით გადადის ნივთიერიდან აზრისეულზე. რაიმე აბსტრაქტულის უოველი გამოხატულების უკან მეტაფორა დგას, უოველ მეტაფორაში კი სიტყვათა თამაშია შეზავებული. ასე ქმნის კაცობრიობა არსებულის ხაკუთარ გამოხატულებას, ანუ კვებს ტუნების სამყაროს გვერდით მეორე, შეთხზულ სამყაროს. ანდა ავალთ მითოსი. ესეც არსებულის საზოგადო წარმოდგენაა, ოღონდ ცალკეულ სიტყვასთან შედარებით შემდგომ დამუშავებული: მითოსის მეშვეობით უადრესი ადამიანი ცდილობს მიწიერი ახსნას და ნივთები ღვთაებრივში დააფუძნოს. უოველ თავნება ფანტაზიაში, რითაც მითოსი მოცემულს გარდასახავს, გამომგონებლობის წყურვილს აუოლილი გონი ხუმრობისა და ხეროოზულობის ზღვარზე თამაშობს. დაბოლოს, კულტს დავაკვირდეთ: პირველყოფილი საზოგადოება თავის საღმრთო მოქმედებას, რომელმაც ქვეყნის ხსნა უნდა უზრუნველყოს — ზიარებას, მსხვერპლშეწირვას, მისტერიას — აღასრულებს წმინდა თამაშში ამ სიტყვის უსაკუთრესი აზრით.

მითოსსა და კულტში კი სათავეს იღებს კულტურული ცხოვრების უდიდესი მამოძრავებელი ძალები: საშართაღი და წესრიგი, ვაქრობა, რეწვა, ხელოსნობა და ხელოვნება, პოეზია, სიბრძნე და მეცნიერება. მათხადაამე, ყველა ესენი თამაშობრივი ქცევის ნიადაგში არიან ჩაფხვებული.

ამ გამოკვლევის მიზანია, ცხადყოს, რომ თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც კულტურა შესაძლებელია განვიხილოთ *sub specie Iudii*, ნამდვილად მეთია, ვიდრე რიტორიკული შედარება. ეს აზრი სულაც არ არის ახალი. ერთ დროს ის საყოველთაოდ გავრცელებულიც იყო და მიღებულიც: სახელდობრ, მეჩვიდმეტე საუკუნეში, როცა დიდი მსოფლიო თეატრი შეიქმნა. შექსპირის, კალდერონისა და რასინის ბრწყინვალე ხანაში დრამას ეპოქის ლიტერატურული ცის კაბადონზე გაბატონებული ადგილი ეკავა. პოეტები სამყაროს ერთიმეორის მიყოლებით ადარებდნენ სცენას, რომელზეც უოველი კაცი თავის როლს თამაშობს. მაშინ კულტურული ცხოვრების თამაშობრივი ხასიათი ულაპარაკოდ აღიარებული ჩანდა. მაგრამ თუ უფრო ზუსტად განვიხილავთ ცხოვრების თეატრალურ წარმოდგენასთან ამ მოარულ შედარებას, აღმოჩნდება, რომ ის პლატონისტურ ნიადაგზეა აღმოცენებული და თითქმის მთლიანად მორალისტურ შეგონებაზე დაიყვანება. ეს სხვა არაფერია, თუ არა ვარიაცია ამოების ძველ-თაძველ თემაზე, ამოოხვრა უოველივე მიწიერის არარაობის გამო. თამაში და კულტურა რომ მართლა შეტმასნილნი არიან ერთმანეთს, აქ არც აღიარებული იყო და არც გამოხატული, ჩვენ კი ამის საპირისპიროდ ის უნდა დავამტკიცოთ, რომ ნამდვილი, წმინდა თამაში თავის-თავად არის კულტურის ერთ-ერთი საფუძველი და მისი მონაწილე.

თამაში, როგორც დამოუკიდებელი კატეგორია

ჩვენს ცნობიერებაში თამაში სეროოზულობას უპირისპირდება. ეს დაპირისპირება თავდაპირველად ისევე ძირეული ჩანს, როგორც თვით თამაშის ცნება. მაგრამ უფრო კარგად რომ დავაკვირდებით, დაპირისპირება თამაში — სეროოზულობა არც ერთმნიშვნელოვანი მოგვეჩვენება და არც მყარი. შეგვიძლია ვთქვათ: თამაში არის არასეროოზულობა. ეს ღებულება არაფერს ამბობს თამაშის პოზიტიურ თვისებებზე, მაგრამ ამასაც რომ უურადღება არ მივაქციოთ, მას სულ ადვილად უკუვაგდებთ, როგორც კი ნაცვლად ღებულებიხა: „თამაში არის არასეროოზული“, ვიტყვიოთ. „თამაში არ არის სეროოზული“. დაპირისპირება მაშინვე თვალსა და ხელს შუა გაგვისხლტება, რადგან თამაში შეიძლება ძალიანაც სეროოზული იყოს. გარდა ამისა, მაშინვე გადავაწყდებით სიცოცხლის რამდენიმე ძირეულ კატეგორიას, რომლებიც ასევე თავსდებიან არასეროოზულის ცნებაში, მაგრამ თამაშს ვერასგზით ვერ გაუთანაბრდებიან. სიცილი აშკარად უპირისპირდება სეროოზულობას, მაგრამ სრულიადაც არ არის გარდუვალად დაკავშირებული თამაშთან. ბავშვები, ფეხბურთელები და მოჭადრაკეები მეტისმეტი სეროოზულობით უღრმავდებიან თამაშს და ამ დროს სიცილისა არაფერი ეტყობათ. საგულისხმოა, რომ სიცილის წმინდად ფიზიოლოგიური ფუნქციაც კი გამორჩეულად ადამიანურია, მაშინ როცა თამაშის საზრისისეული ფუნქცია ადამიანს ცხოველთან აქვს საზიარო. არისტოტელე-

1 თამაშის ნიშნით (ლათ).

სეული animal ridens² შესაძლოა უკეთაც კი აღნიშნავდეს ადამიანის განსხვავებას ცხოველსაგან, ვიდრე Homo sapiens³.

რაც სიცილზე ითქმის, კომიკურსაც ეხება. კომიკური არახეროზულეს ცნებაში თავსდება ლა გარკვეული წესით ეთანადება სიცილს; ის სიცილის გამოწვევია. მაგრამ მისი კავშირი თამაშთან არსებითად მეორეხარისხოვანია. თამაში თავისთავად კომიკური არ არის არც მოთამაშისათვის და არც მაყურებლისთვის. ცხოველთა ნაშიერნი და პატარა ბავშვები ხანდახან კომიკურნი არიან თამაშისას, მაგრამ თუნდაც იმაზე, მოზრდილი ძაღლები, როგორ დასდევდნენ ერთმანეთს, ძნელად გაგვეცინება. როცა ფარსი ან კომედია სასაცილოდ გვეჩვენება, ამის მიზეზი მოქმედების თამაშობრივი ხასიათი კი არაა, არამედ მისი საზროვნო შინაარსი. კლოუნის კომიკურ და სიცილისმომგვრელ მიმიკას მხოლოდ მეტად უარყო აზრით შეიძლება ვუწოდოთ თამაში.

კომიკური მჭიდრო კავშირშია „გიჟობასთან“⁴. მაგრამ თამაშში „გიჟური“ არაფერია. ის ჭკვიანობისა და გიჟობის დაპირისპირების გარეთაა. არადა, ერთ დროს სწორედ „გიჟობის“ ცნებას ეკისრებოდა სერიოზულობისაგან განსხვავებული ძირეული ხასიციოცხლო განწყობის გამოხატვა. გვიანი შუა საუკუნეების სიტყვათმარებაში სიტყვების წყვილი folie et sens⁵ საქმოდ სრულად ფარავდა ჩვენეულ დაპირისპირებას თამაში — სერიოზულობა.

ამ ბუნდოვნად შეკავშირებულ ცნებათა ჯგუფში, რომელშიც შედის თამაში, სიცილი, გართობა, სუმრობა, კომიკური და „გიჟობა“, ყოველ ტერმინს ახასიათებს თვისება, რაც ჩვენ აუცილებლობით მივაწერთ თამაშს: ვერც ერთს ვერ დავიყვანთ რაღაც სხვაზე. მათი ratio⁶ ჩვენი გონითი არსის განსაკუთრებით ღრმა ფენაში ძევს.

რაც უფრო ვცდილობთ, გამოვარჩიოთ თამაშის ფორმა სიციოცხლის ერთი შეხედვით მასთან დაკავშირებული სხვა ფორმებისაგან, მით უფრო აშკარა ხდება მისი სიღრმისეული თავისთავადობა. თანაც ჩვენ შეგვიძლია აქ არ შევჩერდეთ და ვაჩვენოთ თამაშის დამოუკიდებლობა სხვა კატეგორიულად დაპირისპირებათაგან. თამაში არ შედის არა მხოლოდ ჭკვიანობა-გიჟობის, არამედ, აგრეთვე ჭეშმარიტებისა და სიყალბის, სიკეთისა და ბოროტების ოპოზიციებში. თუმცა თამაში გონითი საქმიანობაა, მასში თავისთავად არავითარი გონითი ფუნქცია, არავითარი სიქველღე და ცოდვა არ იგულისხმება.

მაგრამ თუ თამაში უშუალოდ არც ჭეშმარიტს და არც კეთილს არ ეთანადება, იქნებ მისი ადგილსამყოფელი ესთეტიკურის სფეროშია? ამაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ძნელია. თავისთავად თამაშს სილამაზის თვისება არ მიეწერება, მაგრამ მას ნამდვილად აქვს მიდრეკილება, სილამაზის ნაირგვარი ელემენტები შეითვისოს. თამაშის პრიმიტიულ ფორმებს იმთავითვე დაჰყვება სიხალისე და მოხდენილობა. ადამიანის სხეულებრივი მოძრაობის სილამაზე თავის უმაღლეს გამოხატულებას თამაშში ნახულობს. თავის უფრო მეტად განვითარებულ ფორმებში თამაში გამსჭვალულია რიტმითა და მარშონით — ესთეტიკური აღქმის უკეთილშობილები უნარებით, რაც კი ადამიანს მომადლებული აქვს. თამაშსა და სილამაზებს შორის მრავალმხრივი და მჭიდრო კავშირი არსებობს.

თამაშის ფორმალური ნიშნები

მასასადამე, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ თამაშის სახით საქმე გვაქვს ცოცხალი არსების ფუნქციასთან, რომელსაც ვერც ბიოლოგიურად და ვერც ლოგიკურად⁷ სრულყოფილად ვერ განვსაზღვრავთ. თამაშის ცნება ვერაფრით თავსდება ვერც ერთ საზროვნო ფორმაში, რომლებითაც ჩვენი გონითი და საზოგადოებრივი ცხოვრების სტრუქტურას გამოვხატავთ ხოლმე. ამიტომ თავდაპირველად თამაშის ფორმალური ნიშნების აღწერით უნდა შემოვიზღუდოთ.

აქ ხელს გვიწყობს ის გარემოება, რომ არჩეული თემა — თამაშისა და კულტურის კავშირი — საშუალებას გვაძლევს არ განვიხილოთ თამაშის ყველა არსებული ფორმა და ძირითადად სოციალური სახის თამაშებით შემოვიზღუდოთ. მათ შეიძლება, თუ გვხურს, თამაშის

² მოცინარი ცხოველი (ლათ.).

³ მოაზროვნე ადამიანი (ლათ.).

⁴ გერმ. — Torheit, ინგლ. — folly.

⁵ გიჟობა და აზრიანობა (ფრ.).

⁶ აქ — რაციონალური გამართლება, საფუძველი (ლათ.).

⁷ ინგლისურ თარგმანში დამატებულია: „და ვერც ესთეტიკურად“ (მთარგ. შენ.).

მაღალი ფორმები ვუწოდოთ. ისინი მცირეწლოვან ბავშვებისა და ცხოველების პირველად თამაშებზე ადვილი აღსაწერია, რადგან თავისი აგებულებით უფრო განვითარებულნი და დასახსრულნი არიან და უფრო მრავალფეროვანი და თვალსაჩინო ნიშნებით ხასიათდებიან, მაშინ როდესაც პრიმიტიული თამაშის განსაზღვრის მცდელობისას პირდაპირ მივადგებით თამაშის იმ საკუთრივ რაგვარობას, რაც, ჩვენი აზრით, ანალიზს არ ემორჩილება. ჩვენ მოგვიბდება შეჯიბრებსა და ორთაბრძოლებზე, წარმოდგენებსა და დადგმებზე, ცოცხასა და მუხიკაზე, მასკარადებსა და ტურნირებზე მსჯელობა. იმ ნიშნებიდან, რომელთაც ამ დროს ჩამოვთვლით, ზოგიერთი საზოგადოდ თამაშს მიეწერება, ზოგი — კერძოდ სოციალურ თამაშს.

ყოველი თამაში უპირველეს ყოვლისა თავისუფალი მოქმედებაა. ნაბრძანები თამაში თამაში აღარაა. უკეთეს შემთხვევაში ის შეიძლება თამაშის ნაძალადევი მიზანძვა იყოს. თუნდაც ამ თავისუფლების ნიშნით თამაში გამოეყოფა ბუნების პროცესთა მდინარებას. ის ეგუება ამ უკანასკნელს და ეფინება როგორც მშვენიერი სამოსი. ცხადია, თავისუფლება აქ უართო აზრით უნდა გავიგოთ, რაც დეტერმინიზმის პრობლემას ხელშეუხებელს დატოვებს. რა თქმა უნდა, შეიძლება მოგვიგონ: ამ თავისუფლებას არა აქვს ადვილი მოზარდ ცხოველებთან და ბავშვებთან; მათ უნდა ითამაშონ, რადგან ინსტინქტი იძულებთ და რადგან თამაში ემსახურება მათი სხეულებრივი და სელექტიური უნარების განვითარებას. მაგრამ ინსტინქტის ცნების შენობიდან რაღაც x-ის უკან ვიმალებით, ხოლო თუ წინაწინ დავუშვებთ თამაშის სასარგებლო ბუნებას, *petitio principii*¹ დაგვემართება. ბავშვი და ცხოველი თამაშობენ, იმიტომ რომ რომ სიამოვნებთ, და ამაში მდგომარეობს მათი თავისუფლება.

ესეც რომ არა, მოზარდული და პასუხისმგებლობის მქონე ადამიანი საერთოდ ადვილად გაძლებდა თამაშის გარეშე. მისთვის თამაში ფუფუნებაა. ამ შემთხვევაში თამაშის მოთხოვნილებას მხოლოდ იმდენად შეიძლება მქონდეს ძალა, რამდენადაც იგი თამაშის სიამოვნებაშია ჩაფხვებული. თამაში ყოველთვის შეიძლება შევწყვიტოთ ან საერთოდ უარი ვთქვათ მასზე. ის არც ფიზიკური აუცილებლობით გვაქვს მოხვეული თავზე და, მითუმეტეს, არც ზნეობრივი მოვალეობით. ის ამოცანად არ დგას ჩვენს წინაშე. ის „თავისუფალ დროს“ თამაშდება. მხოლოდ შემდგომ, კულტურის ფუნქციად რომ იქცევა, უკავშირდება მას იძულების, ამოცანისა და მოვალეობის ცნებები.

ამგვარად, მოვიპოვეთ თამაშის პირველი ძირითადი ნიშანი: ის თავისუფალია, ის არის თავისუფლება. ამას უშუალოდ უკავშირდება მისი მეორე ნიშანი.

„თამაში არ არის „ჩვეულებრივი“ ან „ნამდვილი“ ცხოვრება. პირიქით. ის გამოსვლია ამ ცხოვრებიდან საკუთარი გამოწვევების მქონე აქტივობის დროებით სფეროში. პატარა ბავშვმაც კარგად იცის, რომ თამაშისას „ისე, ტყუილად“, „უბრალოდ, გასართობად“ მოქმედებს. თუ რამდენად აქვს ამის შეგნებას გადგმული ფესვი ბავშვის სულში, ჩემი აზრით, განსაკუთრებით კარგად ჩანს შემდეგი ეპიზოდიდან, რომელსაც თავის დროზე ერთი ბავშვის მამა მომიყვა: იგი შეესწრო თავისი ოთხი წლის შვილს, როცა პატარა ერთიმეორეზე მიწყობილი სკამებიდან პირველზე იჯდა და „მატარებლობანას“ თამაშობდა. მამა მოეფერა ბავშვს, მაგრამ პასუხად მიიღო: „მამა, არ შეიძლება ორთქმავალს აკოცო, თორემ ვაგონები იფიქრებენ, ნამდვილი არ არისო“. ეს „ისე, ტყუილად“ ავლენს თამაშის ნაკლები ღირებულების შეგნებას, მიაწინებს, რომ „გართობა“ უპირისპირდება „სერიოზულ საქმეს“, რომელიც აღიქმება როგორც პირველადი. წელან საგანგებოდ აღვნიშნეთ, რომ „ისე, ტყუილად“ თამაშის ცნობიერება სულაც არ გამოირიცხავს ამ „მხოლოდ თამაშის“ უდიდესი სერიოზულობით წარმართვას, მასში სრულ ჩაძირვას, შთაგონებაში რომ გადადის და დროებით სულ მოხსნის განსაზღვრებას „უბრალოდ“. ყოველ თამაშს ძალუძს ერთბაშად სავესებით დაიმორჩილოს მოთამაშე. დაპირისპირება „თამაში — სერიოზულობა“ ყოველთვის არამყარო რჩება. თამაშის ნაკლებლობა მისივე სრულყოფილი სერიოზულობით ნაზღაურდება. თამაში სერიოზულობაში გადადის, სერიოზულობა კი — თამაშში. თამაშს შეუძლია სილამაზისა და ღვთაებრიობის ისეთ მწვერვალებს მიაღწიოს, სერიოზულობა რომ ახლოსაც ვერ გაეკარება. ამ ჩაბლართული საკითხების წინაშე აღმოვჩნდებით, როგორც კი უშუალოდ მივადგებით თამაშის ხალხრობა ქმედებასთან მიმართებას.

ჭერჭერობით კი საქმე ეხება იმ ფორმალური ნიშნების გამოყოფას, რაც ჩვენს მიერ თა-

¹ ლოგიკური შეცდომა, რაც მდგომარეობს დასასაბუთებელი დებულების წინასწარ, დასაბუთების გარეშე აღიარებაში (მთარგ. შენ.).

მაშად წოდებულ აქტივობას მიეწერება. ყველა მკვლევარი თამაშის დაუინტერესებელ ხასიათზე ამახვილებს ყურადღებას. ის „რალაც“, რისი წყალობითაც თამაში „ჩვეულებრივი ცხოვრებისგან“ განსხვავდება, მოთხოვნილებაგან და ლტოლვაგან უშუალო დაკმაყოფილების გარეშად, მათიც -- წუკვით კმინის ამ დაკმაყოფილების პროცესში. ის ეჩრება მასში, როგორც დროში შემოსაზღვრული, თავის თავში მიმდინარე მოქმედება, რომელიც სრულდება იმ კმაყოფილებისათვის, რაც თვით შესრულებას მოაქვს უოველ შემთხვევაში, თავისთავად, თავდაპირველი განზილვისას თამაში სწორედ ახე წარმოგვიდგება: როგორც ყოველდღიური ცხოვრების ინტერმეცო, როგორც საქმიანობა გართობის უამს და გართობის მიზნით. მაგრამ, თუნდაც იმის გამო, რომ ის ხულ ბრუნდება ახალი და ახალი თავშეკცევის სახით, თამაში ცხოვრების, როგორც მთლიანობის, თანმხლებად, სრულქმნელად, მის აუცილებელ ნაწილად იქცევა. ის ახლისებს ცხოვრებას, სრულქმნის მას და ამიტომ აუცილებელია: ერთეული პიროვნებისათვის -- როგორც ბიოლოგიური ფუნქცია, ხოლო საზოგადოებრივი ერთობისათვის -- მასში ნაგულისხმევი საზრისის, მისი მნიშვნელობის, მისი გამომხატველობითი ღირებულების და მისით შექმნილი გონითი და ხოციალური კავშირების გამო: მოკლედ, როგორც კულტურის ფუნქცია. ის აკმაყოფილებს გამომხატველობისა და თანაცხოვრების იდეალებს. მისი ადგილი იმ სფეროშია, რომელიც კვების, თვითშენახვისა და გვარის გაგრძელების წმინდად ბიოლოგიურ პროცესთა მიღმა ძევის. ამ დებულებას თითქოს წინააღმდეგობაში მოვუყვართ იმ ფაქტთან, რომ სწორედ შეუღლების პერიოდში თამაში განსაკუთრებით დიდ ადგილს იკავებს ცხოველთა არსებობაში. მაგრამ განა უაზრობა არ იქნებოდა, ფრინველთა გლობობას, ურთიერთგამოწვევას და თავმოწონებას, ადამიანური თამაშის დაარად, წმინდად ბიოლოგიურის გარეთ მივუჩინოთ ადგილი? ადამიანის თამაში თავის მაღალ ფორმებში, როცა ის რალაცას ნიშნავს ან რალაცას ზეიმობს, ყოველთვის დღესასწაულია და კულტის სფეროს -- ხაკრალურის სფეროს მიეკუთვნება.

მაგრამ, რაკი თამაში შეუცვლელი რამაა და კულტურას ემსახურება, უკეთ რომ ვთქვათ, თავად არის კულტურა, ხომ არ კარგავს ის ამის გამო დაუინტერესებლობის ნიშანს? არა, რადგან მიზნები, რომლებსაც ის ემსახურება, თვითონ იმყოფებიან უშუალო მატარებელში ინტერესების ან ცხოვრებისეულ მოთხოვნილებათა ინდივიდუალური დაკმაყოფილების სფეროს მიღმა. როგორც ხაკრალიზებულ ქმედებას, თამაშს შეუძლია გუფის კეთილდღეობას ემსახუროს, მაგრამ სხვა გზით და სხვა საშუალებით, ვიდრე ცხოვრებითულ საქიროებათა მოპოვებაზე გამიზნულ საქმიანობას.

თამაში გამოეყოფა ჩვეულებრივ ცხოვრებას თავისი ადგილითა და თავისი ხანგრძლივობით. ჩატბილობა და შემოსაზღვრულობა მის მუაამე ნიშანს შეადგენს. ის „თამაშდება“ გარკვეული დროითი და სივრცითი საზღვრების შიგნით. ის თავის თავში მიმდინარეობს და საზრისიც თავის თავშივე აქვს.

ეს თამაშის კიდევ ერთი ახალი, პოზიტიური ნიშანია. თამაში იწყება, შემდეგ კი, გარკვეულ მომენტში, „წყდება“. ის „გათამაშდება“. სანამ ის მიმდინარეობს, გამეფებულია მოძრაობა, იღმავლობა და დაღმავლობა, ცვალებადობა, თანმიმდევრობა, დაკავშირება და გათიშვა. ამასთან ერთად, დროით შემოსაზღვრულობას უშუალოდ უკავშირდება შემდეგი საგულისხმო ნიშანი. თამაში იმთავითვე იძენს კულტურის ფენომენის შესაფერის შკაფიო სტრუქტურას. ერთხელ რომ გათამაშდება, ის მებსიერებაში რჩება როგორც გონითი წარმონაქმნი ანდა გონის მონაპოვარი, გადაცემადი ხდება⁹ და მუდამგამს შეიძლება განმეორდეს, თუგინდ უშუალოდ დაშთავრებისთანავე, როგორც ბავშვების თამაში, კადრაკის პარტია, გარბენი, თუგინდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ¹⁰. ეს განმეორებადობა თამაშის ერთ-ერთი არსებითი თვისებაა. ის ახასიათებს არა მხოლოდ თამაშს როგორც მთლიანობას, არამედ მის შინაგან აგებულებასაც. თამაშის თითქმის ყველა მაღალგანვითარებულ ფორმაში განმეორების, რეფრენის, თანმიმდევრული ცვლის ელემენტები რალაც ერთიანად ახმულ ქაქვის მაგვარს ქმნის.

თამაშის დროით შემოსაზღვრულობაზე თვალსაჩინო მისი სივრცითი შემოსაზღვრულობაა. ყოველი თამაში იშლება თავის სათამაშო სივრცეში, თავის სათამაშო მოედანზე, რომელიც წინდაწინ, მატერიალურად ან მხოლოდ იდეალურად, გამიზნულად ან თავისთავად ნაგულისხმევის სახით არის შემოსაზღვრული. როგორც ფორმის მხრივ თამაშსა და ხაკრალურ ქმედ-

⁹ ინგლისურ ვარიანტში დამატებულია: „იქცევა ტრადიციად“ (მთარგმნ. შენ.).

¹⁰ ინგლისურ ვარიანტში დამატებულია: „როგორც მისტერია“ (მთარგმნ. შენ.).

ბას შორის არავითარი განხვავება არ არის (ესე იგი ღვთაებრივი ქმედება იმავე ფორმით სრულდება, რითაც თამაში), ასევე საკრალური სივრცეც ფორმალურად არ განირჩევა სათამაშო მოედნისაგან. არენა, ბანქოს სათამაშო მაგიდა, ჯადოსნური წრე, ტაძარი, სცენა, კინო-ეკრანი, სასამართლო დარბაზი — ყოველი მათგანი თავისი ფორმითა და ფუნქციით სათამაშო მოედანია, ე. ი. ნაკურთხი ადგილია, გამოყოფილი, შემოღობილი, წმინდა სივრცეა, რომლის შიგნით საკუთარ, განსაკუთრებულ კანონებს აქვს ძალა. ეს არის ჩვეულებრივი საშუალოს შიგნით მოქცეული დროებითი სამყარო, რომელიც გარკვეულ, თავისთავში ჩაკეტილ მოქმედების შესრულებას ემსახურება.

სათამაშო მოედნის შიგნით საკუთარი და უპირობო წესრიგი ხუფევს. ამაში თავს იჩენს თამაშის კიდევ ერთი ახალი, კიდევ უფრო პოზიტიური ნიშანი. თამაში ქმნის წესრიგს, მეტიც, ის არის წესრიგი. ამ არასრულყოფილ სამყაროში და უკუღმართ ცხოვრებაში მას დროებითი, შეზღუდული სრულყოფილება შემოაქვს. თამაში უპირობო წესრიგს მოითხოვს. მისგან უმცირესი გადახვევა ანგრევს თამაშს, განუშეორებლობას ართმევს და აუფასურებს. წესრიგის ცნებასთან ეს შინაგანი გადაბმულობაა, ალბათ, ის საფუძველი, რისი ძალითაც, როგორც წინა აღვნიშნეთ, თამაში ესოდენ დიდი ზომით იჭრება ესთეტიკურის სფეროში. თამაში, ვამბობდით მაშინ, აშკარად იჩენს მიდრეკილებას, ლამაზი გახდეს. შესაძლოა, ეს ესთეტიკური ფაქტორი სხვა არაფერია, თუ არა ლტოლვა მოწესრიგებული ფორმის შექმნისაკენ, რასაც თამაშის ნებისმიერი სახე ინარჩუნებს. სიტყვები, რითაც თამაშის ელემენტებს ვახსენებთ, უმეტესწილად ესთეტიკურის სფეროს ეკუთვნიან. ეს ის სიტყვებია, რომელთა მეშვეობითაც ხილამაზის მხარეთა გამოხატვას ვცდილობთ: „დაძაბულობა“, „წონასწორობა“, „ზომიერება“, „კონტრასტი“, „ვარიაცია“, „შეერთება“ და „გათიშვა“, „განმუხტვა“. თამაში არავს და თიშავს, ის მომწონს და მომარტყავს. ის გამსჭვალულია ორივე კეთილშობილი თვისებით, რომელთა საგნებში აღმოჩენა და გამოხატვა შეძლო ადამიანმა: რიტმითა და ზარმონით.

იმ განსაზღვრულობათა შორის, რომლებიც შეიძლება თამაშს მიეყენოს, ჩვენ დაძაბულობაც ვახსენეთ. შეგვიძლია მეტიც ვთქვათ: დაძაბულობის ელემენტი განსაზღვრავს მნიშვნელობას თამაშისათვის. დაძაბულობა გულისხმობს გაურკვეველობას, რისკს; ის განმუხტვისაკენ მიიწრაფვის. ხადაც დიდი დაძაბულობაა, იღბალია საჭირო. ეს უკვე მაშინ ითქმის, როცა თოთო ბავშვი ხელებით სათამაშოს ეძებს, როცა კნუტი კოჭის ძაფს ეთამაშება, როცა პატარა გოგო ბურთს იხვრის და იჭერს. დაძაბულობისა და იღბლის ელემენტი განსაზღვრავს ერთგვარი თამაშებს: კროსვორდს, მოზაიკის შედგენას, პასიანსს, შიშანში სროლას, რომლებიც მოთამაშის მოხერხებაზე ან კვანძის გახსნაზეა აგებული, და ამ ელემენტის მნიშვნელობა იზრდება, რაც უფრო მეტად იძენს თამაში შეჭიბრის ხასიათს. ყომარსა და სპორტულ შეჭიბრში ის უველაზე უფრო დიდია. მეტიც, დაძაბულობის ელემენტი თავისთავად სიკეთისა და ბოროტების მიღმა მყოფ თამაშობრივ ქმედებას გარკვეულ ეთიკურ შინაარსს აძლევს. ამ დაძაბულობის წყალობით მოწმდება მოთამაშის უნარები: მისი სხეულებრივი ძალა, გამძლეობა, საზრიანობა, ვაჟაკობა, სიმედგრე, ამასთან გამოიცდება მისი სულიერი ღირსებანი, რადგან, მიუხედავად მოგების მწველი სურვილისა, მოთამაშე მაინც თამაშის მიერ დადგენილი წესების საზღვრებში უნდა დარჩეს.

თამაშის წესები

წესრიგისა და დაძაბულობის თვისებებს თამაშის წესების განხილვამდე მივყავართ. ყოველ თამაშს საკუთარი წესები აქვს. ისინი განსაზღვრავენ, რა როგორ მნიშვნელობს დროებით სამყაროში, რომელიც თამაშმა გამოაცალკევია. თამაშის წესები უცილობლად სავალდებულოა და არავითარ ეჭვს არ ექვემდებარება. პოლ ვალერიმ ერთხელ სასხვათაშორისოდ გამოთქვა შესანიშნავი აზრი: თამაშის წესების მიმართ შეუძლებელია რაიმე სკეპტიციზმი. ისინი ურყევ საფუძველს ეყრდნობიან. როგორც კი თამაშის წესებს ხელვეყოფთ, თამაშის სამყაროც ინგრევა. მეორეს მხრივ, თამაშის დამთავრებისთანავე მისი წესები ძალას კარგავს. მსაჯის სასტვენის ხსენის ჯადოს და ერთბაშად გვაბრუნებს „ჩვეულებრივი სამყაროს“ მდინარებაში.

მოთამაშე, რომელიც თამაშის წესებს ეწინააღმდეგება ან თავს არიდებს, თამაშისჩამშ-

დღლია¹¹. თამაშის ჩამშლელი სულ სხვაა, ვიდრე უპატიოსნო მოთამაშე. ეს უკანასკნელი ისე იჭერს თავს, ვითომ მართლა თამაშობდეს, და მოჩვენებითად მუდამ აღიარებს თამაშის ჯადოსნურ წრეს. მას მოთამაშეთა ერთობა უფრო ადვილად მიუტყვებს, ვიდრე თამაშის ჩამშლელს, რადგან „ჩამშლელი“ საკუთრივ თამაშის სამყაროს ერჩის. თამაშისგან განდგომით იგი თვლასაჩინოს ხდის თამაშის სამყაროს შეფარდებითობასა და სწორედ ეს როდესაც თავიდან სხვებთან იზიარებდა. ის ართმევს თამაშს ილუზიას, *inlusio*-ს¹² — სიტყვასიტყვით: შე-თამაშებას (მრავლისმეტყველი სიტყვაა!), ამიტომ ახეთი კაცი უნდა მოიკვეთოს, თორემ მოთამაშეთა ერთობის სიმყარე საფრთხეში აღმოჩნდება. თამაშის ჩამშლელის როლი განსაკუთრებით აშკარა ბავშვების თამაშშია. ბატარების ერთობა არ კითხულობს, რატომ დალატობს თამაშის ჩამშლელი, თვითონ ვერ ბედავს თამაშში შესვლას თუ სხვებისგან აქვს აკრძალული. კაცმა რომ თქვას, „არ შეიძლება“ ისინი საერთოდ არ ცნობენ: არ აკეთებ, ესე იგი, ვერ ბედავ, როგორც წესი, მორჩილებისა და სინდისის პრობლემა მათთვის დასჯის წინაშე შიშის საზღვრებში რჩება. თამაშის ჩამშლელი ჯადოსნურ სამყაროს ამსხვრევს, ამიტომ ის მტერია და უნდა განიდევნოს. უმაღლესი სერიოზულობის სამყაროშიც უპატიოსნო მოთამაშეებს, ფარისევლებს და გაიძვერებს გაცილებით ადვილად ეგუებიან, ვიდრე თამაშის ჩამშლელებს: რენე-გატებს, ერეტიკოსებს, რეფორმატორებსა და მათ მიმდევრებს.

მაგრამ შესაძლებელია, თამაშის ჩამშლელმა ახალი ერთობა შექმნას თავისი ახალი თამაშის წესებით. სწორედ განდგომილს, რევოლუციონერს, საიდუმლო კლუბის წევრს, ერეტიკოსს განსაკუთრებით ეხერხება ჭკუფების ჩამოყალიბება და ამიტომ მის ხასიათში, როგორც წესი, ძლიერად ვლინდება მოთამაშის ელემენტი.

საზოგადოდ, მოთამაშეთა ერთობა იჩენს მიდრეკილებას თამაშის დასრულების შემდეგაც გააგრძელოს არსებობა. ყოპარისა თუ ბრიჯის ყოველ ხელს შედეგად კლუბის შექმნა არ მოსდევს, მაგრამ გამორჩეულ მდგომარეობაში ერთად ყოფნის, სხვებისაგან გამოყოფისა და საყოველთაო ნორმებისაგან განდგომის შეგრძნება თავის მიზლს ცალკეული პარტიის დამთავრების შემდეგაც ინარჩუნებს. კლუბი ისევე მიემართება თამაშს, როგორც ქული თავს. გაზვიადება იქნებოდა, ეთნოგრაფიაში ცნობილი სხვადასხვა ჭკუფები: ფრატრიები, ძმობები, კლანები და ა. შ. მოთამაშეთა ერთობებზე დაგვეყვანა, მაგრამ ისიც ძალზე ძნელია, სავსებით მოვწყვიტოთ თამაშს დროის ხანგრძლივ მონაკვეთში არსებული საზოგადოებრივი გაერთიანებები, განსაკუთრებით არქაულ კულტურაში, სადაც მათ ამაღლებული, სადღესასწაულო და საკრალური გამოიხსნულობა ახასიათებთ.

თამაშის განსაკუთრებული სამყარო

თამაშის საგანგებო და გამორჩეული მდგომარეობა განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს მის მისწრაფებაში იდუმალების საბურველით შეიმოსოს. პატარა ბავშვებიც კი თამაშის სიამოვნებას იმით იმძაფრებენ, რომ მას პატარა საიდუმლოდ აქცევენ. თამაში ჩვენთვისაა და არა სხვისთვის. რას აკეთებენ სხვები, „გარეთ“ მყოფნი, ჩვენ ამ დროს არ გვხვება. თამაშის სფეროში უოველდღიური ცხოვრების კანონები და ჩვეულებები ძალას ბარბაპს. ჩვენ „ვართ“ და „ვიქცევით“ „სხვანაირად“. „ჩვეულებრივი სამყაროს“ ეს დროებითი მოხსნა ყველაზე ნათლად ბავშვების ცხოვრებაში შელავნდება, მაგრამ ასევე აშკარად იჩენს ის თავს ველური ხალხების დიდ საკულტო თამაშობებში. ინიციაციის დღესასწაულის დროს, როდესაც უმაწვილებს მამაკაცთა ერთობაში იღებენ, მხოლოდ „ახალწვეულები“ როდი თავისუფლდებიან ყოველდღიურობის კანონებისა და ჩვეულებებისაგან; ტომის შიგნით ყოველგვარი შეტაკებები წყდება. შურისგების ყველა აქტი გადავადდება. ჩვეული საზოგადოებრივი ცხოვრების რამიერი შეჩერება დიდი საკრალური თამაშის სასარგებლოდ უფრო წინწახულ კულტურებშიც გვხვდება მრავალი ნაშთის სახით. ამას მიეკუთვნება ყოველივე ის, რაც სატურნალიებისა და კარნავალის ჩვეულებებს უკავშირდება. ჩვენშიც ამოხეიქავს ხოლმე ტომის ქაბუკთა სატურნალიური თავისუფლება, შემორჩენილი გარდასულ დროთაგან, როცა პიროვნული ზნეობა უფრო უხეში იყო, წოდებრივი პრივილეგიები უფრო გამოკვეთილი, ხოლო პოლიცია უფრო გამგები: დღეს ამას „სტუდენტური ოინები“ ჰქვია. ინგლისურ უნივერსიტეტებში ამგვარ თა-

¹¹ გერმ.: Spielverderber. ჩვეულებრივ იხმარება გადატანილი აზრით: ის, ვინც საერთო მხიარულებას ვერ აწყვება, სხვებსაც გუნებას წაუხდენს. ინგლისურ თარგმანში: *spoil-sport* (მთარგ. შენ).

დექსიკონი შემდეგნაირად განმარტავს: „მძაფრი გამოვლენა ხმაურიანი, უწყესრიგო ქცევისა, რომელიც მმართველობასა და დისციპლინას უგულვებელყოფს“.

თამაშის გამორჩეულობა და იდუმალება თვალსაჩინო გამოხატულებას გადაცემაში პოულობს. მისი წყალობით თამაშის „არაჩვეულებრიობა“ სრულყოფილ სახეს იძენს. გადაცემული ან შენიღბული პიროვნება სხვა არსებას „თამაშობს“. ის „არის“ სხვა უჩვეულო, ხელოვნური შიში, შეუზღუდველი მხიარულება, საღმრთო რიტუალი და მისტიკური ფანტაზია. განუყოფელად ერწყმის ერთმანეთს ყოველივე იმაში, რასაც გადაცემა და შენიღბვა ჰქვია.

მასხასადამე, თუ თამაშის ფორმალურ დანასიათმებას შევაჯამებთ, მას შეიძლება ვუწოდოთ თავისუფალი ძვება, რომელიც აღიძვება როგორც „ისე, უბრალოდ“ ჩადენილი და ჩვეულებრივი ცხოვრების გარეთ მდგომი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეუძლია მთლიანად განიტაცოს მოთამაშე; მას არ უპაავნირდება არავითარი მატერიალური ინტერესი, მისი მთავრობით არავითარი პოტენციულობა არ კმაყოფილდება, ის სრულდება საგანგებოდ დადგენილი დროის და საგანგებოდ დადგენილი სივრცის შიგნით, გარკვეული წესების მიხედვით; იგი გაერთიანებათა აღმოცენებას უწყობს ხელს, ცდილობს იდუმალების საბურველი შეიქმნას ან გადაცემის მთავრობით გაუსვას ხაზი თავის გამორჩეულობას ყოველდღიური ცხოვრებისაგან.

თამაში როგორც ბრძოლა და წარმოდგენა (Darstellung)¹²

თამაშის მაღალი ფორმების — ჩვენ კი სწორედ მათთან გვაქვს საქმე — ფუნქციის გასარკვევად უშუალოდ უნდა გამოვიდეთ თამაშის ორი არსებითი მხარიდან: ის არის რალაციონთვის ბრძოლა ან რალაციის წარმოდგენა. ეს ორი ფუნქცია შეიძლება გაერთიანდეს კიდევ იმგვარად, რომ თამაში „წარმოდგენდეს“ ბრძოლას რალაციონთვის ანდა იქონს შეჯიბრი იმაში, თუ ვის შეუძლია რალაციის უკეთ წარმოდგენა.

„წარმოდგენაზე“ რომ ვილაპარაკოთ, საკმარისია რალაცია, თუნდაც ბუნებრივად მოცემულს, მაყურებელს უჩვენებდნენ. უარშავანგი და ინდაური ბუმბულის ბრწყინვალეობით თვალს უბრმავებენ თავიანთ მდებარეებს: უკვე ამაში იგულისხმება რალაც განსაკუთრებულის, მეტად გამორჩეულის დემონსტრაცია გაკვირვების მიზნით. თუ ფრინველი ამასთანავე საცდევად ბიჭებსაც აკეთებს, ეს უკვე წარმოდგენაა. ყოველდღიური სინამდვილიდან გამოსვლაა, ამ სინამდვილის უფრო მაღალ წესრიგზე გადართვა. ჩვენ არ ვიცით, რა ემართებათ ამ დროს ცხოველებს. ბავშვების ცხოვრებაში კი ასეთი თვით-წარმოდგენები ნამდვილად სავსებატოვანებით. აქ უკვე ხდება რალაც სხვის მიზანძვა, გამოსახვა იმისა, რაც ჩვეულებრივზე უფრო ლამაზი, ამალღებული ან სახიფათოა. ბავშვი იქცევა უფლისწულად, ან მამად, ან ბოროტ ჯადოქრად, ან ვეფხვად. ბავშვი იმდენად გადის საკუთარი თავის გარეთ, მგონია, „თითქოს“ მართლა სხვად იქცევა, მაგრამ ბოლომდე ინარჩუნებს ცნობიერ დამოკიდებულებას „ჩვეულებრივი სინამდვილისადმი“. როცა ბავშვი წარმოდგენს, ის მოჩვენებითად ახორციელებს, გამოსახავს, ესე იგი, სახეების მეშვეობით აჩვენებს.

თუ ახლა ბავშვების თამაშიდან არქაულ კულტებთან დაკავშირებულ საკრალურ წარმოდგენებზე გადავალთ, აღმოვაჩენთ, რომ აქ უფრო მეტად „თამაშდება“ გონითი ელემენტი, რომელიც ძალზე ძნელია ზუსტად აღიწეროს. საღმრთო წარმოდგენა მეტია, ვიდრე მოჩვენებითი, ან თუნდაც სიმბოლური განხორციელება, იგი მისტიკური განხორციელებაა. მასში რალაც უზილავი და გამოუთქმელი მშვენიერ, რეალურ, ღვთაებრივ ფორმას იძენს. რიტუალის მონაწილენი დარწმუნებულნი არიან, რომ მათი მოქმედება ღვთაებრივი ძალითაა ნაკარნახევი და მისი შემოტანილი წესრიგი ჩვეულებრივი ცხოვრების წესრიგზე მაღლა დგას. მიუხედავად ამისა, ამგვარი განხორციელება წარმოდგენის გზით ინარჩუნებს თამაშის ყველა ფორმალურ ნიშანს. ის გათამაშდება, აღსრულდება გარკვეული რეალურად გამოყოფილი სათამაშო სივრცის შიგნით როგორც დღესასწაული; მისი ნიშნებია სიხარული და თავისუფლება. მისთვის შემოწმდებულია განსაკუთრებული, დროებითი მნიშვნელობის მქონე ხამყარო. მაგრამ თამა-

¹² და არა Vorstellung: ე. ი. რებრეზენტაცია, სანახაობა, სპექტაკლი და არა რეალურის იდეალური აღდგენა ცნობიერებაში. ამ თავში „წარმოდგენა“ ყველგან პირველი აზრით იხმარება; თუ სადმე ფსიქიკურ წარმოდგენაზე იქნება ლაპარაკი, ფრჩხილებში სათანადო გერმანულ სიტყვას დავურთავთ (მთარგ. შენ.).

შის დამთავრება არ ნიშნავს მისი შემოქმედების შეწყვეტას; მისი ნათელი „გარესამყაროსა“ ეცემა და მოწეიშე ერთობას სიყვარეს, წესრიგსა და კეთილდღობას მოუპოვებს, ვიდრე საღმრთო თამაშს კვლავგანახლების უამრავ მოუწევს.

ამის მაგალითებს მთელი დედამიწის ზურგზე წავაწყდებით. ძველი ჩინური მითწარმოების თანახმად ცეცვისა და მუსიკის მიზანია ქვეყანა სწორ კალაპოტში ამყოფოს და ბუნება ადამიანის სასიკეთოდ მოაქციოს. თუ რამდენად ბარაქიანი იქნება წელი, ეს უწყვეტად მართლაც მონაცვლეობისადმი მიძღვნილ სადღესასწაულო შეჯიბრებებზეა დამოკიდებული, ისევე როგორც არ შედგა, კირნახული არ მოვა¹³.

საღმრთო მოქმედება არის Dromenon, ესე იგი უფრო შესრულების აქტი, ის, რაც წარმოდგენილია, არის Drama, ესე იგი უფრო ვიწრო მოქმედება, მიუხედავად იმისა, სანახაობა; ის თუ პექრობა. მასში წარმოდგენილია კოსმიური ხდომილება, მაგრამ არა როგორც რეპრეზენტაცია, არამედ როგორც იდენტიფიკაცია; ის იმეორებს ერთხელ მომხდარს. კულტი განახორციელებს ხდომილებას, რომელიც საბოლოოდაა ნაჩვენები მოქმედების მეშვეობით. მისი ფუნქცია არის არა მხოლოდ მიზაძვა, არამედ ჩართვა ანუ მონაწილეობა¹⁴. ის არის „ხდომილების გამონათვისუფლება“¹⁵.

კულტუროლოგიისათვის არაარსებითია, როგორ განიხილავს ფსიქოლოგია ამ მოვლენებით გამოხატულ პროცესებს. ეს უკანასკნელი მოთხოვნილებას, რომელსაც ასეთ წარმოდგენაში მივყავართ, უსწორდება როგორც „კომპენსატორულ იდენტიფიკაციას“, ანდა როგორც „რეპრეზენტატულ ქცევას, გამოწვეულს ნამდვილი, გამიზნული ქცევის განხორციელების შეუძლებლობით“¹⁶. კულტუროლოგიისათვის საქმე იმის გაგებას ეხება, თუ რა მნიშვნელობა ეძლევა თვალსაჩინო წარმოდგენას იმ ხალხთა ცნობიერებაში, რომლებსთვისაც განცდილის შენაცვლება მოძრავი სიცოცხლის ფორმებით ცხოვრების არსებით მხარეს შეადგენს.

აქ ჩვენ ვეხებით რელიგიათმცოდნეობის საფუძვლებს, საკითხს კულტის, რიტუალისა და მისტერიის არსის შესახებ. ვედების მთელი ძველინდური მსხვერპლთმსახურება ემყარება აზრს, რომ საკულტო მოქმედება — იქნება ეს მსხვერპლშეწირვა, შეჯიბრი თუ სანახაობა — რიტუალში სასურველი კოსმიური ხდომილების გამოხატვის მეშვეობით აიძულებს ღმერთებს, რეალურად მოახდინონ ეს ხდომილება. ანტიკური სამყაროს მიმართ ეს კავშირი დამატებლად ნაჩვენები კალბატონ ჯ. ე. ბარისონის მიერ კრებული კურატების საბრძოლო ცეკვების მაგალითზე მის ახლახან მითითებულ წიგნში „თემის, ბერძნული რელიგიის სოციალური ძირების გამოკვლევა“. ჩვენ არ ვაპირებთ ჩვეულებრივად რელიგიასთან დაკავშირებულ უფრო ველ საკითხს, რომელსაც თემა წამოჭრის, მაგრამ აქ უფრო მეტად დაგვაკვირდებით არქაული საკულტო ქმედების თამაშობრივ ხასიათს.

თამაზი და კულტი

მაშასადამე, კულტი არის სანახაობა, დრამატული წარმოდგენა, სახიობა, შენაცვლებაზე აცხადებული განხორციელება. წელიწადის დროთა შეცვლასთან დაკავშირებულ საღმრთო დღესასწაულებზე ერთობა საკრალისებრი სპექტაკლების სახით ზეიმობს დიად მოვლენებს ბუნების ცხოვრებაში. წელიწადის დროთა მონაცვლეობა აქ წარმოდგენილია მდიდარი ფანტაზიით შექმნილ სურათებში, რომლებიც გამოხატავენ ციურ სხეულთა ამოსვლა-ჩასვლას, მინდვრეულის აღმოცენება-დამწიფებას, ადამიანისა და ცხოველის დაბადებას, სიცოცხლესა და სიკვდილს. კაცობრიობა, ღეო ფრობენიუსის გამოთქმით, ისე ბაბილონელებს ბუნების წესრიგს, როგორც აცნობიერებს მას¹⁷. უძველეს დროში, თვლის ფრობენიუსი, იგი ჭერ მცენარეთა და ცხოველ-

¹³ M. Granet, Fetes et chansons anciennes de la Chine, Paris, 1914, გვ. 150, 299; Danses et légendes de la Chine ancienne, Paris, 1926, გვ. 351 და შემდ. La civilisation chinoise, la vie publique et privée (L'Evolution de l'humanité no. 25), Paris, 1929, გვ. 231.

¹⁴ როგორც ბერძნები იტყობნენ, უფრო methetic, ვიდრე mimetic — J. E. Harrison. Themis, A Study of the Social Origins of Greek Religion, Cambridge, 1912, გვ. 125.

¹⁵ R. R. Marett, The Threshold of Religion, London, 1912, გვ. 48.

¹⁶ ბოიტენდაიკი, დასახ. ნაშრ., გვ. 70-71.

¹⁷ Leo Frobenius, Kulturgeschichte Afrikas, Prolegomena zu einer historischen Gestaltlehre, 1933; Schicksalskunde im Sinne des Kulturwerdens, Leipzig, 1932.

თა საშუაროს კანონზომიერებებში გაერკვა და მხოლოდ შემდეგ ჩაწვდა დროისა და სივრცის, თვეებისა და წელიწადის დროების, მზის მოძრაობის წესრიგს. ამიერიდან ის არსებობის უმაღლეს წესრიგს თამაშში გაითამაშებს. ამ თამაშში და მისი მეშვეობით ის ხელახლა აღასრულებს განსახიერებულ მოვლენებს და ამით ეხმარება საშუაროული წესრიგის შეუფერხებელ მდინარებას. მაგრამ ამ თამაშიდან კიდევ მეტი გამომდინარეობს. საკულტურულ ცხოვრებაში აღმოცენდება თვით ადამიანთა ერთობის წესრიგი, მათი უმარტივესი ნასესხები დაწესებულებები. მეფე მზეა, სამეფო კი მზის მოძრაობის ხატოვანი წარმოდგენაა. მთელი სიცოცხლის განმავლობაში მეფე „მზის“ როლს თამაშობს და საბოლოოდაც მის ბედს იზიარებს: საკუთარი ხალხი რიტუალური ფორმით სიცოცხლეს მოუსწრაფებს მას.

საკითხი იმის შესახებ, რამდენად დასაბუთებულად შეიძლება ჩაითვალოს მეფის რიტუალური მკვლევლობის ეს ახსნა და მთელი მის უკან მდგომი თვალსაზრისი, შეიძლება სხვებს გადავულოცოთ. ჩვენ აქ სხვა რამ გვაინტერესებს: როგორ უნდა გავიაზროთ ბუნების აღქმის ასეთი ხატოვანება პირველყოფილ ცნობიერებაში? როგორ მიმდინარეობს პროცესი, რომლის თავში ადამიანი უოველგვარი გამომხატველობის გარეშე გამოცდის კოსმიურ მოვლენებს, ბოლოში კი თამაშის ფორმით განსახიერებს მათ?

ფრობენიუსი სამართლიანად უკუაგდებს ხავსებით უნიადაგო ახსნას, რომელიც საკმარისად თვლის „თამაშისკენ სწრაფვის“. როგორც თანდაყოლილი ინსტიქტის, ცნების შემოტანას¹⁸. „ინსტიქტები, — ამბობს ის, — სინამდვილის საზრისთან შეჯახებით გამოწვეული უსუსურობის გამოჩენაა“. ასევე დაბეჭითებით, და კიდევ უფრო მყარ საფუძველზე დაყრდნობით, ეწინააღმდეგება ის ძველი მეცნიერების ტენდენციას, კულტურის უოველი მონაპოვრის ახსნა გავგო როგორც პასუხები კითხვებზე: „რა მიზნით?“ „რისთვის?“ „რის საფუძველზე“, რომელთაც ის კულტურის შემოქმედ ერთობას ძალით ახვევდა თავს. ასეთ თვალსაზრისს მკვლევარი „მიზეზობრიობის უსაშინლეს ტირანიას“, ყველგასულ უტილიტარიზმს უწოდებდა¹⁹.

ფრობენიუსის შეხედულება ასეთ შემთხვევებში მიმდინარე გონითი პროცესების შესახებ შემდეგს ემყარება. არქაულ ადამიანში ბუნებისა და სიცოცხლის ჯერ კიდევ გამოხატვას მოკლებული გამოცდილება „ატაცებულობის“ სახით შეღავნდება. „გაფორმების უნარი როგორც ხალხში, ისე ბავშვსა და უოველ შემოქმედ ადამიანში ატაცებულობიდან ვითარდება“²⁰. კაცობრიობა „ატაცებული აღმოჩნდება ბედისწერის გამოცხადებით... შექმნისა და გაქრობის ბუნებრივი რიტმის სინამდვილე დაეუფლება მის ცნობიერებას და აუცილებლობით, რეფლექსების დონეზე აიძულებს მოქმედებით წარმოადგინოს თავისი გრძნობები“²¹. მაშასადამე, მისი აზრით, საქმე გვაქვს გონითი ტრანსფორმაციის აუცილებელ პროცესთან. ატაცებულობის წყალობით ბუნების შეგრძნება კონდენსირდება პოეტურ კონცეფციად, ხელოვნების ფორმად. შესაძლოა, შემოქმედებითი წარმოსახვის პროცესის დასახასიათებლად უკეთესი სიტყვები ვერც ვიპოვოთ; მაგრამ ახსნას ამას ვერ ვუწოდებთ. გზა, რომელიც კოსმიური წესრიგის ეს თეტიკური თუ მისტიკური, მაგრამ ნაბისმიერ შემთხვევაში მაინც ალოგიკური შეგნებიდან ხალხურთა თამაშამდე მიდის, ისევე ბნელითაა მოცული, როგორც უწინ.

დიდი მკვლევარის ფორმულირებაში გვაკლია მკაფიო განსაზღვრება იმისა, თუ რა იგულისხმება დეტაბრივი მასალის „გათამაშებაში“. ფრობენიუსი კვლავ და კვლავ ხმარობს სიტყვას „თამაში“ საკულტო მოქმედებათა აღსანიშნავად, მაგრამ არასოდეს სვამს საკითხს: რას ნიშნავს აქ „თამაში“. იბადება ეჭვი, ხომ არ შემოეპარება მას ტელეოლოგიური თვალსაზრისი, რომელსაც თავად ასე ეწინააღმდეგებოდა და რომელიც სრულიად არ შეესაბამება თამაშის არსს. ფრობენიუსი ხომ იმას ამტკიცებს, რომ თამაში ემსახურება კოსმიური ხდომილების განახლებას, წარმოდგენას და, მასში თანამონაწილეობის გზით, მის განხორციელებას. გარდუვალად გვეპირება ქვაზი-რაციონალური მომენტი. გამოდის, რომ თამაშსა და სახიობას იმ-

¹⁸ Kulturgeschichte, გვ. 23, 122.

¹⁹ იქვე, გვ. 21.

²⁰ იქვე, გვ. 122. „ატაცებულობა“. როგორც ბავშვული თამაშის მომენტი: იხ. გვ. 147. შდრ. ბოიტენდაიკის მიერ ერვინ შტრაუსისაგან ნასესხები გამოთქმა „პათიური დაშოკიდებულებისა“ და „ატაცებულობის“, როგორც ბავშვური თამაშის საფუძვლის შესახებ — იხ. ბოიტენდაიკის დასახ. ნაშრ., გვ. 20.

²¹ Schicksalskunde, გვ. 142.

თავითვე ჰქონიათ მოცემული თავისი მიზანი: გამოხატონ რაღაც სხვა, სახელდობრ, კოსმიური მოვლენებით ატაცებულობა. ის ფაქტი, რომ ამგვარი დრამატიზაცია თამაშდება, ფრობენიუსისათვის, როგორც ჩანს, მეორეხარისხოვანია. თეორიულად დასაშვებია, პირველყოფილი ადამიანის მსოფლშეგრძნებას სხვაგვარი გამოხატვაც ეპოვა. ჩვენთვის კი ამის საპირისპიროდ, მთავარი სწორედ თამაშის ფაქტია. ეს თანაში თავისი არსით ბავშვის ან ცხოველის თამაშის როლდასხია და სხვა არაფერია, თუ არა მისი უფრო მაღალი ფორმა. უაზრობა ექნებოდა ბავშვის ან ცხოველის თამაშის ფესვები კოსმიური „ატაცებულობით“ ან სამყაროული წესრიგის აღქმით გამოწვეული ემოციის გამოხატვის წყურვილში გვეძებნა. ბავშვის თამაშის თამაშობრივი ფორმა მისი არსიდან გამომდინარეობს და სრულიად წმინდა სახითაა მოცემული.

ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ფრობენიუსისაგან განსხვავებული სიტყვებითაც აღვწეროთ პროცესი, „სიცოცხლითა და ბუნებით“ ჩვენი ატაცებულობიდან რომ იწყება და საღმრთო თამაშში ამ გრძნობის გამოხატვამდე მიდის. ამ დროს ჩვენი მიზანი რაღაც ფაქტიურად გამოუკვლეველის ახსნა კი არ არის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მოვლენათა ფაქტიური მდინარების მიღება ისე, როგორც ის არის. არქაული საზოგადოება თამაშობს ისევე, როგორც ბავშვები და ცხოველები თამაშობენ. ეს თამაში იმთავითვე მოიცავს თამაშისთვის ნიშნულ ყველა ელემენტს: წესრიგს, დაძაბულობას, მოძრაობას, ზემოქრობასა და შთაგონებას. მხოლოდ საზოგადოების განვითარების მოგვიანო საფეხურზე უკავშირდება თამაშს შეხედულება, თითქოს მისით რაღაც გამოიხატება: სახელდობრ, სიცოცხლე. ერთ დროს უსიტყვო თამაში ახლა პოეტურ ფორმას იღებს. თამაშის ფორმასა და ფუნქციაში, რომელიც შეადგენს თამაშის დამოუკიდებელ, უსაზრისო და ირაციონალურ რაგვარობას, ადამიანის კოსმოსში ჩაფხვებულობის შეგრძნება თავის უპირველეს, უმაღლეს და უსაქრალურეს გამოხატულებას ჰპოვებს. კულტი დამუწობილია თამაშზე, მაგრამ თამაში, როგორც ასეთი, პირველადი რჩება.

ღვთაებრივი სერიოზულობა თამაშში

ჩვენ აღმოვიჩინეთ სფეროებში, რომელთაც ფსიქოლოგიის შემეცნებითი მეთოდები და თვით ჩვენი შემეცნებითი უნარების თეორია ძნელად მიესადაგება. აქ წამოკრილი საკითხები ჩვენი ცნობიერების უღრმეს ძირს შეეხება. კულტი უმაღლესი და უწმინდესი სერიოზულობაა. შეუძლია მას ამის მიუხედავად, თამაში იყოს? ჩვენ თავიდანვე დავადგინეთ: ყოველი თამაში, როგორც ბავშვებისა, ისე უფროსებისა, შეიძლება უღრმესი სერიოზულობით წარმართოს. შეიძლება კი ეს სერიოზულობა ისე შორს წავიდეს, რომ საკრამენტული ქმედების დეტალებრივ ატაცებულობას თამაშის ფორმა დაუკავშირდეს? დასკვნების გამოტანას რამდენადმე ხელს უშლის თავდაპირველად მიღებულ ცნებათა მოუქნელობა. ჩვენ შეჩვეულნი ვართ, დაპირისპირებას თამაშსა და სერიოზულობას შორის ვუყუროთ, როგორც გარდუვალს. მაგრამ, როგორც ჩანს, ის უღრმეს ძირებამდე არ ჩადის.

ერთი წუთით გავიზროთ შემდეგი ვითარება. ბავშვი, სრული დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, საკრალური სერიოზულობით თამაშობს. მაგრამ ის თამაშობს და იცის, რომ თამაშობს. სპორტსმენი თავდავიწყებული სერიოზულობით და შთაგონებით თამაშობს. ის თამაშობს და იცის, რომ თამაშობს. მსახიობი თამაშში სულსა და გულს აქსოვს. მიუხედავად ამისა, ის თამაშობს და შეგნებული აქვს, რომ თამაშობს. მევიოლინე ღვთაებრივ აგზნებამდე მიდის, ჩვეულებრივისაგან განსხვავებულ და მასზე ამაღლებულ სამყაროს განიცდის, და მაინც მისი მოქმედება თამაშად რჩება. თამაშობრივი ხასიათი შეიძლება ყველაზე ამაღლებულ საქმიანობას მიეწეროს. შეგვიძლია თუ არა ეს ხაზი საკულტო მოქმედებამდე გავაგრძელოთ და ვამტკიცოთ, რომ მსხვერპლშეწირვის დროს ქურუში, რამდენადაც ის თავის რიტუალს უძღვება, მოთამაშედ რჩება? თუ ამას რომელიმე ერთი რელიგიის მიმართ დავუშვებთ, ზოგადადაც უნდა მივიღოთ. მამის რიტუალის, მაგიის, ლიტურგიის, ღვთიური კურთხევისა და მისტიკის ცნებები ერთიანად მოხვდებოდნენ თამაშის ცნების მნიშვნელობის არეში. აქ უნდა გავფრთხილდეთ, ზედმეტად არ გავწელოთ თამაშის ცნება. თამაშის ცნებას თუ მეტიმეტად გავაფართოვებთ, სატყვებით თამაში გამოგვივა, მაგრამ მე მჯერა, რომ ისეთი რამ არ გვემართება, როცა საღმრთო ქმედებას თამაშად ვნათლავთ. ფორმალურად ის თამაშის ყველა ნიშანს ატარებს და შინაარსობრივადაც თამაშია, რადგან თავისი მონაწილე სხვა სამყაროში გადაჰყავს. პლატონისათვის თამაშისა და საღმრთო ქმედების იდენტობა უდავო იყო. ის სულ არ უფრთხოდა საკრალურის თამაშის კატეგორიაში შეყვანას. „სერიოზულს სერიოზულად უნდა მივუდგეთ, —

ნათქვამია მასთან²². — ღმერთს ნეტარი სერიოზულობა ეკადრება, კაცი კი იმისთვის არის შექმნილი, რომ ღმერთის სათაშაშო იყოს და ეს [ხვედრი] საუკეთესოა, რაც მას აქვს. ასე რომ უოველი, კაცი იქნება თუ ქალი. ამ წესს უნდა გაჰყვეს და მთელი ცხოვრება ულამაზეს თამაშში გაატაროს, საპირისპიროდ იმისა, რასაც ახლა ფიქრობენ. ისინი არს, განაგრძობს შემდეგ პლატონი, — სერიოზულ საქმედ თვლიან... მაგრამ ომში არც ღირსსახსენებელი თამაშია და არც ღირსსახსენებელი აღზრდა. რასაც ჩვენ მაინც უსერიოზულესად ვთვლით. მაშასადამე, ყველა უნდა ეცადოს, რაც შეიძლება კარგად გაატაროს მშვიდობიანი ცხოვრება. კარგი რაღას მქვია? ცხოვრება თამაშით უნდა იყოს სავსე, გარკვეული თამაშები უნდა ითამაშო, მსხვერპლი შესწირო, იმღერო და იცეკვო, რათა ღმერთების მადლი მოიხსა, მტრები მოიგერიო და ბრძოლებში გაიმარჯვო²³.

თამაშისა და ღვთაებრიობის ამ პლატონისეულ გაიგივებაში ღვთაებრივი კი არ არის დამცრობილი იმით, რომ თამაშად იწოდება, არამედ თამაშია ამაღლებული იმით, რომ ამ ცნების მნიშვნელობა გონის უმაღლეს სფეროებს სწვდება. დასაწყისში ვთქვით, რომ თამაში უოველგვარ კულტურაზე ადრე არსებობდა. შემდგომ იგი, გარკვეული აზრით, მალღდება კიდევ კულტურაზე ან, უოველ შემთხვევაში, თავისუფლღდება მისგან. ბავშვობაში ადამიანი გართობა-სიამოვნებისათვის თამაშობს და ამ დროს სერიოზული ცხოვრების დონეზე დაბლა ჩამოღის. მაგრამ თამაშს შეუძლია ამ დონეზე მაღლაც აიყვანოს მოთამაშე, სახელღობრ — მშვენიერებისა და ღვთაებრიობის სფეროებში.

ამ თვალსაზრისით შეგვიძლია ცოტა უფრო გარკვევით განვსაზღვროთ შინაგანი კავშირი კულტსა და თამაშს შორის. ამით ნათელი მოეფინება მრავალმხრივ გამოვლენილ ერთგვაროვნებას რიტუალურ და თამაშობრივ ფორმებს შორის და კვლავ დღის წესრიგში დარჩება საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად მოხვდება უოველი ცალკეული საკრალური ქმეღება თამაშის სფეროში.

თამაშის ფორმალურ ნიშანთა შორის უმნიშვნელოვანესია ქმეღების სივრცობრივი გამოქვნა ჩვეულებრივი ცხოვრებისაგან. თამაში მატერიალურად ან იღეალურად შემოისაზღვრავს ჩაკეტილ სივრცეს და უოველდღიურობის გარემოდან გამოიყოფა. თამაში იქ, შიგნით მიმღინარეობს, მის წესებს ჩაკეტილ სივრცეში აქვთ ძალა. მიწის ნაკურთხი ნაგლეჯის შემოსაზღვრა აგრეთვე უპირველესი ნიშანია უოველი საღმრთო ქმეღებისა. გამოყოფილობის ეს მოთხოვნა რიტუალში, მაგიისა და სამართლებრივი ცხოვრების ჩათვლით, მხოლოდ დროსა და სივრცეს როღი ეხება. კურთხევისა და ხელღასხმის თითქმის ყველა წესი აღმსრულებლისა და ხელღასხმულისთვის ხეღოვნურ გამოყოფასა და იზოლაციას მოითხოვს. ყველგან, საღაც საქმე ეხება აღქმის დაღებას, რაიმე ორღენში ან ძმობაში შეყვანას, ფიცის მიღებას ან საიდუმლო საზოგადოების ცხოვრებას, შემოისაზღვრება ერთგვარი სათამაშო სივრცე, რომლის შიგნითაც საზრისი ეძღევა დასახელებულ აქტებს. ჭადოქარი, წინასწარმეტყველი, ქურუმი იმით იწყებენ, რომ საღმრთო აღგიღს შემოიზღუღავენ. ღვთისმსახურება და მისტერია წინასწარ გუღისხმობენ ნაკურთხ სივრცეს.

ფორმის თვალსაზრისით სულ ერთია, საღმრთო მიზნით ხღება შემოსაზღვრა თუ წმინღა თამაშისათვის. იბოღრომი, ჩოგბურთის მოეღანი, ქვაფენიღზე „კლასობანას“ საბავშვო თამაშისათვის შემოხაზული ოთხკუთხეღი და საქაღრაკო ღაღა ფორმალურად არ განსხვავღებიან ტაძრისა თუ ჭადოხნური წრისგან. საკრალურ წეს-ჩვეუღებათა გასაოცარი ერთგვაროვნება მთელ ღეღამიწის ზურგზე მიაღიშნებს, რომ ასეთი წეს-ჩვეუღებები ადამიანური გონის მეტრისმეტად ღრმა და ძირეულ თვისებაშია ჩაფესვებული. კულტურის ფორმების საყოველთაო

²² „კანონები“, VII, 803 ed.

²³ შღრ. „კანონები“, VII, 796b. საღაც პლატონი კურეტების საღმრთო ცეკვებს უწოღებს „შეიარაღებულ თამაშებს“. საღმრთო მისტერიისა და თამაშს შორის შინაგან კავშირს ზუსტად იქერს რომანო გარღინი მისი წიგნის „გონი ლიტურგიისა“ თეში, რომლის სათაურია, „ლიტურგია, როგორც თამაში“ (R. Guardini, Geist der Liturgie, Ecclesia Orans, Freiburg 1922). მის არ მოჰყავს, პლატონის ციტატა, მაგრამ მეტად უაბღოვღება — შემოთმოტანიღ გამონათქვამს. ის ლიტურგიას მიაწერს არა ერთ ნიშანს, რომეღიც ჩვენ გამოვყავით როგორც თამაშისათვის დამახასიათებელი. ლიტურგიაც მის უმაღლეს ინსტანციაში „უმიზნო, მაგრამ საზრისის მქონეა“.

მსგავსებას უფრო ხშირად ლოგიკურ საფუძველს უძებნიან: ცდილობენ შემოზღუდვა-გამოყოფის მოთხოვნილება ახსნან იმაზე ზრუნვით, რომ საკრალური დაცული იქნას მანერ გარეგანი შემოქმედებისაგან — საკრალურს ხომ მისი განსაკუთრებულობის გამო მუდამ ერჩიან ბოროტი ძალები. ამით კულტურულ პროცესს დასაბამიდანვე მიეწერება რაციონალური ჩანაფიქრი და უტილიტარული გამიზნულობა. რის დაუშვებლობაზეც ფრობენიუსი გვაფრთხილებდა. რა თქმა უნდა, ამით ჯერ კიდევ არ ვუბრუნდებით წარმოდგენის ცნობის მდგომარეობაზე, რომლებმაც რელიგია გამოიგონეს, მაგრამ მოყვანილ თვალსაზრისში მაინც იგულისხმება უპირით მოთრეული ინტელექტუალური მოტივაციის მოძენტი. თუ, ამის საწინააღმდეგოდ, თამაშისა და რიტუალის არსებით და ძირეულ იგივეობას ვაღიარებთ, და, მაშასადამე, მივიღებთ, რომ ღვთის ნაკურთხი ადგილი იგივე სათამაშო მოედანია, მაშინ შემაცდენელი შეკითხვები: „რისთვის?“, „რატომ?“ — საერთოდ აღარ დაგვებადება.

რაკი დავახვეწებთ, რომ საღმრთო მოქმედება ფორმალურად ძნელად განირჩევა თამაშისაგან, ჩვენს წინაშე დაისმის კითხვა: ხომ არ ვრცელდება კულტისა და თამაშის თანხმიერება წმინდა ფორმალური მომენტების მიღმაც? გასაკვირია, რელიგიათმცოდნეობა და ეთნოგრაფია მეთი უურადლებით რატომ არ ეკიდებიან ამ საკითხს. საქმე ისაა, რომ საკრალური მოქმედებები არა მარტო თამაშის ფორმით მიმდინარეობს, არამედ თამაშობრივი სულისკვეთებითა და განწყობითაც ხასიათდება. რამდენადაც ვიცო, ეს საკითხი არც ფრობენიუსს დაუსვამს. მე ამ თემაზე მხოლოდ ცალკეული, შემთხვევითი წყაროებიდან შეკრებილი დაკვირვებები შემიძლია შემოგთავაზოთ.

თავისთავად ცხადია, რომ სულისკვეთება, რითაც ერთობა თავის საღმრთო რიტუალებს ასრულებს და განიცდის, უპირველეს ყოვლისა მალაღი და წმინდა სერიოზულობაა. მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა გაიხაზოს: ნამდვილი და სპონტანური თამაშობრივი განწყობაც შეიძლება ღრმად სერიოზული იყოს. მოთამაშე შეიძლება მთელი თავისი არსებით ჩაერთოს თამაშში. შეგნება, რომ ის „უბრალოდ თამაშობს“, შეიძლება მთლიანად უკანა პლანზე გადავიდეს. თამაშთან განუყრელად დაკავშირებული სიზარული არა მხოლოდ დაძაბულობაში გადაიზრდება, არამედ აღმაფრენაშიც. თამაშის სულისკვეთებას ორი პოლუსი აქვს: უზრუნველობა და ექსტაზი.

სათამაშო განწყობა არამდგრადი ბუნებისაა. „ჩვეულებრივმა ცხოვრებამ“ შეიძლება ყოველ წამს დაიბრუნოს თავისი უფლებები — ამის მიწვევი შეიძლება იყოს გარედან ჩარევა, რომელიც თამაშს შეწყვეტს. წესების დარღვევა, სათამაშო ცნობიერების შინაგანი უკმარობა, გაწბილება ან საღი აზრისაკენ მობრუნება.

დღესასწაულის არსი

რა შეიძლება ითქვას საღმრთო ზეიმების განწყობასა და სულისკვეთებაზე? ხალხი, რომელიც თავისი სალოცავებისკენ მიეშურება, სიზარულის ერთობლივ გამოხატვას ესწრაფვის. კურთხევა, მსხვერპლშეწირვა, საღმრთო ცეკვები, საკრალური შეჭიბრებანი, დადგმები, მისტერიები — ყოველივე დღესასწაულშია ჩართული. მაშინაც კი, როცა რიტუალები სისხლიანია, ზედდასახსმელის გამოცდა — სასტიკი, ხოლო ნიღბები — საზარელი, ყველაფერი ერთად დღესასწაულის სახით თამაშდება. „ჩვეულებრივი ცხოვრება“ დროებით შეჩერდება. ქეიფი, დროსტარება, თავაწყვეტილი მხიარულება დღესასწაულის ბოლომდე გრძელდება. ძველებერძულ მასალას დავყრდნობით თუ თანამედროვე აფრიკულს, ნებისმიერ შემთხვევაში გაგვიპირდება მკვეთრად გავმიჯნოთ ერთმანეთისგან ზოგადი სადღესასწაულო განწყობილება და დღესასწაულის საკვანძო მისტერიით გაღვივებული საღმრთო გზნება.

თითქმის ერთდროულად გამოქვეყნდა უნგრელი მკვლევარის კარლ კერენიის ნაშრომი დღესასწაულის არსის შესახებ, რომელსაც მკვიდრო კავშირი აქვს ჩვენს თემასთან²⁴ და ამ წიგნის პოლანდიური გამოცემა. კერენიის აზრით, დღესასწაულს აგრეთვე ახასიათებს პირველადი თავისთავადობა, რაც ჩვენ თამაშს მივაწერეთ. „სულიერ რეალობებს შორის, — ამბობს იგი, — საზეიმო განწყობილება არის ნივთი თავისთვის, რომელსაც ამ ქვეყნად სხვა

²⁴ K. Kerényi. Vom Wesen des Festes. Paideuma, Mitteilungen zur Kulturkunde I, Heft 2 (Dez. 1938), გვ. 59-74.

ვერაფერში ავრევთ²⁵. თამაშზე ჩვენი წედანდელი საუბრას ზუსტად ანალოგიურად ის ამტკიცებს, რომ კულტურის შესახებ მეცნიერებებში სავსებით უგულვებელყოფილია დღესასწაულის მოვლენა. დღესასწაულებრივის ფენომენი, როგორც ჩანს, სავსებით გამოჩენილი ეთნოლოგებს²⁶. დღესასწაულებრივის რეალობას „მეცნიერება ისე უვლის ხოლმე გვერდს, თითქოს ის სულ არ არსებობდეს²⁷. ზუსტად ისევე, როგორც თამაშისას, — დავძენთ, ჩვენ დღესასწაული და თამაში თავისი ბუნებით უმჭიდროეს კავშირში არიან. უოველდღიური ცხოვრებიდან ამორთვა, მოქმედების ძირითადად, მაგრამ არა უცილობლად, მხიარული ხასიათი (დღესასწაულიც შეიძლება სერიოზული იყოს), დროითი და სივრცითი შემოზღუდულობა, მკაცრი განსაზღვრულობისა და ნაღდი თავისუფლების თანარსებობა: უოველივე ეს თამაშისა და დღესასწაულის უმთავრეს საერთო ნიშნებს შეადგენს. განსაკუთრებით მჭიდრო ხდება მათი ურთიერთობა ცეკვაში. კერენიის მოწმობით, მექსიკის წუნარი ოკენანის სანაპიროზე მცხოვრები გორას ტომის ინდიელები კუინტი სიმინდის შემოსვლისა და შებრაწვის ხალმართო დღესასწაულს მათი უმაღლესი ღვთაების „თამაშს“ უწოდებენ²⁸.

უკვე წინასწარი დალაგების სახით, რასაც იმედია უფრო საგულდაგულო გამოკვლევა მოჰყვება, კერენიის იდეები დღესასწაულის როგორც კულტურის ცნების შესახებ ამტკიცებს და აფართოებს საფუძველს, რომელსაც ეს წიგნი ეყრდნობა. მაგრამ ხალმართო დღესასწაულისა და თამაშის განწყობათა შორის დიდი სიახლოვის დადგენით უველაფერი მაინც არ არის ნათქვამი. ნამდვილ თამაშს, მისი ფორმალური ნიშნებისა და მხიარული განწყობილების გარდა, აუცილებლობით უკავშირდება კიდევ ერთი ნიშანი: შეგნება, თუნდაც უკანა პლანზე გადევნილი, რომ მოქმედება „ისე, უბრალოდ“ ხდება. საკითხავი რჩება, რამდენად შეიძლება დაუკავშირდეს ამგვარი ცნობიერება ხალმართო ქმედების შესრულებით გამოწვეულ გზნებას.

რწმენა და თამაში

თუკი არქაულ კულტურათა ხალმართო რიტუალებით შემოვიზღუდებით, გვექნება შესაძლებლობა მეტ-ნაკლები სიზუსტით დავადგინოთ სერიოზულობის ის ხარისხი, რითაც ეს რიტუალები სრულდება. ეთნოლოგები, რამდენადაც ვიცი, იმ აზრისანი არიან, რომ ველურების ცნობიერების მდგომარეობას მათი დიდი რელიგიური დღესასწაულების დროს ვერ დავახასიათებთ, როგორც სრულ აღტყინებას ან ილუზიის ტყვეობაში ყოფნას. უკანა პლანზე უოველთვის რჩება „არანამდვილობის“ შეგნება. ამგვარ განწყობას სხარტად გადმოგვცემს ად. ე. იენსენი თავის წიგნში „წინადაცვეთისა და მომწიფების ცერემონიები პირველყოფილ ხალხებში“²⁹. მას თუ დავუჭერებთ, მამაკაცებს სულ არ ეშინიათ სულებისა, რომლებიც დღესასწაულის დროს აქეთ-იქით დაძრწიან და კულმინაციურ მომენტებში უველას გამოეცხადებიან. ეს არც არის გასაკვირი; იგივე კაცები ხომ მთელი ცერემონიის რეჟისორების როლს ასრულებენ: ამზადებენ ნიღბებს, თვითონვე ატარებენ მათ და გამოუენების შემდეგ ქალებს უმაღლავენ. ისინი ტეხენ სულების გამოჩენის მაუწყებელ ხმაურს, ხაზავენ მათ ნაკვალევს კვიშაზე, სულს უბერავენ ფლეიტას, რომელმაც წინაპართა ხმის ილუზია უნდა შექმნას. მოკლედ, „ისინი, — ამბობს იენსენი, — იმ უფროსებივით არიან, თოვლის ბაბუას ნიღბის ამბავი თვითონ რომ იციან და ბავშვებს უმაღავენ“³⁰. მამაკაცები აშინებენ ქალებს შეთხზული ამბებით, შემოსაზღვრულ ნაკურთხ ქალაში ვითომ რომ ხდება³¹. თვით კაცობაში მისაღებთა მდგომარეობა მერყეობს ექსტატიურ თავდავიწყებას, სიმულირებულ სიშლეგეს, შიშით ატაცე-

²⁵ იქვე, გვ. 63.

²⁶ იქვე, გვ. 65.

²⁷ იქვე, გვ. 63.

²⁸ იქვე, გვ. 69. ავტორი ეყრდნობა წიგნს: K. Th. Preuss, Die Najarit-Expedition I 1912, გვ. 106 და შემდგ.

²⁹ Ad E. Jensen. Beschneidung und Reifezeremonien bei Naturvölkern. Stuttgart, 1933.

³⁰ იქვე, გვ. 151.

³¹ იქვე, გვ. 156.

ბუღობასა და ბიკურ-უოულოჩინურ თეატრალურობას შორის³². საბოლოოდ, არც ქალები რჩებიან ხავსებით და მთლიანად მოტყუებულნი. მათ კარგად უწყვიან, ვინ იმადლება ან თუ იმ ნიღბის უკან. მიუხედავად ამისა, როცა ნიღბი სახიფათო მანძილზე უახლოვდებათ, ისინი შიშით აღიგზნებიან და წივილ-კივილით იფანტებიან. შიშის ეს გამოვლინებები³³ იენსენის, ერთი მხრივ ხავსებით სპონტანური და ნაღდია, მეორე მხრივ კი კონტროლირებადი მოვალეობაა. „ასეა საჭირო“. ქალები, შეიძლება ითქვას, სტატისტიკად მონაწილეობენ სექტაკლში და იციან, რომ თამაში არ უნდა ჩაშალონ³³.

ქვედა ზღვარი, რის შემდეგაც საღმრთო სერიოზულობა fun³⁴-ში გადადის, სრული სიზუსტით ვერ დაიდება. თანამედროვე, ცოტათი გაბავშვებული მამა შეიძლება გულით გაბრაზდეს, როცა შვილები თოვლის ბაბუის ტანსაცმლის მორგებისას წაასწრებენ. ბრიტანული კოლეჯების მკვიდრი კვაკიუტლის ტომის მამა მოკლავს თავის ქალიშვილს, რომელიც დაინახავს, როგორ იმზადებს მისი მშობელი ცერემონიისთვის საჭირო ნიღბს³⁵. კეშუელ ლოეშე თითქმის იმავე სიტყვებით აღწერს რელიგიური ცნობიერების მერყეობას ლოანგოს ტომის ზანგებში, რითაც იენსენი. ამ ტომის წევრთა რწმენა საკრალური წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების მიმართ თითქოს სანახევროა, მასხრობას და გულგრილობას უთავსდება. მთავარი აქ განწყობაა, ასევე მკვლევარი³⁶. თავისი წიგნის „რელიგიის ზღურბლი“ ერთ-ერთ თავში სათაურით „პირველყოფილი მიმნდობლობა“ რ. რ. მერეტი იხილავს „make-believe“³⁷-ის ელემენტს, რომელიც მუდამ მონაწილეობს პრიმიტიულ რწმენაში. ვინც ჯადოს ადებს და ვინაც ჯადოს ადებენ — ორივე თვითონაა მცოდნეც და მოტყუებულიც. მოტყუებული საკუთარი სურვილით ტყუვდება³⁸. „ველური ერთდროულად კარგი მსახიობია, რომელიც ბავშვივით მთლიანად იჭრება როლში, და მშვენიერი მაყურებელიც, რითაც აგრეთვე ბავშვს ემსგავსება: მხოლოდ ბავშვს შეიძლება შიშის ზარი დასცეს იმ ლომის ღრიალმა, რომლის არაბნამდვილეობაც მან შესანიშნავად იცის“³⁹. ველურის რწმენა, ამბობს ბრონისლავ მალინოვსკი, უფრო გრძნობასა და შიშში მდგომარეობს, ვიდრე რაიმის ნათელ შეგნებაში⁴⁰. იმ პირთა ქცევა, ვისაც ველურთა ჯგუფი ზებუნებრივ თვისებებს მიაწერს, უკელაზე უკეთ ხასიათდება გამოთქმით: „Playing up to the role“⁴¹.

მაგიური და ზებუნებრივი ხდომილების „არანამდვილობის“ ნაწილობრივი გაცნობიერების ელემენტი, როგორც საგანგებოდ გვაფრთხილებენ იგივე მკვლევრები, არ გვაძლევს უფლებას გამოვიტანოთ დასკვნა, თითქოს რწმენისა და პრაქტიკის მთელი სისტემა სხვა არაფერია, თუ არა ურწმუნოთა გარკვეული ჯგუფის გამოგონილი სიცრუე. მოხმობილი მეორე, მორწმუნეთა ჯგუფზე გასაბატონებლად. თუმცა, არა მხოლოდ მრავალი მოგზაური, არამედ, ხანდახან, თვით მკვიდრ მაცხოვრებელთა გადმოცემებიც კი სწორედ ასე წარმოადგენენ საქმის ვითარებას. მაგრამ ამას მაინც ვერ ჩავთვლით მართებულად. „საკრალური ქმედების ძირი მხოლოდ საყოველთაო რწმენაში შეიძლება იყოს, და მისი უპატიოსნო გამოყენება რომელიმე ჯგუფის ძლიერების გასაზრდელად მხოლოდ ისტორიული განვითარების უკანასკნელ სტადიაზე ხდება შესაძლებელი“⁴².

წარმოდგენილი მსჯელობიდან, ჩემი აზრით, ცხადზე უცხადესი ხდება, რომ პირველყოფილი ხალხების საღმრთო მოქმედებებზე ლაპარაკისას თამაშის ცნება ერთი წამითაც არ უნდა

³² იქვე, გვ. 158.

³³ იქვე, გვ. 150.

³⁴ გართობა, მხიარულება (იხვ.).

³⁵ F. Boas. The Social Organisation and the Secret Societies of the Kwakiutl Indians, Washington, 1897, გვ. 435.

³⁶ P. Loesche. Volkskunde von Loango. Stuttgart, 1907, გვ. 345.

³⁷ თავის ნიშვნება, მოკატუნება (იხვ.).

³⁸ R. R. Marett. The Threshold of Religion, გვ. 41-44.

³⁹ იქვე, გვ. 45.

⁴⁰ B. Malinowski. The Argonauts of the Western Pacific. London, 1922, გვ. 339.

⁴¹ „როლისადმი მისადაგება“, „როლის თამაში“ (იხვ.). იქვე, გვ. 240.

⁴² როლისადმი მისადაგება, როლის თამაში (იხვ.). იქვე, გვ. 240.

წიგნების ცერემონიათა ახსნის ფსიქოანალიზური წესი სწორედ ამგვარი ინტერპრეტაციისკენ იხლება, რისთვისაც მას მართებულად უარყოფს იენსენი — იხ. დაახ. ხაზრ., გვ. 153, 173-177.

გამოგვეპაროს მხედველობიდან. საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რომ მოვლენათა აღწერისას გაქუდმებით გვეკრძება სიტყვა „თამაშის“ ხმარება; მთავარი სხვაა: თამაშის ცნებაში საუკეთესოდ არის დაქერილი რწმენისა და ურწმუნობის ერთიანობა და განუყოფლობა, საღმრთო სერიოზულობის გადახლართულობა თვალთმაქცობასა და მახრობასთან. თუმცა იენსენი ამ მხრივ ერთმანეთს ამსგავსებს ბავშვთა და ველურთა ხამუარობებს, მას სურს მათ განწყობებს შორის პრინციპული განსხვავებაც შეინარჩუნოს. ბავშვისთვის, ამბობს იენსენი, თოვლის ბაბუა სავსებით დასრულებული მოვლენაა⁴³, რომლის მიმართ ქცევის წესს ის „საკუთარს“ უნარისდა მიხედვით განსაზღვრავს. „სულ სხვაგვარია სინამდვილისადმი პროდუქტიული დასრულებულება იმ ადამიანისა, ვინც უველა აქ განსახილველ ცერემონიას აწყობს. მას საქმე აქვს არა მზა, გარკვეულ მოვლენებთან, არამედ გარემომცველ ბუნებასთან, რომელსაც კიდევ სჭირდება ინტერპრეტაცია: ის წვდება მის იდუმალ დემონიურობას და მის გამოხატვასაც ცდილობს“⁴³. აქ ჩვენთვის საცნაურია იენსენის შემოთნახვებები მასწავლებლის ფრობენიუსის შეხედულებები. მაგრამ ორი რამ გვაეჭვებს. ის, რასაც იენსენი მკაცრად მიჩნავს ერთმანეთისგან როგორც „სულ სხვადასხვაგვარს“, მხოლოდ თანამედროვე ბავშვის სულში და რიტუალის პირველშემოქმედის სულში მიმდინარე გონითი პროცესებია. მაგრამ ეს უკანასკნელი უცნობია ჩვენთვის. ჩვენ საქმე გვაქვს კულტურულ ერთობასთან, რომელიც, თანამედროვე ბავშვის მსგავსად, ტრადიციული მასალის „სავსებით დასრულებული“ სახით ღებულობს თავის კულტურულ წარმოდგენებს და პასუხითაც იმავე წესით პასუხობს, რითაც ბავშვი. მეორეს მხრივ, თუნდაც ამაზე არაფერი ვთქვათ, თვით პროცესი, ბუნებით რეალობასთან „შეგახებით“ რომ იწყება და ამ რეალობის „წვდომითა“ და „წარმოდგენით“ მთავრდება, სრულიად მიუღწეველია ჩვენი დაკვირვებისთვის. ფრობენიუსი და იენსენი მას მხოლოდ ფანტასტიკური მეტაფორის მეშვეობით უახლოვდებიან. სახეების შექმნისას მოქმედ ფუნქციაზე სულ დიდი ერთის იქმა შეიძლება: ეს პოეტური ფუნქციაა; ხოლო მის საუკეთესო განსაზღვრება იქნება, თუ თამაშობრივ ფუნქციას ვუწოდებთ.

ამგვარ დაკვირვებებს ღრმად შევყავართ ძირეული რელიგიური წარმოდგენების არსის პრობლემაში. როგორც ცნობილია, არსებობს რელიგიათმცოდნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უველა მკვლევარისათვის სავალდებულო პრინციპი: როდესაც რელიგიის რომელიმე ფორმა ორი რიგის საგნის, მაგალითად, ადამიანისა და ცხოველის, დვთაებრივ-არსობრივ იგივეობას ცნობს, ამ მიმართებას არაადექვატურად გამოვთქვამთ, თუ მას ვუწოდებთ „სიმბოლურ კავშირს“ ამ ტერმინის თანამედროვე გაგებით. ნახსენები მართიანობა გაცილებით უფრო რეალურია, ვიდრე კავშირი სუბსტანციასა და მის ხატოვან სიმბოლოს შორის. ის მისტიკური მართიანობაა, ერთი „იქცევა“ მეორედ. თავის ქადოსნურ ცეკვაში ველური „არის“ კენგურუ. უოველთვის უნდა გავფრთხილდეთ, შეცდომაში არ შეგვიყვანოს ჩვენი ენობრივი გამოსახულებების ნაკლებობამ და სხვადასხვაობამ. ველურის სულიერი მდგომარეობა რომ წარმოვიდგინოთ, იძულებულნი ვართ ეს მდგომარეობა ჩვენი ტერმინოლოგიით გადმოვცეთ. ამით ველურთა რელიგიური წარმოდგენები ძალაუნებურად გადმოგვაქვს ჩვენს ცნებათა მკაცრ ლოგიკურ გარკვეულობაში. ამის შედეგად გამოდის, რომ მიმართებას ადამიანსა და იმ ცხოველს შორის, რომელსაც ადამიანმა თავი გაუიგივა, ჩვენ ისე გამოვხატავთ, თითქოს მისთვის ეს ცხოველად უოფნაა. მაშინ როცა ჩვენთვის ეს „თამაშად“ რჩება. მან კენგურუს არსი შეითვისა, ჩვენ კი ვამბობთ: „ის კენგურუს თამაშობს“. მაგრამ თვით ველურმა არაფერი იცის ცნებით განსხვავებაზე უოფნასა და თამაშს შორის, მან არაფერი იცის იგივეობაზე, ხატზე ან სიმბოლოზე. ამიტომ დგება საკითხი, ხომ არ უახლოვდებით ველურის გონით მდგომარეობას უველაზე მეტად მაშინ, როცა „თამაშის“ საწყის, პირველად ტერმინს ვეყრდნობით. თამაშის ჩვენეულ გაგებაში იხსნება განსხვავება რწმენასა და წარმოდგენას (Vorstellung) შორის. ეს ცნება ძალდაუტანებლად უკავშირდება კურთხევისა და საღმრთოობის ცნებებს. ბაზის უოველი პრელუდია, ტრაგედიის უოველი პქარი ამის საბუთია. როდესაც ეგრეთ წოდებული პრიმიტიული კულტურის მთელ სფეროს თანმიმდევრულად განვიხილავთ როგორც თამაშის სფეროს, მისი თავისებურების გაგების გაცილებით უფრო პირდაპირი და ზოგადი შესაძლებლობანი გვეძლევა, ვიდრე საგულდაგულო ფსიქოლოგიური ან სოციოლოგიური ანალიზისას.

ეს საღმრთო თამაშია, ერთობის კეთილდღეობისთვის აუცილებელი, კოსმიური განჭვრეტებისა და სოციალური განვითარების შესაძლებლობებით დატვირთული, მაგრამ მაინც თა-

⁴³ იქვე, გვ. 149-150.

მაში, — მოქმედება, როგორც ის პლატონს ესმოდა: უოველდღიური საზრუნავისა და ფიზიკური ხეროზულობის სამყაროდან გასული და მასზე ამაღლებული.

ხალმართო თამაშის ამ სფეროში ბავშვი, პოეტი და, მათთან ერთად, ველოურა შინ არიან. ესთეტიკურმა მგრძნობელობამ რამდენადმე დაუახლოვა თანამედროვე ადამიანი ამ სფეროს. გავიხსენოთ ახლანდელი გატაცება ნიღბით როგორც ხელოვნების საგნის, მისი მისტიკური დღევანდელი აღფრთოვანება შეიძლება ერთობ აფექტურიც იყოს, მაგრამ მისი უფრო ღრმაა გონითი შინაარსითა და კულტურული ღირებულებით, ვიდრე მეთვრამეტე საუკუნის გატაცება თურქული, ინდური და ჩინური მოდით. თანამედროვე ადამიანს უძველესად ძლიერად აქვს განვითარებული შორეულის და უცხოის გაგების უნარი. ამაში მას ყველაზე მეტად ის უწყობს ხელს, რომ ნიღბისა და გადაცნის მულაში გაიგო. ეთნოლოგია მათ სოციალურ მნიშვნელობას გვიდასტურებს, განათლებულ არასპეციალისტში კი ნიღაბი და გადაცმა უშუალოდ იწვევენ ესთეტიკურ მღელვარებას, რომელიც ერთდროულად მოიცავს სილამაზის გრძნობას, შიშსა და იდუმალებას. ნიღაბი განათლებული მოზრდილი ადამიანისთვისაც ინარჩუნებს იდუმალების მომენტს. გადაცმული კაცის წმინდად ესთეტიკური თვლით. უოველგვარი რწმენის გარეშე ხილვასაც კი უმაღლად გადავყავართ „უოველდღიური ცხოვრების“ სფეროდან სხვა სამყაროში, რომელშიც შეჩვეული მზის შუქი ვეღარ ატანს; ჩვენ აღმოვჩნდებით ველურების, ბავშვებისა და პოეტების სამყაროში, თამაშის სამყაროში.

თამაში და მისტიკა

დავუშვათ, რომ გამართლებულად ნივიჩნიეტ პირველყოფილი საკულტო მოქმედების მნიშვნელობისა და თავისებურების ახსნა თამაშის დაუყვანად ცნებაზე დაყრდნობით; კიდევ საპასუხო გვჩნება ერთი ფრთხილ ფაქტი კითხვა. როგორ იქნება საქმე, თუ დაბალი რელიგიური ფორმებიდან მაღალზე გადავალთ? საკრას თავშეუკავებელი არდილებიდან, აფრიკის, ავსტრალიისა და ამერიკის პირველყოფილ ხალხთა პრიმიტიული რიტუალებიდან ჩვენი მზერა გადაინაცვლებს ვედებისეულ მსხვერპლშეწირვით კულტზე, რომელიც შინაგანად იმთავითვე დატვირთულია უპანიშადების სიბრძნით, ეგვიპტური რელიგიის მისტიკურ იდენტიფიკაციებზე, ორფულ და ელევსინურ მისტერიებზე. პრაქტიკულად, ფორმის უცნაურობითა და სისასტიკით, ისინი ჭერ კიდევ საკმაოდ მოგვაგონებენ ეგრეთ წოდებულ პრიმიტივებს. მაგრამ ჩვენ შევიყნობთ მათში — ან გუმანით მაინც ვგრძნობთ — სიბრძნისა და კეშმარიტების შემცველ შინაარსს, რის გამოც უფლებამოსილად არ ვგრძნობთ თავს მათდამი ქედმაღლური დამოკიდებულება გამოვიჩინოთ. — თუმცა, კაცმა რომ თქვას, ეს არც „პრიმიტიულად“ წოდებული კულტურების მიმართ იქნებოდა მართებული. ახლა საკითხი ასე დგას: რამდენად დასაშვებია იქნება, რომ, ფორმალური ერთგვაროვნების საფუძველზე, „თამაშობრივის“ მახასიათებელი მივაწეროთ აგრეთვე ღვთაებრივის ცნობიერებას, რელიგიის ამ უფრო მაღალი ფორმების გამსჭვალავ რწმენას. თამაშის პლატონისეულ გაგებას თუ ვაღიარებთ, — არადა, ზემოთქმული სწორედ აქეთ გვიბიძგებს. — მაშინ უოველგვარი ექვის გარეშე უნდა დავუშვათ ასეთი შესაძლებლობა, ღვთაებამ აკურთხა თამაში, — უმაღლესი, რაზეც ადამიანი შეიძლება ამ ცხოვრებაში გაისარქოს; ასე ფიქრობდა პლატონი. ამით სრულებით არ უარყოფთ, რომ ხალმართო მისტერია უმაღლესი გამოხატულებაა იმისა, რაც მიუღწეველია ლოგიკური განსჯისათვის. საკრალური ქმედება თამაშის კატეგორიაში მნიშვნელოვანწილად ჩართული რჩება, მაგრამ ამგვარი დაქვემდებარება სულაც არ გვიშლის ხელს მისი ხალმართობა ვაღიაროთ.





ევროპული რომანტიზმის ერთი უცნობი ფურცალი

(ჭეიშ მანგანის პოეზია)

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ირლანდიურ ლიტერატურას, როგორც ინგლისურ ენაზე იქმნებოდა, და, კერძოდ, პოეზიას ინგლისელი კრიტიკოსები არ განიხილავენ პრობლემატურ-ისტორიული თვალსაზრისით, არ მიაკუთვნებენ რომელიმე ლიტერატურულ მიმდინარეობას. მაგრამ თუ ვიმსჯელებთ იმ საზოგადოებრივი იდეალებისა და მხატვრული პრინციპების მიხედვით, რომელთაც აღნიშნული დროის ირლანდიური ლიტერატურა ავითარებდა და განამტკიცებდა, სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ არსებობდა ირლანდიური რომანტიზმი — ეროვნული თავისებურებების მქონე ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელიც ტიპოლოგიურად ღრმად უკავშირდება ეროვნულ რომანტიზმს.

ირლანდიური რომანტიზმის ძირითადი თავისებურება გახდა ამ ქვეყანაში პოლიტიკური და ლიტერატურული ცხოვრების შერწყმა და ერთიანობა. რომანტიზმი ირლანდიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პირშეი იყო და თვითონაც დიდი წვლილი შეიტანა XIX საუკუნის დასაწყისის ეროვნული აჯანყებების იდეოლოგიურ მომზადებაში, გარდა ამისა, მან დიდად განსაზღვრა ირლანდიური ლიტერატურის შემდგომი განვითარება, კერძოდ, საგრძნობი გავლენა მოახდინა „ირლანდიური აღორძინების“ სახელით ცნობილ მძლავრი ლიტერატურული მოძრაობის იდეურ-მხატვრულ განვითარებაზე.

ირლანდიელი პოეტის ჭეიშ კლარეს მანგანის (1803-1849) შემოქმედება ირლანდიურ რომანტიზმთან არის დაკავშირებული, მის საზოგადოებრივ იდეალებისა და ესთეტიკურ პრინციპებს იზიარებს.

თუმცა ამ პოეტის ლექსები თითქმის ყველა იმდროინდელ ირლანდიურ გაზეთსა და ჟურნალში იბეჭდებოდა, სიცოცხლეში მხოლოდ გერმანულიდან თარგმნილი ლექსები გამოიცა. მხოლოდ მანგანის სიკვდილის შემდეგ, XIX საუკუნის მეორე ნახევარში გამოიცა ირლანდიისა და შეერთებულ შტატებში პოეტის ორიგინალურ ლექსთა კრებულები. მისი ლექსები შეიტანეს სხვადასხვა წიგნებში. 1897 წელს ირლანდიელმა მწერალმა და კრიტიკოსმა დ. ჯ. ოდონოხიუმ გამოცა მონოგრაფია მანგანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. მანგანის ნაწარმოებთა ყველაზე სრული კრებულები გამოიცა დუბლინში დაბადების ას წლისთავთან დაკავშირებით. პოეტის ბოლო კრებული გამოვიდა 1974 წელს.

1977 წელს მოსკოვში გამოიცა კრებული «Европейская поэзия XIX века», რომელშიც შევიდა მანგანის სამი ლექსი. 1983 წელს გაზეთი „წიგნის სამყაროში“ დაიბეჭდა ლექსი „ციმბირი“.

ირლანდიელი რომანტიკოსის შემოქმედება ფართოდ აისახა კრიტიკულ ლიტერატურაში. — ირლანდიური და ინგლისური ლიტერატურის ისტორიისადმი მიძღვნილ კრებულებსა და სახელმძღვანელოებში. ყველა ავტორი მიუთითებს პოეტის დიდ ნიჭზე და მას XIX საუკუნის ირლანდიის უდიდეს პოეტად აღიარებს.

როცა ჯ. კ. მანგანმა ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო, რომანტიზმი ევროპაში უკვე წამყვან ლიტერატურულ მიმდინარეობად იყო ჩამოყალიბებული.

მანგანის პოეტური შემოქმედების პირველი ნიმუშები გერმანელი პოეტი-რომანტიკოსების ლექსთა ინგლისურ ენაზე შესრულებული თარგმანებია. ახალგაზრდა პოეტის მიერ

დიდი გემოვნებით: თარგმნილი ენობრივად განსხვავებულ ლექსებს რომანტიკული განწყობა, სამყაროს ერთგვარი განუცნობელი ფილოსოფიური ხედვა ახასიათებს.

პოეტის მსოფლმხედველობასა და მხატვრულ მრწამსზე უველაზე ღრმა შთაბეჭდილება ბაირონმა მოახდინა. სწორედ ბაირონის აღმოსავლური პოემების გავლენით დაიწერა მანგანის „აღმოსავლური ლექსები“, რომლებიც გენიოსი პოეტის პოემებს სრულყოფილი არა მგავს, არამედ პრობლემათა მხატვრული გააზრებით. მანგანი აღმოსავლურ პოეზიაში თავის გაწამებულ სამშობლოს ხედავს, მისი ლექსების ძირითადი პათოსი დესპოტიზმისა და მონობისადმი შეურიგებლობაა.

ბევრი კრიტიკოსი მანგანს პესიმისტური მსოფლმხედველობის პოეტად ახასიათებს. მის ბევრ ლირიკულ ლექსში მართლაც ისმის ადამიანთა უმადურობისა და გაუტანლობის გამო ჩივილი, სამყაროს დისპარმონიულობის, მოუწესრიგებლობის ტრაგიკულად შემგრძნობი გმირის სასოწარკვეთა. „ადამიანი მონაა, ხოლო სამყარო ციხეა და საპყრობილეა მხოლოდ“. — წერს ერთ ლექსში მანგანი.

პოეტს დარდს უღრმავებდა თავისი ქვეყნის უბედური მდგომარეობა. იგი გრძნობდა, რომ ცხოვრების არსებული წესი აუტანელი და უარსაყოფი იყო.

პოეტმა შეძლო თავისი სასოწარკვეთა ენერგიად ექცია. მან ბრძოლა გამოუცხადა პირქუშ სამყაროს, რადგან ვაჟაკური ბრძოლა და სიძნელეთა გადალახვა მიიჩნია ნამდვილ ბედნიერებად. ლექსში „უსახელო“ პოეტი წერდა:

„ჩემო სიძლერავ, შენ მთოდ და ველად
წადი, გაფრინდი, უთხარი ყველას
როცა თვალგმა სიბნელე იგრძნეს,
სხვას ვასწავლიდი ცხოვრების სიბრძნეს...
უთხარ, რომ თუმცა დაგვარგე რწმენა,
ჩემოვის არ იყო გზად ვარდთა ფენა,
დაგვარგე სატრფო ხაზ- და მწველი,
არ ამიღია ბრძოლაზე ხელი“.

„უსახელოს“ შესახებ უილიამ ბათლერ იეიტსი წერდა: ვისაც ერთხელ მაინც წაუკითხავს ეს ლექსი, ვერასოდეს დაივიწყებს მას, სამუდამო ტკივილად გაჩუყებაო.

ბელთან შეურიგებლობა და ჭიდილი ნამდვილი პატრიოტიზმის აბსტრაქტული იდეალი არ არის, თავისი ხალხისათვის თავდადებული ბრძოლა, ერის სამსახურია. სწორედ ეს სულიკვეთება ახასიათებდა მებრძოლ რევოლუციურ ორგანიზაციას „ახალგაზრდა ირლანდიას“, რომელშიც გაერთიანდნენ გასული საუკუნის 30-იანი წლების ირლანდიის საზოგადო მოღვაწეები, მწერალ-პუბლიცისტები — თომას დევისი, ჩარლზ დაფი, ჯონ მიჩელი და სხვები. მათ შორის იყო ჯეიმს მანგანიც. ამ ლიტერატურულ მოღვაწეთა პოლიტიკურ-იდეოლოგიურ პროგრამას შეადგენდა ირლანდიელი ხალხის სრული ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება, ირლანდიელთა თვითშეგნების გაღვიძება, მათთვის საკუთარი ისტორიული წარსულის გაცნობა და ეროვნული კულტურული ტრადიციების აღორძინება.

„ახალგაზრდა ირლანდიელთა“ საზოგადოებრივ იდეალებსა და მხატვრულ პრინციპებს მჭიდროდ დაუკავშირდა ჯეიმს მანგანის პოეტური შემოქმედება და საერთოდ მთელი მისი შემდგომი ლიტერატურული პრაქტიკა. მისი ლექსების უმეტესობა ამ ორგანიზაციის გაზეთში „ფეინში“ (ერი) იბეჭდებოდა.

მანგანმა ღრმად შეისწავლა თავისი ქვეყნის ისტორია. წარსულით დაინტერესება პოეტის შემოქმედებაში ისტორიის გაკვეთილების აქტუალური გააზრებით გამოიხატა და არა გარდასულ დღეთა პასიური გაიდევალებით. „ახალგაზრდა ირლანდიელთათვის“ მშობლიური ქვეყნის ისტორიისა და კულტურის გაცნობა, ენის აღორძინება ხალხის მებრძოლი სულის გაღვიძების გზას წარმოადგენდა. ლექსში „ირლანდიური ენა“ მანგანი ასე მიმართავს თანამემამულეთ:

* ლექსები თარგმნა ა. ბეგაშვილმა.

ენა ირლანდიური დროს გეახსენებს ნეტარს,
 მოგვაგონებს გმირთა აბჯარსა და ბეგთარს,
 ამ ენაში იმ წლების მოგონება ეონავს,
 საქსონებს და ნორმანებს რომ არ ვყავდით შონად.
 ჩვენ, ამ ენის პატრონს, ვერვინ გაგვკრას ბრჭყალს,
 იქნება უძლეველი ჩვენი სკიპტრა, ხმალი,
 ბრძოლის ველზე გმირებს ვერ აჯობებს მტერი,
 ირლანდია იქნება კვლავაც ბედნიერი.
 ჩვენი მუსიკოსნი, ლაღნი, გულშვიანნი,
 აბრეშუმმოსილნი, კერცხლისფერთაქიანნი
 პანგებს დასტევავენ, პანგებს ტუბილს და ქებულს,
 სისხლს ვააღვიძებენ, ჩვენს სისხლს მიძინებულს.



წარსულის დიდებული სურათების გვერდით სავალალოდ მოჩანდა პოეტის დაჩაგრული სამშობლო. მანგანის ლექსებში ემოციურად, შთაგონებით არის გადმოცემული ირლანდიის დაჩაგრული უოფით გამოწვეული ტკივილი, ამავე დროს — მისი აღდგომის, განთავისუფლების გარდუვალობის რწმენა. ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში „როზალინი“, სადაც საყვარელი ქალის მხატვრულ სახეში სამშობლო იგულისხმება, მანგანი მიმართავს თავის ქვეყანას:

დაე, ჩვენს ფეხთ ქვეშ დედამიწამ
 იწყოს ზანზარი,
 თოჯის ქუხილმა მიწა შეძრას,
 ცა შეარხოს,
 სანამ შენ ბედმა
 სასიკვდილო აღში გაგხეიოს.
 — ლოცვად ვიდგები, შენს ლოცვაში
 ღამეს ვააფნებ,
 ლოცვად ვიდგები, მაგ მტკივან გულს
 თუ გავამთელებ,
 ღამეებს ვაკტებ ამ ლოცვაში
 და როს ინათებს,
 ჩვენი ღიმილი გამაბრწყინებს,
 სულს გამინათებს.

პოეტს უფრო და უფრო უმტკიცდებოდა თავისი ქვეყნისა და, საერთოდ, კაცობრიობის სასიკეთო რევოლუციური გარდაქმნების რწმენა. ირლანდიის 1848 წლის აჯანყების წინა წლებში მანგანი ქმნის ლექსებს, რომლებიც დიდი საბრძოლო ენთუზიაზმით არის გამსჭვალული. თომას მურისაგან განსხვავებით, რომლის შემოქმედებაში ირლანდიელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის თემა პესიმიზტურ ელფერს იძენს, მანგანის საბრძოლო მოწოდებად ქცეული ლექსები ირლანდიელთა განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთ ფორმად იქცა. ლექსში „ჩემს სამშობლოს“ პოეტი თავისსავე თანამემამულეთ მიიჩნევს და მნაშავედ, რომ მათი ქვეყანა უუფლებო და დაბეჩავებულია, საყვედურობს მათ პასიურობისა და მორჩილების გამო გაადვიძეთ, აღსდექით, ძილი განაგდეთო, — მოუწოდებს პოეტი თანამემამულეთ.

1848 წელს გაზეთ „ახალგაზრდა ირლანდიელში“ დაიბეჭდა მანგანის მიერ ორიგინალიდან შესრულებული „მარსელიეზას“ თარგმანი, სადაც კვლავ მოწოდებად გაისმის — საბრძოლველად აღსდექითო.

ლექსში „ირლანდიის ეროვნული მიმნი“ პოეტი აცხადებს, რომ „უძველესი და მარად ახალგაზრდა“ ქვეყანა გაიღვიძებს და მთელი მსოფლიოს ხალხებს შესძრავს, თავისუფლებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში ჩადგება.

მაღალმოქალაქეობრივი შეგნების პოეტი ეხმაურებოდა სხვა ქვეყნების ხალხთა ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლას. ლექსი „ციმბირი“ (1846) მანგანმა გადასახლებულ დეკაბრისტებს უძღვნა, ციმბირი მასში რუსეთის იმპერიის სიმბოლოდ აღიქმება. პოეტმა არ იცოდა, სულის როგორი სიმტკიცე გამოიჩინეს რუსმა რევოლუციონერებმა, ამიტომ წერდა ასეთი დაორგუნვილი ტონით:

ციმბირის მხარეს, — უდაბნოთა პირქუშ მხარეში, —
სადაც თოვლია, ყინულია, ქარის თარეში,
ქარსაც ისევ, როგორც ფოლადს „ბასრი კბილი აქვს
იქ კაცის ხვედრი დაღუპვაა და სიკვდილია.



ეროვნული
ბიზნიუსი

იქ კაცის გული დაუსერავს საშინელ ტკივილს,
მაგრამ იმ მწარე ტკივილისგან არავინ კვივს,
რადგან ვერვინ გრძნობს ცოცხალმკვდარი და ფერმიხდილი,
ჯერ ისევ ცოცხლობს თუ ეწვია შავი სიკვდილი.

გადაქცეულა გული ღოდად, ჩამკვდარა აზრი,
იქ ჩრდილოეთის ქარი დაქრის — ნმალევით ბასრი...
იქ იმ ხმლით ენაგაბობილი ტუსალი კენესის
და ამიტომაც მეფის წყველა არავის ესმის.

პოეტს კარგად ესმოდა, რომ ეროვნული თვითმყოფადობის მქონე მხატვრული ნაწარმოებების შექმნა ერის სულის შეთვისებასა და მისადმი ერთგულებას ნიშნავდა. სწორედ ხალხურ სათავეს დაეუბრუნო მანგანი საკუთარი სტილის ძიებისას. მან ლექსის მხატვრული და მეტრული სტრუქტურა ირლანდიური ხალხური პოეზიის რიტმულ-ინტონაციური საქცევებით, ირლანდიური ლექსიკით გაამდიდრა.

საგულისხმოა, რომ მანგანის, ისევე, როგორც სხვა ბევრი გამოჩენილი რომანტიკოსი პოეტის ლექსთა მეტრული სისტემის ერთ-ერთი გამამდიდრებელი წყარო ხალხური მუსიკა, ირლანდიური ფოლკლორული სასიმღერო ინტონაციები გახდა.

მანგანი პოეტური ნიჭით, შთაგონების სიღრმითა და შემოქმედების ფართო დიაპაზონით მარტო თანამედროვეთაგან არ გამოირჩეოდა, იგი დღესაც ირლანდიის ერთ-ერთ უნიკიერეს პოეტად მიიჩნიათ. კრიტიკოსი ა. კრონინი მას ირლანდაში იმ სიდიდის პოეტად მიიჩნევს, როგორც საფრანგეთში ბოდლერი, ვერლენი და რემბო არიან, ხოლო ამერიკაში — პო და ქრეინი. ხოლო ს. გუინი ჭეიშ მანგანის შემოქმედებას მდიდარი ეროვნული ტრადიციების ორგანულ ნაწილად თვლის „მას „რევოლუციური სულის პირშოს“ უწოდებს.

უ. ბ. იეიტსი მანგანისა და მის თანამოაზრეთა შესახებ წერდა: მათ ერთი ისეთი თვისება ჰქონდათ, რომელიც აღმაფრთოვანებდა და კვლავაც აღმაფრთოვანებს — ისინი განცალკევებული ინდივიდები კი არ იყვნენ, არამედ ხალხის სახელით ლაპარაკობდნენ, ან ცდილობდნენ, რომ მათი სახელით ელაპარაკათ. ამ პოეტების უკან მთელი თაობები იდგნენ.

ირლანდიელ რომანტიკოსთა იდეა, რელიგიური მრწამსის განსხვავების მიუხედავად, პროგრესული ეროვნული ძალების გაერთიანების შესახებ თანამედროვე ირლანდიისთვისაც, სადღეისო პრობლემად რჩება.

მანგანის სახე ბევრი თანამედროვე პოეტის შთაგონების წყაროს წარმოადგენს:

ევერტ მილნი ლექსში „მისმინე, მანგან“ (ასევე მქვია მის ლექსების კრებულს, რომელიც 1941 წელს გამოვიდა) ქვეყნის აუტანელ მდგომარეობაზე შესჩივის პოეტს.

თანამედროვე ირლანდიის ერთ-ერთი გამოჩენილი პოეტი თომას კინსელაც თავის თავს ჭეიშს მანგანს, — უსაყვარლეს თანამომშენს აღარებს (ლექსი „კლარენს მანგანი“).

მანგანის მაღალმხატვრული, თავისი ქვეყნის უსაზღვრო სიყვარულითა და ერთგულებით ხავე პოეზია ირლანდიელი ხალხის ეროვნული თვითშეგნების, ღირსების გამოხატვის ერთ-ერთი საუკეთესო ფორმაა; პოეტის ლექსები მისი ხალხისათვის დღესაც ახლობელი და საჭიროა.



„უველაზე ხშირად მე ქართულ კოეზიას ვთარგმნი“...

1 988 წლის გაზაფხულზე, დიპლომზე მუშაობისას ალბათ მეასეჯერ მივუბრუნდი პოეტ ევგენი ევტუშენკოს შემოქმედებას, მის პოეზიას, პროზას, პუბლიცისტიკას, ფოტოგრაფიასაც კი. მაგრამ რადგან ჩემი დიპლომის თემა ევგენი ევტუშენკოს პოეზიის თარგმანების განხილვა იყო, იმ დიდ ლიტერატურასაც გავეცანი, რასაც თარგმნის თეორია მოიცავს, ბოლოს კი ათასი აზრითა და შეკითხვით დახუნძლული მოსკოვში გავემგზავრე თავად პოეტთან სასაუბროდ.

ჩვენი საუბარი ხანგრძლივი და საინტერესო აღმოჩნდა. ვსაუბრობდით ქართულ და რუსულ პოეზიაზე, თითოეული მათგანის ტრადიციაზე, აწმყოსა და მომავალზე. ვისაუბრეთ ამ ორი ლიტერატურის ურთიერთობასა და თანამშრომლობაზე. ბოლოს ჩვენი საუბარი თარგმანზე შეჩერდა. ტყვიასავით ვაყრიდი შეკითხვებს, უურადღებით ვუსმენდი, თვალს არ ვაშორებდი, ვცდილობდი უოველი მისი სიტყვა ღრმად ჩამებუჭდა გონებაში და შემდეგ უოველივე ეს ქაღალდზე ისე გადმოშეტანა, რომ არ დამეკარგა ის უურადღება, პატივისცემა, მეგობრული განწყობა და, რაც მთავარია, ნდობა, რომელიც პოეტმა ჩემდამი და ჩემი პირველი სერიოზული საქმისადმი გამოიჩინა. ჩვენი საუბარი მეტ-ნაკლებად ჩემს ხადიპლომო ნაშრომში აღიბეჭდა, მაგრამ მას შემდეგ წელიწადზე მეტი გავიდა და იმ საუბრის მოგონებებმა და ჩანაწერებმა მაინც არ მომასვენეს, არ მომასვენა ევგენი ევტუშენკოს წიგნებში ამოკითხულმა ზოგიერთმა ფრაზამ და ბოლოს გადავწყვიტე ჩვენი საუბრისათვის ოდნავ შეცვლილი, უფრო დალაგებული და სერიოზული ფორმა მიმეცა და ისე მომეწოდებინა თქვენთვის, ამდენ ხანს კი, ალბათ, იმიტომ ვჭოქმანობდი, რომ ჩემს მიერ განცდილი დიდი შთაბეჭდილება მშრალ „ინტერვიუდ“ არ ქცეულიყო. წერაც მისივე სიტყვებით დავიწყე: „В человечестве спасительно живет инстинкт необходимости искусства... искусство представляет собой нравственную точку опоры человечества“.

იგივე შეგვიძლია ვუწოდოთ ლიტერატურასაც — კაცობრიობის ზნეობრივი, მორალური „საყრდენი წერტილი“. უოველი ერის ლიტერატურა და ხელოვნება ამ ერის თვითშეგნების საყრდენი წერტილია, სხვადასხვა ერების ლიტერატურები მსოფლიო ლიტერატურას ქმნიან და უკვე ამ საყრდენ წერტილზე, ღერძზე ბრუნავს მთელი დედაშიწა.

ანბანის შექმნის დღიდან ადამიანმა კალამი აიღო ხელში და შექმნა რაღაცა — ლექსი, პოემა, მოთხრობა, იგავი, თარგმნა... შექმნა, ერს სამსახურში ჩაუდგა და ჩაუყენა თავისი შექმნილი. დღიდან პირველი მხატვრული ნაწარმოების შექმნისა ყველა ლიტერატურულმა ნაწარმოებმა სხვადასხვა ხასიათის, სხვადასხვა დანიშნულების რთული მისია დაიკისრეს. ყველასთვის ნათელია, თუ რატომ დაიწერა „შუშანიკის წამება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „ვეფხისტყაოსანი“, „სიბრძნე სიცრუისა“, „დავითიანი“, „კაცია-ადამიანი“, „განდეგილი“, „მერანი“, „განთიადი“, რატომ არსებობს ვაჟას პოეზია, გალაკტიონი, რატომ და რისთვის წერენ ჩვენი თანამედროვე პოეტები და პროზაიკოსები, რატომ ითარგმნა ბიბლიური წიგნები, მოშეროსი, დანტე, ხერვანტესი, შექსპირი, გოეთე, პუშკინი, ტოლსტოი, დოსტოევსკი, ჩეხოვი, მაინე, მიუგო, ვერტენი, ბაირონი და კიდევ მრავალი სხვა.

მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ყველა მათგანი და მათ მიერ შექმნილი ნაწარმოებები თავისი მისიით მოვიდა ლიტერატურაში — ზოგი სამიწნურო-ხარაინდო ლიტერატურით, ზოგი კარის ცხოვრებით, დიდაქტიური შთაგონებით, ზოგი ადამიანის დანიშნულების, საზოგადოებრივი სამსახურის აუცილებლობის იდეით, ზოგმა მოქალაქეობრივი ღირკია მოიტანა,

ზოგმა პატრიოტული, ზოგმა პესიმისტური, სატრაფიალო, ოპტიმისტური და სხვა და სხვა, მაგრამ თითოეული მათგანი რიგრიგობით მოვიდა — მათი მოსვლა ეპოქის მოთხოვნა იყო და უველა მათგანმა თავისი მისია შეასრულა.

უველა ლიტერატურას განვითარების თავისი გზა აქვს. უველა ლიტერატურა თავისი ეროვნული და ისტორიული უოფის გამომხატველია და უველას თავისებურად ესმის თავისი მისია ერის წინაშე, მაგრამ უველა ლიტერატურას ერთი საერთო ~~ქვეყნის~~ ^{ქვეყნის} ~~საზღვარს~~ ^{საზღვარს} თვისება აქვს, მას არ ეშინია სხვა ერის ლიტერატურა გაითავისოს, გამდიდრდეს და ხსენდება ალბათ იმიტომ, რომ ქვეყნის რომელიმე კუთხეში გაჩენილი იდეა, თუ იგი ჭეშმარიტია, უველა ქვეყნის ჭეშმარიტებად უნდა იქცეს, უცხო ქვეყანაში გაჩენილი მშვენიერება, სილამაზე, ხიყვარული, ერთგულება უველა ქვეყნის, მთელი მსოფლიოს გრძნობად უნდა არსებობდეს. ამ დიდი შეგნების აღსრულება კი მთარგმნელებს ეკისრებათ, ადამიანებს, რომელთაც უველაზე მძიმე და უმადური სამუშაო ხვდათ წილად, რომელთაც უფასებდნენ და უფრო ხშირად არც უფასებდნენ შრომას, მათ საქმეს ხან მწერლობაზე რთულ საქმედ თვლიდნენ, ხან კი უნიჭო მწერლებს უწოდებდნენ და წყალში უჯრიდნენ ნაოფლარს.

როცა ამ თემაზე საუბრისას ევგენი ევტუშენკოს შეკითხვა დავუსვი — „რა განსხვავებაა მწერალსა და მთარგმნელს შორის-მეთქი“ — იგი დაფიქრდა და მიპასუხა: „იცით რაშია საქმე, რა თქმა უნდა, შეიძლება ითქვას, რომ განსხვავება ისეთივეა როგორც კომპოზიტორსა და შემსრულებელს შორის, მაგრამ სწორი არც ეს არის, მე დარწმუნებული ვარ, თუ მთარგმნელს არ გააჩნია თანდაყოლილი ნიჭი, იგი ვერ შეძლებს ლიტერატურული ნაწარმოების თარგმნას, განსაკუთრებით კი პოეზიისას, ასე რომ, თუ მთარგმნელს ჭეშმარიტი ლიტერატურული ტალანტი არ გააჩნია მან შეიძლება მხოლოდ ტექნიკურ თარგმანს მოჰკიდოს ხელი, არავითარ შემთხვევაში მხატვრულს. მთარგმნელს, ისევე როგორც მწერალს, უნდა მქონდეს სიტყვის შეგრძნების თანდაყოლილი გრძნობა“.

— რა როლს ანიჭებთ მთარგმნელის ალღოს, ინსტინქტს და შეიძლება თუ არა მთარგმნელი მხოლოდ მას დაეყრდნოს?

— კოლოსალურს, რადგან ინსტინქტი მეორადი თვისებაა, შეიძლება პირველიც კი, და რაბან ვამბობ ინსტინქტი და ალღო პირველი თუ არა, ერთ-ერთი უმთავრესი თვისებებია-მეთქი, მაშინ, რა თქმა უნდა, მასზე დაყრდნობაც შეიძლება, ოღონდ „მხოლოდ მასზე“ არა, რადგან ინსტინქტს ცოდნის გარეშე შეუძლია მთარგმნელი ჩიხში მოამწყვდიოს.

— ბატონო ევგენი, ლექსი ხომ ოდითგანვე უთარგმნელ ფენომენად იყო მიჩნეული, იყო აზრი, რომ ლექსი საერთოდ არ ეთარგმნათ, ლექსის თარგმნა ლექსადვე შეუძლებელია, ლექსი პროზად ვთარგმნოთო, ნუ ჩავთვლით ხაჭიროდ ორიგინალის უველა დეტალის გადმოტანას, ვლადიმერ პოლტავეცი თავის სტატიაში თარგმანის შესახებ ამბობდა: *Непереводимых стихов нет, есть непереуведенные, как замок, к которому не подобрали ключа*, ნიკოლოზ ზაბოლოცკი კი წერდა: «Говорят, что стихи непереуводимы, неправда, нельзя перевести на другой язык версификацию стиха, по душу стиха, то, ради чего он создан — можно перевести на любой язык мира, ибо поэты мира пользуются одним и тем же инструментом разума и сердца».

ალბათ, მართლაც ლექსის „სულია“ იმ ტაძრის გასაღები, რომელსაც მიხედრა და ჩაწვდომა სჭირდება, თქვენ რა მიგაჩნიათ მთარგმნელის უველაზე დიდ სირთულედ?

«Самой большой сложностью переводчика я считаю — это сохранить запах оригинала, ибо слово оно не только звучит, а у слова всегда бывает запах».

— მთარგმნელი, ალბათ, უცხო ენის განსაკუთრებულობას არ უნდა გამოეყიდოს, არც საწომის კალკირება მიიუვანს მას გამარჯვებამდე, როგორ ფიქრობთ, უოველთვის შესაძლებელია თარგმნა?

— ეს ძალიან რთული საკითხია. არსებობს ისეთი გამოთქმები, სიტყვები, რომელთაც ძალიან ძნელია მოუძებნო ეკვივალენტი, მაგალითად, ინგლისურ ენაში არსებობს სიტყვა *bechseatdriver*, шофер заднего сидения, ანუ ადამიანი, რომელიც მანქანაში უკანა სკამზე ზის და მძღოლს თავს აბეჭრებს რჩევა-დარიგებებით. ეს გამოთქმა ძალიან ფართო მნიშვნელობისაა, ეს არის ადამიანი, რომელიც აუცილებლად ჰყოფს ცხვირს სხვის საქმეში — ამ გამოთქმას მეტაფორული მნიშვნელობა აქვს, რუსულ ენაში კი, როგორც არ უნდა ვეცადოთ, ეს სიტყვა ვერ მოიპოვებს ასეთ მნიშვნელობას. მაგრამ მე ვფიქრობ, თუ ცალკეული სიტყვების თარგმნა შეუძლებელია, შეიძლება მოძებნო ეკვივალენტი და რადგან მე დარწმუნებული

ვარ, რომ არ არსებობს უღამაზო, ღარიბი ენა, საკუთარი ენის დახვეწილი, სკრუპულოზური, ნოდო ორიგინალის ენის კარგი ცოდნის შემთხვევაში, მაინც შეიძლება უკველვად გამოთქმის, რაღაც მხატვრული ეკვივალენტის პოვნა.

რუსულ ენაში არსებობს გამოთქმა „Пирог чужому рту всегда ~~სუფიქსების~~ სუფიქსები კი ამბობენ „მეზობლის ენაში ბალახი უკველთვის უფრო მწვანეა“ [სუფიქსები] [სუფიქსები] კი მთარგმნელისთვის იდეალურია ორივე ენის ცოდნა. თუმცა იციო რა, ეს იდეალური შემთხვევაა, მაგრამ ამ მხრივ პოეზიაში არის გადახრები. ჩვენ უცხოთ ქართულიდან რუსულად თარგმნის შემთხვევები, როცა რუსმა პოეტებმა არ იცოდნენ ქართული, თარგმანები კი მშვენიერია, მაგრამ ასეთ შემთხვევაში პოეტებს მაშინ გამოსდიოდათ თარგმანი, როცა ისინი კარგად იცნობდნენ ქართულ ტრადიციებს, საქართველოს ისტორიას. ფეხი დაუდგამთ ამ მიწაზე. ხშირად მიწის, ტრადიციების ცოდნა. ცალკეულ პირებთან მეგობრობა რამდენაღმე მაინც ცვლის ენის ცოდნის აუცილებლობას. მაგრამ ვიმეორებ, იდეალური პირობაა ორივე ენის ცოდნა. აქ კი კიდევ ერთი ახალი ხირთული ჩნდება. ხშირად ძნელი წარმოსადგენია ესა თუ ის ლექსი სხვა ენაზე. მოგიყვანთ ერთ მაგალითს — ლათინურ ამერიკაში უოტინსას (მე უველაზე უკეთ ესპანური ენა ვიცი, თუმცა ამ ენიდან არაფერი მითარგმნია) ესპანურ ენაზე ლექსი დავწერო, შემდეგ კი ვეცადე იგი რუსულად მეთარგმნა, და წარმოიდგინეთ, მიუხედავად იმისა, რომ მე ვიყავი უველაურის ბატონ-პატრონი და შემეძლო უველანაირი თავისუფლება მიმეცა საკუთარი თავისთვის, არაფერა არ გამომივიდა. რადგან, როცა მე ვწერდი, ვწერდი ლათინურ ამერიკაში, კონკრეტულ პირობებში, ვფიქრობდი ესპანურად და საკუთარი აზრების რუსულად ჩამოყალიბება, როცა რუსული, რა თქმა უნდა უკეთ ვიცი ვიდრე ესპანური, შეუძლებელი შეიქნა. ცალკეულ სიტუებზე თუ არ ვილაპარაკებთ, მაშინ უნდა ითქვას, რომ არსებობს ზოგიერთი ლექსი, რომელმაც თავისი პოპულარობა მუსიკალურობით მოიპოვა. ასეთი ლექსების თარგმნას, მუსიკალურობის გადმოცემის ცდის გარეშე აზრი არა აქვს. საერთოდ კი, ჩემი აზრით, მთავარია ემოციური სიზუსტე, ემოციურ სიზუსტეში ვგულისხმობთ იდეასაც, რადგან იდეა ემოციურობის გარეშე არ არსებობს.

უველა ენას თავისი განსაკუთრებული თვისებები აქვს, უველა ერის პოეზიას თავისი ტრადიციები, საზომისაც და აგებულებისაც, ამიტომ მთარგმნელისთვის ემოციისა და იდეის სიზუსტე მართლაც ძირითადი უნდა იყოს, უველაზე მთავარი კი ალბათ ის არის, რომ ლექსის მთარგმნელი პოეტი უნდა იყოს, რომელიც კი არ თარგმნის, არამედ ახლა, ამ წუთას, პირველად წერს ამ ლექსს, — თვლით თუ არა თქვენ, რომ საკმარისია იყო ნიჭიერი პოეტი იმისათვის, რომ მთარგმნელიც კარგი იყო?

— სულაც არა, რადგან ხანდახან ზოგიერთი ძალიან კარგი პოეტიც კი უველა მის თარგმანში საკუთარ თავს მკავს. ე. ი. მისი თარგმანი თავად მის ლექსებს. მე კი მაინც მგონია, რომ მთარგმნელის უველაზე დიდი გმირობაა, როცა იგი თმობს თავისას, რათა გადმოსცეს ორიგინალის ავტორის მიერ გამოხატული სილამაზე, ემოცია, იდეა, და ასე შემდეგ. მე ვიტყოდი, რომ ქართულიდან თარგმნილ ლექსებში პასტერნაკი პასტერნაკად რჩებოდა. ერთის მხრივ ესეც ძალიან ძვირფასია, იგი რაღაცნაირი, თავისებური, გაქართულებული, ძლიერ გაქართულებული პასტერნაკი იყო, მაგრამ როდესაც იგი თარგმნიდა შექსპირს ანდა გოეთეს, მაშინ იგი თმობდა, უკან იხევდა და საშუალებას აძლევდა მათ თავისებურად გამოეხატათ და ეთქვათ თავიანთი სათქმელი.

— მთარგმნელს ხან ორიგინალის ავტორის მონას უწოდებენ, ხან კი მეტოქეს, თქვენ როგორ თვლით?

— მე ვფიქრობ მონობისა და მეტოქეობის შერწყმა იდეალური ვარიანტია.

— ხომ არსებობს მთარგმნელისა და ავტორის შეხების წერტილი, ის, რის გამოც მთარგმნელი ირჩევს ამა თუ იმ ნაწარმოებებს?

— შეხების წერტილი? — რა თქმა უნდა, ეს მაშინ ხდება, როცა სტრიქონს შეუძლია აატროს მთარგმნელი, აგრძნობინოს ლექსი, როცა პოეტი სხვა ენაზე გამოთქმულ აღსარებას თავის აღსარებად მიიჩნევს. მთარგმნელმა არასოდეს არ უნდა თარგმნოს ვიღაცის ხათრით, ზრდილობის გულისთვის. იციო, რა არის უველაზე მთავარი? თუ მწერალმა მხოლოდ, იმ შემთხვევაში უნდა წეროს, როცა არ შეუძლია არ დაწეროს, მთარგმნელმაც მხოლოდ მაშინ უნდა თარგმნოს, როცა არ შეუძლია არ თარგმნოს, არასდროს არ უნდა მისცეს თავს უფლება

თარგმნოს ის, რაც არ უყვარს, არ მოსწონს. ხათრის ამგვარი გაგება საერთოდ უნდა აღმოიფხვრას ლიტერატურაში.

— ბატონო ევგენი, თქვენ რის მიხედვით ირჩევთ სათარგმნ ავტორს?

— მე უველაზე უფრო იმ ავტორის თარგმნა მსიამოვნებს, რომელიც სრულიად არ მგავს მე, მაგალითად ო. კელიძე. ჩვენ აბსოლუტურად განსხვავებული, ორი სხვადასხვა პოლუსის პოეტები ვართ. მე საოცარ სიამოვნებას მგვრის ის მომენტი, როცა რუსულად ვწერ ჩემი სტილისგან სრულიად განსხვავებულ ლექსს.

— ვინ არის თქვენი საყვარელი პოეტი, რომელიც თქვენ გითარგმნიათ?

— ძალიან რთული შეკითხვაა, და მაინც გავბედავ და ვიტყვი, რომ როცა რუსთაველის „ავთანდილის ანდერძს“ ვთარგმნიდი, ვგრძნობდი, თუ რა კოლოსალური სიძლიერის მეტოქესთან მქონდა საქმე. ამიტომ ის დიდი სიხარულისა და ბედნიერების გრძნობა, რომელიც თარგმნისას მეუფლებოდა, შეიშარევი იყო.

— როგორ გგონიათ, შეიძლება თუ არა ისწავლო ლექსის წერა ან თარგმნა და შეიძლება თუ არა მათ ჭეშმარიტი პოეზია ან თარგმანი ვუწოდოთ?

— შეიძლება, ოღონდ თუ არსებობს თანდაყოლილი ტალანტი. მე ვფიქრობ, სწორედაც რომ საჭიროა სკოლა, კარგი რჩევა, ადამიანი, რომელიც მოგებმარება, მაგრამ თუ შენში პოეტური ტალანტი არ არსებობს, მაშინ არაფერი გამოვა, ვერანაირი ოსტატი ვერ დაგებმარება. მე ძალიან მიყვარს მუსიკა, მაგრამ ყოველ დღე მუსიკაში რიტერმაც რომ მაშეცადინოს, ჩემგან — მეორე რიტერი მაინც არ გამოვა.

XVII საუკუნის ფრანგი მოღვაწე დეტილი ამბობს:

«Каждый, кто взялся за перевод, берет на себя долг и обязан выплатить его если не той же монетой, то в той же сумме».

— რას იტყვით თავისუფალი თარგმანის შესახებ?

— უველაზე ხშირად მე ქართულ პოეზიას ვთარგმნი, თავიდან ლამაზად, ძალიან თავისუფლად ვთარგმნიდი, მერე კი, როცა ერთხელ საკუთარი ლექსების ინგლისური თარგმანები წავიკითხე და საშინელ „თავისუფლებას“ წავაწყდი, „თავისუფლებას“, რომელიც ამახინჯებდა ჩემს აზრს, ამ საშინელმა, თავზარდამცემმა გამოცდილებამ მასწავლა და მიმახვედრა, როგორ შეუძლია გაანაწყენოს ავტორი მისი ლექსისადმი ოღნავ თავისუფლად მიდგომამაც კი და მას შემდეგ ვცდილობ, რაც შეიძლება ზუსტად ვთარგმნო, მაგრამ ამ სიზუსტით სხვა მარცხი განვიცადე — ჩემი თარგმანები ისეთი ეფექტური და ელეგანტური აღარ გამოდგა, როცა მაშინ, როცა თავს მეტ თავისუფლებას ვაძლევდი. მიუხედავად ამისა, ხშირად მაინც დიდ სიამოვნებას მანიჭებდა ის აზრი, რომ ბოლომდე გამოვხატავდი ავტორის სათქმელს.

— თქვენს პოეზიას უამრავ სხვა თვისებასთან ერთად ერთი უმნიშვნელოვანესი თვისებაც აქვს — მასში არ იგრძნობა სიყალბე და ხელოვნურობა, ყოველი ლექსის კითხვისას იგრძნობა, რომ ის რაზედაც წერთ, თავად გაქვთ განცდილი, თქვენი პოეზიისათვის უცხოა ჭერ არგანცდილი, ჭერ არნაგრძნობი ემოციის გამოხატვა. და მაინც საინტერესოა, თუ დაგინერიათ ოდესმე იმაზე, რაც არ იცით, არ გსმენიათ, არ გინახავთ ან არ განგიცდიათ?

— ძირითადად ბავშვობაში მომხვლია ასე. მაგრამ ეს მაშინ, როცა ჭერ კიდევ მეგონა, რომ ჩემი ცხოვრება უინტერესოა და ვიგონებდი ახალ ცხოვრებას. მერე, როცა გავიზარდე, უველაზე კარგი ლექსები ბავშვობაზე დავწერე, იმ პერიოდზე, რომელიც როდესაც უინტერესო მეჩვენებოდა.

— როგორ წერთ ლექსს, თავისით მოდის თუ ხანგრძლივი მუშაობის შედეგად?

— თავისით არაფერი არ იქმნება, საერთოდ შთაგონება მეტად საექვო სიტყვაა, თავისით არაფერი არ იბადება, მაშინაც კი, როცა აზრი ხაღდაც, როგორღაც, საიდანღაც ჩნდება, იგი მაინც ძალიან დიდ, გულდასმით დამუშავებას თხოულობს. მაგალითად, ფრანზ „Хотят ли русские войны“ წელიწად-ნახევარი მაწვალებდა თუმცა შეიძლება ერთ დღეში რამდენიმე ლექსი დაწერო და უველა კარგი გამოვიდეს. ისიც შეიძლება მოხდეს — წლების მანძილზე წერო ერთი ლექსი და არ ივარგოს. აქ წესები და კანონები არ არსებობს, ეს ის საიდუმლოებაა, რომელსაც თავად ხელოვანი ვერაფერს გაუგებს, რომლის წინაშეც უველა უძლიურია. ლექსის წერის საიდუმლოს შეცნობა რომ შეიძლებოდეს, მაშინ მათ დასაპროგრამებელი მანქანები დაწერდნენ, ხოლო ჭეშმარიტი შემოქმედება ის არის, რის დაპროგრამებაც არ შეიძლება.

აქ ჩემი შეკითხვები ამოიწურა, მაგრამ საუბრის დამთავრება მენანებოდა, და უცებ,

სრულიად მოულოდნელად პოეტის ადრეული ლექსები გამახსენდა, ლირიკული ლექსები, რომლებიც დიდი ხანია აღარ შესულა მის კრებულებში. ხშირად მიფიქრავ, რა არის ლირიკული ლექსი, ალბათ, ყველა პოეტს გაუჭირდება ფორმულის ჩამოყალიბება, მაგრამ, ალბათ, ყველა იტყვის, რომ ეს არის ინტიმური პოეზია, ყველაზე ახლობელი და მართალი პოეტისათვის და როცა სიტყვა ამ თემაზე ჩამოვაგდე, მითხრა: იცით, ხშირად შეკითხებიან, რატომ აღარ წერთ სიუვარულზეო. მაპატიეთ, მაგრამ არა მგონია, ^{წარმართული იყოს კაცი,} რომელსაც შეუძლია ყოველ დღე სიუვარულზე წეროს, იგი ან სულის უკიდურესად ან სიუვარულის იმიტაციას ქმნის. ეს გრძნობა ადამიანთან იშვიათად მოდის, ის კი, რომ აიძულო თავი და ლექსი დაწეროს, წარმოუდგენელია. პოეტს, რომელსაც ძალიან ბევრი ლირიკული ლექსი აქვს, არც სიუვარული შეუძლია ჭეშმარიტი და არც ლექსი აქვს ჭეშმარიტი.

— ბატონო ევგენი, იცით, თუკი ვისიმე ლექსი მომწონებია, ყოველთვის მიფიქრია: რომ შემძლებოდა, სწორედ ასე დავწერდი-შეთქი.

— დიახ — პოეტი ის კი არ არის, ვინც განიცდის, არამედ ის, ვისაც თანაგრძნობა შეუძლია — შიპასუხა, შერე კი დაუმატა: იცით, არსებობს ერთი ვითომ ლამაზი ფრაზა: «Никто никому ничего не должен». მე კი ვფიქრობ რომ «Все должны всем, но поэт особенно, стать поэтом — это мужество объявить себя должником». მოვალეობის გრძნობა ქვეყნის, ერის საზოგადოების, თითოეული მკითხველის წინაშე, მკითხველს სწორედ იმას განაცდევინებს, რაც შენ მითხარი, ყველა ჭეშმარიტი პოეტის სურვილიც ეს არის, რომ მკითხველმა მისი ლექსი თავისი გულის ამონათქვამად, სულის ნაწილად მიიჩნიოს.

თავისი ორტომეულის შესავალში ევგენი ევტუშენკო წერს.

Когда я пишу лирические стихи, мне всегда хочется, чтобы они были близки многим людям, как если бы они сами написали их. Когда работаю над вещами эпического характера, то стараюсь находить себя в тех людях, о которых пишу.

ყოველთვის დიდი და მძლავრია პოეტის შემოქმედება, პოეტური ძალა, როცა მას შეგნებული აქვს და სურს წეროს ხალხისთვის, ცდილობს ყოველი მისი სტრიქონი სულიერად ახლობელი იყოს მათთვის. ევგენი ევტუშენკო ყველა იმ თვისებების მატარებელია, რაც ჭეშმარიტ პოეტს უნდა გააჩნდეს, იმ თვისებებისა, რომლებიც თავისი ორტომეულის წინასიტყვაობაში აქვს ჩამოყალიბებული: „უპირველეს ყოვლისა, უნდა გქონდეს სინდისი, — წერს იგი, — მაგრამ ეს ცოტაა იმისათვის, რომ პოეტი იყო. საჭიროა გქონდეს ჰკუა, არც ეს არის საკმარისი, საჭიროა იყო გაბედული, არც ეს კმარა, საჭიროა გიყვარდეს არა მარტო შენი, არამედ სხვისი ლექსებიც და ბოლოს — უნდა წერდე კარგ ლექსებს, მაგრამ თუ ყველა ეს თვისება არ გააჩნია, რომელიც შემოთ ჩამოვთვალეთ, არც ეს კმარა, რომ პოეტი გახდე“.

«Поэта вне народа нет,
Как сына нет без отчей тени», —

წერს იგი და ეს მაღალი შეგნება პოეტისა და მისი დანიშნულებისა ქმნის ევგენი ევტუშენკოს ჭეშმარიტ პოეტად. მან იცის, რომ «Чтобы понять себя, народ и создает своих поэтов».

მან იცის, რომ პოეზია ერის თვითშეგნებაა, რომ პოეტი მულამ მის სამსახურში უნდა იდგეს.





ფრიდრიხ შილერის „მეამბიტი“ (ნაივური) და „სენტიმენტალური“;
„პირველსაწყისი“

„ველე თავის „ფაუსტს“ წერს...“
(ჰაინრიხ ჰაინე)

მე-18 საუკუნის 80-იანი წლების ლიტერატურული გერმანია და რომანტიკოსები გოეთეს რომ აუმხედრდნენ, რომანტიკოსთა არაორდინალურმა ნაწილმა რადიკალურად განსხვავებული პოზიცია დაიჭირა: ზოგადევროპული მასშტაბით, ალბათ, ბაირონის გახსენება გვმართებს, რომელმაც „სარდნაპალი“ მიუძღვნა თავის „უპირველეს სენიორს — გოეთეს — მოკრძალებული ვასალის“ ნობათად, ხოლო „საკუთრივ“ გერმანიაში, პ. კლაისტმა „პენტეზილა“ პირველად მას გაუგზავნა წასაკითხად და მიხწერა: „დაჩოქილი გულით გიგზავნითო“; ფრ. შოლდერლინი ისე გარდაიცვალა, რომ ვერანაირმა გარემოებამ ვერ შეძლო შეეძულებინა მისთვის მისი უპირველესი მრჩეველი, თუმცა არც ერთი მისი რჩევა არ გაუთვალისწინებია; ჰაინემ სიტყვაც არ დასძრა მის სააუგოდ; დიდ პოეტის პოზიციებიდან „მუდამ „ბიბლიური სიჭიუტით“ აღმერთებდა მას და მხოლოდ „პოლიტიკურ მრწამსსა“ თუ „სოციალურ მიდრეკილებებს“ უქილიკებდა, ისიც, როგორც ვაიმარის შერცოვის პირველ მინისტრსა თუ „ფონ გოეთეს“. ხოლო ასე ალბათ იმიტომაც ხდებოდა, რომ გოეთეს კადნიერი რომანტიკით აღბეჭდილი რეალიზმი, რომლისკენაც სავალი გზის სიძნელე უოველი მათგანისათვის გასაგები იყო გამორჩეულად ნიჭიერი შემოქმედის ინტუიციის წყალობით, დიდ რომანტიკოსთა აღმსარებლურ დამოკიდებულებას იწვევდა „ფაუსტის“ ავტორის მიმართ.

ეს აღმსარებლობა შილერმა დაიწყო.

„თქვენ ბუნების კანონებს ეძებთ, მაგრამ ეძებთ მას ურთულეს გზაზე, რომელსაც, დიან, ვერ შეუღგება კაცი, თუ თქვენოდენა ძალა არ შესწევს“, — მიხწერა გოეთეს.

როდესაც შილერსა და გოეთეს შორის მიმოწერა გაიმართა, პირველი ბარათები თავაზიანობის ფარგლებს არ გასცილებია. თუმცა ეს უფრო გოეთეზე ითქმის, იმიტომ, რომ შილერმა მეორე ბარათიდანვე (1784 წ. 28.VII) უკვე საოცარი გულაზდილობა გამოიჩინა, ისე გულწრფელად დაიწყო საკუთარი სულის გადაშლა და ისე არ უგრძვნია მოტენციური მეგობრის თვისებებით გამოწვეული აღტაცების მოთოკვის საჭიროება, რომ გოეთესათვის დამახასიათებელი დისტანციურობის მომლოდინე მკითხველს მტრული განცდაც კი უჩნდება „ცივი ოლიმპიელის“ მიმართ, ცხადია, მისი საპასუხო ბარათის წაკითხვამდე.

„...თქვენი სულის წვდომამ... უეცარი შუქი მოჰფინა მრავალ რასმე, რაზეც მანამდე ერთიანი აზრი არც მქონია. ჩემს სპეკულატურ იდეებს ობიექტი აკლდა, სხეული, თქვენ კი სწორ კვალზე დამაყენეთ. თქვენი დამკვირვებლური თვალი, ასე უდრტვინველად და უბიწოდ რომ ეხება საგნებს, იმის საფრთხეს არ გიქმნით, რომ გზას ასცდებით, მაშინ როცა სპეკულატურ ნატურას, მარტოოდენ საკუთარ თავს ადევნებული ფანტაზიის გამო, ადვილად ერევა გზა-კვალი.

თქვენს ინტუიციიაში ძვეს უოველივე, — და ამასთან, სრულყოფილიც, — რასაც ასე მონ-

დომებით ეძებს ანალიტიკოსი და, დიახაც იმიტომ, რომ იგი თქვენშია, როგორც ერთი რამ მთლიანი, ვერც ამჩნევთ საკუთარ საუნჯეს... თქვენი მსგავსი სულები იშვიათად ხვდებიან, რა შორს შეიჭრნენ და რა მცირე საბაბი აქვთ, ფილოსოფიისგან შეითვისონ რამე, მაშინ როცა ფილოსოფიას, სახელდობრ მათგან, ამგვარი ხულებისგან ძალუძს ისწავლოს ბევრი რამ... გაცემა ანალიტიკოსის საქმე არ არის; იგი ხელეწიფება მხოლოდ გენიოსს, რომელიც გაუცნობიერებლად, მაგრამ წმინდა გონების უტყუარი კარნახით, ობიექტურ კანონებზე დაყრდნობას უკველივს.

დიდი ხანია, თუმცაღა შორიდან, თვალაყურს ვადევნებ თქვენი სულის მოძრაობას, და აღტაცებით კვალში მოგდევთ იმ გზაზე, თქვენ რომ დასახეთ. ...ბუნება ერთ მთლიანობად გაინტერესებთ იმიტომ, რომ ცალკეულს მოჰფინოთ ნათელი, ინდივიდუუმის რაობის მიზეზს მისი უთვალავი გამოვლენის საყოველთაოობაში ეძებთ; მარტივიდან რთულისკენ მიემართებით, რათა ამათ შორის ურთულესი — ადამიანი აღმალლოთ. რადგან კაცს ბუნების ხატის ბადალად ქმნით, მისი იდუმალი მექანიკის წვდომას ელტვით. დიადი და ჭეშმარიტად გმირული იდეაა. რა თქმა უნდა, წინასწარ არ შეგეძლოთ გაგეთვალისწინებინათ, საკმარისია თუ არა მსგავსი მიზნისთვის თქვენი სიცოცხლე, მაგრამ ისიც კი, რომ თუნდაც დაადგე ამ გზას, ათასჯერ უფრო ღირებულა, ვიდრე ის, რომ სხვა რომელიმე ნებისმიერი გზა გაასრულო. და თქვენ იგი აირჩიეთ, — ეს გმირული გზა, — აირჩიეთ „ილიადას“ აქტივებით, ფთიასა და უკვდავებას შორის რომ იდგა. ბერძნად რომ შობილიყავით, ან თუნდაც მხოლოდ იტალიელად, აკვირდნოდით რომ გარემოცვით რჩეულ ბუნებასა და იდეალიზირებულ ხელოვნებას, მაშინ თქვენი სავალი უხასრულოდ შემოკლდებოდა და იქნება ზედმეტადაც ქცეულიყო, იმიტომ, რომ საგანთა პირველი ხილვისთანავე შესაბამის ფორმას მოარგებდით მათ და თქვენს პირველსავე ცდებში დიდებულ სტილს შექმნიდით. მაგრამ რაკი გერმანელად დაიბადეთ, რადგან თქვენმა ელინურმა სულმა ჩრდილოს სამყაროში დაივანა, სხვა არა დაგრჩენიათ რა, თუ არა ის, რომ ან თავად იქცეთ ჩრდილოეთის პოეტად, ანდა აზროვნების შემწეობით აზღვევინოთ თქვენი წარმოსახვის ძალას ის, რაც სინამდვილემ დაგაკლოთ. და ამგვარად, გონების გზით შექმნათ ელადა. ჭერაც იმხანად, როცა სული, ნაკლოვანი ხატებით გარშემორტყმული, გარესამყაროდან ქმნიდა თავის შინაგანს, — ჭერაც მაშინ სცანით თქვენად ველური ჩრდილოს ბუნება. მაგრამ ძლევამოსილმა, ყოველგვარ მატერიაზე მბრძანებლურად აღმატებულმა თქვენმა გენიამ შინაგანადვე შეიცნო ეს ნაკლი, გარედან კი, შეცნობილის უტყუარობაში, ბერძნული ბუნების ცოდნა შეგეწიათ. ეხლა კი გმართებთ, ის უარესი ბუნება, რომელმაც თქვენი წარმოდგენები გამოკვება. იმ უკეთესი ნიმუშის მიხედვით გაასწოროთ, თქვენმა შემოქმედებითმა სულმა რომ წარმოშვა. მაგრამ ეს მხოლოდ ლოგიკური მიმართულებაა, რომელსაც აზროვნების დროს უნდა უხმობდეს სული და იმ ესთეტიკურთანაა შეუთავსებელი, რომლის შემოვობითაც იგი ქმნის. ამდენად, თქვენ ერთით ზედმეტი სამუშაო გაგიჩნდათ, იმიტომ, რომ როგორც კი ინტუიციიდან აბსტრაქციაზე გადახვიდოდით, მაშინვე უნდა მოგეხმოთ ისევ ინტუიცია ცნების ნაცვლად და აზრები გრძნობებად გექციათ, რამეთუ გენიოსი მხოლოდ გრძნობით ქმნის.

დაახლოებით ასე შესახება თქვენი სულის მოძრაობა, მართალი ვარ თუ არა — თავად უკეთ იცოთ“...*

შილერმა სამუდამოდ მოინადირა გოეთეს გული; გოეთემ მაშინვე უპასუხა და გულახდილადაც ასეთი გულწრფელობა და ემოციების მოზღვაება გოეთეს იშვიათად სჩვევია; ეს აღმატება, — დიახ, საგანგებო და ესთეტიკური, — მას მხოლოდ საკუთარი პოეტური შედეგებისთვის ემეტება. შილერთან დაკავშირებით კი მიიჩნევს: „აღმატებულის მიმართ არ არსებობს არანაირი თავისუფლება, სიუვარულის გარდა“... ხოლო 1825 წელს ეკერმანს ეუბნება: „უველგან და ყოველთვის იმისგან სწავლობენ რამეს, ვინც უყვართ“, — და აქაც შილერი ფიგურირებს.

პირველსავე ბარათებში შილერმა თავისი სასიცოცხლო პრობლემა წამოჭრა, თავისი არსების პირველი ბგერა: რა თქმა უნდა — „იდეა“, და მაშინვე: „სპეკულატური“, „ინტუიტური“, „აშაღლებული“, „ესთეტიკური ხელოვნება“... ცოტა მოგვიანებით, როცა „ვილჰელმ მაისტერზე“ შთაბეჭდილებები მისწერა შეგობარს — „ესთეტიკური პიროვნება“, „არტიტული ნატურა“; — წამოჭრა უფაქიზესად, ღრმად და სინანულითაც აღაგაღაგ საკუთარი უუნარობის დაჩივლებით. მაგრამ ხაოცარი ის არის, რომ ამ წუხილს დიდ იმედად თუ აღტა-

* აქ და უველგან ციტატები თარგმნილია ავტორის მიერ.

ცხად ერწყმის იმის შეგნება, რომ, რაც თავად აკლია, აქვს მისთვის უძვირფასეს სულს, „ბატონ გოეთეს“.

„ჩემგან ნუ ელით რეალურ იდეათა სიუხვეს, ეს ისაა, რასაც მე ღქვენი ვძობ, — წერს შილერი (1794 წ. XI.VIII-ს), — ჩემი მოთხოვნილება და მისწრაფება ცოტახან ბევრი შევქმნა, ხოლო როცა შეიტყობთ, რა ღარიბი ვარ მოპოვებული ცოდნით, შეიძლება ჩათვალოთ, რომ მიზანს ზოგჯერ მაინც ვაღწევ. რადგან გონების ჩემის ~~სიღრმე~~ [მოკლეა, შეიძლება ხშირად ვადავავლო მას თვალი, საკუთარი მწირო ქონება კი ~~სიღრმე~~ [საშუალო. თქვენ ცდილობთ, რომ თქვენი დიდი იდეათა სამყარო გაამარტივოთ (ხადად, ნაივურად მოგვაწოდოთ, — *simplifizieren* — ლ. თ.) — მე მრავალფეროვნებას, ვარირებას ვეძებ ჩემი პატარა სამფლობელოსთვის. თქვენ მთელი სამეფო გაქვთ საბრძანისად, მე—მხოლოდ ცნებათა მრავალრიცხოვანი ოჯახი, რომლის პატარა სამყაროდ გავრცობა, სიმატლე გითხრათ, გულით მწადია. თქვენი სული იღვწის ინტუიტურად, უმაღლეს საფეხურზე... ადამიანისთვის იმაზე დიდი რა უნდა იყოს, ვიდრე ის, რომ საკუთარ შეხედულებათა განზოგადება და გრძნობათა სჭულად, კანონად ქცევა შეიძლოს. აქეთკენ მიისწრაფით თქვენ და რაოდენ მაღალ დონეზე აღწევთ მას; ჩემი გონება სიმბოლიზირებისკენ ილტვის და ამგვარად ვირყევი გაორებული, ლოგიკასა და ინტუიციას, წესსა და შეგრძნებას, ხელოვნებისადმი ტექნიკურ დამოკიდებულებასა და გენიოსს შორის. ეს იყო, განსაკუთრებით აღრეულ წლებში, უგერგილო, მოუქნელ იერს რომ მაძლევდა ფილოსოფიაშიც და პოეზიაშიც, რადგან იქ, ხადაც უნდა შეფილოსოფოსნა, ეპოეტობდი, ხოლო როცა ლექსის თხზვას მოვიწადინებდი, ვფილოსოფოსობდი. ახლაც ხშირად ხდება, რომ ჩემთა აბსტრაქციათა წარმოსახვის ძალა და ცივი განსჯა შემოქმედებას მიბრკოლებს. ხოლო თუ შევიძლებ და ამ ორ ძალას იმზომ დავიუფლებ, რომ თითოეულ მათგანს როგორც მინდა ისე მივუჩენ საზღვარს, მაშინ კიდევ უნდა ველოდე უკეთეს ხვედრს. მაგრამ, საუბედუროდ, მას შემდეგ, რაც საკუთარი მორალური ძალების სწორად შეცნობა და გამოყენება დავიწყე, ჩემს ფიზიკას ავადმყოფობა დაემუქრა. დიდი და საყოველთაო რევოლუციის ჩემშივე სრულქმნისათვის დრო აღარ მეყოფა, მაგრამ უველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლია და როცა ბოლოს და ბოლოს ეს რღვეული შენობა, ჩემი ფიზიკა რომ აქვია, თავზე დაშემშობა, შეიძლება ხანძრისგან ვიხსნა ის, რაც გადარჩენის ღირსია“.

„თქვენმა წერილმა კიდევ უფრო განმიმტკიცა რწმენა, — პასუხობს გოეთე 1794 წ. 8. X — რომ არსებით საგნებზე ჩვენ ერთნაირი ინტერესები გვაქვს და, თუმცა სხვადასხვა მხრიდან ვუყურებთ მათ, თანხვედებით კიდევაც ზოგ შემთხვევაში, იმისდა მიუხედავად, რომ თითოეული ჩვენგანი თავისი გზით მიდის. და რადგან ორივეს მხოლოდ ვსიამოვნებს მათ შესახებ საუბარი, — საკუთარი სიამოვნებისთვის დიახაც ძალგვიძს ვისაუბროთ.

თქვენი ბარათის დიდი ნაწილი არა მხოლოდ შეიცავს ჩემს აზრებსა და შეხედულებებს, არამედ ისე განავითარებს მათ, — მეც კი გამიჭირდებოდა, რომ მომენდომებინა...

...ნება მომეცით, ჩემის მხრივ, იმავე საზღვრებში დავრჩე, და იგივე პოზიცია დავიჭირო ძიებათა და კვლევის სფეროში, რაც ადრე მქონდა: ნება მომეცით, ჩემთვის ძველებურადვე ქანდაკება და მხატვრობა იყოს თავი და თავი იმ საკითხში, თუ როგორ უნდა ირჩებოდეს ხელოვანი, რათა მისი შემონაქმედის მხილველს აღმოსდეს: „იგი მშვენიერია“.

რაკი ორთავენი ვაღიარებთ, რომ ცოდნით არც კი ვიცით, ჭერაც არ ვიცით, ნათლად და მკაფიოდ ის, რის შესახებაც აგრერიგად განვხებით, არამედ მხოლოდ ვეძებთ; კი არ ვასწავლით ერთიმეორეს, არამედ ერთმანეთის შველაზე ვფიქრობთ და ვფიქრობთ გავაფრთხილოთ ერთიმეორე, ცალმხრივობისკენ არ მივიდრიკოთ, — ნება მომეცით, სავსებით დავივიწყო ხელოვნების სრულქმნილი ნიმუშები. და მოდით, იმისი განცდის უფლება მივცეთ საკუთარ თავს, როგორ წარმოიქმნება კარგი ხელოვანი, თავად რომ სრულქმნის თავის არსებას. ნება მომეცი მეც და შენს თავსაც მიეცი ნება, თვალყური ვადევნოთ: რანაირად დაიბადება ხელოვნების უმშვენიერესი ქმნილება ბადლად ბუნების ასევე მშვენიერი შემონაქმედისა, ენით უთქმელი სასწაულის წყალობით. ნება მომეცი, ჩემს ახსნა-განმარტებებში ხიტყვა „ხელოვნება“ ვახსენო სახვითი ხელოვნების, განსაკუთრებით სკულპტურისა და მხატვრობის მნიშვნელობით. ნება მომეცი ერთიც შევნიშნო: აქ ლაპარაკი იმაზე კი არ არის, რომ ახალი და უცნობი, ან გაუგონარი საგნები მოვიხსენიოთ. არამედ ისე წარმოვადგინოთ უკვე ნაცნობი, უკვე დიდი ხნის განხორციელებული, როგორც იგი ჩვენს ბუნებას ჩაეზარდა.

რამდენადაც პირველ რიგში კარგ ხელოვანთა აღზრდა გვწადია, ჩვენს მოწაფეებს მარტივი ბუნება უნდა შევთავაზოთ: თვალი, რომელიც ნათლად ხედავს საგნებს, სული, რომელიც

მიღრეკილია უყვარდეს ისინი; სელის მექანიკური მოძრაობა, რომელსაც უშუალოდ ძალუძს რალაც მახალაში იმის გადატანა, თვალთ რომ ხედავს. აქ ჩნდება კითხვა: როგორ განვითარებთ მათ, რათა ჩვენს მოლოდინზე აღმატება შეიძლოს — დამოუკიდებლად სრულქმნის მიჯნაზე. ლეონარდო და ვინჩი შესანიშნავი სიტყვებით იწვევს თავის ტრაქტატს სახვითი ხელოვნების შესახებ: „როცა მოწაფე ანატომიასა და პერსპექტივაში სრულქმნებზე, მან გენიოსი უნდა მოიძიოს ოხტატად“...

...ნება მომეცი მეც და საკუთარ თავსაც, რომ სიმკაცრე გამოვიჩინოთ და ნურც ერთ მოწაფეთაგანს ნურც ერთ საფეხურს ნუ დავუთმობთ იოლადა; დაე, თავად დაიმსახურონ, ხელოვანი, რომელიც ძალზე სწრაფად და იოლად მოექცა მწვერვალზე, იმ ადამიანს ჰგავს, იღბალმა რომ აამაღლა. მას არ ძალუძს თავისი მდგომარეობა შეიფეროს და ძალზე იშვიათად ქმნის მერკანტილურ საგანზე აღმატებულს“...

აქ ძნელი არ არის, შევნიშნოთ, როგორ ცდილობს გოეთე ემპირიულისკენ, „გრძნობად-კონკრეტულისკენ“ მოუწოდოს თავის მეგობარს, რათა აბსტრაქციებისკენ მისი მიღრეკილების გამო იმთავითვე ტაქტიანად გააფრთხილოს, სწორედაც გააფრთხილოს, და პირველ რიგში, როგორც გერმანელმა გერმანელი პოეტი, რომლის ფენომენს, ოდითგანვე და გენეტიკურად, ფილოსოფოსობისადმი საგანგებო მიღრეკილება დაეხედა.

მიღერი ხშირად წუხს საკუთარი სპეკულატურობის გამო, ხოლო მოსწონს და უყვარს მეგობრის სულის შემონაქმედი, ინტუიტური, მეამიტი. „ვერც გამოითქვამს, როგორ შტანჯავს იმის შეგრძნება, — წერს იგი გოეთეს „ვილჰელმ მაისტერის“ პირველ წიგნთან დაკავშირებით 1798 წ. 7.1-ს, — რომ ამ ნახიათის ნაწარმოებებიდან ფილოსოფიაზე უნდა გადავინაცვლო. აქ (ამ უაიდის ნაწარმოებში) უველაფერი ასე ხალასია, ასე ცოცხალი, ჰარმონიულად შერწყმული და ადამიანურად ქვეშაობიტი; იქ კი (ფილოსოფიურში) ასე მკაცრი, უღმობელი, აბსტრაქტული და საშინლად არაბუნებრივი, რამეთუ ნებისმიერი ბუნება სინთეზისია, ნებისმიერი ფილოსოფია კი ანტითეზისი... დიან, პოეტია ერთადერთი ქვეშაობიტი კაცი ამქვეყნად და საუკეთესო ფილოსოფოსიც კი მხოლოდ კარიკატურაა, მასთან შედარებით“.

„რატომ არის მეამიტი ასე მშვენიერი? იმიტომ, რომ მასში ბუნება სძლევეს ხელოვნურობასა და ოინბაზობას“, — წერს მიღერი კოერნერს, ხოლო გოეთესადმი ბარათში (1797 წლის 14 სექტემბრის) იმას უსაუვედურებს „ახალმოდის“ პოეტებს, რომ წარმოსახვის უნარს ძალას ატანენ, ემპირიას უტყვევენ და სინამდვილეს უგულვებელყოფენ. „იგი (ახალი დროის ხელოვანი), პოეტურ შინაარსს სდებს თავის ქმნილებაში, რომელიც მაინც ცარიელია და მწირი, რამეთუ მას სწორედ ის შინაარსი აკლია, საგნის სიღრმიდან რომ უნდა იყოს ამოზიდული“-ო.

(aus dem Tiefen des Gegenstandes geschöpft werden muss) — აღნიშნავს. Aus dem Tiefen des Gegenstandes geschöpft werden muss — ესაა, რითაც გოეთეს პოეტური სამყარო ჯადოსნური მაგნიტივით იზიდავდა მიღერს, აბსტრაქციებით ოდითგანვე გაწამებულს. ამას უწოდებს გოეთე „ობიექტური რეალობის სურათთა ამავე რეალობიდან ამოკითხვას“. ესაა, რაც თავად აკლდა მიღერს, ხოლო მოსწონდა და უყვარდა ძლევაშოსილი მეგობარში.

და ხდებოდა მაინც ისე, რომ მიღერი, საკუთარი ბუნებისა თუ შემოქმედებითი მანერის ერთგული, თავისი არსების შესაბამისად წერდა საკუთარ „ფაუსტს“, რაც თეორიულ ასპექტში უველაზე პროგრამულად, აღბათ, „მეამიტი და სენტემენტალური პოეზიის შესახებ“ ტრაქტატში გამოვლინდა, ხოლო მხატვრულს რაც შეეხება, — მთელს შემოქმედებაში, ცხადია, მეტ-ნაკლებად, ვთქვათ, უფრო მეტად ადრინდელში, ხოლო შედარებით ნაკლებ — კლასიკური პერიოდის შემონაქმედში, მაგალითად — „ვალენშტაინში“, რის შესახებაც არ დააყოვნა და ალაღად მისწერა კოერნერს: „წინათ... მაგალითად, პოზასა და კარლოსში, ვცდილობდი მშვენიერი იდეალით შემეცვალა სიმართლის ნაკლებობა, ახლა „ვალენშტაინში“ მსურს იდეალის (სენტემენტალურის) ნაკლებობა შეშველი სიმართლით ავანაზლაუროო“, და დასძენს: „რამდენი რამ აღზარდა ჩემში გოეთესთან განუწვევებელმა ურთიერთობამ-ო. მისთვის სასაცილო პრობლემების რთულ ლაბირინთში ორიენტირება აღბათ, არც ერთ ასპექტში ისე საინტერესო არ არის, როგორც გოეთესთან მიმართებით... უველაზე ცხოვლად კი ამ მიმართებამ, სხვა მრავალ საკითხთა შორის, თავი იჩინა რეპრეზენტატულ (წარმომადგენლობით) ცნებებში: „მეამიტი“ (ნაიფური), „სენტემენტალური“, „ურფენომენი“ ანუ „პირველსაწყისი“. სწორედ ეს ცნებები წარმოაჩინენ მათ შორის განსხვავებას, ურთიერთშემცველობას თუ, როგორც თავად გოეთემ განსაზღვრა, ერთის მეორისაგან, სახელდობრ, სენტემენტალურის მეამიტისაგან, რომანტიკულის რეალისტურისაგან წარმომავლობას, თუმცა ეს აზრი გოეთესია და მასვე მიანიჭდა უმეტესად. თორემ მიღერისათვის იგი მიუღებელი იყო; რა თქმა უნდა, თავის „ფაუსტს“

წერდა — გოეთესაგან, მისი გაგებით, არსებითად განსხვავებულს — იმისდა მიუხედავად, რომ ესეც გულწრფელად მიხწერა: „თქვენი არსებობა სიცოცხლის პირობად შექცაო“.

საქმეც ესაა: ამ აღმატებული პიროვნებების შემონაქმედში ხწორბაზობრივი არაფერია. შილერისათვის მისი მეგობარი მუდამ იყო მარადიული ხწრაფვის, დაუძლეველობის და, ამდენად, რა თქმა უნდა, გადაულახავი განცდის ფენომენიც. „გოეთესთან, ხწირს ურთიერთობა უბედურებად შექცეოდა“, — წერს ერთ ბარათში, — „მისი გონება მთელი არსებით მიუყვარს და მეტიხმეტად მაღლაც ვაყენებ. გოეთემ სიყვარულისა და მძულვარების რალაცხაირი ნაწავი აღძრა ჩემში, გრძნობა, რასაც დაახლოებით ბრუტუსი და კასიუსი განიცდიდნენ კეისრის მიმართ; მე შემოძლია, მისი გონება მოვაკვდინო და მერე ისევ მთელი არსებით შევიყვარო“.

ამ წინააღმდეგობის სულით არის აღბეჭდილი მისი ტრაქტატი „მეამიტი და სენტიმენტალური პოეზიის შესახებ“^{*}. იგი გოეთესთან ხილულ თუ უხილავ პოლემიკაში დაიწერა, რაც არც გოეთეს დარჩენია აღუნიშნავი...

...თომას მანი წერს: „გადავწყვიტე მკრებელური აზრი გამოვთქვა: შილერს აქაც თავისი იდეალური შთანაფიქრი მქონდა; მოეპოვებინა აღმატებული ადგილი გოეთეს გვერდით“.

რა თქმა უნდა, შილერი თავის „ფაუსტს“ წერდა...

„უქვიც არ შეპარება, — წერს ერთ ბარათში ჰუმბოლდტს, — რომ გზა, რომელსაც შევუდევო, გოეთეს მიერ მოპოვებულ საუფლოში მიმიძღვება და მასთან შედარების გამოცდასაც როგორმე უნდა გავუძლო. ისიც აშკარაა, რომ ეს შედარება არ იქნება ჩემთვის სასარგებლო. მაგრამ რამდენადაც მეცა მაქვს რაღაც საკუთარი“^{**}, მისთვის მიუღწეველი, ამდენად, მისი უპირატესობა არ დაგვაზარალებს არც მე და არც ჩემს შემონაქმედს, და ვიბედოვნებ, რომ ნაწილობრივ მაინც ვიქნებით ბარიბარს. ჩემი მხნეობის ყველაზე სასურველ წუთებში საკუთარ თავს ვეუბნები, რომ ჩვენ სხვადასხვაგვარად შეგვაფასებენ, ჩვენს შემონაქმედს ერთი-მეორეს არ დაუქვემდებარებენ, არამედ შეუპირისპირებენ მათ უმაღლესი საზომის გაგებით“...

შილერი „მეამიტი“ ანუ რეალიზტურ, კლასიკურ პოეზიას უმთავრესად ანტიკური ხანისათვის მიიჩნევს ნიშნულად, როცა სინამდვილე და იდეალი განუყოფელი იყო; სენტიმენტალური ანუ რომანტიკულს კი — თანამედროვეობისთვის, როცა ღრმა უფსკრული ჩაწოლილა სინამდვილესა და იდეალს შორის და, ამდენად, დღეს პოეტს ისღა ძალუძს, რომ იდეალში მოიძიოს ეს ერთიანობა. „იდეალამდე ამაღლოს მანკიერი სინამდვილე“. ამ პოზიციიდან შილერი გოეთეს თვლის მეამიტი პოეტად, ცხადია, — ანტიკური სამყაროს წარმომადგენლებთან და შექსპირთან ერთად, ხოლო საკუთარ თავს — სენტიმენტალურ, რომანტიკულ შემოქმედად მიიჩნევს.

„სენტიმენტალური პოეზია განდგომილებასა და სიწყნარეშია შობილი, და ამისკენაც მოგვიბმობს“, — წერს იგი — „მეამიტი პოეზია კი — ცხოვრების პირმშოა და ცხოვრებაშივე გვაბრუნებს. ჰოდა, აქ ერთი საშიშროებაა: მდაბალ სინამდვილესთან მიახლოება. ყველაზე საწიზღარი ის არის, როცა უნიჭო მიმბაძველიც ცდილობს ბედი სცადოს პოეტურ სარბიელზე, და ამას უფრო ნაივური პოეზია აბედვინებს, ვიდრე სენტიმენტალური“. ხოლო ამის მიზეზს ამგვარად ხსნის შილერი: „იდეებამდე ამაღლება ყველას საქმე როდია; მეამიტი პოეზია კი ისეთ რწმენას უქმნის მათ, თითქოს მარტოოდენ გრძნობა, იუმორი და ნამდვილი ბუნების მიბაძვა კმაროდეს, რომ პოეტი გაბდე“... „ჰოდა, არაფერი ისე საწიზღარი არ არის“, — დასძენს იგი, — „როგორც ბანალური ხასიათი, რომელსაც აზრად მოუვა, გულმისავალი და მეამიტი გაბდეს“.

შილერი აქ, რა თქმა უნდა, მთელი არსებით „სენტიმენტალური პოეტის“ მხარეზეა; იმას ექცევა რუდუნებით და აღბათ, გარკვეულწილად, თვითშენახვის პრინციპითაც: „იდეებამდე ამაღლება ყველას საქმე არ არის“! ოღონდ ამას ისე სჩადის, რომ ვერ იტყვი, „მეამიტი“ ენეტებაო; იმის ღირსებასაც უფრთხილდება; ცნობილია, რა აშკარა საყვედურით შეუტია მან

* თარგმანი კ. შორჯანელისა.

** ეს „საკუთარი“, როგორც ტრაქტატიდან ჩანს, ილბათ და პირველ რიგში, სენტიმენტალური პოეტის ამოცანისათვის დამახასიათებელი „უსასრულობაც“ არის. მაგრამ რაოდენ ღირებულია იგი ტემპორიტად მეამიტი (ვთქვათ, გოეთესებური) შემოქმედის ამოცანასთან შედარებით, რომლს შესახებ ლაპარაკიც კი ზედმეტია ე. წ. „პირველსაწყისისგან“ (ურფენომენისგან) მოწყვეტილად, — ესაა პრობლემა!

თავის ერთ სტატიაში გოტფრიდ აუგუსტ ბიურგერს, შეუთია სწორედ სენტიმენტალური ხელოვანის პოზიციიდან, მაგრამ „მეამიტის“ კრეშმარიტი არის დაცვის პათოზი, რაკი ვერ შეამჩნია მას ნაივური პოეტის ხილრმე და რანგი: „ბიურგერი იშვიათად ითქვიფება ხალხში, რომლის მიმართ შემწუნარებელი უნდა იყოს. იმის ნაცვლად, რომ სენტატურად, კრეშმარიტი ხელოვანისათვის ჩვეული შექცევითა და თამაშით აამაღლოს ხალხი საკუთარ დონემდე, იგი შესაძლებლად თვლის, თავი გაუყადროს მას“.

ეროვნული

აქ საგანგებოდ უნდა შევჩერდე (რამდენადღე მანც და რამდენადღე მანც!) ე. წ. „გრძნობათა გადაჭარბების“ შილერისეულ განცდაზე, რადგან იგი „ურფენომენის“ მისეულ გაგებას იმანენტურად უკავშირდება. აქედანვე ვიტყვი, აქ რას ვგულისხმობ, მერე — მიტნაკლებად განვავრცობ.

„ურფენომენი“ შილერისათვის კანტიანური იდეა (და არა ცდა, ემპირია — გოეთეს უაილაზე), „გადაჭარბებული გრძნობაც“ იდეიდან მოდის და იდეალისკენ მიემართება. არც ერთი და არც მეორე საგნის გრძნობად სიმართლეზე არ არის დამოკიდებული და ადამიანური ბუნების ფარგლებს მიღმა ძევს. „გადაჭარბებულ გრძნობას“ იმიტომ არ უწოდებს შილერი „წმინდად ადამიანურს“, რომ იდეალის საგანი აქ ხელოვნურია, გამოგონილი, დიახ. „გონების მიერ ცალმხრივად და ხელოვნურად გამომუშავებული და (მას) მარტოოდენ ლოგიკური რეალობა გააჩნია“... „ეს განცდა მხოლოდ საგნის გრძნობად სიმართლეზე რომ იყოს დამოკიდებული, მაშინ ასეთი აღმაფრენა აღარ ექნებოდაო“, — წერს.

„ყალბი არ გახლავთ ის, რასაც ელოია აბელიარისადში, პეტრარკა თავის ლაურასადში სენ-პრე თავის იულიასადში, ვერთერი ლოტესადში გრძნობს და რასაც აგათონი, ფანიასი, პერეგრინუს პროთეოსი (ვილანდისეულს ვგულისხმობ!) თავიანთი იდეალებისადში განიცდიან“, — წერს შილერი, — „გრძნობა აქ კრეშმარიტია, მხოლოდ საგანია ხელოვნური და ადამიანური ბუნების ფარგლებს მიღმა ძევს. მათი განცდა მარტოოდენ საგნის გრძნობად სიმართლეზე რომ იყოს დამოკიდებული, მაშინ ასეთი აღმაფრენა აღარ ექნებოდა და, პირიქით, მხოლოდ ფანტაზიის თვითნებური თამაში, რომელიც უოველგვარ შინაარსს იქნებოდა მოკლებული, ვერ შეძლებდა გულში ჩაგვწვდომოდა, უკეთუ გულს მარტოოდენ გონების მეშვეობით შეიძლება ჩავწვდეთ. ასე რომ, ეს გრძნობათა გადაჭარბება კრიტიკას იმსახურებს, მაგრამ უპატივცემულობას კი არა, და ვინც მას დასცინის, უმჯობესია, თავისი თავი შეამოწმოს: იქნებ უგულობის გამო ასე ჭკვიანი და უჭკუობის გამო — ესდენ გაგებული“.

ეხლა ისაა საკითხავი, როგორ გადაეხლართა ურთიეროს ეს წარმომადგენლობითი ცნებები: „მეამიტი“, „სენტიმენტალური“, „ურფენომენი“!

როგორ-და, მათზე ასე ერთად ყურადღების გამახვილება იმან შლიტანა, რომ შილერმა მეამიტი პოეტის ამოცანას შეზღუდული უწოდა. ხოლო მოხდა ეს იმიტომ, რომ შილერმა ე. წ. სინამდვილე, რომელშიც მეამიტ პოეტს უდგას ფესვი, „იდეალს ჩამორჩენილად“ და „საზღვარმიჩენილად“, „დასაზღვრულად“ გამოაცხადა. აქ კი ისე გამოვიდა, თითქოს მეამატ პოეტს, ვთქვათ, ამ შემთხვევაში გოეთეს, ეს რეალობა, სინამდვილე, რაღაც ზღვარდადებულ, რაღაც ფარგლებში გამომწვევდელ რამედ ესახებოდეს.

შილერი წერს: „თუ, ერთის მხრივ, მეამიტი პოეტი სენტიმენტალურს გონის რეალურობაში და ნამდვილ არსებობას ანიჭებს იმას, რისადშიც ამ უკანასკნელს მარტოოდენ ცხოველი მისწრაფებების აღძრა ძალუძს, მეორეს მხრივ, სენტიმენტალურ პოეტს მეამიტთან შედარებით ის დიდი უპირატესობა აქვს, რომ ამ მისწრაფებას უფრო დიადი საგანი შეიძლება დაუდოს საფუძვლად, ვიდრე მეამიტი პოეტი იქმოდა ამას, ანდა შეეძლო მოემოკმედნა. უოველგვარი სინამდვილე, როგორც ვიცით, ჩამორჩება იდეალს, უოველ არსებულს თავისი საზღვარი აქვს, მარტოოდენ აზრია უსაზღვრო. მოდა, იმ შემოფარგლულობას, რასაც უოველი გრძნობადი ექვემდებარება, მეამიტი პოეტისათვის მოაქვს ვნება, მაშინ როცა იდეათა ლალი ძლევაამოსილება სენტიმენტალურს ეხმარება. ამრიგად, პირველი (მეამიტი) თუმცა ასრულებს თავის ამოცანას. მაგრამ თავად ეს ამოცანაა შეზღუდული, მეორე კი, თუმცა მთლიანად ვერ ასრულებს თავისას, მაგრამ თავად ამოცანაა უსასრულობა“.

აქ ყველაფერი გასაგები იქნებოდა, გოეთეს რომ ისე ესმოდეს ეს ე. წ. „რეალობა“, „არსებული“, როგორც შილერი უყურებს მას, — მეამიტი პოეტის გარდასათქმელ რეალობას. აქ კი ისევ გოეთესეული „ურფენომენის“ სწორად გაგება თუ გვიხსნის:

„იგი („ეს ურფენომენი“ — ლათ.) გულისხმობს ამა თუ იმ რიგის საგანთა იმ ემპირიულ თვისებათა ერთობლიობას, რომელნიც მათ ზოგადგვარეობრივ სტრუქტურას, მათ ობიექტურ

არსს განსაზღვრავენ და ამდენად მათი სუვერენული მყოფობის წესად და ნორმად იქცევიან“.—
წერს ჰ. ზიბეცი.

მაგრამ გოეთე, აღიარებს რა „ურფენომენის“ ემპირიულ რეალობას, გადაჭრით უარყოფს მისი ემპირისტულად შეცნობის შესაძლებლობას. მისი აზრით, „ურფენომენის“ შესაცნობად არ ემარა პრაქტიკული, ცხოვრებაში მოქმედი განსჯა (Verstand) და აუსტრუბელისა „ღვთაებრივს“, ე. ი. ყოფიერების შემოქმედებით არსს ზიარებული „უმაღლესი გონება“ (höchste vernunft), ბევრი რამის, ანუ ყოფიერების მთელი მრავალფეროვნების მწვდომელი „პროდუქტიული სული“ produktiver Geist), ვინაიდან იგი, ურფენომენი, „ათა: სხვადასხვანაირად განპირობებულ მოვლენებშია დაფარული და, ამდენად, ისევე მრავალფეროვანია, როგორც ბუნება“ (ო. ჭინორია). ხოლო, თავის მხრივ, და რაც უმთავრესია, ამ ბუნების, რეალობისა თუ კონსიურის მთლიანობის პირველსაწყისი გოეთეს სრულიად არ ესახება „მზამზარეულ“, მხოლოდ მისაკვლევ ან საპოვნელ რამედ ან ვინმედ. იგი არის „მარად ქმნადი“, (immer werdende — ჰ. კორფი), რომელიც განუწყვეტელ მეტამორფოზას განიცდის, ზეაღმავალია. და არანაირი პოტენციური თუ სიმბოლური სინამდვილე, პოეტის წინათგრძნობაში (in Vorgefühl) დანახული, მათ შორის არც ე. წ. „მშვენიერი წაში“, არ წარმოადგენს საბოლოო მიჯნას. ისიც პოტენციურია და გოეთეს შემოქმედებითი პრინციპის — „დაპირისპირებისა და ზეაღსვლის“ შესაბამისად, დაუსრულებელი ქმნადობის უნარით აღბეჭდილ მარად ახალ სინამდვილეს ედება საფუძვლად.

„ურფენომენთან“ დაკავშირებულ შილერთან შეკამათებას, რომელიც მათი გაცნობის თანავე მოხდა, ასე გადმოგვცემს გოეთე: „მის სახლამდე მივედი, საუბარმა მასთან შემიტყუა, იქ გატაცებით დავუწუე მას მცენარეთა მეტამორფოზის გადმოცემა და კალმის რამდენიმე დამახასიათებელი შტრიხით მოვუხაზე სიმბოლური მცენარე (ე. ი. მცენარეთა ურფენომენი). იგი დიდი ინტერესით და უთუო გაგებით უსმენდა და უცქეროდა ყოველივე ამას, მაგრამ, როცა მოვრჩი, თავი გააქნია და მითხრა: „ეს ცდა როდია, ეს იდეა“ (Das ist keine Erfahrung, das ist eine Idee). მე შეეცბი, ცოტათი განაწყენებული, რადგანაც ეს სიტყვები უზუსტესად ადგენდნენ იმ პუნქტს, რომელიც ჩვენ გვეყოფდა... ის იყო, ძველმა ბრაზმა გამოხსენა, მაგრამ თავი შევიკავე და მივუგე: „მხოლოდ უნდა მესია მოვინო, რომ უმეტრად მქონია იდეები და მათ თვალთაც კი ვხედავ“...

დასკვნის სახით კი, აღბათ, ისევ გოეთეს უნდა მივმართო:

„სამწუხაროა, რომ ამ გამორჩეულად ნიჭიერმა კაცმა, — ეუბნება გოეთე ეკერმანს — თავი გაიწამა და დაიღრღნა ფილოსოფიით, რაც მისთვის სრულიად ურგები რამ იყო“. და იქვე განავრძობს, უბრუნდება რა ისევ და ისევ შილერის „მეამბიტსა“ და „სენტიმენტალურს“:

„სიმბოლდტმა შინ მომიტანა შილერის წერილები, რომლებიც მან გონებრივ განსჯათა მისთვის უკეთურ პერიოდში დაწერა. აქ ჩანს, როგორ გაიხარჯა იგი მთელი ძალით, რათა სენტიმენტალური პოეზია ხავსებით გაეშიჯნა მეამბიტურისაგან. მაგრამ ვერანაირი საფუძველი ვერ მოუძებნა ამ რანგის პოეზიას (სენტიმენტალურს — ლ. თ.) და განიცდიდა ენით უთქმელ ძრწოლვას; შფოთავდა, თითქოს და“, — ღიმილით დასძენს გოეთე, — „სენტიმენტალურ პოეზიას შეეძლოს იმ მეამბიტი ნიადაგის გარეშე არსებობა, რომლისგანაც თავად არის ამოზრდილი“.

„ეს ღიმილი“ — განგვიმარტავს თომას მანი, — „სიბრძნის ღიმილია, ბავშვის ახირებას რომ შესცქერის სიყვარულით“, რადგან გოეთესხვე თქმათ — „აღმატებულის მიმართ არ არსებობს არანაირი თავისუფლება, სიყვარულის გარდა“.

„შილერის გარდაცვალების შემდეგ“, — წერს თომას მანი — „გოეთეს იმად ექცა მეგობარი, რაც თავად არასოდეს ყოფილა მისთვის — რაღაც წმინდათაწმინდად“, ხოლო შემდეგ დასძენს: როცა ერთხელ გოეთეს შესჩივლეს, შილერის კითხვა მოსაწყენიანო, — მან მიუგო: „თქვენ შეტისმეტად არარაობანი, შეტისმეტად მიწიერნი ხართ საიმისოდ, რომ შილერი იკითხოთ“.

თარგმნა ქეთევან ჯორჯიანი

XVIII-XIX საუკუნეების იაპონური ბრაკონი

ძლიერი ხელოვნების ისტორიაში იაპონური ფერადი ქსილოგრაფია (ხის გრაფიკა) უნიკალური მოვლენაა. მის ტექნიკას იაპონელები ჩინეთს დაესესხნენ. იაპონიაში ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან იბეჭდებოდა პატარა ზომის ბუდისტური ხატები და ავგაროები, მაგრამ ეს ნიმუშები ხელოსნური ხასიათისა იყო. გრაფიკა ხელოვნების დამოუკიდებელ სახედ ჩამოყალიბდა შუა საუკუნეების იაპონიის ისტორიის ბოლო ეტაპზე — ტოკუგავას (1603-1868) პერიოდში. ეს ხანა ახალი ქალაქური კულტურის ჩამოყალიბებით ხასიათდება, და, გამოხატავდა რა მესამე და მეოთხე წოდების ექსპანსიას და ხელოსანთა გემოვნებას, სულ უფრო დიდ როლს ასრულებდა ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში. XVII-XIX ს. ს. ხელოვნებაში ჩნდება ახალი სტილი — უკიიო, რომელიც უფრო ნათლად გრაფიკაში გამოვლინდა. ტერმინი უკიიო (სიტყვა-სიტყვით — ცურვადი ხაზი) უძველესია და წარმოშობით ბუდისტურ წარმოდგენებს უკავშირდება. ბუდიზმის კონტექსტში ის საწუთროდაა გაგებული, „არა ნამდვილ“ სამყაროდ. ამ ფილოსოფიურმა ტერმინმა მოგვიანებით სხვა ელფერი მიიღო და „უძველესი ცხოვრების სამყაროდ“ იქცა. ტოკუგავას პერიოდის ქალაქურ კულტურაში სიტყვა „უკიიო“ ნიშნავდა სიამოვნებისა და გართობის, უზრუნველი ცხოვრებისა და მიწიერი ტკბობის სამყაროს. ამიტომაც უკიიოს გრაფიკების მთავარ თემად ე. წ. მხიარული უბნების ლამაზმანთა გამოსახულებანი იქცა.

XVII-XIX სს. იაპონია წარმოადგენდა პოლიციურ სახელმწიფოს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. იაპონელის ხოციალური და პირადი ცხოვრების ყველა მხარე შეკაცრად იყო რეგლამენტირებული. ქვეყნის ასეთი შიდაპოლიტიკური მდგომარეობის გამო ამ დროის იაპონელთა ცხოვრებაში „მხიარული უბნები“ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. სწორედ ეს უბნები გადაიქცა სასურველ თავშესაფარად, სადაც მოქალაქენი დროებით მაინც გრძნობდნენ თავს. აქ მოდიოდნენ კაბუკის თეატრის წარმოდგენების ხანაზავად, კომერციული გარიგებისა და, რა თქმა უნდა, საჩაიების იმ ბინადართა ნახვის სურვილით, რომლებიც განთქმულნი იყვნენ არა მარტო სილამაზით, არამედ განათლებით, ნატიფი გემოვნებითა და დახვეწილი ქცევით. ამიტომაც უკიიოს გრაფიკებისათვის ძირითადი გახდა „ბიძინბას“ (ლამაზმანთა გამოსახულება) თანრი.

გრაფიკის ისტორიის სიმწიფის ხანაში თითქმის ასეთივე პოპულარობით სარგებლობდა სხვა თანრიებიც: „იბატსინბა“ (თეატრალური გრაფიკა), „მუსინბა“ (ისტორიულ-ბეროიკული თანრი), „პატინბა“ (უვაილთა და ფრინველთა გამოსახულებანი) და ყველაზე ბოლოს წარმოქმნილი „ფუკიი“ (პეიზაჟი).

გრაფიკის ისტორიის პირველ პერიოდს უწოდებენ მონოკრომულს: ფირფიტადან მხოლოდ კონტური იბეჭდებოდა, რომელიც ხშირად ფერადდებოდა. XVII საუკუნეს გრაფიკის ისტორიაში უწოდებენ პრიმიტივების ეპოქას, რაც მთლად სწორი არ უნდა იყოს. ნა-

ხატის სიზუსტე, კოშკების გამომსახველობა, ოხტატური სტილიზაცია არ გვაძლევს უფლებას „პრაქტიკები“ ვუწოდოთ მონოქრომული პერიოდის მხატვრებს. ეს კრავიურები გააღარობა მხოლოდ უხეშმა, ერთფეროვანმა შედეგებმა. XVIII საუკუნის შუაწლებიდან გრავიურის შემდგომი განვითარება უკავშირდება კოლიქრომული ბეჭდვის დანერგვას.

კოლიქრომული ფურცლის შექმნაში, როგორც წესი, მონაწილეობას იღებდა გამოცემელი, მხატვარი, გამომკრელი და მბეჭდავი. გამოცემლის ფუნქცია მარტივად აღიარებოდა მხოლოდ ადმინისტრაციული საქმიანობით. იგი ოხტატს სთავაზობდა ან ხერხის სიუჟეტს, შემხრულებლებს არჩევდა და გახაყილად ამზადებდა დაბეჭდილ ნიმუშებს. გრავიურის წარმატება ბევრად იყო დამოკიდებული მის გემოვნებასა და გამკრიახობაზე. მხატვარი ასრულებდა მომავალი ანაბეჭდის მხოლოდ ესკიზს, ქალაქში ტუშით გადაჭკონდა ნახატი და აღნიშნავდა თითოეული დეტალის ფერს. ესკიზის მთლიანი გაფერადება არ იყო მიღებული.

1764 წელი იაკონური გრავიურის ისტორიაში ითვლება ვარდატენის ხანად, როცა „პიკაურენსიას“ ხელოვნების მოყვარულთა საზოგადოების პირადი ხარჯებით გამოიცა 1765 წლის კალენდარი. ამ მრავალფეროვანი გრავიურების ავტორი გახლდათ სპეციალური პარტნიორი (1724-1770), ვისი ხელოვნებითაც იაკონური ქსილოგრაფიის ისტორიაში იწყება კლასიკური, თითქმის ნახევარსაუკუნოვანი პერიოდი. მხატვარი ორიენტაციას იღებდა შუა საუკუნეების იაკონური ფერწერის ეროვნული სტილიდან. მარუნობუმ ქალაქური კულტურის გულდია მგრძნობელობა უფრო ინტელექტუალურ ემოციას შეუხამა, რითაც გრავიურა მიუახლოვდა კლასიკურ პოეზიასა და ძველ ფერწერას.

1765 წლიდან მარუნობუმ ხელი მიხყო ფერად ბეჭდვას, ამას მოჰყვა აბრეშუმზე დაბეჭდილი გრავიურების სერია, ასევე ქალაქში დაბეჭდილი გრავიურები აბრეშუმოვანი მბრწყინავი ფონით ე. წ. „ფარჩის ნახატები“ (ნისიკიე), რომელთა კოლორიტში რთული ტონალური გამით მხატვარმა თითქმის მუსიკალურ მარშონიას მიადგინა. ამ დროიდან მისი შემოქმედების მთავარ თემად რჩება ქალი, ახალგაზრდა ლამაზი ქალი უოფით გარემოში. მხატვარი დამახასიათებელი ლირიზმითა და უფაქიზესი მგრძნობელობით გადმოგვცემს ახალგაზრდა ქალთა გრაციას, თითქოს იაკონური გორაკების მსუბუქ მოხაზულობასა და ნაკადულთა უცნაურ შიქვფარებას რომ იმეორებს. მიუხედავად რთული ტონალური გამისა, იგრძნობა ოხტატის სიუჟარული მსუბუქი, მფრინავი ნაწებისადმი. ტონთა მსუბუქ მარშონიაში გამოსტვივის რაღაც ღრმად პიროვნული, მხატვრის მიერ მწარედ განცდილი. მარუნობუმ იწიდავს ისეთი, თითქოს და გამოუსახველი ცნებები, როგორცაა სინაზე, ჩურჩული, სიჩუმე და გარდამავალი მდგომარეობანი — მწუხრი, სიგრილე ან სიცხვე-საგაზაფხულო, მხიარულ განწყობილებას ქმნის გრავიორი ფერად გამაში მოჭარბებული ღია-ვარდისფრის, ღია-ნარინჯისფრისა, და ღია-მწვანის გამოყენებით. უნდა აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ მოდელის გამოსახვისას შეგნებულად არ ამახვილებს ყურადღებას პორტრეტულ თავისებურებებზე, უარყოფს მსგავსებას შერჩეულ ტიპსა და პორტრეტს შორის. მოსახლეობის დემოკრატიული ფენიდან აღებულ ტიპებს მარუნობუმ ცვლის მისი სოციალური შემოკვეთის გემოვნების შესაბამისად. ამიტომაც მისი ქსილოგრაფიიდან შემოგვყურებს თითქოს და ერთფეროვანი, პირობითი ტიპი: მშვენიერი ოსენი კანაშორიდან, ქალიშვილები საჩაიეში, მოცეკვავენი — ონაში და ომიტსუ და სხვ. მაგრამ ეს გამოსახულებანი მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს ტრაფარეტულ ტიპებად, რადგან მათში ნათლად ჩანს მხატვრის დამოკიდებულება ტიპაჟისადმი.

მარუნობუმ მოდელი იყო ვინმე სიდოკენი (1854-1765) — კურიოზული ფიგურა, უჩვეულოდ მახინჯი თავითა და მუღამ უცნაურად მომღიმარი სახით. იგი დღედაღამ იჭდა ასაკულის კვანონის ტაძართან და ჰყვებოდა თავის „ისტორიებს“ — ძირითადად უწმინდურ ამბებსა და სასიუჟარული წერილების შინაარსს, რაშიც გასამრჯელოს ღებულობდა და ღოთობდა. მარუნობუმ განსაკუთრებული სიმძაფრის კარიკატურა მიუძღვნა მას: ჩია ტანის საოცრად გროტესკული გონჯი, მელოტი, უზარმაზარი თავითა და მანჭია ღიმილით. ამ კარიკატურაში იგრძნობა პაროდული დამოკიდებულება მოდელისადმი.

ედოს ერთ-ერთ საჩაიეში გამოჩნდა გლეხის ქალიშვილი ოსენი. მის ხილამაზესა და საინოებას უძღვნიდნენ ღიქსებსა და ღრამატულ ნაწარმოებებსაც კი. სიმღერებში მას აღარებდნენ ქალღმერთს. მარუნობუმ მრავალი გრავიურა მიუძღვნა ოსენს. ერთ-ერთზე ქალიშვილი გამოსახა ღრუბლებზე მდგარ ფერიად.

სინტოიზმურ დღესასწაულებზე ტაძარში საგანგებოდ მოწყობილ სცენაზე უნდა წარ-

მოედგინათ პატარ-პატარა თეატრალური პიესები და ცეკვები. პირველად მოცეკვავეებს არჩევდნენ ქურუმთა წრიდან. მაგრამ XVII ს. 60-იან წლებში მოცეკვავეთა შერჩევის წესი შეიცვალა. კრიტიკიულად დაწესდა მოცეკვავეთა განსაკუთრებული სილამაზე. 1769 წლის დღესასწაულზე არჩევანი ონამსა და ომიტსუს ერგოთ. ისინი მდიდრული ტანსაცმლითა და მოდური ვარცხნილობით წარსდგნენ სცენაზე. ჰარუნობუმ მოცეკვავენი ახალა ორ ცნობილ გრავიურაზე. ერთზე წარმოდგენილია იუსიმატენძინის ტაძრის სცენაზე მოცეკვნი სინტოზმის ნიშნებით (ქაღალდის ბაფთების სვეტები); ერთმანეთის პირსპირმდგომი ქუცეკვავენი მზად არიან ხაცეკვაოდ, აცვიათ მოდური საერო ტანსაცმელი, და მხოლოდ თეთრი ტიპატი — ზედა ჩასაცმელი — მიგვანიშნებს, რომ ისინი ტაძრის მოცეკვავენი არიან. ხელში უჭირავთ ქაღალდის ზოლებით მორთული ტოტები და ჭრიალასა თუ ჩხარუნას მაგვარი რაღაც. მეორე გრავიურაზე იგივე მოცეკვავეებია ისეთივე სინტოზმური ნიშნებითა და ჭრი-ალებით მორთულ იშავე ტაძრის სცენაზე. ერთი მოცეკვავე, ბამბუკის ტოტით ხელში და ანკუსით დაჭერილ ხელოვნური ოქროს თევზით, დგას. მეორე — ცალ მუხლზე ჩაჩოქილი მარაოს იქნევს. ეს აღბათ ცეკვის ერთ-ერთი მომენტია. ფიგურები გაუინულა მარმონიული მოძრაობის რიტმისა და გაწონასწორებულ კომპოზიციაში. ეს ნამუშევარი ჰარუნობუს ერთ-ერთი საუკეთესო ფურცელია გასაოცარი მუსიკალურობის შთაბეჭდილებითა და ნარნარი, შენელებული ცეკვის რიტმულობის გადმოცემით. საკულტო ცეკვის სცენაში ჰარუნობუმ წმინდა ესთეტიკური გამოსახულებით უარყო მოცეკვავეთა შერჩევა ძველი ფეოდალური ტრადიციით.

ჰარუნობუს მიმდევრებმა ახალი გზების ძებნა დაიწყეს. იხილბ კირიუსკი (მუშაობდა 1764-1788) იყო ერთ-ერთი ჰარუნობუს მცირერიცხოვანი მოწაფეთაგან, რომელიც არა მარტო მისდევდა მასწავლებლის სტილს, არამედ ზოგჯერ საკმაოდ არსებითი შესწორებანიც შეჰქონდა მასში. ჰარუნობუს მოდულების სინატიფესა და რაფინირებას კორიუსაი უპირისპირებს თანამედროვე და მიწიერ სილამაზეს.

ჰარუნობუს სტილი იყო იაპონური გრავიურის პირველი „დიდი“ სტილი, ტირიი პიიონაბბს სტილი კი — მეორე. პიიონაბბ (1752-1815) ეკუთვნოდა ტორიის სკოლას, სადაც მსახიობთა სახეების გამოსახვაზე ოსტატებდნენ მხატვრებს. კიიონაგას უამრავი ნაწარმოებნი აქვს თეატრალურ თემებზე, მაგრამ მისი შემოქმედებითი ღიაპაზონი გაცილებით ფართოა. ოსტატი ხშირად მიმართავდა „ბიძინგას“ უარს. პროფესიული სწავლება მან სკოლის მოთავეს — ტორიი კიიონაცუს სახელოსნოში გაიარა, მაგრამ ჭერ კიდევ ახალგაზრდობაში განიცდიდა ჰარუნობუს, შემდეგ კი კორიუსაის გავლენას.

1780-იან წლებში მისი ინდივიდუალური სტილი საბოლოოდ ჩამოყალიბდა. მხატვრის ნაწარმოებნი გამოირჩევა ფიგურებისა და გარემომცველი სივრცის დამაჭერბული და რეალური გააზრებით. მოდულები არც ისეთი მასიურია, როგორც კორიუსაისთან გვხვდება. მაგრამ არც ისე ეფემერული, როგორც ჰარუნობუს შემოქმედებაში. პეიზაჟი იქნება თუ ინტერიერი, კიიონაგა, როგორც წესი, ზუსტად ამუშავებს ფონს. პირველმა მან შემოიღო დეტალებით სავსე მრავალფიგურული კომპოზიციები. თბრობაა ის თვისება, რომლითაც გამოირჩევა მისი ტრადიციული სიუჟეტების გამოსახულებანი. ქალთა ცხოვრების ამსახველი ტრიპტიქები და სერიები ხასიათდება დიდი ფორმატით, მდიდარი კომპოზიციითა და სივრცის გადმოცემის ცდით. კიიონაგა უფრო ხშირად პერსონაჟთა ჯგუფს ათავსებს გაშლილ და ვრცელ პეიზაჟში და შესწევს უნარი მრავალფიგურულ სცენას სინათლე და სიღრმე მისცეს.

მედერი კოლორიტი, ხინორჩის საერთო განწყობილება, სიჭანსადე, მოძრაობა, ტანადი, მსუბუქი და ელევანტური ფიგურები — აი, კიიონაგას გრავიურების დამახასიათებელი თავისებურებანი.

კიიონაგას შემოქმედების მეორე პერიოდის მრავალ გრავიურაში უკვე იგრძნობა მონოტონურობა, ერთი და იგივე სახეების გამეორება, იგი ხშირად მიმართავს მზა ფორმებს, ამიტომაც მისი სქემატურობამდე. უფრო მოგვიანებით კიიონაგა ფიგურებს გამოსახავს ნახევარპროფილში, პროპორციები ძალზე დაგრძელებულია, თავისა და სხეულის ნორმალური შეფარდება დარღვეულია. ქალთა ცხოვრების სცენების გარდა, მას აქვს რამდენიმე გრავიურა ლეგენდარულ გმირთა ცხოვრებიდანაც.

კიიონაგას სტილი დიდ გავლენას ახდენს ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ოსტატებზეც კი. ესენია ახალგაზრდა კომპოზიტი და ეინსი, უტაბაპა ტირიუსკი და უტამარო. კიტაბაპა უტამაროს (1754-1808) სახელთანაა დაკავშირებული იაპონური გრავიურის

შესაძებ „დიდი“ სტილი კიონაგას თხრობას უტამარო ცვლის მოდელის ემოციური მდგომარეობის დახასიათებით. სახის ან ნახევარფიგურის გამოსახვისას მხატვარი წინ წამოსწევს დეტალს, გადაჭრით იცილებს ყველაფერს, რაც ხელს უშლის მთავარი მიზნის მიღწევაში; სტილიზაციის ხერხის გამოყენებით გაბედულად არღვევს ფიგურათა ბუნებრივ პროპორციებს. უტამაროს ფურცლები დაედო საფუძვლად „ბიძინგის“ ჟანრის განსაკუთრებული ფორმას — ემოციურ პორტრეტს, რომლის ბადალიც არ მოიძებნება. ამ თავისებურ პორტრეტების შექმნისას მხატვარს არ აინტერესებს არც გარეგნული მსგავსება, არც ფსიქოლოგია, არც ქალის ხასიათი. ესწრაფვის მაქსიმალურ ლაკონურობას და სახის ყველა ნაკვთი დაკვას რამდენიმე იეროგლიფურ მსგავსებამდე. ქმნის ქალურობის იდეალურ ხატს, ხატავს — თუ შეიძლება ასე ითქვას — „სულის პორტრეტს“. ქმნის სასიყვარულო ემოციების ხილულ სახეს. და თუ ულამაზესი ოსოშე („ულამაზეს ოსოშეს პორტრეტი აბურაიას სახლიდან“) ნათელი, წმინდა გრძნობების განსახიერებაა, მეორე პორტრეტი „იდუშალი შეხვედრების სიყვარული“ გამოხატავს რაღაცა შემაშფოთებელსა და დაძახულს. ქალის ფიგურა ფურცლის კიდისკენაა მოქცეული, კომონოს სახელოდან როგორღაც მოკრძალებით იშორებიან ხელები, წვრილი კისერი კი უსუსურად ჩამჭდარა მძიმედ მოარშებულ ტანსაცმელში. გრავიურას კოლორიტს ამძაფრებს კონტრასტული შავისა და ნარინჯისფერი ტონების შეპირისპირებით მიღებული სახის იდუშალება.

1790-იანი წლების დასასრულს უტამარო გატაცებულია დედობის თემით, მაგრამ გადმოსცემს არა იმდენად დედისა და ბავშვის სიუჟეტურ კავშირს, ფსიქოლოგიურ ან ემოციურ სიახლოვეს, რამდენადაც მათ ორგანულ მთლიანობას. ბავშვი, რომელიც დედას უკავია, ხას მისი ვარცხნილობის გაგრძელებად გვეჩვენება („ბურთით თამაშია“), ხან კი ყვავილის კოკორს გვაგონებს მოქნილ დეროზე („დედა ბავშვით“).

იაკონური ესთეტიკის დამახასიათებელი პირობითი ნიშნების (მიტატე) გამოყენებით უტამარო ქმნის ტრიპტიქებისა და პოლიპტიქების სერიას ისტორიულ და უოფით თემებზე. მამაკაცს გამოსახავს ქალის სახით; ძველი დროის გმირებს — უკანასკნელ მოღაზე ჩაცმულ და დავარცხნილ ტურფა ქალებად („სარდალ იორიტომოს წინაშე მოცეკვავე „შშვენიერი სიძუტა“, „მეაბრეშუმეობა“). უტამაროს ხელოვნების მწვერვალია გრავიურები ვერცხლის ფონით (1790-1793). მაგ. სერიები: „ქალთა ფიზიონომიის ათი სახეობა“ — ქალთა პორტრეტების მთელი გაღერება: ქალიშვილი გრძელი უალიონით, ქალიშვილი უკრავს პომ-პინზე (შუშის სტვირი), ქალიშვილი კითხულობს წერილს და სხვ. ამას მოჰყვება ქალიშვილები საჩაიედან, შეკვეთილი რეკლამები საჩაიებისთვის.

XVIII ს. უკანასკნელი ათწლეული არის უტამაროს ექსპერიმენტების დრო. ის აგრძელებს შშვენიერ ქალთა ხატვას, მაგრამ ამჯერად ქალთა სახეების ახლებურ გააზრებას გვთავაზობს: ჭანსალი, მიმზიდველი სახეები, სხეულის სწორი პროპორციები, მშვიდი მოძრაობები, ბარმონიულად სრულყოფილი კომპოზიცია. ფერთა შეხამება ხასხასა, მაგრამ ჭრელი — არა, ამ პერიოდში უტამაროს საყვარელი ფერებია: წითელი, ყვითელი, მწვანე, ხავერდოვანი-შავი. იგი იწყებს უკონტურო მსუბუქი ფერადი წერტილების გამოყენებას. მოგვიანებით მის შემოქმედებაში შეიშინევა მანერიზმი. ჭანსალ და უშუალო აღქმას ენაცვლება ნერვულობა, გადაჭარბებული სინათლე. ქალთა ფიგურები ძალზე გრძელდება. მეტისმეტად მსხვილი თავი ძლივს უჭირავს ძალიან წვრილ და გრძელ კისერს. თავის ზომას უფრო აღიდებს საგანგებო რთული ვარცხნილობა მსხვილი თმის საშაგრებით და ბაფთებით. უტამარო მალე კვლავ უბრუნდება სწორ პროპორციებს, კომპოზიციის უბრალოებას, ბუნების ცოცხალ აღქმას. ფონის ტონი, ადრე რომ თვალს ჭრიდა თავისი სიხასხასით, ჩამქრალია. მხატვარი ერიდება მეტალებს, უფრო მეტად იყენებს არანათელ და ხადა ფერებს.

უტამარომ ბევრად გაუსწრო წინ თავის თანამედროვეთ ნატურის თავისებურებებისა და ლირიკული ემოციის იერის შექმნაში. მაგრამ ბოლომდე ერთგული დარჩა უკიიოეს ტრადიციული ესთეტიკური სისტემისა, რომელიც გამორიცხავდა დრამატულ საწყისს და გამოხატავდა მხოლოდ სინამდვილის პოეტურ სილამაზეს, ლირიკულ ოცნებას.

სხვაგვარად უყურებს სამყაროს ტიონსიუსი სიბრბაპი, „სუშოს“ მოჭიდავეთა და მხახიობთა პორტრეტების სერიების შემქმნელი. სიცოცხლისმოყვარე უტამაროს მსოფლალქმის საპირისპიროდ სიარაკუს ხელოვნებას ახასიათებს დრამატული საწყისი. როგორც თეატრალური ჟანრის წინამორბედი ოსტატები. სიარაკუს ჩვეულებრივ გამოსახავს არაცოცხალ მსახიობ-ადამიანს, მაგრამ თეატრალურ ამბლუას. მისი ფურცლები ყოველთვის გამოიჩენვა საგანგებო ექსპრესიით. მხატვრის მიერ შექმნილი სახეები ბოროტების, სასოწარკვეთისა და

მწავერობის კონცენტრირებული განსახიერება. ცნობილ მსახიობთა პორტრეტები სახის გადამლაშებული მიმიკით, პირსა და თვალებთან ტრადიციული გრიმით უახლოვდება გროტესკს, რალაციით თეატრალური ნიღბების უძველეს ხელოვნებას რომ გვაგონებს. მსახიობთა მუქ ფონზე გამოსახვით (ფონი დაფარულია ქარსის ფხვნილისა და მეწამული, იხფერი ან მოწითალო პიგმენტისაგან მიღებული საღებავით) მხატვარი აძლიერებს დაძაბულ ემოციურ გარემოს, რითაც ანცვიფრებს თანამედროვეთ, როგორც მაშინ ამბობდნენ „ძალზე გადაჭარბებული რეალურობით“.

სიარაკუს შემოქმედება განცალკევებულად დარჩა XVIII საუკუნის ლირიკულ და ინტიმური ხელოვნების ფონზე. მისი თანამედროვენი, მოწაფენი და მიმდევარნი კოსტოდა ეისი-მისი, ეირი, მისუი სულ სხვა გზას დაადგინენ. უტამაროს ტრადიციის გაგრძელებითა და ძირითადად ლამაზმანთა პორტრეტების შექმნით ისინი დარჩნენ მკაფიო, ნათელი და ჰარმონიული ხელოვნების ფარგლებში.

ეისის სკოლის გრავიურები გამოირჩევა ხაზოვანი რიტმის დახვეწილობით, კლასიკური ლიტერატურის თემებისადმი მიდრეკილებით (ეისი, ფურცელი ტრიპტიქების სერიიდან რომან „გენდი მონოგატარის“ თემაზე), და ასევე თავისებური მოცისფრო-მონაცრისფრო კოლორით. ასეთი ფერი უყვარდა აგრეთვე ცნობილ გრაფიკოსს, ფერმწერსა და პოეტს კუპტო სიშმანს. მან თავისი პალიტრა შეზღუდა მუქ-მწვანე, მრუბე-შავი და ვერცხლისფერ-ნაცრისფერი ტონებით („ღამის სცენა“). ფერთა ამ გამას იაპონიაში უწოდეს „შიში ვარდისფერის წინაშე“.

სიუშანი ქმნიდა აგრეთვე მრავალრიცხოვან მიხალოც ბარათებს (სურიმონო) ნახატებისა და კეთილისმსურველი სიმბოლური შინაარსის ლექსების შეხამებით. როგორც უველა იაპონელ გრაფიკოსს, სიუშანსაც უყვარს პოეტური ქარაგმის მრავალმნიშვნელოვანი და რთული ფორმა, ასოციაციები და იგაეები. ამასთანავე, იაპონურ გრავიურაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დეტალი: ფანარი ქალის ხელში გვიან ღამეს აღნიშნავს (სიუშანი „ღამის სცენა“), ციციანათელები — ღამეს (ეისი, „ციციანათელები ფუგის სპაემანო სახლთან), ზამბახის ყვავილი — მოქმედების დროს — შაისის თვეს.

ამბობენ, რომ XIX საუკუნე ითვლება გრავიურის ხელოვნების დასასრულად. ეს ხამართლიანია „ბიძინგის“ ტანრისათვის, მაგრამ არა მთლიანად გრავიურისათვის. ისეთი შემოქმედნი, როგორებიც არიან კუნეიოსი, კოპუსაი და ჰიროსიგე, უკიდრის ისტორიაში ახალ ფურცელს უღიან.

კუნეიოსი (1797-1881) მიეკუთვნებოდა XIX საუკუნის უველაზე უფრო გავლენიან უტაგავას სკოლას. სხვა სკოლებისგან განსხვავებით, სადაც ოსტატებოდნენ მხოლოდ ერთ რომელიმე უანრში, უტაგავას მხატვრები ქმნიდნენ გრავიურებს სხვადასხვა თემებზე. XIX საუკუნემ წინ წამოიწია ისტორიულ-ჰეროიკული უანრი, რომელშიც უველაზე უფრო სრულად გამოვლინდა კუნეიოსის ნიჭი. წარსულის გმირებისადმი მიძღვნილ გრავიურებზე კუნეიოსმა შექმნა ძლიერი, გაბედული და შეუპოვარი ჰეომრის იდეალური სახე. მასა და მისი წრის ოსტატებს იზიდავდა მოძრაობა, მოქმედების ექსპრესია, თავაწყვეტილი ძლიერება. უტუგავას სკოლის გვიანდელ ოსტატთა შემოქმედების დაძაბული და დინამიური კომპოზიციები XVIII საუკუნის გრავიურისთვის უცხოა.

XIX საუკუნის გრავიურის ისტორიაში განსაკუთრებული მოვლენაა დამოუკიდებელი უანრის — პეიშაუის წარმოქმნა. ცნობილი პეიშაუისტები არიან კატუსიკა კოპუსაი (1780-1848) და ანდო ჰიროსიგე (1797-1858). ტრადიციული შორეულ აღმოსავლური პეიშაუისგან განსხვავებით, სადაც ფილოსოფიური შეხედულებები ბუნებაზე გადმოცემული სიმბოლურ-ნიშნური ფორმით, ფერწერითაა ხორცშესხმული, კოპუსაიასა და ჰიროსიგეს პეიშაუები, კონკრეტულია; ზუსტად გადმოგვცემენ გამოსახული მხარის ხასიათსა და იერსახეს.

კოპუსაიას და ჰიროსიგეს შემოქმედება იაპონური გრავიურის ისტორიის უკანასკნელი დიდი მოვლენაა.

კოპუსაიას და ჰიროსიგეს შემოქმედება იაპონური გრავიურის ისტორიის უკანასკნელი დეტალების სიმკვეთრესთან და სიზუსტესთან, ფრაგმენტის მეშვეობით მთლიანობის გადმოცემის უნარი — მრავალ ევროპელ ოსტატს იზიდავდა და მნიშვნელოვანი გავლენაც მოახდინა ახალი დროის ხელოვნების ჩამოყალიბებაზე. თვით იაპონიაშიც, ისეთი მხატვრები, როგორებიც არიან ტადასიგე იენო, სასაძიმა კიჰეი, მამედა მასბო, თავიანთ შემოქმედებაში ნაყოფიერად იყენებენ XVIII-XIX საუკუნეების ქსილოგრაფიის საუკეთესო მიღწევებს, ახლებურად გააზრებულთ თანამედროვე მხატვრული კულტურის კონტექსტში.



მარნიკს ხ. ჰეისენი

მარნიკს ჰეისენი უფროსი თაობის ერთ-ერთი ცნობილი თანამედროვე ბელგიელი მწერალია. ის არის რომანისტი, ესეისტი, ნოველისტი და ამასთანავე ძალზე საინტერესო პოეტიც. მისი პირველი რომანის გამოსვლისთანავე ბელგიელმა მკითხველმა ერთსულოვნად აღიარა დიდი მწერლის გამოსვლა ლიტერატურულ ასპარეზზე.

1958 წლიდან მოყოლებული ჰეისენი ბეჭდავდა სტატიებს, ესეებს, რეცენზიებს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში.

მერე უოველივე ეს ცალკე წიგნებად გამოსცა. „ფარდა ეშვება“ — ბოლო წიგნია ამ ციკლისა. ამ ნაწარმოებში მწერალი აჯამებს თავის პუბლიცისტურ შემოქმედებას. ჰეისენი მოგვითხრობს, ხუმრობს, იცინის ან კიდევ მწარედ ამოთრახებს დემაგოგიას, ტყუილს, თვალთმაქცობას, დესპოტიზმს, ძალადობას და ფანატიზმს.

პრესა მწერალს

გაზეთ „ასახის“ 1984 წლის პრემია მიენიჭა ერთ-ერთ დიდ იაპონელ მწერალს, იასური ინოუეს. ამავე გაზეთში დაბეჭდილია ინტერვიუ მწერალთან და მოკლე ნარკვევი მის შემოქმედებაზე. იასური ინოუე 77 წლისაა. წერა მან გვიან დაიწყო. 1950 წელს მწერალმა მიიღო აკუტაგავას პრემია.

ვასილ ცონევის ნოველები

იუმორი, ირონია, გროტესკი ბევრწილად განაპირობებს იმ თავისებურებას, რომელიც ბულგარელი მწერლის ვასილ ცონევის ხელწერის განუყოფელი ნიშანია. ის ავტორია ნოველების მრავალრიცხოვანი კრებულებისა. ეს კრებულებია: „მხიარული გამონაგონები“, „წვიმაში ჩაიკვი ლამაზად“, „დილა სან-სუსის კოშკში“, „გაიღიმე, გაიღიმე!“ ვ. ცონევის ახალ წიგნში შეესულია ნაწარმოებები, რომლებიც თემატიკის მიხედვით შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს: ნოველები დღევანდელ დღეზე („სასიამოვნო დღე“, „დიდებული და მისი მეგობრები“, „მხოლოდ სლავია!“) და მცირე მოთხრობები, ხადაც სოფლის შემოგარეების ცხოვრებაა აღწერილი ომამდე და ომის შემდგომ.


„კორგი და ბესი“

მწერლებს და ხელოვნების ნებისმიერი დარგის წარმომადგენლებს ერთნაირად აღაფრთოვანებს ამერიკელი კომპოზიტორის ჯორჯ გერშვინის ოპერა „კორგი და ბესი“.

ამჟამად შესრულდა 50 წლისთავი ამ ოპერის პირველი წარმოდგენიდან. ამერიკული პრესა იტყობინება, რომ ამ ოპერის პრემიერა შედგა 1983 წელს, ერთ-ერთ მცირე თეატრში. სპექტაკლი ცივად მიიღო მაყურებელმა. დიდი მითქმა-მოთქმა და დავა გამოიწვია თავის-

თავად ამ ოპერის უანრმა. თავად ჯ. გერშვინმა ნაწარმოებს „ფოლკ-ოპერა“ უწოდა. ორი წლის თავზე კომპოზიტორი გარდაიცვალა. ისე, რომ არც კი უფიქრია წარმატებაზე.

30 წლის შემდეგ ამ ოპერის პრემიერა შედგა ლა სკალაში. ოპერა უმაღლეს მოედო მთელ მსოფლიოს. 1959 წელს ფილმს „კორგი და ბესი“ კინობელოვნების აკადემიის პრემია მიენიჭა.

„ლამაზი მეგობარი“ ეპრანზე  **ქართული
პენსიონერთა**

გი დე შოპასანის რომანი „ლამაზი მეგობარი“ 1885 წელს გამოიცა პარიზში. ასი წელი შესრულდა წიგნის გამოცემიდან და ამ თარიღის აღსანიშნავად ფრანგმა კინემატოგრაფისტებმა გადაწყვიტეს სამნაწილიანი მხატვრული ფილმის შექმნა. სცენარის ავტორია პიერ მუსტიე, რეჟისორი — პიერ კარდინალი. უორე დიურუას როლს ასრულებს მსახიობი ეაკ ვებერი.

მარბარეტ ლორენსი

მარგარეტ ლორენსი თანადროულ ანგლო-კანადელ პროზაიკოსთა შორის ერთ-ერთი უველაზე ცნობილი ფიგურაა. მწერლისადმი მიძღვნილ კრიტიკული სტატიების კრებულში კანადელი ლიტერატურისმცოდნე უილიამ ნიუ აღნიშნავს, რომ მწერალი ქალის შემოქმედება დიდად უწყობს ხელს კანადელებს „უკეთესად გაიგონ თავიანთი კულტურული მემკვიდრეობა“.

მარგარეტ ლორენსი ხუთი რომანის, მოთხრობების და ესეების კრებულების, საბავშვო წიგნების ავტორია.

ის მთარგმნელიცაა და ლიტერატურისმცოდნეც. კანადელი მწერლის სახელი დიდი ხანია გასცდა ინგლისურენოვანი სამყაროს ფარგლებს.


□

განსწორება:

„საუნჯის“ მე-5 ნომერში დაბეჭდილ ლექსებს — „იუგოსლავიელი პოეტები“ უნდა ეწეროს — „უნგრელი პოეტები“.

«САУНДЖЕ»
ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ
На грузинском языке

1985 № 6
СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ
ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ
ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ



ანდო კიროსიძე. 1797—1858 წ.წ. სერიადან: „ედოს ასი განთქმული
 ხანები“ — 1856—1858 წ.წ.

6105/175



ბორი კიოტანა. 1752—1815 წ.წ. ვერანდუ (ტრიტიქის მარც-
ხენა ნაწილი: „მთვარის ჭვრეტა მდინარე სუმიდის ნაპირზე“) 1787 წ.